ი. ეფრემოვი

ანდრომედას ნისლეული

გადადით ლინკზე და მოიწონეთ გვერდი

https://www.facebook.com/eExistentialCrisisA1/

Contents

ი. ეფრემოვი 1
ანდრომედას ნისლეული 1
თავი I. რკინის ვარსკვლავი 2
თავი **II.** ეპსილონი ტუკანა 35
თავი **III.** სიბნელის ტყვეობაში 65
თავი **IV.** დროის მდინარე 100
თავი **V.** ცხენი ზღვის ფსკერზე 120
თავი **VI.** ლურჯი მზეების ლეგენდა 144
თავი **VII. 4,710** მიუ ფერადი ტონალობის სიმფონია ფა-მინორი 167
თავი **VIII.** წითელი ტალღები 195
თავი **IX.** მესამე ციკლის სკოლა 214
თავი **X.** ტიბეტის ცდა 226
თავი **XI.** დავიწყების კუნძული 247
თავი **XII.** ვარსკვლავფრენის საბჭო 268
თავი **XIII.** ცის ანგელოსები 290
თავი **XIV.** ფოლადის კარი 316
თავი **XV.** ანდრომედას ნისლეული 330

თავი **I.** რკინის ვარსკვლავი

ჭერიდან არეკლილ ბუნდოვან სინათლეში ხელსაწყოების სკალები პორტრეტების გალერეასავით ჩანდა. მრგვალი ხელსაწყოები მზაკვრულად გამოიყურებოდნენ, განივოვალურები თავხედური თვითკმაყოფილებით გადღაბნილიყვნენ, კვადრატულები ბრიყვული თვითდაჯერებით გარინდულიყვნენ. მათში მოციმციმე ლურჯი, ცისფერი, ნარინჯისფერი, მწვანე ნათურები შთაბეჭდილებას აძლიერებდნენ.

ამოზნექილი პულტის ცენტრში გამოირჩეოდა ფართო და მეწამული ციფერბლატი. მის წინ უხერხულად დახრილიყო ქალიშვილი, რომელსაც აღარც კი ახსოვდა თუ გვერდზე სავარძელი ედგა და თავი მინაზე მიედო. წითელ

ანარეკლს ახალგაზრდა სახისათვის ხნიერი და მკაცრი იერი მიეცა, ამობურცულ სავსე ტუჩებზე მკვეთრი ჩრდილები დაჰფენოდა. ოდნავ აპრეხილი ცხვირი წაწვეტებული მოუჩანდა. ფართო შეჭმუხნული წარბები მეტისმეტად ჩამუქებოდა და თვალებშიც მწუხარე, განწირული გამომეტყველება ეხატებოდა.

მრიცხველთა წვრილი სიმღერა ლითონის ხმადაბალმა ღრჭიალმა შეცვალა. ქალიშვილი შეკრთა, გასწორდა, მოიფშვნიტა გამხდარი ხელები და დაღლილი წელი გამართა.

ზურგსუკან კარის გაღების ჩხაკუნი მოისმა. გამოჩნდა ჩრდილი, რომელიც მკვეთრი მიხრა-მოხრის ადამიანად იქცა. იფეთქა ოქროსფერმა შუქმა და ქალიშვილის ხშირმა მუქმა ჟღალმა თმამ თითქოს ნაპერწკლები დაკვესა. მას თვალებიც წამოენთო, აღელვებით და სიყვარულით მიმართა შემოსულს.

- ნუთუ არ დაიძინეთ? ასი საათი უძილოდ!..

- ცუდი მაგალითია? - გაუღიმებლად, მაგრამ მხიარულად ჰკითხა შემოსულმა. ლაპარაკში მაღალი, ლითონისებური ბგერები გაისმა, რომელიც თითქო ამოქლონებდა მის ხმას.

- დანარჩენებს სძინავთ, - გაუბედავად წარმოთქვა ქალიშვილმა, - და... არაფერი იციან, - დაუმატა ხმადაბლა.

- ლაპარაკის ნუ გეშინიათ. ამხანაგებს სძინავთ და ახლა მხოლოდ ორნი ვფხიზლობთ კოსმოსში. დედამიწამდე კი ორმოცდაათი ბილიონი[1] კილომეტრია - სულ ერთნახევარი პარსეკი!

- და ანამეზონიც[2] სულ ერთი გაქანების სამყოფია! - შეძრწუნება და აღტაცება გაისმა ქალიშვილის წამოძახილში.

ვარსკვლავეთის ოცდამეჩვიდმეტე ექსპედიციის მეთაურმა ერგ ნოორმა სწრაფად გადადგა ორიოდე ნაბიჯი და მეწამულ ციფერბლატთან გაჩნდა.

- მეხუთე წრე!

- დიახ, მეხუთეში შევედით და თითქოს არაფერიაო, - ქალიშვილმა მჭევრმეტყველური მზერა სტყორცნა მიმღები აპარატის ხმოვან რუპორს - ხომ ხედავთ, ძილი არ შეიძლება, უნდა მოვიფიქროთ ყველა ვარიანტი, ყველა შესაძლებლობა. მეხუთე წრის ბოლოს გადაწყვეტილება მიღებული უნდა გვქონდეს.

- მაგრამ ეს კიდევ ას ათი საათია...

- კარგი, დავიძინებ აქ, სავარძელში, როცა დამთავრდება სპორამინის[3] მოქმედება. მე იგი გუშინ მივიღე.

ქალიშვილი დაძაბული ყურადღებით რაღაცაზე ფიქრობდა. ბოლოს გადაწყვიტა და თქვა:

- იქნებ წრის რადიუსი შეგვემცირებინა? ხომ შეიძლება გადამცემი გაფუჭებოდეთ?

- არ შეიძლება! რადიუსის შემცირება სიჩქარის დაუკლებლად ხომალდის დაუყოვნებლივ დამსხვრევას გამოიწვევს. სიჩქარის დაკლება კი... ისიც უანამეზონოდ... ერთნახევარი პარსეკი უძველესი მთვარის რაკეტების სისწრაფით? ასი ათასი წლის შემდეგ მივუახლოვდებით ჩვენი მზის სისტემას.

- გავიგე... მაგრამ მათ ხომ არ შეეძლოთ...

- არ შეეძლოთ. უხსოვარ დროში ადამიანებს შეეძლოთ დაუდევრობის ჩადენა, ერთმანეთის ან თავიანთი თავის მოტყუება. მაგრამ ახლა - არა!

- მე მაგას არ ვამბობ, - წყენა გაისმა ქალიშვილის მკვეთრ პასუხში. - მე მინდოდა მეთქვა, ხომ შეიძლება „ალგრაბიც“ ასცდენოდა კურსს და ჩვენ დაგვეძებს მეთქი.

- შეუძლებელია ასე ძალიან კურსიდან აცდენა. ხომ არ შეეძლო გაანგარიშებულ და დანიშნულ დროზე არ გამგზავრებულიყო. თუ მოხდა გაუგონარი შემთხვევა და ორივე გადამცემი მწყობრიდან გამოვიდა, მაშინ ვარსკვლავმფრენი, უეჭველია, დაიწყებდა წრის დიამეტრიულ გადაკვეთას და ჩვენ მას პლანეტარიუმის მიმღებით მოვუსმენდით. შეცდომა არ შეიძლება - აი ის პირობითი პლანეტა!

ერგ ნოორმა მიუთითა სარკის ეკრანებზე, რომლებიც მართვის პოსტის ოთხივე მხარეს ნიშებში იყო მოთავსებული. ცის უკუნეთში ურიცხვი ვარსკვლავები ციმციმებდა. მარცხენა წინა ეკრანზე სწრაფად გაიქროლა პატარა ნაცრისფერმა დისკომ, რომელიც ძლივს იყო განათებული ბ-7336-ს + 87 - ა სისტემიდან ძალზე დაცილებული მნათობის მიერ.

- ჩვენი ყუმბარისებრი შუქურები[4] გამოკვეთილად მუშაობენ, თუმცა ოთხი დამოუკიდებელი წლის[5] წინათ ჩამოვყარეთ. ერგ ნოორმა მიუთითა სინათლის მკაფიო ზოლზე, რომელიც მარცხენა კედლის გრძელი მინის გასწვრივ ჩანდა , „ალგრაბი“ აქ უნდა ყოფილიყო ჯერ კიდევ სამი თვის წინათ. ეს იმას ნიშნავს, რომ, ნოორი შეყოყმანდა, თითქოს ვერ გადაეწყვიტა განაჩენის წარმოთქმა - „ალგრაბი“ დაიღუპა!

- მაგრამ თუ არ დაიღუპა, მეტეორიტებმა დააზიანეს და ამიტომ არ ძალუძს სიჩქარის განვითარება? - შეეპასუხა ჟღალთმიანი ქალიშვილი.

- არ ძალუძს სიჩქარის განვითარება! - გაიმეორა ერგ ნოორმა. - ესეც ხომ იგივეა, ხომალდსა და მიზანს შორის ათასწლიანი გზა რომ ჩადგეს? უარესიცაა. სიკვდილი უცებ კი არ მოვა, არამედ მაშინ, როცა უიმედობისათვის განწირული წლები გაივლიან. შეიძლება მათ დაგვიძახონ - მაშინ გავიგონებთ... ექვსი წლის შემდეგ... დედამიწაზე.

სწრაფი მოძრაობით ერგ ნოორმა ელექტრონული საანგარიშო მანქანის ქვეშიდან დასაკეცი სავარძელი გამოსწია. ეს იყო მცირე მოდელი „მნუ-11“. აქამდე დიდი წონის, ზომისა და სიმყიფის გამო შეუძლებელი იყო ვარსკვლავმფრენებზე ყოველმხრივი ოპერაციებისათვის „იტუ“ ტიპის ელექტრონული მანქანა-ტვინის დადგმა და მისთვის

ვარსკვლავმფრენის მართვის სრული პასუხისმგებლობის დაკისრება. მართვის პოსტზე უნდა ყოფილიყო მორიგე ნავიგატორი, მით უმეტეს, რომ შეუძლებელი იყო ასე შორეულ მანძილზე ხომალდის კურსის ზუსტი ორიენტირება.

ექსპედიციის უფროსის ხელები პიანისტის სისწრაფით ათამაშდა საანგარიშო მანქანის სახელურებსა და ჭიკარტებზე, ფერმკრთალი, მკვეთრნაკვთებიანი სახე გაქვავდა, პულტზე ჯიუტად დახრილი მაღალი შუბლი თითქოს საომრად იწვევდა სტიქიური ბედის ძალებს, რომლებიც ემუქრებოდნენ პაწაწინა ცოცხალ სამყაროს, შეჭრილს სივრცეთა დახშულ სიღრმეში.

ნიზა კრიტი, ახალგაზრდა ასტრონავიგატორი, რომელიც პირველად მოხვდა ვარსკვლავეთის ექსპედიციაში, დაჩუმდა, სუნთქვაშეკრული აკვირდებოდა საკუთარ ფიქრებში ჩაძირულ ნოორს. როგორი დინჯია, ენერგიითა და ჭკუითაა აღსავსე საყვარელი ადამიანი!... საყვარელი უკვე დიდი ხანია, მთელი ხუთი წელიწადია. მისგან ამის დამალვას აზრი არა აქვს... მანაც იცის, ნიზა გრძნობს ამას... ახლა, როცა ეს უბედურება მოხდა, ნიზას ერგო სასიხარულო მორიგეობა მასთან ერთად. სამი თვე

განმარტოებით, სანამ ვარსკვლავმფრენის დანარჩენი ეკიპაჟი ტკბილ, გიპნოზურ ძილშია ჩაძირული. დარჩა კიდევ ცამეტი დღე, შემდეგ დაიძინებენ - ნახევარი წლით, სანამ არ გაივლის ნავიგატორების, ასტრონომების და მექანიკოსების მორიგეობის ორი ცვლა, დანარჩენებს - ბიოლოგებს, გეოლოგებს, რომელთა მუშაობაც მხოლოდ დანიშნულების ადგილზე მისვლის შემდეგ იწყება, - შეუძლიათ კიდევ დიდხანს იძინოს, მაშინ, როდესაც ასტრონომებს ყველაზე დაძაბული სამუშაო აქვთ.

ერგ ნოორი წამოდგა და ნიზას ფიქრთა მდინარება გაუწყდა.

- მე ვარსკვლავების რუკის კაბინაში წავალ, თქვენი დასვენება... - მან დახედა დამოკიდებული საათის[6] ციფერბლატს, - ცხრა საათის შემდეგ არის. მოვასწრებ გამოძინებას, სანამ თქვენი შეცვლის დრო დადგება.

- მე არ დავღლილვარ, სანამ საჭირო იქნება, აქვე ვიქნები, ოღონდ თქვენ დაისვენეთ!

ერგ ნოორი შეიჭმუხნა, შეკამათებას აპირებდა, მაგრამ ნაზი სიტყვებისა და მისკენ ნდობით მიმართული ქალიშვილის ოქრონარევ თაფლისფერი თვალების წინაშე უკან დაიხია, გაიღიმა და მდუმარედ გავიდა.

ნიზა სავარძელში ჩაჯდა, ჩვეულებისამებრ და გადაავლო თვალი ხელსაწყოებს და ღრმად ჩაფიქრდა.

მის თავზე შავად ჩანდა ასარეკლი ეკრანი, რომლის მეოხებითაც მართვის ცენტრალური პოსტი ხომალდის გარემომცველი უსასრულობის მიმოხილვას აწარმოებდა. ვარსკვლავთა სხვადასხვაფერი სხივები შუქის ნემსებს ჰგავდა, რომლებიც თითქო თვალებს ჰკვეთდა.

ვარსკვლავმფრენი პლანეტის გადასასწრებად მიჰქროდა და მიზიდულობის ძალა ხომალდს მიზიდულობის ველის ცვლადი ძაბვის გასწვრივ არყევდა. უკეთური დიდებული ვარსკვლავები ასარეკლ ეკრანებზე გასაოცრად ხტოდნენ. თანავარსკვლავედთა სურათები საოცარი სისწრაფით იცვლებოდნენ. მათი დამახსოვრება შეუძლებელი იყო.

თავის მნათობს დაშორებული, ცივი, უსიცოცხლო პლანეტა კ2-2ნ-88, ცნობილი იყო როგორც შესახვედრად მოხერხებული ადგილი ვარსკვლავმფრენებისათვის... იმ შეხვედრისათვის, რომელიც არ შედგა. მეხუთე წრე... და ნიზამ წარმოიდგინა თავისი

ხომალდი, შემცირებული სიჩქარით მქროლავი მილიარდი კილომეტრი რადიუსის ჯადოსნურ წრეზე, ხომალდი, რომელიც განუწყვეტლივ გადაუსწრებს ხოლმე კუსავით მხოხავ პლანეტას. ას ათი საათის შემდეგ ხომალდი დაამთავრებს მეხუთე წრეს... შემდეგ რაღა ელის? ერგ ნოორის მძლავრმა გონებამ მთელი ძალები შემოიკრიბა საუკეთესო გამოსავლის მოსაძებნად. ექსპედიციისა და ხომალდის მეთაური არ შეიძლება შეცდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში პირველი კლასის ვარსკვლავმფრენი „ტანტრა“ საუკეთესო მეცნიერთა ეკიპაჟით არასოდეს არ დაბრუნდება უსასრულო სივრციდან! მაგრამ ერგ ნოორი არ შეცდება...

უეცრად ნიზა კრიტს საზიზღარი, გულისამრევი გრძნობა მოერია, რაც იმას ნიშნავდა, რომ ვარსკვლავმფრენი კურსიდან გადაიხარა გრადუსის უმნიშვნელო ნაწილით. ეს კი მხოლოდ სიჩქარის შემცირებისას შეიძლება, წინააღმდეგ

შემთხვევაში მასზე მყოფი ცოცხალი ნაზი არსებები სიცოცხლეს უნდა გამოთხოვებოდნენ. ძლივს გაიფანტა ქალიშვილის თვალებში ნაცრისფერი ბურუსი, რომ გულისწუხილმა ხელახლა შემოუტია - ხომალდი კურსს დაუბრუნდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ არაჩვეულებრივად გრძნობიერმა ლოკატორებმა თავიანთ წინ უსასრულო სიბნელეში იგრძნეს მეტეორიტი

- ვარსკვლავმფრენის მთავარი საშიშროება. ხომალდის სამართავმა ელექტრონულმა მანქანებმა (რადგან მხოლოდ მათ შეუძლიათ საჭირო სისწრაფით ჩაატარონ ყველა მანიპულაცია - ადამიანების ნერვები უვარგისია კოსმოსურ სიჩქარეთათვის) წამის მემილიონედი ნაწილით გადახარეს „ტანტრა“ და როდესაც საშიშროებამ გაიარა, ასევე სწრაფად დააბრუნეს იგი ადრინდელ კურსზე.

„რამ შეუშალა ხელი ასეთივე მანქანებს „ალგრაბის“ გადარჩენაში?“ - გაიფიქრა გონს მოსულმა ნიზამ. იგი უეჭველად შემხვედრი მეტეორითაა დაზიანებული. ერგ ნოორი ამბობდა, დღემდე ყოველი მეათე ვარსკვლავმფრენი მეტეორიტისაგან იღუპება, მიუხედავად ისეთი გრძნობიერი ლოკატორის გამოგონებისა, როგორიც არის ვოლა ხოდის ხელსაწყო და წვრილი ნაწილაკების მომგერიებელი დამცველი ენერგეტიკული საბურველებიო. „ალგრაბის“ დაღუპვამ ისინი სარისკო მდგომარეობაში ჩააყენა: ეგონათ კი, ყოველივე კარგად მოფიქრებული და გათვალისწინებული გვაქვსო. ქალიშვილმა დაიწყო ყველაფრის მოგონება, რაც გამოფრენის მომენტიდან მოხდა.

ვარსკვლავეთის ოცდამეჩვიდმეტე ექსპედიცია მიმართული იყო გველის თანავარსკვლავედის უახლოესი ვარსკვლავის საპლანეტო სისტემისაკენ, რომლის ერთადერთი დასახლებული პლანეტა - ზირდა კარგა ხანია ლაპარაკობდა დედამიწასთან და სხვა სამყაროებთან დიდი რკალის მეშვეობით. იგი მოულოდნელად დადუმდა. სამოცდაათ წელზე მეტია მისგან არავითარი ცნობა არ მოსულა .დედამიწის მოვალეობა იყო გამოერკვია რა მოხდა, რადგანაც რკალში შემავალ პლანეტათაგან იგი ყველაზე ახლო იყო ზირდასთან. ამიტომაც ხომალდმა ექსპედიციაში წამოიღო ბევრი ხელსაწყო და წამოიყვანა რამდენიმე გამოჩენილი მეცნიერი, რომელთა ნერვული სისტემის მრავალრიცხოვანი გამოცდის შემდეგ დადასტურდა, რომ შეძლებდნენ გადაეტანათ ვარსკვლავმფრენში წლობით დამწყვდევა. საწვავის მარაგი ანამეზონის ძრავებისათვის, ე. ი. მარაგი დაშლილი მეზონურკავშირებიანი ატომგულური ნივთიერებისა, რომელსაც გამოდინების სინათლის სიჩქარე აქვს, წამოღებულ იქნა ზუსტად განსაზღვრული რაოდენობით, არა ანამეზონის წონის მიზეზით, არამედ შემნახველი კონტეინერების დიდი მოცულობის გამო. ანამეზონის მარაგის შევსებას ზირდაზე აპირებდნენ. იმ შემთხვევაში, თუ პლანეტას რაიმე

სერიოზული შეემთხვეოდა, მეორე კლასის ვარსკვლავმფრენი „ალგრაბი“ „ტანტრას“ კ2- 2ნ -88 პლანეტის ორბიტზე უნდა შეხვედროდა.

მახვილი სმენის წყალობით ნიზამ გაიგონა ხელოვნური მიზიდულობის ველის მომართული ტონის ცვლილება. სამი მარჯვენა ხელსაწყოს დისკოები უთანაბროდ აციმციმდა, ჩაირთო მარჯვენა ქიმის ელექტრონული ცეცი, განათებულ ეკრანზე გამოჩნდა დაკუთხული მბრწყინავი ნაჭერი. იგი ყუმბარისებურად მოემართებოდა პირდაპირ „ტანტრასაკენ“ და, მაშასადამე, შორს იმყოფებოდა. ეს იყო ნივთიერების გიგანტური ნამსხვრევები, როგორებიც კოსმოსურ სივრცეში განსაკუთრებით იშვიათად გვხვდება და ნიზამ იჩქარა განესაზღვრა მისი მოცულობა, მასა, სიჩქარე, ფრენის მიმართულება. ნიზა მხოლოდ მაშინ დაუბრუნდა თავის მოგონებებს, როცა სამეთვალყურეო ჟურნალის ავტომატურმა კოჭამ გაიტკაცუნა.

ყველაზე მკვეთრი მათგან იყო მოღუშული სისხლისფერ- წითელი მზე, რომელიც ეკრანების მხედველობის არეში მგზავრობის მეოთხე წლის უკანასკნელ თვეებში გამოჩნდა. მეოთხე წელი 5/6 აბსოლუტური ერთეულის სიჩქარით - სინათლის სიჩქარით მიმქროლავი ვარსკვლავმფრენის მცხოვრებთათვის. დედამიწაზე კი უკვე დაახლოებით შვიდი წელი გავიდა, ეგრეთწოდებული დამოუკიდებელი წელიწადი.

ეკრანების ფილტრები, ადამიანთა მხედველობის დაცვის მიზნით, ცვლიდნენ ყოველგვარი მნათობის სხივების ფერსა და ძალას. იგი ისეთივე ხდებოდა, როგორიც ოზონიანი და წყლიანი დამცავი ეკრანების შემცველ მიწის სქელ ატმოსფეროში ჩანს. მაღალტემპერატურიანი მნათობების აუწერლად გამჭირვალე იისფერი შუქი გეჩვენებოდა ცისფრად ან მოთეთროდ, პირქუში რუხვარდისფერი ვარსკვლავები მხიარულ ოქროსფერ - ყვითელ ფერს იღებდნენ, ჩვენი მზის მსგავსად. აქ გამარჯვების ნათელ - წითელი ფერის ცეცხლში გახვეული მნათობი იღებდა მუქ სისხლისფერ ტონს, რომელშიც დედამიწაზე მყოფი დამკვირვებელი 5 სპექტრალური კლასის[7] ვარსკვლავების დანახვას მიეჩვია. პლანეტა ბევრად ახლო იყო თავის მზესთან, ვიდრე ჩვენი დედამიწა - ჩვენს მზესთან. ზირდასთან მიახლოვების შესაფერად მისი მნათობიც ვეებერთელა ალისფერ დისკოდ იქცა, რომელიც თბილი სხივების მასას აგზავნიდა.

ზირდასთან მისვლამდე ორი თვით ადრე „ტანტრა“ შეეცადა პლანეტის გარე სადგურებს დაკავშირებოდა. აქ იყო მხოლოდ ერთი სადგური პატარა, უატმოსფერო ბუნებრივ თანამგზავრზე, რომელიც უფრო ახლოა ზირდასთან, ვიდრე მთვარეა დედამიწასთან.

ვარსკვლავმფრენი განაგრძობდა ძახილს მაშინაც, როდესაც პლანეტამდე დარჩენილიყო ოცდაათი მილიონი კილომეტრი და „ტანტრის“ სასწაულებრივი სიჩქარე წამში სამიათას კილომეტრამდე შენელდა. მორიგეობდა ნიზა, მაგრამ მთელი ეკიპაჟი ფხიზლობდა, ისხდნენ და ელოდნენ ეკრანების წინ მართვის ცენტრალურ პოსტზე.

ნიზა ეძახდა, აძლიერებდა გადამცემის ძალას და ტყორცნიდა წინ მარაოსებრ სხივებს.

ბოლოს მათ დაინახეს თანამგზავრის პაწაწკინტელა მანათობელი წერტილი. ვარსკვლავმფრენმა დაიწყო ორბიტის შემოხაზვა პლანეტის ირგვლივ, თანდათან უახლოვდებოდა მას სპირალისებური გზით და ათანაბრებდა თავის სიჩქარეს თანამგზავრის სიჩქარესთან. „ტანტრა“ და თანამგზავრი თითქოს უხილავი თოკებით გადაებნენ და ვარსკვლავმფრენი დაეკიდა თავის ორბიტზე სწრაფად მსრბოლი პატარა პლანეტის თავზე. ხომალდის ელექტრონული სტერეოტელესკოპები ახლა თანამგზავრის ზედაპირს ჩხრეკდნენ. უეცრად „ტანტრის“ ეკიპაჟის წინაშე ზღაპრული სანახაობა გადაიშალა.

ვეებერთელა ბრტყელი მინის ნაგებობა სისხლიანი მზის ათინათში იწვოდა. პირდაპირ ჭერქვეშ რაღაც დიდი საკრებულო იყო მოწყობილი, იქ უმოძრაოდ გაყინულიყო მრავალი არსება, რომლებიც არ ჰგავდნენ მიწის მცხოვრებთ, მაგრამ უეჭველია ადამიანები იყვნენ. ექსპედიციის ასტრონომი პურ ხისი კოსმოსში ახალბედა იყო, გამოფრენის წინ შეცვალა გამოცდილი მუშაკი. იგი ღელავდა და კიდევ უფრო აღრმავებდა ინსტრუმენტის ფოკუსს. მინაში ბუნდოვნად გამომჭირვალე ადამიანთა რიგები ოდნავადაც კი არ ინძრეოდა. პურ ხისმა უფრო მეტად გაადიდა. გამოჩნდა ამაღლებული ადგილი, გარსმოვლებულ ხელსაწყოთა პულტებით, გრძელი მაგიდით, რომელზეც აუდიტორიის წინაშე ფეხმორთხმული იჯდა ადამიანი და უაზრო, შორეთს მიპყრობილი შემაძრწუნებელი თვალებით იცქირებოდა. - ისინი მკვდრები არიან, გაყინულები! - წამოიყვირა ერგ ნოორმა.

ვარსკვლავმფრენი კვლავ ტრიალებდა ზირდის თანამგზავრზე და თოთხმეტი წყვილი თვალი მოუწყვეტლივ მისჩერებოდა მინის საფლავს - ეს ნამდვილად საფლავი იყო. რამდენი წელია სხედან აქ ეს მკვდრები? სამოცდაათი წლის წინათ დადუმდა პლანეტა. თუ დავუმატებთ სხივების ფრენის ექვს წელიწადს - საუკუნის სამი მეოთხედია...

ყველამ უფროსს გადახედა. ერგ ნოორი ფერდაკარგული აკვირდებოდა პლანეტის ატმოსფეროს ჩალისფერ კვამლს. მასში ბუნდოვნად გამოკრთოდა მთათა ძლივს შესამჩნევი კონტურები, ზღვათა ანარეკლები, მაგრამ არაფერი არ იძლეოდა პასუხს იმაზე, რისთვისაც აქ მოვიდნენ.

- სადგურები დაიღუპა და არ აღუდგენიათ სამოცდათხუთმეტი წლის განმავლობაში! ეს ნიშნავს, რომ პლანეტაზე კატასტროფა მომხდარა. საჭიროა დაშვება, ატმოსფეროს გაკვეთა, შეიძლება დავსხდეთ. აქ შევიკრიბეთ ყველანი - მე მაინტერესებს საბჭოს აზრი...

წინააღმდეგობა მხოლოდ ასტრონომმა პურ ხისმა გასწია. ნიზამ ზიზღით შეავლო თვალი მის დიდ მტაცებლურ ცხვირს და დაბლა დაწეულ უშნო ყურებს.

- თუ პლანეტაზე კატასტროფაა, მაშინ ანამეზონის მიღების არავითარი შანსი არა გვაქვს. პლანეტას თუ დაბალ სიმაღლეზე შემოვუფრენთ და მით უმეტეს, მასზე თუ დავეშვებით, ეს შეგვიმცირებს პლანეტარული საწვავის[8] მარაგს. გარდა ამისა, გაურკვეველია რა მოხდა. შესაძლებელია არსებობდეს ძლიერი გამოსხივებანი, რომლებიც ჩვენც დაგვღუპავს. ექსპედიციის დანარჩენმა წევრებმა მხარი უფროსს დაუჭირეს.
- არავითარი პლანეტური გამოსხივებანი არ არის საშიში კოსმოსური საფარის მქონე ხომალდისათვის. განა იმის გამოსარკვევად არ ვართ აქ წამოსულნი, რომ გავიგოთ რა მოხდა? რას უპასუხებს დედამიწა დიდ რკალს? ფაქტის დადგენა - ძალიან ცოტაა, საჭიროა მისი ახსნა, მაპატიეთ მოწაფური მსჯელობანი! - ლაპარაკობდა ერგ ნოორი და მის ხმაში ჩვეულებრივი ლითონისებრი ბგერები დაცინვით ჟღერდა. - უფლებაც არა გვაქვს გადავუხვიოთ ჩვენს პირდაპირ მოვალეობას...

- ატმოსფეროს ზედა ფენების ტემპერატურა ნორმალურია! - სიხარულით წამოიძახა ნიზამ.

ერგ ნოორმა გაიღიმა და ფრთხილად დაიწყო დაბლა დაშვება, ერთი წრიდან მეორემდე ამცირებდა ვარსკვლავმფრენის სპირალურ სრბოლას, უახლოვდებოდა პლანეტის ზედაპირს. ზირდა დედამიწაზე ოდნავ მცირე იყო და დაბალ სიმაღლეზე მისი

შემოფრენა დიდ სისწრაფეს მოითხოვდა. ასტრონომები და გეოლოგი პლანეტის რუკებს „ტანტრის“ ოპტიკური ხელსაწყოების მეშვეობით დანახულ ზედაპირს ადარებდნენ. მატერიკებს ზუსტად შემოენახათ ადრინდელი მოხაზულობა, ზღვები მშვიდად ბრწყინავდნენ წითელი მზის შუქზე. არც ადრინდელი სურათებით ნაცნობ მთათა ქედებს შეუცვლიათ თავიანთი ფორმები - მხოლოდ პლანეტა დუმდა.

ოცდათხუთმეტი საათის განმავლობაში ადამიანებს არ დაუტოვებიათ თავიანთი სათვალთვალო პოსტები.

ატმოსფეროს შემადგენლობა, წითელი მნათობის გამოსხივება - ყველაფერი დაემთხვა ზირდას შესახებ ცნობილ ადრინდელ მონაცემებს. ერგ ნოორმა გაშალა

ზირდას ცნობარი და მოძებნა სვეტი, რომელშიც მითითებული იყო მონაცემები მისი სტრატოსფეროს შესახებ. იონიზაცია ჩვეულებრივზე მაღალი აღმოჩნდა. ნოორის გონებაში ბუნდოვანმა და სახიფათო დასკვნებმა იწყეს მომწიფება.

სპირალური დაშვების მეექვსე ხვეულზე გამოჩნდა დიდი ქალაქების სილუეტები. წინანდებურად ვარსკვლავმფრენის მიმღებებში არცერთ სიგნალს არ გაუხმაურია.

ნიზა კრიტი შეცვალეს. მან საჭმელი ჭამა და მგონი ჩათვლიმა კიდეც. შემდეგ მოეჩვენა, რომ სულ რამდენიმე წუთს ეძინა. ვარსკვლავმფრენი ზირდას ბნელ ნახევარზე დედამიწის ჩვეულებრივი სპირალმფრენის სიჩქარით მიფრინავდა. დაბლა მოფენილი უნდა იყოს ქალაქები, ქარხნები, ნავსადგურები. ტყუილად ეძებდნენ ძლიერი ოპტიკური სტერეოტელესკოპები - ერთ ნათურასაც არ გაუციმციმებია უკუნეთში. ვარსკვლავმფრენის მიერ გაკვეთილი ატმოსფეროს გამაყრუებელი ქუხილი ათეული კილომეტრების იქით უნდა გაეგონათ.

გავიდა საათი. ცეცხლს არსად უელვია. მომქანცველი ლოდინი აუტანელი ხდებოდა. ნოორმა გამაფრთხილებელი სირენები ჩართო. შემაძრწუნებელმა ღმუილმა გადაიარა ბნელ უსასრულობაზე. დედამიწიდან მოსულ ადამიანებს ეგონათ, რომ ჰაერის გრუხუნთან შეერთებული ეს ღმუილი მისწვდებოდა ამოუცნობთ დუმილით მოცულ ზირდას მცხოვრებთა სმენას.

ცეცხლოვანი შუქის ფრთამ გაჰკვეთა ავბედითი სიბნელე. „ტანტრა“ პლანეტის განათებულ ნაწილში გადავიდა. დაბლა კვლავ გაფენილი იყო შავი ხავერდისფერი

სივრცე. სასწრაფოდ გადაღებულმა და გადიდებულმა სურათებმა აჩვენეს, რომ ეს დედამიწაზე შავი ხავერდისებური ყაყაჩოების მსგავსი ყვავილების ხალიჩა იყო. შავი ყაყაჩოები ათასობით კილომეტრზე გადაბიბინებულიყო, ისინი ცვლიდნენ ყველაფერს, ტყეებს, ბუჩქნარებს, ლელიანებს, ბალახებს. ვეებერთელა ჩონჩხების ნეკნებივით მოჩანდა ქალაქების ქუჩები ამ შავ ხალიჩაზე, წითელი ჭრილობებივით დაჟანგულიყო რკინის კონსტრუქციები. არსად არცერთი სულდგმული, არც ერთი ხე, მხოლოდ და მხოლოდ შავი ყაყაჩოები ბიბინებდნენ.

„ტანტრამ“ ჩამოაგდო ყუმბარისებრი სათვალთვალო სადგური და კვლავ ღამეში შეიჭრა. ექვსი საათის შემდეგ სადგურ-რობოტმა მოახსენა ჰაერის შემადგენლობა, ტემპერატურა, წნევა და ნიადაგის ზედაპირის სხვა თვისებები. პლანეტისათვის ყველაფერი ნორმალური იყო, გაძლიერებული რადიოაქტივობის გარდა.

- საშინელი ტრაგედია! - ყრუდ წაიბურტყუნა ექსპედიციის ბიოლოგმა ეონ ტალმა, რომელიც სადგურის უკანასკნელ მონაცემებს იწერდა. - მათ თავი მოიკლეს და თავიანთი პლანეტაც მოჰკლეს.

- ნუთუ? - იკითხა ნიზამ, თან თვალებზე მომდგარ ცრემლებს მალავდა. - რა საშინელებაა? იონიზაცია ხომ სულაც არ არის ისეთი ძლიერი.

- უკვე საკმაო წლები გავიდა, - ქუშად უპასუხა ბიოლოგმა, მას კაუჭა ცხვირი და ახალგაზრდა, ვაჟკაცური ჩერქეზული სახე ჰქონდა. - ამგვარი რადიოაქტიური დაშლა სწორედ იმითაა საშიში, რომ შეუმჩნევლად გროვდება. ასწლეულობით გამოსხივების რაოდენობა ნელ-ნელა დაგროვდებოდა კორებად[9], რასაც ჩვენ გამოსხივებით ბიოდოზებს[10] ვეძახით, შემდეგ კი უცებ მოხდებოდა თვისებრივი ნახტომი! მემკვიდრეობა განადგურდებოდა, შთამომავლობის გაჩენა შეწყდებოდა, ამას დაუმატეთ სხივური ეპიდემია... ასეთი რამ პირველად როდი ხდება. რკალისათვის ცნობილია მსგავსი კატასტროფები.

- მაგალითად, ეგრეთ წოდებული „ სოსანი მზის პლანეტა“, - გაისმა ზურგსუკან ერგ ნოორის ხმა.

- სამწუხაროა, რომ მისი უცნაური მზე მოსახლეობას ძალიან მაღალ ენერგიას აწვდიდა, - შენიშნა პირქუშმა პურ ხისმა, - მაშინ როდესაც მისი ნათება სამოცდარვა ჩვენს მზეს, ხოლო სპექტრალური კლასი A ნულს უდრიდა...

- სად არის ეგ პლანეტა, - დაინტერესდა ბიოლოგი ეონ ტალი. საბჭო მის დასახლებას ხომ არ აპირებს?

- სწორედ ისაა. მის სამახსოვროდ ეწოდა სახელი უკვე დაღუპულ „ალგრაბს“.

- ვარსკვლავი ალგრაბი ანუ სხვაგვარად დელტა ყორანი! - წამოიძახა ბიოლოგმა, - კი მაგრამ, იქამდე ხომ ძალიან შორსაა!

- ორმოცდაექვსი პარსეკია. მაგრამ ჩვენ ისეთ ვარსკვლავმფრენებს ვაგებთ, რომლებიც სულ უფრო და უფრო შორს იფრენენ...

ბიოლოგმა თავი დაიქნია და წაიბურტყუნა, რომ სულაც არ იყო საჭირო ვარსკვლავმფრენისათვის დაღუპული პლანეტის სახელის დარქმევა.

- მაგრამ ვარსკვლავი არ დაღუპულა, პლანეტაც უვნებია. საუკუნეც კი არ გაივლის და

ჩვენ ზედ ხალხს დავასახლებთ, ხვნა-თესვას დავიწყებთ, - დარწმუნებით წარმოთქვა ერგ ნოორმა.

მან ძნელი მანევრის ჩატარება გადაწყვიტა - ვარსკვლავმფრენის ორბიტალური განივი გეზი ზირდას ბრუნვის ღერძის გასწვრივი მერიდიონალური გეზით

უნდა შეეცვალა. ან კი როგორ უნდა მოსცილებოდა პლანეტას იმის გაუგებლად, დაიღუპნენ თუ არა მასზე ყველანი? შეიძლება ცოცხლად დარჩენილებს არ შეუძლიათ საშველად მოუხმონ ვარსკვლავმფრენს ენერგოსადგურის დანგრევისა და ხელსაწყოების გაფუჭების გამო?

პირველად როდი ხედავდა ნიზა საპასუხისმგებლო მანევრის წუთებში მართვის პულტთან მდგომ ერგ ნოორს. იდუმალებით მოცული მტკიცე სახით, მკვეთრი, ყოველთვის ზუსტი მოძრაობებით იგი მას ლეგენდარულ გმირად ეჩვენებოდა.

და „ტანტრამ“ ისევ შემოიარა უნუგეშო გზა ზირდას გარშემო, ამჯერად პოლუსიდან პოლუსამდე. ჰაერი გაჟღენთილი იყო ყვითელი ნისლით, რომელშიც ჭრელაჭრულად გამოსჭვიოდა ქარისაგან აფრიალებული წითელი ქვიშის გიგანტური გრეხილები.

შემდეგ კი ისევ გაფენილი იყო შავი ყაყაჩოების სამგლოვიარო ხავერდის საბურველი. - ერთადერთი მცენარეებისა, რომლებმაც გაუძლეს რადიოაქტიობას, ან კიდევ მისი გავლენით სიცოცხლისუნარიანი მუტაცია წარმოშვეს.

დიდი რკალის რეკომენდაციით შემონახული ექნებოდათ სხვა სამყაროებიდან მოფრენილი სტუმრებისათვის (ზირდას ჯერ კიდევ არ ჰქონდა ვარსკვლავმფრენები, მას მხოლოდ პლანეტამფრენები გააჩნდა) , მარტო უიმედო კი არა, საშიშიც იყო. „ტანტრამ“ ნელ-ნელა დაიწყო პლანეტიდან სპირალისებრი უკუსვლა. წამში ჩვიდმეტი კილომეტრი სიჩქარე განავითარა იონო-ტრიგერული ანუ პლანეტარული ძრავებით[11], რომლებიც გამოიყენება საპლანეტაშორისო ფრენისათვის, აფრენისა და დაჯდომისათვის. ვარსკვლავმფრენი გასცილდა მკვდარ პლანეტას. „ტანტრამ“ კურსი აიღო დაუსახლებელი, მხოლოდ პირობითი შიფრით ცნობილი პლანეტისაკენ, სადაც ყუმბარისებრი შუქურები იყო ჩამოყრილი და სადაც მას „ალგრაბი“ უნდა დალოდებოდა. ჩართეს ანამეზონის ძრავები. მათმა ძალამ ორმოცდათორმეტი საათის განმავლობაში ვარსკვლავმფრენი თავის ნორმალურ სიჩქარეში - საათში ცხრაასი მილიონი კილომეტრი - ჩააყენა. შეხვედრის ადგილამდე თხუთმეტი თვის, ანუ

ხომალდის დამოკიდებული დროის მიხედვით - თერთმეტი თვის გზა დარჩა. მთელ ეკიპაჟს, მორიგეთა გარდა, შეეძლო დაეძინა. მაგრამ ერთი თვე კიდევ გრძელდებოდა განხილვა, გაანგარიშება, საბჭოსათვის წარსადგენი მოხსენების მომზადება. ზირდას შესახებ არსებული ცნობარებიდან ამოკრიფეს ყველაფერი, რაც ნაწილაკებად მრღვევ ატომურ საწვავზე ჩატარებულ ცდებს შეეხებოდა. იპოვეს დაღუპული პლანეტის ცნობილ მეცნიერთა გამონათქვამები, რომლებიც აღნიშნავდნენ სიცოცხლისათვის მავნე ნიშნების გამოჩენას და მოითხოვდნენ ცდების შეწყვეტას. ას თვრამეტი წლის წინათ დიდი რკალის მეშვეობით

გაგზავნილ იქნა მოკლე გაფრთხილება, რაც საკმარისი უნდა ყოფილიყო მაღალგონიერი ადამიანებისათვის, მაგრამ ჩანს, მას ზირდას ხელისუფალნი მთელი სერიოზულობით არ მიუდგნენ.

ეჭვი არ იყო, რომ ზირდა მავნე რადიაციის დაგროვებისაგან დაიღუპა, დაგროვება კი მოხდა, რადგან გაუფრთხილებლად აწარმოებდნენ მრავალრიცხოვან ცდებს და მოურიდებლად იყენებდნენ ატომგულის ენერგიის საშიშ სახეობებს, იმის ნაცვლად, რომ გონივრულად გამოენახათ სხვა, ნაკლებ მავნე ნივთიერება.

ამოცანა დიდი ხანია ამოიხსნა, ვარსკვლავმფრენის ეკიპაჟმა ორჯერ შეცვალა სამთვიანი ძილი ასევე ხანგრძლივი ნორმალური ცხოვრებით.

ახლა კი უკვე მრავალი დღე-ღამეა „ტანტრა“ წრეებს უვლის რუხი პლანეტის გარშემო და ყოველ საათში მცირდება „ალგრაბთან“ შეხვედრის იმედი. ახლოვდება რაღაც მრისხანე...

ერგ ნოორი ზღურბლზე შეჩერდა და ჩაფიქრებულ ნიზას მიაჩერდა. მისი ხშირი გრუზათმიანი დახრილი თავი ოქროს ბამბურა ყვავილს ჰგავდა... თამამი ბიჭური პროფილი ჰქონდა. ელამი თვალები, რომლებიც ხშირად ეჭუტებოდა შეკავებული სიცილისაგან, ახლა ფართოდ გაეხილა დაგამოუცნობი შიშითა და სიმამაცით უკრთოდა. ქალიშვილი ვერც კი გრძნობს, რა შინაგან დახმარებას უწევს იგი მამაკაცს თავისი თავდადებული სიყვარულით. მიუხედავად იმისა, რომ გამოცდის ხანგრძლივმა წლებმა გამოაწრთო ერგ ნოორის ნებისყოფა და გრძნობები, მაინც ღლიდა უფროსობა, სულ იმის მოლოდინში ყოფნა, საცაა პასუხისმგებლობას მაკისრებინებენ ადამიანების, ხომალდის ექსპედიციის წარმატებით დამთავრებისათვისო. იქ,

დედამიწაზე, უკვე დიდი ხანია აღარ არსებობს ასეთი ერთპიროვნული პასუხისმგებლობა - გადაწყვეტილებას ყოველთვის ადამიანთა ის ჯგუფი იღებს, რომელმაც უნდა შეასრულოს სამუშაო. თუ კი რაიმე განსაკუთრებული ხდება, მყისვე შეიძლება ყოველგვარი რჩევის, ყველაზე რთული კონსულტაციის მიღება. აქ მრჩეველი არავინ არის და ვარსკვლავმფრენის მეთაურებიც განსაკუთრებული უფლებებით სარგებლობენ. უფრო იოლი იქნებოდა ასეთი პასუხისმგებლობა ორი-სამი წელი გრძელდებოდეს და არა ათი-თხუთმეტი წელი, რაც ვარსკვლავეთის ექსპედიციის საშუალო ხანგრძლივობაა. მან გადმოალაჯა ცენტრალურ პოსტზე. ნიზა წამოხტა ერგ ნოორის შესახვედრად.

- მე შევარჩიე ყველა საჭირო მასალები და რუკები, - თქვა ერგმა, - მივცეთ სამუშაო მანქანას!

ექსპედიციის უფროსი გადაწვა სავარძელში და ნელ-ნელა აბრუნებდა ლითონის ფურცლებს, ასახელებდა კოორდინატების ციფრებს, მაგნიტური, ელექტრო და გრავიტაციული ველების[12] ძაბვებს, კოსმოსური ნაწილაკების ნაკადთა სიმძლავრეს, მეტეორული ჭავლების სიჩქარესა და სიმჭიდროვეს. დაძაბულობისაგან მოკუნტული ნიზა ხელს აჭერდა ჭიკარტებს და ატრიალებდა საანგარიშო მანქანების გამომრთველებს. ერგ ნოორმა მიიღო პასუხების სერია, შეიჭმუხნა და დაფიქრდა.

ჩვენს გზაზე მიზიდულობის მძლავრი ველია - ღრიანკალში 6555-ცრ+ 11-პკუ ვარსკვლავის მახლობლად არის მუქი ნივთიერების დაგროვების ზონა, - ალაპარაკდა ნოორი,- საწვავის ხარჯვას თავი რომ ავარიდოთ, საჭიროა გველისაკენ გადავიხაროთ. ძველად, დამაჩქარებლად გრავიტაციულ ველებს იყენებდნენ და ძრავას გარეშე ფრენდნენ მათ მხარეებში...

- ჩვენ თუ შეგვიძლია ამ ხერხის გამოყენება? - შეეკითხა ნიზა.

- არა, ამისათვის ჩვენი ვარსკვლავმფრენი ძალიან ჩქარია.

ხუთი მეექვსედი აბსოლუტური ერთეულის სიჩქარე, ანუ ორას ორმოცდაათი ათასი

კილომეტრი წამში, დედამიწის მიზიდულობის არეში ჩვენს წონას თორმეტი ათასჯერ გაადიდებდა, რაც უსათუოდ მთელ ექსპედიციას გააცამტვერებდა. ამგვარი ფრენა მხოლოდ კოსმოსის სივრცეში შეგვიძლია, მატერიის დიდი შეჯგუფებებისაგან დაცილებულებს. როგორც კი ვარსკვლავმფრენი გრავიტაციულ ველში შესვლას დაიწყებს, საჭირო ხდება სიჩქარის მით უფრო ძლიერ დამუხრუჭება, რაც უფრო ძლიერია ეს ველი.

- მაშასადამე, აქ წინააღმდეგობაა, - ნიზამ ბავშვურად დააყრდნო თავი ხელებს, - რაც უფრო ძლიერია მიზიდულობის ველი, მით უფრო ნელა უნდა ვიფრინოთ!

- ეს სწორია მხოლოდ უზარმაზარი სუბსინათლური სიჩქარეებისათვის[13], როცა ვარსკვლავმფრენი თვით ემსგავსება სინათლის სხივს და მოძრაობა მხოლოდ სწორხაზობრივად ან ეგრეთწოდებული თანაბარი დაძაბულობის მრუდზე შეუძლია.

- თუ მე სწორად გავიგე, თქვენ გინდათ ჩვენი „სხივი“ - „ტანტრა“ პირდაპირ მზის სისტემას დაუმიზნოთ.

- სწორედ ამაშია ვარსკვლავთნაოსნობის დიდი სიძნელე. „ზუსტი დამიზნება“ ამა თუ იმ ვარსკვლავზე პრაქტიკულად შეუძლებელია, თუმცა ჩვენ გაანგარიშების ყოველგვარ დასაშვებ შესწორებას ვიყენებთ. საჭირო ხდება მგზავრობის მთელ მანძილზე გამოვიანგარიშოთ წვეთ-წვეთად დაგროვილი

შეცდომები, ვცვალოთ ხომალდის კურსი, ამიტომაც შეუძლებელია მართვის მთლიანი ავტომატიზება. ახლა კი საშიშ მდგომარეობაში ვართ. გაქანების შემდეგ შეჩერება ან თუნდაც ფრენის სიჩქარის ძლიერ შემცირება ჩვენთვის სიკვდილის თანაბარია, რადგანაც შემდგომ სიჩქარეს ვერაფრით ავიღებთ. აი საშიშროება, შეხედეთ: 344+2 უ ზონა მთლიანად გამოუკვლეველია. აქ არ არის ვარსკვლავები. ცნობილია მხოლოდ გრავიტაციული ველი - აი, მისი კიდე. საბოლოო გადაწყვეტილებისათვის ასტრონომებს დავუცადოთ - მეხუთე წრის შემდეგ ყველას გავაღვიძებთ, ახლა კი... ექსპედიციის უფროსმა საფეთქლები მოისრისა და დაამთქნარა.

- სპორამინის მოქმედება მთავრდება, - წამოიძახა ნიზამ, - შეგიძლიათ დაისვენოთ.

- კარგი, აქ, ამ სავარძელში მოვთავსდები. იქნებ სასწაული მოხდეს - ერთი ხმა მაინც გავიგონოთ!

ერგ ნოორსის ხმაში ისეთი რაღაც გაისმა, რომ ნიზას გულმა სინაზისაგან ფეთქვას უმატა. მოესურვა გულში ჩაეკრა ეს ჯიუტი თავი, მიალერსებოდა ნაადრევად გაჭაღარავებულ შავ თმას...

ნიზა ადგა, გულმოდგინედ დააწყო საცნობარო ფურცლები და ჩააქრო შუქი, დატოვა მხოლოდ სუსტი მწვანე სინათლე ხელსაწყოებიანი და საათებიანი პანელების გასწვრივ. ვარსკვლავმფრენი სავსებით მშვიდად მიდიოდა სივრცის სრულ სიცარიელეში, და თანაც თავის ვეებერთელა რკალებს ხაზავდა. ჟღალთმიანმა ასტრონავიგატორმა ჩუმად დაიკავა ადგილი ვეებერთელა ხომალდის „ტვინთან“. ჩვეული ჩუმი ხმით მღეროდნენ განსაზღვრულ მელოდიაზე აწყობილი ხელსაწყოები - ოდნავ უწესრიგობაც კი ყალბ ნოტებს გამოიწვევდა. მაგრამ წყნარი მელოდია საჭირო ტონალობით იღვრებოდა. ხანგამოშვებით შორდებოდა დარტყმის დაბალი, გონგის მსგავსი ხმები - ეს დამხმარე პლანეტარული ძრავა ჩაითვლებოდა ხოლმე, იგი „ტანტრის“ კურსს მრუდზე წარმართავდა. მრისხანე ანამეზონური ძრავები დუმდნენ. ხანგრძლივი ღამის მყუდროება მეფობდა ძილმორეულ ვარსკვლავმფრენში, თითქო ხომალდსა და მასზე მყოფ ადამიანებს სერიოზული საშიშროება არც კი ემუქრებოდათ. ცოტაც და მიმღების

რუპორში გაიხმაურებს დიდი ხნის ნანატრი მოწოდების ხმა და ორი ხომალდი შეუდგება არაჩვეულებრივად სწრაფი ფრენის დამუხრუჭებას, პარალელურ კურსებზე დაუახლოვდებიან ერთმანეთს, ბოლოს, ზუსტად მოაწესრიგებენ თავიანთ სიჩქარეებს და თითქოს გაწვებიან ერთურთის გვერდით. ფართო მილისებრი ტალანი შეაერთებს ორივე ხომალდის პაწაწკინტელა სამყაროებს და „ტანტრა“ ხელახლა მოიკრებს ბუმბერაზულ ძალას.

სულის სიღრმეში ნიზა დამშვიდებული იყო: მას სჯეროდა თავისი უფროსის. მოგზაურობის ხუთი წელიწადი არც გრძელი ყოფილა, არც მომქანცველი. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ნიზას სიყვარული დაეუფლა... მაგრამ ადრეც მიმზიდველი, საინტერესო დაკვირვებანი, წიგნების, მუსიკისა და ფილმების ელექტრონული ჩანაწერები საშუალებას იძლეოდნენ ადამიანს გაემდიდრებინა ცოდნა და მწვავედ არ ეგრძნო დატოვება თავისი მშვენიერი დედამიწისა, რომელიც უსასრულო წყვდიადის სიღრმეში კენჭივით დაიკარგა. თანამგზავრები დიდად მცოდნე ადამიანები იყვნენ, ხოლო როცა ნერვები შთაბეჭდილებებისაგან ან ხანგრძლივი დამქანცველი შრომისაგან ეღლებოდათ... მაშინ ჰიპნოზური რხევებით

აწყობილ გახანგრძლივებულ ძილში დროთა ვრცელი მონაკვეთები იკარგებოდნენ არარაობაში, მიჰქროდნენ თვალის უსწრაფესად. საყვარელი ადამიანის გვერდზე ნიზა ბედნიერი იყო. მას მხოლოდ იმის შეგნება აშფოთებდა, რომ სხვებს უჭირდათ, განსაკუთრებით ერგ ნოორს. მას რომ შეეძლოს!... არა. რა შეუძლია ახალგაზრდა, ჯერ კიდევ სავსებით უმეცარ ასტრონავიგატორს ასეთი ადამიანების გვერდით! მაგრამ შეიძლება მას ეხმარება სინაზე, მუდმივი დაძაბულობა, მხურვალე სურვილი - დათმოს ყველაფერი, ოღონდ ეს მძიმე შრომა შეამსუბუქოს.

ექსპედიციის უფროსმა გაიღვიძა და დამძიმებული თავი წამოსწია. თანაბარი მელოდია ძველებურად ჟღერდა, ძველებურად წყდებოდა პლანეტარული ძრავების ხანგამოშვებითი დარტყმებისაგან. ახალგაზრდა სახეზე დაღლილობის ჩრდილდამჩნეული მოხრილი ნიზა კრიტი ხელსაწყოებთან იდგა. ერგ ნოორმა გადახედა ვარსკვლავმფრენის დროის დამოკიდებულ საათს და ერთი მოქნილი აკვრით წამოიმართა ღრმა სავარძლიდან.

მე თოთხმეტი საათი ვიძინე! და თქვენც, ნიზა, არ გამაღვიძეთ! ეს...- იგი შეცბუნდა, როცა ნიზას ბედნიერ ღიმილს შეეჩეხა,- ახლავე დასასვენებლად წადი!

- შეიძლება მეც აქ დავიძინო თქვენსავით? -შეეკითხა ქალიშვილი, გაიქცა საჭმელისათვის, პირი დაიბანა და სავარძელში მოთავსდა.

მისი მბრწყინავი, მუქი წრემოვლებული თაფლისფერი თვალები ფარულად უჭვრეტდნენ ერგ ნოორს, როცა მან ჰაერის შხეფით გამოცოცხლებულმა, თავისი ადგილი დაიკავა ხელსაწყოებთან. ეკდ - ელექტრონული კავშირების დაცვის - ინდიკატორების მონაცემების შემოწმების შემდეგ ერგმა აჩქარებული ნაბიჯებით იწყო ბოლთის ცემა.

- რატომ არ გძინავთ? - ბრძანების კილოთი ჰკითხა მან ასტრონავიგატორს.

ქალიშვილმა შეარხია ჟღალი კულულები, რომელთაც უკვე შეჭრა სჭირდებოდა - დედამიწის გარეთა ექსპედიციებში ქალები გრძელ თმებს არ ატარებდნენ.

- მე ვფიქრობ... - გაუბედავად დაიწყო მან, - და ახლა, საშიშროების ზღვარზე, ქედს ვიხრი ადამიანის დიდებულებისა და ძლიერების წინაშე, რომელიც სივრცის შორეულ სიღრმეებში შეიჭრა. თქვენთვის აქ ბევრი რამ ჩვეულებრივია, მე კი პირველად ვარ

კოსმოსში. აბა წარმოიდგინეთ - მე მივემართები გრანდიოზულ გზაზე ვარსკვლავებზე გავლით ახალი სამყაროსაკენ. ერგ ნოორმა ოდნავ გაიღიმა და შუბლი მოისრისა.

- იმედი უნდა გაგიცრუოთ - უფრო სწორად, გაჩვენოთ ჩვენი ძლევამოსილების ჭეშმარიტი მასშტაბი. აი, - იგი შეჩერდა პროექტორის წინ და ჯიხურის უკანა კედელზე გამოჩნდა გალაქტიკის მანათობელი სპირალი.

ერგ ნოორმა მიუთითა გარშემორტყმულ სიბნელეში ძლივს შესამჩნევად გაშლილი სპირალის განაპირა ტოტზე, რომელიც ერთეული ვარსკვლავებისაგან შედგებოდა და ბუნდოვან მტვერს ჰგავდა.

- აი, გალაქტიკის უდაბნოსებური ზონა, მისი სინათლითა და სიცოცხლის ღარიბი გარეუბანი, სადაც იმყოფება ჩვენი მზის სისტემა და სადაც ვართ ჩვენც ახლა. მაგრამ ეს ტოტიც, შეხე, გედიდან ხომალდის ქიმამდე იშლება და, ცენტრალური ზონიდან დაცილების გარდა, დამაბნელებელ ღრუბლებს შეიცავს, აქ... ამ ტოტში რომ გაიაროს,

ჩვენს „ტანტრას“ დაახლოებით ორმოცი ათასი დამოუკიდებელი წელიწადი დასჭირდება. ცარიელი სივრცის შავი კორდი, რომელიც ჩვენს ტოტს მეზობელი

-

ტოტიდან აცილებს, შეგვეძლო ოთხი ათას წელიწადში გადაგვეკვეთა. ხომ ხედავთ, ჩვენი გაფრენები სივრცეთა უსაზღვრო სიღრმეებში -ეს ჯერჯერობით მხოლოდ ასორმოცდაათი სინათლის წელიწადის დიამეტრის მქონე ერთი ციცქნა ლაქას ტკეპნას ჰგავს! რა ცოტა გვეცოდინებოდა ჩვენ სამყაროს შესახებ, რკალის ძლევამოსილება რომ არ არსებობდეს! ადამიანის მოკლე სიცოცხლისათვის დაუძლეველი სივრცეებიდან გამოგზავნილი ცნობები, სახეები, აზრები ადრე თუ გვიან აღწევენ ჩვენამდე და ჩვენ შევიგრძნობთ სულ უფრო დაშორებულ სამყაროებს! სულ უფრო მეტად გროვდება ცოდნა და ეს მუშაობა უწყვეტლივ წარმოებს. ნიზა ჩაჩუმდა.

- პირველი ვარსკვლავთშორისი გაფრენები... - ჩაფიქრებით განაგრძო ერგ ნოორმა. - მომცრო ხომალდები, რომელთაც არც სიჩქარე ჰქონდათ, არც მძლავრი დამცველი მოწყობილობანი. ამასთან ჩვენი წინაპრები ჩვენზე ორჯერ ნაკლებ ხანს ცოცხლობდნენ - აი როდის ჩანდა ადამიანის ჭეშმარიტი სიდიადე!

ნიზამ თავი გააქნია, როგორც იცოდა ყოველთვის, როცა უთანხმოებას გამოხატავდა.

- შემდეგში, როცა მოძებნიან სივრცის დამორჩილების სხვა საშუალებებს და პირდაპირ აღარ შეიჭრებიან მასში, თქვენს შესახებ იტყვიან - აი გმირი, რომელმაც კოსმოსი ასეთი პირველყოფილი საშუალებებით დაიპყრო! ექსპედიციის უფროსმა მხიარულად გაიღიმა და ქალიშვილს ხელი გაუწოდა.

- თქვენს შესახებაც, ნიზა! ქალიშვილი აენთო.

- მე ვამაყობ, რომ აქ თქვენთან ერთად ვარ! და მზად ვარ ყველაფერი დავთმო, რომ კვლავ და კვლავ მოვხვდე კოსმოსში.

- ჰო, ვიცი, - თქვა ერგ ნოორმა. - მაგრამ ყველა ასე როდი ფიქრობს.

ქალიშვილმა ქალური ალღოთი იგრძნო მეთაურის აზრები. მის კაიუტაში ორი ყვითელ-სოსანი ფერის შესანიშნავი სტერეოპორტრეტი დევს. ორივეზე გამოხატულია მზეთუნახავი ვედა კონგი, ძველი მსოფლიოს ისტორიკოსი, დედამიწის ცასავით ლურჯი თვალებით, რომლებიც გამჭვალავად იხედებიან ფრთებივით აქნეული გრძელი წარბების ქვემოდან, მზემოკიდებულსა და თვალისმომჭრელად მომღიმარეს ხელები ფერფლისფერ თმებთან მიუტანია. მეორე სურათში უხსოვარი წარსულის ძეგლთან - ხომალდის ბრინჯაოს ზარბაზანთან დგას და კისკისებს.

ერგ ნოორი მძიმედ ჩაჯდა ასტრონავიგატორის პირისპირ.

- თქვენ რომ იცოდეთ, ნიზა, რა უხეშად დაამსხვრია ბედმა ჩემი ოცნებები იქ, ზირდაზე, - უცებ ყრუდ თქვა მან და ფრთხილად დაადო თითები ანამეზონური ძრავების გამშვებ სახელურს, თითქო აპირებდა ზღვრულად დაეჩქარებინა ვარსკვლავმფრენის თავგანწირული სრბოლა.

ზირდა რომ არ დაღუპულიყო და ჩვენ საწვავი მიგვეღო, - განაგრძო მან თანამოსაუბრის მუნჯური შეკითხვის პასუხად, - ექსპედიციას უფრო შორს წავიყვანდი. ასე ვიყავი საბჭოსთან შეთანხმებული. ზირდა დედამიწაზე აცნობებდა, რაც ესაჭიროებოდა, ხოლო „ტანტრა“ განაგრძობდა გზას მათთან ერთად, რომლებიც ისურვებდნენ... დანარჩენებს წაიყვანდა „ალგრაბი“, რომელსაც აქ მორიგეობის შემდეგ ზირდაზე გამოვიძახებდით.

- მაგრამ ვინ დარჩებოდა ზირდაზე?- აღშფოთებით წამოიძახა ქალიშვილმა, - ნუთუ პურ ხისი? იგი დიდი მეცნიერია, განა მასზე ცოდნა ზეგავლენას არ მოახდენდა?

- თქვენ, ნიზა, წამოხვიდოდით?

- მე? ცხადია!

- მაგრამ...სად? - უცებ მტკიცედ ჰკითხა ერგ ნოორმა, თანაც დაჟინებით შესცქეროდა ქალიშვილს.

- სადაც გნებავთ, თუნდ... - მან მიუთითა გალაქტიკის ვარსკვლავეთის სპირალის ორ ტოტს შორის მოთავსებულ უძირო სიშავეზე, ნოორს ისეთივე დაჟინებით მზერა დაუბრუნა და ტუჩები ოდნავ გააღო.

- ო, ასე შორს არა! თქვენ იცით, ნიზა, ლამაზო ასტრონავიგატორო, რომ დაახლოებით ოთხმოცდახუთი წლის წინათ მოეწყო ვარსკვლავეთის ოცდამეთოთხმეტე ექსპედიცია, რომელსაც „საფეხურებიანი“ ეწოდა. სამი ვარსკვლავმფრენი ერთმანეთს ამარაგებდნენ საწვავით, სულ უფრო მეტად სცილდებოდნენ მიწას და მიემართებოდნენ ქნარის თანავარსკვლავედისაკენ. იმ ორმა, რომელთაც მკვლევართა ეკიპაჟი არ მიჰყავდათ, ანამეზონი გადასცეს და უკან დაბრუნდნენ. დასასრულ მესამე, „აფრა“...

- რომელიც არ დაბრუნდა!... - აღელვებით წაიჩურჩულა ნიზამ.

- ჰო, „აფრა“ არ დაბრუნდა. მაგრამ იგი მივიდა მიზნამდე და დაიღუპა უკან დაბრუნებისა, მოასწრო ცნობის გამოგზავნა. მიზანი იყო მიღწევა დიდი პლანეტარული სისტემა ცისფერი ვეგა ვარსკვლავისა ანუ ალფა ქნარისა. რამდენი ადამიანის თვალი ურიცხვი თაობების მანძილზე ესიყვარულებოდა ჩრდილოეთის ცის ამ ძალიან ლურჯ ვარსკვლავს. ვეგამდე რვა პარსეკის ანუ ოცდათერთმეტი დამოუკიდებელი წელიწადის გზა არის და ადამიანები ასეთი

- მანძილით ჩვენს მზეს ჯერ კიდევ არ დასცილებიან. რაც არ უნდა იყოს , „აფრამ“ მიზანს მიაღწია... მისი დაღუპვის მიზეზი უცნობია - ალბათ მეტეორიტი იყო ან მექანიზმის რაიმე მნიშვნელოვანი მოუწესრიგებლობა. შეიძლება იგი ჯერ კიდევ მიჰქრის სივრცეში და გმირები, რომლებსაც ჩვენ მკვდრებად ვთვლით, ცოცხლები არიან...

- რა საშინელებაა!

-

ასეთია ბედი თითოეული ვარსკვლავმფრენისა, რომელსაც სუბსინათლური სიჩქარით ფრენა არ ძალუძს. მასა და მშობელ პლანეტას შორის უცებ ჩადგება ათასწლიანი გზა.

- რა აცნობა „აფრამ“? - სწრაფად იკითხა ქალიშვილმა.

- ძალიან მცირე რამ. ცნობა ნაწყვეტ-ნაწყვეტი იყო, შემდეგ კი სულ შეწყდა. მე იგი სიტყვა-სიტყვით მახსოვს: „მე აფრა ვარ, მე აფრა ვარ, ოცდაექვსი წელიწადია მოვდივარ ვეგადან... საკმარისია.. დავიცდი... ვეგას ოთხი პლანეტა... არაფერია უფრო ლამაზი... რა ბედნიერებაა!..“

- მაგრამ ისინი შველას ითხოვდნენ, სადღაც დაცდას აპირებდნენ!

- ცხადია, შველა უნდოდათ, სხვა შემთხვევაში ვარსკვლავმფრენი არ დახარჯავდა დიდძალ ენერგიას ცნობის გამოსაგზავნად. რას იზამ, „აფრისაგან“ მეტი არცერთი სიტყვა არ მოსულა.

- საეჭვოა... ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადააჭარბა ნორმალურ სიჩქარეს და დაახლოებით კვანტური ზღვრის[14] ტოლი სიჩქარით მიდიოდა. მაგრამ ეს ძალიან საშიშია.

ერგ ნოორმა მოკლედ განმარტა მატერიის სინათლის სიჩქარესთან მიახლოების დროს დამანგრეველი ნახტომების ძალების გაანგარიშების საფუძვლები, მაგრამ შენიშნა, რომ ქალიშვილი უყურადღებოდ უსმენდა.

- გავიგეთ! - წამოიძახა მან, როგორც კი ექსპედიციის უფროსმა დაასრულა თავისი განმარტება. - მე ერთბაშად გავიგებდით, მაგრამ ვარსკვლავმფრენის დაღუპვამ აზროვნება დამიბრუნა... ეს ყოველთვის ისეთი საშინელებაა და ამასთან შეგუება არ შეიძლება!

- ახლა თქვენთვის გასაგებია ცნობის მთავარი შინაარსი, - ჯმუხად წარმოთქვა ერგ ნოორმა. - მათ რომელიღაც განსაკუთრებით ლამაზი სამყაროები აღმოაჩინეს. და მეც დიდი ხანია ვოცნებობ გავიმეორო „აფრის“ გზა. ახალი სრულყოფილი მოწყობილობებით ეს ერთი ხომალდითაც შესაძლებელია. ჭაბუკობიდანვე მაცოცხლებს ოცნება ვეგაზე - ლურჯ მზეზე, რომელსაც ულამაზესი პლანეტები აქვს.

- ასეთი ქვეყნების ხილვა... - ნაწყვეტ-ნაწყვეტად წარმოთქვა ნიზამ - მაგრამ დასაბრუნებლად საჭიროა დედამიწის სამოცი, ანუ ორმოცი დამოუკიდებელი წელიწადი... ეს ხომ... ნახევარი სიცოცხლეა.

- დიახ, დიდი მიღწევები დიდ მსხვერპლს მოითხოვს, მაგრამ ეს ჩემთვის მსხვერპლი არც არის. ჩემი ცხოვრება დედამიწაზე - ეს იყო მხოლოდ მოკლე

- შესვენებანი ვარსკვლავეთში მგზავრობის დროს. მე ხომ ვარსკვლავმფრენზე დავიბადე.

- ეს როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო? - შეცბა ქალიშვილი.

ვარსკვლავეთის ოცდამეთხუთმეტე ექსპედიცია ოთხი ხომალდისაგან შედგებოდა.

ერთ-ერთ მათგანზე დედაჩემი იყო ასტრონომად. მე დავიბადე ორმაგი ვარსკვლავის მნ 19026 + 7ალ ნახევარგზაზე და ამრიგად ორჯერ დავარღვიე კანონი. ორჯერ იმიტომ, რომ ვიზრდებოდი და ვსწავლობდი მშობლებთან ვარსკვლავმფრენში და არა სკოლაში. რა უნდა მექნა! როცა ექსპედიცია დაბრუნდა დედამიწაზე, უკვე 18 წლისა ვიყავი. ჰერკულესის გმირობად ჩამითვალეს, რომ ვარსკვლავმფრენის ტარება შევისწავლე და ასტრონავიგატორი გავხდი.

- მაგრამ მე მაინც ვერ გამიგია... - დაიწყო ნიზამ.

- დედაჩემისა? გაიზრდებით - გაიგებთ! მაშინ შრატი ატ-ან-ტი-ტ-ია დიდხანს არ ინახებოდა. ექიმებმა ეს არ იცოდნენ... როგორც იყო, მე მომიყვანეს ასეთივე მართვის პოსტთან და ნახევრად უაზრო თვალებს ვაჭყეტდი ეკრანებზე, ვუცქერდი მათში მოქანავე ვარსკვლავებს. ჩვენ მივფრინავდით მგლის თანავარსკვლავედის მიმართულებით, სადაც მზესთან მახლობლად მყოფი ორმაგი ვარსკვლავი აღმოჩნდა. ორი ჯუჯა-ლურჯი და ნარინჯისფერი, ბნელი ღრუბლებით დაფარულნი. ჩემი პირველი შეგნებული შთაბეჭდილება იყო უსიცოცხლო პლანეტის ზეცა, რომელსაც

ვათვალიერებდი დროებითი სადგურის მინის გუმბათიდან. ორმაგი ვარსკვლავების პლანეტებზე მათი ორბიტების არასიზუსტის გამო სიცოცხლე ჩვეულებრივ არ არსებობს, ექსპედიცია გადმოსხდა და შვიდი თვის განმავლობაში ეწეოდა სამთო გამოკვლევებს. იქ, როგორც მახსოვს, აღმოჩნდა პლატინის, ოსმიუმისა და ირიდიუმის საოცარი სიმდიდრე. ირიდიუმის არაჩვეულებრივად მძიმე კუბიკებს სათამაშოებად ვხმარობდი. ის ზეცა, ჩემი პირველი ზეცა, - შავი, ნაპერწკლებისმაგვარი ვარსკვლავებით მოჭედილი, წარმოუდგენელი სილამაზის ორი მზით - ნათელი-ნარინჯისფერი და მუქილურჯი მზეებით. მახსოვს, ზოგჯერ მათი სხივები გადაჯვარედინდებოდა და მაშინ ჩვენს პლანეტაზე ისეთი ძლიერი და მხიარული მწვანე შუქი იფრქვეოდა, რომ აღტაცებისაგან ვყვიროდი და ვმღეროდი!...- ერგ ნოორმა დაამთავრა: - კმარა, ძალიან გამიტაცა მოგონებებმა, დიდი ხანია თქვენი დასვენების დროა.

-
- განაგრძეთ, არასოდეს უფრო საინტერესო არაფერი მომისმენია, - შეევედრა ნიზა, მაგრამ უფროსი ურყევი აღმოჩნდა.

მან მოიტანა მპულსავი ჰიპნოტიზატორი და მბრძანებლური თვალების თუ ძილისმომგვრელი ხელსაწყოს ზეგავლენით ქალიშვილმა ისე მაგრად დაიძინა, რომ მხოლოდ მეექვსე წრეზე მობრუნების წინადღით გამოიღვიძა. უფროსის ცივი სახის დანახვაზე მიხვდა ნიზა, რომ „ალგრაბი“ არ გამოჩენილა.

თქვენ დროზე გამოიღვიძეთ! - - უთხრა მან, როგორც კი ნიზამთავი მოიწესრიგა და ელექტრული და ტალღოვანი ბანაობის შემდეგ მობრუნდა. - ჩართეთ მუსიკა და გამაღვიძებელი შუქი. ყველას!

ნიზამ სასწრაფოდ დააჭირა თითი მთელ რიგ ჭიკარტებს... ვარსკვლავმფრენის ყველა კაიუტაში, სადაც კი ექსპედიციის წევრებს ეძინათ, იფეთქა ერთმანეთში გარდამავალმა შუქმა და გაისმა განსაკუთრებული, დაბალი მთრთოლავი აკორდები, რომლებიც თანდათან მძლავრ მუსიკაში გადაიზარდა. დაიწყო დამუხრუჭებული ნერვული სისტემის თანდათანობით ფრთხილი გამოღვიძება და ნორმალური მოქმედებისაკენ დაბრუნდა. ხუთი საათის გასვლის შემდეგ ვარსკვლავმფრენის მართვის ცენტრალურ პოსტზე თავი მოიყარეს უკვე საბოლოოდ გამოფხიზლებულმა, საჭმლითა და ნერვების სტიმულატორებით შემაგრებულმა ექსპედიციის წევრებმა.

დამხმარე ვარსკვლავმფრენის დაღუპვის ცნობა ყველამ სხვადასხვანაირად მიიღო. როგორც ერგ ნოორი ელოდა, ექსპედიცია მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. არც ერთი სასოწარკვეთილი სიტყვა, არც ერთი შეშინებული გამოხედვა. პურ ხისი, რომელსაც მაინცდამაინც მამაცობა არ გამოუჩენია ზირდაზე, არც კი შემკრთალა, ისე შეხვდა ცნობას. ექსპედიციის ახალგაზრდა ექიმი ლუმა ლასვი მხოლოდ ოდნავ გაფითრდა და ფარულად დაისველა დამშრალი ტუჩები.

- მოვიგონოთ დაღუპული ამხანაგები! - წარმოთქვა უფროსმა და ჩართო პროექტორის ეკრანი, რომელზეც გამოჩნდა „ალგრაბი“. გადაღებული „ტანტრის“ გამოფრენის წინ.

ყველანი წამოდგნენ. ეკრანზე ნელ-ნელა იცვლებოდა ხან სერიოზული ხან კი მომღიმარი ადამიანების - „ალგრაბის“ ეკიპაჟის შვიდი კაცის ფოტოგრაფიები. ერგ ნოორი წარმოთქვამდა თვითეულის სახელს და მოგზაურები დაღუპულთ გამოსამშვიდობებელ სალამს აძლევდნენ. ასეთი იყო ასტრომფრინავების ჩვეულება, ერთად გამგზავრებულ ვარსკვლავმფრენებს ყოველთვის ჰქონდათ

-
ექსპედიციის ყველა წევრის ფოტოგრაფიების კომპლექტები. გამქრალ ხომალდებს შეიძლებოდა დიდხანს

ეხეტიალათ კოსმოსურ სივრცეში და მათი ეკიპაჟი კიდევ დიდხანს დარჩენილიყო ცოცხალთა შორის. ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა - ხომალდი არასდროს ბრუნდებოდა, მოძებნისა და დახმარების გაწევის არავითარი რეალური საშუალება არ არსებობდა. ხომალდების მანქანათა კონსტრუქციამ უკვე ისეთ სრულყოფას მიაღწია, რომ უმნიშვნელო დაზიანებანი თითქმის არასოდეს არ ხდებოდა, ან მათი გასწორება ადვილი იყო. მანქანების სერიოზული ავარია კოსმოსში ლიკვიდირებული არასოდეს ყოფილა. ზოგჯერ ხომალდები „აფრის“ მსგავსად ასწრებდნენ უკანასკნელი ცნობის გადმოცემას. ზუსტი ორიენტირებისადმი მიღწევის არაადამიანური სიძნელის გამო, ცნობათა უმეტესი ნაწილი მიზანს ვერ აღწევდა. დიდი რკალის გადაცემები ათასი წლების

მანძილზე იკვლევდნენ ზუსტ მიმართულებას და, გარდა ამისა, შეეძლოთ ვარიაციების შეცვლით გადაეცათ პლანეტიდან პლანეტაზე. ვარსკვლავმფრენები ჩვეულებრივ იმყოფებოდნენ შეუსწავლელ ზონებში, სადაც გადაცემათა მიმართულება მხოლოდ შემთხვევით თუ შეიძლებოდა ამოცნობილიყო.

ასტრომფრინავებს შორის არსებობდა რწმენა, რომ ყველაფრის გარეშე კოსმოსში არსებობს რაღაცნაირი ნეიტრალური ველები ანუ ნულოვანი არეები, რომლებშიც ყოველგვარი გამოსხივებანი და ცნობები ისე იძირება, როგორც ქვა წყალში. მაგრამ ასტროფიზიკოსები აქამდე თვლიდნენ, რომ ნულოვანი ველები ჩვეულებრივი ფანტაზიისაკენ მიდრეკილების მქონე მოცლილი კოსმოსელი მოგზაურების გამონაგონი იყო.

სამწუხარო წეს-ჩვეულების შესრულება და თათბირი მოკლე ხანს გაგრძელდა. შემდეგ ერგ ნოორმა ჩართო ანამეზონური ძრავები. ორი დღე-ღამის შემდეგ ისინი დადუმდნენ და ვარსკვლავმფრენმა დაიწყო მშობლიურ პლანეტასთან მიახლოება დღე-ღამეში ოცდაერთი მილიარდი კილომეტრი სიჩქარით. მზემდე დაახლოებით დედამიწის (დამოუკიდებელი) ექვსი წელიწადი დარჩა. ცენტრალურ პოსტზე და ბიბლიოთეკა-ლაბორატორიებში მუშაობა გაცხოველდა: ანგარიშობდნენ და სახავდნენ ახალ კურსს.

საჭირო იყო მთელი ექვსი წლის განმავლობაში ისე ფრენა, რომ ანამეზონი მხოლოდ ხომალდის კურსის შეცვლისათვის დაეხარჯათ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ვარსკვლავმფრენი ისე უნდა წარემართათ, რომ გულმოდგინედ არიდებოდნენ სიჩქარის მატებას. ყველას აშინებდა მზესა და „ტანტრას“ შორის მდებარე

გამოუკვლევი ზონა 344+2უ, რომლის გვერდის ავლა არაფრით არ ხერხდებოდა: მის ნაპირებზე მზემდე თავისუფალ მეტეორიტთა ზონები მდებარეობდა, გარდა ამისა, მობრუნებისას ხომალდი სიჩქარეს კარგავდა.

ორი თვის შემდეგ ფრენის მიმართულება გამოთვლილი იყო. „ტანტრამ“ თანაბარი ძაბვის დამრეცი მრუდის შემოხაზვა იწყო.

დიდებული ხომალდი წესიერ მდგომარეობაში იყო, ფრენის სიჩქარე გამოანგარიშების ზღვრებში ვითარდებოდა. ახლა მხოლოდ დრო - ფრენის ოთხი დამოკიდებული წელიწადი - აშორებდა ვარსკვლავმფრენს სამშობლოსაგან. ერგ ნოორმა და ნიზამ დაასრულეს თავიანთი მორიგეობის ყავლი და დაღლილები ხანგძლივ ძილს მიეცნენ. მათთან ერთად ძილის სამყაროში გაემგზავრა ორი ასტრონომი, გეოლოგი, ბიოლოგი, ექიმი და ოთხი ინჟინერი.

მორიგეობას შეუდგა შემდეგი ცვლა. - გამოცდილი ასტრონავიგატორი პელ ლონი, რომელიც უკვე მეორე ექსპედიციაში მონაწილეობდა, ასტრონომი ინგრიდ დიტრა და მათ თავისისურვილით შეუერთდა ელექტროინჟინერი კეი ბერი. ინგრიდი პელ

ლონის თანხმობით ხშირად გადიოდა ხოლმე სამართავი პოსტის გვერდით მოთავსებულ ბიბლიოთეკაში. თავის ძველ მეგობართან კეი ბერთან ერთად იგი წერდა ტრაგიკულ ზირდას მიერ შთაგონებულ მონუმენტურ სიმფონიას - „პლანეტის დაღუპვა“. ხელსაწყოთა მუსიკით და კოსმოსი შავი ნაპრალების ციმციმით დაღლილი პელ ლონი მართვის პულტთან ინგრიდს დასვამდა, თვით კი გატაცებით მუშაობდა საიდუმლო წარწერების გაშიფვრაზე. წარწერები მოტანილი იყო ცენტავრის უახლოეს ვარსკვლავთა სისტემის პლანეტიდან, რომელიც გამოუცნობი მიზეზით დატოვეს მისმა მცხოვრებლებმა. მას სწამდა თავისი ყოვლად შეუძლებელი საქმის წარმატება.

კიდევ ორჯერ შეიცვალნენ მორიგეები, ვარსკვლავმფრენი დედამიწას თითქმის ათი ათასი მილიარდი კილომეტრით მიუახლოვდა, ანამეზონური ძრავები კი მხოლოდ რამდენიმე საათით ჩართეს.

დასასრულს უახლოვდებოდა პელ ლონის ჯგუფის მორიგეობა. ეს იყო რიცხვით მეოთხე მორიგეობა მას შემდეგ, რაც „ტანტრა“ წამოვიდა იმ ადგილიდან, სადაც არ შედგა „ალგრაბთან“ შეხვედრა.

ასტრონომმა ინგრიდ დიტრამ დაამთავრა გამოთვლა, მიუბრუნდა პელ ლინს, რომელიც მელანქოლიურად უცქეროდა ცისფერ ზომაჭდეულ რკალაკებში გრავიტაციული- ძაბვის გამზომი წითელი ისრების განუწყვეტელ რხევას. ფსიქიური რეაქციის ჩვეულებრივი შენელება, რომელსაც არ გაურბოდნენ ყველაზე ძლიერი ადამიანები. თავს იჩენდა მორიგეობის მეორე ნახევარში. ვარსკვლავმფრენი თვეობითა და წლობით ავტომატური მართვით მიდიოდა მიცემული კურსის მიხედვით. თუ მოხდებოდა რაიმე ისეთი განსაკუთრებით მძიმე შემთხვევა, რომლის თავის გართმევა ვარსკვლავმფრენის სამართავ ავტომატს არ შეეძლო, მას ხომალდი ჩვეულებრივ დაღუპვამდე მიჰყავდა, რადგან ადამიანთა ჩარევაც ვერ შველოდა. ადამიანის გონებას, რაც არ უნდა გაწვრთნილი იყოს იგი, არ შეუძლია ყველაფერი საჭირო სიჩქარით გაითვალისწინოს.

- ჩემი აზრით, ჩვენ დიდი ხანია შევიჭერით შეუსწავლელ რაიონში 344- 2უ. უფროსს სურდა თვითონ ემორიგა აქ, - მიმართა ინგრიდმა ასტრონავიგატორს. პელ ლინმა დღეთა მრიცხველს შეხედა.

- კიდევ ორი დღე და ჩვენ სულ ერთია შევიცვლებით. ჯერ არაფერი ჩანს, ყურადღების მიქცევა რომ ღირდეს. მივიყვანოთ მორიგეობა ბოლომდე?

ინგრიდმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, კიჩოზე მოთავსებული ოთახიდან კეი ბერი გამოვიდა და დაიკავა მისი ჩვეული სავარძელი წონასწორობის მექანიზმების დგარის მახლობლად. პელ ლინმა დაამთქნარა და წამოდგა.

- რამდენიმე საათს წავიძინებ, - მიმართა ინგრიდს.

იგი მორჩილად გადავიდა თავისი მაგიდიდან წინ მართვის პულტებისაკენ.

ტანტრა მიდიოდა აბსოლუტურ სიცარიელეში, არ ირყეოდა. ვოლა ხოდის ზეგრძნობიერ ხელსაწყოებს არც ერთი, ძალზე შორეული მეტეორიტებიც კი არ აღმოუჩენიათ. ვარსკვლავმფრენის გეზი ახლა მზისგან ცოტა გადახრილი იყო- დაახლოებით წლინახევრის საფრენ მანძილზე. წინა დამკვირვებელ ეკრანებში შავად ჩანდა გასაკვირველი სიცარიელე - გეგონებოდათ, ვარსკვლავმფრენი ბნელი დამის შუაგულისაკენ მიფრინავსო. მხოლოდ გვერდითი ტელესკოპებიდან ეკრანებს ძველებურად ერჭობოდა ურიცხვი ვარსკვლავების შუქთა ნემსები.

საოცრად საშიშმა შეგრძნებამ დაურბინა ასტრონომების ნერვებს. ინგრიდი დაუბრუნდა თავის მანქანებსა და ტელესკოპებს, ისევ და ისევ ამოწმებდა მათ ჩვენებებს, ადგენდა უცნობი რაიონის რუკას. ყველაფერი მშვიდად იყო, მიუხედავად ამისა, ინგრიდი თვალს ვერ აცილებდა ხომალდის ცხვირწინ გაფენილ ავბედით სიბნელეს. კეი ბერმა შეამჩნია მისი მოუსვენრობა და თვითონაც დიდხანს უსმენდა და უცქერდა ხელსაწყოებს.

- ვერაფერს ვამჩნევ, - თქვა ბოლოს მან, - შენ რა მოგეჩვენა?

- თავად არ ვიცი, ეს არაჩვეულებრივი სიბნელე მაკრთობს. მეჩვენება, რომ ჩვენი ხომალდი პირდაპირ ბნელ ნისლეულში მიდის.

- აქ ბნელი ღრუბელი უნდა იყოს, - დაადასტურა კეი ბერმა, - მაგრამ ჩვენ მხოლოდ გავკენწლავთ მის კიდეს. ასე არის გაანგარიშებული! მიზიდულობის ველის ძაბვა თანაბრად და ზუსტად იზრდება. ამ რაიონში გამავალ გზაზე უეჭველად უნდა მივუახლოვდეთ რომელიმე გრავიტაციულ ცენტრს. განა სულ ერთი არ არის ბნელი იქნება იგი თუ მანათობელი?

- ყველაფერი ასეა, - უფრო დინჯად თქვა ინგრიდმა.

- მაშ რაღას შიშობ? ჩვენ დასახული გზით მივდივართ უფრო ჩქარა, ვიდრე გათვალისწინებული გვქონდა. თუ არაფერი შეიცვლება, ტრიტონამდე მცირეოდენი საწვავითაც კი მივაღწევთ.

ინგრიდმა იგრძნო, რომ სიხარული შემოეკიდა, როგორც კი ნეპტუნის თანამგზავრის ტრიტონისა და მასზე, მზის სისტემის ამ გარე კიდეზე, აგებული ვარსკვლავნაოსნობის სადგურის შესახებ გაიფიქრა. ტრიტონზე მოხვედრა სახლში დაბრუნებას უდრიდა.

- მე ვფიქრობდი, რომ მუსიკას მოვკიდებდით ხელს, მაგრამ ლინი დასასვენებლად წავიდა. იგი ექვს- შვიდ საათს იძინებს, მე კი ჯერჯერობით მეორე ნაწილის ფინალის ორკესტრირებაზე ვიფიქრებ. სადაც ჩვენ არაფრით არ გამოგვდის მუქარის ინტეგრალურიშესავალი. აი ეს...- კეიმ წაიმღერა რამდენიმე ნოტი.

- დი-ი, დი-ი, და-რა-რა, - მოულოდნელად თითქო თვით მართვის პოსტის კედლები გამოეხმაურნენ.

ინგრიდი შეკრთა და მოიხედა, მაგრამ მყის გამოერკვა. მიზიდულობის ველის ძაბვა გაიზარდა და ხელსაწყოებმა ეს ხელოვნური გრავიტაციის აპარატის მელოდიის შეცვლით აღნიშნეს.

- უცნაური დამთხვევაა! - დამნაშავესავით გაიცინა მან.

გრავიტაცია გაძლიერდა, როგორც მოსალოდნელი იყო ბნელი ღრუბლისათვის. ახლა შეგიძლია სავსებით დამშვიდდე და დაე, ლინმაც იძინოს.

ამ სიტყვებით კეი ბერი გამოვიდა მართვის პოსტიდან. იგი გაჩირაღდნებულ ბიბლიოთეკაში მიუჯდა პატარა ელექტრულ ვიოლინო- როიალს და მთლიანად სამუშაოში ჩაეფლო. ალბათ რამდენიმე საათი იქნებოდა გასული, როცა ბიბლიოთეკის გერმეტული კარები გაიდო და ინგრიდი გამოჩნდა.

- კეი, საყვარელო, გააღვიძე ლინი.

- რა მოხდა?

- მიზიდულობის ველის ძაბვა უფრო მეტად იზრდება, ვიდრე გაანგარიშებითაა განსაზღვრული.

- წინ რაღაა?

- სიბნელე, ძველებურად. - ინგრიდი მიიმალა.

კეი ბერმა გამოაღვიძა ასტრონავიგატორი. იგი წამოხტა და მიიჭრა ცენტრალურ პოსტზე ხელსაწყოებთან.

- არაფერია სახიფათო, ოღონდ საიდან არის აქ მიზიდულობის ასეთი ველი. ბნელი ღრუბლისათვის იგი ძალზე ძლიერია, ვარსკვლავები კი აქ არ არის...- ლინი დაფიქრდა და ხელი დააჭირა ექსპედიციის მეთაურის კაბინეტის გამაღვიძებელ ჭიკარტს. ცოტაც იფიქრა და ჩართო ნიზა კრიტის კაიუტაც.
- თუ არაფერი მოხდება, მაშინ ისინი უბრალოდ შეგვცვლიან, - აუხსნა მან შეშფოთებულ ინგრიდს...
- და თუ რამე მოხდა? ერგ ნოორი მხოლოდ ხუთი საათის შემდეგ გამოფხიზლდება. რა ვაკეთოთ?
- დავიცადოთ,- დინჯად უპასუხა ასტრონავიგატორმა, - რა შეიძლება მოხდეს ხუთი საათის განმავლობაში აქ, ასე შორს ყოველგვარი ვარსკვლავების სისტემისაგან?..

ხელსაწყოთა ხმაურობის ტონალობაგანუწყვეტლივ დაბლდებოდა, რაც ფრენის პირობების ცვლაზე მიუთითებდა. დაძაბული მოლოდინი ძალზე გაჭიანურდა. ორი საათი ისე გავიდა, თითქო მთელი ცვლა გასულიყოს. პელ ლინი გარეგნულად დამშვიდებული ჩანდა, მაგრამ ინგრიდის მღელვარება უკვე კეი ბერსაც გადაედო. ის ხშირად მიიხედავდა სამართავი ჯიხურის კარებისაკენ, საიდანაც მოელოდა ერგ ნოორის უცაბედ გამოჩენას, თუმცა იცოდა რომ ხანგრძლივი ძილისაგან გამოფხიზლება მეტად ნელა მიმდინარეობდა. ხანგრძლივმა ზარმა ყველა შეაკრთო. ინგრიდი კეი ბერს ჩაეჭიდა.

- ტანტრა'' საფრთხეშია! ველის ძაბვა გაანგარიშებულზე ორჯერ მეტი გახდა!

ასტრონავიგატორი გაფითრდა. ეს იყო მოულოდნელი ამბავი, რომელიც დაუყოვნებლივ მოითხოვდა გადაწყვეტას. ვარსკვლავმფრენის ბედი მის ხელთ იყო. განუხრელად მზარდი მიზიდულობა მოითხოვდა ხომალდის სვლის შენელებას არა მარტო იმიტომ, რომ ხომალდში სიმძიმე გაიზარდა, არამედ იმიტომაც რომ, ცხადია, პირდაპირ გზაზე მკვრივი მატერიის დიდი შეჯგუფება იმყოფებოდა.

მაგრამ შენელების შემდეგ სიჩქარის ხელახლა აღება აღარაფრით იქნებოდა შესაძლებელი. პელ ლინმა კბილები გაახრჭიალა და შემოაბრუნა იონური პლანეტარული ძრავა-მუხრუჭების ჩამრთველი სახელური. ხმამაღალი დარტყმები შეერია ხელსაწყოთა მელოდიას, მათ ჩაახშეს სიჩქარისა და მიზიდულობის ძალის შეფარდების გამოსათვლელი აპარატის საგანგაშო ხმაური. ზარი გამოირთო და ისრებმა აღნიშნეს წარმატება- სიჩქარე ისევ

უხიფათო გახდა, გაუთანაბრდა მზარდ გრავიტაციას. მაგრამ როგორც კი პელ ლინმა გამორთო მუხრუჭი, ზარი ხელახლა გაისმა. მიზიდულობის ეს მრისხანე ძალა სვლის შენელებას მოითხოვდა. ცხადი გახდა, რომ ვარსკვლავმფრენი პირდაპირ მიზიდულობის ძლიერი ცენტრისაკენ მიემართებოდა.

ასტრონავიგატორმა ვერ გადაწყვიტა კურსის შეცვლა, რასაც დიდი შრომა და უდიდესი სიზუსტე სჭირდებოდა. იგი ამუხრუჭებდა ვარსკვლავმფრენს, სარგებლობდა რა პლანეტარული ძრავებით. თუმცა უკვე ცხადი გახდა, რომ კურსი შეცდომით იყო აღებული:

იგი უხილავი მატერიის მასაში გადიოდა - მიზიდულობის ველი დიდია,- ხმადაბლა შენიშნა ინგრიდმა, შეიძლება...

- საჭიროა კიდევ შევანელოთ სვლა, რათა შემოვბრუნდეთ წამოიძახა ასტრონავიგატორმა.- მაგრამ შემდეგ რითი დავაჩქაროთ ფრენა?.. - მის სიტყვებში დამღუპველი ყოყმანი გაისმა.

- ჩვენ უკვე გავკვეთეთ გარე გრიგალური ზონა,[15] - გამოეხმაურა ინგრიდი,- მიმდინარეობს გრავიტაციის განუწყვეტელი და სწრაფი ზრდა.

გახშირდა ცალკეული ხმაურიანი დარტყმები - პლანეტარული იოტორები ამუშავდნენ

ავტომატურად, როცა ხომალდის მმართველმა ელექტრონულმა მანქანამ ხომალდის წინ მატერიის ვეებერთელა დაგროვება შეიგრძნო. „ტანტრამ“ რყევა იწყო. თუმცა ვარსკვლავმფრენი ცდილობდა შეენელებინა სვლა, მართვის პოსტზე მყოფი ადამიანები თანდათან კარგავდნენ გრძნობას. ინგრიდი მუხლებზე დაეცა. თავის სავარძელში ჩაფლული პელ ლინი ცდილობდა აეწია ტყვიაჩასხმულივით დამძიმებული თავი. კეი ბერი უაზრო, ცხოველურ შიშსა და ბავშვურ უმწეობას გრძნობდა.

ძრავების დარტყმები გახშირდა და შეუწყვეტელ გუგუნში გადაიზარდა. ხომალდის ელექტრონული ტვინი თავის ნახევრად გრძნობადაკარგულ პატრონებთან ერთად განაგრძობდა ბრძოლას. იგი თავისებურად ძლიერი იყო, მაგრამ არა შორსმჭვრეტელი, რადგან არ შეეძლო წინასწარ განეჭვრიტა რთული შედეგები და განსაკუთრებული შემთხვევებიდან გამოსავალი მოეძებნა.

„ტანტრის“ რყევა შესუსტდა. პლანეტარული იონური მუხტების მარაგის მაჩვენებელი ღეროები სწრაფად ქვემოთ ჩაცოცდა. გრძნობაზე მოსულმა პელ ლინმა გაიგო, მიზიდულობის უცნაური გადიდება ისე სწრაფად მიმდინარეობდა, რომ საჭირო იყო

განსაკუთრებული ზომების მიღება ჯერ ხომალდის შესაჩერებლად, ხოლო შემდეგ კურსის მკვეთრად შესაცვლელად. პელ ლინმა გადასწია ანამეზონური ძრავების სახელური. ბორის ნიტრიდის ოთხი მაღალი ცილინდრი, რომლებიც პულტის სპეციალურ განაკვეთში ჩანდა, შიგნიდან განათდა. კაშკაშა მწვანე ალმა მათში გაცოფებულ ელვასავით იფეთქა, აჭევლდა და ოთხ მკვრივ სპირალად დაბზრიალდა.

ხომალდის წინა ნაწილში ძლიერმა მაგნიტურმა ველმა დაფარა მოტორ საქშენების კედლები და იხსნა ისინი დაუყოვნებლივი დამსხვრევისაგან.

ასტრონავიგატორმა ისევ გადააადგილა სახელური. მწვანე გრიგალურ კედელში გამოჩნდა მათკენ მომავალი შუქი - კ-ნაწილაკების[16] რუხი ნაკადი კიდევ გადასწია და რუხი შუქი გაჰკვეთა დამაბრმავებელმა იისფერმა ელვამ - იმის სიგნალმა, რომ ანამეზონმა გამალებული მოქმედება იწყო.

ვარსკვლავმფრენის მთელი კორპუსი გამოეხმაურა მაღალი სიხშირის ოდნავ გასაგონ, ძნელად გადასატან თრთოლვას...

ერგ ნოორი, რომელმაც მიიღო საკვების საჭირო დოზა, ნახევრად მძინარე იწვა და ნერვული სისტემის გამოუთქმელად სასიამოვნო ელექტრომასაჟს იღებდა. ნელ-ნელა იფანტებოდა დავიწყების ბურუსი, რომელიც ჯერ კიდევ ფარავდა მის გონებასა და სხეულს. გამაღვიძებელი მელოდია მზარდი სიხშირის რიტმით მაჟორულად ჟღერდა...

უცებ გარედან რაღაც არასასიამოვნო ტალღა შემოიჭრა, რომელმაც შეწყვიტა ოთხმოცდაათდღიანი ძილისაგან გამოღვიძების სიამოვნება. ერგ ნოორს მაშინვე გაახსენდა, რომ ექსპედიციის უფროსი იყო და დაიწყო თავგანწირული ბრძოლა, ცდილობდა დაბრუნებოდა ნორმალურ აზროვნებას. ბოლოს მოიაზრა, რომ ვარსკვლავმფრენი სწრაფად მუხრუჭდებოდა ანამეზონური ძრავებით, მაშასადამე, რაღაც მოხდა. იგი შეეცადა ამდგარიყო. მაგრამ სხეული ჯერ კიდევ არ ემორჩილებოდა, ფეხები ეკეცებოდა და თავისი კაიუტის იატაკზე წაიქცა. რამდენიმე ხნის შემდეგ მოახერხა კარებამდე მიფორთხება და გაღება. ნამძინარევს ცნობიერება თანდათან დაუბრუნდა- დერეფანში ერგ ნოორი ოთხზე წამოიმართა და ცენტრალურ პოსტში შევარდა. ეკრანებსა და ციფერბლატებზე მიჩერებულმა ადამიანებმა შიშით მოიხედეს და მისცვივდნენ უფროსს. მან ადგომა ვერ შეძლო, ისე ალაპარაკდა:

- წინა ეკრანები... გადართეთ ინფრაწითელზე... გააჩერეთ... მოტორები კორპუსის თრთოლვის შეწყვეტასთან ერთად ბორის ნიტრიდის ცილინდრებიც ჩაქრა. წინა მარჯვენა ეკრანზე გამოჩნდა უზარმაზარი ვარსკვლავი, რომელიც ბუნდოვანი წითელ-ყავისფერი შუქით ანათებდა. წამით ყველანი გაშეშდნენ, თვალს ვერ აცილებდნენ ვეებერთელა დისკოს, რომელიც სიბნელიდან პირდაპირ ხომალდის ცხვირწინ ამოცურდა.

- ოჰ, ბრიყვი. - მწუხარებით წამოიძახა პელ ლინმა,- დარწმუნებული ვიყავი, რომ ბნელი ღრუბლის მახლობლად მივფრინავდით! ეს კი....

- რკინის ვარსკვლავი!- შეშფოთები წამოიძახა ინგრიდ დიტრამ.

ერგ ნოორი ჩაეჭიდა სავარძლის ზურგს და იატაკიდან. წამოდგა მის ჩვეულებრივ ფერმკრთალ სახეს მომწვანო ელფერმა გადაჰკრა, მაგრამ თვალები დამახასიათებელი მკვეთრი ცეცხლით აენთო.

- დიახ, ეს რკინის ვარსკვლავია, - წარმოთქვა მან, - ასტრომფრინავების საშინელება.

არავინ ელოდა მას ამ რაიონში და ყველა მორიგემ თვალები შიშითა და იმედით მიაპყრო.

- მე მხოლოდ ღრუბელზე ვფიქრობდი, - ჩუმად და დამნაშავესავით თქვა პელ ლინმა.

- გრავიტაციის ასეთი ძალის მქონე ბნელი ღრუბელი შიგნიდან უეჭველად მკვრივი, შედარებით მსხვილი ნაწილაკებისაგან უნდა შედგებოდეს... ტანტრა უკვე დაღუპულად უნდა ჩავთვალოთ. ასეთ რაიონში შეჯახების აცილება შეუძლებელია, - მკაფიოდ და დინჯად წარმოთქვა უფროსმა.

- მაგრამ ველის დაძაბულობის მკვეთრი შემცირებანი, ეს რაღაცნაირი აგრიგლვები? ნუთუ ესენი პირდაპირ ღრუბლებზე არ მიუთითებენ?

- ან იმაზე, რომ ვარსკვლავს აქვს პლანეტა და შეიძლება არამარტო ერთი...

ასტრონავიგატორმა ისე იკბინა ტუჩზე, რომ სისხლი წამოუვიდა. უფროსმა გამამხნევებლად დაუქნია ხელი და თვითონ დააჭირა ხელი გამაღვიძებელ ჭიკარტებს.

- საჩქაროდ მომეცით დაკვირვებათა ცნობა იზოგრავები[17] გამოვითვალოთ!

- ვარსკვლავმფრენი ისევ შეირყა. ეკრანზე კოლოსალური სიჩქარით გაიელვა რაღაც არაჩვეულებრივად დიდმა, უკან ჩამორჩა და გაქრა.

- აი პასუხიც... პლანეტას გადავასწარით. სწრაფად, სწრაფად მოკიდეთ ხელი მუშაობას!- უფროსმა თვალები საწვავის მრიცხველს მიაპყრო, მოხერხებულად მიესვენა სავარძელზე, რაღაცის თქმა სურდა, მაგრამ დადუმდა.

თავი **II.** ეპსილონი ტუკანა

მაგიდიდან წყნარი, მინისებური წკრიალი გაისმა, რომელსაც ნარინჯისფერი და ცისფერი შუქის ციმციმი მოჰყვა. გამჭვირვალე ტიხარს იქით სხვადასხვა ფერის ზოდები ანაპერწკლდა. დიდი რკალის შიგა სადგურების გამგემ დარ ვეტერმა სპირალური გზის შუქს თვალი გაადევნა. გზის გიგანტური რკალი მაღალ ადგილზე ისე იღუნებოდა, რომ ზღვის პირას მქრქალ - ყვითელ არეკვლის ზოლს გამოსახავდა. დარ ვეტერმა მისგან თვალმოუცილებლად აღმართა ხელი, სახელური გადასწია და დააყენა ასოზე - ფ - ფიქრები არ დამთავრებულა. ამ ადამიანის ცხოვრებაში დღეს დიდი ცვლილება მოხდა, დილით სამხრეთ ნახევარსფეროს საცხოვრებელი სარტყლიდან ჩამოვიდა მვენ მასი, რომელიც ვარსკვლავმფრენის საბჭომ მის შემცვლელად აირჩია. რკალში უკანასკნელ გადაცემას ერთად ჩაატარებენ, შემდეგ... აი სწორედ ეს შემდეგ ჯერ კიდევ გადაუწყვეტელი იყო. ექვსი წლის მანძილზე იტანდა იგი სამუშაოს, რომელიც უზომო დაძაბულობას მოითხოვდა. ამ სამუშაოსათვის არჩევდნენ განსაკუთრებული თვისებების ადამიანებს, რომლებიც დიდებული მეხსიერებითა და ფართო, ენციკლოპედიური ცოდნით გამოირჩეოდნენ. როცა დარ

ვეტერს რამდენჯერმე ავბედითად გაუმეორდა ადამიანთა ერთ - ერთი ყველაზე მძიმე დაავადების - სამსახურისა და ცხოვრებისადმი გულგრილი დამოკიდებულების შეტევა - იგი ცნობილმა ფსიქიატრმა ევდა ნალმა გასინჯა. ძველმა ნაცადმა საშუალებამ - ცისფერი სიზმრების ოთახში დამამშვიდებელი ტალღებით გამსჭვალულმა მწუხარე აკორდების მუსიკამ ვერაფერი უშველა - დარჩა მხოლოდ ერთი საშუალება - შეეცვალა სამოღვაწეო დარგი და ემკურნალა ფიზიკური შრომით იქ, სადაც ჯერ კიდევ საჭირო იყო ყოველდღიური ძალისმიერი მუშაობა. მისმა ძვირფასმა მეგობარმა ისტორიკოსმა ვედა კონგმა გუშინ გათხრებზე მუშაობა შესთავაზა. არქეოლოგიურ გათხრებზე მთელი მუშაობის ჩატარება მანქანებს არ შეეძლო- უკანასკნელი ეტაპი ადამიანის ხელით სრულდებოდა. მოხალისენი არ აკლდათ, მაგრამ ვედა დაპირდა, რომ მოუწყობდა ხანგრძლივ მოგზაურობას ბუნების სიახლოვეს, უძველესი სტეპების ოლქში

ვედა კონგი რომ... ერთი სიტყვით, მან ყველაფერი იცის. ვედას ვარსკვლავმფრენის საბჭოს წევრი, ვარსკვლავეთის ოცდამეჩვიდმეტე ექსპედიციის უფროსი ერგ ნოორი უყვარს. ერგ ნოორს თავისი ამბავი ცთომილ ზირდიდან უნდა ეცნობებინა. მაგრამ თუ არავითარი ცნობა არ არის, ხოლო ვარსკვლავთშორის ფრენის ყველა გაანგარიშებანი

განსაკუთრებით ზუსტია, ვედას სიყვარულის მოპოვებაზე ფიქრიც არ ღირს! მეგობრობის ვექტორი, - აი ყველაზე მთავარი, რაც მათ აკავშირებთ. მიუხედავად ამისა, მაინც წავა ვედასთან სამუშაოდ!.

დარ ვეტერმა გადასწია სახელური, ხელი დააჭირა ჭიკარტს და ოთახინათელი შუქით აივსო. ბროლის მინა მიწისა და ზღვის თავზე გადმოკიდებული ფართოდ გაშლილი შენობის კედელს წარმოადგენდა. მეორე სახელურის შემობრუნებით დარ ვეტერმა ეს კედელი თავისკენ გადმოხარა, მასში ვარსკვლავიანი ზეცა გამოისახა ხოლო ლითონის ჩარჩო ზღვისპირეთის ცეცხლოვან გზებს, შენობებსა და შუქურებს ჰკვეთდა.

სამი კონცენტრული დანაყოფის მქონე გალაქტიკურმა საათმა დარ ვეტერის ყურადღება მიიქცია. დიდი რკალით ინფორმაციებს გადაცემა გალაქტიკური დროით ხდებოდა, ყოველ მეასიათასე გალაქტიკურ წამში ანუ რვა დღეში ერთხელ, წელიწადში ორმოცდახუთჯერ დედამიწაზე არსებული გამოთვლის მიხედვით. ღერძის გარშემო გალაქტიკის ერთი მობრუნება გალაქტიკურ დღეღამეს შეადგენდა.

დილის ცხრა საათზე ტიბეტის ობსერვატორიის დროით მისი მორიგი და უკანასკნელი

გადაცემის დრო დადგა. ეს დრო აქ ხმელთაშუაზღვის საბჭოს ობსერვატორიაში დაახლოებით ღამის ორი საათია. დარჩა არა უმეტეს ორი საათისა.

მაგიდაზე ხელსაწყოები აწკრიალდა და ისევ მიყუჩდა. ტიხარს იქით აბრეშუმისებურად მბრწყინავ ღია ფერის ტანსაცმელში გამოწყობილი ადამიანი გამოჩნდა.

- გადაცემისა და მიღებისათვის მზად ვართ, - მოკლედ მოჭრა მან, გარეგნულად პატივისცემის არავითარი ნიშნები არ გამოუჩენია, თუმცა მის გამოხედვაში უფროსით აღტაცება იმალებოდა.

დარ ვეტერი დუმდა, დუმდა თავისუფლად მდგომი წარმოსადეგი თანაშემწეც.

- კუბურ დარბაზში - ჰკითხა ბოლოს დარ ვეტერმა და დადებითი პასუხის მიღების შემდეგ დაინტერესდა მვენ მასი სად არისო.

- დილის გამამხნევებელ აპარატთან. მგზავრობის შემდეგ ხასიათზე უნდა მოვიდეს. ამას გარდა, მე მგონი, აღელვებული უნდა იყოს.

- მის ადგილზე მეც ავღელდებოდი, - ჩაფიქრებით წარმოთქვა დარ ვეტერმა, - ასე იყო ექვსი წლის წინათ...

თანაშემწე ისე ძალიან ცდილობდა გულგრილი სჩვენებოდა, რომ გაწითლდა კიდეც. იგი ახალგაზრდული გულმხურვალებით თანაუგრძნობდა თავის უფროსს, შეიძლება გრძნობდა, რომ ოდესმე თვითონაც განიცდიდა დიდი სამუშაოსა და უზარმაზარი პასუხისმგებლობის სიხარულს. საგარეო სადგურების გამგე არაფრით არ ამჟღავნებდა თავის განცდებს - ამ ხნის კაცისათვის მათი გამომჟღავნება ულამაზოდ ითვლებოდა.

- როგორც კი მვენ მასი გამოჩნდება, იმ წამსვე ჩემთან შემოიყვანეთ.

თანაშემწე გავიდა. დარ ვეტერი მივიდა კუთხეში, სადაც გამჭვირვალე ტიხარი ჭერიდან იატაკამდე გამუქებული იყო, გახსნა ფერადი ხის პანელზე დაჭედილი ორი საგდული. იფეთქა შუქმა, რომელიც საიდანღაც სარკის მსგავსი ეკრანიდან გამოდიოდა.

საგარეო სადგურების გამგემ ცალკეული კლემების დახმარებით ჩართო „მეგობრობის ვექტორი“ - პირდაპირი ხაზი, რომელიც აერთებს ღრმა მეგობრობით დაკავშირებულ ადამიანებს, რათა ყოველ სასურველ მომენტში ერთმანეთს დაუკავშირდნენ. მეგობრობის ვექტორი აერთებდა ადამიანის მუდმივად სამყოფ რამდენიმე ადგილს - საცხოვრებელს, სამსახურს, საყვარელ დასასვენებელ კუთხეს.

ეკრანი აინთო, მის სიღრმეში გამოჩნდა მაღალი პანელების ცნობილი შეხამება, ურიცხვ სვეტებად დადგმული არქაული წიგნების ფოტოპირების შემცველი ელექტრული ფილმების კოდირებული აღმნიშვნელები. როცა კაცობრიობა ერთიან ანბანზე გადავიდა, რომელსაც რთული ნიშნების უქონლობის გამო სწორხაზობრივი ეწოდა, ძველი წიგნების ფილმებად გადადება კიდევ უფრო იოლი და ავტომატური მანქანებისათვის ხელმისაწვდომი გახდა. ლურჯი, მწვანე; წითელი ზოლები ნიშანია ცენტრალური ფილმოტეკებისა, სადაც ინახება სულ ათეული ეგზემპლარით უკვე დიდი ხნის წინათ გამოცემული მეცნიერული გამოკვლევები. საკმარისია რამდენიმე პირობითი ნიშნის აკრეფა და ფილმოტეკების საცავი ავტომატურად გადმოსცემს წიგნ-ფილმის სრულ ტექსტს. ეს მანქანა იყო ვედას პირადი ბიბლიოთეკა. ოდნავ გაიტკაცუნა-გამოსახულება ჩაქრა და ისევ აინთო, გამოჩნდა მეორე ოთახი, ასევე ცარიელი. ხელსაწყოს მეორე ტკაცუნმა გამოსახულება მაგიდა-პულტებით ოდნავ განათებულ დარბაზში გადაიტანა. მახლობელ მაგიდასთან მჯდომმა ქალმა თავი აიღო და დარ ვეტერმა იცნო დიდი, ნაცრისფერთვალებიანი საყვარელი სახე. გაღიმებულს თეთრი კბილები გამოუჩნდა, მსხვილი, მკვეთრად

მოხაზული ტუჩ-პირი გაეხსნა, ლოყები აეწია და ოდნავ აპრეხილი ბავშვურად მომრგვალებული ცხვირის აქეთ-იქით პატარა ბორცვები წამოებურთა. ამის გამო სახე უფრო სათნო და სასიამოვნო გაუხდა.

- ვედა, ორი საათი დარჩა. ტანსაცმლის გამოცვლაა საჭირო, მინდოდა, ობსერვატორიაში ცოტა ადრე მოვსულიყავით.

ეკრანზე გამოსახულმა ქალმა ხელი ხშირ, ღია ფერფლისფერ თმებზე გადაისვა.

- გემორჩილებით, ჩემო ვეტერ, - წყნარად გაიცინა მან, მივდივარ სახლში.

დარ ვეტერის სმენა საუბრის მხიარულმა კილომ ვერ მოატყუა.

- დამშვიდდით, მამაცო ვედა. თვითეული, რომელიც დიდ რკალში გამოდის, ოდესღაც ხომ პირველად გამოვიდა.

- ჩემს გასართობად სიტყვებს ნუ ხარჯავთ, - ჯიუტად ასწია თავი ვედაკონგმა, მალე მოვალ.

ეკრანი ჩაქრა. დარ ვეტერმა ჩაკეტა საგდულები და შემობრუნდა, რომ თავის თანაშემწეს შეხვედროდა. მვენ მასი დიდი ნაბიჯებით შემოვიდა. სახის ნაკვთები და სუფთა, მბზინავი მუქ-ყავისფერი კანი ამჟღავნებდა, რომ მისი წინაპრები ზანგები უნდა ყოფილიყვნენ. მძლავრ მხრებზე მოხურული თეთრი ლაბადა მძიმე ნაკეცებად დაშვებოდა ძირს. მვენ მასმა დარ ვეტერის ორივე ხელს თავისი გამხდარი, ძლიერი ხელები მოუჭირა. საგარეო სადგურებს ორივე უფროსი - ყოფილი და მომავალი - ძალზე მაღლები იყვნენ. ვეტერი, რომლის შთამომავლობაც რუსი ხალხიდან მოდიოდა, მოხდენილ აფრიკელზე უფრო სრული და მკვრივი ჩანდა.

- მეჩვენება, თითქოს დღეს რაღაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი უნდა მოხდეს, - დაიწყო მვენ მასმა იმ გულუბრყვილო პირდაპირობით, რითაც დიდი რკალის ერის ადამიანები სხვებისაგან განირჩევიან.

დარ ვეტერმა მხრები აიჩეჩა.

სამივე ჩვენთაგანისათვის მნიშვნელოვანი ამბავი მოხდება. სამუშაოს ჩავაბარებ, თქვენ მას მიიღებთ, ხოლო ვედა კონგი პირველად ილაპარაკებს სამყაროსთან.

- იგი ძალიან ლამაზია? - ისეთი ხმით გამოეხმაურა მვენ მასი, რომელიც ნახევრად შეკითხვას, ნახევრად კი მტკიცებას ჰგავდა.

- ნახავთ. სხვათა შორის, დღევანდელ გადაცემაში არაფერი არაჩვეულებრივი არ არის. ვედა წაიკითხავს ლექციას ჩვენი ისტორიის შესახებ პლანეტისათვის - კრზ 664456+ბშ 3252. მვენ მასმა გონებაში საოცრად სწრაფად გაიანგარიშა.

- მარტორქის თანავარსკვლავედი, ვარსკვლავი როსი - პლანეტარული სისტემა ცნობილია უხსოვარი დროიდან, მაგრამ თავი არაფრით გამოუვლენიათ. მე მიყვარს ძველი სახელები და სიტყვები, - ოდნავ საგრძნობი ბოდიშის კილოთი დასძინა მან.

დარ ვეტერმა გაიფიქრა, საბჭოს ადამიანების შერჩევა სცოდნიაო. ხმამაღლა კი თქვა.

- თქვენ კარგად მოეწყობით იუნი ანტისთან - ელექტრონული მახსოვრობის მანქანების გამგესთან. იგი თავის თავს მახსოვრობის ლამპრების გამგეს უწოდებს. ეს სახელი წარსულის უბადრუკი ნათურებიდან როდი მომდინარეობს, არამედ პირველი ელექტრონული ხელსაწყოებიდან, მაშინდელი ელექტრული ნათურებიდან ტლანქი მინის თალფაქითა და ამოტუმბული ჰაერით რომ ანათებდა.

მვენ მასმა ისე გულწრფელად და გულღიად გაიცინა, რომ დარ ვეტერმაიგრძნო, როგორ იზრდებოდა მისი სიმპატია ამ კაცისადმი.

- მახსოვრობის ლამპები! ჩვენი მახსოვრობის ქსელი კილომეტრების სიგრძის მქონე დერეფნებია, რომლებიც მილიარდობით უჯრედ-ელემენტებისაგან შედგება მაგრამ, - გონს მოეგო იგი, ჩემს გრძნობებს თავისუფლება მივეცი, რაც მთავარია, ის კი დამავიწყდა. როდის ალაპარაკდა როსი 614?

- ორმოცდათორმეტი წლის წინათ. მას შემდეგ დაეუფლნენ დიდი რკალის ენას. მათგან მხოლოდ ოთხი პარსეკი[18] გვაშორებს. ვედას ლექციას ისინი ცამეტი წლის შემდეგ მიიღებენ.

- სამოცდაერთი გედის შემდეგ?

- ცხადია. ან კიდევ ას შვიდი გველის შემდეგ, თუ თქვენი ძველებური ტერმინოლოგიით ვისარგებლებთ.

შემოვიდა კაცი, რომელიც დარ ვეტერის თანაშემწის მსგავსად ვარსკვლავცურვის საბჭოს ვერცხლისფერ ტანსაცმელში იყო გამოწყობილი დაბალი, მკვირცხლი, კეხიანცხვირიანი, ყურადღებას იქცევდა ალუბალივით მუქი თვალების მახვილი, ყურადღებიანი შემოხედვით. შემოსულმა მრგვალი მოკრიალებული თავი ხელისგულებით მოიწმინდა.

- იუნი ანტი, - მაღალი, მკვეთრი ხმით გააცნო თავი, ეტყობოდა მვენ მასის გასაგონად.

მვენი პატივისცემით მიესალმა. მახსოვრობის მანქანების გამგეები ცოდნით ყველას ჭარბობდნენ. ისინი წყვეტდნენ, რომელი მიღებული ცნობები დაეტოვებინათ სამუდამოდ მეხსიერების მანქანებში, რათა საერთო ინფორმაციის ხაზებში ან შემოქმედების სასახლეებში გაეგზავნათ.

- კიდევ ერთი ბრევანი, - წაიბუზღუნა იუნი ანტმა. როცა ახალგაცნობილს ართმევდა ხელს.

- რაო? - ვერ აიგო მვენ მასმა.

- ჩემი გამოგონებაა. ლათინურია. ასე დავარქვი მათ, ვინც ცოტას ცოცხლობს - მხედველობაში მყვანან საგარეო სადგურების მუშაკები, ვარსკვლავშორისი ფლოტის მფრინავები, ვარსკვლავმფრენის ძრავების ქარხნების ტექნიკოსები. ასეთივენი ვართ ჩვენც. ჩვენც აგრეთვე სიცოცხლის ნორმალური ხანგრძლივობის ნახევარზე მეტს ვერ ვძლებთ. რას იზამთ, სამაგიეროდ საინტერესოა სად არის ვედა?

- უნდოდა ადრე...- დაიწყო დარ ვეტერმა.

მისი სიტყვები ჩაახშო შემაშფოთებელმა მუსიკალურმა აკორდებმა, რომელიც გაისმა მას შემდეგ, როცა გალაქტიკის საათის ციფერბლატზე რაღაცამ ხმიანად გაიტკაცუნა.

- დედამიწის გამაფრთხილებელი სიგნალია. ყველა ენერგოსადგურს, ყველა ქარხანას,

ქსელის ტრანსპორტს და რადიოსადგურებს. ნახევარი საათის შემდეგ შეწყვიტონ ენერგიის გაცემა და დააგროვონ მოცულობით კონდენსატორებში ისეთი რაოდენობით, რომ გაიპოს ატმოსფერო გამოსხივების მიმართულების არხით. გადაცემა დედამიწის ენერგიის ორმოცდასამ პროცენტს წაიღებს. მიღების დროს ენერგია მხოლოდ რვა პროცენტია საჭირო - გადმომცემი არხის შესანარჩუნებლად, - განმარტა დარ ვეტერმა.

- სწორედ ამგვარად წარმომედგინა, - - თავი დაიქნია მვენ მასმა. უცებ დაძაბული გამოხედვა აღტაცებით აინთო. დარ ვეტერმა მოიხედა. მათგან შეუმჩნევლად, გამჭვირვალე მანათობელ სვეტებში ვედა კონგი იდგა, თავისი საუკეთესო

ტანსაცმელი ეცვა, ათასი წლის წინათ, კრიტას კულტურის ეპოქაში გამოგონილი. იგი განსაკუთრებით ალამაზებდა ქალს.

მაღლა, კეფაზე ავარცხნილი ფერფლისფერი თმის მძიმე ხვეული მომხიბლავ ყელს ვერ ფარავდა, სწორი მხრები შიშველი ჰქონდა, ხოლო, მეტად ღია მკერდი ცისფერი ქსოვილის აზღუდით ჰქონდა შეკრული. ცისფერი ყვავილებით, მოჩითული ვერცხლისფერი ნაჭრისაგან შეკერილი ფართო და მოკლე ქვედაწელიდან მზეზე

დამწვარი შიშველი ფეხები გამოუჩნდა, რომელზეც ალუბლისფერი ფეხსაცმელები ეცვა. მსხვილი, ოქროს ძეწკვში განგებ უხეშად ჩასმული ალუბლისფერი ქვები - ვენერადან მოტანილი ფაანტები - ნაზ კანზე მღელვარებისაგან აელვარებული ლოყებისა და პაწაწინა ყურებისფრად ანათებდნენ.

მვენ მასი პირველად ხედავდა მეცნიერ-ისტორიკოსს და დაუფარავი აღტაცებით ათვალიერებდა მას.

ვედამ შეშფოთებული თვალებით შეხედა დარ ვეტერს.

- კარგი, - უპასუხა მან თავისი შესანიშნავი მეგობრის მუნჯ შეკითხვაზე.

- ბევრჯერ გამოვსულვარ, მაგრამ ასე არა, - ალაპარაკდა ვედა კონგი.

- საბჭო ჩვეულებრივად იქცევა. ცნობებს სხვადასხვა პლანეტებისათვის მუდამ ლამაზი ქალები კითხულობდნენ. ეს სამყაროს ჩვენი მოსახლეობის მშვენიერებაზე წარმოდგენას აძლევს და საერთოდ ბევრ რამეზე მეტყველებს, განაგრძო დარ ვეტერმა.

- საბჭო არჩევანში არ შემცდარა. .- წამოიძახა მვენ მასმა. ვედამ ჯიქურ შეხედა აფრიკელს.

- მარტოხელა ხართ? - წყნარად ჰკითხა. მვენ მასმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. ვედამ გაიცინა.

- თქვენ ჩემთან საუბარი გსურდათ, - მიუბრუნდა იგი დარ ვეტე.

მეგობრები ფართო რკალისებრ ტერასაზე გამოვიდნენ. ვედამ სიამოვნებით მიუშვირა სახე ზღვის გრილ ნიავს.

საგარეო სადგურების გამგემ უამბო მას თავისი გადაწყვეტილების შესახებ, რომ სურდა გამგზავრებულიყო გათხრებზე, უთხრა ვმერყეობ ვარსკვლავეთის ოცდამეთვრამეტე ექსპედიციასა, ანტარქტიკის წყალქვეშა მაღაროებსა და არქეოლოგიას შორისო.

- ო, არა, ოღონდ ვარსკვლავეთში არა - წამოიძახა ვედამ და დარ ვეტერმა იგრძნო თავისი უტაქტობა. განცდებით გატაცებული უნებურად შეეხო ვედას სულის მტკივნეულ ადგილს. მას საგანგაშო აკორდების მელოდია მიეშველა, რომელმაც აივანზეც გამოაღწია.

- დროა, რკალის ჩართვამდე ნახევარი საათი დარჩა! - დარ ვეტერმა ფრთხილად მოკიდა ხელი ვედა კონგს. სხვებთან ერთად ისინი მოძრავი კიბით ღრმა მიწისქვეშეთში ჩაეშვნენ - კლდეში გამოკვეთილ კუბურ ოთახში.

აქ არაფერი იყო ხელსაწყოების მეტი. შავი კედლების დაბურული პანელები ხავერდისას ჰგავდა. მათ ბროლის ზოლების მკვეთრი ხაზები ჰკვეთდა, ოქროსფერი, მწვანე, ცისფერი და ნარინჯისფერი სინათლეები ოდნავ აშუქებდნენ სკალებს, ნიშნებს, ციფრებს. ისრების ზურმუხტის წვეთები ცახცახებდნენ შავ ნახევარწრეებთან, თითქოს მთელი ეს ფართო კედლები დაძაბულ, გულმთრთოლვარე მოლოდინში იყვნენ.

ოთახში იდგა რამდენიმე სავარძელი, შავი ხის დიდი მაგიდა, მასიური ოქროსჩარჩოიანი, ოდნავ შეწეული, ვეებერთელა, მარგალიტისებრი ანარეკლით მოციმციმე ნახევარსფეროსებრი ეკრანი.

დარ ვეტერმა ანიშნა მვენ მასს მასთან მისულიყო, ხოლო სხვებს მაღალ შავ სავარძლებზე მიუთითა. მვენ მასი მიუახლოვდა, აბიჯებდა ფრთხილად, თითის წვერებზე, როგორც ოდესღაც დადიოდნენ ნისი წინაპრები მზით გავარვარებულ სავანეებში, როცა ვეებერთელა მძვინვარე მხეცებს ეპარებოდნენ, მვენ მასმა სუნთქვა შეიკრა. აქედან, ამ მიუდგომელი ქვის სარდაფიდან, ახლავე გაიღება ფანჯარა კოსმოსის უსასრულო სივრცეებში და ადამიანები აზრებითა და ცოდნით შეუერთდებიან თავიანთ ძმებს სხვა სამყაროში. ახლა ისინი, ხუთი კაცი, არიან დედამიწის წარმომადგენლები სამყაროს წინაშე. მაგრამ, ხვალიდან მას, მვენ მასს, მოუწევს ამ კავშირის ხელმძღვანელობა. მას ჩააბარებენ უდიდესი ძალის ყველა სახელურს. აფრიკელს ზურგზე ოდნავ ჟრჟოლამ დაურბინა. სიმართლე რომ ვთქვათ, მხოლოდ ახლა იგრძნო, პასუხისმგებლობის რამოდენა სიმძიმე იტვირთა, როცა საბჭოს დაეთანხმა. და როცა შეხედა დარ ვეტერს, რომელიც აუჩქარებლად ამოქმედებდა სამართავ სახელურებს, მის გამოხედვაში გაიელვა აღტაცების მსგავსმა გამომეტყველებამ. დარ ვეტერის ახალგაზრდა თანაშემწეს თვალები გაუბრწყინდა.

გაისმა მძიმე, მრისხანე ხმაური, თითქოს მკვრივმა სპილენძმა გაიწკრიალა. დარ ვეტერი სწრაფად მოტრიალდა და გრძელი სახელური გადააადგილა. ხმაური შეწყდა

და ვედა კონგმა დაინახა, რომ მარჯვენა კედლის ვიწრო პანელი ოთახის მთელ სიგრძეზე განათდა. კედელი თითქო ჩაინთქა, გაქრა უკიდეგანო სიშორეთში. გამოჩნდა პირამიდისებრი მთის მწვერვალის გამჭვირვალე კონტური, ქვათა ბუმბერაზული თაღით დაგვირგვინებული. დამდნარი ქვის ამ კოლოსალური ქედის ქვემოთ, სადღაც, მთის უფაქიზესი ლაქები ჩანდა.

მვენ მასმა იცნო აფრიკის მეორე უმაღლესი მწვერვალი - კენია.

მძიმე დარტყმამ ისევ შეძრა მიწისქვეშა ოთახი, იქ მყოფი ადამიანები აიძულა გაფრთხილებულიყვნენ და მთელი ყურადღება დაეძაბათ.

დარ ვეტერმა აიღო მვენ მასის ხელი და მრგვალი სახელურის ძოწისფრად მანათობელ თვალზე დაადებინა. მვენ მასმა მორჩილად გადასწია იგი საბრჯენამდე. ახლა დედამიწის მთელი ძალა, ათას შვიდას სამოცი მძლავრი ელექტროსადგურიდან მიღებული მთელი ენერგია გადაისროლეს ეკვატორზე, ხუთკილომეტრიანი სიმაღლის მთაზე. მთის მწვერვალზე მრავალფერადი ნათება დაგროვდა, შეერთდა ბურთად და უცებ ავარდა მაღლა, როგორც ცის სიღრმეთა გამკვეთი ვერტიკალურად

მფრინავი შუბი. ნათების თავზე აიმართა ვიქრო, გრიგალური სვეტი, - ქარბორბალა. სვეტს მაღლა აჰყვა ზედაპირზე სპირალურად დახვეული, დამაბრმავებლად მანათობელი ცისფერი ბოლი.

მართულმა გამოსხივებამ გაჰკვეთა დედამიწის ატმოსფერო. შეიქნა მუდმივი არხი საგარეო სადგურების მიმღებებისა და გადამცემებისათვის. არხი მავთულის მაგივრობას ასრულებდა. იქ , დედამიწიდან ოცდათექვსმეტი ათასი კილომეტრის სიმაღლეზე, ეკიდა სადღეღამისო თანამგზავრი - დიდი სადგური, რომელიც პლანეტის ირგვლივ ბრუნავდა დღეღამის განმავლობაში ეკვატორის გასწვრივ და ამის გამო თითქოს გაუნძრევლად იდგა აღმოსავლეთ აფრიკაში მდებარე მთის - კენიას თავზე. ეს მთა საგარეო სადგურებთან მუდმივი გადაცემებისათვის შერჩეული წერტილი იყო. მეორე დიდი თანამგზავრი ბრუნავდა ორმოცდაჩვიდმეტი ათასი კილომეტრის სიმაღლეზე მერიდიანის გასწვრივ პოლუსების გადაკვეთაზე და უკავშირდებოდა ტიბეტის მიმღებგადამცემ ობსერვატორიას. იქ გადამცემი არხის შემქმნის პირობები უკეთესი იყო, მაგრამ სამაგიეროდ არ არსებობდა მუდმივი კავშირი. ეს ორი თანამგზავრი დედამიწის გარშემო მოთავსებულ რამდენიმე ავტომატურ სადგურს უკავშირდებოდა.

მარჯვენა ვიწრო პანელი ჩაქრა - არხი თანამგზავრის მიმღებ სადგურში ჩაერთო. აინთო მარგალიტისებრი, ოქრომოვლებული ეკრანი. მის ცენტრში გამოჩნდა საოცრად გადიდებული ფიგურა, თანდათან გამოიკვეთა, ვეებერთელა ბაგეებით გაიღიმა. ეკრანზე ზღაპრული ბუმბერაზივით გაიზარდა სადღეღამისო თანამგზავრის ერთ-ერთი დამკვირვებელი გურ განი. მან მხიარულად დაიქნია თავი, შემართა სამმეტრიანი ხელი, ჩვენი პლანეტის გარემომცველი ყველა საგარეო სადგური ჩაირთო. იგი ერთ მთლიანობად შეიკრა დედამიწიდან გაგზავნილი ძალია მეშვეობით. სამყაროს ყველა მხრისაკენ მიმართულ იქნენ მიმღებთა გრძნობიერი თვალები. მარტორქის თანავარსკვლავედის ბუნდოვანი წითელი ვარსკვლავი, რომლის პლანეტიდანაც ცოტა ხნის წინათ გაისმა მოწოდება, ყველაზე უკეთ 57-ე თანამგზავრიდან აღინიშნებოდა და გურ განი სწორედ მას დაუკავშირდა. მხოლოდ სამი მეოთხედი საათის განმავლობაში შეიძლებოდა გაგრძელებულიყო მიწისა და სხვა ვარსკვლავის უჩინარი კონტაქტი. ამ ძვირფასი დროის ერთი წუთის დაკარგვაც კი არ შეიძლებოდა.

დარ ვეტერის ნიშანზე ვედა კონგი ეკრანის წინ ცისფრად მოელვარე ლითონის წრეზე დადგა. უჩინარი სხივები მძლავრ ნაკადად ეშვებოდნენ ზევიდან და შესამჩნევად

აშუქებდნენ მის მზისაგან გაშავებულ კანს. უხმაუროდ ამუშავდნენ ელექტრონული მანქანები, რომლებიც ვედას სიტყვებს დიდი რკალის ენაზე თარგმნიდნენ. ცამეტი წლის შემდეგ მუქ-წითელი ვარსკვლავის პლანეტის მიმღებები საერთოდ ცნობილი სიმბოლოებით ჩაიწერენ გაგზავნილ რხევებს და, თუკი იქ ლაპარაკობენ, ელექტრონული მთარგმნელი მანქანები სიმბოლოებს უცხოთა ცოცხალი მეტყველების ბგერად გადააქცევს.

„მხოლოდ ისაა სამწუხარო, - ფიქრობდა დარ ვეტერი, - - რომ ისინი, შორეულნი, ვერ გაიგონებენ დედამიწის ქალის მჟღერ, რბილ ხმას, ვერ გაიგებენ მის გამომსახველობას. ვინ იცის, როგორ არის მათი ყურები მოწყობილი? შეიძლება სმენის სხვადასხვაგვარი სახეობის არსებობა. მხოლოდ მხედველობა, რომელიც ყველგან ატმოსფეროს გამყოფ ელექტრომაგნიტური რხევების ნაწილს იყენებს, თითქმის მთელ სამყაროში ერთნაირია, და ისინი დაინახავენ მღელვარებით ანთებულ მომხიბვლელ ვედას“.

დარ ვეტერმა, რომელიც თვალს ვერ აცილებდა თმის ბულულებში ოდნავ გამოჩენილ ვედას პაწაწინა ყურს, ლექციას დააყურადა.

ვედა კონგი მოკლედ და ნათლად ყვებოდა კაცობრიობის ისტორიის ძირითად ეპოქებზე. იგი ლაპარაკობდა ძალიან მოკლედ ადამიანის არსებობის უძველეს ეპოქაზე, დიდი და პატარა ერების გათიშულობაზე, მათ ეკონომიურ და იდეურ მტრობაზე, რაც ქვეყნებს ურთიერთისაგან ჰყოფდა. ამ ეპოქებს ეწოდათ შემკრები სახელწოდება გსე - გათიშული სამყაროს ერა. მაგრამ დიდი რკალის დროის ადამიანებს როდი აინტერესებდათ ანტიკური, ბნელი ან კაპიტალიზმის საუკუნეებიდან შემორჩენილი უძველეს ისტორიულ წიგნებში აღწერილი გამანადგურებელი ომების საშინელი ტანჯვა-ვაების ან თითქოსდა დიდი მმართველების ჩამოთვლა. ბევრად უფრო საინტერესო იყო საწარმოო ძალთა განვითარების წინააღმდეგობებით აღსავსე ისტორია იდეების, ხელოვნების, ცოდნის, ნამდვილი ადამიანისა და კაცობრიობისათვის სულიერი ბრძოლის ჩამოყალიბებასთან ერთად. განვითარება მოთხოვნილებისა, რომ შეექმნათ ახალი წარმოდგენები სამყაროს და საზოგადოებრივი ურთიერთობის, მოვალეობის, უფლებებისა და ადამიანის ბედნიერების შესახებ, რომელთაგანაც მთელ პლანეტაზე გაიზარდა და აყვავდა კომუნისტური საზოგადოების ძლიერი ხე.

გსე-ს უკანასკნელ საუკუნეში, ეგრეთწოდებულ გათიშვის საუკუნეში, ადამიანებმა, ბოლოს და ბოლოს გაიგეს, რომ მათი ყველა უბედურება ჯერ კიდევ ველურ პერიოდში სტიქიურად შექმნილი საზოგადოებრივი ურთიერთობიდან გამომდინარეობს, გაიგეს, რომ მთელი ძალა, კაცობრიობის მთელი მომავალი შრომაშია, ჩაგვრისაგან თავისუფალი მილიონობით ადამიანის გაერთიანებულ ღონეშია, მეცნიერებასა და მეცნიერულ საფუძვლებზე ცხოვრების გარდაქმნაშია. გაიგეს საზოგადოების განვითარების ძირითადი კანონები, ისტორიის დიალექტიკური წინააღმდეგობრივი სვლა, მკაცრი საზოგადოებრივი დისციპლინის აღზრდის საჭიროება. ეს მით უფრო მნიშვნელოვანი იყო, რომ ბევრად გაიზარდა პლანეტის მოსახლეობა.

გათიშვის საუკუნეში გამწვავდა ახალი და ძველი იდეების ბრძოლა, რაც იქამდე მივიდა, რომ მთელი სამყარო გაიყო ორ ბანაკად - ძველ - კაპიტალისტურად და - ახალ - სოციალისტურად - სხვადასხვა ეკონომიური წყობის მქონე სახელმწიფოებად. იმ ხანებში ატომური ენერგიის პირველი სახეობების აღმოჩენამ და ძველი სამყაროს დამცველთა ჯიუტობამ მთელი კაცობრიობა კინაღამ უდიდეს კატასტროფამდე მიიყვანა.

მაგრამ ახალ საზოგადოებრივ წყობილებას არ შეიძლებოდა არ გაემარჯვა, თუმცა ეს გამარჯვება დაგვიანდა საზოგადოებრივი შეგნების აღზრდის ჩამორჩენილობის მიზეზით სამყაროს გარდაქმნა კომუნისტურ საფუძვლებზე უაზროა ეკონომიკის ძირფესვიანი შეცვლის, სიღატაკის, შიმშილისა და მძიმე,

დამამცირებელი შრომის მოსპობის გარეშე. მაგრამ ეკონომიკის გარდაქმნა წარმოების ძალზე რთულ მმართველობასა და დანაწილებას მოითხოვდა, რაც შეუძლებელი იყო თვითეული ადამიანის საზოგადოებრივი შეგნების აღზრდის გარეშე.

კომუნისტურ საზოგადოებას უცებ არ მოუცავს ყველა ხალხი და ქვეყანა. მტრობისა და განსაკუთრებით სიცრუის აღმოფხვრას, რომელიც გათიშვის საუკუნეში მტრული პროპაგანდის მეშვეობით გავრცელდა, ძალთა გიგანტური დაძაბვა დასჭირდა. ცოტა შეცდომა როდი იქნა დაშვებული კაცობრიობის ახალი ურთიერთობის განვითარების გზაზეც. აქა-იქ აჯანყებები მოხდა, რომლებსაც წარსულის ჩამორჩენილი მომხრეები ხელმძღვანელობდნენ. ისინი უვიცობის გამო კაცობრიობის წინაშე მდგომ სიძნელეთა გადაჭრის იოლი გზის პოვნას წარსულის აღდგენით ცდილობდნენ.

მაგრამ ცხოვრების ახლებური წყობა მთელ დედამიწაზე გარდუვალად და განუხრელად გავრცელდა. სრულიად განსხვავებული ხალხები და რასები ერთ, მეგობრულ, ბრძნულ ოჯახში გაერთიანდნენ.

ასე დაიწყო მგე - მსოფლიო გაერთიანების ერა, რომელიც ქვეყნების კავშირის, სხვადასხვა ენის, ენერგიისა და საერთო ენისათვის ბრძოლის საუკუნეებისაგან შედგებოდა.

საზოგადოებრივი განვითარება სულ უფრო ჩქარდებოდა და ყოველი ახალი ეპოქა წინა ეპოქაზე სწრაფად გადიოდა. ადამიანის ბატონობა ბუნებაზე გიგანტური ნაბიჯებით იზრდებოდა.

ძველ უტოპიურ ფანტაზიებში მშვენიერი მომავლის შესახებ ხალხი ადამიანის შრომისაგან თანდათანობით გათავისუფლებაზე ოცნებობდა. მწერლები გვპირდებოდნენ, რომ საერთო სიკეთისათვის ხანმოკლე, ორი-სამი საათის შრომით, კაცობრიობა შეძლებს უზრუნველყოფილი იყოს ყოველივე აუცილებლით, ხოლო ხვა დრო ბედნიერ უსაქმურობას დაეთმოს.

ეს წარმოდგენა ძველი დროის მძიმე და იძულებითი შრომისადმი შექმნილმა ზიზღმა წარმოშვა.

მალე ადამიანებმა გაიგეს, რომ შრომა ბედნიერებაა, როგორც უსასრულო ბრძოლა ბუნებასთან, დაბრკოლებების გადალახვა, მეცნიერებისა და ეკონომიკის განვითარების ახალი და ახალი ამოცანების გადაწყვეტა. შრომა ძალების შესაბამისად, შემოქმედებით, თანდაყოლილ თვისებებთან და

გემოვნებასთან სრულად შეთავსებული, მრავალფეროვანი და დრო და დრო ცვალებადი - აი რა უნდა ადამიანს. ავტომატური მართვის ტექნიკისკიბერნეტიკის განვითარებამ, ფართო განათლებამ და ინტელიგენტურობამ, თვითეული ადამიანის საუკეთესო ფიზიკურმა მომზადებამ პროფესიების ცვლის, ახალი პროფესიის სწრაფად დაუფლების და შრომითი საქმიანობის უსაზღვროდ გამრავალფეროვნების საშუალება შექმნა, რაშიც ადმიანი სულ უფრო მეტ სიამოვნებას პოულობდა. სულ უფრო ფართოდ განვითარებულმა მეცნიერებამ მოიცვა ადამიანის მთელი ცხოვრება და ბუნების ახალ საიდუმლოებათა აღმოჩენის სიხარული ხელმისაწვდომი გახდა უამრავი ადამიანისათვის. საზოგადოებრივი აღზრდისა და ცხოვრების მოწესრიგების დიდი ნაწილი ხელოვნებამ

იკისრა. დადგა კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე უფრო დიდებული სშე - საერთო შრომის ერა - საგნების გამარტივების, გარდაქმ ნის, პირველი სიუხვისა და კოსმოსის საუკუნეებით.

ელექტროობის შემჭიდროების გამოგონებამ ვეებერთელა მოცულობის აკუმულატორებისა და კომპაქტური, მაგრამ მძლავრი ელექტრომოტორების შექმნა გამოიწვია, რაც ახალი დროის უდიდეს ტექნიკურ რევოლუციას წარმოადგენდა. კიდევ უფრო ადრე იქნა შესწავლილი ნახევარგამტარების საშუალებით სუსტი დენების ურთულესი ქსელის შეკვრა და თვითმმართველი კიბერნეტიკული მანქანის შექმნა. ტექნიკა ოქრომჭედლობასავით სუფთა სამუშაო გახდა, მაღალი ხელოვნებით, ამავე დროს იგი კოსმოსური მასშტაბის ძლიერებას იმორჩილებდა.

მაგრამ თვითეულის მოთხოვნილება იწვევდა აუცილებლობას არსებითად გაემარტივებინათ ადამიანისათვის საჭირო ხარჯები. ადამიანი აღარ წარმოდგენდა საგნების მონას, ხოლო დეტალური სტანდარტების დამუშავებამ შექმნა საშუალება შექმნილიყო ყოველგვარი საგანი და მანქანა შედარებით მწირი ძირითადი

კონსტრუქციული ელემენტებისაგან, ისევე, როგორც ცოცხალი ორგანიზმების დიდი სხვადასხვაგვარობა უჯრედებს უმნიშვნელო ნაირგვარობისაგან შედგება; უჯრედი- ცილისაგან, ცილები - პროტეინებისაგან და ა.შ. წარსულ საუკუნეებში საკვების დაუჯერებელი მფლანგველობის მხოლოდ შემცირებამაც კი საკვებით მილიარდობით ადამიანი უზრუნველყო.

საზოგადოების მთელი ძალები, რომლებიც ძველად საომარი მანქანების შექმნისათვის, სასარგებლო შრომაში დაუსაქმებელი ვეებერთელა არმიის შენახვისათვის, პოლიტიკური პროპაგანდისა და თვალის მოსატყუებელი

ზიზილ-პიპილებისათვის იხარჯებოდა, გადასროლილ იქნა ცხოვრების გასაუმჯობესებლად, მეცნიერული ცოდნის გასავითარებლად.

ვედას ნიშანზე დარ ვეტერმა ჭიკარტს ხელი დააჭირა და მშვენიერი ისტორიკოსის გვერდით დიდი გლობუსი ამოიზარდა.

- ჩვენ, - განაგრძო ვედამ, - პლანეტის საცხოვრებელი და სამრეწველო ზონების სრული გადანაწილებით დავიწყეთ...

ყავისფერი ზოლები გლობუსზე განედის ოცდაათი გრადუსის გასწვრივ ჩრდილოეთ და სამხრეთ ნახევარსფეროებზე აღნიშნავდა ქალაქის მოსახლეობის უწყვეტ ჯაჭვს, რომლებიც თავმოყრილნი არიან თბილი ზღვების ნაპირებზე, რბილი ჰავის ზონაში, სადაც ზამთარი არ იცის. კაცობრიობამ შეწყვიტა კოლოსალური ენერგიის ხარჯვა ზამთრობით საცხოვრებელი ბინების გასათბობად, ხამი ქსოვილის ტანსაცმლების დამზადება. განსაკუთრებით მჭიდრო დასახლებამ მოიყარა თავი კაცობრიობის კულტურის აკვანთან - ხმელთაშუა ზღვასთან. სუბტროპიკული სარტყელი სამმაგად გაფართოვდა პოლარული ქედების დადნობის შემდეგ.

ჩრდილოეთის საცხოვრებელი სარტყლისჩრდილოეთით იშლება ველებისა და სტეპების გიგანტური ზონები, სადაც შინაურ ცხოველთა ურიცხვი ჯოგები ბალახობენ.

სამხრეთით (ჩრდილოეთ ნახევარსფეროზე) და ჩრდილოეთით (სამხრეთზე) მშრალი და ცხელი უდაბნოების სარტყელი იყო, რაც ახლა ბადეებადაა გარდაქმნილი. აქ წინათ მზის ენერგიის შემკრები თერმოელექტრული სადგურები იყო მოთავსებული.

ტროპიკების ზონაში მცენარეული საკვებისა და მერქნის წარმოებაა თავმოყრილი, რაც

ათასჯერ უფრო მომგებიანია, ვიდრე ცივ ჰავიან ზონებში. უკვე დიდი ხანია, ნახშირწყლების- შაქრების - მზის სინათლისაგან ხელოვნურად მიღების შესაძლებლობის აღმოჩენის შემდეგ ჩვენ შევწყვიტეთ შაქრის შემცველი მცენარეულის გაშენება. სრულფასოვანი საკვები ცილების იაფფასიანი საწარმოო დამუშავება ჯერ კიდევ არ ძალგვიძს, ამიტომ მოგვყავს ცილებით მდიდარი ხმელეთის კულტურული მცენარეები და სოკოები, აგრეთვე წყალმცენარეები, რომლებითაც დაფარულია კოლოსალური ველები ოკეანეებში. საკვები ცხიმების ხელოვნურად მიღების მარტივი საშუალება შევითვისეთ დიდი

რკალის ინფორმაციით, ქვანახშირისაგან ვიღებთ ნებისმიერი რაოდენობის ყოველგვარ ვიტამინებსა და ჰორმონებს. ახალი ქვეყნის სოფლის მეურნეობას აღარ სჭირდება მოიპოვოს უკლებლივ ყველა სახის საკვები, როგორც ეს წინათ იყო. შაქრების, ცხიმებისა და ვიტამინების წარმოების საზღვარი ჩვენთვის პრაქტიკულად არ არსებობს. მხოლოდ და მხოლოდ ცილების საწარმოებლად გამოყოფილია ხმელეთისა და ზღვის გიგანტური ფართობები. კაცობრიობა დიდი ხანია გათავისუფლდა შიმშილობის შიშისაგან, რაც ადამიანებზე ათეულ ათასწლობით ბატონობდა.

ადამიანის ერთ-ერთი უმთავრესი სიხარულია მოგზაურობისადმი, ადგილიდან ადგილზე გადანაცვლებისადმი მისწრაფება, რაც მემკვიდრეობად მივიღეთ ჩვენი წინაპრებისაგან - მოხეტიალე მონადირეებისაგან, ღარიბული საკვების მომპოვებელთაგან. ახლა მთელ პლანეტას გარს ეხვევა სპირალური გზა, რომელიც სრუტეებზე გადებული უზარმაზარი ხიდებით აერთებს ყველა მატერიკს, - ვედამ თითი გააყოლა ვერცხლისფერ ძაფს და გლობუსი შემოაბრუნა, - სპირალურ გზაზე შეუჩერებლივ მოძრაობენ ელექტრომატარებლები. ასეულ ათასობით ადამიანს შეუძლია ძალიან სწრაფად საცხოვრებელი ზონიდან სტეპის, მინდვრის, მთის ზონებში გადაინაცვლოს, სადაც არ არის მუდმივი ქალაქები, არამედ მხოლოდ მეცხოველეობის, ნათესების, სატყეო და სამთო მრეწველობის ოსტატთა დროებითი ბანაკებია. ყველა ქარხნებისა და ენერგოსადგურების სრულმა ავტომატიზაციამ მოსპო მათ მახლობლად ქალაქებისა ან დიდი სოფლების აშენების საჭიროება - იქ არის სახლები მხოლოდ რამდენიმე მორიგისათვის: დამკვირვებლებისათვის, მექანიკოსებისათვის, მონტიორებისათვის.

ცხოვრების გეგმაზომიერმა ორგანიზაციამ, ბოლოს და ბოლოს, შეწყვიტა სიჩქარისადმი

მომაკვდინებელი სწრაფვა - სულ უფრო და უფრო სწრაფი სატრანსპორტო მანქანების მშენებლობა. სპირალურ გზაზე მატარებლები გადიან ორას კილომეტრს საათში. მხოლოდ რაღაც უბედურ შემთხვევებში სარგებლობენ სწრაფმავალი ხომალდებით, რომლებიც საათში ათასობით კილომეტრს გადიან. რამდენიმე ასეული წლის წინათ ჩვენ ბევრად გავაუმჯობესეთ ჩვენი პლანეტის მოყვანილობა. ჯერ კიდევ გათიშვის საუკუნეში მოხდა შიდაატომური ენერგიის აღმოჩენა. მაშინვე ისწავლეს მისი უმნიშვნელო ნაწილის გათავისუფლება და სითბურ აფეთქებად გარდაქმნა, რომლის გამანადგურებელი თვისებანი დაუყოვნებლივ სამხედრო იარაღად იქნა გამოყენებული. დაგროვდა საშინელი ყუმბარების დიდი მარაგი, რომელიც შემდეგ, კომუნიზმის დამყარებისას, შეეცადნენ ენერგიის საწარმოებლად გამოეყენებინათ. გამოსხივების ძალზე

დიდი საშიშროება და სიცოცხლეზე მისი ზეგავლენა მალე იქნა გაგებული, რამაც ძველი ატომგულის ენერგეტიკა ვიწრო ფარგლებით შემოსაზღვრა. თითქმის ერთდროულად ასტრონომებმა შორეული ვარსკვლავების ფიზიკის შესწავლის საშუალებით აღმოაჩინეს შიდაატომური ენერგიის მიღების ორი ახალი გზა - კუ და ფ, რომლებიც ბევრად უფრო მოქმედნი იყვნენ და არ სტოვებდნენ დაშლის საშიშ პროდუქტებს.

ორთავე ეს საშუალება გამოიყენება ჩვენს მიერ ახლაც, თუმცა ვარსკვლავმფრენების ძრავებში იხმარება ატომგულის ენერგიის კიდევ ერთი სახეობა - ანამეზონი, რომელიც ცნობილი გახდა დიდი რკალის მეშვეობით, გალაქტიკის დიდ ვარსკვლავებზე დაკვირვებით.

გადავწყვიტეთ ძველთაგან დაგროვილი ძველებური თერმოატომული მასალების მარაგი - ურანის რადიოაქტიური იზოტოპები, თორიუმი, წყალბადი, კობალტი, ლითიუმი - მოგვესპო, როგორც კი აღმოჩენილ იქნა მათი დაშლის პროდუქტების დედამიწის ატმოსფეროს გარეთ გასროლის საშუალება. მაშინ გარდაქმნის საუკუნეში დავამზადეთ ხელოვნური მზეები, რომლებიც პოლარულ ოლქებზე ჩამოვკიდეთ. ძალზე შევამცირეთ ყინულოვანი ქედები. რომლებიც შეიქმნა დედამიწის პოლუსებზე გამყინვარების მეოთხეულ ეპოქაში და შევცვალეთ მთელი პლანეტის ჰავა. ოკეანეებში წყალი შვიდი მეტრით აიწია, ატმოსფერულ ცირკულაციაში მკვეთრად შემცირდა პოლარული ფრონტები და დასუსტდა პასატური ქარების რკალები, რომლებმაც გამოფიტეს უდაბნოთა ზონები ტროპიკების საზღვრებთან. თითქმის შეწყდა გრიგალისებური ქარები, საერთოდ ამინდის ყოველგვარი ქარიშხლისებური დარღვევანი.

სამოცდამეექვსე პარალელამდე გადაიშალა თბილი ტრამალები, ხოლო ზომიერი სარტყლის ველებმა და ტყეებმა სამოცდამეათე პარალელი გადაჰკვეთეს.

ანტარქტიკის მატერიკის სამი მეოთხედი გათავისუფლდა ყინულებისაგან. იგი აღმოჩნდა კაცობრიობის მადნეულის საუნჯე- აქ ხელუხლებლად შემოინახა სამთო სიმდიდრე, რაც ყველა სხვა მატერიკზე მნიშვნელოვნად იყო გადამუშავებული. ლითონები განუსჯელად იქნა გაფანტული წარსულის გამანადგურებელ ომებში, რაც თითქმის ყველგან წარმოებდა. ანტარქტიდაშივე შეიქმნა შესაძლებელი სპირალური გზის შეკვრა.

ჯერ კიდევ ჰავის კაპიტალურ გარდაქმნამდე გათხრილ იქნა ვეებერთელა არხები და გაჭრილ იქნა მთათა ქედები პლანეტის წყლისა და ჰაერის მასების

ცირკულაციის მოსაწესრიგებლად. მუდმივი დიელექტრული ტუმბოები აზიის მაღალმთიანი უდაბნოების გაწყლიერებაშიც კი დაგვეხმარნენ.

საკვები პროდუქტების წარმოების შესაძლებლობა მრავალგზის გაიზარდა. ახალი მიწები ცხოვრებისათვის კეთილსასურველი გახდა. თბილი შიდაზღვები გამოყენებულ იქნენ ცილებით მდიდარი წყალმცენარეების მოსაშენებლად.

ძველმა, სახიფათო და სუსტმა პლანეტმფრენებმა საშუალება მოგვცეს ჩვენი სისტემის უახლოესი პლანეტებისათვის მიგვეღწია. დედამიწას ხელოვნური თანამგზავრების სარტყელი შემოერტყა, რომელთა მეშვეობითაც ადამიანები ახალო გაეცვნენ კოსმოსს, და აი, ოთხას რვა წლის წინათ მოხდა იმდენად მნიშვნელოვანი შემთხვევა, რომ დასაბამი მიეცა ახალ ერას კაცობრიობის ისტორიაში - დრე-ს დიდი რკალის ერას.

ხანგრძლივი დროის მანძილზე ადამიანის აზროვნება ცდილობდა მოეხერხებინა გამოსახულების, ბგერის, ენერგიის შორ მანძილზე გადაცემა. ასეულ ათასობით უნიჭიერესი მეცნიერი მუშაობდა განსაკუთრებულ ორგანიზაციაში, რომელსაც დღემდე მიმართულებითი გამოსხივების აკადემია ეწოდება, სანამ არ მიაღწიეს დიდ მანძილზე უგამტაროდ ენერგიის გადაცემას. ეს შესაძლებელი გახდა, როცა მოიძებნა შემოვლითი გზა კანონისა - ენერგიის ნაკადი სხივთა განშლის კუთხის სინუსის პროპორციულია. მაშინ გამოსხივების პარალელურმა კონებმა უზრუნველყვეს მუდმივი კავშირის დამყარება ხელოვნურ თანამგზავრებთან და, მაშასადამე, მთელ

კოსმოსთანაც, სიცოცხლის დამცველი ატმოსფეროს იონიზირებული ეკრანი სივრცეებში გადაცემისა და მიღების მუდმივ წინააღმდეგობას წარმოადგენდა. უძველეს დროს, ჯერ კიდევ გათიშული სამყაროს ერის დასასრულს ჩვენმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მძლავრი რადიო გამოსხივების ნაკადი დედამიწაზე კოსმოსიდან იღვრება. თანავარსკვლავედებისა და გალაქტიკის საერთო გამოსხივებას თან ერთად ჩვენამდე აღწევდა მოწოდებები კოსმოსიდან და დიდი რკალის გადაცემები, ატმოსფეროში დამახინჯებული და ნახევრად ჩამქრალი. ჩვენ მაშინ მათ ვერ ვგებულობდით, თუმცა ვისწავლეთ ამ საიდუმლო სიგნალების დაჭერა და ისინი მკვდარი მატერიის გამოსხივებად მიგვაჩნდა. მეცნიერმა კამ ამატმა, რომელიც წარმოშობით ინდოელი იყო, მოიფიქრა ხელოვნურ თანამგზავრებზე ჩაეტარებინათ ცდები გამოსახულებათა მიმღებებზე. უსასრულო მოთმინებით ათეულ წლობით ითვისებდა იგი დიაპაზონების სულ ახალ და ახალ კომბინაციებს.

კამ ამატმა დაიჭირა გადმოცემა ორმაგი ვარსკვლავის პლანეტიდან, რომელსაც

უძველესი ხანიდან გედის 61 ეწოდება. ეკრანზე გამოჩნდა არსება, რომელიც ჩვენ არ გვგავდა, მაგრამ უთუოდ ადამიანი იყო, და დიდი რკალის სიმბოლოების წარწერებზე მიუთითა. წარწერის წაკითხვა მხოლოდ ოთხმოცდაათი წლის შემდეგ შეძლეს და იგი ჩვენი დედამიწის ენაზე ამშვენებს კამ ამატის ძეგლს:

„სალამი თქვენ, ჩვენს ოჯახში შემომავალო ძმებო. სივრცითა და დროით გათიშულები გონებით გავერთიანდით დიდი რკალის ძალაში''.

დიდი რკალის სიმბოლოების, ნახაზებისა და რუკების ენა კაცობრიობის მიერ მიღწეული განვითარების დონისათვის ადვილად ასათვისებელი აღმოჩნდა. ორასი წლის შემდეგ ჩვენ უკვე შეგვეძლო მთარგმნელი მანქანების დახმარებით გვესაუბრა უახლოესი ვარსკვლავების პლანეტარულ სისტემებთან, მიგვეღო და გადაგვეცა სხვადასხვა სამყაროთა მრავალფეროვანი ცხოვრების მთელი სურათები. ცოტა ხნის წინათ ჩვენ მივიღეთ ცნობა სიცოცხლის დიდი ცენტრის თოთხმეტი პლანეტიდან, გედის თანავარსკვლავედის ვარსკვლავ დენების სისტემიდან - იგი კოლოსალური ვარსკვლავია ოთხი ათას რვაასი მზისოდენა ნათებით, და ჩვენგანაც ასოცდაორი

პარსეკის მანძილზე იმყოფება. აზროვნების განვითარებია იქ სხვა გზით მიდიოდა, მაგრამ ჩვენს დონემდე მაინც მოაღწია.

ხოლო ძველი სამყაროებიდან - ჩვენი გალაქტიკის წრისებურ თავშეყრაში და გალაქტიკური ცენტრის გარშემო კოლოსალურად დასახლებულ ოლქებში - უსაზღვრო სიშორედან მოდის უცნაური სურათები და სანახაობები, ჯერ კიდევ გაუგებარნი, ჩვენს მიერ ჯერ კიდევ გაუშიფრავნი. მათ იწერენ მახსოვრობის მანქანები და გადასცემენ ცოდნის საზღვრების აკადემიას - ასე ეწოდება ორგანიზაციას, რომელიც ჯერ მხოლოდ ჩანასახოვან მდგომარეობაში მყოფ პრობლემებზე მუშაობს. ვცდილობთ გავიგოთ ჩვენგან მილიონ წლობით დაცილებული აზრი, რომელიც, ცხადია განსხვავდება ჩვენი აზრისაგან, რადგანაც იქ სხვადასხვაგვარად მიმდინარეობდა სიცოცხლეთა ისტორიული განვითარება დაბალი ორგანული ფორმირებიდან მაღალისაკენ, მოაზროვნე არსებებისაკენ.

ვედა კონგი შემობრუნდა ეკრანიდან, რომელსაც მონუსხულივით მისჩერებოდა და კითხვით შეხედა დარ ვეტას. მან გაიღიმა და გამამხნევებლად დაუქნია თავი. ვედამ

ამაყად აღმართა მაღლა სახე, ხელები წინგაიშვირა და მიმართა იმ უხილავებსა და უცნობებს, რომლებიც ცამეტი წლის შემდეგ გაიგონებენ მის სიტყვებს და დაინახავენ მის გამოსახულებას:

- ასეთია ჩვენი ისტორია, ცოდნის მწვერვალებისაკენ აღმავალი მძიმე, რთული და გრძელი გზა. მოგიწოდებთ შეუერთდეთ დიდ რკალს, რათა უსასრულო სამყაროში ყოველმხრივ გავავრცელოთ გონების მძლავრი ძალა, დავამარცხოთ უმოქმედო, უსიცოცხლო მატერია!

ვედას ხმა საზეიმოდ გაისმა, მან შემოიერთა ძალა მიწიერ ადამიანთა ყველა თაობისა, რომელნიც ახლა ისე ამაღლდნენ, რომ მათი აზრები გასცდა საკუთარი გალაქტიკის საზღვრებს და სამყაროს სხვა ვარსკვლავეთის კუნძულებს მისწვდა.

გაისმა ბრინჯაოს გაჭიანურებული წკრიალი - ეს დარ ვეტერმა გადასწია სახელური და გამორთო ენერგიის გადამცემი ნაკადი. ეკრანი ჩაქრა. მარჯვნივ გამჭვირვალე პანელზე გამზიდი არხის მანათობელი სვეტი დარჩა.

დაქანცული და დადუმებული ვედა დიდი სავარძლის სიღრმეში ჩაეშვა. დარ ვეტერმა მართვის მაგიდასთან მვენ მასი დასვა, თვითონ კი მის მხართან დაიხარა. სრულ სიწყნარეში ხანდახან მხოლოდ სახელურთა ტკაცუნი ისმოდა. უეცრად ოქროს ჩარჩოიანი ეკრანი გაქრა და მის ადგილზე არნახული სიღრმე გაიშალა. ვედა კონგმა, რომელმაც პირველად ნახა ეს სასწაული, ხმამაღლა ამოიხვნეშა. მართლაც კარგად მცოდნეც სხივური ტალღების რთული ინტერფერენციის გზისა, რომლითაც ხედვის ასეთი სიღრმე და სიფართე იქნა მიღწეული, ამ სანახაობით ყოველთვის თავბრუდასხმული დარჩებოდა.

შორიდან ახლოვდებოდა უცხო პლანეტის ბნელი ზედაპირი. იგი ყოველ წამს იზრდებოდა. ეს იყო განსაკუთრებით იშვიათი სისტემა ორმაგი ვარსკვლავისა, სადაც ორი მზე იმგვარად აწონასწორებდნენ ერთმანეთს, რომ მათი პლანეტების ორბიტი სწორი იყო და მათზე შეიძლებოდა სიცოცხლის აღმოცენება. ჩვენს მზეზე უფრო პატარა ორი მზე - ნარინჯისფერი და ალისფერი - აშუქებდა გაყინული ზღვის ყინულებს, რომელიც წითლად ჩანდა. შავი, ბრტყელი მთების განაპირას გასაოცარ იისფერ ანარეკლებში გიგანტური ჯმუხი შენობა ჩანდა. მხედველობის სხივი თითქო დაებჯინა

მისი სახურავის მოედანს, თითქო გაჰკვეთა იგი და ყველამ დაინახა რუხკანიანი ადამიანი, ბუს მსგავსი მრგვალი თვალებით, რომელსაც ვერცხლის ფერი ბუმბული ჰქონდა შემოვლებული. ტანად მაღალი, მაგრამ ძალიან გამხდარი იყო და საცეცებივით გრძელი კიდურები ჰქონდა. კაცმა უაზროდ დადუნა თავი, თითქო ნაჩქარევი სალამი თქვა, და ეკრანს თავის უაზრო, ობიექტივის მსგავსი თვალები მიაპყრო, გააღო უტუჩო პირი, რომელიც ცხვირის მსგავსი რბილი

კანის სარქვლით ჰქონდა დაფარული. მყისვე გაისმა მთარგმნელი მანქანის მელოდიური და ნაზი ხმა:

- ზავ ფტეტი, სამოცდაერთი გედის საგარეო ინფორმაციის გამგე. დღეს ჩვენ ყვითელი ვარსკვლავისათვის სტლ 3388+04+ჟფ გადავცემთ... გადავცემთ...

დარ ვეტერმა და იუნი ანტმა ერთმანეთს გადახედეს, ხოლო მვენ მასმა წამით ჩაბღუჯა დარ ვეტერის მაჯა. ეს იყო გალაქტიკური მოწოდება დედამიწისა, უფრო ზუსტად, მზის საპლანეტო სისტემისა. ოდესღაც სხვა სამყაროთა მეთვალყურენი მას ორმოცდაცხრამეტი მიწის წელიწადის განმავლობაში მზის გარშემო მბრუნავ ერთიან დიდ თანამგზავრად თვლიდნენ. ამ ხნის განმავლობაში ერთხელ ხდება იუპიტერისა

და სატურნის ერთდროული წინ დგომა, რაც შესამჩნევი იყო უახლოესი ვარსკვლავების ასტრონომებისათვის. ასეთივე შეცდომას სჩადიოდნენ ჩვენი ასტრონომებიც ბევრი საპლანეტო სისტემის მიმართ, რომელთა ცალკეულ ვარსკვლავებთან არსებობაც ჯერ კიდევ უძველეს ხანებში იქნა აღმოჩენილი.

იუნი ანტმა უფრო ჩქარა, ვიდრე გადაცემის დასაწყისში, შეამოწმა მახსოვრობის

მანქანის ვარგისიანობა და საათისებრ ფხიზელ ხელსაწყოთა - ოეს - ის ჩვენებანი.

ელექტრონული მთარგმნელის გულგრილი ხმა განაგრძობდა:

- მივიდეთ საკმაოდ კარგი გადაცემა ვარსკვლავიდან... - - ისევ გაისმა ციფრებისა და ნაწყვეტ- ნაწყვეტი ბგერების რიგი, - შემთხვევით, დიდი რკალის გადაცემის დროის გარეშე. მათ ვერ გაუშიფრავთ რკალის ენა და ტყუილად ხარჯავენ ენერგიას მდუმარების საათების დროს. ჩვენ მათ ვუპასუხებთ მათი საკუთარი გადაცემის დროს - შედეგი ცნობილი იქნება დაახლოებით სამი ათეული წამის შემდეგ... - ხმა მიწყდა. სიგნალის ხელსაწყოები ნათებას აგრძელებდნენ, გარდა ჩამქრალი მწვანე თვალისა.

- გადაცემებისას ეს ჯერ კიდევ აუხსნელი შესვენებები შეიძლება ჩვენს შორის არსებული ასტრომფრინავების ლეგენდარული ნეიტრალური ველის მიზეზი იყოს, - აუხსნა ვედას იუნი ანტმა.

- სამი ათეული გალაქტიკური წამი - ეს დაახლოებით ექვსასი წლის ლოდინს უდრის, - შეჭმუხვნით წაიბუტბუტა დარ ვეტერმა, - საინტერესოა, რად გვინდა ეს?

- რამდენადაც გავიგე, ვარსკვლავი, რომელსაც ისინი დაუკავშირდნენ, არის ეპსილონი ტუკანა, სამხრეთის ცის თანავარსკვლავედი,- გამოეხმაურა მვენ მასი, - რომელიც ოთხმოცდაათი პარსეკითაა დაშორებული. ეს ახლოა ჩვენი მუდმივი კავშირის საზღვრებთან. ჩვენ ხომ კავშირი დენებს იქით არ დაგვიმყარებია.

- მაგრამ, ჩვენ ხომ გალაქტიკის ცენტრსაც და ბირთვისებრ შეჯგუფებებსაც ვიღებთ - იკითხა ვედა კონგმა.

- არარეგულარულად, შემთხვევითი მიღებით ან რკალის სხვა წევრების მახსოვრობის მანქანათა მეშვეობით, რომელნიც გალაქტიკის სივრცეში გაჭიმულ ჯაჭვს ქმნიან, - უპასუხა მვენ მასმა.

- ათასობით ან ათეულ ათასობით წლის უკან გამოგზავნილი ცნობა, სივრცეში არ იკარგება და ბოლოს და ბოლოს ჩვენამდე აღწევს, - დაუმატა იუნი ანტმა.

- მაგრამ განა ეს ნიშნავს, რომ სხვა, შორეულ სამყაროთა ადამიანების ცხოვრებისა და შეგნების შესახებ ჩვენ დაგვიანებით ვმსჯელობთ? მაგალითად, გალაქტიკის ცენტრის ზონისათვის ოცი ათასი წლის შემდეგ?

- დიახ, მნიშვნელობა არა აქვს იმას, მათ უახლოეს სამყაროთა მახსოვრობის მანქანებით ვღებულობთ, თუ ჩვენი სადგურები იჭერენ. ჩვენ ვხედავთ ქვეყნებს ისეთნაირად, როგორებიც ისინი უძველეს ხანებში იყვნენ. ვხედავთ ძველისძველად დახოცილთ და თავიანთ ქვეყანაში დავიწყებულთ.

- ნუთუ ჩვენ, რომლებმაც ძალაუფლება მოვიპოვეთ ბუნებაზე, აქ უღონონი ვართ? - ბავშვივით აღელდა ვედა. - ნუთუ შორეულ ქვეყნებამდე სხვა გზით მიღწევა არ შეიძლება, სხვა იარაღით, ვიდრე ტალღისებრი, ანუ ფოტონური სხივია.[19]

- რა კარგად მესმის თქვენი, ვედა - წამოიძახა მვენ მასმა.

- ცოდნის ზღვრის აკადემიაში მუშაობენ სივრცის, დროის, მიზიდულობის - კოსმოსის საფუძველთა სიღრმის - დაძლევის პროექტებზე, - - ჩაერია დარ ვეტერი, - - მაგრამ ისინი ჯერ საცდელ სტადიამდე არ მისულან და ვერ შეძლეს...

მოულოდნელად მწვანე თვალმა იფეთქა და უსასრულობაში ჩაძირულმა ღრმა ეკრანმა ვედას თავბრუ დაახვია.

გამოსახულების მკვეთრად შემოსაზღვრულ ნაპირები აჩვენებდნენ, რომ ეს მახსოვრობის მანქანის ჩანაწერი იყო და არა გადმოცემის პირდაპირი დაჭერა.

ჯერ გამოჩნდა პლანეტის ზედაპირი, ცხადია, სადგურ- თანამგზავრის შიგნიდან დანახული. ვეებერთელა, მკრთალ-იისფერი, მეტისმეტი ვარვარისაგან გამჭვირვალე მზე გამკვეთი სხივებით ავსებდა მისი ატმოსფეროს ლურჯ ღრუბლებიან საბურველს.

- ასედაც არის - ეპსილონ ტუკანას პლანეტის მნათობი, 39 კლასის მაღალტემპერატურიანი ვარსკვლავი, - მისი ნათება სამოცდათვრამეტ ჩვენს მზეს უდრის - წაიჩურჩულა მვენ მასმა.

დარ ვეტერმა და იუნი ანტმა თანხმობის ნიშნად თავი დაიქნიეს.

სანახაობა შეიცვალა, თითქო შევიწროვდა და უხილავი სამყაროს ზედ ნიადაგზე დაეშვა.

მაღლა აღიმართნენ მთათა მომრგვალებული მწვერვალები, რომლებიც ბრინჯაოსაგან გამოკვეთილებს ჰგავდნენ. უცნობი ჯიში, თუ მარცვლისებრი აგებულების ლითონი, ცეცხლივით ღაჟღაჟებდა ლურჯი მზის გასაოცრად მოციალე თეთრ შუქზე. ხელსაწყოთა არასრულყოფილი გადაცემის დროსაც კი უხილავი სამყარო საზეიმოდ, რაღაცნაირი ძლევამოსილი დიდებულებით ბრწყინავდა.

ბრინჯაოს მთათა მოვერცხლო-ვარდისფერ გვირგვინებს არშიასავით შემოვლებოდა იისფერი ზღვის მდორე ტალღებზე ფართო ზოლად არეკლილი სხივთა ათინათები, დაბურული ამეთვისტოსფერი წყალი მძიმე ჩანდა და შიგნიდან წითელი ნაპერწკლებით ციალებდა, როგორც ცოცხალი პაწაწინა თვალების გუნდი. ტალღები ლოკავდნენ ბუმბერაზი ქანდაკების მასიურ საძირკველს, რომელიც ნაპირიდან დაცილებით ამაყად განმარტოებული იდგა. მუქ წითელი ქვისგან გამოკვეთილი ქალი

თავგადაგდებული, თითქო ექსტაზში მყოფი ცეცხლმოდებული ცის სიღრმისაკენ ხელებგაშვერილი იყო. იგი სავსებით შეიძლებოდა მიწიერ ქალიშვილად ჩაგეთვალათ - ჩვენს ადამიანებთან სრული მსგავსება არანაკლებ გაოცებდათ, ვიდრე ქანდაკების საოცარი სილამაზე. მის სხეულში თითქოს განხორციელებული იყო დედამიწის მოქანდაკეთა ოცნება, შერწყმული იყო ძლიერი ძალა და სახისა და სხეულის თვითეული ხაზის გასულიერება. გაპრიალებული წითელი ქვის ქანდაკება უხილავი და ამდენად საიდუმლოებით მოცული და წარმტაცი ცხოვრების ცეცხლს აფრქვევდა.

დედამიწელი ხუთი ადამიანი უსიტყვოდ მისჩერებოდა გასაოცარ ახალ ქვეყანას. მხოლოდ მვენ მასს ფართო მკერდიდან აღმოხდა ხანგრძლივი ოხვრა - ქანდაკების პირველი შეხედვისთანავე ნერვები სასიხარულოდ დაეძაბა.

ქანდაკების პირდაპირ, სანაპიროზე, ჩუქურთმიანი ვერცხლის კოშკურები აღნიშნავდნენ ფართო თეთრი კიბის დასაწყისს, რომელიც თავისუფლად იყო აღმართულ ფირუზისფოთლებიან ხშირ ხეთა შორის.

- ისინი ალბათ რეკენ! - ვედას ყურში ჩასჩურჩულა დარ ვე ტერმა და მაღალ კოშკებზე მიუთითა. ისიც თავის დაქნევით დაეთანხმა.

ახალი პლანეტის გადამცემი აპარატი თანმიმდევრობით და უხმაუროდ აგრძელებდა ახალი სურათების ჩვენებას.

წამით გაიელვეს ცისფერი ქვის პორტალებით მოჩუქურთმებულმა ფართოშვერილებიანმა თეთრმა კედლებმა და ეკრანზე გადაიშალა ძლიერი შუქით ავსებული მაღალი შენობა. დაღარული კედლების დაბურული მარგალიტის ფერი მკაფიოს ხდიდა ყველაფრის სინატიფეს, რაც კი დარბაზში იყო. ყურადღებას იქცევდა ადამიანთა ჯგუფი, რომელიც ზურმუხტის გაპრიალებულიპანელის წინ იდგა.

მათი კანის ცეცხლივით წითელი ფერი ზღვასთანმდგომი ქანდაკების ელფერს შეესაბამებოდა. მათში არაფერი იყო დედამიწისათვის არაჩვეულებრივი ცენტრალური ამერიკის ინდოელთა ზოგიერთ ტომს, ძველთაგან შემონახული ფერადი ფოტოსურათებით თუ განვსჯით, ასეთივე, ოღონდ ცოტა ნაკლებ მუქი ტონის კანი ჰქონდათ.

დარბაზში იყო ორი დედაკაცი და ორი მამაკაცი. ორთავე წყვილს სხვადასხვა ტანსაცმელი ეცვა. მწვანე პანელთან ახლო მდგომნი მოკლე ოქროსფერი ჩასაცმელებით გამოირჩეოდნენ, რაც მრავალნაირ შესაკრავებიან მოხდენილ კომბინეზონებს ჰგავდა. მეორე წყვილი თავიდან ბოლომდე კედლებივით მარგალიტისფერ ერთნაირ ლაბადებში იყვნენ გახვეულნი.

პანელთან მსხდომნი ნაზ მოძრაობებს აკეთებდნენ, ეხებოდნენ მარცხენა მხარეს გაჭიმულ ირიბ სტენდებს. გაპრიალებული ზურმუხტის კედელი თუ მინა გამჭვირვალე გახდა. მათი მოძრაობის ტაქტის მიხედვით კრისტალში ერთმანეთის შენაცვლებით ცურავდნენ მკვეთრი გამოსახულებანი. ისინი ისე უცბად ქრებოდნენ და ჩნდებოდნენ, რომ გაწვრთნილ მეთვალყურეებს - იუნი ანტს და დარ ვეტერს - უჭირდათ შინაარსის მთლიანი გაგება.

ბრინჯაოს მთების, იისფერი ოკეანისა და ფირუზის ტყეების მონაცვლეობაში იკვეთებოდა პლანეტის ისტორია. წარსულის აჩრდილებივით გაიარა მცენარეთა

და ცხოველთა ფორმების ჯაჭვმა, ზოგჯერ საოცრად გაურკვეველმა, ზოგჯერ მშვენიერმა.

ბევრი ცხოველი და მცენარე ჰგავდა იმათ, რომელთა ნარჩენებიც დედამიწის ქერქის შრეთა ჟამთააღმწერელს შემოუნახავს. ხანგრძლივად გაიჭიმა ცოცხალი მატერიის მიერ განვლილი ცოცხალ ფორმათა აღმავალი კიბე. განვითარების უსასრულოდ გრძელი გზა ბევრად უფრო ხანგრძლივი, მძიმე და მტანჯველი ჩანდა, ვიდრე დედამიწის თვითეული მცხოვრებისათვის ცნობილი მისი საკუთარი წარმოშობა. ხელსაწყოს ლანდისებრ სინათლეში ახალი სურათები აციმციმდა: დიდი კოცონები, ვაკეზე დაგროვილი სიპი ქვები, ბრძოლა გაშმაგებულ მხეცებთან, დაკრძალვისა და რელიგიური მსახურების საზეიმო წეს-ჩვეულებანი. მთელ პანელზე წამოიმართა მამაკაცის ფიგურა, რომელსაც ჭრელი ტყავის ლაბადა ჰქონდა შემოხვეული. იგი ცალი ხელით შუბს ეყრდნობოდა, მეორე ყოვლისმომცველი ჟესტით შეემართა ვარსკვლავებისაკენ, ფეხი დაედგა კისერზე ძირდამხობილ საოცრებისათვის, რომელსაც ზურგის გასწვრივ უხეში ფაფარი და დაკრეჭილი გრძელი ეშვები ჰქონდა. უკანა ფონზე ქალები და კაცები მწკრივად იდგნენ, ერთმანეთისათვის წყვილ- წყვილად ჩაეკიდათ ხელები და, ეტყობოდა, რაღაცას მღეროდნენ.

გამოსახულება გაქრა, ცოცხალ ჩვენებათა ადგილზე გაპრიალებული ქვის ბნელი ზედაპირი გამოჩნდა.

მაშინ ოქროსფერტანსაცმლიანმა ორეულმა მარჯვნივ დაიხია და მათი ადგილი მეორე წყვილმა დაიკავა. სწრაფი თვალშეუვალი მოძრაობით ლაბადები გადააგდეს და კედლის მარგალიტისებრ ფონზე მუქ-წითელი სხეულები ცეცხლივით აიმართა. მამაკაცმა ორივე ხელი გაიწოდა ქალისაკენ, მან კი ისეთი ამაყი და სიხარულის გამომხატველი დამაბრმავებელი ღიმილით უპასუხა, რომ მიწის მცხოვრებლებსაც უნებურად გაეღიმათ. იქ კი, უხილავი შორეული ქვეყნის მარგალიტის დარბაზში ორმა ნელი ცეკვა დაიწყო. უფრო სწორად, ეს იყო არა მხოლოდ ცეკვა, არამედ რიტმული პოზირება. მოცეკვავენი, როგორც ჩანს, ამოცანად ისახავდნენ ეჩვენებინათ თავიანთი სხეულის სრულყოფილება, ნაკვთთა სილამაზე და პლასტიკური მოქნილობა. მაგრამ მოძრაობათა რიტმულ ცვლაში იგრძნობოდა დიდებული და ამავე დროს მწუხარე მუსიკა, როგორც სიცოცხლის განვითარების უსახელო და უთვლელი მსხვერპლის დიადი კიბის მოგონება, რომელმაც შესანიშნავ მოაზროვნე არსებამდე - ადამიანამდე მიგვიყვანა.

მვენ მასს ისე მოეჩვენა, თითქოს ნოტების რაკრაკა მელოდია ისმოდა, რომელიც ზომიერი რითმით დაბალ, ყრუ ბგერებს გამოსცემდა. ვედა კონგმა ხელი მოუჭირა დარ

ვეტერს, რომელმაც ამას ყურადღება არ მიაქცია. იუნი ანტი სუნთქვაშეკრული გაუნძრევლად უსმენდა, ხოლო მის დიდ შუბლზე ოფლის წვეთებმა გამოჟონა.

ტუკანას ადამიანები ისე ჰგავდნენ მიწის ადამიანებს, რომ სხვა სამყაროს შეგრძნება თანდათანობით ქრებოდა. მაგრამ წითელ ადამიანებს სხეულის ისეთი ლამაზი ნაკვთები ჰქონდათ, როგორიც დედამიწაზე ჯერ ყველას არ გააჩნდა და მხოლოდ მხატვართა ოცნებებსა და შემოქმედებაში ცხოვრობდა, ან არაჩვეულებრივად ლამაზი ადამიანების მცირე რიცხვში ხორციელდებოდა.

„რაც უფრო ძნელი და გრძელი იყო გზა ცხოველური ევოლუციიდან მოაზროვნე არსებებამდე, მით უფრო მიზანშეწონილი და დამუშავებულია ცხოვრების უმაღლესი ფორმები და, მაშასადამე, უფრო ლამაზიცაა, - ფიქრობდა დარ ვეტერი. - დიდი ხანია მიწის ადამიანებმა გაიგეს, რომ სილამაზე ინსტინქტურად აღიარებული აგებულების მიზანშეწონილებაა, განსაზღვრული დანიშნულებისადმი ვარგისიანობა. რაც უფრო მრავალმხრივია დანიშნულება, მით უფრო ლამაზია ფორმა, - ეს წითელი ადამიანები, ნამდვილად ჩვენზე უფრო მრავალმხრივნი და მარჯვენი არიან, შეიძლება მათი

ცივილიზაცია ძირითადად თვით ადამიანის, მისი სულიერი და ფიზიკური ძლიერების განვითარების ხარჯზე მიმდინარეობდა და უფრო ნაკლებად ტექნიკის განვითარების ხარჯზე? ჩვენი კულტურა დიდხანს ჩამორჩებოდა ტექნიკურად და მხოლოდ კომუნისტური საზოგადოების დამყარების შემდეგ საბოლოოდ დაადგა თვით ადამიანის და არა მხოლოდ მანქანების, სახლების, საჭმლისა და გასართობების სრულყოფის გზას''.

ცეკვა შეწყდა. ახალგაზრდა წითელკანიანი ქალი გამოვიდა შუა დარბაზში და ხელსაწყოთა ხედვითმა სხივებმა მხოლოდ მასზე მოიყარეს თავი მისი გაშლილი ხელები და სახედარბაზის ჭერისაკენ აიმართა.

მიწის ადამიანთა თვალები უნებურად გაჰყვა მის მხედველობას. ჭერი სულ არ იყო ან ძალზე ხელოვნურად შექმნილი ოპტიკური ილუზიით, ჩანდა ვარსკვლავიანი ცა იმდენად ნათელი და მსხვილი ვარსკვლავებით, რომ, ცხადია, ეს მხოლოდ გამოსახულება იყო. უცხო თანავარსკვლავედთა წყობას არავითარი ნაცნობი ასოციაციები არ გამოუწვევია. ქალიშვილმა ხელი აიქნია და მისი მარცხენა ხელის

სალოკ თითზე ლურჯი ბურთულა გაჩნდა. მისგან იფეთქა ვერცხლისფერმა სხივმა, რომელიც ვეებერთელა საჩვენებელ ჯოხად იქცა. სხივის ბოლოზე მოთავსებული მრგვალი მანათობელი ლაქა ჭერის ხან ერთ ვარსკვლავზე ჩერდებოდა, ხან მეორეზე. წამსვე ზურმუხტის პანელი აჩვენებდა უძრავ გამოსახულებას ძალიან ფართო ფონით. ნელ-ნელა მოძრაობდა საჩვენებელი სხივი და ასევე ნელ-ნელა ჩნდებოდა უკაცრიელი ან დასახლებული პლანეტების გამოსახულებანი. მძიმედ, უნუგეშოდ ელვარებდნენ ქვიანი და ქვიშიანი სივრცეები წითელ, ლურჯ, იისფერ, ყვითელ მზეთა შორის. ზოგჯერ უცნაური რუხ-ტყვიისფერი მნათობის სხივები აცოცხლებდა თავის პლანეტებზე დაელექტროებულ და დონდლო ბრტყელ გუმბათებსა და ზამბარებს, რომლებიც სქელ ნარინჯისფერ ატმოსფეროში ან ოკეანეში მყოფ მედუზებს ჰგავდნენ. წითელი მზის სამყაროში წარმოუდგენლად მაღალი პრიალა შავმერქნიანი ხეები იდგნენ, რომელთაც ცისკენ აეწვდინათ მილიარდობით დადრეკილი ტოტები. სხვა პლანეტები მთლიანად მუქი წყლით იყო დაფარული. ვეებერთელა ცოცხალი კუნძულები, ცხოველები ან მცენარეები ცურავდნენ ყველგან წყნარ ზედაპირზე, ურიცხვ რბილ საცეცებს არხევდნენ.

- მათ მახლობლად არ არის სიცოცხლის უმაღლესი ფორმების მქონე პლანეტები, - უცებ თქვა იუნი ანტმა, რომელიც თვალმოუწყვეტლივ მისჩერებოდა უცნობი ვარსკვლავიანი ცის რუკას.

- არა, - შეეპასუხა დარ ვეტერი, - ერთი მხრივ ეკვრით ვარსკვლავთა ბრტყელი სისტემა, გალაქტიკის ერთი გვიანდელი წარმონაქმნი. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ბრტყელი და სფერული სისტემები, ახლები და ძველები, ხშირად ენაცვლებიან ურთიერთს. და მართლაც, ერიდანას მხრიდან მათ ეკვრით რკალში შემავალი მოაზროვნე სიცოცხლის მქონე სისტემა.

- ვვრ 4955 - მო 3529... და ასე შემდეგ, - ჩაურთო მვენ მასმა, - მაგრამ რატომ მათ არ იციან ამის შესახებ?!

- სისტემა დიდ რკალში ორას სამოცდათხუთმეტი წლის წინათ შემოვიდა, ეს ცნობა კი ადრეა გამოგზავნილი, - უპასუხა დარ ვეტერმა.

შორეული ქვეყნის წითელკანიანმა გოგონამ გადააგდო თითიდან ლურჯი ბურთულა

და მაყურებლებისაკენ ხელგაშლილი შემობრუნდა, თითქოს მის წინ უხილავად მდგომთა ჩასახუტებლად მოემზადა. მან ოდნავ უკან გადასწია თავი და მხრები,

- ასევე იზამდა მიწიერი ქალიც მგზნებარე მოწოდებისას, ოდნავ გახსნილი ტუჩები ირხეოდნენ, გაუგონარ სიტყვებს იმეორებდნენ. ასე გაირინდა იგი. გასძახოდა ვარსკვლავეთის სივრცეთა გაყინულ სიცარიელეში მხურვალე ადამიანურ ლოცვას თავისი ამხანაგების - სხვა სამყაროთა ადამიანების შესახებ.

და ისევ მისმა ბრწყინვალე სილამაზემ გააოგნა მიწიერი მეთვალყურენი. მისი ხშირი ტალღისებური შავი თმა უხეში არ იყო. სახისა და სხეულის ყოველ ხაზში რწმენა გამოსჭვიოდა, რომელსაც შეუგნებლად განიცდიდით, როგორც დიდი ძალის შეგრძნებას.

- ნუთუ მათ არაფერი იციან დიდი რკალის შესახებ?- თითქმის წამოიკვნესა ვედა კონგმა და თავისი მშვენიერი კოსმოსელი დის წინაშე დაიხარა.

- უეჭველია, ახლა იციან,- გამოეხმაურა დარ ვეტერი,- ის ხომ, რასაც ვხედავთ, სამასი წლის წინ მოხდა.

- ოთხმოცდარვა პარსეკი, - ხმადაბლა წამოსცდა მვენ მასს, ოთხმოცდარვა. ყველანი, ვინც ვნახეთ, დიდი ხანია უკვე მკვდრები არიან.

და თითქოს ამ სიტყვების დასტურად საოცარი სამყაროს ჩვენება გაქრა, ჩაქრა კავშირის მწვანე მაჩვენებელიც. გადაცემა დიდი რკალიდან დამთავრდა.

წამით ყველანი გაოგნებული იყვნენ. პირველად დარ ვეტერი გამოფხიზლდა. მან ნაღვლიანად იკბინა ბაგეზე და აჩქარებით გადააბრუნა ქარვისებრი სახელური. მიმართული ენერგიის სვეტის გამორთვას თან მოჰყვა სპილენძის ყრუ ჟღარუნი, რომელიც ენერგოსადგურის ინჟინრებს აფრთხილებდა, რომ მძლავრი ნაკადი ისევ თავის ჩვეულ არხში გაეშვათ. როცა მოათავა ხელსაწყოთა ყოველგვარი ოპერაცია, საგარეო სადგურების გამგე თავისი ამხანაგებისაკენ მიბრუნდა. მაღლა თავამართული იუნი ანტი გაფანტულ ფურცლებს არჩევდა.

- მემონოგრამების (სამახსოვრო ჩანაწერების) ნაწილი ჭერზე გამოსახულ ვარსკვლავეთის რუკასთან ერთად საჭიროა ახლავე გაიგზავნოს სამხრეთის ცის ინსტიტუტში!- მიუბრუნდა იგი დარ ვეტერის ახალგაზრდა თანაშემწეს.

მან გაკვირვებით შეხედა იური ანტს, თითქოს არაჩვეულებრივი სიზმრიდან გამოფხიზლდაო.

მკაცრმა მეცნიერმა დაცინვა არ შეიმჩნია - განა ჩვენება მართლაც ოცნება არ იყო შესანიშნავ სამყაროზე, რომელიც სივრცეში სამი საუკუნის უკან გამოიგზავნა?! ოცნება, რომელსაც ასე ხელშესახებად დაინახავენ მილიარდობით ადამიანები მიწაზე და მთვარის. მარსისა და ვენერას სადგურებზე.

- მართალი იყავით, მვენ მას, - გაიღიმა დარ ვეტერმა, - როცა გადაცემის წინ განაცხადეთ, დღეს არაჩვეულებრივი რამ მოხდებაო. ჩემთვის დიდი რკალის არსებობის რვაასი წლის მანძილზე სამყაროს სიღრმეში პირველად გამოჩნდა პლანეტა, რომელიც არა მარტო გონებით, არამედ სხეულითაც ჩვენი ძმებით არიან დასახლებულნი. მე მთლიანად აღმოჩენის სიხარულით ვარ ავსებული. კარგად დაიწყო თქვენი მოღვაწეობა! ძველი ადამიანები ამას ბედნიერების მომასწავებლად ჩათვლიდნენ, ან, როგორც ჩვენი ფსიქოლოგები იტყვიან, მოხდა მდგომარეობათა დამთხვევა, რომელიც ხელს შეუწყობს რწმენის განმტკიცებას და მუშაობის შემდგომ ამაღლებას.

დარ ვეტერი გონს მოეგო, ნერვიულმა რეაქციამ სიტყვაუხვი გახადა. მრავალსიტყვაობა დიდი რკალის ერაში ადამიანს ყველაზე სამარცხვინო ნაკლად ეთვლებოდა და საგარეო სადგურების გამგე სიტყვის დაუმთავრებლად დადუმდა.

- დიახ, დიახ! - დაბნეულად გამოეხმაურა მვენ მასი.

იუნი ანტმა მის ხმასა და დუნე მოძრაობაში განდგომილობა შენიშნა და შეკრთა. ვედა კონგმა თითი ფრთხილად დაუსვა დარ ვეტერის ხელის მტევანს და აფრიკელს თავი დაუქნია.

„შეიძლება იგი ზედმეტად შთაბეჭდილებების ამყოლია?“- გაუელვა გონებაში დარ ვეტერს და დაჟინებით დააცქერდა თავის შემცვლელს.

მაგრამ მვენ მასმა იგრძნო თანამოსაუბრეთა ფარული გაოცება, გაიმართა და თავისი საქმისადმი კვლავ ყურადღებიანი გახდა. მოძრავმა კიბემ ისინი ზევით აიყვანა, ფართო სარკმლებთან და ვარსკვლავიან ცასთან, რომელიც ისევ ისეთივე შორეული გახდა, როგორიც იყო კაცობრიობის არსებობის მთელი ოცდაათი ათასწლეულის მანძილზე,

უფრო სწორად, კაცობრიობის ერთი სახეობის- ჰომო საპიენსის - გონიერი ადამიანის არსებობის მანძილზე. მვენ მასი და დარ ვეტერი უნდა დარჩენილიყვნენ.

ვედა კონგმა ჩაუჩურჩულა დარ ვეტერს- ეს ღამე არასოდეს დამავიწყდებაო.

- ჩემივე თავი საცოდავად მომეჩვენა! - დაასკვნა მან და ამ ნაღვლიანი სიტყვების საპასუხოდ გაიღიმა. დარ ვეტერი მიხვდა, რასაც ფიქრობდა ვედა და უარყოფითად გააქნია თავი.

- მე კი მწამს, წითელმა ქალმა რომ დაგინახოს, იგი იამაყებდ თავისი დით. რაც მართალია მართალია, ჩვენი დედამიწა მათ სამყაროზე უარესი არ არის!- დარ ვეტერის სახე სიყვარულით აინთო.

- ეს თქვენი თვალებით, ძვირფასო მეგობარო,- გაიღიმა ვედამ.- თქვენ მვენ მასს ჰკითხეთ!... მან ხუმრობით აიფარა ხელი თვალებზე და კედლის შვერილში მიიმალა.

როცა ბოლოს და ბოლოს მვენ მასი მარტო დარჩა, გათენდა კიდეც. გრილ, უძრავ ჰაერში მორუხო შუქი ჩაიღვარა, ცა და ზღვა ბროლივით ერთნაირი გამჭვირვალე გახდა: ზღვას ვერცხლისფერი ანარეკლი დაჰკრავდა, ცას - ვარდისფერი.

მვენ მასი დიდხანს იდგა ობსერვატორიის აივანზე, აკვირდებოდა ნახევრადუცნობი შენობის მოხაზულობას.

მოშორებით დაბალ პლატოზე აღმართული იყო ვარსკვლავფრენის საბჭოს შენობა - ალუმინის გიგანტური თაღი, გადაკვეთილი ალუმინის ცხრა პარალელური ზოლით, გაყოფილი ოვალურ-კრემისფერი და ვერცხლისფერ - თეთრი პლასტიკური მინების შუალედებით. მის წინ იდგა იმ ადამიანების ძეგლი, რომლებიც პირველნი გასცილდნენ კოსმოსის საზღვრებს. ციცაბო მთის ფერდობი შეჭრილი იყო ღრუბლებში და თავზე ედგა ძველი ტიპის ვარსკვლავმფრენი - თევზისებური რაკეტა, რომლის წამახვილებული ცხვირი ჯერ კიდევ მიუღწეველი სიმაღლეებისაკენ მიმართულიყო. ჯაჭვისებურად განლაგებული ადამიანები - რაკეტული ხომალდების მფრინავები, ფიზიკოსები, ასტრონომები, ბიოლოგები, მამაცი ფანტასტიკოსი მწერლები... ხელჩაკიდებულნი ძალღონის წარმოუდგენელი დაძაბვით მიიწევდნენ მაღლა, სპირალურად ეხვეოდნენ ძეგლის საძირკველს. განთიადი უკვე ღაჟღაჟებდა ძველი ვარსკვლავმფრენის კორპუსზე და შენობის მსუბუქ აჟურულ კონტურებზე, ხოლო მვენ მასი ჯერ კიდევ ფართო ნაბიჯებით ზომავდა აივანს. ჯერ მას ასეთი სულიერი აფორიაქება არ განეცადა. იგი დიდი რკალის ერის საერთო წესებით იყო აღზრდილი, გაიარა მკაცრი ფიზიკური წრთობა, და წარმატებით შეასრულა თავისი ჰერკულესური გმირობანი. ძველი ელადის შესანიშნავი მითების სამახსოვროდ ასე უწოდებდნენ ძნელ საქმეებს, რომელსაც ასრულებდნენ ახალგაზრდები სკოლის პერიოდის დამთავრების შემდეგ. თუ

ახალგაზრდა თავს გაართმევდა ამ გმირობას, იგი ღირსად ითვლებოდა განათლების უმაღლეს საფეხურებს შედგომოდა.

მვენ მასმა მოაწყო მაღაროს წყლით მომარაგება დასავლეთ ტიბეტში, აღადგინა არაუკარის ტყე ნახებტის ზეგანზე სამხრეთ- ამერიკაში და მოსპო ზვიგენები, რომლებიც კვლავ გამოჩნდნენ ავსტრალიის ნაპირებთან. ცხოვრებისეულმა წრთობამ და თვალსაჩინო უნარიანობამ შესაძლებლობა მისცა გაეძლო მრავალი წლის მუყაითი

სწავლისათვის, მომზადებულიყო მძიმე და საპასუხისმგებლო მოღვაწეობისათვის. დღეს, ახალი სამუშაოს პირველივე საათში მოუხდა შეხვედრა მშობლიურ მიწა- სამყაროსთან, და მის ხელში დაიბადა რაღაც ახალი. მვენ მასი შიშით გრძნობდა, რომ მასში გაიხსნა რადაც უძირო, რომელზეც მთელი სიცოცხლის მანძილზე დადიოდა, მაგრამ ეჭვიც არ ეპარებოდა მის არსებობაში. ასევე აუტანლად ძლიერია წყურვილი ახალი შეხვედრისა ვარსკვლავ ეპსილონ ტუკანის პლანეტასთან - ამ სამყაროსთან, რომელიც თითქოს დედამიწის კაცობრიობის საუკეთესო ზღაპრების ნებით წარმოიშვა, ვერ დაივიწყებს წითელკანიან ქალიშვილს, მის მიერ დასაძახებლად გამოწვდილ ხელებს, ოდნავ გაპობილ ნაზ ბაგეებს!..

ის, რომ წარმოუდგენლად დიდი მანძილი,- ორას ოთხმოცდაათი სინათლის წელიწადი, მიუღწეველი დედამიწის ტექნიკის ყველა შესაძლებლობისათვის, აშორებდა მას მშვენიერი სამყაროსაგან, არა თუ ასუსტებდა, არამედ მხოლოდ აძლიერებდა მწვავე ოცნებას.

მვენ მასის სულში გაიზარდა რადაც ისეთი, რაც თავისთავად ცოცხლობდა და არ ემორჩილებოდა ნებისა და მშვიდი გონების კონტროლს. აფრიკელს ჯერ კიდევ არასოდეს არავინ ჰყვარებია. იგი თითქმის განდეგილივით იყო ჩაფლული მეცადინეობაში და არ განიცდიდა არაფერს ისეთს, რაც ემსგავსებოდა შიშსა და არნახულ სიხარულს, რომელიც მის სულში სივრცისა და დროის ვეებერთელა ველებს გაცილებულმა შეხვედრამ ჩანერგა.

თავი **III.** სიბნელის ტყვეობაში

ანამეზონის საწვავის მაჩვენებლების ნარინჯისფერ სვეტებზე შავი მსხვილი ისრები ნულს უჩვენებდნენ. ვარსკვლავმფრენის კურსი რკინის ვარსკვლავიდან ჯერ არ გადახრილიყო, რადგან სიჩქარე ჯერ კიდევ დიდი იყო და ხომალდი უცვლელად უახლოვდებოდა შემზარავ, ადამიანის თვალისათვის უხილავ მნათობს.

ერგ ნოორი ასტრონავიგატორის დახმარებით საანგარიშო მანქანას მიუჯდა. იგი დაძაბულობისა და სისუსტისაგან თრთოდა. მესაჭე - რობოტისაგან გამორთული პლანეტარული ძრავები დადუმდნენ.

- ინგრიდ, რა არის რკინის ვარსკვლავი - ჩუმად იკითხა კეი ბერმა, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში უძრავად იდგა ასტრონომის ზურგს უკან.

- ტ სპექტრული კლასის უხილავი ვარსკვლავი, რომელიც ჩაქრა, მაგრამ საბოლოოდ არ გაცივებულა ან ხელახლა არ გავარვარებულა. იგი ანათებს სპექტრის თბონაწილის

გრძელტალღიანი რხევებით - შავი, ჩვენთვის ინფრაწითელი სხივებით და ხილვადი მხოლოდ ელექტრონული ინვენტორის[20] მეშვეობით ხდება. ბუს შეუძლია თბური ინფრაწითელი სხივების დანახვა და შემჩნევა.

- რკინის რატომღა არის?

- ყველა სპექტრში, რომელიც დღემდე შესწავლილია, ბევრია რკინა. როგორც ჩანს, იგი მნათობის შემადგენლობაშიც ბევრია.

ამიტომაც, როცა ვარსკვლავი დიდია, მაშინ მისი მასაც და მიზიდულობის ველიც უზარმაზარია. ვშიშობ, რომ ჩვენ სწორედ ამგვარს შევხვდით...

- ახლა რა უნდა ვქნათ - არ ვიცი. თვითონვე ხედავ - საწვავი არა გვაქვს. მაგრამ ფრენას პირდაპირ ვარსკვლავისაკენ ვაგრძელებთ. საჭიროა „ტანტრას“ დამუხრუჭება ერთი მეათასედი აბსოლუტური სიჩქარით, რომლის დროსაც შესაძლებელია საკმარისი კუთხური გადახრა. თუ პლანეტარული საწვავიც არ გვეყოფა, მაშინ ვარსკვლავმფრენი თანდათანობით მიუახლოვდება ვარსკვლავს, სანამ მასზე არ დაეცემა. ინგრიდმა

ნერვიულად გაიქნია თავი და ბერი ალერსიანად მოეფერა მის შიშველ, ხორკლიან ხელს.

ექსპედიციის მეთაური მართვის პულტთან გადავიდა და ხელსაწყოებს დააცქერდა. დუმდა ყველა, სუნთქვასაც ვერ ბედავდნენ, დუმდა

ახლადგამოღვიძებული ნიზა კრიტიც, რომელმაც ინსტინქტურად გაიგო მდგომარეობის მთელი საშიშროება საწვავი შეიძლებოდა მხოლოდ ხომალდის სვლის შესანელებლად ჰყოფნოდათ, მაგრამ სიჩქარის დიდი დანაკარგებით ვარსკვლავმფრენს თანდათან უძნელდებოდა უმოტორებოდ დაეღწია თავი რკინის ვარსკვლავის მჭიდე მიზიდულობისაგან „ტანტრა“ რომ ასე ახლო არ მისულიყო და ლინს რომ დროულად მოესაზრებინა... თუმცა ამდენ ცარიელ „რომ“- ში დამამშვიდებელი არაფერია.

გავიდა დაახლოებით სამი საათი და ერგ ნოორმა ბოლოს და ბოლოს მიიღო გადაწყვეტილება. „ტანტრა“ შეირყა ტრიგერული მოტორების მძლავრი ბიძგისაგან. ხომალდის სვლა დაყოვნდა ერთი, ორი, სამი, ოთხი საათის განმავლობაში. მეთაურის თვალშეუსწრებელი მოძრაობა და - ყველამ თავი ცუდად იგრძნო. საშინელი ყავისფერი

მნათობი წინა ეკრანიდან გაქრა, მეორეზე გადაინაცვლა. მიზიდულობის უხილავი ჯაჭვი ისევ იზიდავდა ხომალდს, რაც ხელსაწყოებზე ისახებოდა. მეთაურმა გადმოსწია სახელური - ძრავები გაჩერდა.

- დავუსხლტით! - შვებით წაიჩურჩულა პელ ლინმა. მეთაურმა ნელა გადახედა მას.

- არა! საწვავის მხოლოდ ხელუხლებელი მარაგი დაგვრჩა, რომელიც ორბიტური მობრუნებისა და დაჯდომისთვისაა საკმარისი.

- რა უნდა ვქნათ?

- მოვიცადოთ. მე ცოტათი გადავხარე ვარსკვლავმფრენი, მაგრამ ვარსკვლავს ძალიან ახლო ჩავუვლით. მიმდინარეობს ბრძოლა ვარსკვლავის მიზიდულებასა და „ტანტრას“ შემცირებულ სიჩქარეს შორის. იგი ახლა მთვარის რაკეტის მსგავსად მიფრინავს და,

თუ მოვასწარით ჩამოცილება, წავალთ მზისაკენ. თუმცა მგზავრობის დრო ძალიან გაიზრდება. ოცდაათი წლის შემდეგ გავგზავნით გამოძახების სიგნალს, ხოლო რვა წლის შემდეგ დახმარება მოგვივა...

- ოცდათვრამეტი წელი. - ბერმა ძლივს გასაგონად წასჩურჩულა ყურში ინგრიდს.

ბერმა მძაფრად დაქაჩა სახელოთ და შებრუნდა.

ერგ ნოორი სავარძელზე გადაწვა და ხელები მუხლებზე დაიწყო. ადამიანები დუმდნენ, ხელსაწყოები წყნარად ღიღინებდნენ. სანავიგაციო ხელსაწყოებს მწყობრ სიმღერას ერეოდა სხვა, არეული მელოდია, რომელიც სწორედ ამიტომ მრისხანედ ისმოდა. ეს იყო რკინის ვარსკვლავის თითქმის ფიზიკურად საგრძნობი ძახილი, მისი შავი მასის რეალური ძალა, რომელიც ძალადაკარგულ ხომალდს მისდევდა.

ნიზა კრიტს ღაწვები ეწვოდა, გული გახშირებით უცემდა. ქალიშვილს აუტანლად ეჩვენებოდა ეს უმოქმედო ლოდინი.

...ნელა გადიოდა საათები. ცენტრალურ პოსტში ერთურთის მიყოლებით შემოდიოდნენ ექსპედიციის ახლადგაღვიძებული წევრები. მდუმარეთა რიცხვი იზრდებოდა, სანამ თოთხმეტივე ადამიანმა არ მოიყარა თავი.

ფრენის მზარდი შემცირება გასხლტომის სიჩქარეზე[21] - ნაკლები გახდა. „ტანტრას“ არ შეეძლო რკინის ვარსკვლავიდან ჩამოცილება. ბევრი მწუხარე საათის განმავლობაში ადამიანები, რომლებმაც დაივიწყეს ძილი და ჭამა, არ მოცილებიან მართვის პულტს. „ტანტრას“ კურსი თანდათანობით მრუდდებოდა, სანამ ხომალდმა არ დაიწყო მოძრაობა საბედისწერო ორბიტულ ელიპსზე. „ტანტრას“ ბედი ყველასათვის აშკარა გახდა.

მოულოდნელმა წამოყვირებამ ყველა შეაკრთო. ასტრონომი პურ ხისი წამოხტა და ხელების ქნევა დაიწყო. მისი დამანჭული სახე რაღაც უცნაური, რკალის ერის ადამიანისათვის უმსგავსი გახდა. შიშმა, საკუთარი თავის სიბრალულმა და შურისძიების წყურვილმა მეცნიერის სახეზე აზროვნების ყოველგვარი კვალი წაშალა.

- ის, აი ის! - დაიკივლა პურ ხისმა, თან პენ ლინზე მიუთითებდა, - ბრიყვი, ჯირკი, უტვინო ჭია!..

ასტრონომი შებორძიკდა, ცდილობდა მოეგონებინა ხმარებიდან დიდი ხნის წინათ გასული საგინებელი სიტყვები. გვერდით მდგომი ნიზა ზიზღით მოსცილდა. ერგ ნოორი წამოდგა.

- ამხანაგის გაკიცხვა არაფერს უშველის. წინასწარგანზრახული შეცდომების დრო წავიდა, ამ შემთხვევაში კი,- ნოორმა დაუდევრად დააბრუნა საანგარიშო მანქანის სახელური, - - როგორც ხედავთ, შეცდომის ალბათობა ოცდაათ პროცენტს შეადგენს, თუ ამას დავუმატებთ მორიგეობის დასასრულისათვის ჩვეულ უცილობელ დეპრესიას და კიდევ ვარსკვლავმფრენის რყევისაგან

გამოწვეულ თავბრუსხვევას, არ ვეჭვობ, რომ თქვენც, პურ ხის, ასეთივე შეცდომას ჩაიდენდით.

- თქვენ- ნაკლები რისხვით წამოიყვირა ასტრონომმა.

- მე არა. მე ვარსკვლავურ ოცდამეთექვსმეტე ექსპედიციაში ასეთივე სასწაულის ნახვა

უფრო ახლოს მომიწია. დამნაშავე ვარ - ვიმედოვნებდი თვითონ წამეყვანა ვარსკვლავმფრენი შეუსწავლელ რაიონში, ამიტომაც ყველაფერი ვეღარ გავითვალისწინე, უბრალო ინსტრუქციით დავკმაყოფილდი.

- როგორ შეიძლებოდა გცოდნოდათ, რომ ისინი უთქვენოდ შემოიჭრებოდნენ ამ რაიონში!? - წამოიძახა ნიზამ.

- ეს უნდა მცოდნოდა, - მტკიცედ თქვა ერგ ნოორმა, და ამით აირიდა ნიზას მეგობრული დახმარება, - .. ამის შესახებ ლაპარაკს მხოლოდ დედამიწაზე აქვს აზრი.

- დედამიწაზე! - ისე ამოიგმინა პურ ხისმა, რომ თვით პელ ლინიც გაცბუნებული შეიჭმუხნა. - როგორ ლაპარაკობ, როცა ყველაფერი დაკარგულია და წინ მხოლოდ სიკვდილი გველის.

- წინ სიკვდილი კი არა, დიდი ბრძოლა გველის, - მტკიცედ უპასუხა ერგ ნოორმა და მაგიდასთან მდგომ სავარძელში ჩაეშვა. - დასხედით! არსად გვეჩქარება, სანამ ტანტრა- ერთნახევარ ბრუნს გააკეთებს...

დამსწრენი უსიტყვოდ დამორჩილდნენ, ხოლო ნიზამ გაუღიმა ბიოლოგს. იგი ზეიმობდა, მიუხედავად იმისა, რომ მდგომარეობა ძალზე არასაიმედო იყო.

- ვარსკვლავს, უეჭველია, ექნება პლანეტა, ვფიქრობ - ორიც კი, - თუ იზოგრავების მრუდის მიხედვით განვსჯით, პლანეტები. როგორც ხედავთ,- ექსპედიციის მეთაურმა სწრაფად მოხაზა ფაქიზი სქემა, - დიდები უნდა იყვნენ და, მაშასადამე, ატმოსფეროც უნდა ჰქონდეთ. ჩვენთვის დაჯდომა აუცილებელი არ არის - ჯერ კიდევ გვაქვს ატომური მკვრივი ჟანგბადი.[22] ერგ ნოორი დადუმდა, აზრებს იკრებდა.

- ჩვენ გადავიქცევით პლანეტის თანამგზავრად. მოვხაზავთ მის გარშემო ორბიტებს. თუ პლანეტის ატმოსფერო ვარგისი აღმოჩნდება და ჩვენ დავხარჯავთ ჩვენს ჰაერს, პლანეტარული საწვავი გვეყოფა, რათა დავჯდეთ და

გამოვიძახოთ, - განაგრძო მან. ნახევარი წლის მანძილზე გამოვთვლით მიმართულებას, გადავცემთ ზირდის შედეგებს, გამოვიძახებთ მაშველ ვარსკვლავმფრენს და ვიხსნით ხომალდს.

- თუკი ვიხსნით... - დაიმანჭა პურ ხისი, რათა სიხარული არ გამოემჟღავნებინა.

- დიახ, თუკი - დაეთანხმა ერგ ნოორი - მაგრამ ეს ნათელი მიზანია. უნდა მთელი ძალები მოვიკრიბო მის მისაღწევად. თქვენ, პურ ხის და ინგრიდ, აწარმოეთ დაკვირვებანი და პლანეტათა სიდიდეების გაანგარიშებანი. ბერ და ნიზა, პლანეტების მასის მიხედვით გამოითვალეთ გასხლტომის სიჩქარე, ხოლო ამის მიხედვით ორბიტალური სიჩქარე და ვარსკვლავმფრენის მობრუნების ოპტიმალური რადიანტი.[23] მკვლევარები ყოველი შემთხვევისათვის დასაჯდომად მზადებასაც შეუდგნენ. ბიოლოგი, გეოლოგი და ექიმი მოემზადნენ მზვერავი რობოტ- სადგურის ჩასაგდებად, მექანიკოსები მართავდნენ და საჯდომ ლოკატორებსა და პროექტორებს, აწყობდნენ რაკეტა თანამგზავრებს დედამიწაზე ცნობების გადასაცემად.

განცდილი შიშისა და უიმედობის შემდეგ მუშაობა განსაკუთრებით ბარაქიანად მიმდინარეობდა და წყდებოდა მხოლოდ ვარსკვლავმფრენის რყევის დროს, რასაც გრავიტაციის აგრიგლება იწვევდა. მაგრამ „ტანტრას“ სიჩქარე უკვე ისე ძალიან დაეცა, რომ მისი რყევა ადამიანებისათვის მომაკვდინებელი აღარ იყო.

პურ ხისმა და ინგრიდმა განსაზღვრეს ორი პლანეტის არსებობა. გარე პლანეტასთან მიახლოების საკითხი უარყოფილ იქნა ვეებერთელა, ცივი, მძლავრი, ნამდვილად შხამიანი ატმოსფეროთი გარშემობურული, ყველას დაღუპვით ემუქრებოდა. თუ სიკვდილს ავირჩევდით, მაშინ, უკეთესი იყო რკინის ვარსკვლავის ზედაპირზე დაწვა, ვიდრე ამიაკის ატმოსფეროში დახრჩობა, ხომალდის ჩაფლობა ათასი კილომეტრიანი სისქის ყინულში. ასეთი საშინელი უზარმაზარი პლანეტები მზის სისტემაშიც იყო - იუპიტერი სატურნი, ურანი, ნეპტუნი.

„ტანტრა“ განუხრელად მიემართებოდა ვარსკვლავისაკენ. ცხრამეტი დღე-ღამის შემდეგ გაირკვა შიგა პლანეტის ზომები. იგი დედამიწაზე დიდი იყო. პლანეტა რკინის მზისაგან ახლო მანძილზე იმყოფებოდა, ამიტომაც შმაგი სისწრაფით ბრუნავდა თავის ორბიტაზე. მისი წელიწადი ძლივს-ძლივობით თუ იქნებოდა დედამიწის ორ- სამ თვეზე უფრო მეტი. უჩინარი ვარსკვლავი, როგორც ჩანდა, საკმარისად ათბობდა თავისი შავი სხივებით, ატმოსფეროს არსებობის შემთხვევაში იქ სიცოცხლის არსებობაც შეიძლებოდა. ასეთ შემთხვევაში დაჯდომა განსაკუთრებით სახიფათო ხდებოდა...

სხვა პლანეტებზე არსებული, სხვაგვარ პირობებში, ევოლუციის სხვა გზებით განვითარებული, კოსმოსისათვის საერთოდ დამახასიათებელი ცოცხალი ცილოვანი სხეულები ჩვენი დედამიწის მცხოვრებლებისათვის განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენდა. მავნე ნარჩენებისაგან, დამაავადებელი ბაქტერიებისაგან ორგანიზმის თავდაცვისუნარიანობა, ჩვენს პლანეტაზე მილიონი საუკუნეების მან ძილზე გამომუშავებული სიცოცხლის სხვა ფორმების წინააღმდეგ სრულიად გამოუსადეგარი იყო. ასევე სხვა პლანეტების ცოცხალი ორგანიზმებისათვის სახიფათოა ჩვენი დედამიწა.

ცხოველთა სამყაროს ძირითადი საქმიანობა: მოკლას და ჩანთქას, ან ჩანთქმით მოკლას, სხვადასხვა სამყაროთა ცხოველების შეხვედრისას გულისშემაწუხებელი შიშველი სიმკაცრით გამოვლინდა არნახული სენი, ელვისებრი ეპიდემიები, სასწაულებრივად გამრავლებული მავნებლები, საშინელი დაზიანებანი თან სდევდა დასახლებულ, მაგრამ უადამიანო პლანეტების პირველ გამოკვლევებს მოაზროვნე ადამიანებით დასახლებული სამყაროებიც, სანამ პირდაპირ ვარსკვლავთაშორისი ფრენის კავშირს დაამყარებდნენ, წინასწარ მრავალგვარ ცდებს ატარებდნენ, ემზადებოდნენ. ჩვენს

მიწაზე, რომელიც დაცილებულია გალაქტიკის ცენტრალურ, ცოცხალი არსებებით უხვად დასახლებულ ზონას, ჯერ კიდევ არ მოსულან სტუმრები სხვა ვარსკვლავების პლანეტებიდან, სხვა ცივილიზაციის წარმომადგენლები. ვარსკვლავმფრენის საბჭომ მთლად ახლახან დაამთავრა მზადება გველის, გედის, დიდი დათვს და სამოთხის ჩიტის თანავარსკვლავედების მახლობელი ვარსკვლავებიდან მეგობრების მისაღებად.

უცნობ სიცოცხლესთან შეხვედრის შესაძლებლობით შეფიქრიანებულმა ერგ ნოორმა განკარგულება გასცა ამოეღოთ ბიოლოგიური დაცვის გადანახული საშუალებები.

ბოლოს ტანტრამ- გაათანაბრა თავისი ორბიტული სიჩქარე რკინის ვარსკვლავის შიგა პლანეტის სიჩქარესთან და დაიწყო მის ირგვლივ ბრუნვა. მქრქალი, მურა, ვეებერთელა სისხლისფერ- ყავისფერი ვარსკვლავის ანარეკლში გახვეული პლანეტის ზედაპირის, უფრო ზუსტად მისი ატმოსფეროს გარჩევა მხოლოდ ელექტრონულ ინვენტარში შეიძლებოდა. ექსპედიციის უკლებლივ ყველა წევრი ხელსაწყოებთან იყვნენ დაკავებულნი.

- განათებულ მხარეზე ფენების ზედაპირის ტემპერატურა კელვინით - სამას ოც გრადუსს უდრის!

- ღერძის გარშემო ბრუნვა დაახლოებით ოცი დღე - დამის ტოლია.

- ლოკატორები წყლისა და ხმელეთის არსებობას გვიჩვენებენ.

- ატმოსფეროს სისქე ათას შვიდასი კილომეტრია.

- დაზუსტებული მასა მიწის ორმოცდასამ მთელსა და ორ მეათედს უდრის!

ცნობები უწყვეტად მოდიოდა და პლანეტის ხასიათიც სულ უფრო ნათელი ხდებოდა.

ერგ ნოორი ადარებდა მიღებულ ციფრებს, აგროვებდა მასალებს ორბიტული რეჟიმის გამოსათვლელად. პლანეტა დიდი იყო - დედამიწის მასის ორმოცდასამ მთელსა და ორ მეათედ ნაწილს შეადგენდა. ცხადია, მისი მიზიდულობის ძალა ხომალდს ნიადაგზე მიაჭყლეტდა. ადამიანები უმწეო მწერებად გადაიქცეოდნენ...

ექსპედიციის მეთაურმა გაიხსენა საშინელი ამბები - ნახევრად ლეგენდები, ნახევრად სინამდვილე- ძველ ვარსკვლავმფრენებზე, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით ვეებერთელა პლანეტებზე მოხვდნენ. მაშინ დაბალი სიჩქარისა და სუსტი საწვავის მქონე ხომალდები ხშირად იღუპებოდნენ. მოტორები ღრიალებდნენ და ხომალდი გაშმაგებით თრთოდა, თითქო მიწებებოდა პლანეტის ზედაპირს, ძალა არ ჰქონდა თავის დაღწევისა. ვარსკვლავმფრენი უვნებელი რჩებოდა, ჩხარუნებდა მხოლოდ ადამიანთა დამსხვრეული ძვლები - აუწერელი საშინელებანი ჩანდა გამოსამშვიდობებელ ცნობებად გადმოცემულ უკანასკნელ გოდებში...

„ტანტრას“ ასეთი ბედი არ ელოდა, სანამ ისინი პლანეტის ირგვლივ ბრუნავდნენ. მაგრამ თუ დაჯდომა მოუწევთ, მხოლოდ ძალიან ძლიერი ადამიანები შეძლებენ თავიანთი ცოცხალი წონის ტარებას მათ ამ მომავალ ნავთსაყუდელში. ნავთსაყუდელში, სადაც ათეული წლით უნდა იცხოვრონ... შეძლებენ განა ასეთ პირობებში გაძლებას? გამჭყლეტი ტვირთის სიმძიმის ქვეშ, ინფრაწითელი შავი მზის მუდმივ სიბნელეში, მკვრივ ატმოსფეროში? მაგრამ რაც უნდა იყოს, ეს სიკვდილი არ არის, ეს არის იმედი გადარჩენისა და არც არჩევანის საშუალებაა.

„ტანტრა“ უვლიდა თავის ორბიტას ატმოსფეროს საზღვრის მახლობლად. ექსპედიციის წევრებს არ შეეძლოთ ხელიდან გაეშვათ დღემდე უცნობი პლანეტის გამოკვლევის შემთხვევა, პლანეტისა, რომელიც დედამიწასთან შედარებით ახლო იყო. პლანეტის განათებული, უფრო სწორად, გამთბარი

ნაწილი გამოირჩეოდა არა მარტო იმით, რომ ჩრდილში შედარებით მაღალი ტემპერატურა იყო, არამედ ელექტროობის უზარმაზარი დაგროვებითაც, რაც ხელს უშლიდა მძლავრ ლოკატორებსაც კი, რომელთა ჩვენებებიც იმდენად დამახინჯდა, რომ ძნელი გასაგები გახდა. ერგ ნოორმა გადაწყვიტა ჩაეტარებინა პლანეტის გამოკვლევა ყუმბარისებრი სადგურების მეშვეობით. ჩააგდეს ფიზიკური სადგური[24] - და ავტომატმა გადმოსცა ნეონურ-აზოტურ ატმოსფეროში გასაოცრად დიდი რაოდენობით თავისუფალი ჟანგბადის არსებობის შესახებ, წყლის ორთქლის არსებობა და თორმეტი გრადუსი სითბო. საერთოდ პირობები დედამიწის მსგავსი იყო. მხოლოდ სქელი ატმოსფეროს წნევა ერთ და ოთხ მეათედჯერ აღემატებოდა დედამიწაზე არსებულ ნორმალურ წნევას და მიზიდულობის ძალა ორნახევარჯერ მეტი იყო, ვიდრე დედამიწაზე.

- აქ ცხოვრება შეიძლება! - ოდნავ გაიღიმა ბიოლოგმა, როცა მეთაურს სადგურის ცნობებს აწვდიდა.

- თუ ჩვენ შევძლებთ ასეთ პირქუშ და მძიმე პლანეტაზე ცხოვრებას, მაშინ, უეჭველად, აქ ვიღაც უკვე ცხოვრობს - პატარა და მავნე!

ვარსკვლავმფრენის მეთხუთმეტე შემოვლისას მძლავრი ტელეგადამცემი სადგური- ყუმბარა მოამზადეს. მაგრამ პლანეტის ასოცი გრადუსით მობრუნებისას ჩრდილში გადასროლილი მეორე ფიზიკური სადგური სიგნალების მიუცემლად გაქრა.

- ოკეანეში ჩავარდა, - ტუჩების კვნეტით დაადასტურა გეოლოგმა ბინა ლედმა.

- სანამ რობოტ-ტელევიზორს გადავისროდეთ, საჭიროა მთავარი ლოკატორით მოვსინჯოთ! რობოტ- ტელევიზორი ჩვენ მხოლოდ ორი გვაქვს.

„ტანტრა“ ტრიალებდა პლანეტის თავზე, მიმართავდა მისკენ რადიოგამოსხივების კონას, სინჯავდა მატერიკებისა და ზღვების ბუნდოვან, დამახინჯებულ კონტურებს. გამოისახა ვეებერთელა დაბლობის მოხაზულობა, რომელიც ეშვებოდა ოკეანეში, თუ ჰყოფდა ორ ოკეანეს თითქმის პლანეტის ეკვატორზე. ვარსკვლავმფრენი ათი კილომეტრის სიფართის მქონე ზოლს სხივებით ანათებდა. მოულოდნელად

ლოკატორის ეკრანზე ნათელმა წერტილმა იფეთქა სასტვენმა, რომელმაც გამოაფხიზლა დაძაბული ნერვები, დაადასტურა, რომ ეს მოჩვენება არ იყო.

- ლითონი! - წამოიყვირა გეოლოგმა. - ღია თვითნაბადი. ერგ ნოორმა თავი გაიქნია:
- თუმცა აფეთქება ძალზე წამიერი იყო, მაინც მოვასწარი მის, კონტურების გარჩევა. ეს ან ლითონის დიდი ნაჭერია - მეტეორიტი, ან კიდევ...
- ხომალდი! - ერთდროულად ჩაერივნენ ნიზა და ბიოლოგი - ფანტასტიკაა! - - მოჭრა პურ ხისმა.
- შეიძლება სინამდვილეა, - შეეკამათა ერგ ნოორი.
- სულ ერთია, კამათი უსარგებლოა, - არ ნებდებოდა პურ ხისი. - ვერაფრით შევამოწმებთ. ხომ არ დავჯდებით...
- შევამოწმებთ სამი საათის შემდეგ, როცა ისევ ამ დაბლობთან მოვალთ. მიაქციეთ ყურადღება - ლითონის საგანი იმ დაბლობზე მდებარეობს, რომელიც მეც დასაჯდომად ავირჩიე... სატელევიზიო სადგურს სწორედ აქ გადავაგდებთ. ლოკატორის სხივები ექვს წამიან წინსწრებაზე დააყენეთ!

ექსპედიციის მეთაურის მიერ დასახული გეგმა კარგი გამოდგა და „ტანტრა“ ისევ შეუდგა ბნელი პლანეტის სამსაათიან გარშემოვლას. ახლა, მატერიკულ დაბლობთან მიახლოებისას, ხომალდს ტელერობოტის ცნობა დახვდა. ადამიანები ანთებულ ეკრანს მისცვივდნენ. გაიტკაცუნა, ჩაირთო და შეუმჩნევლად აწრიალდა ადამიანის თვალის მსგავსი სამზერი სხივი, მოხაზავდა ხოლმე საგნების კონ ტურებს იქ, შორს, ძირს, ათასკილომეტრიან უსასრულო სიბნელეში. კეი ბერმა გარკვევით წარმოიდგინა, როგორ მობრუნდება მკვრივი ჯავშნიდან ამოყოფილი შუქურის მსგავსი სადგურის თავი. ავტომატის სხივით გაშუქებულ ზონაში ეკრანზე გარბოდნენ დაბალი გორაკები, ხრამები, შავად დაკლაკნილი ნაღვარავები. იქვე ხდებოდა მათი ფოტოგრაფირება. მოულოდნელად ეკრანზე გაიელვა თევზისმაგვარმა მბრწყინავმა გამოსახულებამ და სხივის მიერ გაფანტული წყვდიადი ისევ გადაეფინა მის შემდეგ წამომართულ ზეგნის შვერილებს. - ვარსკვლავმფრენი!- ერთდროულად ამოიხვნეშა რამდენიმემ.

დაუფარავი აღტაცებით გადახედა ნიზამ პურ ხისს, ეკრანი ჩაქრა, „ტანტრა“ ისევ დასცილდა ტელეგადამცემს, მაგრამ ბიოლოგი ეონ ტალი უკვე ახდენდა ელექტრული სურათის ლენტის ფიქსირებას. მოუთმენლობისაგან აცახცახებული თითებით ჩადგა ლენტი ნახევარსფერული[25] ეკრანის პროექტორში. დღუ ნახევარსფეროს შიგა კედლებმა გადიდებული გამოსახულება აირეკლა. წინა ნაკვეთურის ნაცნობი სიგარისებრი მოხაზულობა, ამოზნექილი კიჩო, წონასწორობის მიმღების მაღალი თხემი... როგორი

დაუჯერებელი იყო ეს სანახაობა, როგორი უაზრო, შეუძლებელი შეხვედრა სიბნელის სამეფოში- ეს ნამდვილად დედამიწის ვარსკვლავმფრენი იყო! იგი იჯდა ჰორიზონტალურად, ნორმალურ მდგომარეობაში, მძლავრ დგარებზე დაყრდნობილი, დაუზიანებელი, თითქოს ეს- ეს არის რკინის ვარსკვლავის პლანეტაზე დაეშვაო.

„ტანტრა“ ძალიან ახლო იყო პლანეტასთან, ამიტომაც სწრაფად უვლიდა წრეებს მის ირგვლივ, გზავნიდა სიგნალებს, რომლებიც უპასუხოდ რჩებოდა. გავიდა რამდენიმე საათი. ცენტრალურ პოსტთან ისევ შეიკრიბა ექსპედიციის თოთხმეტივე წევრი. მაშინ ღრმად ჩაფიქრებული, მჯდომარე ერგ ნოორი წამოდგა.

- მე ვაპირებ დავსვა ტანტრა. შეიძლება ჩვენს ძმებს დახმარება სჭირდებათ, შეიძლება მათი ხომალდი დაზიანებულია და არ შეუძლიათ დედამიწისაკენ წასვლა. მაშინ ჩვენ ავიყვანთ მათ.

ჩავტვირთავთ ანამეზონს და ჩვენს თავსაც ვუშველით. მაშველი რაკეტის დაშვებას აზრი არა აქვს მას არ შეუძლია მოგვამარაგოს საწვავით, ენერგია კი იმდენი იხარჯება, რომ დედამიწაზე სიგნალს ვეღარაფრით გავგზავნით.

- თუ ისინი აქ თვითონაც ანამეზონის ნაკლებობის გამო აღმოჩნდნენ? - ფრთხილად - იკითხა პელ ლინმა.

- მაშინ უნდა დარჩენოდათ იონური პლანეტარული მუხტები შეუძლებელია ყველა მთლიანად დაეხარჯათ. ხომ ხედავთ, ვარსკვლავმფრენი სწორად ზის-მაშასადამე, ისინი პლანეტარული მოტორებით დამსხდარან. ჩვენ ავიღებთ იონურ საწვავს, ისევ

ავფრინდე ბით, გადავალთ ორბიტულ მდგომარეობაში, გამოვიწვევთ და დავუცდით დახმარებას დედამიწიდან. წარმატების შემთხვევაში სულ რვა წელი გავა. ხოლო თუ ანამეზონი მოვიპოვეთ, მაშინ გავიმარჯვებთ.

- შეიძლება მათი პლანეტარული საწვავი იონური კი არა, ფოტონური მუხტებია? - დაეჭვდა ერთი ინჟინერთაგანი - ჩვენ შეგვიძლია იგი მთავარ ძრავებში გამოვიყენოთ. თუ მშველიდან თეფშისებურ ამრეკლავებზე გადავდგამთ.

- თქვენ, ჩანს, უკვე ყველაფერი მოფიქრებული გქონიათ, - დანებდა ინჟინერი.

- ახლა საქმე, მძიმე პლანეტაზე დაჯდომა და აგრეთვე მასზე ცხოვრებაა,- წაიბუზღუნა პურ ხისმა.- ამ წყვდიადის სამეფოზე გაფიქრებაც კი საშინელებაა!

- რისკი, თავისთავად ცხადია, რჩება, მაგრამ იგი ჩვენი მდგომარეობის საფუძველშივე არსებობს და არა მგონია ვაზვიადებდეთ.

რაც შეეხება პლანეტას, რომელზეც ჩვენი ვარსკვლავმფრენი ზის არც ისე ცუდია. ოღონდ ხომალდი გადავარჩინოთ.

ერგ ნოორმა გადახედა სიჩქარეთა მომწესრიგებლის ციფერბლატს და სწრაფად მივიდა პულტთან. ექსპედიციის მეთაური წამით დაყოვნდა სახელურებისა და მართვის ვერნიერების წინ. დიდი ხელის თითები შეარხია, თითქო მუსიკალურ ინსტრუმენტზე აკორდი აიღოო. ზურგი მოეხარა, სახე გაუქვავდა.

ნიზა კრიტი მივიდა უფროსთან, გაბედულად აიღო მისი მარჯვენა ხელი და ხელისგულით მიიხუტა მღელვარებისაგან გახურებულ, გადატკეცილ ლოყაზე. ერგ ნოორმა მადლობით დაუქნია თავი, ხელი გადაუსვა ქალიშვილის რბილ თმებს და გაიმართა.

- მივემართებით ატმოსფეროს ქვედა ფენებისაკენ დასაჯდომად - ხმამაღლა თქვა მან და სიგნალი ჩართო.

ღმუილმა გადაიარა ხომალდზე, ადამიანები აჩქარებით გაიფანტნენ თავიანთ ადგილებზე, ჰიდრავლიკური მცურავი სავარძლების თავები ჩაიკეტა.

ერგ ნოორი რბილ სავარძელში ჩაეშვა, რომელიც სწორედ პულტის წინ საძრომიდან იყო

ამოწეული. აგუგუნდნენ პლანეტარული ძრავები და ვარსკვლავმფრენი კივილით დაეშვა დაბლა, უხილავი პლანეტის კლდეებისა და ოკეანეებისაკენ.

ლოკატორებმა და ინფრაწითელმა ამრეკლავებმა მოსინჯეს ძირს გაშლილი პირველქმნილი სიბნელე, წითელი ნათურები ენთო მოცმული ციფრის - თხუთმეტი ათასი მეტრის სიმაღლის სკალაზე. პლანეტაზე მოსალოდნელი არ იყო ათ კილომეტრზე მეტი სიმაღლის მთებთან შეხვედრა, სადაც წყალი და შავი მზის სითბო ისევე მუშაობდნენ ნიადაგის გასწორებაზე, როგორც დედამიწაზე.

პირველივე გარსშემოფრენისას პლანეტის დიდ ნაწილზე მთების ნაცვლად უმნიშვნელო ამაღლებანი აღმოაჩინეს, ცოტათი მეტი, ვიდრე მარსზე. ჩანდა, მთა-ამაღლებათა შემქმნელი შიგა ძალების მოქმედება თითქმის მთლიანად შეწყვეტილიყო ან შეჩერებულიყო.

ერგ ნოორმა გარსშემოფრენის სიმაღლის მსაზღვრელი ორი ათას მეტრზე გადასწია და მძლავრი პროჟექტორები ჩართო. ვარსკვლავმფრენის ქვეშ გაიშალა ვეებერთელა ოკეანე - ნამდვილ საშინელებათა ზღვა. გაუმჭვირვალე შავი ტალღები იმართებოდნენ და არნახულ სიღრმეებში ეცემოდნენ.

ბიოლოგი იწმენდდა დაძაბულობისაგან გაოფლილ შუბლს და ცდილობდა ტალღებისაგან არეკლილი ათინათი დაეჭირა ხელსაწყოთი, რომელიც განსაზღვრავს ამრეკლავი თვისების უმნიშვნელო რხევასაც კი, რათა განესაზღვრა ამ სიბნელის ზღვის მარილიანობა ან მინერალიზაცია.

წყლის მბრწყინავი სიშავე ბუნდოვანმა სიშავემ შეცვალა - დაიწყო ხმელეთი. პროჟექტორების გადაჯვარედინებული სხივები სიბნელის კედელთა შორის ვიწრო გზებს ჰკვეთდა. მათზე გამოჩნდებოდა ხოლმე მოულოდნელი საღებავები - ხან ქვიშის მოყვითალო ლაქები, ხანაც დამრეცი კლდოვანი გრეხილების მორუხო-მომწვანო ზედაპირი.

„ტანტრა“ დაემორჩილა მარჯვე ხელებს და გასრიალდა მატერიკის თავზე.

ბოლოს ერგ ნოორმა აღმოაჩინა ის დაბლობი. უმნიშვნელო სიმაღლის გამო მისთვის არ შეიძლებოდა ზეგანი გეწოდებინათ. მაგრამ ცხადი იყო, რომ შავი ზღვის მოსალოდნელ

მოქცევასა და გრიგალს არ შეეძლოთ მიწვდენოდნენ მას, რომელიც ხმელეთის დაბლობ ადგილებზე დაახლოებით ასი მეტრით მაღალი იყო.

მარცხენა ქიმის წინა ლოკატორმა დაუსტვინა. „ტანტრამ“ პროექტორები დაუმიზნა. ახლა სავსებით გარკვევით გამოჩნდა პირველი კლასის ვარსკვლავმფრენი. კრისტალური ანიზოტროპული ირდიუმით აწყობილი მისი წინა ნაწილი ახალივით ბრწყინავდა პროჟექტორის სხივებში. ხომალდის მახლობლად არ ჩანდა დროებითი შენობები, არ ენთო არავითარი ცეცხლი. ვარსკვლავმფრენი ბნელი და უსიცოცხლო იდგა, არაფრით არ განიცდიდა თანამოძმის მოახლოებას. პროექტორის სხივებმა შორს გადაიწია, აელვარდა... როგორც ლურჯი სარკიდან, ისე აირეკლენ სპირალური შვერილების მქონე კოლოსალური ბადროდან. ბადრო გვერდზე გადახრილი, ნაწილობრივ შავ ნიადაგში ჩაფლული იდგა. წამით დამკვირვებლებს მოეჩვენათ, რომ ბადროს უკან ჩანდა რაღაც კლდეები, ხოლო უფრო შორს კუნაპეტი სიბნელე იქუფრებოდა. იქ ნამდვილად ხრამი იყო ან დაბლობში რაიმე ჩასასვლელი...

„ტანტრის“ გამაყრუებელმა კივილმა შეარყია მისი კორპუსი.

ერგ ნოორს სურდა მათ მიერ აღმოჩენილი ვარსკვლავმფრენის მახლობლად დამჯდარიყო და აფრთხილებდა ადამიანებს, რომლებიც შეიძლება მომაკვდინებელ ზონაში- დაჯდომის ადგილიდან დაახლოებით ათასი მეტრი რადიუსის მანძილზე- ყოფილიყვნენ. პლანეტარული მოტორების

არაბუნებრივმა ღრიალმა სივრცეზე გადიგრიალა. იგი ხომალდის შიგნითაც კი ისმოდა. ეკრანზე გამოჩნდა ნიადაგის გავარვარებული ნაწილაკების ბოლქვები. იატაკმა მაღლა ციცაბოდ შემართვა და გადმოზნექვა იწყო. ჰიდრავლიკურმა სახსრებმა უხმაუროდ და მდორედ შვეულად დამაგრებული კედლებისაკენ პერპენდიკულარულად შემოაბრუნეს სავარძელთა საჯდომები.

გიგანტური მუხლუხა საყრდენები კორპუსს ჩამოსცილდა, გაიჩაჩხა, პირველები შეეხო უცხო სამყაროს ნიადაგს. ბიძგი, დარტყმა, ბიძგი - „ტანტრას“ წინა ნაწილი შეირყა და გაიყინა ძრავების სრულ დადუმებასთან ერთად. ერგ ნოორმა ამართა ხელი პულტისაკენ, რომელიც მის თავთან აღმოჩნდა, შემოაბრუნა საბჯენების გამოსართველი ბერკეტი. ვარსკვლავმფრენმა ნელ-ნელა, მოკლე ბიძგებით დაიწყო ცხვირით დაჯდომა, ვიდრეარ მიიღო ადრინდელი ჰორიზონტალური მდგომარეობა.

დაჯდომა დასრულდა. როგორც ყოველთვის, მან ისე ძლიერ შეანჯღრია თავიანთ სავარძლებში ნახევრად მიწოლილი ასტრომფრინავები, რომ ერთ ხანს გონების მოკრეფას მოუნდნენ.

საშინელმა სიმძიმემ წელში გაღუნა თვითეული. ადამიანები მძიმე ნაავადმყოფრებივით ძლივს დგებოდნენ ფეხზე. მაგრამ დაუდგრომელმა ბიოლოგმა მოასწრო ჰაერის ნიმუშის აღება.

- სასუნთქავად ვარგისია,- - გამოაცხადა მან, - ახლავე მიკროსკოპულ გამოკვლევას ჩავატარებ.

- რა საჭიროა,- გამოეხმაურა ერგ ნოორი, თან ჩასაჯდომი სავარძლის სამაგრ თასმებს იხსნიდა. - უსკაფანდროდ ხომალდის დატოვება შეუძლებელია. აქ შეიძლება ძალზე საშიში სპორები და ვირუსები იყოს.

რაბისებრ კაიუტაში გასასვლელთან წინასწარ იყო გამზადებული ბიოლოგიური სკაფანდრები და „მხტუნავი ჩონჩხები“- ტყავგადაკრულ ფოლადის ჩონჩხედები ელექტროძრავებით, ზამბარებითა და ამორტიზატორებით ინდივიდუალური მოძრაობისათვის, როცა სიმძიმის ძალა გადიდებულია. ისინი სკაფანდრებს ზემოდან ეცმებოდნენ.

ვარსკვლავთშორის უსასრულობაში ექვსი წლის ხეტიალის შემდეგ ყველას ეჩქარებოდა ფეხის შეხება თუნდაც უცხო ნიადაგისათვის. კეი ბერი, პურ ხისი, ინგრიდი, ექიმი ლუმა და ორი ინჟინერ- მექანიკოსი ვარსკვლავმფრენში უნდა დარჩენილიყვნენ, რათა რადიოსთან, პროექტორებთან და ხელსაწყოებთან ემორიგევათ.

ნიზა განზე გამდგარიყო და ხელში მუზარადი ეჭირა.

- რატომ ყოყმანობთ, ნიზა?- გამოეხმაურა გოგონას უფროსი, რომელიც თავისი მუზარადის წვერზე მიმაგრებულ რადიოსადგურს ამოწმებდა.- წამოდით ვარსკვლავმფრენისაკენ...

- მე...- ქალიშვილი შეყოყმანდა.- მე მგონია, რომ იგი მკვდარია და უკვე დიდი ხანია აქ დგას კიდევ ერთი კატასტროფა, კიდევ ერთი დაუნდობელი კოსმოსის მსხვერპლი,- ვიცი, ეს აუცილებელია, მაგრამ ყოველთვის მძიმე გადასატანია... განსაკუთრებით ზირდის, „ალგრაბის“ შემდეგ...

- შეიძლება ამ ვარსკვლავმფრენის სიკვდილმა ჩვენ სიცოცხლე მოგვცეს, - გამოეხმაურა პურ ხისი და თავისი მოკლე ფოკუსიანი მილი მიაბრუნა ხომალდისაკენ, რომელიც ძველებურად ბნელში იდგა.

რვა მოგზაური გადაფორთხდა გადასასვლელ კამერაში და დაიწყო ლოდინი.

- ჩართეთ ჰაერი! - უბრძანა ერგ ნოორმა ხომალდში დარჩენილებს, რომელთაც უკვე შეუღწევი კედელი აცილებდა.

მხოლოდ მას შემდეგ, როცა საკანში წნევამ ათ ატმოსფეროს მიაღწია და გარემოზე მეტი გახდა, ჰიდრავლიკურმა დომკრატებმა მისწი-მოსწიეს მჭიდროდ დამოქლონებული კარები. ჰაერის წნევამ ადამიანები საკნიდან თითქმის გამოისროლა და უცხოქვეყნელ მავნებლებს საშუალება არ მისცა შეჭრილიყვნენ მიწის ამ პატარა ნაგლეჯში. კარი სწრაფად მიიხურა. პროექტორის შუქმა გაკვალა ნათელი გზა, რომელზეც მკვლევარები თავიანთი ზამბარებიანი ფეხებით ძლივს მიათრევდნენ დამძიმებულ სხეულებს. შუქის გზის დასასრულს ამართულიყო ვეება ხომალდი. ნახევარი კილომეტრი მოუთმენლობისაგან არაჩვეულებრივად გრძელი მოეჩვენათ. უთანაბრო, შავი გზით ძლიერ გამთბარ, წვრილი ქვებით მოფენილ ნიადაგზე მოუქნელი ნახტომებითა და მძიმედ, რყევით მიაბოტებდნენ.

ჭარბნესტიან სქელ ატმოსფეროში ვარსკვლავები მქრქალი ლაქებივით მკრთალად კიაფობდა. მანათობელი დიდებული კოსმოსის ნაცვლად პლანეტის ზეცა ვარსკვლავეთის უმნიშვნელო ნაწილს გადმოსცემდა. მათ მოწითალო ბუნდოვან ნათურებს პლანეტაზე გამეფებულ ბნელეთთან ბრძოლის ძალა არ შესწევდათ.

კუნაპეტ სიბნელეში ხომალდი განსაკუთრებით რელიეფურად ჩანდა. ბორაზონო- ცირკონიუმიანი ლაქის სქელი ფენა გარსაფარზე ალაგ-ალაგ

გამქრქალებულიყო. ცხადია, ვარსკვლავმფრენი დიდხანს ხეტიალობდა კოსმოსში.

ეონ ტალმა აღტაცებით წამოიყვირა, რაც ყველა ტელეფონებში გაისმა. მან ხელით ღია კარზე, მბრწყინავ შავ ლაქაზე და ძირს დაშვებულ პატარა ამწეზე მიუთითა. ამწესთან

და ხომალდის ქვეშ ნიადაგზე, უეჭველია, მცენარეები იყო. სქელ ღეროებს თითქმის ერთი მეტრის სიმაღლეზე შეემართათ შავი, პარაბოლურად ჩაღრმავებული კიდეებშემოკბილული ჯამები, რაც ან ფოთლები იყო, ან ყვავილები. შავი, უძრავი კბილანების ეს ხროვა ავისმომასწავებელად გამოიყურებოდა. კიდევ უფრო აკრთობდათ ღია კარის მუნჯური ცქერა. ხელუხლებელი მცენარეები და ღია კარები - მაშასადამე, დიდი ხანია ადამიანები ამ გზით აღარ სარგებლობენ, არ იცავენ თავიანთ პაწაწკინტელა მიწიერ სამყაროს უცხო სამყაროსაგან.

ერგ ნოორი, ეონი და ნიზა ამწეში შევიდნენ. უფროსმა შემოაბრუნა დამშვები სახელური. მექანიზმი ოდნავი ღრჭიალით ამუშავდა და სამი მკვლევარი მორჩილად აიყვანა კარმოფარღალავებულ გადამსვლელ საკანში. მათ სხვებიც ამოჰყვნენ. ერგ ნოორმა გადასცა თხოვნა „ტანტრაზე“, რომ პროექტორი ჩაექროთ. ადამიანთა პატარა ჯგუფი მყისვე უძირო სიბნელეში ჩაიკარგა. შავი მზის სამყარო ისე მჭიდროდ მოახლოვდა, თითქო სურდა საკუთარი არსებისათვის შეეერთებინა მიწიერი ცხოვრების სუსტი კერა, რომელიც ვეებერთელა ბნელი პლანეტის ნიადაგს შეუერთდა.

აანთეს მუზარადების წვერზე მბრუნავი ფარნები. გასასვლელი საკნიდან ხომალდში შესასვლელი კარები მოხურული აღმოჩნდა, მაგრამ დაკეტილი არ იყო და იოლად გააღეს. მკვლევარები შუა დერეფანში შევიდნენ, ბნელ გასასვლელში გზას თავისუფლად იკვლევდნენ. ვარსკვლავმფრენის კონსტრუქცია „ტანტრისაგან“ მხოლოდ უმნიშვნელო დეტალებით განსხვავდებოდა.

- ხომალდი რამდენიმე ათეული წლის წინათაა აგებული, - თქვა ერგ ნოორმა და ნიზას მიუახლოვდა.

ქალიშვილმა მოიხედა. უფროსის ნახევრადგანათებული სახე მუზარადის სილიკოლებში[26] საიდუმლოები მოცული ჩანდა.

- წარმოუდგენელი აზრია, - განაგრძო ერგ ნოორმა, - ვაი თუ ეს... - აფრა! - წამოიყვირა ნიზამ, სულ დაავიწყდა, რომ მიკროფონთან იდგა. მზვერავთა ჯგუფი შეიჭრა ხომალდის მთავარ სათავსოში, ბიბლიოთეკა- ლაბორატორიაში,

და შემდეგ ცხვირის მახლობლად მართვის ცენტრალურ პოსტში. ჩონჩხისმაგვარ ჩარჩოში ჩამჯდარმა ექსპედიციის უფროსმა, რომელიც ძლივს მიკოჭლობდა, მიბანცალებდა და კედლებს ეხეთქებოდა, მიაღწია მთავარ გამანაწილებელ ფარამდე. ვარსკვლავმფრენის განათება ჩართული აღმოჩნდა, მაგრამ დენი არ იყო. ბნელ სათავსოებში მხოლოდ ფოსფორიანი მაჩვენებლები და ნიშნები განაგრძობდნენ ნათებას. ერგ ნოორმა ნახა საავარიო კლემა და იქ, ყველას გასაოცრად, აინთო მბჟუტავი შუქი, რომელიც დამაბრმავებლად მოეჩვენათ, იგი ალბათ, ამწესთანაც აინთო, რადგან მუზარადების ტელეფონებში გაისმა პურ ხისის ხმა, რომელიც დათვალიერების მიმდინარეობას ეცნობოდა. მას გეოლოგმა უპასუხა. უფროსი ცენტრალური პოსტის ზღურბლზე გაირინდა. ნიზამ მის ცქერას გააყოლა თვალი და მაღლა, წინა ეკრანებს შორის დაინახა ორმაგი წარწერა - დედამიწის ენაზე და დიდი რკალის კოდით აფრა. ხაზის დაბლა აღნიშნული იყო მიწის გალაქტიკური პირობითი მოწოდებები და მზის სისტემის კოორდინატები.

ოთხმოცი წლის წინათ გამქრალი ვარსკვლავმფრენი ნაპოვნი იქნა შავი მზის ადრე უხილავ სისტემაში, რომელიც ასე დიდხანს მხოლოდ ბნელ ღრუბლად მიაჩნდათ.

ვარსკვლავმფრენის სათავსოების დათვალიერებამ ვერ გააგებინა, სად გაქრნენ ადამიანები. ჟანგბადის რეზერვუარები ამომშრალი არ იყო, წყლისა და საკვების მარაგი კიდევ რამდენიმე წელს შეიძლებოდა ჰყოფნოდათ, მაგრამ არსადჩანდა „აფრის“ ეკიპაჟის არც კვალი, არც რაიმე ნაშთი.

ალაგ-ალაგ დერეფნებში, ცენტრალურ პოსტსა და ბიბლიოთეკაში უცნაური ნაღვენთები ეტყობოდა. ბიბლიოთეკის იატაკსაც აჩნდა ლაქა, იგი მრავალშრიანი აპკივით დაბრეცილიყო, თითქო რაღაც დაღვრილი გამშრალაო. კიჩოს სამანქანო პოსტში უკანა ტიხარის მოფარღალავებული კარის წინ დაწყვეტილი სადენები ეკიდა, ხოლო ფოსფოროვანი ბრინჯაოსაგან დამზადებული გამაგრილებლის მასიური დგარები ძლიერ დაღუნული იყო. რამდენადაც სხვა მხრივ ხომალდი მთლიანად მთელი იყო, ამდენად ეს დაზიანებანი, რომელიც მძლავრი დარტყმით უნდა ყოფილიყო გამოწვეული, აუხსნელი რჩებოდა. მკვლევარებს ძალღონე არ დაუზოგავთ, მაგრამ ისეთი ვერაფერი ნახეს, რომელიც გაარკვევდა „აფრის“ ეკიპაჟის გაქრობასა და უეჭველ დაღუპვას.

გზადაგზა გაირკვა მეორე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩენა - ხომალდზე შემორჩენილი ანამეზონისა და პლანეტარული იონური მუხტების

მარაგი უზრუნველყოფდა მძიმე პლანეტიდან „ტანტრის“ აფრენას და დედამიწამდე მგზავრობას.

ეს ცნობა მყისვე გადასცეს „ტანტრაზე“, რამაც გააქრო განწირულების გრძნობა, რომელიც რკინის ვარსკვლავის მიერ მათი ხომალდის დატყვევების შემდეგ დაუფლებოდა ადამიანებს. მოიხსნა ცნობის მიწაზე გადასაცემად ხანგრძლივი მუშაობის აუცილებლობა. სამაგიეროდ წინ იყო ვეებერთელა შრომა ანამეზონის კონტეინერების გადასატვირთავად. თავისთავად არც ისე იოლი ამოცანა აქ, დედამიწაზე თითქმის სამჯერ მეტი სიმძიმის მქონე პლანეტაზე, ისეთ საქმედ იქცა, რომელიც მაღალ ინჟინრულ გამომგონებლობას მოითხოვდა. მაგრამ რკალის ეპოქის ადამიანებს ძნელი გონებრივი ამოცანები კი არ აშინებდა, არამედ ახარებდა.

ბიოლოგმა ცენტრალურ პოსტის მაგნიტოფონიდან ფრენის დღიურის დაუმთავრებელი კოჭი ამოიღო, ერგ ნოორმა და გეოლოგმა გააღეს ჰერმეტულად დახურული მთავარი

სეიფი, რომელშიც „აფრის“ ექსპედიციის შედეგები იყო დაცული. ადამიანებმა მნიშვნელოვანი ტვირთი აიკიდეს - ფოტონო-მაგნიტური ფილმების ბევრ ხვეული, დღიურები, ასტრონომიული დაკვირვებები და გამოთვლები; თვითონ მკვლევარებად ყოფნისას ექსპედიციის წევრებს არ შეეძლოთ, რომ მცირე ხნითაც კი მიეტოვებინათ ასეთი ძვირფასი მონაპოვარი.

დაქანცული მზვერავები სულს ძლივს ითქვამდნენ. ისინი „ტანტრის“ ბიბლიოთეკაში მოუთმენლობისაგან სულწასულ ამხანაგებს შეხვდნენ. აქ, ჩვეულ მდგომარეობაში კაშკაშა შუქით გაჩახჩახებულ მარჯვედ დადგმულ მაგიდასთან, გარემომცველი სამარისებული სიბნელე და მკვდარი, მიტოვებული ვარსკვლავმფრენი ღამის კოშმარის მოჩვენებად იქცა. მაგრამ თვითეულს მძიმე ტვირთად აწვა საშინელი პლანეტის მიზიდულობა, რომელიც ერთი წამითაც კი არ წყვეტდა თავისმოქმედებას. ყოველ მოძრაობაზე ხანერთი და ხან მეორე მკვლევარი ტკივილისაგან იჭმუხნებოდა. დიდი პრაქტიკის გარეშე ძალიან ძნელი იყო საკუთარი სხეულის კოორდინირება ფოლადის „ჩონჩხის“ ბერკეტების მოძრაობასთან. ამის გამო ხან ბიძგებით მიდიოდნენ და ხან მკვეთრადაც ირყეოდნენ. მოკლე ლაშქრობიდანაც კი ადამიანები დანჯღრეულები

დაბრუნდნენ. გეოლოგ ბინ ლედს, როგორც ჩანდა, ტვინის მსუბუქი შერყევა მოუვიდა, მაგრამ ისიც მძიმედ დაებჯინა მაგიდას, საფეთქლები მოისრისა და წასვლაზე უარი განაცხადა, სანამ არ მოისმენდა ხომალდის დღიურის უკანასკნელ კოჭს. ნიზა ამ შემზარავ პლანეტაზე მკვდარ ხომალდში ოთხმოცი

წლის განმავლობაში დაცული ჩანაწერებისაგან რაღაც არაჩვეულებრივს მოელოდა. მან წარმოიდგინა დახმარების მთხოვნელი განწირული ძახილი, მწუხარების ქვითინი, ტრაგიკული გამოსათხოვარი სიტყვები. ქალიშვილი შეკრთა, როცა აპარატიდან კეთილხმოვანი და ცივი ხმა გაისმა. თვით ერგ ნოორიც კი, რომელიც ყველაფრის დიდი მცოდნე იყო, რაც ვარსკვლავთაშორის გაფრენებს ეხებოდა, არავის არ იცნობდა „აფრის“ ეკიპაჟიდან. ახალგაზრდებით დაკომპლექტებული ეს ვარსკვლავმფრენი ვეგასაკენ თავის უსასრულო მამაცურ „რეისზე“ ისე გაემგზავრა, რომ ვარსკვლავმფრენის საბჭოსათვის არ გადაუცია ჩვეულებრივი ფილმი ეკიპაჟის შემადგენლობის შესახებ.

უცნობი ხმა ჰყვებოდა ამბებს, რომელიც მოხდა დედამიწაზე უკანასკნელი ცნობის გადაცემიდან შვიდი თვის შემდეგ. ამ ამბამდე მეოთხედი საუკუნით ადრე, ვეგას სისტემის განაპირას კოსმოსური გაყინულობის სარტყლის გადალახვისას, „აფრა“'

დაზიანდა. კიჩოს ნაწილში ნახვრეტი ამოავსეს და გზა განაგრძეს, მაგრამ მოტორების დამცავი ველის უზუსტესი რეგულირება დაირღვა. ოც წელიწადს გაჭიანურებული ბრძოლის შემდეგ იძულებული გახდნენ ძრავები გაეჩერებინათ. კიდევ ხუთი წელი „აფრა“ ინერციით მიფრინავდა ისე, რომ კურსიდან ბუნებრივი უზუსტობით გვერდზე არ გადაიხარა. მაშინ გაგზავნილ იქნა პირველი ცნობა. ვარსკვლავმფრენი მეორე ცნობის გაგზავნას აპირებდა, როცა რკინის ვარსკვლავის სისტემაში მოხვდა. შემდეგ იგივე მოუვიდა, რაც „ტანტრას“, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ერთხელ დამუხრუჭებული სვლის მოტორების გარეშე ხომალდს გაფრენა სულ არ შეეძლო. მას არ შეეძლო პლანეტის თანამგზავრად ქცეულიყო, რადგანაც კიჩოში მოთავსებული ამჩქარებელი პლანეტარული მოტორები ისევე იყო დაზიანებული, როგორც ანამეზონური მოტორები. „აფრა“ მშვიდობიანად დაჯდა ზღვის მახლობლად დაბალ პლატოზე. ეკიპაჟი შეუდგა მის წინაშე მდგომი სამი ამოცანის შესრულებას: ძრავების გარემონტების ცდას, დედამიწაზე მოწოდების გაგზავნა და უცნობი პლანეტის შესწავლას. სარაკეტო კოშკის აგებაც ვერ მოასწრეს რომ ადამიანებმა გაურკვეველი მიზეზით გაქრობა დაიწყეს. მათ მოსაძებნად გაგზავნილებიც არ ბრუნდებოდნენ. პლანეტის გამოკვლევა შეწყდა. კოშკურის მშენებლობის მიზნით ხომალდს ყველანი

ერთად ტოვებდნენ და ხანგრძლივად ისხდნენ დახშულ ხომალდში, როდესაც ისვენებდნენ სიმძიმის ძალის მიზეზით არაჩვეულებრივად დამქანცველი შრომის შემდეგ. რადგან ჩქარობდნენ რაკეტის გაგზავნას, ისინი არც კი ცდილან

აფრის მახლობლად მყოფი უცხო ვარსკვლავმფრენის შესწავლას, რომელიც, ეტყობოდა, დიდი ხანია აქ იყო.

„ის ბადრო“. - გაუელვა გონებაში ნიზას. თვალებში შეხედა უფროსს, რომელმაც გაიგო მისი ფიქრი და დასტურის ნიშნად თავი დაუქნია...

„აფრის“ ეკიპაჟის თოთხმეტი წევრიდან ცოცხალი რვა გადარჩა შემდეგ დღიურში დაახლოებით სამი დღე გამოტოვებული იყო.. რის შემდეგაც ცნობას ქალის მაღალი ხმა გადმოსცემდა:

„დღეს, თორმეტ რიცხვში, რკალის სამას ოცდამესამე წლის მეშვიდე თვეში, ჩვენ, გადარჩენილებმა, დავამთავრეთ რაკეტა- გადამცემის მომზადება. ხვალ ამ დროს“...

კეი ბერმა ინსტინქტურად შეხედა საათის ბადეს გადახვეული ლენტის გასწვრივ - დილის ხუთი საათი იყო „აფრის“ დროით და ვინ იცის, რა დრო იყო ამ პლანეტაზე...

„ჩვენ გავგზავნით საიმედოდ გამოთვლილ... - ხმა შეწყდა, შემდეგ ისევ გაისმა, უფრო ყრუდ და სუსტად, თითქო მოლაპარაკე მიმღებიდან შებრუნდაო. - ვრთავ! კიდევ!...

ხელსაწყო დადუმდა, მაგრამ ლენტა აგრძელებდა გადახვევას.

- მსმენელებმა შეშფოთებით გადახედეს ერთმანეთს.

- რაღაც მოხდა! - დაიწყო ინგრიდ დიტრამ.

მაგნიტოფონიდან აჩქარებული, ჩახრინწული სიტყვები გაისმა:

„ორნი გადავრჩით''... ლაიკმა ვეღარ მოირბინა... ამწე... კარი ვერ ჩავკეტეთ, მხოლოდ მეორე! მექანიკოსი სახ კტონი ძრავებისაკენ გახოხდა... პლანეტარულებით დავცხებთ... ისინი არაფერს არ წარმოადგენენ, გაცოფებისა და საშინელების გარდა! დიახ, არაფერს“... ლენტა ერთ ხანს უხმოდ ბრუნავდა, შემდეგ იგივე ხმა ისევ ალაპარაკდა.

„ჩანს, კტონმა ვერ მოასწრო მე მარტოკა ვარ, მაგრამ, ვიდრე დავიწყებდე, - ხმა გაძლიერდა და დამარწმუნებელი ძალით გაისმა: ძმებო, თუ თქვენ ნახავთ „აფრას“', გაფრთხილებთ, არასოდეს არ დატოვოთ ხომალდი“. მოლაპარაკემ ღრმად ამოიოხრა და ხმადაბლა, თითქო თავისთვის თქვა: „კტონის ამბავი უნდა გავიგო, დავბრუნდები და ყველაფერს და წვრილებით აგიხსნით“...

ტკაცუნი - და ლენტამ კიდევ ოც წუთს - კოჭის დამთავრებამ დე გააგრძელა გადახვევა, მაგრამ ამაოდ ელოდნენ ყურადღებით, უცნობს არაფერი არ აუხსნია, რადგანაც, როგორც ეტყობა უკან აღარ დაბრუნებულა.

ერგ ნოორმა აპარატი გამორთო და თავის ამხანაგებს მიუბრუნდა: - ჩვენი დაღუპული დები და ძმები გვშველიან, ნუთუ არ გრძნობთ მიწიერი ადამიანის მძლავრ ხელს?! ხომალდზე აღმოჩნდა ანამეზონი. ახლა ჩვენ მივიღეთ გაფრთხილება იმ მომაკვდინებელი საფრთხის შესახებ, რომელიც აქ გვდარაჯობს! მე არ ვიცი ეს რა არის,

მაგრამ ალბათ სხვა სიცოცხლეა. ეს რომ კოსმოსური, სტიქიური ძალები იყოს, იგი მარტო ადამიანებს კი არ მოკლავდა, ხომალდსაც დააზიანებდა! ამგვარი დახმარების შემდეგ ჩვენთვის ახლა სამარცხვინო იქნებოდა, რომ არ გადავრჩეთ და დედამიწამდე არ მივიტანოთ „აფრისა“ და ჩვენი აღმოჩენები. დე დაღუპულთა დიდი შრომა, კოსმოსთან მათი ნახევარსაუკუნოვანი ბრძოლა უკვალოდ ნუ დაიკარგება.

- როგორღა ფიქრობთ საწვავის მომარაგებას, თუ ხომალდიდან არ გავალთ? - იკითხა კეი ბერმა.
- რატომ არ გავალთ თქვენ იცით- რომ ეს შეუძლებელია და ჩვენ გასვლა და გარეთ მუშაობა მოგვიწევს. მაგრამ გაფრთხილებულნი ვართ და რაიმეს ვიღონებთ...
- მივხვდი, - თქვა ბიოლოგმა ეონ ტალმა, - სამუშაო ადგილის გარშემო გარაჟს მოვაწყობთ.
- მარტო მანდ კი არა, არამედ მთელ გზაზე ხომალდებს შორის. - დაუმატა პურ ხისმა.
- ცხადია. რადგან არ ვიცით რა გველოდება, ამიტომაც მოვაწყობთ ორმაგ ბარაჟს.
- გამოსხივებითა და დენით. გავჭიმავთ სადენებს, მთელ გზაზე სხივურ დერეფანს შევქმნით. „აფრასთან“ გამოუყენებელი რაკეტა დგას - მისი ენერგია საკმარისი იქნება მუშაობის მთელი პერიოდისათვის.

ბინ ლედმა თავი ხმაურით დაარტყა მაგიდას. ექიმმა და მეორე ასტრონომმა გაჭირვებით დასძლიეს სიმძიმე და გრძნობადაკარგულ ამხანაგს მიუახლოვდნენ.

- არაფერია. - გამოაცხადა ლუმა ლასვმა. - შერყევა და გადატვირთვა მოუვიდა. დამეხმარეთ ბინი საწოლამდე მივიყვანო. ამ უბრალო საქმესაც კი ძალიან ბევრი დრო დასჭირდებოდა, მექანიკოს ტარონს რომ არ მოეფიქრებინა რობორტის ავტომატური ურიკის გამოყენება. მისი დახმარებით რვავე მზვერავი საწოლებამდე მიიყვანეს - უკვე დასვენების დრო იყო, წინააღმდეგ შემთხვევაში ახალ პირობებთან ორგანიზმის შეუჩვევლობით გამოწვეული დაძაბულობა შეიძლებოდა ავადმყოფობად გადაქცეულიყო, ექსპედიციის მძიმე მომენტში თვითეული ადამიანი შეუცვლელი გახდა.

მალე უნივერსალური გადაზიდვისა და საგზაო სამუშაოთათვის განკუთვნილი ორი

ერთმანეთზე გადაბმული ავტომატური ურიკა შეუდგა ვარსკვლავმფრენებს შორის გზის მოსწორებას. დასახული გზის ორთავე მხარეს მძლავრი მავთულები გაიჭიმა. ორთავე ვარსკვლავმფრენზე მოაწყეს სათვალთვალო კოშკურები სილიკობორის[27] სქელი ხუფებით. მათში დამკვირვებლები ისხდნენ, რომლებიც დროდადრო გზის გასწვრივ საპულსაციო კამერიდან მარაოსებურად გზავნიდნენ მომაკვდინებელ მკვეთრ გამოსხივებებს. მუშაობის მთელ პერიოდში წამითაც არ ჩამქრალა მძლავრი პროექტორების შუქი. აფრის ხერხემალზე გააღეს მთავარი საძვრომი, დაშალეს ტიხარი და ურიკაზე დასაშვებად გაამზადეს ანამეზონით დატვირთული ოთხი კონტეინერი და იონური მუხტების ოცდაათი ცილინდრი. მათ „ტანტრაზე“ ჩატვირთვა ბევრად უფრო რთულ ამოცანას წარმოადგენდა. ვარსკვლავმფრენის მკვდარ „აფრასავით“. გაღება არ შეიძლებოდა. რადგან ამით მასში უცხო სიცოცხლის უეჭველად მომაკვდინებელი წარმონაქმნები შეიჭრებოდა. ამიტომ საძვრომი მოამზადეს. გახსნეს შიგა ტიხარები და „აფრიდან“ გადაიტანეს თხევადი ჰაერის სათადარიგო ბალონები. ჩაფიქრებული გეგმის მიხედვით საძვრომის გაღების მომენტიდან კონტეინერების ჩატვირთვის დამთავრებამდე მისაღებ შახტში განუწყვეტლივ უნდა ებერა შეკუმშული ჰაერის მძლავრ ნაკადს. გარდა ამისა, ხომალდის ქიმი კასკადურ გამოსხივებით უნდა ყოფილიყო დაცული.

ადამიანები თანდათან შეეჩვიენ „ფოლადის ჩონჩხებში“ მუშაობას. ცოტათი შეეგუენ მიზიდულობის თითქმის სამმაგ ძალას, შესუსტდა ძვლების აუტანელი ტკივილები. რაც იქ დაჯდომისთანავე დაეწყოთ.

დედამიწის რამდენიმე დღე გავიდა. საიდუმლო „რაღაც“ არ გამოჩენილა. გარემომცველი ჰაერის ტემპერატურამ მკვეთრად დაიწყო დაცემა. ამოვარდა გრიგალისებური ქარი, რომელიც ყოველ საათში ძლიერდებოდა. ეს იყო შავი მზე, რომელიც ჩადიოდა. პლანეტა მობრუნდებოდა და მატერიკი, რომელზეც ვარსკვლავმფრენები იდგა, ღამის მხარეში გადადიოდა. კონვექციური დენების,

ოკეანის სითბოგამცემობის და სქელი ატმოსფერული საფარის წყალობით გაცივება მკვეთრი არ იყო, მაგრამ „პლანეტური ღამის“ შუა ხანებში მკაცრი ყინვა დაიჭირა. სკაფანდრებში ჩართული ჰქონდათ სათბობები და მუშაობა გრძელდებოდა. პირველი კონტეინერის „აფრიდან“ ჩამოშვება და „ტანტრაზე“ მიტანა მაშინ მოახერხეს, როცა ალიონზე გაშმაგდა დაისის ქარიშხალზე ბევრად უფრო მძლავრი ქარიშხალი. ტემპერატურა სწრაფად აიწია ნულს ზევით, მკვრივი ჰაერის ნაკადს აუარებელი ტენი მოჰქონდა, ელვა არყევდა ზეცას, გრიგალი იმდენად გაძლიერდა, რომ

ვარსკვლავმფრენმა გაცოფებული ქარის შეტევაზე რყევა დაიწყო. ადამიანებმა მთელი ძალები „ტანტრის“ ხერხემლის ქვეშ კონტეინერის დამაგრებას მოანდომეს. გრიგალის შემაშფოთებელი ღმუილი იზრდებოდა, ზეგანზე სახიფათო სვეტისებრი გრიგალი ბრუნავდა, რომელიც ძალზე ჰგავდა დედამიწაზე ცნობილ ტორნადოს. შუქის ზოლში თოვლისა და უზარმაზარი ძაბრისებრი ქარბორბალა ამოიზარდა, რომელიც წვერით დალაქული, ბნელი, დაბალი ცის თაღს ებჯინებოდა. მისი ძალით მაღალვოლტიანი დენის სადენები დაწყდა, ჩართვის ცისფერი ნაპერწკლები აციმციმდა დაგორგლილ სადენებში. პროჟექტორის მოყვითალო ცეცხლი „აფრასთან“ ჩაქრა, თითქო ქარმა დაუბერაო.

ერგ ნოორმა განკარგულება გასცა ხომალდში შეფარებულიყვნენ და მუშაობა შეეწყვიტათ.

- მაგრამ იქ მეთვალყურე დარჩა. - წამოიყვირა გეოლოგმა ბინ ლედმა, თან ხელით ანიშნებდა ძლივს შესამჩნევ შუქზე, რომელიც სილიკობორულ კოშკურაში ჩანდა.

- ვიცი, იქ ნიზაა, ახლავე იქით გავემართები, - უპასუხა ექსპედიციის უფროსმა.

- დენი გამოირთო და რაღაც თავის უფლებებში შევიდა, სერიოზულად შეელაპარაკა ბინი.

- თუ გრიგალი ჩვენზე მოქმედებს, იგი უეჭველია იმ რაღაცაზედაც იმოქმედებს. დარწმუნებული ვარ, სანამ გრიგალი არ შესუსტდება, საფრთხე არ არსებობს, მე კი ისე მძიმე ვარ, რომ ქარი ვერ წამიღებს, თუკი ნიადაგს მივესაფრები და ისე გავხოხდები. კარგა ხანია მინდოდა „რაღაცას“ კოშკურაში ჩავსაფრებოდი.

- ნება მომეცით თქვენთან ერთად წამოვიდე. - ხტუნვით მიუახლოვდა ბიოლოგი უფროსს.

- წამოდით, მაგრამ მარტო თქვენ - მეტი არავინ.

ორი ადამიანი დიდხანს მიფოფხავდა, ებღაუჭებოდნენ უთანაბრო ნიადაგს და ქვების ნაბზარებს, ცდილობდნენ გზაზე გრიგალის სვეტებში არ მოჰყოლოდნენ. გრიგალი დაჟინებით ცდილობდა ნიადაგიდან მათს მოწყვეტას, გადაბრუნებას და დაგორებას. ერთხელ კიდეც მოახერხა ეს, მაგრამ ერგ ნოორმა მოასწრო ხელი ეტაცა დაგორებული

ეონისათვის, ზევიდან დააწვა მუცლით და ბრჭყალებიანი ხელთათმანებით დიდი ქვის ნაპირებს ჩაებღაუჭა.

ნიზამ გააღო თავისი კოშკურის საძრომი და მფოფხავები რიგრიგობით შეძვრნენ შიგ. აქ თბილოდა და სიწყნარე იყო, კოშკურა მტკიცედ იდგა. იგი საიმედოდ იყო დამაგრებული, რადგან მშენებლებმა ჭკვიანურად განჭვრიტეს მოსალოდნელი ქარიშხალი. ჟღალკულულებიანი ასტრონავიგატორი ქალიშვილი იჭმუხნებოდა და ხალისობდა კიდეც ამხანაგების მოსვლით კმაყოფილი. ნიზამ გულწრფელად აღიარა, რომ უცხო პლანეტაზე ასეთ გრიგალში მთელი დღე-ღამის მარტო გატარება სასიამოვნო არ იქნებოდა.

ერგ ნოორმა „ტანტრას“ აცნობა გადასვლის კეთილად დამთავრება და ხომალდის პროჟექტორი ჩაქრა. ახლა პირველყოფილ სიბნელეში მხოლოდ კოშკურის შიგა სუსტი შუქი ციმციმებდა, ნიადაგი ცახცახებდა ქარიშხლის მოვარდნისაგან, ელვების დარტყმისაგან, მრისხანე ქარბორბლებისაგან. ნიზა მოძრავ სკამზე იჯდა, ზურგი რეოსტატზე ჰქონდა მიყრდნობილი. უფროსი და ბიოლოგი მის ფერხთით კოშკურის

ფუძის რკალისმაგვარ შვერილზე ჩამოსხდნენ. სკაფანდრებით ჩასქელებულნი, ისინი თითქმის მთელ ადგილს იჭერდნენ.

- წინადადება შემომაქვს დავიძინოთ, - ხმადაბლა გაისმა ტელეფონებში ერგ ნოორის ხმა,- შავ ალიონამდე ჯერ კიდევ ზუსტი თორმეტი საათია. მხოლოდ მაშინ ჩადგება ქარიშხალი და დათბება.

ამხანაგები სიამოვნებით დაეთანხმნენ. ადამიანებს ეძინათ სამმაგი სიმძიმით მოწეწკილებს, სკაფანდრებში მოკრუნჩხულებს, უხეში კარკასებით შევიწროებულებს, ვიწრო კოშკში ქარიშხლით შეძრულებს, - ასე დიდია ადამიანის ორგანიზმის შემგუებლობა და მასში დაფარული წინააღმდეგობის ძალა.

დროდადრო ნიზა იღვიძებდა, „ტანტრის“ მორიგეს დამამშვიდებელ ცნობებს გადასცემდა და ისევ ჩასთვლემდა. გრიგალი შესამჩნევად შესუსტდა, ნიადაგის რყევა შეწყდა, ახლა შეიძლებოდა გამოჩენილიყო რაღაც, ან უფრო სწორად ვიღაც.

კოშკურის მეთვალყურეებმა ყურადღების აბები მიიღეს, რათა მოდუნებული ნერვული სისტემა გამოეფხიზლებინათ.

- მოსვენებას არ მაძლევს უცხო ვარსკვლავმფრენი, - გამოტყდა ნიზა, - საშინლად მინდა ვიცოდე, ვინ არიან „ისინი“, საიდან არიან, როგორ მოხვდნენ აქ...

- მეც, - - უპასუხა ერგ ნოორმა. - უკვე დიდი ხანია დიდ რკალში გადასცემენ ამბებს რკინის ვარსკვლავებისა და მათი პლანეტახაფანგების შესახებ. იქ, გალაქტიკის უკეთ დასახლებულ ნაწილში, სადაც ხომალდები უფრო ხშირად ძველთაგანვე დაფრენენ, არის დაღუპული ვარსკვლავმფრენების პლანეტები. ბევრი ძველებური ხომალდი მიეკრა ამ პლანეტებს, ბევრ შემაძრწუნებელ ისტორიას ჰყვებიან მათ შესახებ, რაც ახლა უკვე კოსმოსის დაპყრობის სიძნელეთა შესახებ თქმულებებად და ლეგენდებადაა ქცეული. შეიძლება, ამ პლანეტაზე არის ვარსკვლავმფრენი კიდევ უფრო ძველი დროისა, თუმცა ჩვენს ნაკლებდასახლებულ ზონაში სამი ხომალდის შეხვედრაც კი სავსებით შეუძლებელი მოვლენაა. ჩვენი მზის ახლო-მახლო არც ერთი რკინის ვარსკვლავი არ ყოფილა ცნობილი. ჩვენ აღმოვაჩინეთ პირველი.

- თქვენ დისკური ვარსკვლავმფრენის გამოკვლევას აპირებთ? - ჰკითხა ბიოლოგმა.

- აუცილებლად! როგორ აპატიებს მეცნიერი თავის თავს ასეთი შემთხვევის ხელიდან

გაშვებას! დისკური ვარსკვლავმფრენები ჩვენ მომიჯნავე დასახლებულ ზონებში ცნობილი არ არის. ეს რომელიღაც შორეული.. შეიძლება ეკიპაჟის დაღუპვის შემდეგ რამდენიმე ათასი წლის მანძილზე გალაქტიკაში მოხეტიალე დაზიანებული ვარსკვლავმფრენია. იქნებ რკალის ბევრი გადაცემა ჩვენთვის მხოლოდ მას შემდეგ გახდეს გასაგები, როცა დედამიწაზე ამ ხომალდიდან წაღებულ მასალებს ჩავიტანთ. საკვირველი ფორმა კი აქვს - დისკური სპირალისა, ზედაპირზე მკვეთრად ამოკუზული წიბოებით. როგორც კი „აფრიდან“ გადატვირთვას მოვრჩებით, უცხოს მივხედავთ, - ჯერჯერობით კი არც ერთი კაცის მოწყვეტა არ შეიძლება.

- მაგრამ ჩვენ ხომ - „აფრა“ რამდენიმე საათში გამოვიკვლიეთ...

- მე დისკო სტერეოტელესკოპით დავათვალიერე. იგი დახშულია, არსად არავითარი ჭუჭრუტანა არ ჩანს. ნებისმიერი კოსმოსური ხომალდის შიგნით შეჭრა, რომელიც საიმედოდაა დაცული დედამიწის ყველა სტიქიაზე უფრო

მძლავრი ძალებისაგან, ძალიან ძნელია. სცადეთ დაკეტილ „ტანტრაში“ შეჭრა, მის ზედა შიდა კრისტალური სტრუქტურით გარდაქმნილ ჯავშნიან საფარში - ეს ამოცანა ციხესიმაგრის აღებაზე

უარესია. უფრო ძნელია, როცა ხომალდი მთლიანად უცხოა, აგებულია უცნობი პრინციპებით. მაგრამ ჩვენ შევეცდებით მის ამოხსნას.

- „აფრაზე“ ნაპოვნს როდისღა გავსინჯავ? - იკითხა ნიზამ, იქ მეტისმეტად საინტერესო დაკვირვებები უნდა იყოს იმ მშვენიერ სამყაროთა შესახებ, რომლებზეც ცნობაში იყო ლაპარაკი.

ტელეფონში უფროსის გულკეთილი სიცილი გაისმა:

- მე ბავშვობიდან ვეგაზე ვოცნებობდი და ყველაზე მეტად ვღელავ მოუთმენლობისაგან. მაგრამ ამისათვის ბევრი დრო გვექნება შინ დაბრუნებისას. უპირველესად - ამ სიბნელიდან უნდა გავაღწიოთ, ამ ქვესკნელის ძირიდან, როგორც ძველად იტყოდნენ. „აფრის“ მკვლევარები არ დაშვებულან ძირს, წინააღმდეგ შემთხვევაში ხომალდის საკოლექციო საწყობში ჩვენ ვნახავდით იმ პლანეტებზე ნაპოვნ ბევრ ნივთს. მოიგონეთ, დაწვრილებითი ჩხრეკის მიუხედავად, ჩვენ მხოლოდ ფილმები, გაზომვები და გადაღებათა ჩანაწერები, ჰაერის ნიმუშები და ფეთქებადი მტვრის ბალონები აღმოვაჩინეთ...

ერგ ნოორი დადუმდა და დააყურადა. გრძნობიერ მიკროფონებსაც კი არ მოჰქონდათ ქარის ხმაური - ქარიშხალი ჩადგა. გარედან ისმოდა ნიადაგის ხრაშუნი, რომელიც კოშკურის კედლებს გადაეცემოდა.

უფროსმა ხელი გააქნია, ნიზამ უსიტყვოდ გაუგო და განათება გამორთო. ინფრაწითელი გამოსხივებით გამთბარ კოშკში წყვდიადი შავ სითხესავით თხელი ჩანდა, თითქო ნაგებობა ოკეანის ფსკერზე იდგა. სილიკობორის მტკიცე გამჭვირვალე სარქველში მოყავისფრო ცეცხლის ნაპერწკლები აციმციმდა, რომლებიც ადამიანებმა გარკვევით გაარჩიეს. ნაპერწკლები ენთებოდა, წამით წარმოსახავდნენ მუქწითელ ან მუქ-მწვანე სხივებიან ვარსკვლავს, ქრებოდა და ისევ ჩნდებოდა. ვარსკვლავები ჯაჭვივით იჭიმებოდა, შემდეგ ეს ჯაჭვი იღუნებოდა, ირკალებოდა და რვიანივით იგრიხებოდა, უხმაუროდ მისრიალებდა ჩაჩის სწორ და ალმასივით მყარ ზედაპირზე. კოშკურაში მყოფმა ადამიანებმა თვალებში უცნაური სიმწვავე იგრძნეს. ხოლო სხეულის მთავარ ნერვებში - მწვავე წამიერი ტკივილი, თითქო ყავისფერი ვარსკვლავების მოკლე სხივები ნემსებივით შეესოთ ნერვების ღეროებშიო.

- ნიზა, - წაიჩურჩულა ერგ ნოორმა, - გადასწიე რეგულატორი სრულ ვარვარებამდე და ერთბაშად ჩართე შუქი.

კოშკურა ნათელი ცისფერი დედამიწის სინათლით აივსო. მისგან დაბრმავებულმა ადამიანებმა ვერაფერი, - უფრო ზუსტად, თითქმის ვერაფერი ვერ დაინახეს. ნიზამ და ეონმა მოასწრეს შეენიშნათ, ან მხოლოდ მოეჩვენათ, რომ სიბნელე კოშკურის მარჯვენა მხარეზე უცებ არ გამქრალა, არამედ წამიერად დარჩა რადაცნაირი გაჩაჩხული, საცეცებწამოზრდილი ლეკერტივით. ამ „რაღაცამ“ ელვისებურად შეკუმშა საცეცები და სინათლის მიერ გადასროლილ ღამის კედელთან ერთად უკან გადახტა. ერგ ნოორს არაფერი დაუნახავს, მაგრამ საფუძველი არ ჰქონდა თავისი ახალგაზრდა ამხანაგების სწრაფი რეაქციისათვის არ დაეჯერებინა.

- შეიძლება აჩრდილებია? - წარმოთქვა ნიზამ. - - სიბნელის ჩრდილისებრი შენადედები რაიმე ენერგიის, მაგალითად, ჩვენი ბურთისებრი ელვების მსგავსი ენერგიის მუხტების გარშემო, და სრულიადაც არ არის სიცოცხლის ფორმები? თუ აქ ყველაფერი შავია, მაშინ აქაური ელვებიც შავი უნდა იყოს.

- თქვენი აზრები პოეტურია, - შეეკამათა ერგ ნოორი, - მაგრამ საეჭვოა რომ სწორი იყოს. უპირველესად, რაღაც აშკარად გვესხმოდა თავს, ჩვენს ცოცხალ ორგანიზმს ეძებდა. ამათ, ან ამათმა მოძმეებმა გაანადგურეს „აფრის“ ადამიანები. თუ ისინი ორგანიზებულნი და ჯიუტები არიან, თუ შეუძლიათ საჭირო მიმართულებით მოძრაობა, რაღაც ენერგიის დაგროვება და გამოყოფა, მაშინ, ცხადია, არავითარ საჰაერო ჩვენებებზე ლაპარაკი არ შეიძლება, ისინი ცოცხალი მატერიის ქმნილებანი არიან და ჩვენს შესანსვლას შეეცდებიან... ბიოლოგმა უფროსის დასკვნებს დაუჭირა მხარი.

- მე მგონი, რომ აქ, სიბნელის პლანეტაზე, მხოლოდ ჩვენთვის ბნელა, რადგან ჩვენი თვალები ვერ გრძნობს სპექტრის თბური ნაწილის ინფრაწითელ სხივებს. სხვაგვარი სხივები - ყვითელი და ცისფერი - ალბათ ძლიერ მძლავრად იმოქმედებს ამ ქმნილებებზე. მათი რეაქცია იმდენად მეყსეულია, რომ დაღუპულმა „აფრელმა“ ამხანაგებმა ვერაფრის შემჩნევა ვერ მოასწრეს, თუმცა თავდასხმის ადგილი გაანათეს... ხოლო როცა შეამჩნიეს, უკვე გვიან იყო და დაღუპულებსაც არაფრის თხრობა აღარ შეეძლოთ...

- ახლავე გავიმეორებთ ცდას, თუმცა მათი მოახლოება ძალიან არასასიამოვნოა.

ნიზამ შუქი ჩააქრო და სამი დამკვირვებელი ისევ უკუნ წყვდიადში მოექცა. ისხდნენ და ელოდნენ ბნელეთის სამყაროს ქმნილებას.

- რითია შეიარაღებული? რატომ იგრძნობა მისი მოახლოება ხუფშიც და სკაფანდრშიც? - ხმამაღლა იკითხა ბიოლოგმა. ენერგიის რაიმე განსაკუთრებული სახეა?

- ენერგიის სახეები ძალიან მცირეა და ეს ნამდვილად ელექტრომაგნიტური ენერგიაა. მაგრამ უდავოა, არსებობს მისი მრავალი სხვადასხვაგვარი მოდიფიკაცია. ამ არსებას აქვს ჩვენს ნერვულ სისტემაზე მოქმედი იარაღი. შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორი იქნება ამ საცეცების შეხება ისეთ სხეულზე, რომელიც არაფრით არ არის დაცული.

ერგ ნოორს დაბურძგლა, ხოლო ნიზა კრიტი შეკრთა - მათ შეამჩნიეს მოყვითალო ნაპერწკლები, რომლებიც სამი მხრიდან სწრაფად ახლოვდებოდა.

- აქ ერთი არსება არ არის - ჩუმად წამოიყვირა ეონმა - გეთაყვა, ხუფთან მათი მოშვება საჭირო არ არის.

- მართალი ხართ, დაე თვითეული ჩვენგანი ზურგით სინათლისაკენ შებრუნდეს და მხოლოდ თავისი მხრისკენ იცქიროს. ნიზა, ჩართეთ.

ამჯერად თვითეულმა დამკვირვებელმა შეამჩნია ცალკეული წვრილმანები, რომელთაგანაც შეადგინეს საერთო შეხედულება არსებებზე. ისინი გიგანტურ დონდლო მედუზებს ჰგავდნენ. ნიადაგიდან ოდნავ მაღლა მიცურავდნენ და ქვედა კიდურებზე ხშირი ფოჩები ერხეოდათ. ამ არსებებს, თავის ზომებთან შედარებით, რამდენიმე საცეცი მოკლე ჰქონდათ, არა უმეტეს ერთი მეტრისა. რომბული სხეულის მახვილ კუთხეებში წამოზრდილი იყო ბევრად უფრო მეტი სიგრძის ორ-ორი საცეცი. საცეცების ძირში ბიოლოგმა შენიშნა ვეებერთელა ბუშტულები, რომლებიც შიგნიდან ოდნავ ანათებდნენ და თითქო საცეცებზე ვარსკვლავისებურ ნაპერწკლებს გზავნიდნენ.

- დამკვირვებლებო, რატომ რთავთ და გამორთავთ შუქს,- უცებ მუზარადებში ინგრიდის სუფთა ხმა გაისმა. - დახმარება გინდათ? გრიგალი ჩადგა და ჩვენ მუშაობას შევუდგებით. ახლავე მოვალთ თქვენთან.

- არავითარ შემთხვევაში! - მკაცრად ბრძანა უფროსმა. დიდი საშიშროებაა. გამოუძახეთ ყველას.

ერგ ნოორი მოჰყვა საშინელი მედუზების ამბავს. მოგზაურებმა ითათბირესდა გადაწყვიტეს, ფორანით პლანეტარული ძრავის ნაწილი გამოეტანათ. სამასი მეტრის სიგრძის ცეცხლის ნაკადი ქვიან დაბლობს გადაევლო. თავის გზაზე იგი

ყველაფერ ხილულსა და უხილავს სპობდა. ნახევარი საათიც არ გასულა და ადამიანებმა ისევ გაჭიმეს დაწყვეტილი მავთულები. დაცვა აღდგენილ იქნა. ცხადი გახდა, რომ ანამეზონი პლანეტური ღამის დადგომამდე უნდა ჩაეტვირთათ. ძალთა ზებუნებრივი დაძაბვით ეს მოხერხდა და დაქანცული მოგზაურები მიეფარნენ ვარსკვლავმფრენის ურღვევ ჯავშანს. მჭიდროდ დახურეს საძვრენები და მშვიდად უსმენდნენ ვარსკვლავმფრენის რყევას. მიკროფონებს გარედან გრიგალის ღმუილი და გუგუნი მოჰქონდა, რაც პატარა, მკაფიოდ განათებულ, სიბნელის ძალთათვის მიუწვდომელ სამყაროს კიდევ უფრო მყუდროს ხდიდა.

ინგრიდმა და ლუმამ სტერეოეკრანი გახსნეს. კარგი ფილმი აარჩიეს. ბიბლიოთეკაში მსხდომთა ფერხთით აშრიალდა ინდოეთის ოკეანის ცისფერი წყალი. მიმდინარეობდა

პოსეიდონის თამაშები მსოფლიო შეჯიბრებანი ყოველნაირ საწყლოსნო სპორტში. რკალის ეპოქაში ყველა ადამიანი ისე ახლო მეგობრობდა ზღვასთან, როგორც ეს წინათ მხოლოდ ზღვისპირა ქვეყნების ადამიანებს შეეძლოთ. ხტომები, ცურვები, ყვინთვები მოტორული ფიცრებიდან და საჰაერო ტივებიდან. ათასობით მშვენიერი, მზისაგან გამოთანგული ახალგაზრდა სხეული. წკრიალა სიმღერები, სიცილი, ფინალის საზეიმო მუსიკა...

ნიზა მიუბრუნდა მის გვერდით მჯდომ ბიოლოგს, რომელიც ღრმად დაფიქრებულიყო და სულიერად უსასრულო შორეთში გაფრენილიყო, ალერსიან მშობლიურ პლანეტაზე, მის დამორჩილებულ ბუნებაში.

- ეონ, თქვენ ასეთ შეჯიბრებებში მონაწილეობდით? ბიოლოგმა გაოგნებული თვალებით შეხედა.

- ამათში? არა, არასოდეს. დავფიქრდი და უცებ ვერ გავიგე.

- განა ამაზე არ ფიქრობდით? - ქალიშვილმა ეკრანზე მიუთითა. - ხომ მართალია, რომ წარმოუდგენლად უფრო მშვენიერი გეჩვენებათ ჩვენი სამყაროს სილამაზე სიბნელის, ქარიშხლების, ელექტრული შავი მედუზების შემდეგ?

- ჰო, ცხადია. და ამის გამო კიდევ უფრო მეტად მინდა შავ მედუზის ხელში ჩაგდება. სწორედ ამ ამოცანის გადაჭრაზე ვიმტვრევდი თავს.

ნიზა კრიტი შებრუნდა მოცინარი ბიოლოგისაგან და მღიმარე ერგ ნოორს წააწყდა.

- თქვენც იმაზე ფიქრობდით, თუ როგორ უნდა დავიჭიროთ ეს შავი საშინელება?- დაცინვით ჰკითხა მან.

- არა, მაგრამ ბადროსებური ვარსკვლავმფრენის გამოკვლევაზე ვფიქრობდი.

უფროსის თვალებში აციალებულმა ეშმაკურმა ნაპერწკლებმა ნიზა თითქმის გააჯავრა.

- ახლა ჩემთვის გასაგებია, რატომ ომობდნენ ძველად მამაკაცები. მე მეგონა, რომ ამის

მიზეზი მხოლოდ თქვენი სქესის მკვეხარა ბუნება იყო, რომელიც მოუწყობელ საზოგადოებაში ძლიერად ითვლებოდა.

- თქვენ მთლად მართალი არ ხართ, თუმცა ნაწილობრივ გაიგეთ ჩვენი ძველი ფსიქოლოგია. მე ასეთი ხასიათი მაქვს - რაც მეტად ლამაზი და საყვარელია ჩემი პლანეტა, მით უფრო მინდა მას მოვემსახურო. გავაშენო ბაღები, მოვიპოვო ლითონები, ენერგია, საკვები, შევქმნა მუსიკა - ისე, რომ როცა მე წავალ, ჩემს შემდეგ დავტოვო ჩემი ხელებითა და გონებით შექმნილი რაიმე რეალური საგანი. მე მხოლოდ კოსმოსი, ვარსკვლავმფრენის ხელოვნება ვიცი და ამით შემიძლია ვემსახურო ჩემს კაცობრიობას. მაგრამ მიზანი გაფრენა კი არ არის, არამედ ახალი ცოდნის მოპოვება, ახალ სამყაროთა აღმოჩენა, რომელთაც ოდესმე დედამიწასავით მშვენიერ პლანეტებად ვაქცევთ. თქვენ კი რას ემსახურებით, ნიზა თქვენც რატომ შეგიპყროთ ბადროვარსკვლავმფრენის საიდუმლომ? განა ეს მხოლოდ ცნობისმოყვარეობაა?

ქალიშვილმა ძლივძლიობით ასწია ღონეგამოცლილი ხელები და უფროსს გაუწოდა. იგი ნაზად მოეფერა. ნიზას ლოყები აუწითლდა, დაღლილი სხეული ახალი ძალით

აევსო. როგორც მაშინ, სახიფათო დაშვების წინ, იგი ლოყით მიეკრა ერგ ნოორის ხელს, ხოლო ბიოლოგს აპატია დედამიწისადმი მოჩვენებითი ღალატი. საბოლოოდ რომ გამოეთქვა თავისი თანხმობა ორივეს მიმართ, ნიზამ წამოაყენა იდეა, რომელიც იმ წუთას მოუვიდა თავში: წყლის ერთი ავზისათვის გაეკეთებინათ ავტომატურად ჩამკეტი სახურავი. მასში მისატყუებლად დაკონსერვებული ახალი ხორცი უნდა ჩაედოთ, რომელიც, როგორც განსაკუთრებული სასუსნავი, ასტრომფრინავების კონცენტრირებული საკვების უმნიშვნელო დანამატს წარმოადგენდა. თუ შავი „რაღაც“ ჩაძვრება მასში და სახურავი დაიკეტება, მაშინ წინასწარ მომზადებული ონკანების საშუალებით ავზებს მიწის ინერტულ აირებს მიუბერავენ და სახურავის კიდეებს ყრუდ შეადუღებენ.

ეონი „ჟღალთმიანი ქალიშვილის“ გამომგონებლობით აღტაცებაში მოვიდა.

თავის მხრივ ერგ ნოორი გარს უტრიალებდა ადამიანის მსგავს რობოტს და მძლავრ ელექტროჰიდრავლიკურ საჭრისს ამზადებდა, რომლის დახმარებითაც შორეული ვარსკვლავის სპირალურ ბადროში შეჭრას იმედოვნებდა.

ნაცნობ ბნელეთში უკვე ჩადგა ქარიშხლები, ყინვა სითბომ შეცვალა - დადგა ორასოცსაათიანი „დღე“. დედამიწის ოთხი დღის სამუშაო დარჩა - იონური მუხტების, ზოგიერთი მარაგისა და ფასიანი ინსტრუმენტების ჩატვირთვა. გარდა ამისა, ერგ ნოორს აუცილებლად მიაჩნდა, თან წაეღოთ დაღუპული ეკიპაჟის პირადი ნივთების ნაწილი, რათა საფუძვლიანი დეზინფექციის შემდეგ სამახსოვროდ მიეტანათ იგი დედამიწაზე ნათესავებისათვის. რკალის ეპოქაში ადამიანები ნივთებით თავს მაინცდამაინც არ იტვირთავდნენ - მათი „ტანტრაზე“ გადატანა სიძნელეს არ წარმოადგენდა.

მეხუთე დღეს დენი გამორთეს და ბიოლოგი ორ მოხალისესთან კეი ბერთან და ინგრიდთან ერთად „აფრის“ სათვალთვალო კოშკში ჩაიკეტა. შავი არსებები თითქმის დაუყოვნებლივ გამოჩნდნენ.

ბიოლოგმა ინფრაწითელი ეკრანი მოიმარჯვა. ამით მომაკვდინებელ მედუზებს თვალყურს ადევნებდა. აი ხაფანგ- ავზთან მივიდა ერთი მათგანი მან შეკუმშა საცეცები, მრგვალ გუნდას დაემგვანა და ავზში ჩასვლა იწყო. მოულოდნელად კიდევ ერთი შავი

რომბი გამოჩნდა ავზის ღია პირთან. პირველმა ურჩხულმა საცეცები გაფარჩხა- ვარსკვლავისებრი ნაპერწკლები თვალშეუსწრები სისწრაფით აციმციმდნენ და მუქ- წითელი შუქის მოცახცახე ზოლებად იქცნენ. ეს ზოლები უხილავ სხივთა ეკრანზე მწვანე ელვებად აციალდა. პირველი გვერდზე გადგა, მაშინ მეორე წამსვე გუნდასავით დაეხვია და ავზის ფსკერზე დაეცა. ბიოლოგმა ჭიკარტისაკენ წაიღო ხელი, მაგრამ კეი ბერმა შეაჩერა. პირველი ურჩხულიც დაიგორგლა და მეორეს მიჰყვა. ახლა ავზში ორი საშინელი მედუზა იმყოფებოდა. გასაკვირი ისღა იყო, თუ როგორ მოახერხეს მათ ასე ძლიერ შეეკუმშათ თავიანთი მოცულობა. ჭიკარტებზე ხელი დააჭირეს - სახურავი დაიკეტა და იმ წუთში ხუთი თუ ექვსი შავი ურჩხული ყოველ მხრივ შემოეხვია ცირკონიუმით მოპირკეთებულ ვეებერთელა ჭურჭელს. ბიოლოგმა გაანათა, „ტანტრაზე“ მყოფთ თხოვა დაცვა ჩაერთოთ. შავი მოჩვენებანი ჩვეულებისამებრ თვალის დახამხამებაში გაქრა, მაგრამ ორი მათგანი დატყვევებული დარჩა ავზის ჰერმეტული სახურავის ქვეშ.

ბიოლოგი ავზს მიუახლოვდა, სახურავს შეეხო და ისეთი გამკვეთი ნერვული ჩხვლეტა იგრძნო, რომ თავი ვერ შეიკავა და აუტანელი ტკივილისაგან დაიყვირა. მარცხენა ხელი დამბლადაცემული ჩამოეკიდა.

მექანიკოსმა ტარონმა მაღალტემპერატურიანი დამცველი სკაფანდრი ჩაიცვა. მხოლოდ ამის შემდეგ მოხერხდა ავზისათვის მიწის წმინდა აზოტის შეფრქვევა და სახურავის შედუღება. ონკანებიც დარჩილეს, ავზს ხომალდის სათადარიგო იზოლაციის ნაჭერი შემოახვიეს და საკოლექციო კამერაში აიტანეს. გამარჯვება ძვირად იქნა მოპოვებული - ბიოლოგს ხელის დამბლამ არ გაუარა, თუმცა ექიმი ბევრს ეცადა. ეონ ტალი ძალზე იტანჯებოდა, მაგრამ არც კი უფიქრია უარი ეთქვა სპირალურ ბადროსთან მისვლაზე. ერგ ნოორმა გაითვალისწინა გამოკვლევებისაკენ მისი დაუოკებელი მისწრაფება და არ შეეძლო „ტანტრაზე“ დაეტოვებინა.

სპირალური ბადრო - სტუმარი შორეული სამყაროდან - „აფრიდან“ უფრო მეტად დაშორებული აღმოჩნდა, ვიდრე პირველად ეგონათ მოგზაურებს. პროექტორის შუქზე იგი შორს ბუნდოვნად ჩანდა და მისი სიდიდეც სწორად ვერ შეაფასეს. ეს იყო ჭეშმარიტად კოლოსალური ნაგებობა, გარდიგარდმო არანაკლებ ოთხასი მეტრისა, საჭირო გახდა „აფრიდან“ კაბელების მოხსნა, რათა დამცველი სისტემა ბადრომდე მიეყვანათ. საიდუმლო ვარსკვლავმფრენის ციცაბო კედელი დასცქეროდა ადამიანებს, მიდიოდა მაღლა, შორს და ბნელ, დალაქულ ზეცაში იკარგებოდა. ჩანახშირებულ-

ჩაშავებული ღრუბლები ბოლქვა - ბოლქვად ადიოდა და ფარავდა უზარმაზარი დისკოს ზედა მესამედს. კორპუსი მწვანე მალაქიტისებურ მასას დაეფარა. მისი ძალზე დაბზარული ფენა მეტრამდე სისქისა იყო. ნაბზარებში ნათელი ცისფერი ლითონი ჩანდა, რომელიც ლურჯად ანათებდა იმ ადგილებში, სადაც მალაქიტის ფენა გადასცლოდა. ბადროს „აფრისკენ“ მიმართული მხარე სპირალივით დახვეული შემაღლებული ლილვით იყო აღჭურვილი. ეს შემაღლება გარდიგარდმო ოც მეტრს აღწევდა, ხოლო სიმაღლით დაახლოებით ათი მეტრი იქნებოდა. ვარსკვლავმფრენის უკუნ სიბნელეში ჩაფლული მეორე მხარე უფრო ამოზნექილი ჩანდა, თითქო ჩამოჭრილი იყო ბურთიდან, რომელიც ოცდაათმეტრიანი სისქის ბადროსათვის მიემაგრებინათ. ამ მხარეზეც მაღალი სპირალური ლილვი იყო ამოშვერილი, თითქო ხომალდის კორპუსში ჩაძირული სპირალური მილის ბოლო გარეთ გამოსულაო.

კოლოსალური ბადრო კიდით ღრმად ჩაფლულიყო ნიადაგში. ლითონის ციცაბო კედლის ძირას ადამიანებმა ირგვლივ სქელი ფისივით მიმოღვრილი გამდნარი ქვა შეამჩნიეს.

მკვლევარებმა ბევრი დრო დახარჯეს რაიმე შესასვლელის ან საძრომის ძებნაში. მაგრამ იგი ან მალაქიტის სადებავით იყო დაფარული ან საერთოდ ისე ოსტატურად იკეტებოდა, რომ საძრომები ხომალდის კედელზე არავითარ კვალს არ სტოვებდა. ვერც ოპტიკურ ხელსაწყოთათვის განკუთვნილი ჭუჭრუტანები და ვერც გამოსაქრევი სისტემის ონკანები ვერ ნახეს. ვარსკვლავმფრენი ლითონის მთლიან კლდეს ჰგავდა. ერგ ნოორს ეს გათვალისწინებული ჰქონდა და გადაწყვიტა ხომალდის კორპუსი ელექტროჰიდრავლიკური საჭრისების მეშვეობით გაეხსნა. ეს საჭრისები ძლევდნენ დედამიწის ვარსკვლავმფრენთა ყველაზე მტკიცე და ბლანტ საფარველებს. მოკლე თათბირის შემდეგ შეთანხმდნენ სპირალური ლილვის კენწერო გაეჭრათ. სწორედ იქ უნდა ყოფილიყო რაიმე სიცარიელე, მილი, ან ხომალდის შიდა რკალური გასასვლელი, რომლის მეშვეობითაც მოხერხდებოდა ვარსკვლავმფრენის შიგნითა სათავსოებში შეღწევა, ისე, რომ არ მიდგომოდნენ ტიხრების თანმიმდევრულ რიგს.

სპირალური ბადროს სერიოზული შესწავლა მხოლოდ სპეციალურ ექსპედიციას შეეძლო. მისი ამ სახიფათო პლანეტაზე გამოგზავნისათვის კი საჭირო იყო დაესაბუთებინათ, რომ შორეული სამყაროდან მოსული სტუმრის შიდა ნაწილში

ხელუხლებლად იყო დაცული ხელსაწყოები და მასალები, დაცული იყო იმათი ყოფის ნიშნები, რომლებიც მართავდნენ ხომალდს ისეთ უსასრულო სივრცეში, რომლის წინაშეც დედამიწის ვარსკვლავმფრენთა გზა კოსმოსის საზღვრებში მხოლოდ პირველი ფრთხილი წაფორხილება იყო.

სპირალური ლილვი ბადროს მეორე მხარეზე ნიადაგს მჭიდროდ ებჯინებოდა. იქ პროჟექტორი და მაღალი ძაბვის გამტარები მიათრიეს. ბადროსაგან ატყორცნილი მოლურჯო შუქი დაბლობზე ბუნდოვანი ბურუსივით გაიფანტა და მისწვდა გაურკვეველი მოხაზულობის მაღალ ბნელ საგნებს, ალბათ, კლდეებს, რომლებიც უძირო სიბნელის ჭიშკრებით გამოკვეთილი იყვნენ. არც ბნელი ვარსკვლავისებური ლაქების ანარეკლები, არც პროჟექტორის სხივები სიბნელის ამ ჭიშკრებში ნიადაგის არსებობას არ გაგრძნობინებდნენ. ცხადია, იქ იყო ჩაქცეულ დაბლობში ჩასასვლელი ხრამი, რომელიც „ტანტრის“ დაჯდომის დროს შეამჩნიეს.

ხმადაბალი და ყრუ ბუყბუყით მოფოფხდა ავტომატური ფორანი. მასზე იდო უნივერსალური რობოტი, რომელიც ერთადერთი ჰქონდათ ხომალდზე. რობოტი არ

გრძნობდა სამმაგ სიმძიმეს, სწრაფად მიუახლოვდა ბადროს და ლითონის კედელს მიადგა. იგი მოკლეფეხებიან სქელ კაცს ჰგავდა. გრძელი ტანი და ვეებერთელა, წინ მრისხანედ გადმოხრილი თავი ჰქონდა.

რობოტი ერგ ნოორს დაჰყვა, ოთხი ზედა კიდურით ასწია მძიმე საჭრისი, ფეხები ფართოდ გაჩაჩხა და სახიფათო სამუშაოს შესასრულებლად მოემზადა.

- რობოტის მართვას ვაწარმოებთ მხოლოდ კეი ბერი და მე, რომელთაც უმაღლესი დაცვის სკაფანდრები გვაცვია, - ტელეფონით ბრძანა ექსპედიციის უფროსმა. - დანარჩენები მსუბუქ ბიოლოგიურ სკაფანდრებში გამოწყობილები, გვერდზე გადადექით...

უფროსი შებორძიკდა. მის შეგნებაში რაღაცამ დაიარა, გულში გამანადგურებელი სევდა გამოიწვია, მუხლებში ჩახარა. ადამიანის ამაყი ნებისყოფა მოიდრიკა, ჩლუნგმა მორჩილებამ შეცვალა, მთლიანად ოფლში გაღვარულმა ერგ ნოორმა ნებისყოფამოდუნებულმა გადააბიჯა შავი ჭიშკრებისაკენ. ნიზას კივილმა, რომელიც ტელეფონში გაისმა, გონება დაუბრუნა. შეჩერდა, მაგრამ მის ფსიქიკაში შემოჭრილი ბნელი ძალა ისევ წინ ერეკებოდა.

უფროსთან ერთად ასევე ნელა, ნება-ნება, გაემართნენ კეი ბერი და ეონ ტალი. ისინი, რომლებიც სინათლის წრის საზღვარზე იდგნენ. იქ, სიბნელის კარიბჭესთან, ბურუსში ამოიმართა მოძრავი ფორმა, აუხსნელი ადამიანური წარმოდგენისათვის და მით უფრო საშინელი. ეს უკვე ცნობილი მედუზისმაგვარი სისაძაგლე არ იყო, რუხ ნახევარჩრდილებში მოძრაობდა შავი ჯვარი ფართო ფრთებითა და შუაში ამოზნექილი ელიპსით. ჯვრის სამ ბოლოში მოჩანდა ლინზები. ისინი ირეკლავდნენ პროჟექტორის შუქს, რომელიც გაჭირვებით ჰკვეთდა ნესტიანი ორთქლის ბურუსს. ჯვრის ბოლო ნიადაგის გაუნათებელი სიღრმის უკუნეთში იკარგებოდა.

ერგ ნოორი მიდიოდა სხვებზე უფრო ჩქარა, ასამდე ნაბიჯზე მი უახლოვდა გაურკვეველ საგანს და დაეცა. სანამ გაოგნებული ადამიანები მოასწრებდნენ მიმხვდარიყვნენ, რომ საქმე უფროსის სიკვდილ- სიცოცხლეს ეხებოდა, შავი ჯვარი გაჭიმული მავთულების წრეზე უფრო ამაღლდა. იგი მცენარის ღეროსავით წინ გადმოიხარა, აშკარად აპირებდა გადმოღუნულიყო დამცველ ველზე და ერგ ნოორს მისწვდენოდა.

გაშმაგებული ნიზა, რომელსაც ათლეტის ძალა მიეცა, მივარდა რობოტს და დაატრიალა მის ზურგზე სამართავი სახელურები. ნელა და თითქო გაუბედავად რობოტმა დაიწყო საჭრისების შემართვა. მაშინ ქალიშვილი დარწმუნდა, რომ იგი ვერ მოახერხებდა რთული მანქანის მართვას, გადახტა წინ და უფროსს

აეფარა. ჯვრის სამი კიდურიდან რაღაცნაირი გველისებური ნათელი ნაკადები თუ ელვები გამოფრინდა. ქალიშვილი ხელგაშლილი დაეცა ერგ ნოორს. მაგრამ საბედნიეროდ, რობოტმა საჭრისის მილძაბრა შიგნით ჩაბრუნებული მსხვილი წვერით შავი ჯვრის ცენტრისაკენ მიაბრუნა. იგი კონვულსიურად დაიღუნა. თითქო გულაღმა ეცემაო, და კლდეებთან ჩაბუდებულ უკუნ სიბნელეში მიიმალა. ერგ ნოორი და მისი ორივე ამხანაგი სწრაფად მოვიდნენ გონს, აიყვანეს ქალიშვილი და სპირალურ ბადროს ამოეფარნენ. გონსმოსული თანამგზავრები უკვე მოაგორებდნენ პლანეტარული ძრავების იმპროვიზირებულ ქვემეხს.

წინათ განუცდელი მკაცრი გააფთრების გრძნობით ერგ ნოორმა გამოსხივების დამანგრეველი ნაკადი კლდის ჭიშკრებისაკენ მიმართა, გულდასმით ხვეტდა დაბლობს და ცდილობდა ნიადაგის არც ერთი კვადრატული მეტრი არ გამოეტოვებინა.

ეონ ტალმა უძრავად მდებარე ნიზას წინაშე ჩაიმუხლა, ხმადაბლა ესაუბრებოდა ტელეფონით და ცდილობდა სილიკოლის მუზარადის შიგნით მისი სახე დაწვრი ლებით შეეთვალიერებინა. ქალიშვილი უძრავად, თვალდახუჭული იწვა. ბიოლოგმა სუნთქვის ნიშნები ვერც ტელეფონში მოისმინა და ვერც სკაფანდრში იგრძნო.

- ურჩხულმა ნიზა მოჰკლა! - მწარედ შეჰყვირა ეონ ტალმა, როგორც კი ახლოს მოსულ ერგ ნოორს მოჰკრა თვალი.

უმაღლესი დაცვის მუზარადის ვიწრო საჭვრეტელ ზოლში შეუძლებელი იყო უფროსის თვალების დანახვა.

- დაუყოვნებლივ მიიყვანეთ იგი „ტანტრაზე“, ლუმასთან, - ერგ ნოორის ხმაში ადრინდელზე უფრო მტკიცე ლითონისებური ნოტები ჟღერდა. - თქვენც დაეხმარეთ მარცხის ხასიათის გარკვევაში... ჩვენ ექვსნი დავრჩებით და გამოკვლევას ბოლომდე მივიყვანთ. დე გეოლოგი თქვენთან ერთად წამოვიდეს და გზადაგზა ბადროდან „ტანტრამდე“ ყოველგვარი მთის ჯიშები შეაგროვოს - ამ პლანეტებზე ვეღარ დავრჩებით. აქ კვლევა უმაღლესი დაცვის ტანკებში უნდა ჩატარდეს, ჩვენ კი მხოლოდ დავღუპავთ ექსპედიციას წაიღეთ მესამე ფორანი და აჩქარდით.

ერგ ნოორი მოტრიალდა და უკან მოუხედავად გაემართა ბადროვარსკვლავმფრენისაკენ. ქვემეხი წინ დააყენეს. მასთან მდგომი ინჟინერმექანიკოსი ყოველ ათ წუთში რთავდა ცეცხლის მდინარეს, რომელსაც

მთელ ნახევარ წრედ მოატარებდა ხოლმე, თვით ბადროს ნაპირამდე. რობოტმა საჭრისები სპირალური ლილვის მეორე შიდა კოჭაკის ქიმთან მიიტანა. იგი აქ, ნიადაგში ჩაფლულ ბადროს კიდეზე, ავტომატის მკერდის სიმაღლეზე იყო. ხმამაღალმა გუგუნმა უმაღლესი დაცვის სკაფანდრების სისქეშიც კი შეაღწია. არჩეულ მონაკვეთზე მალაქიტის ფენას პატარ-პატარა ნამსხვრევები დასცვივდა. ამ მტკიცე მასის ნამტვრევები მიფრინავდა და ხმაურით ეხეთქებოდა რობოტის ლითონის სხეულს. საჭრისმა გვერდითი მოძრაობით ფენის მთელი ფინი ჩამოკვეთა, გააშიშვლა ღია ცისფერი მარცვლოვანი ზედაპირი, რომელიც პროექტორის შუქზეც კი სასიამოვნო საცქერი იყო. კეი ბერმა მოიხაზა კვადრატი, რომელიც საყოფი იქნებოდა სკაფანდრიანი ადამიანის გასაძრომად და აიძულა რობოტი ცისფერ ლითონზე დრმა ჭდე გაეტარებინა. ჭდემ მთელი სისქე მაინც ვერ გაკვეთა. რობოტმა პირველის კუთხურად

მეორე ხაზი გაავლო, საჭრისის მახვილის წვერს ავლებდა ჭდეზე წინ და უკან, აძლიერებდა ძაბვას. ლითონის ჭრილი ერთ მეტრზე უფრო ჩაღრმავდა. როცა მექანიკურმა თანაშემწემ გახაზა კვადრატის მესამე მხარე, ჭდეები ერთმანეთს დასცილდა, კვადრატმა გარეთ გამოიწია.

- ფრთხილად! ყველანი უკან! დაწექით! - დაიღრიალა მიკროფონში ერგ ნოორმა, გამორთო რობოტი და დაბარბაცდა.

ლითონის სქელი ნაჭერი უცებ კონსერვის ქილის სახურავივით შებრუნდა. ცეცხლის წარმოუდგენლად ნათელი ნაირფერი ნაკადი გამოვარდა ნახვრეტიდან და სპირალური გამობერილის გასწვრივ შემხებს დაეჯახა. მხოლოდ ამან იხსნა დანავსული მკვლევარები და კიდევ იმან, რომ ცისფერი ლითონი სწრაფად ჩამოდნა და ისევ ამოავსო ამოკვეთილი ნახვრეტი. ძლიერი რობოტისაგან მხოლოდ დამდნარი ლითონის გუნდაღა დარჩა, რომელშიც საცოდავად ჩანდა ლითონის მოკლე ფეხები. ერგ ნოორი და კეი ბერი გონივრულად ჩაცმული სკაფანდრების წყალობით გადარჩნენ. აფეთქებამ ისინი საოცარი ვარსკვლავმფრენიდან შორს გადაისროლა, გატყორცნა დანარჩენებიც, გადააბრუნა „ქვემეხი“ და დაგლიჯა მაღალვოლტიანი კაბელები.

როცა პირველმა თავბრუსხვევამ გაუარათ, ადამიანები მიხვდნენ, რომ დაუცველნი დარჩნენ. საბედნიეროდ, ისინი გადარჩენილი პროჟექტორის შუქში იწვნენ. არავინ არ დაზიანებულა, მაგრამ ერგ ნოორმა გადაწყვიტა, რომ მათთვის ეს ყველაფერი უკვე საკმარისი იყო. მკვლევარებმა მიატოვეს უსარგებლო ინსტრუმენტები, კაბელები პროჟექტორი, ჩასხდნენ დაუზიანებელ ფორანში და სასწრაფო დაიხიეს თავიანთი ვარსკვლავმფრენისაკენ.

უცხო ვარსკვლავმფრენის დაუდევრად გახსნის დროს მდგომარეობათა ხელსაყრელი დამთხვევა უფროსის წინდახედულებაზე სულაც არ მიუთითებდა. ამ ცდის განმეორება ბევრად უფრო სავალალოდ დამთავრდებოდა... ხოლო ნიზა, საყვარელი ასტრონავიგატორი, როგორღაა?.. ერგ ნოორი იმედოვნებდა, რომ სკაფანდრი შეამსუბუქებდა შავი ჯვრის დარტყმის მომაკვდინებელ ძალას. ხომ არ მოკლა ბიოლოგი შავი მედუზის შეხებამ. მაგრამ აქ, დედამიწის ყოვლისშემძლე სამკურნალო ინსტიტუტებისაგან დაშორებით, შეძლებენ კი გაუმკლავდნენ უხილავი იარაღის ზემოქმედებას?..

გადასასვლელ კამერაში კეი ბერი უფროსს მიუახლოვდა და მარცხენა სამხრეულის ქვედა მხარეზე მიუთითა. ერგ ნოორი სარკეებისაკენ შებრუნდა. ისინი ყოველთვის იდგა გადასასვლელ ოთახში, რადგანაც უცხო პლანეტიდან მობრუნების შემდეგ აუცილებელი იყო საკუთარი თავის დათვალიერება. ცირკონ-ტიტანის სამხრეულის თხელი ფურცელი გახეული იყო. გარღვეულ ნაოჭში ცისფერი ლითონის ნაჭერი გაჩხერილიყო, საიზოლაციო საფენში შეჭრილიყო, მაგრამ სკაფანდრის შიდა ფენებამდე ვეღარ შეეღწია. გაჭირვებით ამოაძვრეს ლითონის ნატეხი. ბოლოს და ბოლოს, დიდი საფრთხის ფასად სპირალურ-ბადროსებური ვარსკვლავმფრენის საიდუმლო ლითონის შემთხვევითი ნიმუში დედამიწაზე იქნება მიტანილი.

ბოლოს ერგ ნოორი სკაფანდრისაგან გათავისუფლდა და საშინელი პლანეტის გამსრესს მიზიდულობის მიუხედავად მოახერხა შესულიყო, უფრო სწორად, შებარბაცებულიყო თავის ხომალდში.

მთელი ექსპედიცია მას უდიდესი მოუთმენლობით ელოდა. ბადროსთან მომხდარ კატასტროფას სტერეოვიზოფონებით აკვირდებოდნენ და ცდის შედეგებზე საკითხავი არაფერი ჰქონდათ.

თავი **IV.** დროის მდინარე

ვედა კონგი და დარ ვეტერი უსასრულო ველების თავზე ნელა მცურავი ხრახნმფრენის პატარა მოედანზე იდგნენ. მსუბუქი ნიავი მოღაღანე სქელ ბალახს ფართო ტალღასავით აშრიალებდა. მარცხნივ, შორს ჩანდა შავ-თეთრი საქონლის ჯოგი. ეს იყო იმ საქონლის თაობა, რომელიც იაკების, ძროხებისა და კამეჩების შეჯვარებით იქნა მიღებული.

დაბალი გორაკები, ფართო ველებზე მიმდინარე წყნარი მდინარეები - სივრცისა და სიმშვიდის სუნთქვა იგრძნობოდა მიწის ქერქის იმ ბრტყელ ნაკვეთზე, რომელსაც უწინ დასავლეთ ციმბირის დაბლობი ერქვა.

დარ ვეტერი დაფიქრებული დასცქეროდა მიწას, ოდესღაც რომ უსასრულო ჭაობებითა და ციმბირის ჩრდილოეთის დაბეჩავებული, გამოხშირებული ტყეებით იყო დაფარული. გონებაში ძველი ოსტატის სურათს ხედავდა, რომელმაც მასზე ჯერ კიდევ ბავშვობაში მოახდინა წარუშლელი შთაბეჭდილება.

ვეებერთელა მდინარის მოსახვევში, მაღალ კონცხთან იდგა სიძველისაგან განაცრისფრებული ხის ეკლესია, რომელიც ობლად შეშტერებოდა მდინარის გაღმა მინდვრებისა და ჭალების სივრცეებს. გუმბათზე აღმართული თხელი ჯვარი შავად ჩანდა დაბლა დაწეულ მძიმე ღრუბლებში. ეკლესიის უკან, პატარა სასაფლაოზე რამდენიმე ტირიფი და არყის ხე ქარს თავს უკრავდნენ, დაბლა უხრიდნენ გა წეწილ კენწეროებს. ძირს დაღუნული ტოტები თითქმის ეხებოდა ნახევრად დამპალ ჯვრებს, დროისა და ქარიშხლისაგან ახალ, სველ ბალახებში მიწვენილებს. მდინარის იქით რუხი იისფერი კლდეები ვით აყორავებულიყო საგრძნობლად სქელი ღრუბლები. ფართო მდინარე დაუნდობელი, რკინისებური ელფერით იყო გაშუქებული. ასეთივე სიცივე იგრძნობოდა ირგვლივ. შორეული და მახლობელი ხედები დასველებულიყო შემოდგომის დაჟინებული წვიმისაგან, რომელიც ესოდენ დამახასიათებელია ცივი და არამყუდრო ჩრდილოეთის განედებისათვის. მოლურჯო რუხი- მწვანე ფერის გამა მიუთითებდა, რომ აქ მოუსავლიანი მიწის ისეთი სივრცეები იყო, სადაც ადამიანს უჭირს ცხოვრება, სადაც სიცივეა და შიმშილი, სადაც იგრძნობა ძველი დროის ადამიანთა უგუნურობისათვის დამახასიათებელი მარტოხელობა.

ძალზე შორეულ წარსულში გასახედ ფანჯრად ეჩვენებოდა დარ ვეტერს ეს სურათი, რომელიც ახლა მუზეუმში იყო შენახული გამჭვირვალე დამცველი ჯავშნის სიღრმეში, უხილავი სხივებით განათებული და განახლებული.

დარ ვეტერმა მდუმარედ გადახედა ვედას. ახალგაზრდა ქალმა ბაქანის ქიმის სახელურს დაადო ხელი. იგი თავდახრილი, დაძაბული ფიქრობდა და გასცქეროდა ქარში დარხეულ მაღალი ბალახების ღეროებს. ვერცხლისფერი ვაცისწვერები ფართოდ და ნელა ლივლივებდნენ, ხრახმფრენის მრგვალი მოედანი მინდვრის თავზე აუჩქარებლად მიცურავდა. პატარა, ცხელი ქარები მოულოდნელად შემოეფეთა მოგზაურებს, ვედას თმები და კაბა აუწეწა, დარ ვეტერს სიცელქით შეუბერა თვალებში ცხელი ჰაერი. მაგრამ ავტომატური გამაწონასწორებელ ფიქრზე უფრო სწრაფად მოქმედებდა და მფრინავი მოედანი მხოლოდ ცოტა შეკრთა თუ ძლივს შესამჩნევად დაირყა.

დარ ვეტერი კურსოგრაფის ჩარჩოზე დაიხარა. რუკის ზოლი სწრაფად მოძრაობდა, მათ საკუთარ გადაადგილებას ასახავდა, - მართლაც, ისინი ძალიან შორს,

ჩრდილოეთისაკენ შეიჭრნენ. დიდი ხანია გადაკვეთეს მესამოცე პარალელი, გაიარეს ირტიშ- ობის შესართავი, მიუახლოვდნენ მაღლობს, რომელსაც ციმბირის ფერდობები ეწოდება.

ველების სივრცეს ორივე მოგზაური შეეჩვია. ოთხი თვე მუშაობდნენ ისინი ალტაის მთის ძირების ცხელ ველებში ძველი ყორღანების გათხრებზე. წარსულის მკვლევარები თითქო იმ ხანაში გადასახლდნენ, როცა მხოლოდ შეიარაღებული მხედრების ცალკეულ რაზმებს შეეძლოთ სამხრეთის ველების გადალახვა.

ვედა მობრუნდა და მდუმარედ მიათითა წინ. იქ, გამთბარი ჰაერის ნაკადში ცურავდა ბნელი კუნძული, რომელიც ნიადაგიდან მოწყვეტილი გეჩვენებოდათ. რამდენიმე წუთის შემდეგ ხრახნმფრენი მიუახლოვდა პატარა ბორცვს - ალბათ ოდესღაც აქ არსებული საბადოს ჩამონაქცევ მიწაყრილს. მაღაროთა ნაგებობისაგან არაფერი არ დარჩენილა, გარდა ალუბლის ხეებით დაფარული პატარა გორაკისა.

მრგვალი მფრინავი მოედანი უცებ მკვეთრად დაფერდდა.

დარ ვეტერმა ავტომატურად მოხვია ვედას წელზე ხელი და ბაქანის ზეაწეული ხიდისაკენ გააქანა. ხრახნმფრენი წამით ისევ გასწორდა მხოლოდ იმიტომ, რომ ბორცვის ძირას ბრტყლად დაცემულიყო. ამუშავდა ამორტიზატორები და ხელახალმა ბიძგმა ვედა და დარ ვეტერი ბორცვის ძირას გადატყორცნა, პირდაპირ ხშირ უხეშ ბუჩქნარში. წუთიერი სიჩუმის შემდეგ, მინდვრის მყუდროებაში ვედას დაბალი სიცილი გაისმა. დარ ვეტერმა წარმოიდგინა თავისი გაკვირვებული და დაკაწრული ფიზიონომია და აჰყვა ვედას უანგარიშო სიხარულში. უხაროდა, რომ ვედა უვნებელი გადარჩა და ავარიამ უხიფათოდ ჩაიარა.

- ხრახნმფრენით 8 მეტრზე მაღლა ფრენა ტყუილად კი არ არის აკრძალული, - ხითხითით წარმოთქვა ვედა კონგმა. - ახლა მესმის...

- გაფუჭებისას მანქანა სწრაფად ვარდება ძირს და ერთადერთი იმედი ამორტიზატორებია. ვერაფერს იზამ, ეს კანონიერი სასჯელია სიმსუბუქისა და მცირე ზომებისათვის. გარდა ამისა, ჩვენ, ყველა ამ უხიფათო

გადაფრენებისათვის კიდევ ერთი სასჯელი გვემუქრება, - ოდნავ არტისტული გულგრილობით თქვა დარ ვეტერმა.

- კერძოდ რომელი? - სერიოზულად იკითხა ვედამ.

- გამძლეობის ხელსაწყოთა უნაკლო მუშაობა მექანიზმების დიდ სირთულეს მოითხოვს. ვშიშობ,- სანამ მასში გავერკვევი, კარგა ბევრი დრო გაივლის. მოგვიწევს თავის გაღწევა უღარიბესი წინაპრების ხერხებით.

ვედას თვალებში ეშმაკური ნაპერწკალი უელავდა, ხელი გაუწოდა და დარ ვეტერმა მსუბუქად ასწია ახალგაზრდა ქალი. ისინი დაცემული ხრახნმფრენისაკენ დაეშვნენ, ნაფხაჭნებზე განმკურნებელი საცხი წაისვეს, დაგლეჯილი ტანსაცმელი მიკერ-მოკერეს. დარ ვეტერმა ვედა ბუჩქის ჩრდილში დააწვინა, თვითონ კი ავარიის მიზეზების შესწავლას შეუდგა. როგორც ფიქრობდა, რაღაც მოხდა ავტომატურ გამაწონასწორებელში, რომლის მაბლოკირებელმა ხელსაწყომ ძრავა გამორთო. როგორც კი დარ ვეტერმა ხელსაწყოს ყუთი გახსნა, ნათელი გახდა, რომ შეკეთებით არაფერი გამოვიდოდა ძალზე დიდი ხანი დასჭირდება ურთულესი ელექტრონიკის არსში ჩასაწვდომად. იმედგაცრუებულმა მსუბუქად ამოიოხრა, გამართა დაღლილი წელი და ალმაცერად გადახედა ბუჩქს, რომლის ძირშიაც ვედა კონგს გულუბრყვილოდ

ჩასძინებოდა. გახურებული ველი, სანამ თვალი გასწვდებოდა, უკაცური ჩანდა. ორი დიდი მტაცებელი ფრინველი ნელა ტრიალებდა ოდნავ დარხეულ ცისფერ ბურუსში...

გამგონე მანქანა მკვდარ ბადროდ იქცა და უსარგებლოდ ეგდო გამხმარ მიწაზე. დარ ვეტერს მარტოობისა და მთელი სამყაროსაგან მოწყვეტილობის საოცარი გრძნობა დაეუფლა.

ამავე დროს მას არაფრის არ ეშინოდა. დაე დაღამდეს, მაშინ შეუიარაღებელი თვალის მხედველობა უფრო შორს გასწვდება: ისინი უთუოდ დაინახავენ რაიმე ცეცხლს და წავლენ იქითკენ. ისინი მსუბუქად გამოფრინდნენ. არც რადიო-ტელეფონი წამოუღიათ, არც ფანრები, არც საჭმელი.

„ოდესდაც სტეპში შეიძლებოდა შიმშილისაგან დაღუპულიყავი თუ თან არ წაიღებდი საჭმლის დიდ მარაგს... ან კიდევ წყალს“! - ფიქრობდა საგარეო სადგურის ყოფილი გამგე და ნათელი შუქისაგან თვალებს იჩრდილავდა. ვედას გვერდით მან შეამჩნია ალუბლის ბუჩქის პატარა ჩრდილი და უდარდელად გაიშხლართა მიწაზე. ბალახების ხმელი ღეროები მსუბუქ ტანსაცმელში აღწევდა და სხეულს უჩხვლეტდა. ქარის

წყნარმა ჩურჩულმა და სიცხემ სულში დავიწყება ჩაღვარა: ფიქრები ნელ- ნელა ცვლიდნენ ერთმანეთს. მახსოვრობაში გაიელვა დიდი ხნის წინანდელმა სურათებმა - გრძელ რიგად მიდიოდნენ ძველი ხალხები, თემები, ცალკეული ადამიანები... თითქო იქიდან, წარსულიდან მოვლენების, სახეების, ტანსაცმელების ყოველ წამს ცვალებადი ვეებერთელა მდინარე მოჩქრიალებდა. - ვეტერ. - ჩაესმა მთვლემარეს საყვარელი ხმა, გამოფხიზლდა და წამოჯდა.

მზე უკვე წითელი ბურთივით ეხებოდა ჰორიზონტის ჩამუქებულ ხაზს, არავითარი ქროლვა არ იგრძნობოდა ჩამკვდარ ჰაერში.

- ბატონო ჩემო, ვეტერ, - აზიის ძველ ქალებს მიბაძა ვედამ და ვეტერს ცელქურად თაყვანი სცა, - ხომ არ ინებებთ გაიღვიძოთ და გამიხსენოთ?

დარ ვეტერმა რამდენიმე ილეთი გააკეთა და საბოლოოდ მოიშორა ძილი. ვედა დაეთანხმა მის გეგმას, რომ დაღამებისთვის დაეცადათ. იმ დროს შემოაღამდათ, როცა განვლილ მუშაობას ენერგიულად იხილავდნენ. მოულოდნელად დარ ვეტერმა

შეამჩნია, რომ ვედა კანკალებდა. მას ხელები გაუცივდა და ვეტერმა გაიფიქრა, ეტყობა მსუბუქმა ტანსაცმელმა სულაც ვერ დაიფარა ვედა ჩრდილოეთის ადგილების ამის სიცივისაგანო.

ზაფხულის ღამე მესამოცე პარალელზე ნათელი იყო და მათ მოახერხეს ცოტაოდენი ფიჩხის შეგროვება.

ხმამაღლა გაიტკაცუნა დარ ვეტერის მიერ ხრახნმფრენის მძლავრი აკუმულატორიდან ამოღებულმა ელექტრულმა ჭურვმა და მალე კოცონის ნათელმა ალმა გაფანტა გარშემო მოჯარული სიბნელე, თავისი ცხოველმყოფელი სითბოთი გააძღო ადამიანები.

მოკრუნჩხული ვედა ისე გაიშალა, როგორც ყვავილი მზეზე და ორივენი თითქმის ჰიპნოზურ ფიქრებში გაეხვიენ. ათასი წლები. წინათ ცეცხლი ადამიანთა მთავარი თავშესაფარი და ხსნა იყო. სწორედ იმ ათასწლეულებიდან სადღაც ღრმად ადამიანის სულში დარჩა სიმყუდროვისა და სიმშვიდის დაუძლეველი გრძნობა, რომელსაც ბადებდა ცეცხლი სიცივითა და სიბნელით გარემოცულ საათებში...

- რა გაწუხებს, ვედა? - დაარღვია სიჩუმე დარ ვეტერმა.

- ის გამახსენდა, თავსაფრიანი - წყნარად უპასუხა ვედამ, - თან თვალს არ აცილებდა ოქროებივით გაფანტულ ნაკვერჩხლებს.

დარ ვეტერი სწრაფად მიხვდა. გამოფრენის წინ მათ წინაალტაის სტეპებში დაამთავრეს სკვითების დიდი ყორღანის გახსნა. შიგ დაცულ ძელურში იპოვეს მოხუცი ბელადის ჩონჩხი, გარშემორტყმული ცხენებისა და მონების ძვლებით, რომელიც ყორღანის კიდის ნაშალით იყო დაფარული. მოხუცი ბელადი ხმლით, ფარითა და ჯავშნით იწვა, მის ფეხებთან კი სრულიად ახალგაზრდა ქალის დაკრუნჩხული ჩონჩხი აღმოჩნდა. თავის ქალის ძვლებზე აბრეშუმის თავსაფარი მიჰკვროდა, ოდესღაც მჭიდროდ შემოხვეული სახის გარშემო. მრავალგვარი ხრიკების მიუხედავად, თავსაფრის გადარჩენა არ მოხერხდა, მაგრამ რამდენიმე წუთში, სანამ იგი მტვრად არ დაიშალა, მოხერხდა ულამაზესი სახის მოხაზულობის სრული აღდგენა, რომელიც ზუსტად აღბეჭდილიყო ქსოვილზე ათასობით წლის წინათ. თავსაფარი კიდევ ერთ საშინელ წვრილმანს გადმოსცემდა - ორბიტებიდან ამოვარდნილი თვალების ნაკვალევს. ქალი უეჭველია ამ თავსაფრით დაუხრჩვიათ და თავისი ქმრის სამარეში ჩაუგდიათ, რათა გაეცილებინა იგი სიკვდილის ქვეყნის დაუბრუნებელ გზებზე. ქალი ცხრამეტი

წლისაზე მეტის არ იქნებოდა, კაცი კი არანაკლებ სამოცდაათისა ჩანდა, რაც იმ დროისათვის მოხუცობის ასაკად ითვლებოდა.

დარ ვეტერმა გაიხსენა დისკუსია, რომელიც ამ ნაპოვნის გამო გაჩაღდა. ვედას ექსპედიციის ახალგაზრდა თანამშრომლებს შორის. ნებით გაჰყვა თუ ძალდატანებით ქალი ქმარს? რატომ? რა მიზეზით?! თუ დიდი, თავდადებული სიყვარულისათვის, როგორღა შეიძლებოდა მისი მოკვლა. განა უკეთესი არ იქნებოდა მისი დატოვება, როგორც მკვდრის შესახებ საუკეთესო მოგონების ცოცხალთა ქვეყანაში?

მაშინ ვედა კონგი ალაპარაკდა. იგი ანთებული თვალებით დიდხანს გასცქეროდა ყორღანის ბნელ ბორცვებს ცდილობდა განვლილ დროთა სისქე გონების თვალით განეჭვრიტა.

შეეცადეთ გაუგოთ მაშინდელ ადამიანებს. წინანდელ ველთა საზღვრები ჭეშმარიტად უსასრულო იყო თუ გავითვალისწინებთ კავშირის მაშინდელ საშუალებებს - ცხენებს, აქლემებს, ხარებს. გიგანტურ სივრცეებზე მომთაბარემეცხოველეთა ცალკეული ჯგუფები ცხოვრობდნენ. ისინი არა თუ რაიმეთი უკავშირდებოდნენ, არამედ

აუწერლად მტრობდნენ ერთმანეთს. აურაცხელი ბოღმა და შეურაცხყოფა გროვდებოდა თაობიდან თაობაში. თვითეული უცხო მტრად ითვლებოდა.

ყოველი თემი ისეთ დავლას წარმოადგენდა, რომელიც უხვად იძლეოდა ცხოველებსა და მონებს, ანუ ისეთ ადამიანებს, რომლებიც მათრახის შიშით იძულებით საქონელივით მუშაობდნენ. საზოგადოების ასეთმა წყობამ წარმოშვა, ერთი მხრივ ჩვენთვის სრულიად გაუგებარი, ცალკეული ადამიანების წვრილმანი მისწრაფებებისა და სურვილების დიდი თავისუფლება, და, მეორე მხრივ, ადამიანთა ურთიერთობის არაჩვეულებრივი შეზღუდულობა და აზროვნების სივიწროვე. ხალხი ან თემი ადამიანთა მცირე რიცხვისაგან შედგებოდა, რომელთაც შეეძლოთ ნადირობითა და ხილეულის შეგროვებით თავის გამოკვება, ეს თავისუფალი მომთაბარეები მუდმივ შიშში ცხოვრობდნენ, რომ მეომარი მეზობლები თავს არ დასხმოდნენ, არ გაენადგურებინათ ან არ დაემონებინათ მაგრამ მაშინაც, როცა ქვეყანა იზოლირებული და მრავალრიცხოვნად იყო დასახლებული, ხალხი სამხედრო თავდასხმებისაგან თავდაცვის ხარკს მაინც თავისი თავისუფლებით იხდიდა, რადგან ასეთ მძლავრ სახელმწიფოებში ყოველთვის დესპოტიზმი და ტირანია განვითარდებოდა ხოლმე. ასე იყო ძველ ეგვიპტეში, ასურეთსა და ბაბილონში.

ქალები, განსაკუთრებით ლამაზები, ძველად მძლავრის ნადავლად, სათამაშოდ ითვლებოდა. მათ არ შეეძლოთ არსებობა მამა კაცის ძალაუფლებისა და დაცვის გარეშე.

ქალის საკუთარი მისწრაფებანი და ნება-სურვილი ისე ცოტას, აუწერლად ცოტას ნიშნავდა, რომ იმ ცხოვრების პირისპირ... ვინ იცის... სიკვდილი შეიძლება ყველაზე ადვილ გამოსავლად სჩვენებოდათ...

აქაც, თითქო მის ფიქრებს გამოეხმაურაო, ვედა მიუახლოვდა ნელა შეარხია ცხელი ტოტები, თვალი მიადევნა მოლურჯო ცეცხლის ენებს.

რა მამაცური მოთმინება გინდოდა იმ დროებაში, რომ დამოუკიდებელი დარჩენილიყავი, ცხოვრებაში კი არ დაცემულიყავი, არამედ ამაღლებულიყავი! - წყნარად წაიჩურჩულა ვედა კონგმა.

- მე მგონია! - შეეკამათა დარ ვეტერი, - ვაჭარბებთ ძველი ცხოვრების გაჭირვების აღწერისას. გარდა იმისა, რომ მიჩვეულნი იყვნენ, მოუწყობლობის გამო მას სხვადასხვაგვარი შემთხვევითობაც ახასიათებდა. ადამიანის ძალამ და ნებამ ისეთ

ცხოვრებაშიც იპოვა რომანტიული სიხარულის ნაპერწკლები, როგორც რუხი ქვისაგან დაკვესენ ნაპერწკლებს ხოლმე.

- მეც ჩიხში ვდგევარ, - თქვა ვედამ - რა დიდხანს ვერ გაიგეს ჩვენმა წინაპრებმა უბრალო კანონი, რომ საზოგადოების ბედი მხოლოდ მათზე იყო დამოკიდებული, რომ საზოგადოება ისეთივეა, როგორიცაა მისი წევრების მორალურ- იდეური განვითარება ეს კი ეკონომიკაზეა დამოკიდებული.

საზოგადოების მეცნიერული აგებულების სრულყოფილი ფორმა საწარმოო ძალთა უბრალო რიცხობრივი დაგროვება კი არა, არამედ თვისებრივი საფეხურია, - ეს ხომ ასე იოლი გასაგებია, უპასუხა დარ ვეტერმა. - ამასთან დიალექტიკური ურთიერთ დამოკიდებულების გაგებაც, რომ ახალი საზოგადოებრივი დამოკიდებულებანი ახალი ადამიანების გარეშე ისევე უაზროა, როგორც ახალი ადამიანები ამ ახალი ეკონომიკის გარეშე. მაშინ ეს გაგება ხალხს იქამდე მიიყვანდა, რომ საზოგადოების მთავარ ამოცანად ადამიანის აღზრდა, ფიზიკური და სულიერი განვითარება გახდებოდა. ბოლოს და ბოლოს როდის დადგა ეს დრო?

- მგე-ში, გათიშვის საუკუნის დასასრულს, ნდრ-ს - მეორე დიდი რევოლუციის შემდეგ.

- კარგია, რომ კიდევ უფრო არ დაიგვიანა! - ომის გამანადგურებელი ტექნიკა... დარ ვეტერი დადუმდა და შემობრუნდა მარცხნივ, შავი კორდისაკენ, რომელიც ბორცვსა და კოცონს შორის ჩანდა. სულ ახლოს მოისმა მძიმე ბაკუნი და ნაწყვეტნაწყვეტი მძაფრი სუნთქვა. ორივე მოგზაური ფეხზე წამოხტა.

კოცონის წინ ვეებერთელა შავი ხარი გაჩნდა. მის ბოროტად დაბღვერილ თვალებში ცეცხლის ანარეკლი სისხლიანი ელფერით ციმციმებდა. ურჩხული ქსუტუნებდა, გამხმარ მიწას ჩლიქებით თხრიდა და თავდასასხმელად ემზადებოდა. მკრთალ შუქზე ხარი არაჩვეულებრივად ვეებერთელა ჩანდა, ძირს დახრილი თავი გრანიტის ნამტვრევს მიუგავდა, მთასავით ედგა კუნთებით შემობორცვილი მაღალი ქედი. არასოდეს არც ვედა და არც დარ ვეტერი არ მდგარან ასე ახლო ცხოველის მომაკვდინებელი და ბოროტი ძალის პირისპირ. ცხოველისა, რომლის უაზრო ტვინისათვის მიუღწეველი იყო გონივრული განსჯა.

ვედამ გულხელი დაიკრიბა და ისე დადგა, თითქო მონუსხული იყო სიბნელიდან მოულოდნელად ამოზრდილი მოჩვენების დანახვით. დარ ვეტერი დაემორჩილა მძლავრ ინსტინქტს, დადგა ხარის პირისპირ, ზურგით აეფარა ვედას, როგორც იქცეოდნენ ათასეული წლების წინათ მისი წინაპრები, მაგრამ ახალი ერის ადამიანი შეუიარაღებელი იყო.

- ვედა, მარჯვნივ გადახტი... - ძლივს მოასწრო წარმოთქმა და ცხოველი მათკენ დაიძრა.

ორივე მოგზაურის კარგად გამოწვრთნილ სხეულს შეეძლო სისწრაფეში ხარის პირველყოფილი სიმკვირცხლე დაეძლია. გოლიათმა გვერდით ჩაიქროლა და ხმაურით შეიჭრა ხშირ ბუჩქნარში, ხოლო ვედამ და დარ ვეტერმა ხრახნმფრენიდან რამდენიმე ნაბიჯით უკან სიბნელეში დაიხიეს. კოცონიდან მოცილებით ღამე ისეთი ბნელი სულაც არ იყო და ვედას კაბა, ცხადია, შორიდანვე გამოჩნდებოდა. ხარი გამოვიდა ბუჩქნარიდან. დარ ვეტერმა მარჯვედ შეისროლა თანამგზავრი ქალი. ვედამ მალაყი გააკეთა და ხრახნმფრენის მოედანზე აღმოჩნდა. სანამ ცხოველი შემობრუნდებოდა, სანამ იგი ჩლიქებით მიწას ტორავდა, დარ ვეტერი ვედას გვერდით მანქანაზე გაჩნდა.

მათ წამიერად გადახედეს ერთმანეთს. თანამგზავრი ქალის თვალებში აშკარა აღტაცების გარდა არაფერი იკითხებოდა. ძრავის სახურავი ჯერ კიდევ დღისით მოხსნეს, როცა დარ ვეტერი მოწყობილობის სიბრძნეში გარკვევას ცდილობდა. ახლა შემოიკრიბა მთელი თავისი ვეებერთელა ძალ-ღონე, მოედნის კიდის მოაჯირიდან ააგლიჯა გამაწონასწორებელი ველის მავთული, შიშველი ბოლოებით ტრანსფორმატორის მთავარი კლემის ზამბარაში ჩასჩარა და ვედა განზე მისწია. ამ დროს ხარი რქებით კიდეს მოეჭიდა და ხრახნმფრენი მძლავრი ბიძგისაგან შეირყა. დარ ვეტერმა მავთულის ბოლო ცხოველს ცხვირზე მიადო. ყვითლად გაიელვა, გაისმა ყრუ დარტყმა - და გაცოფებული ნადირი მძიმე გროვასავით წამოიქცა.

- მოჰკალით?! - გულისწყრომით წამოიძახა ვედამ.

- არა მგონია, მიწა მშრალია! - კმაყოფილებით გაიღიმა გამჭრიახმა გმირმა.

მართლაც, მისი სიტყვების დასტურად, ხარმა სუსტად დაიღმუვლა, წამოდგა და უკანმოუხედავად ჩორთით გაიქცა, თითქო იგრძნო თავისი შერცხვენა. მოგზაურები კოცონთან დაბრუნდნენ. ჩინჩხვრები ხელახლა დააყარეს და მიმქრალი ცეცხლი ააბდღვიალეს.

- უკვე აღარ მცივა, - თქვა ვედამ. - ავიდეთ ბორცვზე.

გორაკის წვერი კოცონს ფარავდა. ჩრდილოეთის ზაფხულის ფერმკრთალი ვარსკვლავები ჰორიზონტზე ბუნდოვანი ბურთულებივით დაცურავდნენ.

დასავლეთით არაფერი ჩანდა. ჩრდილოეთით, ბორცვების ქედზე ძლივს შესამჩნევად ციალებდა რაღაცნაირი ცეცხლების რიგი, სამხრეთით, ასევე ძალიან შორს, მეცხოველეთა სამეთვალყურო კოშკის ნათელი ვარსკვლავი ენთო.

- ცუდად გამოვიდა, მთელ ღამეს მოგვიწევს სიარული... წამოიბურტყუნა დარ ვეტერმა.

- არა, არა, შეხეთ! - ვედამ მიუთითა აღმოსავლეთისაკენ, სადაც მოულოდნელად კვადრატულად განლაგებულმა ოთხმა კოცონმა იფეთქა. იქამდე რამდენიმე კილომეტრზე მეტი არ იქნებოდა. ვარსკვლავებზე მიმართულება დაინიშნეს და კოცონისაკენ დაეშვნენ. ვედა კონგი ნახშირზე მოციმციმე ბუნდოვან ცეცხლთან დაყოვნდა, თითქო რაღაცის გახსენებას აპირებსო.

- მშვიდობით, ჩვენო სახლო... - დაფიქრებით თქვა მან. ალბათ, მომთაბარეებს ყოველთვის ასეთი საცხოვრებელი ჰქონდათ - არამტკიცე და ხანმოკლე. დღეს მეც იმ ეპოქის ქალად ვიქეცი. იგი დარ ვეტერისაკენ შებრუნდა და ყელზე ხელი ნდობით შემოხვია.

- ისე მწვავედ ვიგრძენი დამცველის აუცილებლობა!.. არა, არ მეშინოდა! მაგრამ ბედის ძალისადმი რაღაცნაირი მაცთუნებელი მორჩილება შემეპარა, ასე მგონია...

ვედამ ხელები თავზე შემოიწყო და ცეცხლის წინ მოქნილად გაიშოტა. წამის შემდეგ მისი მიბინდული თვალები ისევ ეშმაკური ელფერით აციმციმდა.

- რას იზამ... წამიყვანე... გმირო! - დაბალი ხმის ტონი რაღაც გამოუცნობი და ნაზი გაუხდა.

ბალახების სურნელებით გაჟღენთილი ნათელი დილა პატარა მხეცუნების ხმაურითა და ღამეულ ფრინველთა ჟივჟივით იყო აღსავსე. ვედა და დარ ვეტერი ფრთხილად

მიაბიჯებდნენ, ეშინოდათ უხილავ სოროში ან გამხმარი მიწის ნაპრალში არ ჩავარდნილიყვნენ. ვაციწვერების ღეროები კოჭებამდე სცემდათ. როგორც კი მინდვრად ჩაბნელებული ბუჩქების ჯგუფი გამოჩნდა, დარ ვეტერმა დაძაბულად დაიწყო აქეთ-იქით ცქერა.

ვედამ ჩუმად გაიცინა.

- შეიძლება საჭირო იყო აკუმულატორისა და მავთულის წამოღება?

- ვედა, თქვენ უფრო ქარაფშუტა ხართ, - გულკეთილად გაწყრა დარ ვეტერი, - ვიდრე მეგონა! ახალგაზრდა ქალი უცებ დასერიოზულდა.

- მე ძალზე მძლავრად განვიცადე თქვენი გამოქომაგება... და ვედამ დაიწყო ლაპარაკი - უფრო სწორად ხმამაღლა ფიქრი - თავისი ექსპედიციის მომავალი

- მოღვაწეობის შესახებ. ველის ყორღანების პირველი ეტაპი დამთავრდა. თანამშრომლები ძველ

სამუშაოებს დაუბრუნდნენ, ან ახალი საქმიანობა გამოძებნეს. მაგრამ დარ ვეტერი თავისუფალი იყო, ახალი საქმე არ აურჩევია და რასაც ისურვებდა, იმას მოჰკიდებდა ხელს. იმ ცნობების მიხედვით, რომლებიც მათთან აღწევდა, მვენ მასის მუშაობა კარგად მიდიოდა. საქმე ცუდადაც რომ ყოფილიყო, საბჭო დარ ვეტერს ასე ჩქარა იმავე ადგილზე არ დანიშნავდა. დიდი რკალის ეპოქაში ადამიანების ერთი და იმავე ადგილზე დიდი ხნით გაჩერება უსარგებლოდ ითვლებოდა. ეს აჩლუნგებდა ყველაზე ძვირფასს - შემოქმედებით აღფრთოვანებას. მხოლოდ ხანგრძლივი შესვენების შემდეგ შეიძლებოდა ძველ სამუშაოზე დაბრუნება.

- კოსმოსთან ექვსი წლის ურთიერთობის შემდეგ ჩვენი მუშაობა წვრილმანად და ერთფეროვნად ხომ არ მოგეჩვენა? - ვედას ნათელი და ყურადღებიანი გამოხედვა ეძებდა ვეტერის ცქერას.

- სამუშაო სრულებითაც არ არის წვრილმანი და ერთფეროვანი, - შეეკამათა დარ ვეტერი, - მაგრამ იგი ვერ მაძლევს იმ დაძაბულობას, რასაც შეჩვეული ვარ. დიდსულოვანი და ძალიან მშვიდი გავხდი, თითქო ცისფერი სიზმრებით მკურნალობენო!

- ცისფერით?.. - ჰკითხა ვედამ. მისმა გახშირებულმა სუნთქვამ უფრო მეტი აგრძნობინა დარ ვეტერს, ვიდრე ლოყებზე მორეულმა სიწითლემ, რომელიც სიბნელეში არც შეუმჩნევია.

- დავიწყებ ძველი გამოქვაბულების გამოკვლევას, - თითქო თავის თავს შეესიტყვა ქალი, - - მაგრამ როცა მოხალისე გამთხრელთა ახალი ჯგუფი შეიკრიბება, მანამდე კი საზღვაო გათხრებზე წავალ, ამხანაგებმა დასახმარებლად მიმიხმეს.

დარ ვეტერმა გაუგო და გული სიხარულით აუძგერდა. მაგრამ გრძნობა მყისვე სულის შორეულ კუნჭულში ჩაკეტა, ვედას დასახმარებლად იჩქარა და მშვიდად ჰკითხა:

- თქვენ სიცილიის სამხრეთით მდებარე წყალქვეშა ქალაქის გათხრები გაქვთ მხედველობაში? ატლანტიდის სასახლეში იქიდან მოტანილი შესანიშნავი ნივთები ვნახე.

- არა, ახლა ჩვენ მუშაობას ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებზე, წითელ ზღვასთან და ინდოეთის ნაპირებზე ვაწარმოებთ. ვეძებთ წყალქვეშ დაცული

კულტურის საუნჯეებს, კრიტოს- ინდოეთიდან დაწყებული, ბნელი საუკუნეების დადგომამდე.

- ეძებთ რაც დამალეს, ხშირად კი უბრალოდ ჩაყარეს ზღვაში ცივილიზებული კუნძულების დაღუპვის დროს, როცა შემოესიათ ახალი ძალები, ბარბაროსული, უმეცარი და დაუდევარი, - ეს ჩემთვის გასაგებია - ჩაფიქრებით ლაპარაკობდა დარ ვეტერი და კვლავ მისჩერებოდა უფერულ ზეგანს. - ჩემთვის გასაგებია უძველესი კულტურის დიდი განადგურებაც, როცა ანტიკურმა სახელმწიფოებმა, რომლებიც ბუნებასთან თავიანთი კავშირით იყვნენ ძლიერნი, ქვეყანაზე ვერაფრის შეცვლა ვეღარ შეძლეს, ვეღარ გაუმკლავდნენ სულ უფრო გულისამრევ მონობას და საზოგადოების პარაზიტულ ზედაფენას.

- შემდეგში ადამიანებმა ანტიკური მონობა ფეოდალიზმითა დ შუასაუკუნეობრივი რელიგიური უკუნეთით შეცვალეს, - სიტყვა ჩამოართვა ვედამ.

- მაგრამ გაუგებარი რაღა დაგრჩათ?

- უბრალოდ ცუდად მესმის კრიტოს- ინდოეთის კულტურა.

- თქვენ ახალი გამოკვლევები არ იცით. ამ კულტურის კვალი ახლა ვეებერთელა სივრცეზე ჩანს - - ამერიკიდან კრიტოსის, შუა აზიის სამხრეთისა და ჩრდილოეთ ინდოეთის გავლით დასავლეთ ჩინეთამდე.

- მე არც მიეჭვიანია, რომ ისეთ ძველ დროში უკვე უნდა ჰქონოდათ ხელოვნების საუნჯეთა საიდუმლო საცავები, როგორც კართაგენში, საბერძნეთსა და რომში ჰქონდათ.

- წამოდით ჩემთან ერთად, თვითონ ნახავთ, - ჩუმად თქვა ვედამ.

დარ ვეტერი მდუმარედ მიჰყვებოდა გვერდით. დაიწყო დამრეცი აღმართი. როცა ფერდობის თხემს მიაღწიეს, დარ ვეტერი მოულოდნელად გაჩერდა.

- გმადლობთ, მიპატიჟებისათვის. წამოვალ...

ვედამ ოდნავ უნდობლად შემოაბრუნა თავი. მაგრამ ჩრდილოეთის ღამის ბურუსში მის თანამგზავრს თვალები ბნელი და მქრქალი მოუჩანდა.

გადასასვლელის იქით შუქი სულ ახლო გამოჩნდა. პოლარიზებულ სარქველებში მოთავსებული ნათურები სხივებს არ ფანტავდა ამიტომაც ისინი

უფრო შორს ჩანდა, ვიდრე სინამდვილეში იყო. განათებათა თავმოყრა ღამის სამუშაოთა არსებობაზე მიუთითებდა. დენის ძაბვის გუგუნი სულ უფრო მძლავრად გაისმოდა. აჟურული ბოძების კონტურები ვერცხლისფრად ბრწყინავდა მაღალი, ცისფერი ნათურების ქვეშ. გამაფრთხილებელმა ღმუილმა შეაჩერა ისინი ამუშავდა გზის გადამღობი რობოტი.

- სახიფათოა, წადით მარცხნივ, არ მიუახლოვდეთ ბოძების ხაზს. - დაიღრიალა უხილავმა გამაძლიერებელმა. ისინი მორჩილად შებრუნდნენ მოძრავი თეთრი სახლებისაკენ.

- ნუ იხედებით მინდვრისაკენ. - - აფრთხილებდა ავტომატი.

ორი სახლის კარი ერთდროულად გაიღო, შუქის ორი ძნა გადაჯვარედინდა და ბნელ გზაზე გაიშალა. მამაკაცებისა და ქალების ჯგუფი გულღიად მიესალმა მოგზაურებს, თანაც უკვირდათ მოგზაურობის ასე არასრულყოფილი საშუალების გამოყენება, ისიც

ღამით. ვიწრო კაბინაში ერთმანეთს ერთვოდა გაზით გაჯერებული ელექ ტრული სურნელოვანი წყალი. შიშველ კანზე მხიარულად დახტოდნენ ელექტროწინწკლები. ეს კაბინა მყუდრო სიხარულის ადგილად იყო ქცეული. გამოცოცხლებული მოგზაურები: ერთმანეთს მაგიდასთან შეხვდნენ.

- ვეტერ, საყვარელო, ჩვენს თანამოსაქმეებთან მოვხვდით!

ვედამ ოქროსფერი სასმელი წვრილ სირჩებში ჩაასხა. სირჩები სიცივისაგან წამსვე შეიორთქლა.

- იქ ათი ტონუსია!- მხიარულად მისწვდა ვეტერი თავის სირჩას.

- ხარის მძლეველო, თქვენ სტეპში გაველურდით, - პროტესტი განაცხადა ვედამ - მე საინტერესო ახალ ამბებს გაცნობებთ, თქვენ კი მხოლოდ საჭმელზე ფიქრობთ!

- აქ გათხრებია? - შეეჭვდა დარ ვეტერი.

- მხოლოდ არა არქეოლოგიური, არამედ პალეონტოლოგიური. პერმის ეპოქის - ორასი მილიონი წლის წინანდელ ნამარხ ცხოველებს შეისწავლიან. მათრთოლებს, როცა ჩვენს საცოდავ ათას წლეულებს ვადარებ...

- ერთბაშად სწავლობენ, არ თხრიან? ეს როგორ?

- ჰო, ერთბაშად, მაგრამ როგორ ხდება, ჯერ არ გამიგია.

ერთ-ერთი მაგიდასთან მჯდომი გამხდარი ყვითელსახიანი კაცი საუბარში ჩაერია:

- ახლა ჩვენი ჯგუფი მეორეს ცვლის. ახლახან დავამთავრეთ მზადება და გაშუქებას შევუდგებით.

- მკვეთრი გამოსხივებით? - მიხვდა დარ ვეტერი.

თუ ძალიან არ დაღლილხართ, გირჩევთ დაათვალიეროთ. ხვალ მოედანს შორს გადავიტანთ, ეს კი საინტერესო არაა.

ვედა და დარ ვეტერი გახარებულნი დათანხმდნენ. სტუმართმოყვარე მასპინძლები მაგიდიდან წამოდგნენ და ისინი მეზობელ სახლში წაიყვანეს. იქ ინდიკატორის ციფერბლატიან ნიშებში მცველი კოსტუმები ეკიდა.

ჩვენი მძლავრი მილებიდან იონიზაცია ძალიან დიდია, - მობოდიშებით წარმოთქვა მაღალმა, ოდნავ მოხრილმა ქალმა, რომელიც ვედას მჭიდრო ქსოვილსა და გამჭვირვალე მუზარადის ჩაცმაში ეხმარებოდა, მის ზურგზე ბატარეებიან ჩანთას ამაგრებდა.

პოლარიზებულ შუქში სტეპის ბორცვოვან ნიადაგზე თვითეული მაღლობი არაბუნებრივად ნათლად ჩანდა. ვიწრო ლარტყებით შემოღობილი მინდვრის კონტურის იქით ყრუ კვნესა გაისმა. მიწა აფუვდა, გასკდა და ძაბრივით ჩაირღვა. მის ცენტრში ცხვირწაწვეტებული მბრწყინავი ცილინდრი გამოჩნდა. მონიკელებულ კედლებს სპირალური გრეხილი ეხვეოდა, წინა ბოლოზე მოლურჯო ლითონის რთული ელექტროსაღარავი ბრუნავდა. ცილინდრი ძაბრის კიდეზე გადავარდა, შემობრუნდა, უკანა მხრისკენ სწრაფად მოელვარე ნიჩბები გამოაჩინა და ძაბრისაგან

რამდენიმე მეტრის დაცილებით ხელახლა იწყო მიწაში ჩაფლვა, გაპრიალებული ცხვირი თითქმის შვეულად ჩაყო მიწაში.

დარ ვეტერმა შეამჩნია, რომ ცილინდრზე ორმაგი მავთული იყო გამობმული - ერთი იზოლირებული, მეორე მბრწყინავი შიშველი. ვედამ სახელო მოსწია და მაგნიუმის ლარტყების ღობის იქით გაახედა, იქ მიწიდან ისეთივე პატარა ცილინდრი ამოფორთხდა, მსგავსი მოძრაობით მარცხნივ გადავიდა და ისევ გაქრა, ისე ჩაიძირა მიწაში, როგორც წყალში. ყვითელსახიანმა კაცმა ნიშანი მისცა - აჩქარდითო.

- მე ის ვიცანი, - წაიჩურჩულა ვედამ, როცა წინ მიმავალ ჯგუფს წამოეწია. - ეს ლიაო ლანია, პალეონტოლოგი, რომელმაც პალეოზოურ ერაში აზიის მატერიკის დასახლების ამოცანა ამოხსნა.

- წარმოშობით ჩინელია? - იკითხა დარ ვეტერმა, გაიხსენა მეცნიერის ოდნავ ელამი ვიწრო თვალების ბუნდოვანი გამოხედვა.

- მრცხვენია გამხელა, მაგრამ მისი შრომები არ ვიცი.

- ვხედავ, ნაკლებად იცნობთ პალეონტოლოგიას - შენიშნა ვედამ.

- გეთაყვა, თქვენთვის სხვა ვარსკვლავების სამყაროთა პალეონტოლოგია უკეთაა ცნობილი.

დარ ვეტერის გონებრივი თვალთახედვის წინაშე სიცოცხლის უთვალავმა ფორმებმა გაიელვა: სხვადასხვა პლანეტებზე სქელი მთის ჯიშებში მოთავსებული მილიონობით გასაოცარი ჩონჩხები - გასული დროების სახსოვარი, თვითეული დასახლებული სამყაროს დანაშრევებში დამალული. სახსოვარი თვით ბუნების მიერ შექმნილი და მისგანვე ჩაწერილი, შემონახული მანამ, სანამ არ გაჩნდა მოაზროვნე არსება, რომელსაც ძალუძს არა მარტო დამახსოვრება, არამედ ისიც, რომ აღადგინოს დავიწყებული.

ისინი ციცაბო აჟურული ნახევართაღის ბოლოზე მიმაგრებულ პატარა მოედანზე აღმოჩნდნენ. იატაკის ცენტრში დიდი ბუნდოვანი ეკრანი იყო მოთავსებული. რვავე ადამიანი ეკრანის გარშემო ვიწრო მერხზე ჩამოსხდნენ და რაღაცის მოლოდინში დადუმდნენ.

- ახლა „თხუნელები“ მორჩებიან საქმეს, - ალაპარაკდა ლიაო ლანი, - როგორც უკვე მიხვდით, ისინი მთის ჯიშების ფენებს შიშველი მავთულით ხვრეტენ და შიგ ლითონის ბადეს დგამენ. მკვდარი ცხოველების ჩონჩხები ფხვიერ ქვიშნარშია, ზედაპირიდან თოთხმეტი მეტრის სიღრმეზე. დაბლა, ჩვიდმეტი მეტრის სიღრმეზე, მთელი მოედანი დაფენილია ლითონის ბადით, რომელიც მძლავრ ინდუქტორშია ჩართული. იქმნება ამრეკლავი ველი, საიდანაც რენტგენის სხივები ეკრანზე ეცემა. ეკრანზე გაქვავებული ძვლების გამოსახულება მიიღება.

მასიურ ცოკოლებზე ორი დიდი ლითონის ბურთი შემობრუნდა. აენთო პროჟექტორები, სირენების ღმუილმა აცნობა საფრთხის შესახებ. მილიონი

ვოლტის ძაბვის მუდმივმა დენმა ოზონივით გამაცოცხლებლად დაჰქროლა. ყველა კლემი, იზოლატორი და საკიდარი მოლურჯო შუქით ააციმციმა.

ლიაო ლანი თითქოს დაუდევრად შემობრუნდა, ხელი სამართავი ფარის ჭიკარტზე დააჭირა. დიდი ეკრანი სულ უფრო მძლავრად აენთო, მის სიღრმეში ნელ-ნელა ამოცურდა მხედველობის არეში აქა- იქ მიმოფანტული რაღაცნაირი გაურკვეველი

კონტურები. მოძრაობა შეჩერდა, დიდი ლაქის მკრთალმა გამოსახულებამ მთელი ეკრანი დაიკავა, უფრო მკვეთრი გახდა.

სამართავ ფარზე კიდევ რამდენიმე მანიპულაცია და დამკვირვებელთა წინაშე ბუნდოვან ნათებაში უხილავი არსების ჩონჩხი გამოჩნდა. ფართო ბრჭყალებიანი თათები სხეულქვეშ მოეკრუნჩხა, გრძელი კუდი რკალივით მოეხარა. თვალში გეცემოდათ ძვლების არაჩვეულებრივი სისქე და მასიურობა. ძვლებს ფართო, დაგრეხილი ბოლოები ჰქონდა, მძლავრი კუნთების დასამაგრებელი წამონაზარდებით, დახურულყბებიან თავის ქალას მსხვილი წინა კბილები დაეკრიჭა. იგი ზევიდან ჩანდა და არათანაბარი, გადათხრილი ზედაპირის მქონე მძიმე ძვლის ბელტს ჰგავდა. ლიაო ლანმა შეცვალა ფოკუსის სიღრმე და გადიდება - მთელი ეკრანი ორასი მილიონი წლის წინათ აქ არსებული რომელიღაც მდინარის ნაპირებთან მოხეტიალე ქვეწარმავლის თავმა დაიკავა.

ქალის სახურავი გასაოცრად სქელი, არა ნაკლები ოცი სანტიმეტრი სისქის ძვლებისაგან შედგებოდა. თვალების ბუდეებზე ძვლების გამონაზარდები აჩნდა ზევიდან ასეთივე

შვერილებით იყო დაფარული თავის ქალის რკალის ამობურცული ადგილები და საფეთქლის ღრმულები. ზურგის მხარეზე ამართული იყო მაღალი კონუსი, რომელზეც ვეებერთელა ბნელი თვალის ნახვრეტი ჩანდა. ლიაო ლანს აღტაცების ოხვრა აღმოხდა.

დარ ვეტერი თვალმოუცილებლად მისჩერებოდა ამ ძველი საზიზღარი ქმნილების მოუქნელ, ტლანქ სხეულს. კუნთობრივი ძალის გადიდება ჩონჩხის ძვლების გასქელებას იწვევდა, რადგან ჩონჩხს დიდი დატვირთვის გადატანა უხდებოდა. მეორე მხრივ ჩონჩხის სიმძიმის გადიდება კუნთების ახალ გაძლიერებას მოითხოვდა. არქაულ ორგანიზმებში ასეთ პირდაპირ დამოკიდებულებას მრავალი ცხოველის განვითარების გზები გამოუვალ ჩიხში შეჰყავდა, სანამ ფიზიოლოგიის რაიმე მნიშვნელოვანი სრულყოფა არ გააუქმებდა ძველ წინააღმდეგობას და ორგანიზმს ევოლუციის ახალ საფეხურზე არ აიყვანდა. დაუჯერებლად გეჩვენებოდათ, რომ ასეთი არსებები

ადამიანთა წინაპრების რიგებში იდგა, ადამიანისა, რომლის მშვენიერი სხეულიც გასაოცარ მოქნილობასა და მოძრაობის სიზუსტეს იჩენს.

დარ ვეტერი მისჩერებოდა სქელ წარბებსზედა შვერილებს, რომლებიც პერმული საშინელების ბრიყვულ სიბრაზეს გამოხატავდა. ხანაც გვერდით მჯდომ მოქნილ ვედას, მის ჭკვიანურ ცოცხალ სახეზე მოციალე თვალებს გადახედავდა... რა გასაგიჟებელი სხვაობაა ცოცხალი მატერიის ორგანიზაციაში! მან უნებურად გაიელამა თვალები, ცდილობდა განეჭვრიტა ვედას ნაკვთები მუზარადის ქვეშ. როცა ხელახლა ეკრანისაკენ შებრუნდა, მასზე უკვე სხვა გამოსახულება ჩანდა. ეს წყალხმელეთას, ძველი სალამანდრის ფართო, პარაბოლური, თეფშივით ბრტყელი თავის ქალა იყო. ძველად ეს სალამანდრა იწვა პერმული ჭაობის თბილსა და ბნელ წყალში, ელოდა, სანამ რაიმე საჭმელად ვარგისი ხელმისაწვდომ მანძილზე არ მიუახლოვდებოდა. მაშინ აკეთებდა სწრაფ ნახტომს, ფართო ხახა იხურებოდა და... ისევ უაზრო, უსასრულო წოლა და მოლოდინი. რაღაც აბრაზებდა დარ ვეტერს, თითქო თრგუნავდა მას სიცოცხლის უსასრულოდ გრძელი და მკაცრი ევოლუციის დასაბუთებით. იგი გაიმართა. ლიაო ლანმა იგრძნო მისი განწყობილება და წინადადება მისცა დასასვენებლად სახლში დაბრუნებულიყვნენ. მეტისმეტად ცნობისმოყვარე ვედა გაჭირვებით მოწყდა დაკვირვებას. დაინახა რომ მეცნიერები აჩქარდნენ, ჩართეს ელექტრო ფოტოგრაფირებისა და ერთდროულად ხმის ჩასაწერი მანქანები, რათა მძლავრი დენი ტყუილად არ დაეხარჯათ.

მალე ვედა ქალთა სახლის სასტუმრო დარბაზში ფართო სავარძელზე მიწვა. დარ ვეტერი ერთხანს სახლის წინ დატკეპნილ მოედანზე ხეტიალობდა, გონებაში შთაბეჭდილებებს ალაგებდა.

ჩრდილოეთის დილამ დღის განმავლობაში დამტვერილ ბალახებს ცვრით პირი დაბანა. აღელვებული ლიაო ლანი ღამის სამუშაოდან დაბრუნდა და თავის სტუმრებს შესთავაზა: „ელფით“ - პატარა აკუმულატორიანი ავტომობილით - უახლოეს ავიაბაზამდე გაგისტუმრებთო. ხტუნია რეაქტიული თვითმფრინავების ბაზა, სულ ასი კილომეტრის დაშორებით სამხრეთაღმოსავლეთისაკენ, მდინარე ტრომ-იუგანის დაბლობში იმყოფებოდა. ვედამ თავის ექსპედიციასთან დაკავშირება ითხოვა, მაგრამ გათხრებზე საკმარისი ძალის რადიოგადამცემი არ აღმოჩნდა. მას შემდეგ, რაც ჩვენმა წინაპრებმა გაიგეს რადიოგამოსხივების მავნეობა და მკაცრი რეჟიმი დააწესეს, მართული სხივური გადაცემებისათვის მნიშვნელოვნად უფრო რთული დანადგარები გახდა საჭირო, განსაკუთრებით შორეული საუბრებისათვის.

გარდა ამისა, მნიშვნელოვნად შემცირდა სადგურების რიცხვი. ლიაო ლანმა გადაწყვიტა მეცხოველეთა უახლოეს სამეთვალყურეო კოშკს დაკავშირებოდა. ასეთი კოშკები

ერთმანეთს მარ თული გადაცემებით ელაპარაკებოდნენ და თავიანთი რაიონის ცენტრალურ სადგურში შეეძლოთ ეცნობებინათ ყველაფერი, რასაც კი ისურვებდნენ. ახალგაზრდა პრაქტიკანტმა ქალმა, რომელიც „ელფის“ წაყვანას აპირებდა, რათა ისევ უკან დაებრუნებინა, ურჩია სტუმრებს გზად კოშკში შეეარათ - მაშინ თვითონვე ისაუბრებდნენ ტვპ-თი - ტელევიზოფონით. დარ ვეტერსა და ვედას გაუხარდათ. ძლიერ ქარს ბუღი დაეყენებინა, მძღოლქალიშვილს ხშირი გაკრეჭილი თმები ერხეოდა. ისინი გაჭირვებით დასხდნენ ვიწრო სამსაჯდომიან ადგილზე - საგარეო სადგურების ყოფილი გამგის მოსული სხეული ავიწროვებდა თანამგზავრ ქალებს. მოწმენდილ ლურჯ ცაზე ძლივს ჩანდა სამეთვალყურეო კოშკის ფაქიზი სილუეტი. მალე „ელფი“ მასთან გაჩერდა. ფართოდ გაბარჯნილ ლითონის ფეხებზე პლასტმასის ჩარდახი იყო დაყრდნობილი. მის ქვემოთ ისეთივე „ელფი“ იდგა. ცენტრში ჩარდახის შუაში ლიფტის წამმართავი ბოძები გადიოდა. პაწაწკინტელა კაბინამ სუყველანი რიგრიგობით საცხოვრებელი სადგურის თავზე, ყველაზე მაღლა აიტაცა. იქ მზეზე გამოჟანგული, თითქმის შიშველი ახალგაზრდა მიესალმა. თავიანთ მძღოლს წამიერ დაბნეულობაზე ვედამ შეატყო, რომ პალეონტოლოგის მიხვედრილობას უფრო ღრმა ფესვები ჰქონდა.

ბროლისკედლებიანი მრგვალი ოთახი შესამჩნევად ქანაობდა და მსუბუქი კოშკი ერთფეროვნად ზუზუნებდა, ძალზე დაჭიმული სიმივით. ოთახების ჭერი და იატაკი მუქად იყო შეღებილი. ფანჯრების გასწვრივ ვიწრო მაგიდები იდგა, რომლებზეც ელაგა დურბინდები, გამომთვლელი მანქანები, ჩანაწერებით ავსებული რვეულები. ოთხმოცდაათი მეტრის სიმაღლიდან სტეპის ვეებერთელა ნაკვეთი ჩანდა მეზობელი კოშკების თვალთახედვის საზღვრებამდე. აქედან ჯოგებზე სისტემატური დაკვირვება ხდებოდა და საკვები მარაგის აღრიცხვა სწარმოებდა. მწვანე კონცენტრიული რკალებივით გართხმულიყო სტეპზე საწველი ლაბირინთები, რომლებთანაც დღეში ორჯერ ერეკებოდნენ მეწველ საქონელს. აფრიკული ანტილოპების რძესავით აუმჟავებელი რძე იქვე, მიწისქვეშა მაცივრებში გროვდებოდა და იყინებოდა. იგი შეიძლებოდა ძალიან დიდხანს შეგენახათ. ჯოგების გარეკვა ელფების დახმარებით ხდებოდა. ელფები თვითეულ კოშკში ჰქონდათ. მეთვალყურეებს მორიგეობის დროს მეცადინეობა შეეძლოთ, ამიტომაც მათი უმრავლესობა ჯერ კიდევ განათლებადაუმთავრებელი მოსწავლეები იყვნენ. ახალგაზრდამ ვედა და დარ ვეტერი ხრახნილი კიბით საცხოვრებელ სართულზე ჩაიყვანა, რომელიც

გადაჯვარედინებულ ბოძებზე რამდენიმე მეტრით დაბლა ეკიდა. სათავსო ყრუ, ხმის მაიზოლირებელი

კედლებით იყო გარშემორტყმული. მოგზაურები სრულ სიწყნარეში აღმოჩნდნენ. მხოლოდ შეუწყვეტელი რყევა აგონებდა მათ, რომ ოთახი ისეთ სიმაღლეზე იყო, სადაც პატარა გაუფრთხილებლობაც კი შეიძლება დამღუპველი აღმოჩენილიყო.

მეორე ახალგაზრდა სწორედ რადიოსთან მუშაობდა. ეკრანზე მასთან მოსაუბრე ქალის თმის რთული ვარცხნილობა და ნათელი ტანსაცმელი ააშკარავებდა, რომ კავშირი ცენტრალურ სადგურთან იყო დამყარებული - სტეპში მომუშავეები მსუბუქ და მოკლე კომბინეზონებს ატარებდნენ. ეკრანზე მყოფი ქალიშვილი სარტყელის სადგურს დაუკავშირდა და მალე კოშკის ტვფ[28]-ში ვედა კონგის მთავარი თანაშემწის - მიიკო ეიგოროს ნაღვლიანი სახე და პატარა ტანი გამოჩნდა, მის შავ, ლიაო ლანის თვალებივით ელამ თვალებში სიხარულმა და გაკვირვებამ დაკვესა, პატარა პირი მოულოდნელობისაგან დააღო. წამის შემდეგ ვედასა და დარ ვეტერს მისჩერებოდა უდარდელი სახე, რომელიც საქმიანი ყურადღების გარდა არაფერს გამოხატავდა. როცა ზევით ავიდა, დარ ვეტერი წააწყდა პალეონტოლოგ ქალიშვილს, რომელიც გაცხოველებული ესაუბრებოდა პირველ ყმაწვილს. იგი რკალისებრ მოედანზე გავიდა, რომლითაც მინის ოთახი იყო შემოღობილი. დილის ნესტიანმა სიგრილემ დიდი ხანია

ადგილი დაუთმო პაპანაქება შუადღეს, რომელმაც წარხოცა ნიადაგის ფერების ელვარება და უმნიშვნელო უსწორმასწორობა. სტეპი მხურვალე, მოწმენდილი ცის ქვეშ ფართოდ, თავისუფლად გაიშალა. დარ ვეტერმა ისევ მოიგონა გაურკვეველი ნაღველი, რომელიც თავისი წინაპრების ჩრდილოეთის ნესტიანი მიწის გახსენებისას შემოაწვებოდა ხოლმე. საგარეო სადგურების ყოფილი გამგე იდაყვებით დაეყრდნო მერყევი მოედნის მოაჯირს და ახლა, ისე როგორც არასოდეს, იგრძნო, როგორ აუხდა ძველ ადამიანებს ოცნება. ადამიანის ხელმა მკაცრი ბუნება შორს, ჩრდილოეთით გადასწია, სამხრეთის გამაცოცხლებელი სითბო გადაესხა ამ ველებს, რომლებიც ოდესღაც ცივი ღრუბლების ქვეშ იყინებოდა.

ვედა კონგი ბროლის ოთახში შევიდა და განაცხადა, რომ აქედან რადიოოპერატორი წაგვიყვანსო. თმაშეკრეჭილი ქალიშვილი ისტორიკოსს მიაჩერდა. გამჭვირვალე კედელში ჭვრეტით გაოგნებული დარ ვეტერის ფართო ზურგი ჩანდა.

- დაფიქრებულხართ, - მოესმა მას ზურგს უკან... - შეიძლება ჩემზე ფიქრობდით?

- არა, ვედა, მე ძველინდური ფილოსოფიის ერთ დებულებაზე ვფიქრობდი. მასში

ნათქვამია, რომ სამყარო ადამიანისთვის არაა შექმნილი და ადამიანიც მხოლოდ მაშინ ხდება დიადი, როცა გაიგებს სხვა სიცოცხლის- ბუნების სიცოცხლის მთელ ფასსა და სილამაზეს...

- ბოლომდე არ თქვით და მეც ვეღარ გავიგე.

- მართლაც, არ მითქვამს. მე ამას დავუმატებდი, რომ მხოლოდ ადამიანს შეუძლია გაიგოს სიცოცხლის არა მარტო სილამაზე, არამედ - მძიმე, ბნელი მხარეებიც. მხოლოდ მას შეუძლია იოცნებოს სიცოცხლის გაუმჯობესებაზე და ძალიც შესწევს მისი გაუმჯობესებისათვის.

- გავიგე, - წყნარად თქვა ვედამ და ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ დაუმატა, - თქვენ გამოიცვალეთ, ვეტერ.

- ცხადია გამოვიცვალე. ოთხი თვეა თქვენს ყორღანებში უბრალო ნიჩბით მძიმე ქვებსა და ნახევრად ჩამპალ ბოძებს ვთხრი. უბრალოდ ცხოვრებას უფრო უბრალოდ დაუწყებ ცქერას და მისგან მონიჭებული პატარა სიხარულიც უფრო ძვირფასი ხდება...

- ნუ ხუმრობთ ვეტერ, - შეიჭმუხნა ვედა, - სერიოზულად ვლაპარაკობ, როცა მე გაგიცანით, მიწის მთელ ძალებს მეთაურობდით, შორეულ სამყაროებს ელაპარაკებოდით... იქ თქვენს ობსერვატორიებში, თქვენ იყავით ძველი ადამიანების ზებუნებრივი არსება, ან როგორც ისინი ეძახოდნენ - ღმერთი! აქ კი, ჩვენს უბრალო სამუშაოებში, თქვენ სხვების თანაბრად... - ვედა დაჩუმდა.

- ახლა რაღას წარმოვადგენ? - ცნობისმოყვარეობით ჩაეკითხა თანამესაუბრე. - დავკარგე დიდბუნევნობა? მაშინ რაღას იტყოდით მანამ რომ დაგენახეთ, სანამ ასტროფიზიკის ინსტიტუტში გადავიდოდი - მე ხომ სპირალური გზის მემანქანედ ვმუშაობდი? ამაშიც ცოტა არის დიდებულება, არა? ან კიდევ ტროპიკებში ხილის შემგროვებელი მანქანების მექანიკოსად? ვედამ წკრიალა ხმით გაიცინა.

- გაგიმხელთ ახალგაზრდა სულის საიდუმლოს. მესამე ციკლის სკოლაში სპირალური გზის მემანქანეზე ვიყავი შეყვარებული - მასზე მეტად ძლევამოსილი არავინ წარმომედგინა... თუმცა რადიოოპერატორიც მოდის! წამოდით, ვეტერ!

მანამდე, სანამ ვედასა და დარ ვეტერს კაბინაში შეუშვებდა. მფრინავმა კიდევ ერთხელ შეამოწმა, გადაიტანდა თუ არა ორთავე მათგანის ჯანმრთელობა მხტუნავი თვითმფრინავის დიდ სიჩქარეს. იგი მკაცრად იცავდა წესებს. რაკი ხელმეორედ დადებითი პასუხი მიიღო, მფრინავმა ორთავენი ვეებერთელა წვიმის წვეთის მსგავსი აპარატის გამჭვირვალე ცხვირთან რბილ სავარძელში ჩასვა. ვედამ ძალზე უხერხულად იგრძნო თავი. სავარძელში უკან, მაღლა შემართული კორპუსისაკენ დაყირავდა, დარეკა სანიშნო გონგმა, მძლავრმა ზამბარამ თვითმფრინავი თითქმის შვეულად მაღლა შეისროლა. ვედას სხეული ნელ-ნელა სავარძლის სიღრმეში ისე ჩაიძირა, როგორც მკვრივ სითხეში. დარ ვეტერმა ძალის დაძაბვით შემოაბრუნა თავი, რათა ვედასათვის გამამხნევებლად გაეღიმა. მფრინავმა ძრავა ჩართო. გაისმა ღმუილი, სხეულმა გამოუთქმელი სიმძიმე იგრძნო და წვეთის მსგავსი თვითმფრინავი გაფრინდა, ოცდასამი ათასი მეტრის სიმაღლეზე წრეებს ხაზავდა. თითქო სულ რამდენიმე წუთი გავიდა. მუხლებდასუსტებული მოგზაურები უკვე გადმოდიოდნენ ალტაის სტეპებში მდგომი თავიანთი სახლების წინ. მფრინავი მათ ხელს უქნევდა და ანიშნებდა მოშორებით დამდგარიყვნენ. დარ ვეტერი მიხვდა, რომ ძრავას ჩართვა მიწაზევე იქნებოდა საჭირო. აქ ისეთი კატაპულტები, როგორიც ბაზაში ჰქონდათ, არ იყო მან გაიჩქარა და თან ვედა გაიყოლა. მათ შესახვედრად მსუბუქად გამორბოდა მიიკო ეიგორო. ქალები ისე გადაეხვივნენ ერთმანეთს, თითქო დიდი ხნის დაცილებულები იყვნენ.

თავი **V.** ცხენი ზღვის ფსკერზე

თბილი, გამჭვირვალე ზღვა ოდნავ არხევდა თავის საოცრად ნათელ მომწვანომოცისფრო ტალღებს. დარ ვეტერი ნელა ჩავიდა ყელამდე წყალში და ფართოდ გაშალა ხელები - - ცდილობდა დამრეც ფსკერზე ფეხი მოეკიდებინა. იგი ზევიდან გადასცქეროდა ციცაბო ტალღების მოციმციმე სივრცეს, სხეულს ზღვაში გამდნარივით გრძნობდა და თავი ვრცელი სტიქიის ნაწილად მიაჩნდა. აქ, ზღვაში. დიდი ხნის დაფარული მწუხარება ჩაიტანა. ეს კოსმოსის წარმტაც სიდიადესთან, შემეცნებისა და აზრის უსაზღვრო ოკეანესთან, ყოველი დღის მრისხანე გულისხმიერებასთან დაცილების მწუხარება იყო. ახლა მისი არსებობა სულ სხვაგვარი გახდა. არაჩვეულებრივი მუშაობის დღეებს და შესანიშნავად გამოწვრთნილი აზრის მწუხარე ფიქრთა თავისუფლებას ვედასადმი სიყვარული ალამაზებდა. მოწაფის ენთუზიაზმით ჩაიძირა იგი ისტორიულ გამოკვლევებში. ფიქრებში არეკლილი დროის მდინარე დაეხმარა შეცვლილ

ცხოვრებასთან შეგუებაში. მადლიერი იყო ვედა კონგისა, რადგანაც მან, მისთვის დამახასიათებელი ყურადღებიანობით, ხრახნმფრენით მოუწყო მოგზაურობა ადამიანის შრომით გარდაქმნილ მხარეში. მიწაზე ჩატარებულ სამუშაოთა სიდიადის, ისევე როგორც ზღვის სიდიადის წინაშე, პირადი დანაკარგები წვრილმანი ჩანდა. დარ ვეტერი შეეგუა გამოუსწორებელ მდგომარეობას. ეს შეგუება კი ყველაზე ნაკლებ ემორჩილება ადამიანის თავმდაბლობას...

დაბალი, ნახევრად ბავშვური ძახილი შემოესმა. იცნო მიიკო, ხელი დაუქნია, ზურგზე დაწვა, ცდა დაუწყო პატარა ქალიშვილს. ქალი სწრაფად გადაეშვა ზღვაში. უხეში, დღვილიანი თმებიდან მსხვილი წვეთები ჩამორბოდა, ხოლო მოყვითალო სრიალა სხეული წყლის თხელი ფენის ქვეშ მწვანე მოუჩანდა. მათ გვერდიგვერდ გასცურეს მზისკენ, მარტოხელა უკაცური კუნძულისაკენ, რომელიც შავი გორაკივით ამოზიდულიყო ნაპირიდან ერთი კილომეტრის დაცილებით. რკალის ერის ყველა ბავშვი ზღვაზე შესანიშნავ მცურავად იზრდებოდა, ხოლო დარ ვეტერს თანდაყოლილი უნარიც გააჩნდა. პირველად იგი აუჩქარებლად ცურავდა, შიშობდა მიიკო არ დაღლილიყო, მაგრამ ქალიშვილი მსუბუქად და უდარდელად მიცურავდა გვერდით. დარ ვეტერი აჩქარდა, ოდნავ გაკვირვებული მიიკოს ოსტატობით. მაგრამ მაშინაც კი, როცა მთელი ძალით გაქანდა, მიიკო არ ჩამორჩენილა, ხოლო უძრავი, მომხიბლავი სახე ძველებურად მშვიდი ჰქონდა. კუნძულის ზღვისპირა მხრიდან ტალღების ყრუ

ტყლაშუნი გაისმა. დარ ვეტერი ზურგზე გადაბრუნდა, ხოლო გაქანებულმა ქალიშვილმა წრე შემოხაზა და მასთან დაბრუნდა.

- მიიკო, თქვენ გადასარევად ცურავთ. - აღტაცებით წამოიძახა დარ ვეტერმა, მთელი მკერდით ჩაისუნთქა ჰაერი და სუნთქვა შეიკრა.

- მე უფრო ცუდად ვცურავ, ვიდრე ვყვინთავ, - აღიარა ქალიშვილმა და დარ ვეტერი კვლავ გაოცდა.

- ჩემი წინაპრები იაპონელები იყვნენ, - განაგრძო მიიკომ. ოდესღაც მთელი თემი არსებობდა, რომელშიც ყველა ქალი მყვინთავი იყო - იჭერდნენ მარგალიტებს, აგროვებდნენ საკვებ წყალმცენარეებს. ეს საქმიანობა თაობიდან თაობაზე გადადიოდა და ათასიოდე წლის განმავლობაში ისინი შესანიშნავად დახელოვდნენ. შემთხვევით ეს ხელოვნება გამოვლინდა ახლა ჩემში.

- ვერასოდეს წარმოვიდგენდი...

- რომ მყვინთავი ქალების შორეული მემკვიდრე ისტორიკოსი გახდებოდა? ჩვენს შთამომავლობაში არის ერთი ლეგენდა. ათას წელზე მეტი ხნის უკან ცხოვრობდა იაპონელი მხატვარი იანაგიხარა ეიგორო.

- ეიგორო? შენი სახელი საიდანღაა?...

- იშვიათი შემთხვევაა ჩვენს დროში. ჩვეულებრივ მოეწონათ ბგერათა კეთილხმოვნება და სახელად შემარქვეს. საერთოდ ყველა ცდილობს შეარჩიოს ბგერათა ნაკრები ან სიტყვები იმ ხალხთა ენებიდან, საიდანაც თვითონ არიან წარმოშობით. თუ არ ვცდები. თქვენი სახელის ფუძეც რუსული ენიდანაა ნაწარმოები?

- სავსებით სწორია! მარტო ფუძე კი არა, მთელი სიტყვები. ერთია- საჩუქარი,

ხოლო მეორე - ქარი, ქარიშხალი...

- ჩემი სახელის აზრი არ ვიცი. მაგრამ მხატვარი ნამდვილად არსებობდა. ჩემმა მამის პაპამ რომელიღაც საცავში მისი ერთი სურათი მოძებნა. დიდი ტილოა - შეგიძლიათ

ნახოთ ჩემთან - ისტორიკოსისათვის საინტერესოა. ძალზე ნათლადაა გამოხატული ხალხის მკაცრი და ვაჟკაცური ცხოვრება, სიღარიბე და ამტანობა... გავცუროთ კიდევ?

- ერთი წუთით, მიიკო! მყვინთავ ქალებზე რას ამბობდით - მხატვარმა მყვინთავი ქალი შეიყვარა და სამუდამოდ თემში დაესახლა. მისი ქალიშვილებიც მყვინთავები იყვნენ, მთელი სიცოცხლე ზღვაში საქმიანობდნენ. შეხეთ, რა საოცარი კუნძულია, თითქო შაქრის დასამზადებელი მრგვალი ავზი ან დაბალი კოშკი იყოს.

- შაქრისა, - უნებურად ჩაიფრუტუნა დარ ვეტერმა.- ჩემთვის ბავშვობაში ასეთი უდაბური კუნძულები მისატყუებელს წარმოადგენდა. დგანან ისინი განმარტოებულნი, ზღვით გარშემორტყმულნი, არნახული საიდუმლოებანი იფარება მათ ბნელ კლდეებსა თუ ჭალებში - აქ შეიძლება ყველაფერი ნახოთ, რაზეც კი გიოცნებიათ.

მიიკომ იგი წკრიალა სიცილით დააჯილდოვა. მდუმარე და ყოველთვის ოდნავ ნაღვლიანი ქალიშვილი ახლა ისე გამოიცვალა, რომ ძნელად საცნობი გახდა. მძიმედ მოტყლაშუნე ტალღებზე მხიარულად და გაბედულად მიისწრაფოდა წინ, მაგრამ

ვეტერისათვის ძველებურად დახშული კარებივით იყო - სულაც არ ჰგავდა გულგახსნილ ვედას, რომლის უშიშრობა დიდებული ნდობის გამოვლენა უფრო იყო, ვიდრე ნამდვილი ჯიუტობა.

ზედ ნაპირთან ვეებერთელა ლოდებს შორის გამოჩნდა ღრმა მზით ავსებული წყალქვეშა დერეფნები. უბეების ბნელი ბორცვებით მოფენილი, წყალმცენარეთა ხავერდით მოარშიებული. ეს წყალქვეშა დერეფნები კუნძულის აღმოსავლეთისაკენ მიემართებოდა, სადაც არაჩვეულებრივად ბნელი სიღრმე გადიოდა. დარ ვეტერმა ინანა, რომ ვედას სანაპიროს ზუსტი რუკა არ გამოართვა. რამდენიმე კილომეტრის მანძილზე დასავლეთის გრძლად წაზიდულ ვიწრო ნახევარკუნძულთან მზეზე ბრწყინავდა საზღვაო ექსპედიციის ტივები: ახლო დამრეცი ქვიშიანი ნაპირი ჩანდა, სადაც ახლა მთელი ექსპედიცია ისვენებდა. იგი კი უკაცური კუნძულების გამოკვლევის ბავშვურმა ოცნებებმა გაიტაცა.

ანდეზიტის კლდეების[29] მრისხანე ზვავი გადმოწვა მოცურავეთა თავზე. ქვის ლოდების ნამსხვრევები ახალი იყო, - ცოტა ნის წინათ მიწისძვრამ სანაპიროს გამოფიტული ნაწილი დაანგრია. ღია ზღვიდან მძლავრი ტალღები სცემდა. მიიკო და დარ ვეტერი დიდხანს მიცურავდნენ მუქ წყალში აღმოსავლეთ ნაპირთან, სანამ არ ნახეს ქვის სწორი შვერილი რომელზეც დარ ვეტერმა მიიკო შემოსვა.

შეშფოთებული თოლიები წინ და უკან დაფრინავდნენ. ტალღების ცემა კლდეებიდან კლდეებს გადაეცემოდა და ანდეზიტის მასებს არყევდა. არაფერი ჩანდა შიშველი ქვებისა და გაჩხოტილი ბუჩქების გარდა, მხეცის ან ადამიანის უმნიშვნელო კვალიც არსად ეტყობოდა.

მცურავები კუნძულის წვერზე ავიდნენ, გადახედეს დაბლა მშფოთვარე ტალღებს და გამობრუნდნენ. ნაპრალებიდან ამოშვერილ ბუჩქებს მწკლარტე სუნი ასდიოდა. დარ ვეტერი თბილ ქვაზე გაიშხლართა, თანაც ზანტად გადაჰყურებდა წყალს შვერილის სამხრეთ კიდიდან.

მიიკო ზედ კლდის ნაპირზე ჩაცუცქდა და დაბლა რაღაცის გარჩევას ცდილობდა. აქ არ იყო სანაპირო მეჩეჩები, არც ქვის გროვა იყო მიხერგილი. ციცაბო ხრამი მუქ, ცხიმოვან წყალზე იყო გადაკიდული. მზე დამაბრმავებელი არშიასავით შემოვლებოდა მის

წიბოს. იქ, სადაც კლდეზე ასხლეტილი შუქი ილინცრად ჩადიოდა გამჭვირვალე წყალში, ძლივს-ძლივობით ჩანდა ღია ფერის ქვიშიანი სწორი ფსკერი.

- რას უცქერით იქ, მიიკო?

ჩაფიქრებული ქალიშვილი მყისვე არ შემობრუნებულა.

- არაფერს. თქვენ უკაცრიელი კუნძულები გიტაცებთ, მე კი ზღვის ფსკერი. მეც მეჩვენება, რომ იქ ყოველთვის შეიძლება იპოვო საინტერესო რამ, მოახდინო აღმოჩენა.

- მაშინ ველად რატომღა მუშაობთ?

- ეს უბრალოდ არ ითქმის. ჩემთვის ზღვა ისეთი დიდი სიხარულია, რომ ყოველთვის მასთან ყოფნა არ შემიძლია. შეუძლებელია, ყოველთვის საყვარელ მუსიკას უსმინო. მეც ასეთი განცდა მაქვს ზღვისადმი. სამაგიეროდ მასთან შეხვედრის წუთები ძალზე ძვირფასია ჩემთვის... დარ ვეტერმა დასტურის ნიშნად თავი დაუქნია.

- მაშ ჩავყვინთოთ იქ? - ხელით მიუთითა თეთრად მოციმციმე სიღრმეზე.

მიიკომ ისედაც აჭიმული წარბები კიდევ უფრო მაღლა ასწია.

- განა თქვენ შეძლებთ? აქ ოცდახუთ მეტრზე ნაკლები არ იქნება - მხოლოდ გამოცდილი მყვინთავი თუ შეძლებს...

- ვცდი... თქვენ?

პასუხის ნაცვლად მიიკო წამოდგა, მიმოიხედა, აირჩია დიდი ქვა და კლდის პირას მიათრია.

- ჯერ დამაცადეთ ვსინჯო. ქვის გამოყენება წესად არ მაქვს, მაგრამ საშიშია აქ მდინარება არ აღმოჩნდეს - ფსკერი ძალზე სუფთაა...

ქალიშვილმა ხელები ამართა, დაიღუნა, გასწორდა, უკან გადაიზნიქა. დარ ვეტერი თვალს ადევნებდა მის სუნთქვით მოძრაობებს, რათა გადაედო. მიიკოს მეტი სიტყვაც

არ წარმოუთქვამს. რამდენიმე ვარჯიშის შემდეგ ქვას ხელი წაავლო და როგორც უფსკრულში ისე ჩაიკარგა ბნელ მორევში.

დარ ვეტერმა ბუნდოვანი შეშფოთება იგრძნო, როცა წუთზე მეტი გავიდა, მამაცი ქალიშვილის კვალიც კი არ ჩანდა. იგი წამოდგა, რათა თავის მხრივ ტვირთად გამოსადეგი ქვა მოეძებნა, ფიქრობდა, რომ მას ბევრად დიდი ქვა დასჭირდებოდა. როგორც კი ანდეზიტის ორმოცკილოიანი ნატეხი აიღო, გამოჩნდა მიიკო. ქალიშვილი მძიმედ სუნთქავდა და ძალიან დაღლილს ჰგავდა.

- იქ... იქ... ცხენია, - ძლივს წამოილაპარაკა მან.

- რა? როგორი ცხენი?

- ვეებერთელა ცხენის ქანდაკება... იქ, ხელოვნურ გამოქვაბულში. ახლავე, როგორც საჭიროა ისე დავათვალიერებ.

-

მიიკო, ეგ ძნელია. გავცუროთ უკანვე, წამოვიღოთ წყალქვეშ საცურავი აპარატები და ნავი წამოვიყვანოთ.

- ო, არა! ახლავე, მე თვითონ! ეს იქნება ჩემი და არა ხელსაწყოების გამარჯვება, შემდეგ ყველას დავუძახებთ.

- მეც თქვენთან წამოვალ - დარ ვეტერი თავის ქვას წაეპოტინა.

მიიკომ გაიღიმა.

- უფრო პატარა აიღეთ, აი, ის. სუნთქვის საქმე როგორღა გაქვთ?

დარ ვეტერმა მორჩილად გააკეთა ილეთი და ქვით ხელში ზღვაში ჩაყურყუმელავდა. წყალი სახეში ეცა, მიიკოსაკენ ზურგით შეაბრუნა, სული შეეხუთა, ყურებში ყრუ ტკივილმა გაუარა. მან სხეულის კუნთები დაჭიმა, კრიჭა შეკრა და დაიძაბა. დაბლა ცივი რუხი ნახევრად უკუნეთი შეეგება, დღის მხიარული სინათლე სწრაფად იბინდებოდა. სიღრმის ცივი და მტრული ძალა ეუფლებოდა, თვალებს უჭრელებდა, თავბრუ ეხვეოდა. უცებ მიიკოს მტკიცე ხელი მხარზე შეეხო და მან ფეხები მქრქალ ვერცხლისფერ ქვიშაზე დადგა. გაჭირვებით მიაბრუნა კისერი მიიკოს ნაჩვენები მიმართულებით. წაბანცალდა, მოულოდნელობისაგან ქვა ხელიდან გაუშვა - და იმ

წამსვე წყალმა მაღლა ამოისროლა. არ ახსოვს, როგორ აღმოჩნდა ზედაპირზე, ვერაფერს ხედავდა წითელ ბინდში, გააფთრებით ცდილობდა ჩაესუნთქა... ცოტა ხნის შემდეგ წყალქვეშა წნევის შედეგებმა გაუარა და ნახული გონებაში აღდგა, სულ წამით მიმოიხედა და თვალმა რამდენიმე წვრილმანის დანახვა მოასწრო, ტვინმა კი დამახსოვრება!

შავი კლდეები მაღლა გიგანტური ისრისებრი თაღივით ერთდებოდნენ, რომლის ქვეშაც ბუმბერაზი ცხენის ქანდაკება იდგა. არც ერთი წყალმცენარე ან ნიჟარა არ მიჰკვროდა მის გაპრიალებულ ზედაპირს. უცნობ მოქანდაკეს უპირველესად ძალის გამოხატვა ნდომებია. მას გაუზრდია სხეულის წინა ნაწილი, ზომაზე მეტად ფართო მკერდი გამოუკვეთია, მაღლა შეუმართავს მკვეთრად მოხრილი ყელი. ცხენს წინა მარცხენა ფეხი აწეული ჰქონდა, მუხლის მრგვალი კვირისთავი პირდაპირ მაყურებლისაკენ იყო მიმართული. ხოლო ვეებერთელა ფლოქვი თითქმის მკერდს ეხებოდა. დანარჩენი სამი ფეხი მთელი ძალით დაეკრა მიწაზე, ამიტომაც კოლოსალური ცხენი ისე იყო შემართული მნახველთა თავზევით, თითქო თავისი ძალით გასრესას უპირებდა მათ. ყელის მოხრილ რკალზე ფაფარივით ჰქონდა

გადავლებული დაკბილული სავარცხელი, თავი თითქმის მკერდს ეყრდნობოდა, ხოლო დახრილი შუბლის ქვეშიდან გამომზირალ თვალებში და ქვის ჯადოქარის პატარა მიჭყლეტილ ყურებშიც კი მრისხანება იყო გამოხატული.

მიიკომ ნახა დარ ვეტერი, დამშვიდდა, დატოვა ბრტყელ ქვაზე გაწოლილი და ხელახლა ჩაყვინთა. ბოლოსდაბოლოს ქალიშვილი დაიქანცა, მაგრამ ჟინი კი მოიკლა თავისი ნაპოვნის ცქერით. ისინი გვერდიგვერდ ჩამოსხდნენ და დიდხანს დუმდნენ, სანამ ნორმალურად არ დაიწყეს სუნთქვა.

- საინტერესოა, რა ხნის იქნება ქანდაკება? - დაფიქრებით ჰკითხა მიიკომ საკუთარ თავს. დარ ვეტერმა მხრები აიჩეჩა, გაიხსენა, რამ გააოცა ყველაზე მეტად.
- ცხენის ქანდაკებას რატომ მთლიანად არ მიზრდია წყალმცენარეები და ნიჟარები? მიიკო სწრაფად შემობრუნდა მისკენ.
- დიახ, დიახ. მე ვიცი ასეთი ნაპოვნები. ისინი დაფარულნი აღმოჩნდნენ განსაკუთრებული შემადგენლობით, რომელიც ხელს უშლიდა ცოცხალი არსებების მიკვრას. მაშასადამე, ქანდაკების ეპოქა გსე-ს უკანასკნელი საუკუნის დასასრულია.

ზღვაში ნაპირსა და კუნძულს შორის მცურავი გამოჩნდა. როცა მოახლოვდა, წყლიდან ამოიწია და მისალმების ნიშნად ხელი დაიქნია. დარ ვეტერმა იცნო მვენ მასის ფართო მხრები და მუქი ლაპლაპა კანი. მალე მაღალი შავი ფიგურა ქვაზე აფოფხდა და საგარეო სადგურების ახალ გამგეს სველი სახე გულკეთილმა ღიმილმა გაუნათა. მან სწრაფად დაუკრა თავი პატარა მიიკოს, ხოლო დარ ვეტერს გულღიად, თავისუფალი ჟესტით მიესალმა.

- მე და რენ ბოსი ერთი დღით თქვენთან რჩევისათვის ჩამოვედით.

- რენ ბოსი?

- ცოდნის ზღვრების აკადემიის ფიზიკოსია...

- ცოტათი ვიცნობ. სივრცისა და ველის ურთიერთქმედების საკითხებზე მუშაობს. სად დატოვეთ?

- ნაპირზე. ვერ ცურავს, ყოველ შემთხვევაში. თქვენსავით მაინც....

მვენ მასს მსუბუქმა ტყლაშუნმა შეაწყვეტინა სიტყვა. -

ნაპირზე გავცურავ, ვედასთან! - წყლიდან დაიყვირა მიიკომ.

-
დარ ვეტერმა ქალიშვილს ალერსიანად გაუღიმა.

- მიცურავს და აღმოჩენა მიაქვს! - აუხსნა მან მვენ მასს და წყალქვეშა ცხენის პოვნის ამბავი მოუყვა.

აფრიკელი უინტერესოდ უსმენდა. გრძელი თითებით ნიკაპს ისრესდა. მის გამოხედვაში დარ ვეტერმა მოუსვენრობა და იმედი დაიჭირა.

  თქვენ რაღაც სერიოზული გაშინებთ? მაშინ რაღაზეაგვიანებთ?

მვენ მასმა წინადადებით ისარგებლა. ჩაცუცქდა კლდის ნაპირას, რომელიც საიდუმლო ცხენს ჰფარავდა და ყოყმანის მიზეზი გაუმხილა. მისი შეხვედრა რენ ბოსთან შემთხვევითი არ ყოფილა. ვარსკვლავ ეპსილონ ტუკანას მშვენიერი სამყაროს მოჩვენება არასოდეს ავიწყდებოდა. იმ ღამის შემდეგ გაუჩნდა ოცნება მიახლოვებოდა იმ სამყაროს, რაიმე საშუალებით გადაელახა მათ შუა ჩამდგარი უსასრულო მანძილი. ცნობის, სიგნალის ან სურათის გაგზავნასა და მიღებას შორის ადამიანის სიცოცხლისათვის მიუღწეველი ექვსასი წელი დგას. საჭირო კია ვიგრძნოთ ისე მშვენიერი და ჩვენთან ისე ახლო მდგომი ცხოვრების გულისცემა, ხელი გავუწოდოთ მოძმე ადამიანებს კოსმოსის უფსკრულის თავზე. მვენ მასმა ძალა მოიკრიფა გადაუჭრელი საკითხებისა და დაუმთავრებელი ცდების გასაცნობად, რომლებიც უკვე ათასი წლობით მიმდინარეობდა. სივრცის, როგორც მატერიის ფუნქციის შესასწავლად, იმ პრობლემისა, რომელზეც ოცნებობდა ვედა კონგი დიდ რკალში მისი პირველი გამოსვლის დროს...

ცოდნის ზღვრების აკადემიაში ასეთ გამოკვლევებს ახალგაზრდა ფიზიკოსმათემატიკოსი რენ ბოსი ხელმძღვანელობდა. მვენ მასისა და მისი შეხვედრა და შემდგომი მეგობრობა საერთო მისწრაფებებმა განაპირობა.

ახლა რენ ბოსს მიაჩნია, პრობლემა იმდენადაა დამუშავებულ რომ შეიძლება ცდა მოეწყოს. ცდა, ისევე როგორც ყველაფერი, რაც კოსმოსურ მასშტაბებთანაა დაკავშირებული, შეუძლებელია ლაბორატორიული გზით ჩატარდეს. საკითხის მოცულობა ვეებერთელა ექსპერიმენტსაც მოითხოვს. რენ ბოსი იმის აუცილებლობამდე მივიდა, რომ საჭირო იყო ცდის ჩატარება საგარეო სადგურების მეშვეობით. ამისათვის უნდა გამოეყენებინათ ძალისმიერი ხარჯვა დედამიწის მთელი ენერგიისა ანტარქტიდის კუ- ენერგიის სათადარიგო სადგურის ჩათვლით.

დარ ვეტერმა საფრთხის სიახლოვე ჯერ კიდევ მაშინ იგრძნო, როცა დაჟინებით უცქერდა მვენ მასის ანთებულ თვალებსა და მოცახცახე ნესტოებს.

- თქვენ გინდათ იცოდეთ მე როგორ მოვიქცეოდი? - მშვიდად მისცა მან გადამწყვეტი შეკითხვა.

მვენ მასმა თავი დაუქნია და გაფიცხებულ ტუჩებზე ენა მოისვა.

- მე ცდას არ დავაყენებდი, - გამოკვეთა დარ ვეტერმა, ყურადღებაც არ მიუქცევია აფრიკელის სახეზე გამოხატული მწუხარებისათვის. რომელმაც უცებ გაიელვა და ისე უცებ გაქრა, რაც ნაკლებ ყურადღებიანი მოსაუბრისათვის შეუმჩნეველი დარჩებოდა.

- ასეც ვფიქრობდი- - აღმოხდა მვენ მასს.

- მაშ რაღაზედ აძლევდითჩემს რჩევას მნიშვნელობას?

- მეგონა, შევძლებდით თქვენს დარწმუნებას.

- კარგი, სცადეთ. გავცუროთ ამხანაგებისაკენ, ისინი, ალბათ, წყალქვეშ საცურავ ხელსაწყოებს ამზადებენ - ცხენის დასათვალიერებლად.

ვედა მღეროდა და ორი უცნობი ქალის ხმა მოძახილს ეუბნებოდა.

როცა მცურავები დაინახა, თავისკენ მოუხმო, ბავშვივით ღუნავდა ხელის გაფარჩხულ თითებს- სიმღერა მიწყდა. დარ ვეტერმა ერთერთი ქალი იცნო, ეს ევდა ნალი იყო. პირველად ნახა იგი ისე, რომ ექიმის თეთრი ტანსაცმელი არ ეცვა. მისი მაღალი

მოქნილი ფიგურა დანარჩენებისაგან სითეთრით გამოირჩეოდა - ჯერ არ გაშავებულიყო მზეზე. ჩანდა, ცნობილი ფსიქიატრი ქალი უკანასკნელ ხანებში ძალიან დატვირთული იყო. ევდას მოლურჯო შავი თმები შუაზე აყოფილი და საფეთქლებთან მაღლა ავარცხნილი ჰქონდა. ოდნავ ჩაჭეჭკილი ლოყები და მაღალი ღაწვები კიდევ უფრო გამოკვეთით ჩანდნენ მისი შავი, დაჟინებით მცქერალი თვალების გრძელ ჭრილს. სახეს ოდნავ შესამჩნევი მსგავსება ჰქონდა ძველ ეგვიპტურ სფინქსთან, რომელიც ძალზე შორეული დროიდან იდგა დედამიწაზე არსებული უძველესი სახელმწიფოების მეფეთა პირამიდულ სამარესთან. ახლა ათი საუკუნე გავიდა უდაბნოს გაქრობიდან. ქვიშებზე ნაყოფიერი ჭალები შრიალებენ, თვითონ სფინქსს მინის თალფაქი ახურავს, რომელიც არ ფარავს მისი დროისაგან დაღრღნილი სასის ფოსოებს.

დარ ვეტერმა გაიხსენა, რომ ევდა ნალის წინაპრები პერუელები თუ ჩილელები იყვნენ. იგი მას ძველი სამხრეთ- ამერიკელი მზის თაყვანისმცემლების ჩვეულებისამებრ მიესალმა.

- ისტორიკოსებთან მუშაობა ძალზე ბევრს დაგეხმარათ, - თქვა ევდამ. - ვედას უმადლეთ...

დარ ვეტერი აჩქარებით შემობრუნდა საყვარელი მეგობრისაკენ, მაგრამ ვედა კონგმა ხელი ჩაავლო მის ხელს და სრულებით უცნობ ქალთან მიიყვანა.

- ეს ჩარა ნანდია! ჩვენ აქ ყველანი მისი და მხატვარ კარტ სანის სტუმრები ვართ, რადგანაც ისინი თვეზე მეტია ამ ნაპირზე ცხოვრობენ. მათი მოძრავი სტუდია უბის ბოლოსაა.

დარ ვეტერმა ხელი გაუწოდა ახალგაზრდა ქალს, რომელიც დიდი ცისფერი თვალებით მისჩერებოდა. წამით სუნთქვა შეეკრა - ამ ქალში რაღაც ისეთი იყო,

-

რაც სხვებისაგან ანსხვავებდა. იგი ვედა კონგსა და ევდა ნალს შუა იდგა, რომელთა მძლავრი ინტელექტითა და ხანგრძლივი კვლევითი მუშაობის დისციპლინით ნატიფი სილამაზე, მაინც ხუნდებოდა უცნობი ქალისაგან მომდინარე სილამაზის არაჩვეულებრივი ძალის წინაშე.

- თქვენი სახელი რაღაცითჩემსას ჰგავს, - წარმოთქვადარ ვეტერმა.

პატარა პირის ტუჩის კუთხეები ძლივს შეკავებული დაცინვისაგან ოდნავ შეირხა.

- როგორც თქვენ თვითონ მე მგავხართ.

დარ ვეტერმა ზემოდან დახედა მის შავ, ხშირ, ოდნავ მბრწყინავ ხუჭუჭა გრუზა თმას და ვედას გულღიად გაუღიმა.

- ვეტერ, თქვენ არ იცით ქალისათვის ქათინაურის თქმა, ცბიერად წარმოთქვა ვედამ და თავი გვერდზე გადახარა.

- განა ეს საჭიროა ახლა, როცა უკვე მოტყუების საჭიროება გაქრა?

- საჭიროა. - ჩაერია ევდა ნალი. - არც არასოდეს არ გაქრება ამის საჭიროება.

- მოხარული ვიქნები, თუ ამიხსნით, - ოდნავ შეიჭმუხნა დარ ვეტერი. - ერთ თვის შემდეგ მე წარმოვთქვამ საშემოდგომო სიტყვას სიხარულისა და მწუხარების აკადემიაში. მასში ბევრი იქნება ნათქვამი უშუალო ემოციების შესახებ...- ევდამ თავი დაუქნია მოახლოვებულ მვენ მასს.

აფრიკელი ჩვეულებისამებრ დინჯად და უხმაუროდ მოდიოდა. დარ ვეტერმა შეამჩნია, რომ ჩარას მრგვალ ლოყებს სიწითლე წაეკიდა, თითქო მზემ, რომელსაც ქალის მთელი სხეული აევსო, გაშავებულ კანში გამოაღწიაო. მვენ მასი გულგრილად მიესალმა.

- მე რენ ბოსს მოვიყვან. იგი იქ, ქვაზე ზის.

- წავიდეთ მასთან, - შესთავაზა ვედამ,- მიიკოსაც შევხვდეთ. იგი აპარატების მოსატანად გაიქცა. ჩარა ნანდი, წამოხვალთ ჩვენთან?

ქალიშვილმა თავი გააქნია.

- ჩემი მბრძანებელი მოდის. მზე გადაიხარა, მალე მუშაობას დაიწყებთ...

- უთუოდ ძნელი იქნება პოზაში დადგომა? - ჰკითხა ვედამ.

-

- ეს ნამდვილი გმირობაა. მე ვერ შევძლებდი.

- მეც მეგონა, რომ ვერ შევძლებდი, მაგრამ თუ მხატვარი იდეამ დაგიპყრო, მაშინ თვითონვე ჩაებმები შემოქმედებაში. საკუთარ სხეულში დაუწყებ ძებნას სახის განსახიერებას... თვითეულ მოძრაობაში, თვითეულ შერხევაში ათასობით ანარეკლია. საჭიროა მათი დაჭერა, როგორც მუსიკის გაფრენილი ხმებისა...

- ჩარა, თქვენ მხატვრისათვის ნაპოვნი განძი ხართ.

ნაპოვნი. - ხმამაღალმა ბანმა გააწყვეტინა ვედას. - მერე როგორ ვიპოვე! დაუჯერებელია. - მხატვარმა კარტ სანმა შეარხია მაღლა შემართული მძლავრი მუშტი. მისი ქერა თმები ქარში აიწეწა, ქარდაკრული სახე გაუწითლდა.

- თუ დრო გაქვთ. გაგვაცილეთ, თანაც გვიამბეთ, - სთხოვა ვედამ.

- მე ცუდი მთხრობელი ვარ. მაგრამ ეს, სულ ერთია, საინტერესოა. მე მაინტერესებს სხვადასხვა რასობრივი ტიპების რეკონსტრუქცია, რომლებიც წინათ თვით გსე- მდე

არსებობდნენ. ჩემი სურათის - „გონდვანის ქალიშვილის“ წარმატების შემდეგ სხვა რასობრივი ტიპის შექმნის სურვილი დამებადა. რასის ჯანსაღი, სუფთა ცხოვრება თაობების შემდეგ ყველაზე უკეთ სხეულის სილამაზეში გამოიხატება. წარსულში თვითეულ რასას ჰქონდა თავისი გამოკვეთილობა, სილამაზის თავისებური ზონა, რომელიც ჯერ კიდევ ველური ცხოვრების დროს გამოიმუშავეს. ასე გვესმის ჩვენ, მხატვრებს, რომელთაც კულტურის სიმაღლეებიდან ჩამორჩენილებად გვთვლი ან... ყოველთვის ჩამორჩენილებად გვთვლიდნენ, თვითონ გამოქვაბულების დროიდან, ძველი ქვის საუკუნეში. მაგრამ აი, სულ სხვა რაღაცას ვყვები... ჩავიფიქრე სურათი „ტეტისის ქალიშვილი“ ანუ „ხმელთაშუა ზღვის ქალიშვილი“- ძველი საბერძნეთის, კრიტოსის, შუამდინარეთის, ამერიკის, პოლინეზიის მთებში ყოველთვის მაოცებდა, რომ ღმერთები ზღვებიდან გამოდიოდნენ. რა შეიძლება იყოს აფროდიტას - ბერძენთა სიყვარულისა და სილამაზის ქალღმერთის - შესახებ შეთხზულ ელინურ მითზე უფრო მშვენიერი? თვით სახელი: აფროდიტა ანადიომენა ზღვის ქაფიდან დაბადებული... ღამეულ ზღვაში ვარსკვლავის სხივით განაყოფიერებული ზღვის ქაფიდან დაბადებული ქალღმერთი. რომელი ხალხი მოიგონებდა ამაზე უფრო პოეტურ რაიმეს!...

- ვარსკვლავის სხივისა და ზღვის ტალღისაგან, - გაიგონა ვედა კონგმა ჩარას ჩურჩული და ქვეშქვეშ გახედა ქალიშვილს.

-

ჩარას მტკიცე, თითქო ხისა და ქვისაგან გამოკვეთილი პროფილი, ძველ ხალხებზე მეტყველებდა. პატარა, სწორი, ოდნავ მომრგვალებული ცხვირი, ოდნავ უკან გადაქანებული შუბლი, გამოკვეთილი ნიკაპი, და რაც მთავარია - დიდი დაცილება ცხვირსა და ყურს შორის, ყველაფერი, რაც დამახასიათებელი იყო ხმელთაშუა ზღვის ანტიკური ხალხებისათვის, ჩარა სახეში იყო ასახული.

ვედა შეუმჩნევლად თავით ფეხამდე ათვალიერებდა ჩარას და მასში ყველაფერი ცოტა ზედმეტად მიაჩნდა. ზედმეტად სუფთა კანი, ზედმეტად წვრილი წელი, ზედმეტად ფართო თეძოები... და თავსაც ზედმეტად პირდაპირ იჭერს - ამის გამო მისი მაგარი მკერდი განსაკუთრებით ჩანს. შეიძლება მხატვარს სწორედ ასეთი მძლავრად გამოხატული უნდა?

გზა ქვის მწკრივმა გადაჭრადა ვედამ თავისი ახლახანშექმნილი შთაბეჭდილება შეცვალა. ჩარა ნანდი თითქო ცეკვავდა, ისე წარმოუდგენელი სიმსუბუქით ხტოდა

ქვიდან ქვაზე.

- მასში უთუოდ ინდოელის სისხლი დგას - გადაწყვიტა ვედამ. შემდეგ ვკითხავ...
- „ტეტისის ქალიშვილი“ რომ შემექმნა, - განაგრძო მხატვარმა, - ზღვასთან დაახლოება, დამოყვრება მჭირდებოდა. ჩემი კრიტელი ქალიშვილიც აფროდიტას მსგავსად ზღვიდან უნდა გამოვიდეს, მაგრამ ისე, რომ ამას ყველა მიხვდეს. როცა „გონდვანის ქალიშვილის'“ დასაწერად ვემზადებოდი, სამი წელიწადი ეკვატორული აფრიკის ტყის ზოლში ვმუშაობდი. სურათის შექმნის შემდე საფოსტო გლისერზე მექანიკოსად მოვეწყე და ორი წელიწადი ატლანტიკის ოკეანეში წერილები მიმქონდა მეთევზეებთან, ცილისა და მარილის ქარხნებში, რომლებიც იქ ლითონის გიგანტურ ტივებზე დაცურავენ.

ერთხელ ჩემი მანქანა ცენტრალურ ატლანტიკაში მიმყავდა, აზორის დასავლეთით, სადაც საწინააღმდეგო მდინარება ჩრდილოეთის მდინარეებს ერთვის. იქ ყოველთვის

დიდი ტალღები მოძრაობენ გრეხილებად, ურთიერთის მიყოლებით. ჩემი გლისერი ხან დაბლა დაწეულ ღრუბლებში შევარდებოდა, ხანაც სწრაფად მიფრინავდა ტალღებს შორის შექმნილ უფსკრულში. ხრახნი ღმუოდა, მე მესაჭის გვერდზე მაღალ კიდურზე ვიდექი. და უცებ, არასოდეს დამავიწყდება!... წარმოიდგინეთ ყველაზე მაღალი ტალღა, რომელიც თქვენს შესახვედრად მოისწრაფვის. ამ კოლოსალური ტალღის ფაფარზე, ზედ დაბლა დაწეული, მჭიდრო, ბრჭყვიალა ვარდისფერი ღრუბლების ქვეშ, წითელ ბრინჯაოსფრად მზეზე დამწვარი ქალიშვილი იდგა... ტალდა უხმაუროდ მოჰქროდა და ქალიც მოფრინავდა თვალუწვდენელი ოკეანის შუაში თავისი მარტოობით გამოუთქმელად გაამაყებული. გლისერი მაღლა ავარდა და ჩვენ გვერდზე ჩავუქროლეთ ქალიშვილს, რომელიც ხელის ქნევით გვესალმებოდა. უცებ დავინახე, რომ იგი ლატზე იდგა - იცით, ეს აკუმულატორითა და მოტორით აღჭურვილი ფიცარია, რომელსაც ფეხებით მართავენ.

- ვიცი, - გამოეხმაურა დარ ვეტერი. - ტალღებზე სასეირნოა.
- ყველაზე მეტად იმან განმაცვიფრა, რომ ირგვლივ არაფერი ჩანდა - დაბალი ღრუბლები, ასეული მილის მანძილზე უკაცრიელი ოკეანე, საღამოს სხივი და ვეებერთელა ტალღაზე მფრინავი ქალიშვილი. ეს ქალიშვილი იყო...

- ჩარა ნანდი! - თქვა ევდა ნალმა. - ეს გასაგებია. მაგრამ საიდან გაჩნდა?
- ყოველ შემთხვევაში ქაფისაგან და ვარსკვლავის შუქისაგან არ გავჩენილვარ. ჩარამ მოულოდნელად მაღალი წკრიალა ხმით გადაიკისკისა. - უბრალოდ ცილის ქარხნის ტივიდან ჩვენ სარგასის[30] ნაპირას ვიდექით, სადაც ქლორელას[31] ვაწარმოებდით. იქ ბიოლოგად ვმუშაობდი.
- დაე აგრე იყოს, - შემარიგებლურად დაეთანხმა კარტ სანი.
- მაგრამ იმ დღიდან თქვენ ჩემთვის ხმელთაშუა ზღვის ქაფიდან წამომდგარ ქალიშვილად, ჩემი სურათის მოდელად იქეცით. მთელი წელი გელოდებოდით. - შეიძლება სანახავად მოვიდეთ? - სთხოვა ვედა კონგმა.
- მობრძანდით, მაგრამ მუშაობის საათებში არა, - უმჯობესია საღამოს. მე ძალიან ნელა ვმუშაობ და ამ დროს ვერავის ახლო ყოფნას ვერ ვიტან.
- თქვენ საღებავებით წერთ?
- ჩვენი მუშაობა ფერწერის არსებობის ათასეული წლების მანძილზე ცოტათი შეიცვალა. ოპტიკური კანონები და ადამიანის თვალი ძველებურია. გამახვილდა ზოგიერთი ელფერის შეგრძნება, გამოიგონეს ფენის შიდა რეფლექსების მქონე ახალი ქრომკატოპტრიული საღებავები[32], ფერთა ჰარმონიზაციის ზოგიერთი ხერხი. საერთოდ კი უხსოვარი დროის მხატვარიც ჩემსავით მუშაობდა, და ცოტა უკეთაც... გააჩნდათ რწმენა, მოთმინება - ჩვენ ძალზე სწრაფნი და ჩვენს სიმართლეში დაუჯერებელნი გავხდით. ხელოვნებისათვის კი ხშირად უკეთესია მკაცრი გულუბრყვილობა... ისევ გადავუხვიე თემას? ჩვენი მუშაობის დროა... წავიდეთ, ჩქარა. ყველანი შეჩერდნენ და თვალი გააყოლეს მხატვარსა და მის მოდელს.
- ახლა მე ვიცი ვინ არის იგი, - წაიჩურჩულა ვედამ. - მე ვნახე „გონდვანის ქალიშვილი“.
- მეც, - ერთად გამოეხმაურნენ ევდა ნალი და მვენ მასი.
- გონდვანი ინდოეთის გონდების ქვეყანას ხომ არ ნიშნავს? იკითხა დარ ვეტერმა.
- არა. იგი სამხრეთ მატერიკების სახელების შეკრებითაა ნაწარმოები. ერთი სიტყვით, ძველი შავი რასების ქვეყანას ნიშნავს.
- „შავკანიანთა ქალიშვილი“ როგორიღაა?

- სურათი უბრალოა - ველების ზეგანზე, მზის დამაბრმავებელ ალში მრისხანე ტროპიკული ტყის პირას შავკანიანი ქალიშვილი მიდის. მისი სახისა და საგრძნობლად მტკიცე, თითქო ლითონიდან ჩამოსხმული სხეულის ერთი ნახევარი ანთებულ შუქშია გახვეული, ხოლო მეორე ნახევარი მუქ ჩრდილშია. მაღალ ყელზე მხეცების თეთრი კბილების აცმა აქვს შემოვლებული, მოკლე შავი თმები შეკრული აქვს და ზედ წითელი ცეცხლისფერი ყვავილების გვირგვინი ადგას. თავს ზევით ამართული მარჯვენა ხელით გზიდან იცილებს ხის უკანასკნელ ტოტს, ხოლო მარცხენათი მუხლთან მიკრულ ეკლიან ღეროს ირიდებს. სხეულის შეჩერებულ მოძრაობაში, თავისუფალ

სუნთქვაში, ხელის მძლავრ აქნევაში ჩანს ახალგაზრდა სიცოცხლის უდარდელობა, ბუნებასთან შეერთებული, მდინარესავით მუდამ ცვალებადი. ეს ერთიანობა ამოიკითხება, როგორც სამყაროს ინტუიციური ცოდნა... შავ თვალებში, რომლებიც ზღვასავით ლურჯი ბალახების იქით, მთათა ძლივსშესამჩნევი კონტურების იქით არის მიპყრობილი... აშკარად იგრძნობა ახლახან აღმოჩენილი სამყაროს შიში, დიდ შემოწმებათა მოლოდინი! ევდა ნალი დაჩუმდა.

- მაგრამ ამის გადმოცემა კარტ სანს როგორ შეეძლო? იკითხა ვედა კონგმა. - იქნებ ზეაწეული წვრილი წარბებით, ოდნავ წინწახრილი ყელით, უთავსაფრო შიშველი კეფით. გასაოცარია თვალები, ძველი ბუნების ბუნდოვანი სიბრძნით აღვსილი... და რაც ყველაზე საოცარია - ეს არის ცეკვის უდარდელი ძალისა და სახიფათო ცოდნის ერთდროული შეგრძნება.

- სამწუხაროა, რომ არ მინახავს, - ამოიოხრა დარ ვეტერმა.

მომიწევს ისტორიის სასახლეში გამგზავრება. სურათის საღებავებს ვხედავ, მაგრამ ქალიშვილის პოზა როგორღაც ვერ წარმომიდგენია.

- პოზა? - შეჩერდა ევდა ნალი. - აი თქვენი „გონდვანის ქალიშვილიც“ - ...მან მხრებიდან პირსახოცი ჩამოაგდო, მოხრილი მარჯვენა მაღლა შემართა, უკან გადაიზნიქა და დარ ვეტერისაკენ ნახევრად შებრუნებული დადგა. გრძელი ფეხი ოდნავ ასწია, გადადგა პატარა ნაბიჯი და არ დაუდგამს, ისე გაირინდა, თითებით მიწას ეხებოდა. იმ წამსვე თითქო აყვავდა მთელი მისი მოქნილი სხეული.

ყველანი შეჩერდნენ. აღტაცებას არ ფარავდნენ.

- ევდა, ვერც კი წარმომედგინა!... - წამოიყვირა დარ ვეტერმა. - თქვენ სახიფათო ხართ, ნახევრად გაშიშვლებული ხანჯლის ფხასავით.

- ვეტერ, ისევ უხეირო კომპლიმენტები! - გაიცინა ვედამ. რატომ „ნახევრად“ და არა „მთლიანად“?
- იგი სავსებით მართალია, - გაიღიმა ევდა ნალმა და ისევ ძველებური გახდა. - სწორედ არა მთლიანად. ჩვენი ახალი ნაცნობი, მომხიბლავი ჩარა ნანდი - აი მთლიანად გაშიშვლებული და მბრწყინავი ხანჯალი თუ დარ ვეტერის ეპიური ენით ვილაპარაკებთ.
- არა მგონია, თქვენ ვინმე შეგედაროთ! - გაისმა ქვის იქიდან ხრინწნარევი ხმა. ევდა ნალმა პირველმა დაინახა მოკლედ შეკრეჭილი წითური თმები და მკრთალი ცისფერი თვალები, რომელიც ისეთი აღტაცებით მისჩერებოდა, როგორიც აქამდე არვის სახეზე არ შეუნიშნავს.
- მე რენ ბოსი ვარ! - მორცხვად თქვა წითურმა კაცმა, როცა დიდ ქვას ამოფარებული მისი დაბალი ვიწრომხრებიანი ფიგურა გამოჩნდა.
- ჩვენ გეძებდით, - ვედამ ხელი ჩასჭიდა ფიზიკოსს. აი, ეს არის დარ ვეტერი.

რენ ბოსი გაწითლდა, ამით შესამჩნევი გახდა ჭორფლი, რომელიც მთლიანად ფარავდა მის სახესა და ყელსაც კი.

- ზევით დავყოვნდი. - რენ ბოსმა ფერდობზე მიუთითა. იქ უძველესი სამარეა.
- მასში ძალზე ძველი დროის ცნობილი პოეტია დამარხული, - შენიშნა ვედამ.
- იქ წარწერაა ამოჭრილი, აი ეს. ფიზიკოსმა გაშალა ლითონის ფურცელი, გაავლო მასზე მოკლე სახაზავი და ბუნდოვან ზედაპირზე ოთხ რიგად გამოჩნდა ლურჯი ნიშნები.
- ო, ეს ევროპული ასოებია - საწერი ნიშნები, რომელიც საერთაშორისო ხაზობრივი ანბანის შემოღებამდე იხმარებოდა! ეს ნიშნები ახირებული ფორმის არის. მათი ფორმა კიდევ უფრო ძველი პიკტოგრამებიდან[33] მომდინარეობს. მაგრამ ეს ენა ჩემთვის ცნობილია, სიჩუმე ერთი წამით! - მოითხოვა ვედამ. თანამგზავრები ქვებზე ჩამოსხდნენ. ვედა კონგმა კითხვა დაიწყო:

ქრება, იძირება დროსა აზრი და სივრცეში

, მოვლენები, გემები, ფიქრები...

ჩემს შორ მგზავრობაში წავიღებ ცდუნებას,

რომელიც ყველაზე ლამაზი იქნება!..“

- ეს შესანიშნავია! - ევდა ნალმა წამოიჩოქა. - თანამედროვე პოეტიც ვერ იტყოდა დროის სიძლიერის შესახებ ამაზე უკეთ. ნეტა გამაგებინა, რომელი მიწიერი

ცდუნება მიაჩნდა ყველაზე უკეთესად და თან წაიღო სიკვდილის წინა აზრებით?

შორს გამჭვირვალე პლასტმასის ნავი გამოჩნდა. მასში ორი ადამიანი იჯდა.

- აი მიიკო და ერთი აქაური მექანიკოსი - შერლისი. ო, არა, - გამოასწორა ვედამ, - ეს თვით ფრიტ დონია, ზღვის ექსპედიციის მეთაური! ნახვამდის საღამომდე, ვეტერ, თქვენ სამნი უნდა დარჩეთ, და მე თან წავიყვან ევდას.

ორთავე ქალმა მსუბუქ ტალღებთან მიირბინეს და ერთად გაცურეს კუნძულისაკენ. ნავი მათკენ შებრუნდა, მაგრამ ვედამ ხელი დაუქნია და წინ გაგზავნა. რენ ბოსი უძრავად მისჩერებოდა მცურავებს.

- გამოფხიზლდით, რენ, საქმეს შევუდგეთ! - გამოეხმაურა მვენ მასი, შემცბარმა ფიზიკოსმა გაიღიმა.

ქვების ორ გრეხილს შორის მოთავსებული მჭიდრო ქვიშის ნაკვეთი სამეცნიერო აუდიტორიად იქცა. ნიჟარის ნატეხით აღჭურვილი რენ ბოსი ხაზავდა და წერდა, აღელვებული გულაღმა წამოიქცეოდა, საკუთარი სხეულით შლიდა ნაწერს და ხელახლა ხაზავდა. მვენ მასი წყვეტილი წამოძახილებით თავის თანხმობას გამოხატავდა ან ფიზიკოსს ახალისებდა. დარ ვეტერს ნიდაყვები მუხლებზე დაებჯინა, შუბლიდან ოფლს იწმენდდა. ოფლი იმიტომ გამოუვიდა, რომ თავს ძალას ატანდა ნათქვამის გასაგებად. ბოლოს წითური ფიზიკოსი დადუმდა და ქოშინით ჩამოჯდა ქვიშაზე.

- დიახ, რენ ბოს, - წამოილაპარაკა დარ ვეტერმა ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ. - თქვენ უდიდესი აღმოჩენა მოახდინეთ!

- განა მარტო მე?... ჯერ კიდევ ძალიან დიდი ხნის წინათ ძველმა მათემატიკოსმა გეიზენბერგმა წამოაყენა განუსაზღვრელობის პრინციპი - უმცირესი ნაწილაკებისათვის

ადგილის ზუსტად განსაზღვრის შეუძლებლობა. სინამდვილეში შეუძლებლობა შესაძლებელი გახდა ურთიერთგადასვლების გაგების შედეგად, ესე იგი რეპაგულიარული აღრიცხვის[34] შედეგად. დაახლოებით იმავე დროს აღმოაჩინეს ატომის ბირთვის მეზონური რკალისებური ღრუბელი და ნუკლეონსა[35] და ამ რკალს შორის გადასვლის მდგომარეობა. ესე იგი ახლო მივიდნენ ანტიმიზიდულობის გაგებასთან.

- ასე იყოს. მე ბიოპოლიარული მათემატიკის მცოდნე არ ვარ. მით უფრო არ ვიცი მისი ისეთი განყოფილებები, როგორიცაა რეპაგულიარული აღრიცხვა, გადასვლის საზღვრების გამოკვლევა, მაგრამ რაც თქვენ ჩრდილოვან

ფუნქციებში გააკეთეთ, - ეს პრინციპულად ახალია, თუმცა ჯერ კიდევ ცუდად გაგებული ჩვენს მიერ, უბრალო ადამიანების მიერ, რომელთაც მათემატიკური წინასწარ ხედვის უნარი არ გაგვაჩნია. მაგრამ აღმოჩენის სიდიადის გაგება მე შემიძლია. მხოლოდ ერთია.... - დარ ვეტერი შებორძიკდა.

- რა, კერძოდ რა? - შეკრთა მვენ მასი.

- როგორ უნდა გადავიტანოთ ეს ცდაში? მე მგონია, ჩვენ ასეთი დაძაბულობის ელექტრომაგნიტური ველის შექმნის საშუალება არ გვაქვს.

- რათა გრავიტაციული ველი გავაწონასწოროთ და გადასვლის მდგომარეობა მივიღოთ? - იკითხა რენ ბოსმა.

- დიახ. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი სისტემის საზღვრების იქით სივრცე ძველებურად ჩვენი ზემოქმედების გარეშე დარჩება.

- ეგ აგრეა. მაგრამ როგორც დიალექტიკაში ყოველთვის ხდება, გამოსავალი საწინააღმდეგოში უნდა ვეძებოთ. თუ ანტიგრავიტაციულ ჩრდილს დისკრეტულად კი არა, ვექტორიალურად მივიღებთ, მაშინ...

- ოჰო, კი მაგრამ, როგორ?

რენ ბოსმა სწრაფად დახაზა სამი სწორი ხაზი, ვიწრო სექტორი და ყველაფერი ეს დიდი რადიუსის რკალის ნაწილით გადაკვეთა.

ეს ჯერ კიდევ ბიოპოლიარულ მათემატიკამდე[36] იყო ცნობილი. რამდენიმე საუკუნის წინათ მას ოთხი განზომილების ამოცანას უწოდებდნენ. მაშინ ჯერ კიდევ გავრცელებული იყო აზრი სივრცის მრავალგანზომილების შესახებ. მათ არ იცოდნენ მიზიდულობის ჩრდილოვანი მხარეები, ცდილობდნენ ანალოგია გაეტარებინათ მაგნიტოელექტრულ ველებს შორის და ფიქრობდნენ, რომ სინგულარული წერტილები[37] ან მატერიის გაქრობას ნიშნავდა, ან მის რაღაც გაურკვევლობად გარდაქმნას. როგორ უნდა წარმოვიდგინოთ სივრცე მოვლენის ბუნების ასეთი ცოდნით? მაგრამ ისინი, ჩვენი წინაპრები ხვდებოდნენ, მათ გაიგეს, რომ თუ მანძილი, ვთქვათ A ვარსკვლავიდან მიწის ცენტრამდე ამ OA ხაზზე ოც კვინტილიონ კილომეტრს უდრის, მაშინ იმავე ვარსკვლავამდე მანძილი OB ვექტორზე ნულის ტოლია... პრაქტიკულად ნულის კი არა, ნულის მახლობელი სიდიდის ტოლია. ისინი ამბობდნენ, რომ დრო ნულს გაუტოლდება, თუ მოძრაობის სიჩქარე უდრის სინათლის სიჩქარეს. მაგრამ კოხლეარული გამოთვლაც[38] ხომ სულ ცოტა ხნის წინათ აღმოაჩინეს.

- სპირალური მოძრაობა ათასი წლის წინათ იცოდნენ,- ფრთხილად ჩაერია მვენ მასი.

რენ ბოსმა აგდებით ჩაიქნია ხელ.

- იცოდნენ მოძრაობა, მაგრამ არა მისი კანონები, ასე, მაგალითად, თუ მიზიდულობისა და ელექტრომაგნიტური ველები- მატერიის ერთი და იგივე თვისების ორი მხარეა, თუ სივრცე გრავიტაციის ფუნქციაა, მაშინ ელექტრომაგნიტური ველის ფუნქცია - ანტისივრცეა. მათ შორის გადასვლა ნულსივრცის ვექტორიალურ ჩრდილოვან ფუნქციას იძლევა, რასაც უბრალო გამოთქმით, სინათლის სიჩქარე ეწოდება. მე შესაძლებლად მიმაჩნია ნულ-სივრცის ყოველი მიმართულებით მიღება. მვენ მასს ეპსილონ ტუკანაზე უნდა წასვლა. ჩემთვის კი სულ ერთია, ოღონდ ცდა მოვაწყო, ოღონდ ცდა მოვაწყო. - გაიმეორა ფიზიკოსმა და მოქანცულად მოხუჭა გამოხუნებული წამწამები.
- ცდისათვის თქვენ მარტო საგარეო სადგურები და დედამიწის ენერგია კი არ გინდათ, როგორც მვენი ამბობდა, არამედ ალბათ რაიმე დანადგარიც. საეჭვოა, რომ ასეთი დანადგარი უბრალო და სწრაფად ასაგები იყოს.

ამაში ბედი შეგვეწია. შეიძლება გამოვიყენოთ კორა იულას დანადგარი, უშუალოდ ტიბეტის ობსერვატორიის მახლობლად. ას სამოცდაათი წლის წინათ იქ სივრცის

გამოსაკვლევი ცდები წარმოებდა. მცირედი გადაკეთება იქნება საჭირო, ხოლო დამხმარე მოხალისეებს როცა გნებავთ მაშინვე ხუთ, ათ, ოც ათასს ვიშოვნი, ერთი დაძახება კმარა. ისინი მყისვე შვებულებას აიღებენ.

- თქვენ მართლაც ყველაფერი გაზომილი გაქვთ. რჩება მხოლოდ ერთი, მაგრამ ყველაზე სერიოზული, - ცდით გამოწვეული საფრთხე. ყველაზე უეცარი შედეგებია მოსალოდნელი, დიდი რიცხვების კანონის საფუძველზე, პატარა მასშტაბის ცდის ჩატარება არ შეგვიძლია. უეცრად არაბუნებრივი მასშტაბის აღება...

- რომელ მეცნიერს შეეშინდება რისკის გაწევა, - მხრები აიჩეჩა რენ ბოსმა.

- მე პირად რისკზე არ ვლაპარაკობ! ვიცი, რომ ათასები მოვლენ, თუ სახიფათო საწარმო იქნება საჭირო. მაგრამ ცდაში ჩაირთვება საგარეო სადგურები, ობსერვატორიები, მთელი ჯგუფი აპარატებისა, რომელთა შექმნაზეც კაცობრიობას გიგანტური შრომა დაეხარჯა, აპარატებისა, რომლებმაც გახსნეს სარკმელები კოსმოსში, კაცობრიობა სხვა დასახლებული სამყაროების ცხოვრებას, შემოქმედებას, ცოდნას აზიარეს. ეს სარკმელი ადამიანის უდიდესი მიღწევაა და მისი დროებით მიხურვის რისკის გაწევის უფლება

არც თქვენ, არც არცერთ ცალკე ადამიანს ან ადამიანთა ჯგუფს არ აქვს. მინდა ვიცოდე, გაქვთ თუ არა თქვენ ასეთი უფლების გრძნობა და რაზეა იგი დაფუძნებული?

- მე მაქვს, - წამოდგა მვენ მასი, - იგი დაფუძნებულია... თქვენ გათხრებზე იყავით... განა მილიარდობით უცნობ საფლავებში ჩაყრილი უცნობი ძვლები არ გევედრებოდნენ, არ გთხოვდნენ, არ გაყვედრიდნენ? მე მეჩვენება მილიარდობით გამქრალი ადამიანების სიცოცხლე, რომელთაც თითებს შორის ქვიშასავით გაუცურდათ ახალგაზრდობა, სილამაზე და სიცოცხლის სიხარული, - ისინი მოითხოვენ ამოვხსნათ დროის დიდი ამოცანა, ჩავებათ მასთან ბრძოლაში! სივრცეზე გამარჯვება დროზე გამარჯვებაცაა. აი, რატომ ვარ დარწმუნებული ჩემს სიმართლეში და ჩაფიქრებული საქმის სიდიადეში!

- ჩემი გრძნობა სხვაგვარია, - ალაპარაკდა რენ ბოსი. - მაგრამ ეს იმავე ამბის მეორე მხარეა. სივრცე კოსმოსში ძველებურად დაუძლეველია, თიშავს სამყაროებს, საშუალებას არ გვაძლევს მოვძებნოთ ჩვენი მეზობელი დასახლებული პლანეტები, შევერთდეთ მათთან სიხარულითა და ძალით

- უსაზღვროდ მდიდარი ოჯახებივით. ეს იქნებოდა ყველაზე დიდი გარდაქმნა სამყაროთა გაერთიანების ერას შემდეგ, მას

შემდეგ, რაც კაცობრიობამ, ბოლოს და ბოლოს, შეწყვიტა თავისი ხალხების უაზრო დანაწილებული არსებობა და გაერთიანდა, მოახდინა გიგანტური ზეაღსვლა ბუნებაზე ბატონობის ახალ საფეხურზე. ამ გზაზე გადადგმული თვითეული ნაბიჯი სხვა ყველაფერზე, ყველა გამოკვლევებსა და შემეცნებებზე უფრო მნიშვნელოვანია. როგორც კი რენ ბოსი დაჩუმდა, ისევ მვენ მასი ალაპარაკდა:

- არის კიდევ ერთი, პირადად ჩემი. ახალგაზრდობაში ხელში ჩამივარდა ძველი ისტორიული რომანების კრებული. მასში თხზულება იყო - თქვენი წინაპრების შესახებ, დარ ვეტერ. მათზე თავდასხმა მოუხდენია ვიღაც დიდ დამპყრობელს - გაცოფებულ კაციჭამიას, როგორებითაც მდიდარი იყო დაბალი საზოგადოების ეპოქის კაცობრიობის ისტორია. ნაწარმოებში უსაზღვროდ შეყვარებული ძლიერი ახალგაზრდის ამბავია მოთხრობილი. მისი შეყვარებული დაატყვევეს და წაიყვანეს, - მაშინ ამას „გარეკვას“ ეძახოდნენ. წარმოიდგინეთ, ერთმანეთზე გადაბმულ ქალებსა და კაცებს საქონელივით მიერეკებოდნენ დამპყრობთა სამშობლოში. დედამიწის გეოგრაფია არავინ იცოდა. მოგზაურობის ერთადერთი საშუალება სამგზავრო და

სატვირთო ცხოველები იყო. ეს ქვეყანა მაშინ უფრო იდუმალი და ვრცელი, სახიფათო და ძნელად სავალი იყო, ვიდრე დღეს ჩვენთვის კოსმოსის სივრცეა. ახალგაზრდა გმირი ეძებდა თავის ოცნებას. წლობით ხეტიალობდა აზიის მთების სიღრმეში ყველაზე უფრო სახიფათო გზებზე. ძნელია ახალგაზრდული შთაბეჭდილებების გამოთქმა, მაგრამ აქამდე მეჩვენებოდა, რომ მეც შემიძლია საყვარელი მიზნისაკენ ვიარო და კოსმოსის ყოველგვარი საზღვარი დავძლიო. დარ ვეტერმა ოდნავ გაიღიმა.

- მესმის თქვენი გრძნობები, მაგრამ ჩემთვის გაუგებარია ის ლოგიკური საფუძველი, რომელიც რუსულ თხზულებას კოსმოსისაკენ თქვენს მისწრაფებასთან აკავშირებს. რენ ბოსისა უფრო მესმის. თუმცა, თქვენ გამაფრთხილეთ, რომ ეგ პირადი საქმეა...

დარ ვეტერი დადუმდა. იგი ისე დიდხანს დუმდა, რომ მვენ მასი მოუთმენლად შეირხა.

- ახლა მე მესმის, - ისევ ალაპარაკდა დარ ვეტერი, - წინათ ეჭვიანობის, შიშის, მარტოობის საათებში ადამიანები რატომ ეწეოდნენ, სვამდნენ. თავს იმხნევებდნენ ნარკოტიკებით. ახლა მეც ასევე მარტოხელა და ეჭვიანი ვარ. რა

უნდა გითხრათ? მე ვინ ვარ, რომ ასე დიდი ცდა დაგიშალოთ, მაგრამ განა ძალმიძს ნება დაგრთოთ? თქვენ საბჭოს უნდა მიმართოთ, მაშინ...

- არა, ეგრე არა. - მვენ მასი წამოდგა, მისი ვეებერთელა სხეული ისე დაიძაბა, თითქოს სასიკვდილო საფრთხე მოელოდა. - გვიპასუხეთ: - თქვენ ჩაატარებდით ექსპერიმენტს? როგორც საგარეო სადგურების გამგე და არა როგორც რენ ბოსი... მისი საქმე სხვაა!

არა! - მტკიცედ უპასუხა დარ ვეტერმა. - მე კიდევ დავიცდიდი.

- რაღას დაუცდიდი?

- მთვარეზე საცდელი ნაგებობის აშენებას.

- მაგრამ ენერგია?

- მთვარის მიზიდულობის ძალა ნაკლებია, ცდის მასშტაბიც ნაკლები იქნება. შეიძლება რამდენიმე კუ- სადგური გვეყოს.

- სულ ერთია, ამისათვის ასეული წლებია საჭირო, და მე ვერასოდეს ვიხილავ!

- თქვენ ვერა. კაცობრიობისათვის ისეთი დიდი მნიშვნელობა როდი აქვს ახლა მოხდება თუ ერთი თაობის შემდეგ.

- მაგრამ ჩემთვის ეს დასასრულია, მთელი ოცნების დასასრული რენ ბოსისთვისაც...

- ჩემთვის, თუ ცდის შემოწმების საშუალება არ მექნა, იმას ნიშნავს, რომ გასწორების, საქმის გაგრძელების საშუალებაც არ მექნება.

- ერთის ჭკუა ცოტას ნიშნავს! მიმართეთ საბჭოს.

- საბჭომ უკვე გადაწყვიტა - თქვენი აზრებითა და სიტყვებით. ჩვენ მისგან არაფერს არ უნდა მოველოდეთ, - წყნარად წარმოთქვა მვენ მასმა.

- მართალი ხართ. საბჭოც უარს გეტყვით.

- მეტს არაფერს გეკითხებით. ჩემი თავი დამნაშავედ მიმაჩნია, მე და რენმა თქვენ საკითხის გადაწყვეტის სიმძიმე დაგაკისრეთ.

- ეს ჩემი მოვალეობაა, როგორც უფრო გამოცდილისა. თქვენი ბრალი არ არის, თუ ამოცანა დიდებულიცა და უკიდურესად სახიფათოც აღმოჩნდა. ეს ჩემთვის საწყენი და სამძიმოა...

რენ ბოსმა პირველმა გამოთქვა აზრი - ექსპედიციის დროებით სადგომში დაბრუნებულიყვნენ. სამი მოთენთილი ადამიანი გაუყვა ქვიშას. თვითეული

-
მათგანი თავისებურად განიცდიდა არნახული ცდის უარყოფის მწუხარებას. დარ ვეტერი ალმაცერად შესცქეროდა თანამგზავრებს და ფიქრობდა, რომ მას ყველაზე მეტად ემძიმებოდა. მის ბუნებაში რაღაც უზომოდ მამაკაცური იყო, რომელსაც მთელი ცხოვრების მანძილზე ებრძოდა. იგი რაღაცით ძველ ყაჩაღებს ჰგავდა, რატომ გრძნობდა იგი თავს კმაყოფილად და ბედნიერად ხართან ბავშვური ბრძოლის დროს?.. და მისი სული ეწინააღმდეგებოდა ჭკვიანურ, მაგრამ არამამაცურ გადაწყვეტილებას.

თავი **VI.** ლურჯი მზეების ლეგენდა

კაიუტ-ჰოსპიტლიდან ექიმი ლუმა ლასვი და ბიოლოგი ეონ ტალი გამოვიდნენ. ერგ ნოორი წინ გაიჭრა.

- ნიზა!

- ცოცხალია,მაგრამ...

- კვდება?

- ჯერ არა. მძიმე დამბლა აქვს. შებოჭილი აქვს ზურგის ტვინის ყველა მალები, პარასიმპატური სისტემა,[39] ასოციალური და გრძნობათა ცენტრები. სუნთქვა მეტისმეტად შენელებული, მაგრამ თანაბარია. გული მუშაობს - ას წამში ერთ დარტყმას აკეთებს. ეს სიკვდილი არ არის, მაგრამ სრული კოლაპსია[40], რომელიც შეიძლება განუსაზღვრელ ხანს გაგრძელდეს.

- შეგრძნება და ტაჯვა გამორიცხულია?

- გამორიცხულია.

- აბსოლუტურად? - უფროსის გამოხედვა მომთხოვნი და მკაცრი იყო? მაგრამ ექიმი არ დაიბნა. - აბსოლუტურად!

ერგ ნოორმა კითხვის გამომხატველი თვალებით შეხედა ბიოლოგს, მან დამადასტურებლად დაუქნია თავი.

- რის გაგებას ფიქრობთ?

- საჭიროა თანაბარი ტემპერატურის დაცვა, სრული სიწყნარე, სუსტი შუქი. თუ კოლაპსი პროგრესირებას არ დაიწყებს, მაშინ... განა სულ ერთი არ არის - იძინოს... თუნდაც დედამიწამდე... იქ კი - ნერვული დენების ინსტიტუტში მოვათავსებთ,

რადგან დენის რომელიღაც სახეობას დაუზიანებია. სკაფანდრი სამ ადგილას არის გახვრეტილი. კარგია, რომ იგი თითქმის არ სუნთქავდა!

- მე შევამჩნიე ნახვრეტები და ჩემი სალბუნი დავაწებე, - თქვა ბიოლოგმა. ერგ ნოორმა უსიტყვო მადლობით მოუჭირა მას ხელი ნიდაყვის ზემოთ.
- მხოლოდ... - დაიწყო ლუმამ, - უმჯობესია სწრაფად გავცილდეთ გაზრდილ სიმძიმეს... ამავე დროს საშიშია არა იმდენად აჩქარებული ფრენა, რამდენადაც ნორმალური სიმძიმის ძალასთან დაბრუნება.

მესმის: თქვენ გეშინიათ, რომ პულსი კიდევ უფრო შენელდება. მაგრამ ეს ხომ ქანქარა არ არის, რომ თავისი რხევა დაძაბულობის ველის გაძლიერებასთან ერთად დააჩქაროს?

- ორგანიზმის იმპულსების რიტმი, სხვათა შორის, იმავე კანონებს ემორჩილება. თუ გულის ცემა თუნდაც ორჯერ შემცირდება ორას წამამდე, მაშინ ტვინისათვის სისხლის მიწოდება არასაკმარისი იქნება და...

ერგ ნოორი ისე ღრმად ჩაფიქრდა, რომ დაავიწყდა გარშემო მყოფი და ღრმად ამოიოხრა.

მისი თანამშრომლები მოთმინებით იცდიდნენ.

- ხომ არ მოიძებნება გამოსავალი იმაში, რომ მოვათავსოთ ორგანიზმი ჟანგბადით გაუხვებული ატმოსფეროს ამაღლებული წნევის ქვეშ? - ფრთხილად იკითხა უფროსმა და ლუმა ლასვისა და ეონ ტალის კმაყოფილ ღიმილზე მიხვდა, რომ სწორი აზრი გამოთქვა.
- შესანიშნავია, დავაკმაყოფილოთ სისხლი გაზით დიდი პარციალური წნევის[41] დროს... ცხადია, ტრომბოზის[42] წინააღმდეგ ზომებს მივიღებთ და მაშინ, დაე, თუნდ ორას წამში გულის ერთი კუმშვა მოხდეს, შემდეგ გამოსწორდება...

ეონმა შავ ულვაშებში ჩამალული მსხვილი თეთრი კბილები გამოაჩინა და მკაცრი სახე ერთბაშად ახალგაზრდა და დარდიმანდივით მხიარული გაუხდა.

- ორგანიზმი უგრძნობელი, მაგრამ ცოცხალი დარჩება, - ისე თქვა ლუმამ, ეტყობოდა გულზე მოეშვა. - ჩვენ წავალთ, კამერას დავამზადებთ. მე მინდა დიდი სილიკოლური ვიტრინა გამოვიყენო, რომელიც ზირდასათვის წამოვიღეთ. მასში მცურავი სავარძელი მოთავსდება, რომელიც ფრენის დროს საწოლად ვაქცევთ, აჩქარების შეწყვეტის შემდეგ ნიზას საბოლოოდ მოვაწყობთ.
- როგორც კი მოემზადებით, მაცნობეთ პოსტზე, ზედმეტ წუთსაც აღარ გავჩერდებით. საკმარისია შავი სამყაროს სიბნელე და სიმძიმე.

-

ადამიანები ხომალდის სხვადასხვა კუთხეებისაკენ გაეშურნენ, ვისაც როგორ შეეძლო, ისე ებრძოდა შავი პლანეტის მტანჯველ ზემოქმედებას. ძლევამოსილ მელოდიასავით დაიგუგუნა აფრენის სიგნალებმა.

ადამიანები სიმსუბუქის ჯერ კიდევ გამოუცდელი გრძნობით ჩაეფლენ რბილ სავარძლებში. მაგრამ მძიმე პლანეტიდან აფრენა ძნელი და სახიფათო საქმეა. ხომალდის მოწყვეტისათვის საჭირო აჩქარება ადამიანური გამძლეობის ზღვარს წარმოადგენდა და მფრინავის შეცდომას შეიძლებოდა ხომალდი დაღუპვამდე მიეყვანა.

ერგ ნოორმა პლანეტარული ძრავების გამოყრუებული ღრიალით წაიყვანა ვარსკვლავმფრენი ჰორიზონტისაკენ, ჰიდრავლიკური სავარძლების სახელურები მზარდი სიმძიმის გამო სულ უფრო მეტად იწეოდნენ. აი, საცაა სახელურები მიაღწევენ ადამიანებამდე და მაშინ ამჩქარებელი წნეხის ქვეშ ადამიანთა ნაზი ძვლები ისე დაიფშვნება, როგორც სამჭედურში. ექსპედიციის უფროსს ხელები, ხელსაწყოთა ჭიკარტებზე რომ ელაგა, ისე დაუმძიმდა, რომ აწევაც აღარ შეეძლო. მაგრამ მძლავრი თითები მუშაობას არ ანელებდნენ. „ტანტრა“ ხაზავდა გიგანტურ დამრეც რკალებს, ადიოდა სულ უფრო მაღლა, სიბნელიდან უსასრულობის გამჭვირვალე სიშავისკენ. ერგ ნოორი თვალს არ აცილებდა ჰორიზონტალური გამთანაბრებლის წითელ ზოლს - იგი არამყარ წონასწორობაში ირხეოდა, უჩვენებდა, რომ ხომალდი აღმავლობიდან შეიძლება დაცემის რკალზე, დაშვებაზე გადასულიყო. მძიმე პლანეტა ჯერ კიდევ არ უშვებდა „ტანტრას“ თავისი ტყვეობიდან. ერგ ნოორმა გადაწყვიტა ჩაერთო ანამეზონური მოტორები, რომელთანაც ძალუძთ ყოველნაირი პლანეტიდან გაიყვანონ

ვარკვლავმფრენი. ზრიალა ვიბრაციამ შეარხია ხომალდი. წითელმა ზოლმა ნულის ხაზიდან ათეული მილიმეტრით აიწია. ცოტაც და...

ზედა დაკვირვების კორპუსის პერისკოპში ექსპედიციის მეთაურმა დაინახა, რომ „ტანტრა“ მოცისფრო ალის თხელი ფენით დაიფარა, რომელიც ნელა უახლოვდებოდა ხომალდის საჭეს. ატმოსფერო გაიკვეთა! ზეგამტარობის კანონის მიხედვით ნარჩენი ელექტროდენები პირდაპირ ხომალდის კორპუსზე შეჭავლდნენ.

ვარსკვლავები ისევ ნემსებივით დაწვრილდნენ და გათავისუფლებული „ტანტრა“ სულ უფრო შორს გაფრინდა მრისხანე პლანეტისაგან. ყოველ წამში მცირდებოდა მიზიდულობის სიმძიმე, სხეული სულ უფრო უმსუბუქდებოდა. ამღერდა ხელოვნური გრავიტაციის აპარატი და მისი ჩვეულებრივი, დედამიწისათვის დამახასიათებელი დაძაბულობა შავი პლანეტის

წნეხქვეშგატარებული ცხოვრების უსასრულო დღეების შემდეგ აუწერლად მცირე გამოჩნდა. ადამიანები სავარძლებიდან წამოხტნენ. ინგრიდი, ლუმა და ეონი ფანტასტიკური ცეკვის ურთულეს ილეთებს ასრულებდნენ. მაგრამ მალე გარდაუვალმა რეაქციამ იჩინა თავი და ეკიპაჟის დიდი ნაწილი დროებითი დასვენების ხანმოკლე ძილში ჩაიძირა. მხოლოდ ერგ ნოორი, პელ ლინი, პურ ხისი და ლუმა ლასვი ფხიზლდებოდნენ. საჭირო იყო ვარსკვლავმფრენის დროებითი კურსის გამოთვლა, ტ-ვარსკვლავის მთელი სისტემის სიბრტყისადმი პერპენდიკულარულად მიმართული გიგანტური რკალის შემოხაზვა, მისი მყინვარული და მეტეორული სარტყლისათვის გვერდის ავლა. ამის შემდეგ შეიძლებოდა ხომალდის ნორმალურ სუბსინათლურ სიჩქარეში ჩაყენება და ჭეშმარიტი კურსის განსაზღვრის ხანგრძლივ სამუშაოთა დაწყება.

ექიმი ყურადღებას აქცევდა ნიზას მდგომარეობას აფრენისა და მიწისათვის ნორმალური სიმძიმის ძალასთან დაბრუნების შემდეგ. მალე მან ყველანი დაამშვიდა ცნობით, რომ გულისცემის პაუზები ას ათ წამს გაუთანაბრდაო.

საჟანგბადო რეჟიმის ამაღლებასთან ერთად ეს სიკვდილიარ იყო. ლუმა ლასვმა გადაწყვიტა მიემართა ტირატრონისათვის[43] - გულის მუშაობის ელექტრონული ამგზნებისათვის და ნეიროსეკრეტორული სტიმულატორებისათვის.[44]

ორმოცდათხუტმეტი საათი ჭრიალებდა ხომალდის კლდეები ანამეზონური მოტორების ვიბრაციისაგან, სანამ მრიცხველებმა არ აჩვენეს საათში ცხრაას სამოცდა ათი მილიონი კილომეტრი სიჩქარე, რაც ახლოა უსაფრთხოების საზღვართან. მანძილი რკინის ვარსკვლავიდან დედამიწის დღე-ღამის განმავლობაში ოც მილიარდ კილომეტრზე მეტად გაიზარდა. ძნელი გადმოსაცემია ის შვება, რომელიც მძიმე გამოცდის შემდეგ განიცადა ცამეტივე თანამგზავრმა: მკვდარი პლანეტის, დაღუპული „ალგრაბის“ და, დასასრულ, საშინელი შავი მზის შემდეგ. გათავისუფლების სიხარული სრული არ აღმოჩნდა: ეკიპაჟის მეთოთხმეტე წევრი - ახალგაზრდა ნიზა კრიტი ნახევრად მძინარე და ნახევრად მკვდარი ესვენა ჰოსპიტალის კაიუტის გადაკედლილ განყოფილებაში...

ხომალდზე მყოფი ხუთი ქალი - ინგრიდი, ლუმა, მეორე ელექტრო ინჟინერი, გეოლოგი და რიტმული ტანვარჯიშის მასწავლებელი იონე მარი, რომელიც ამავე დროს საკვების გამნაწილებლის, საჰაერო ოპერატორის და სამეცნიერო მასალების კოლექტორის მოვალეობას ასრულებდა, - თითქო დაკრძალვის ძველებური წეს-ჩვეულების შესასრულებლად შეგროვდნენო. მთლიანად შიშველი ნიზას სხეული, სპეციალური ტმ და ას შენარევებით განბანილი, ხმელთაშუა ზღვიდან უფაქიზესი ღრუბელიდან

შეკერილ სქელ ხალიჩაზე იყო დასვენებული. ხალიჩა საჰაერო ლეიბზე მოათავსეს, რომელიც ვარდისფერი სილიკონის მრგვალი გუმბათით თავდებოდა. ზუსტ ხელსაწყოს - თერმობაროქსისტატს[45] - შეეძლო წლობით დაეცვა საჭირო ტემპერატურა, წნევა და ჰაერის რეჟიმი სქელი სარქველის შიგნით. რბილი რეზინის შვერილებს ნიზა ერთ მდგომარეობაში ეჭირათ, რომლის შეცვლასაც ექიმი ლუმა ლასვი თვეში მხოლოდ ერთხელ აპირებდა. ყველაზე მეტად საშიში იყო ნაწოლზე წყლულები არ გასჩენოდა. ამიტომაც ლუმამ გადაწყვიტა ავადმყოფზე დაეწესებინა ზედამხედველობა და მომავალი მგზავრობისას ერთი-ორი წლის განმავლობაში არ თავდებოდა. ერთადერთი, რასაც ლუმა ლასვმა მიაღწია, - ეს იყო მაჯისცემის გახშირება წუთში ერთ დარტყმამდე. რაც არ უნდა ცოტა ყოფილიყო ასეთი მიღწევა, იგი საშუალებას იძლეოდა თავიდან აეცილებინათ ფილტვებისათვის საშიში გაჟღენთა ჟანგბადით.

გავიდა ოთხი თვე. ვარსკვლავმფრენი ნამდვილი, ზუსტად გამოთვლილი კურსით მიდიოდა, გვერდს უვლიდა თავისუფალი მეტეორიტების რაიონს. ფათერაკებით და აუტანელი მუშაობით გაწამებული ეკიპაჟი შვიდთვიან ძილში ჩაიძირა. ამრიგად,

ფხიზლობდა არა სამი, არამედ ოთხი კაცი, მორიგეებს - ერგ ნოორსა და პურ ხისს ექიმი ლუმა ლასვი და ბიოლოგი ეონ ტალიც შეუერთდნენ.

ექსპედიციის უფროსმა, რომელიც გამოვიდა უმძიმესი მდგომარეობიდან, როგორშიც ოდესმე მოხვედრილან მიწის ვარსკვლავმფრენები, თავი მარტოხელად იგრძნო. პირველად იყო, რომ დედამიწამდე დარჩენილი ოთხი წლის გზა უსასრულოდ მოეჩვენა. იგი არ აპირებდა თავი მოეტყუებინა - მხოლოდ დედამიწაზე შეიძლებოდა ჰქონოდა თავისი ნიზას გადარჩენის იმედი.

იგი აჭიანურებდა „აფრიდან“ წამოღებული ელექტრონული სტერეოფილმების გასინჯვას. რაც შეეძლო გამოფრენიდან მეორე დღესვე გაეკეთებინა. ერგ ნოორს უნდოდა ნიზასთან ერთად დაენახა და მოესმინა პირველი ცნობები შესანიშნავი სამყაროებიდან, ლურჯი ვარსკვლავების პლანეტიდან, დედამიწის ზაფხულის ღამეებიდან, რათა ნიზას მასთან ერთად ეგრძნო განხორციელება წარსულის და მომავლის ყველაზე გაბედული რომანტიკული ოცნებებისა - ვარსკვლავეთის ახალი სამყაროების - კაცობრიობის მომავალი შორეული კუნძულების აღმოჩენა.

ფილმები, რომლებიც გადაღებული იყო მზისაგან რვა პარსეკის დაცილებით ოთხმოცი წლის უკან და ელაგა ღია ხომალდში ტ-ვარსკვლავის შავ პლანეტაზე, შესანიშნავად იყო შენახული. ნახევარსფეროსებურმა ეკრანმა „ტანტრის“ ოთხი მაყურებელი იქ გადაიყვანა, სადაც მათ თავზე მაღლა ციალებდა ცისფერი ვეგა.

სწრაფად იცვლებოდა მოკლე სიუჟეტები - ისახებოდა დამაბრმავებელი ლურჯი მნათობი და დაუდევრად მიმდინარე წუთიერი კადრები ხომალდის ცხოვრებიდან. გამომთვლელ მანქანასთან ექსპედიციის წარმოუდგენლად ახალგაზრდა ოცდარვა წლის მეთაური მუშაობდა, კიდევ უფრო ახალგაზრდა ასტრონომები დაკვირვებას აწარმოებდნენ. აი ყოველდღიური აუცილებელი სპორტი და ცეკვები, რომელიც ექსპედიციის წევრებს აკრობატულ სრულყოფამდე მიუყვანიათ. დამცინავი ხმა განმარტავს, რომ ვეგასაკენ მიმავალ მთელ გზაზე პირველობა ბიოლოგს ჰქონდა. მართლაც, ეს მოკლე თმებიანი ქალიშვილი ურთულეს ვარჯიშებს და თავისი შესანიშნავად განვითარებული სხეულის მოქნილობას აჩვენებდა.

როცა უყურებდით ჰემისფერული ეკრანის ნათელ, სრულიად რეალურ გამოსახულებებს, რომელთაც ნორმალური შუქჩრდილი ჰქონდათ შენარჩუნებული. გავიწყდებოდათ, რომ ეს მხიარული, ენერგიული

ახალგაზრდა ასტრომფრინავები დიდი ხნის წინათ შესანსლეს რკინის ვარსკვლავის საშინელმა ურჩხულებმა.

ექსპედიციის ცხოვრების ძუნწმა აღწერამ სწრაფად გაიელვა. საპროექციო აპარატში შუქის გამაძლიერებლებმა ზუზუნი დაიწყეს - ისე გააფთრებით ანათებდა იისფერი მნათობი, რომ აქაც კი, მისმა მკრთალმა გამოსახულებამ აიძულა ადამიანები დამცველი სათვალე გაეკეთბინათ. ვარსკვლავი დიამეტრითაც და მასითაც თითქმის სამჯერ მეტი იყო მზეზე. კოლოსალური, ძალზე შეჭყლეტილი გაშმაგებული ბრუნავდა წამში სამასი კილომეტრი ეკვატორული სისწრაფით. აუწერლად ნათელი გაზის ბურთულას თერთმეტი ათასი გრადუსი ტემპერატურის მქონე ზედაპირით მილიონი კილომეტრობით გაეშალა მომარგალიტულ-ვარდისფერი ცეცხლის ფრთა. მისი ნათების სიღრმეში ლურჯი ვარსკვლავის მახლობელი პლანეტა იმალებოდა. მაგრამ აქ, ცეცხლის ოკეანეში, არც მიწისა და არც რკალში მისი მეზობელი პლანეტების არცერთ ხომალდს ჩაყვინთვა არ შეეძლო. ხედვითი პროექცია შეცვალა მეტყველებითმა მოხსენებამ ჩატარებული დაკვირვებების შესახებ და ეკრანზე გამოჩნდა

სტერეომეტრული ნახაზების წითელი ხაზები, რომლებიც ვეგას პირველი და მეორე პლანეტის მდებარეობას აჩვენებდნენ. „აფრას“ არ შეეძლო მიახლოვდებოდა მეორე პლანეტასაც კი, რომელიც ვარსკვლავიდან ასი მილიონი კილომეტრით იყო დაცილებული.

ურჩხულისებრი პროტუბერანცები[46] ამოფრინდნენ გამჭვირვალე იისფერი ოკეანის ცეცხლის სიღრმიდან - ვარსკვლავის ატმოსფეროდან და სამყაროს ყველაფრის დამთუთქავი ხელები შეუპოტინეს. ისე დიდი იყო ვეგას ენერგია, რომ ვარსკვლავი განსაკუთრებით ძლიერ კვანტურ შუქს-იისფერ და სპექტრის უხილავი ნაწილაკების შუქს ასხივებდნენ. სამმაგი ფილტრებით დაცულ ადამიანის თვალებშიაც იგი თითქმის უხილავი, მაგრამ მომაკვდინებლად სახიფათო მოჩვენებითობის საშინელ შეგრძნებას იწევდა... გაიფრინეს შუქთა ქარიშხლებმა, გადალახეს ვარკსვლავთა მიზიდულობა. მათი შორეული ექო სახიფათოდ უბიძგებდა და არხევდა „აფრას“. კოსმოსური სხივებისა და უხეში გამოსხივების სხვა სახეთა მრიცხველებმა მუშაობა შეწყვიტეს. საიმედოდ დაცულ ხომალდში სახიფათო იონიზაციამ დაიწყო ზრდა. შეიძლებოდა გეგრძნოთ სხივური ენერგიის გააფთრება. იგი განსაცვიფრებელ ნაკადად მიისწრაფოდა სივრცის სიცარიელეში, იქ, ხომალდის კედლების იქით, უსარგებლოდ დახარჯული კვინტილიონი კილოვატის ძალით.

„აფრის“ უფროსმა ფრთხილად მიიყვანა ვარსკვლავმფრენი მესამე პლანეტასთან - დიდ, მაგრამ თხელ გამჭვირვალე ატმოსფეროში გამოხვეულ პლანეტასთან. ჩანდა ლურჯი ვარსკვლავის ცეცხლოვანმა სუნთქვამ შორს გაჰფანტა მსუბუქი გაზების საბურველი, რომელიც გრძელი, ოდნავ განათებული კუდივით ეთრეოდა პლანეტას ჩრდილოვანი მხრიდან. ფთორის გამანადგურებელი აორთქლება, ნახშირბადის ჟანგვით მიღებული საწამლავი, ინერტული გაზების მკვდარი სიმჭიდროვე - ასეთ ატმოსფეროში ვერავითარი მიწიერ წამსაც ვერ გასძლებდა.

პლანეტის წიაღიდან ამოშვერილი იყო მახვილი მწვერვალები, ქედები, ახალი ჭრილობასავით წითელი და უსასრულობასავით შავი ქვის მასების დაკბილული კედლები. გაცოფებული ქარიშხლებით გამოქარული ვულკანური ლავისაგან შექმნილ ზეგანზე ჩანდა ბზარები და თხრილები, რომლებიც სერავდნენ გავარვარებულ ქერქს და სისხლიანი ცეცხლის ძარღვებს ჰგავდნენ.

მაღლა ატყორცნილიყვნენ ფერფლის სქელი ბოლქვები, რომლებიც დამაბრმავებლად ცისფერი იყო განათებულ მხარეზე, ხოლო შავი - ჩრდილოვან მხარეზე. ათასი კილომეტრის სიგრძის ელვები ყველა მიმართულებით სცემდნენ, რაც ადასტურებდა, რომ მკვდარი ატმოსფერო ელექტრონით იყო გაჯერებული.

ვეებერთელა მზის მრისხანე იისფერი აჩრდილები, შავი ცა, ნახევრად დაფარული მარგალიტისებრი ნათების მოციმციმე გვირგვინით, ხოლო დაბლა კი, პლანეტაზე, - კლდეთა ველურ ქაოსში წითელი კონტრასტული ჩრდილები, ცეცხლოვანი ნაკვალევი, ხვეულები და წრეები, მწვანე ელვების შეუწყვეტელი ციალი...

სტერეოტელესკოპებმა გადმოსცეს, ხოლო ელექტრონულმა ფილმებმა ეს ყლევაფერი უგრძნობელი, არაადამიანური სიზუსტით ჩაიწერეს.

მაგრამ ხელსაწყოთა უკან იდგა მოგზაურთა ცოცხალი გრძნობა - გონების პროტესტი განადგურების უაზრო ძალებისა და უმოქმედო მატერიის დახვავების წინააღმდეგ, ამ სამყაროს მტრობის შეგნება გამძვინვარებული კოსმოსური ცეცხლის წინააღმდეგ. სანახაობით ჰიპნოზირებულმა ოთხმა ადამიანმა ერთმანეთს კმაყოფილებით გადახედა, როცა ხმამ აცნობა, რომ „აფრა“ მეოთხე პლანეტისაკენ წავიდა.

ჩანაწერის რამდენიმე ბრუნი და ხომალდის ქიმის ტელესკოპებში უკვე ამოიზარდა ვეგას უკანასკნელი კიდურა პლანეტა, რომელიც ზომით დედამიწას უტოლდებოდა. „აფრა“ მკვეთრად დაეშვა დაბლა. ეტყობოდა მგზავრებს გადაეწყვიტათ რადაც არ უნდა დასჯდომოდათ გამოეკვლიათ უკანასკნელი

პლანეტა, უკანასკნელი იმედი სამყაროს აღმოჩენისა, თუმცა არა მშვენიერი სამყაროსი, მაგრამ თუნდაც საცხოვრებლად ვარგისისა.

ერგ ნოორმა შენიშნა, რომ გონებაში გაიმეორა ეს დამთმობი სიტყვა: „თუნდაც“. ცხადია, ასეთი იყო მათი ფიქრთა მდინარებაც, რომლებიც მართავდნენ „აფრას“ და მძლავრი ტელესკოპებით ათვალიერებდნენ პლანეტის ზედაპირს.

„თუნაც!...“ ამ სიტყვაში ჩამარხული იყო გამოთხოვება ოცნებებთან ვეგას შესანიშნავ სამყაროებზე, ზესკნელის სივრცეთა ფსკერზე მარგალიტის პლანეტის პოვნაზე, რისთვისაც ადამიანები დათანხმდნენ ვარსკვლავმფრენებში ორმოცდაერთი წლის ნებაყოფლობით ტყვეობაზე და სამოც წელზე მეტი ხნით დატოვეს მშობლიური პლანეტა.

მაგრამ სანახაობით გატაცებულმა ერგ ნოორმა მყისვე როდი გაიფიქრა ეს, ნახევარსფეროსებური ეკრანის სიღრმეში იგი აცქერდებოდა უსაზღვროდ შორეული პლანეტის ზედაპირს. მოგზაურთა, იმ დაღუპულ და ამ ცოცხალ მოგზაურთა ჭეშმარიტად საუბედუროდ პლანეტა მზის სისტემაში უახლოესი მეზობლის, ბავშვობიდანვე ცნობილი მარსის მსგავსი აღმოჩნდა. ისეთივე თხელი, გამჭვირვალე გაზის საბურველი და მოშავო-მომწვანო, მუდამ უღრუბლო ზეცა, ცარიელი მატერიკების ისეთივე სწორი ზედაპირი ჩამონგრეულ მთათა გრეხილებით. მხოლოდ მარსზე ღამეული მწველი სიცივე და დღისით ტემპერატურების მკვეთრი ცვლა მეფობდა. იქ წვრილმანი, გიგანტური ტბორების მსგავსი ჭაობები იყო, რომლებიც თითქმის სრულ სიმშრალემდე ორთქლდებოდა. იშვიათად მოდიოდა წვიმა, არსებობდა უმნიშვნელო სიცოცხლე მომაკვდავი მცენარეებისა და უცნაური, უსიცოცხლო, მიწაში ჩაფლული ცხოველებისა.

აქ ცისფერი მზის მოზეიმე ცეცხლი ისე ახურებდა პლანეტას, რომ იგი დედამიწის ყველაზე ცხელი უდაბნოების მხურვალებით სუნთქავდა. უმნიშვნელო რაოდენობის წყლის ორთქლი ჰაერის საფარის ზედა ფენებში ადიოდა, ხოლო ვეებერთელა ზეგანები მხოლოდ თბოდენების ფიფქებით იყო დაჩრდილული, რომლებიც განუწყვეტლივ აფორიაქებდნენ ატმოსფეროს. პლანეტა, ყველა დანარჩენის მსგავსად, სწრაფად მოძრაობდა. ღამეული გაცივება მთის ჯიშებს ქვიშის ზღვაზე აფშვნიდა. ნარინჯისფერი, იისფერი, მწვანე, ცისფერი თუ დამაბრმავებლად თეთრი ქვიშა პლანეტას ვეებერთელა ლაქებით დაღავდა, რაც შორიდან ზღვებად ან არაჩვეულებრივ მცენარეთა ნაკრძალებად გეჩვენებოდათ. დანგრეულ მთათა გრეხილები, მარსის მთებზე უფრო მაღლები, მაგრამ ისეთივე მკვდარი, შავი ან ყავისფერი მბრწყინავი ქერქით იყო

დაფარული. ლურჯი მზე, მისი ძლიერი ულტრაიისფერი გამოსხივებით ამსხვრევდა მინერალებს, აორთქლებდა მსუბუქ ელემენტებს.

ღია ფერის ქვიშის დაბლობები თითქო თვითონვე ცეცხლს ასხივებდა. ერგ ნოორმა გაიხსენა, რომ წინათ, როცა მეცნიერები დედამიწის მოსახლეობის უმრავლესობას კი არა, არამედ რიცხობრივად ადამიანთა უმნიშვნელო ჯგუფს შეადგენდნენ, მწერლებსა

და მხატვრებს შორის გავრცელდა ოცნება სხვა პლანეტათა ადამიანებზე, რომლებიც თითქო მაღალ ტემპერატურასთან არიან შეგუებულები.

ეს პოეტური და ლამაზი იყო, ამაღლებდა ადამიანის ბუნების ძლიერების რწმენას. ადამიანები, რომლებიც ლურჯ მზეთა პლანეტების ცეცხლოვან სუნთქვაში ეგებებიან თავიანთ მიწიერ ძმებს!... ბევრზე, და მათ შორის ერგ ნოორზეც, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სურათმა, რომელიც სამხრეთ საცხოვრებელი სარტყლის აღმოსავლეთის ცენტრის მუზეუმში იყო: ჰორიზონტზე ჩამუქებული ცეცხლოვანი წითელი ქვიშის დაბლობი, ნაცრისფერი მოვარვარე ზეცა და მის ქვეშ - სითბოგაუმტარ სკაფანდრებში გამოწყობილ ადამიანთა უსახური ფიგურები, რომლებიც არნახულად მკვეთრ მოშავო-მოლურჯო ჩრდილებს აფენდნენ. ისინი ძალზე დინამიურ, გაკვირვებების გამომხატველ პოზაში გარინდებულიყვნენ ლითონის რაღაცნაირი შენობის კუთხესთან, რომელიც სითეთრემდე იყო გავარვარებული. იქვე იდგა შიშველი ქალი გაწეწილი ქერა თმებით. ნათელი კანი დამაბრმავებელ შუქში ქვიშაზე მეტად ბრჭყვიალებდა და ნათელი ჩრდილები ამკვეთრებდა მაღალი და მოქნილი ფიგურის თვითეულ ხაზს, ფიგურისა, რომელიც კოსმოსურ ძალებზე გამარჯვებული სიცოცხლის დროშასავით იდგა.

ეს იყო გაბედული, მაგრამ სრულიად არარეალური ოცნება. იგი ეწინააღმდეგებოდა ბიოლოგიური განვითარების კანონებს, რომლებიც ახლა, რკალის ეპოქაში ბევრად უფრო ღრმად იქნა შეცნობილი, ვიდრე იმ ხანებში, როცა სურათი დაიწერა.

ერგ ნოორი შეკრთა, როცა პლანეტის ზედაპირი ეკრანის შესახვედრად გამოექანა. უხილავმა მფრინავმა „აფრა“ ძირს დაუშვა. სულ ახლო გაცურდა ქვიშის კონუსები, შავი კლდეები, რომელიღაც მბრწყინავი მწვანე კრისტალების ნამსხვრევები. ვარსკვლავმფრენი მეთოდურად ახვევდა პლანეტის შემოფრენის სპირალს ერთი პოლუსიდან მეორისაკენ. არ ჩანდა არავითარი ნიშანი წყლისა და თუნდაც ყველაზე პრიმიტული მცენარეული სამყაროსი. ისევ „თუნდაც!...“ ლურჯი ვარსკვლავის ცეცხლოვან შიშმა და მარტოხელობის სევდამ წამოყო თავი. ერგ ნოორი საკუთარი იმედივით გრძნობდა იმათ იმედებს, რომლებიც

ფილმს იღებდნენ, აკვირდებოდნენ პლანეტას, რომ იქნებ გარდასული სიცოცხლის ნიშნები მაინც მოეძებნათ. ყველასათვის, რომლებსაც ცარიელ, მკვდარ, უწყლო და აუტმოსფერო პლანეტებზე უფრენიათ, ცნობილია ნაპრალების შემთხვევით ფორმებში და ცალკეულ უსიცოცხლო კლდეებში, ყოველთვის უსიცოცხლო მთათა ნაშთების მკვდრულ ჩამონაშლებში მოჩვენებითი ნანგრევების, ქალაქებისა და შენობების ნაშთების დაძაბული ძიება!

ეკრანზე სწრაფად გაიქროლა დამწვარმა, მშფოთვარე ქარიშხლებით მოთარეშებულმა, ჩრდილის ყოველგვარ ნიშან-წყალს მოკლებულმა შორეული სამყაროს მიწამ. ერგ ნოორმა იგრძნო ძველი ოცნების მარცხი და ცდილობდა მოესაზრებინა, როგორ უნდა შექმნილიყო არასწორი წარმოდგენა ლურჯი ვარსკვლავის გადამწვარი სამყაროს შესახებ.

- ჩვენი ძმები დედამიწაზე გაწბილებულები დარჩებიან, როცა ამ ამბებს გაიგებენ, - ჩუმად თქვა ბიოლოგმა და უფროსისაკენ მიიწია. - მრავალი ათასწლეულის განმავლობაში მილიონობით ადამიანები დედამიწიდან ვეგას შესცქეროდნენ. ჩრდილოეთის ზაფხულის ღამეებში, ახალგაზრდები, შეყვარებულნი და მეოცნებეები, თვალებს ზეცას აპყრობდნენ. ზაფხულობით ვეგა - ნათელი და ლურჯი, თითქმის ზენიტში დგას, განა შეიძლება არ ესიყვარულო? ჯერ კიდევ ათასეული წლების უკან ადამიანებმა საკმაოდ ბევრი იცოდნენ ვარსკვლავთა შესახებ. მათ არ იცოდნენ, რომ პლანეტები ჩამოყალიბდებოდა თითქმის ყველა ნელა მოძრავი მძლავრი მაგნიტური ველის მქონე ვარსკვლავის გარშემო, როგორც, მაგალითად თანამგზავრი ახლავს თითქმის ყველა პლანეტას. მათ არ იცოდნენ ეს კანონი, მაგრამ ოცნებობდნენ სხვა

სამყაროებზე და უპირველესად ლურჯ მზეზე - ვეგაზე მცხოვრებ თანამოძმეთა შესახებ. მახსოვს რომელიღაც ძველი ენიდან თარგმნილი ლამაზი ლექსები, მიძღვნილი ლურჯი ვარსკვლავის ნახევრადღვთაებრივი ადამიანებისადმი.

- მე ვეგაზე ვოცნებობდი „აფრის“ ცნობის შემდეგ, - უფროსი ეონ ტალღისაკენ შებრუნდა, - ახალი ცხადია, რომ შორეული და მშვენიერი სამყაროებისაკენ ათასწლეულმა მიზიდულობამ მხედველობა დაგვიხშო მეცა და ბევრ ბრძენ და სერიოზულ ადამიანსაც.

- ახლა როგორღა განმარტავთ „აფრის“ ცნობას?

- უბრალოდ. „ვეგას“ ოთხი პლანეტა სავსებით უსიცოცხლოა. არაფერია ჩვენს მიწაზე უფრო მშვენიერი. რა ბედნიერება იქნება დაბრუნება“!

- მართალი ხართ! - შეჰყვირა ბიოლოგმა. - რატომ ადრე ეს თავში არავის მოუვიდა?...
- შეიძლება მოუვიდათ კიდეც, მაგრამ არა ჩვენ, ასტრომფრინავებს, და არც საბჭოს.

მაგრამ ეს ჩვენს სასარგებლოდ ლაპარაკობს - ცხოვრებაში სკეპტიკურობა კი არა, გაბედული ოცნება იმარჯვებს.

ეკრანზე პლანეტის შემოფრენა დასრულდა. მას თან მოჰყვა პლანეტის ზედაპირზე არსებული პირობების ანალიზისათვის გადასროლილი სადგურრობოტის ჩანაწერი. შემდეგ გაისმა მძლავრი აფეთქება - ეს გეოლოგიური ყუმბარა[47] ჩააგდეს. ვარსკვლავმფრენის მინერალური ნაწილაკების გიგანტური ღრუბელი მისწვდა. აღმუვლდნენ ტუმბოები, რომლებიც გვერდითი შემწოვი არხების ფილტრებში მტვერს აგროვებდნენ. გადამწვარი პლანეტის ქვიშისა და მთების რამდენიმე სინჯით აივსო სილიკოლრი სინჯარები, ხოლო ატმოსფეროს ზედა ფენების ჰაერით - კვარცის ბალონები. „აფრა“ გაემართა უკანვე ოცდაათწლიან გზაზე, რომლის გადალახვაც მას არ ეწერა. ამჟამად მის დედამიწელ ამხანაგს მიაქვს ადამიანებთან ყველაფერი ის, რაც ასეთი შრომით, მოთმინებითა და სიმამაცით დააგროვეს დაღუპულმა მოგზაურებმა...

ჩანაწერების გაგრძელება-დაკვირვებათა ექვსი კოჭი - მიწის ასტრონომების მიერ სპეციალურ შესწავლას და ყველაზე მნიშვნელოვანის დიდი რკალისათვის გადაცემას საჭიროებდა.

ფილმის ნახვა „აფრას“ შემდეგი ბედის შესახებ - მძიმე ბრძოლა ავარიასთან და ვარსკვლავთან, განსაკუთრებით უკანასკნელი ტრაგიკული ხმაკოჭაკის ნახვა, - არავინ მოისურვა. საკუთარი განცდებიც საკმაოდ მძლავრი ჰქონდათ. გადაწყვიტეს განხილვა მთელი ეკიპაჟის მორიგ გაღვიძებამდე გადაედოთ. შთაბეჭდილებებით დამძიმებული მორიგეები დასასვენებლად წავიდწამოვიდნენ, უფროსი ცენტრალურ პოსტზე დატოვეს.

ერგ ნოორმა უკვე დამსხვრეულ ოცნებაზე აღარ ფიქრობდა. იგი ცდილობდა შეეფასებინა ცოდნის ის მწარე ნამცეცები, რომელიც კაცობრიობამ ორი ექსპედიციის - მისი და „აფრის“ - ძალის დაძაბვითა და მსხვერპლით მოიპოვა. იქნებ მიღწევები იმედის ასეთი დიდი გაცრუებებითაა მწარე?

ეგრ ნოორმა პირველად გაიფიქრა, რომ მისი მშობლიური მშვენიერი პლანეტა ეს იყო ამომწურავი სიმდიდრე ადამიანთა ნატიფი და ცნობისმოყვარე სულისა, რომელიც თავისუფალია მძიმე საზრუნავისა და ბუნების ძალთა ან პრიმიტული

საზოგადოების საშიშროებისაგან. გარდასული მწუხარებანი, შეცდომები და გაწბილებანი ახლაც,

რკალის ეპოქაშიც დარჩა, მაგრამ ისინი ცოდნის, ხელოვნების, მშენებლობის უმაღლეს შემოქმედებითს არენაზეა გადატანილი, მხოლოდ ცოდნისა და შემოქმედებითი შრომის წყალობით დედამიწა დაზღვეულია შიმშილის, გადასახლებების, გადამდები ავადმყოფობების, მავნე ცხოველების საშინელებათაგან. დაზღვეულია სათბობის ამოწურვისაგან, სასარგებლო ქიმიური ელემენტების ნაკლებობისაგან, ადამიანთა ნაადრევი სიკვდილისა და სისუსტისაგან. ცოდნის ის ნამცეზებიც, რომელსაც „ტანტრა“ მიიტანს დედამიწაზე, გარკვეული წვლილია აზროვნების მორევში, რომელიც ყოველ ათწლეულში ახალ ნაბიჯს დგამს წინ საზოგადოების მოწყობისა და ბუნების შეცნობის გზაზე!

ერგ ნოორმა გააღო „ტანტრის“ საგზაო ჟურნალის სეიფი და ამოიღო ყუთი, რომელშიც შავ პლანეტაზე ნახული სპირალური ვარსკვლავმფრენის ლითონის ნაჭერი იდო. ღია-ცისფერი ნაჭერი მჭიდროდ დაეკრო ხელისგულს. ერგ ნოორმა იცოდა, რომ მშობლიურ პლანეტაზე, მის მეზობლებზე მზისა და მხლებელ ვარსკვლავების სისტემაში ასეთი ლითონი არ იყო. ეს კიდევ ერთი, იქნება ყველაზე მნიშვნელოვანი, ცნობაა, რომელსაც ზირდის დაღუპვის ცნობასთან ერთად მიიტანენ ისინი მიწაზე და მთელ რკალში...

რკინის ვარსკვლავი ძალიან ახლოა დედამიწასთან. სპეციალურად მომზადებული ექსპედიციის მიერ შავი პლანეტის მონახულება ამჟამად, „აფრისა“ და „ტანტრის“ მიერ მოხდენილი ცდების შემდეგ, იმდენად საშიში აღარ იქნება, როგორიც შავი ჯვრები და მედუზები არ არსებობდეს ამ მარადიულ სიბნელეში. სპირალური ვასრკვლავმფრენი მათ უხეიროდ გააღეს. კარგად მოფიქრების დრო რომ ჰქონოდათ, მაშინვე მიხვდებოდნენ, რომ სპირალური მილი ვარსკვლამფრენის ამძრავი სისტემის ნაწილს წარმოადგენდა.

ექსპედიციის უფროსის გონებაში ისევ ამოცურდა უკანასკნელი საბედისწერო დღის შემთხვევები. მოაგონდა ურჩხულის მახლობლად უსასოოდ დაცემულ მის სხეულზე ფარივით განბრჯენილი ნიზა. ცოტა ხანს ჰყვაოდა მისი ახალგაზრდული გრძნობა, რომელშიც დედამიწის ძველი ქალების გმირული თავგანწირვა თანამედროვე ეპოქის აშკარა და ჭკვიანურ მამაცობასთან იყო შეერთებული...

ზურგსუკან ჩუმად აიმართა პურ ხისი, რათა უფროსი მორიგეობაზე გამოეცვალა. ერგ ნოორი ბიბლიოთეკა-ლაბორატორიაში გავიდა, მაგრამ ცენტრალური ხაროს

დერეფანში საძინებელი ოთახებისაკენ კი არ გაემართა, არამედ ჰოსპიტლის კაიუტის მძიმე კარი შეაღო.

მიწის დღის შუქი გაფანტული ციმციმებდა წამლებსა და ინსტრუმენტების სილიკოლურ კარადებზე, ირეკლებოდა რენტგენის ლითონის აპარატურაზე, ხელოვნური სუნთქვისა და სისხლის ხელოვნური მიმოქცევის ხელსაწყოებზე. ექსპედიციის უფროსმა გადასწია ჭერამდე აწვდილი მჭიდრო ფარდა და ნახევრად სიბნელეში შევიდა. მთვარის შუქივით სუსტი სინათლე სილიკოლის ვარდისფერ ბროლში სასიამოვნოდ მოჩანდა. ორი ტირატრონული სტიმულატორი, ჩართული იმ შემთხვევისათვის, თუ მოულოდნელად მოხდებოდა კოლაპსი, ძლივს გასაგონად ტკაცუნობდა, ხელს უწყობდა დამბლადაცემული გულის ფეთქვას. ხუფის შიგნით, მოვარდისფრომოვერცხლისფრო შუქში, უძრავად გაშოტილი ნიზა მშვიდ, ბედნიერ ძილს მისცემოდა. წინაპართა ბევრმა თაობამ ჯანმრთელი, წმინდა და მაძღარი ცხოვრების მეშვეობით უმაღლეს მხატვრულ სრულყოფამდე გამოკვეთა მოქნილი და მძლავრი ხაზები ქალის სხეულისა - დედამიწის მძლავრი სიცოცხლის ყველაზე ლამაზი ქმნილებისა: ადამიანებმა უძველესი ხანიდან იცოდნენ, რომ მათ წილად

ხვდათ წყლით ძალზე მდიდარი პლანეტა. წყალი უზრუნველყოფდა მცენარეულის სიუხვეს, ეს უკანასკნელი კი ქმნიდა თავისუფალი ჟანგბადის უზარმაზარ თადარიგს. შემდეგ მქუხარე ნაკადივით დაიძრა ცხოველთა სიცოცხლე, რომელიც მრავალი მილიონი წელი თანდათანობით სრულყოფას განიცდიდა, სანამ არ გაჩნდა მოაზროვნე არსება - ადამიანი. ურიცხვ სამყაროთა პლანეტარულ სისტემებზე სიცოცხლის განვითარების გიგანტურმა ისტორიულმა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ რაც უფრო გრძელი და ძნელი იყო შერჩევის ბრმა ევოლუციური გზა, მით უფრო მშვენიერი იქმნებოდა უმაღლესი მოაზროვნე არსებების ფორმები, მით უფრო ზუსტად იყო დამუშავებული მათი მიზანშეწონილი შესაბამისობა გარემომცველ პირობებთან და ცხოვრების მოთხოვნილებებთან. სწორედ ეს მიზანშეწონილება არის სილამაზე.

ყველაფერი არსებული სპირალური გზით მოძრაობს და ვითარდება. ერგ ნოორს თვალსაჩინოდ წარმოედგინა საერთო აღმავლობის ამ უდიადესი სპირალის ცხოვრება და ადამიანთა საზოგადოებაში გამოყენება. პირველად მან განსაცვიფრებლად ნათლად გაიგო, რომ რაც უფრო ძნელია ორგანიზმების, როგორც ბიოლოგიური მანქანების ცხოვრებისა და მუშაობის პირობები, რაც უფრო მძიმეა საზოგადოების განვითარების

გზა, მით უფრო ხვეულია აღმავლობის სპირალი, მით უფრო ახლოა ერთმანეთთან მისი „ხვეულები“ - და ამდენად, მით უფრო ნელა მიმდინარეობს

განვითარების პროცესი და უფრო სტანდარტული, ერთმანეთთან უფრო მსგავსია წარმოშობილი ფორმები.

არ არის სწორი, რომ ასე მიისწრაფოდა ლურჯი მზეების საოცარი პლანეტებისაკენ და ნიზაც არასწორად ასწავლიდა! ახალი სამყაროებისაკენ გაფრენის მიზანი დაუსახლებელი შემთხვევით თავისთავად სრულყოფილი პლანეტების აღმოჩენა კი არ არის, არამედ კაცობრიობის გააზრებული, ნაბიჯნაბიჯ შეჭრა გალაქტიკის ტოტში, ცხოვრების სიბრძნისა და სილამაზის ძლევამოსილი მსვლელობა, ისეთი სილამაზისა, როგორიც ნიზაა.

ერგ ნოორს მოულოდნელად მძიმე სევდა შემოაწვა და ნიზას სილიკოლური სარკოფაგის წინ მუხლებზე დაეშვა. ქალიშვილი შეუმჩნევლად სუნთქავდა, მჭიდროდ დახუჭულ ქუთუთოებს წამწამების ჩრდილის იისფერი ზოლი ეფინა, ოდნავ გაღებულ ტუჩებში ქათქათა კბილები მოუჩანდა. მარცხენა მხარეზე ნიდაყვის მახლობლად

ხელზე და ყელის ძირას მოუჩანდა მკრთალი მოლურჯო ლაქები - ავბედითი დენის დარტყმის ნიშნები:

- ხედავ რაიმეს, გახსენდება რაიმე ძილში? - გატანჯული ხმით ეკითხებოდა მძიმე სევდამოწოლილი ერგ ნოორი, გრძნობდა როგორ სუსტდებოდა ნებისყოფა, ეხუთებოდა სულისთქმა და ეგუდებოდა ყელი.

ექსპედიციის უფროსმა ისე მოკუმშა ერთმანეთში გადახლართული ხელის თითები, რომ გაულურჯდა. ცდილობდა გადაეცა ნიზასათვის თავისი აზრები, მხურვალე მოწოდება სიცოცხლისა და ბედნიერებისაკენ. მაგრამ წითელკულულებიანი ქალიშვილი უძრავად იწვა, როგორც ვარდისფერი მარმარილოს ქანდაკება, როგორც უზუსტესი სრულყოფით შექმნილი ცოცხალი მოდელი.

ექიმი ლუმა ლასვი ჰოსპიტალში წყნარად შევიდა და ვიღაცის იქ ყოფნა იგრძნო. მან ფრთხილად გადასწია ფარდა და დაინახა მუხლმოყრილი უფროსი იმ მილიონი მამაკაცების ძეგლივით უძრავი, რომელთაც თავიანთი შეყვარებულები დაუტირებიათ. პირველად არ ხვდებოდა აქ ერგ ნოორს და მის სულში მწვავე სიბრალულმა იფეთქა.

ერგ ნოორი შეჭმუხნილი წამოდგა. ლუმი სწრაფად მივიდა მასთან და აღელვებულმა წაიჩურჩულა:

- თქვენთან მოლაპარაკება მინდა.

ერგ ნოორმა თავი დაუქნია და თვალების ჭუტვით ჰოსპიტლის წინა განყოფილებაში გავიდა. ლუმამ სკამი შესთავაზა. იგი არ დაჯდა, ფეხზე მდგომი მიეყრდნო სოკოსმაგვარი მაშუქის სადგომს. ლუმა ლასვი მის წინაშე მთელი თავისი პატარა სიმაღლით გაიჭიმა, ცდილობდა მომავალი საუბრისათვის უფრო მაღალი და მნიშვნელოვანი გამოჩენილიყო. უფროსის შეხედვამ მომზადების საშუალება აღარ მისცა.

- თქვენ იცით, - გაუბედავად დაიწყო მან, - რომ თანამედროვე ნევროლოგია შეიჭრა ფსიქიკის ცნობიერ და ქვეცნობიერ დარგებში, ემოციის აღმოცენების პროცესში. ქვეცნობიერება ემორჩილება დამამუხრუჭებელი წამლების ზემოქმედებას ტვინის იმ ძველი ფონების მეშვეობით, რომლებიც ახდენენ ორგანიზმის, მათ შორის ნერვული სისტემის და ნაწილობრივ უმაღლესი ნერვული მოქმედების ქიმიურ რეგულაციას.

ერგ ნოორმა წარბები ასწია, ლუმა ლასვმა იგრძნო, რომ ზედმეტად დაწვრილებით და გრძლად ლაპარაკობდა.

- მე მინდა ვთქვა, რომ მედიცინა ფლობს შესაძლებლობას იმოქმედოს ტვინის იმ ცენტრებზე, რომლებიც მძლავრ განცდებს ხელმძღვანელობენ. მე შემეძლო, რომ...

ერგ ნოორმა გაიგო და ეს გამოეხატა თვალებშიც და უცაბედ ღიმილშიც.

- თქვენ წინადადებას მაძლევთ ვიმოქმედო ჩემს სიყვარულზე? - სწრაფად ჰკითხა მან, - და ამით გინდა მიხსნა მწუხარებისგან? ექიმმა თავი დახარა.

ერგ ნოორმა მადლობით გაუწოდა ხელი და უარყოფითად გააქნია თავი.

- მე ჩემს გრძნობათა სიმდიდრეს, რაც უნდა დიდ მწუხარებას არ მაყენებდეს, მაინც არ გავცემ. მწუხარებას, თუ იგი ადამიანის ძალებს არ აღემატება. შეცნობამდე

მივყავართ, შეცნობას - სიყვარულამდე. ისე იკვრება წრე. თქვენ კეთილი ხართ, ლუმა, მაგრამ საჭირო არ არის!

და ჩვეულებრივი სისწრაფით უფროსი კარებს მიეფარა...

აჩქარებით, თითქო ავარია განუცდიათო, ელექტროინჟინრებმა და მექანიკოსებმა ცამეტი წლის შემდეგ ცენტრალურ პოსტში და ბიბლიოთეკაში ისევ დადგეს დედამიწაზე გადამცემი ტვფ ეკრანები. ვარკსვლამფრენი შევიდა ისეთ ზონაში, სადაც შესაძლებელი იყო ატმოსფეროს მიერ გაფანტული დედამიწის მსოფლიო სელის რადიოტალღების მიღება.

მშობლიური პლანეტის ხმები, ბგერები, ფორმები და ფერები ამხნევებდა მოგზაურებს და ამავე დროს აღვივებდა მათ მოუთმენლობას - კოსმოსური გზების ხანგრძლივობა სულ უფრო აუტანელი ხდებოდა.

- ვარსკვლამფრენი შორეული კოსმოსური რეისების ჩვეულებრივ ტალღაზე ეძახდა ხელოვნურ თანამგზავრს 57-ს, ყოველ საათში მოსალოდნელი იყო მიწისა და კოსმოსის დამაკავშირებელი ამ მძლავრი გადამცემი სადგურის გამოხმაურება.

ბოლოს ვარსკვლამფრენის ძახილი მისწვდა დედამიწას.

ვასრკვლამფრენის მთელი ეკიპაჟი ფხიზლად იყო, მიმღებებს არ ცილდებოდა. ისინი უბრუნდებოდნენ ცხოვრებას, დედამიწის ცამეტი და ცხრა დამოკიდებული წლის შემდეგ, რომლის განმავლობაშიც სამშობლოსთან კავშირი არ ჰქონდათ. ადამიანები გაუმაძღარი სიხარბით ხვდებოდნენ ცნობებს დედამიწიდან, სამყაროს ქსელში განიხილავდნენ ახალ მნიშვნელოვან საკითხებს, რაც, ჩვეულებრივ ყველა მსურველს შეეძლო.

მაგალითად, შემთხვევით დაიჭირეს ნიადაგმცოდნის ხებ ურის წინადადება, რაც ექვსკვირიანი დისკუსიისა და რთული გამოთვლების საბაბი გახდა.

„ხებ ურის წინადადება განიხილეთ!“ - გუგუნებდა დედამიწის ხმა. „ყველა, ვინც ფიქრობდა და მუშაობდა ამ მიმართულებით, ყველამ, ვისაც მსგავსი აზრები ან უარმყოფელი დასკვნები გააჩნია, - გამოთქვას!“ მოგზაურთათვის სასიხარულოდ აჟღერდა ფართო განხილვის ეს ჩვეულებრივი ფორმულა. ხებ ურსმა ვარსკვლამფრენის საბჭოში შეიტანა წინადადება. ლურჯი და მწვანე ვარკსვლავების ხელმისაწვდომი

პლანეტების სისტემატური შესწავლის შესახებ. მისი აზრით ისინი სინათლის მძლავრი გამოსხივების მქონე განსაკუთრებული სამყაროები არიან, რომელთაც შეუძლიათ ქიმიური სტიმულირება მოახდინონ მიწის პირობებში ინერტულ მინერალურ შემადგენლობებზე ენტროპიასთან საბრძოლველად. გაზებზე უფრო მძიმე მინერალების განსაკუთრებული ფორმები აქტიურები იქნებიან მაღალი ტემპერატურისა და უმაღლესი სპექტრული კლასის ვარკსვლავების გაძლიერებული რადიაციის დროს. ხებ ურს კანონზომიერად მიაჩნდა მარცხი სირიუმზე მოწყობილი ექსპედიციისა, რომელმაც იქ სიცოცხლის ვერავითარი კვალი ვერ აღმოაჩინა. კანონზომიერად მიაჩნდა, რადგანაც ეს სწრაფად მოძრავი ვარსკვლავი ორმაგი იყო და მძლავრი მაგნიტური ველი არ შეიძლებოდა კოსმოსის პლანეტარული სისტემა შეექმნა, მაგრამ წინადადების არსმა „ტანტრის“ ეკიპაჟის მხვრივ აქტიური წინააღმდეგობა გამოიწვია.

ექსპედიციის ასტრონომებმა ერგ ნოორის მეთაურობით შეადგინეს ცნობა, რომელიც გაგზავნილ იქნა, როგორც აზრი პირველი ადამიანებისა, რომლებმაც ნახეს „აფრის“ მიერ ვეგას შესახებ გადაღებული ფილმი.

და ადამიანებმა დედამიწაზე აღტაცებით მოუსმინეს მოახლოვებული ვარსკვლავმფრენის ხმას.

„ტანტრამ“ წინააღმდეგობა გაუწია ხებ ურის სინადადების მიხედვით ექსპედიციის გაგზავნას. ცისფერი ვარსკვლავები თავიანთი პლანეტების ზედაპირის თვითეულ ერთეულზე მართლაც ასხივებდნენ ენერგიის ისეთ მასას, რომ იგი საკმარისია მძიმე შენაერთების სიცოცხლისათვის. მაგრამ ყოველი ცოცხალი ორგანიზმი - ეს ენერგიისათვის ფილტრი და ჯებირი არის, რომელიც სტრუქტურის შექმნის გზით, უბრალო მინერალური და გაზობრივი მოლეკულების უდიდესი გართულებების გზით ეწინააღმდეგება თერმოდინამიკის მეორე კანონს ან ენტროპიას. ასეთი გართულებები შეიძლება წარმოიქმნას მხოლოდ ვეებერთელა ხანგრძლივობის ისტორიული განვითარების პროცესში - ცხადია, ფიზიკური პირობების ხანგრძლივ სამყაროებში; სწორედ პირობების სიმყარე არ არის მაღალტემპერატურიან ვარსკვლავებზე, სადაც რთული შენაერთები სწრაფად იმსხვრევა უძლიერეს გამოსხივებათა ქროლვასა და ქარიშხლებში. იქ არაფერი ხანგრძლივად არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს, რადგანაც მინერალები განსაკუთრებით მყარ კრისტალურ აგებულებას კუბური ატომების ღობისაგან იღებენ.

„ტანტრას“ აზრით ხებ ური იმეორებდა ძველი ასტრონომების ცალმხრივ მსჯელობას, რომელთაც არ ესმოდათ პლანეტების განვითარების დინამიკა. თვითეული პლანეტა კარგავს მსუბუქ ნივთიერებებს, რომელიც სივრცეში ვრცელდება და იფანტება. მსუბუქი ელემენტების განსაკუთრებით სწრაფი კარგვა მიმდენარეობს ლურჯი მზეების მხვრივ მძლავრი გახურებითა და სხივური ზემოქმედებით.

„ტანტრას“ მოჰყავდა მაგალითები და ამთავრებდა მტკიცებით, რომ „დამძიმების“ პროცესი ცისფერი ვარსკვლავების პლანეტებში ცოცხალი ფორმების ჩამოყალიბების საშუალებას არ იძლევა.

57-მა თანამგზავრმა ვარსკვლავმფრენის მეცნიერთა ეს საწინაღმდეგო მოსაზრება პირდაპირ საბჭოს ობსერვატორიაში გაგზავნა.

ბოლოს და ბოლოს დადგა წუთი, რომელსაც ასეთი მოუთმენლობით ელოდნენ ინგრიდ დიტრა და კეი ბერი, ისევე როგორც ექსპედიციის ყველა წევრი უკლებრივ. „ტანტრამ“ იწყო ფრენის სუბსინათლური სიჩქარის შენელება და

გაიარა მზის სისტემის ყინულოვანი სარტყელი, მიუახლოვდა ვასრკვლავმფრენებისათვის ტრიტონზე

გამართულ სადგურს. ასეთი სიჩქარე ამიერიდან საჭირო აღარ იყო, - აქედან, ნეპტუნის თანამგზავრიდან, საათში ცხრაასი მილიონი კილომეტრის სისწრაფით მფრინავი „ტანტრა“ დედამიწის ხუთ საათზე ნაკლები დროის განმავლობაში მიაღწევდა. მაგრამ ვარსკვლამფრენის გაქანება იმდენ დროს მოითხოვდა, რომ ხომალდი, რომელიც ფრენას ტრიტონიდან დაიწყებდა, უკან მოიტოვებდა მზეს და ვეებერთელა მანძილით დასცილდებოდა მას.

ძვირფასი ანამეზონი რომ არ დაეხარჯათ და ხომალდი უხეში მოწყობილობებით არ დაემძიმებინათ, სისტემის შიგნით იონური პლანეტათმფრენებით მიფრინავდნენ. მათი სიჩქარე არ აღემატებოდა საათში ათას კილომეტრს შიდა პლანეტებისათვის და ორნახევარ მილიონს ყველაზე შორეული გარე პლანეტებისათვის. ჩვეულებრივ ნეპტუნიდან დედამიწამდე გზის გავლის ორნახევარი-სამი თვე სჭირდებოდა.

ტრიტონი ძალიან დიდი თანამგზავრი იყო, რომელიც სიდიდით ცოტათი ჩამორჩებოდა იუპიტერის გიგანტურ მესამე და მეოთხე თანამგზავრებს - ჰანიმედსა და კალისტოს და პლანეტა მერკურს. ამიტომაც მას აზოტისა და ნახშირბადისაგან შემდგარი თხელი ატმოსფერო ჰქონდა.

ერგ ნოორმა ვარსკვლამფრენი მანიშნებელ ადგილზე - ტრიტონის პოლუსზე დასვა. სადგურის შენობის ფართო გუმბათებისაგან მოშორებით. ზეგნის შვერილზე, მიწისქვეშა ნაგებობების ამოვსებული ხრამის მახლობლად ბრჭყვიალებდა საკარანტინო სანატორიუმის მინის შენობა. აქ, ყველა სხვა ადამიანებისაგან სრულიად იზოლირებულ მოგზაურებს ხუთკვირიანი კარანტინი უნდა გაეარათ. ამ ხნის განმავლობაში მცოდნე ექიმები გულდასმით ამოწმებდნენ მათ სხეულებს, რომლებშიც შეიძლება რაიმე ახალმა ინფექციამ დაიბუდა. საშიშროება ძალზე დიდი იყო და მისი გვერდის ავლა არ შეიძლებოდა. ამიტომ ყველანი, რომლებიც დაეშვებოდნენ სხვა, თუნდაც დაუსახლებელ პლანეტაზე, აუცილებლად გაივლიდნენ ამ პროცედურას, რა ხანგრძლივიც არ უნდა ყოფილიყო ვარკსვლამფრენში მათი ყოფნა. თვით ხომალდს შიგნიდან იკვლევდნენ სანატორიუმის ექიმები, სანამ სადგური დედამიწაზე გაფრენის უფლებას მისცემდა. კაცობრიობის მიერ დიდი ხნის წინათ ათვისებულ პლანეტებზე, როგორებიცაა ვენერა, მარსი და ზოგიერთი ასტეროიდი, კარანტინი ტარდებოდა ადგილზევე, გამოფრენის წინ.

სანატორიუმში ყოფნა იოლი ასატანი იყო, ვიდრე ვარსკვლავმფრენზე. აქ იყო სამედიცინო ლაბორატორიები, საკონცერტო დარბაზები, ელექტრონის, მუსიკის, წყლის და ტალღური რხევების კომბინირებული აბაზანები, მთებზე და სანატორიუმის მახლობელ ადგილებში ყოველდღიური სეირნობანი მსუბუქი სკაფანდრებით. და დასასრულ კავშირი მშობლიურ პლანეტასთან, არა ყოველთვის რეგულარული, მაგრამ სულ ხუთი საათი იყო საჭირო, რათა ცნობას აქედან დედამიწამდე მიეღწია!

ნიზას სილიკოლური სარკოფაგი ფრთხილად გადაიტანეს სანატორიუმში. ერგ ნოორმა და ეონ ტალმა უკანასკნელებმა დატოვეს „ტანტრა“. ისინი მსუბუქად დააბიჯებდნენ, მიუხედავად დამამძიმებლებისა, რომლებიც ჩაიცვეს, რათა იგი დაეცვათ მოულოდნელი ნახტომებისაგან მიზიდულობის მცირე ძალის მქონე ამ პატარა პლანეტაზე.

ჩააქრეს დასაჯდომი მინდვრის ირგვლივ ანთებული შუქურები. ტრიტონი ნეპტუნის მზით განათებულ მხარეზე გადადიოდა. თუმცა ნეპტუნის მიერ არეკლილი რუხი შუქი ბუნდოვანი იყო, მაგრამ ვეებერთელა პლანეტის სარკე, ტრიტონისაგან სულ სამას ორმოცდაათი ათასი კილომეტრით დაცილებული, ფანტავდა ბურუსს, ქმნიდა

თანამგზავრზე ნათელ ბინდ-ბუნდს, რომელიც დედამიწის მაღალი განედების საგაზაფხულო ბინდ-ბუნდს ჰგავდა. ტრიტონმა ნეპტუნს გარშემო შემოუფრინა პლანეტისმოძრაობის საპირისპიროდ აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, რაც თითქმის დედამიწის ექვსი დღე-ღამე გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში ნეპტუნი ღერძის გარშემო ოთხჯერ ასწრებდა შემობრუნებას და ახლაც თანამგზავრის ჩრდილი შესამჩნევად გარბოდა დაბინდულ ბადროზე.

უფროსმა და ბიოლოგმა თითქმის ერთდროულად დაინახეს პლატოს განაპირას მდგომი პატარა ხომალდი. ეს არ იყო გაბერილი უკანა ნახევრითა და წონასწორობის მაღალი სავარცხლებით აღჭურვილი ვარსკვლამფრენი. მახვილი ცხვირისა და ვიწრო კორპუსის მიხედვით თუ ვიმსჯელებდით, ხომალდი პლანეტათმფრენი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამ ხომალდების ნაცნობი კონტურებისაგან განსხვავდებოდა იმით, რომ ქიმზე სქელი რკალი ჰქონდა, ხოლო მაღლა - თითისტარისმაგვარი გრძელი მინაშენი.

- აქ, კარანტინზე სხვა ხომალდიცაა? - ნახევრად შეკითხვით თქვა ეონმა. - განა საბჭომ შეცვალა თავისი ჩვეულება?..

- რომ არ გაგზავნოს ვარსკვლავეთის ახალი ექსპედიცია ძველის დაბრუნებამდე? - გამოეხმაურა ერგ ნოორი. - მართლაც, ჩვენ ვადა დავიცავით, მაგრამ ცნობამ, რომელიც ზირდიდან უნდა გამოგვეგზავნა, ორი წლით დაიგვიანა.

- შეიძლება ეს ნეპტუნის ექსპედიცია იყოს? - მოიფიქრა ბიოლოგმა.

მათ გაიარეს ორკილომეტრიანი გზა სანატორიუმამდე და ავიდნენ წითელი ბაზალტისაგან აგებულ ფართო ტერასზე. შავ ზეცაზე ყველა ვარსკვლავზე უკეთ მზის პაწაწკინტელა ბადრო კიაფობდა, რომელიც კარგად ჩანდა აქედან, უძრავი თანამგზავრის პოლუსიდან. მწვავე ასსამოცდაათ გრადუსიანი ყინვა თბოსკაფანდრში ისე იგრძნობოდა, როგორც ჩვეულებრივი პოლარული ზამთრის სიცივე. გაყინული ამონიუმის ან ნახშირმჟავას ფიფქებს თოვლის ნაფლეთები ნელ-ნელა ცვიოდა უძრავ ატმოსფეროში და მთელ არე-მარეს თოვლიანი ზამთრის სიმყუდროვეს აძლევდა.

ერგ ნოორი და ეონ ტალი ჰიპნოზირბულებივით შესქეროდნენ ფიფქების ცვენას, რაც მათ ზომიერ სარტყელებში მცხოვრებ შორეულ წინაპრებს აგონებმა, რომელთათვისაც თოვლის გამოჩენა მიწათმოქმედის შრომის დასასრულს ნიშნავდა. ეს არაჩვეულებრივი თოვლიც მათი შრომისა და მოგზაურობის დასასრულის აღმნიშვნელი იყო. ბიოლოგი თავის ქვეცნობიერ გრძნობებს პასუხობდა და უფროსს ხელი გაუწოდა.

- დასრულდა ჩვენი ფათერაკები. თქვენი წყალობით უვნებელნი დავრჩით.

ერგ ნოორმა მკვეთრი უარმყოფელი ჟესტით უპასუხა.

- განა ყველანი უვნებელნი ვართ? ან მე ვიღასი წყალობით ვარ უვნებელი? ეონ ტალი არ დაბნეულა.

- მჯერა - ნიზა გადარჩება! აქაურ ექიმებს ახლავე უნდათ მკურნალობის დაწყება, მიღებულია საერთო დავლათა ლაბორატორიის ხელმძღვანელის თვით გრიმ შარის ინსტრუქცია.

- ცნობიალია რა დავაადებაა?

- ჯერ არა. მაგრამ ნათელია, რომ ნიზა დაზიანებულია დენის ისეთი სახეობით, რომელიც ცვლის ავტონომიური სისტემის ნერვული კვანძების ქიმიურ შემადგენლობას. იმის გაგება, თუ როგორ უნდა მოვსპოთ მისი არაჩვეულებრივად ხანგრძლივი მოქმედება, ქალიშვილის განკურნებას ნიშნავს. ხომ აღმოვაჩინეთ მკვეთრი ფსიქიური დამბლის მექანიზმი, რომელიც მრავალი ასწლეულის განმავლობაში განუკურნებლად ითვლებოდა. ჩვენც რაღაც ამის მსგავსი გვჭირს, მაგრამ გარეგანი აღზევებით არის გამოწვეული. როცა ჩაატარებენ ცდებს ჩემს ტყვეებზე, - სულ ერთია ცოცხლები არიან ისინი თუ არა, - მაშინ ჩემი ხელიც ხელახლა მომემსახურება!

ექსპედიციის უფროსს სირცხვილის გრძნობა მოერია და შეიჭმუხნა. თავისმა მწუხარებამ დაავიწყა თუ რა ბევრი რამ გააკეთა მისთვის ბიოლოგმა. უხერხულია მოზრდილი ადამიანისათვის! მან ხელი ჩამოართვა ბიოლოგს და ორივე მეცნიერმა ძველებური მამაკაცური ჟესტით ორმხრივი სიმპათია გამოხატა.

- თქვენ ფიქრობთ, რომ მომაკვდინებელი ორგანოები შავ მედუზებსა და იმ ჯვრისმაგვარ სისაძაგლეს ერთნაირი ჰქონდათ? - ჰკითხა ერგ ნოორმა.

- არ მეეჭვება. ამის მნახველი ჩემია ხელი... - ბიოლოგმა შემთხვევითი კალამბური ვერ შეამჩნია. - ელექტრული ენერგიის დაგროვებისა და ცვალებადობაში გამოიხატა ელექტრულობით მდიდარი პლანეტის მცხოვრებლების - შავი არსებების საერთო სიცოცხლისუნარიანი შემგუებლობა. ისინი აშკარად მტაცებლები არიან, მაგრამ იმათ მსხვერპლს ჯერჯერობით არ ვიცნობთ.

- მაგრამ გაიხსენეთ რა დაემართა ყველა ჩვენგანს, როცა ნიზა...

- ეს სხვა საქმეა. მე დიდხანს ვფიქრობდი ამაზე. საშინელი ჯვრის გამოჩენისთანავე გაისმა უზარმაზარი სიძლიერის ინფრაბგერა, რომელმაც ჩვენი შეგრძნება დაიმორჩილა. ამ შავ სამყაროში ხმებიც შავია, სმენისათვის მიუწვდომელი. დაჯაბნის რა შეგრძნებას ინფრაბგერით, უცნობი არსება შემდეგ გიპნოზით მოქმედებს. ეს გიპნოზი უფრო მძლავრია, ვიდრე ამჟამად გადაშენებულ გიგანტურ გველებს, მაგალითად ანაკონდებს ჰქონდათ. აი, ამან კინაღამ დაგვღუპა ყველანი, ნიზა რომ არ ყოფილიყო...

ექსპედიციის უფროსმა გახედა შორეულ მზეს, რომელიც ახლა დედამიწასაც

ანათებდა. მზე - ადამიანის მუდმივი იმედი, ჯერ კიდევ წინაისტორიულ გამყინვარების ხანის დაუნდობელ ბუნებაში. მზე - გონების ნათელი ძალის განხორციელება, სიბნელისა და ღამის საშინელებათა გამფანტველი. და იმედის მხიარული ნაპერწკალი იქცა ერგ ნოორის თანამგზავრად მოგზაურობის დარჩენილ ნაწილში...

ტრიტონის სადგურის გამგე სანატორიუმში ერგ ნოორთან მივიდა. მიწა ეძახოდა ექსპედიციის უფროსს, ხოლო კარანტინის აკრძალულ სადგომებში გამგის გამოჩენა იზოლაციის დასრულებას, „ტანტრის“ ოცდაათწლიანი მგზავრობის დამთავრების შესაძლებლობას ნიშნავდა. ექსპედიციის უფროსი მალე დაბრუნდა ჩვეულებრივზე ბევრად უფრო გულისყურმოკრეფილი.

- დღესვე გავფრინდებით. მთხოვეს თან წავიყვანო ექვსი კაცი პლანეტათმფრენ „ამატიდან“, რომელსაც აქ სტოვებენ პლუტონზე ახალი წიაღისეული

სიმდიდრეების ასათვისებლად. ჩვენ წავიყვანთ ექსპედიციას და მის მიერ პლუტონზე შეკრებილ მასალებსაც წავიღებთ.

ამ ექვსეულმა გადააკეთა ჩვეულებრივი პლანეტათმფრენი და უსაზღვრო სიმამაცე ჩაიდინა. მათ ჩაყვინთეს ქვესკნელის ფსკერზე, პლუტონის სქელ ნეონურ-მეთანურ ატმოსფეროში. მიფრინავდნენ ამონიუმის თოვლის ქარიშხალში, ყოველ წამში მოსალოდნელი იყო, რომ დაიმსხვრეოდნენ სიბნელეში წყლის ყინულის ფოლადივით მკვრივ კოლოსალურ ნემსებზე. მათ მოახერხეს ისეთი ოლქის მოძებნა, სადაც შიშველი მთებია აღმართული. პლუტონის ამოცანა ბოლოს და ბოლოს გადაწყვეტილია - ეს პლანეტა ჩვენს მზის სისტემას არ ეკუთვნის. იგი მზის სისტემამ მიიტაცა მზის მიერ გალაქტიკის გადავლის დროს. აი რატომაა პლუტონის სიმკვრივე ბევრად მეტი ყველა შორეულ პლანეტებთან შედარებით. მკვლევარებმა აღმოაჩინეს ყველაზე შორეული სამყაროს საოცარი მინერალები. მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რომ ერთ-ერთ ქედზე აღმოაჩინეს თითქმის მთლიანად დანგრეული შენობის კვალი, რომელიც რომელიღაც წარმოუდგენელი სიძველის ცივილიზაციის ნიშანი იყო. მკვლევარების მიერ მიღებულ ცნობებს, ცხადია, შემოწმება ესაჭიროება. ჯერ კიდევ დასაბუთებას მოითხოვს, რომ თვალწინაა შესანიშნავი გმირობა. მე ვამაყობ, რომ ჩვენი ვარსკვლავმფრენი ჩაიყვანს გმირებს დედამიწაზე და მოუთმენლობის ცეცხლი მედება, ისე მსურს მათი ნაამბობის მოსმენა. კარანტინი მათთან სამი დღის უკან დასრულდა... - გრძელი სიტყვით დაქანცული ერგ ნოორი ჩაჩუმდა.

- მაგრამ აქ სერიოზული წინააღმდეგობაა! - წამოიყვირა პურ ხისმა.

- წინააღმდეგობა - ჭეშმარიტების დედაა! - მშვიდად უპასუხა ასტრონომს ერგ ნოორმა ძველი ანდაზით. - დროა „ტანტრა“ მოვამზადოთ!

გამოცდილი ვარსკვლამფრენი ადვილად მოწყდა ტრიტონს და გაქანდა ეკლიპტიკის სიბრტყის პერპენდიკულარულ გიგანტურ რკალზე. პირდაპირი გზა დედამიწისაკენ შეუძლებელი იყო. ყოველი ხომალდი დაიღუპებოდა მეცნიერებისა და ასტეროიდების ფართო სარტყელში, რომელიც შექმნილი იყო დამსხვრეული პლანეტის - ფაეტონის ნამტვრევებისაგან. იგი ოდესღაც არსებობდა მარსსა და იუპიტერს შორის და მზის გიგანტური სისტემის მიზიდულების ძალით დაიმსხვრა.

ერგ ნოორი სიჩქარეს იღებდა. იგი არ ფიქრობდა გმირები დედამიწამდე დაწესებული სამოცდათორმეტი დღის განმავლობაში ეტარებინა, არამედ გადაწყვიტა ესარგებლა ვარსკვლამფრენის კოლოსალური სიძლიერით და

ანამეზონის მინიმალური რაოდენობის დახარჯვით ორმოცდაათ საათში ჩასულიყო მიწამდე.

გადმოცემა დედამიწიდან შემოიჭრა სივრცეში ვარსკვლავმფრენისაკენ - პლანეტა ესალმებოდა რკინის ვარსკვლავის სიბნელესა და ყინულოვანი პლუტონის სიბნელეზე გამარჯვებას. კომპოზიტორები ასრულებდნენ „ტანტრის“ და „ამატას“ საპატივცემულოდ შეთხზულ რომანებსა და სიმფონიებს.

კოსმოსი საზეიმო მელოდიებით ჰქუხდა. მარსის, ვენერასა და ასტეროიდების სადგურები იძახებდნენ ხომალდ, უერთებდნენ თავიანთ აკორდებს გმირთა საპატივცემულო საერთო გუნდებს.

- „ტანტრა“, „ტანტრა“, - გაისმა დაბოლოს ხმა საბჭოს პოსტიდან, - დაფრინდით ელ ხომრუზე.

ცენტრალური კოსმოსადგური ჩრდილოეთ აფრიკის ყოფილ უდაბნოში მდებარეობდა და ვარსკვლავმფრენი გაიჭრა იქითკენ მზის შუქით სავსე დედამიწის ატმოსფეროში.

თავი **VII. 4,710** მიუ ფერადი ტონალობის სიმფონია ფა-მინორი

გამჭვირვალე პლასტმასის ფირფიტები სამხრეთისაკენ, ზღვისაკენ მიმართული ფართო ვერანდის კედლებად იყო გამოყენებული. ჭერიდან დაშვებული მკრთალი ბუნდოვანი შუქი კი არ ეჯიბრებოდა ნათელ მთვარეს, არამედ ავსებდა მას, აფერმკრთალებდა ჩრდილთა უხეშ სიშავეს. ვერანდაზე საზღვაო ექსპედიციის თითქმის მთელი შემადგენლობა შეიკრიბა, მხოლოდ ყველაზე ახალგაზრდა თანამშრომლებმა გააჩაღეს მთვარით განათებულ ზღვაზე თამაში. მოვიდა მხატვარი კარტ სანი თავისი შესანიშნავი მოდელითურთ. ექსპედიციის უფროსი ფრიტ დონი არხევდა გრძელ ოქროსფერ თმებს და მიიკოს მიერ ნაპოვნი ცხენის გამოკვლევის ამბავს ჰყვებოდა. ამწე წონის გამოანგარიშებისათვის საჭირო იყო ქანდაკების მასალის განსაზღვრა. ამან კი მოულოდნელი შედეგები მოგვცა. რაღაც შენადნობის ფენის ქვეშ სუფთა ოქრო აღმოჩნდა. თუ ვინიცობაა ცხენი ჩამოსხმული იყო, მაშინ მთელი ქანდაკება ოთხასი ტონა იქნებოდა. ასეთი საოცრების ამოსაღებას განსაკუთრებული მოწყობილობის მქონე დიდი გემები გამოიძახეს.

შეკითხვაზე, როგორ აისახება ძვირფასი ლითონის უაზრო გამოყენება, ექსპედიციის ერთ-ერთმა ძველმა თანამშრომელმა მოიგონა ისტორიულ

არქივებში ამოკითხული ლეგენდა მთელი ქვეყნის ოქროს მარაგის გაქრობის შესახებ. მაშინ ოქროს შრომის ღირებულების ექვივალენტად იყენებდნენ. დამნაშავე მმართველები, რომელთა ბრალიც იყო ხალხის გაღატაკება და ტირანიის შექმნა, გაქრნენ, გაიქცნენ სხვა ქვეყანაში, - მაშინ სხვადასხვა ხალხებს ერთმანეთთან ურთიერთობის შესაბრკოლებლად ჰქონდათ ჯებირები, რომლებსაც საზღვრებს უწოდებდნენ. გაქცევამდე შეაგროვეს ოქროს მთელი მარაგი, ჩამოასხეს ქანდაკება და სახელმწიფოს მთავარი ქალაქის ყველაზე ხალხმრავალ მოედანზე დადგეს. ვერავინ შეძლო ოქროს მონახვა. ისტორიკოსებმა გამოთქვეს აზრი, ალბათ მაშინ ვერავინ მიხვდებოდა რა ლითონი იფარებოდა იაფფასიანი შენადნობის ქვეშო.

ნაამბობმა გამოცოცხლება გამოიწვია: ოქროს კოლოსალური რაოდენობის პოვნა კაცობრიობისათვის დიდებული საჩუქარი იყო. თუმცა მძიმე ყვითელი ლითონი უკვე დიდი ხანია ფასეულობის სიმბოლოს აღარ წარმოადგენდა. მაგრამ იგი ძალზე საჭირო იყო ელექტრონული ხელსაწყოების, სამედიცინო პრეპარატების და განსაკუთრებით ანამეზონის დასამზადებლად.

ვერანდის გარე მხარის კუთხეში მჭიდრო წრე შეეკრათ ვედა კონგს, დარ ვეტერს, მხატვარს, ჩარა ნანდს და ევდა ნალს. სადღაც გამქრალი მვენ მასის გულმოდგინე ძებნის შემდეგ მათ გვერდით მორცხვად ჩამოჯდა რენ ბოსი.

- თქვენ მართალიიყავით როცა ამტკიცებდით, რომ მხატვარი - უფრო ზუსტად, საერთოდ ხელოვნება - ყოველთვის და გარდაუვლად ჩამორჩება ცოდნისა და ტექნიკის სწრაფ ზრდას, - ამბობდა დარ ვეტერი.
- თქვენ ვერ გამიგეთ, - შეედავა კარტ სანი. - ხელოვნებამ უკვე გამოასწორა თავისი შეცდომები და შეიგრძნო თავისი როლი კაცობრიობის წინაშე. მან თავი ანება დამამძიმებელი მონუმენტური ფორმების შექმნას, რომლებიც რეალურად არარსებულ მხოლოდ გარეგან ბრწყინვალებასა და სიდიადეს გამოხატავენ. ადამიანის ემოციონალური მხარის განვითარება ხელოვნების უმნიშვნელოვანეს მოვალეობად იქცა. მხოლოდ ხელოვნება ფლობს ისეთ ძალას, რომელიც განაწყობს კაცობრიობის ფსიქიკას, მოამზადებს მას ყველაზე რთული შთაბეჭდილების განსაცდელად. ვინ არ იცის შეგრძნების ჯადოსნური სიმსუბუქე, რომელსაც მუსიკის, საღებავების, ფერების

წინასწარი განწყობით ვღებულობთ?... და როგორ იზღუდება ადამიანის სული, თუ მასში უხეშად და იძულებით შეიჭრებით. თქვენთვის, ისტორიკოსებისათვის, სხვებზე უკეთ არის ცნობილი, რამდენი უბედურება

გადაიტანა კაცობრიობამ ფსიქიკის ემოციონალური მხარის განვითარებისა და აღზრდისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში.

- შორეული წარსულის ერთ პერიოდში ხელოვნება განყენებული ფორმებისაკენ მიისწრაფოდა, - შენიშნა ვედა კონგმა.

- ხელოვნებამ აბსტრაქციისაკენ მისწრაფება ზუსტი აზროვნების მიბაძვით დაიწყო. ზუსტმა აზროვნებამ კი ყველაფერ დანარჩენზე აშკარა უპირატესობას მიაღწია. მაგრამ ხელოვნებას არ შეუძლია გამომსახველობითიც იყოს და განყენებულიც. გამონაკლისს მუსიკა წარმოადგენს, რომელსაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს და თავისებურად აგრეთვე სავსებით კონკრეტულია. ეს ყალბი გზა იყო.

- როგორი გზა მიგაჩნიათ ნამდვილ გზად?

- ჩემი აზრით, ხელოვნება ეს არის ადამიანების გრძნობებში მსოფლიოს ბრძოლებისა და ხიფათების ასახვა. ზოგჯერ იგი ცხოვრების ილუსტრაციაა, მაგრამ ისეთი, რომელიც საერთო მიზანსწრაფვის კონტროლს ექვემდებარება. სწორედ ეს მიზანსწრაფვა არის სილამაზე, ურომლისოდაც სიცოცხლის აზრსა და ბედნიერებას ვერ ვხედავთ. სხვა შემთხვევაში ხელოვნებაში იოლად წამოიქმნება ახირებული გამონაგონები, განსაკუთრებით ცხოვრებისა და ისტორიის არასაკმარისად ცოდნის დროს...

- ყოველთვის მინდოდა, ხელოვნების გზა მარტო სამყაროს შეგრძნების კი არა, მისი დაძლევისა და გარდაქმნის გზა ყოფილიყო, - ჩაურთო დარ ვეტერმა.

- გეთანხმებით! - წამოიძახა კარტ სანმა. - მაგრამ იმ შენიშვნით, რომ არა მხოლოდ გარეგანი სამყაროსი, არამედ, რაც მთავარია, ადამიანის ემოციის შინაგანი სამყაროსი, მისი აღზრდის გზა... ყველა წინააღმდეგობათა გათვალისწინებით... ევდა ნალმა დარ ვეტერს ხელზე თავისი მაგარი და თბილი ხელი დაადო.

- რომელი ოცნება უარყავით დღეს?

- ძალიან დიდი...

- ყველა ჩვენთაგანმა. - აგრძელებდა თავის სიტყვას მხატვარი, - ვისაც უნახავს ძველი მასობრივი ხელოვნების ნაწარმოებები - კინოფილმები, თეატრალური დადგმების ჩანაწერები, მხატვრობის გამოფენები, იცის, რა საოცრად დახვეწილი, მოხდენილი, ყველაფერი ზედმეტისაგან გასუფთავებული გვეჩვენება თანამედროვე სანახაობანი, ცეკვები, სურათები... მე უკვე დაცემის ეპოქაზე აღარ ვლაპარაკობ.

- ჭკვიანია, მაგრამ ბერს ლაპარაკობს, წაიჩურჩულა ვედა კონგმა.

- მხატვრისათვის ძნელია სიტყვებით ან ფორმულებით გამოხატოს ის რთული მოვლენები, რომელსაც ხედავს, ან გარემომცველი საგნებიდან არჩევს, - გამოექომაგა ჩარა ნანდი და ევდა ნალმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

- მე კი მინდოდა, - გააგრძელა კარტ სანმა, - ასე წავსულიყავი: შემეგროვებინა და ერთ სახეში შემეერთებინა ცალკეულ ადამიანებში გაფანტული ჭეშმარიტად მშვენიერი გრძნობები, ფორმები, საღებავები, აღმედგინა ძველი სახეები შორეული წარსულის

თვითეული რასის სილამაზის უმაღლესი გამოხატულებით, რომელთა შერევითაც თანამედროვე კაცობრიობა ჩამოყალიბდა. მაგალითად, „გონდვანის ქალიშვილი“ - ეს არის ბუნებასთან მთლიანობა, საგნებისა და მოვლენების კავშირის ქვეცნობიერი ცოდნა, რომელიც ჯერ კიდევ გრძნობებისა და შეგრძნების კომპლექსის ინსტიქტებით არის გამსჭვალული.

„ტეტისის-ხმელთაშუა ზღვის ქალიშვილი“ - ეს არის მძლავრად განვითარებული გრძნობა, უშიშარი, ფართო და უსაზღვროდ მრავალფეროვანი, - აქ უკვე ჩანს ბუნებასთან შერწყმის მეორე საფეხური, ინსტინქტის კი არა, ემოციების მეშვეობით. ეროსის ძალა აშკარად და ფაქიზად ემორჩილება ამაღლებულ ადამიანებს. ხმელთაშუაზღველების - კრიტოსელების, ეტრუსკელების, ელინელების, პროტოინდიელების შორის შეიქმნა სახე ადამიანისა, რომელმაც შესძლო ამ ემოციონალური კულტურის ჩამოყალიბება. რა ბედი მეწია, ჩარა რომ ვნახე: შემთხვევით მასში ანტიურ ბერძენ - კრიტოსელთა და ცენტრალური ინდოეთის უფრო გვიანდელი ხალხების ნაკვეთებია შერწყმული.

ვედამ გაიღიმა თავის მიხვედრილობაზე, ხოლო დარ ვეტერმა გადაუჩურჩულა, უკეთესი მოდელის მონახვა ძნელიც იქნებაო.

- თუ „ხმელთაშუა ზღვის ქალიშვილი“ კარგი გამომივიდა, მაშინ აუცილებლად შევასრულებ ჩანაფიქრს მესამე ნაწილსაც - დავხატავ ოქროსთმებიან, ან ქერა ჩრდილოეთელ ქალს, მშვიდი და გამჭვირვალე თვალებით. მაღალი, ოდნავ ზანტი, ქვეყნისათვის ხარბად მაცქერალი, რუსი, სკანდინაველი ან ინგლისელი ხალხების ქალებს ემსგავსება. მხოლოდ ამის შემდეგ შევუდგები სინთეზს შევქმნი თანამედროვე ქალის სახეს, რომელშიაც ამ წინაპართაგან ყველაფერი საუკეთესო იქნება გაერთიანებული.

- რატომ ხატავთ მხოლოდ „ქალიშვილებს“ და არა „ვაჟიშვილებს“? - გაიღიმა ვედამ.

- უნდა აგიხსნათ, რომ ფიზიოლოგიის კანონების მიზეზით მშვენიერება ქალში ყოველთვის უფრო დასრულებული და მკვეთრად გამოკვეთილია... - შეიჭმუხნა მხატვარი.

- როცა თქვენი მესამე სურათის წერას დაიწყებთ, ვედა კონგს დააკვირდით, - დაიწყო ევდა ნალმა. - ძნელად თუ... მხატვარი სწრაფად წამოდგა.

- თქვენ გგონიათ, არა ვხედავ! მაგრამ თავს ვებრძვი, რომ ეგ სახე ჩემში არ შემოიჭრას, ახლა სხვა სახით ვარ გატაცებული. მაგრამ ვედა...

- ოცნებობს მუსიკაზე, - ოდნავ გაწითლდა ვედა. - სამწუხაროა, რომ აქ მხოლოდ მზის როიალი დგას, რომელიც ღამით დუმს!

- მზის სხივებისაგან ნახევარგამტარებზე მომუშავე სისტემის როიალი? - იკითხა რენ ბოსმა და სავარძლის სახელურზე გადაიზნიქა, - მაშინ შემიძლია იგი მიმღების დენზე გადავრთო.

- დიდხანს მოუნდებით? - გაუხარდა ვედას.

- ერთი საათი მომიწევს წამუშავება.

- არაა საჭირო. ერთი საათის შემდეგ სამყაროს ქსელში დაიწყება გადაცემა. ჩვენ მუშაობამ გაგვიტაცა და უკვე ორი საღამოა მიმღები არავის ჩაურთავს.

- მაშინ გვიმღერეთ, ვედა, - სთხოვა დარ ვეტერმა. - კარტ სანს ფეოდალური საზოგადოების ბნელი საუკუნეების დროინდელი მარადიული სიმებიანი ინსტრუმენტი აქვს.

- გიტარა, - უკარნახა ჩარა ნანდმა.

- ვინ დაუკრავს? ვცდი, იქნებ თვითონვე გავართვა თავი.

- მე ვუკრავ! - ჩარამ თავს იდო გიტარის მოსატანად სტუდიაში გაქცეულიყო.

- ერთად გავიქცეთ, - შესთავაზა ფრიტ დონმა.

ჩარამ მხიარულად აიქნია შავი თმები. შერლისმა შემოაბრუნა სახელური და ვერანდის გვერდითი კედელი გადასწია. გამოჩნდა ყურეს აღმოსავლეთ კუთხის ნაპირის

ხედი, ფრიტ დონი ვეებერთელა ნახტომებით გაიქცა. ჩარა უკან თავგადაგდებული გარბოდა. ქალიშვილი ჯერ ჩამორჩა, მაგრამ სტუდიასთან ერთდროულად მიირბინეს, ჩაინთქნენ შავ, ჩაბნელებულ შესასვლელში და წამის შემდეგ ისევ გამოჩნდნენ ჯიუტნი და სწრაფმავალნი. ისინი მთვარით განათებულ ზღვის სანაპიროზე მიჰქროდნენ. ფრიტ დონმა პირველმა მოაღწია

ვერანდას, მაგრამ ჩარა ღიად დატოვებულ გვერდით დარაბაში გადმოხტა და შუა ოთახში გაჩნდა. ვედამ აღტაცებით შემოჰკრა ტაში:

- ფრიტ დონი ხომ საგაზაფხულო ათჭიდში გამარჯვებულია!

- ჩარა ნანდმა კი უმაღლესი საცეკვაო სკოლა დაამთავრა: ორივე საფეხური - ძველი და თანამედროვე, - გამოეხმაურა ვედას კარტ სანი.

- მე და ვედაც ვსწავლობდით, მაგრამ დაბალ საფეხურზე, - ამოიოხრა ევდა ნალმა.

- დაბალს ახლა ყველა გადის, - გამოაჯავრა მხატვარმა.

ჩარა ნება-ნება აჟღერებდა გიტარის სიმებს. პატარა, გამოკვეთილი ნიკაპი მაღლა ჰქონდა აწეული; ახალგაზრდა ქალის მაღალი ხმა ნაღვლიანად და კვეთრად გაისმა. იგი მღეროდა ახალ, სამხრეთ ზონიდან ახლახან შემოჭრილ სიმღერას. აუხდენელ ოცნებაზე მელოდიაში ვედას დაბალი ხმა ჩაერია და მისწრაფების შუქად იქცა. ჩარას სიმღერა ამ შუქს თავს ევლებოდა, მის გვერდით ინაბებოდა. დუეტი მშვენიერი გამოვიდა - იმდენად სხვადასხვაგვარად მღეროდნენ და იმდენად ავსებდნენ ერთმანეთს. დარ ვეტერს ცქერა ერთიდან მეორეზე გადაჰქონდა და ვერ გადაეწყვიტა, რომელს უფრო უხდებოდა სიმღერა - ვედას, რომელიც ნიდაყვებით დაყრდნობოდა მიმღების პულტს და თავი ისე დაეხარა, თითქო მთვარის შუქით გავერცხლისფერებულ ღია თმებს დაუმძიმებიაო, თუ ჩარას, რომელიც წინ გადმოხრილიყო, გიტარა მრგვალ შიშველ მუხლებზე დაედო, მზისაგან ისე გაშავებულიყო, რომ თეთრი კბილები უელავდა და სუფთა მოლურჯო თვალის გუგები მკაფიოდ დამჩნეოდა.

სიმღერა მიწყდა. ჩარა გაუბედავად ახმიანებდა სიმებს. დარ ვეტერმა კბილი კბილს დააჭირა... ეს ის სიმღერა იყო, რომელმაც ოდესღაც ვედას ჩამოაშორა. ახლა იგი ქალსაც აწამებდა.

სიმების ჟღრიალი წყვეტილ-წყვეტილად გაისმოდა, აკორდი აკორდს მოსდევდა, მაგრამ მელოდიად მაინც არ ისმოდა. მელოდია მოკვეთილად ისმოდა, თითქო ნაპირს ტალღები გაეტყლაშუნებოდა, წამით მეჩეჩზე გაიშლებოდა და ერთმანეთის მიყოლებით შავ უძირო ზღვაში ბრუნდებოდა. ჩარამ არაფერი იცოდა - მისმა წკრიალა ხმამ გააცოცხლა სიტყვები სიყვარულის შესახებ, რომელიც გაყინულ უძირო სივრცეში ვარსკვლავიდან ვარსკვლავისაკენ მიფრინავს, ცდილობს მოძებნოს, გაიგოს, შეიგრძნოს, სად არის საყვარელი არსება... იგი კი, კოსმოსში წასული გმირული ძიებისათვის, უკვე აღარ

დაბრუნდება. დაე ეგრე იყოს. მაგრამ ერთი წამით მაინც გაიგოს რა მოუვიდა მას, დაეხმაროს ლოცვით, ალერსიანი ფიქრებით, სალამით!

ვედა დუმდა. ჩარამ იგრძნო რაღაც არასასიამოვნო, შეწყვიტა სიმღერა, წამოხტა, გიტარა მხატვარს მიუგდო და უძრავად მდგარ ქერათმიან ქალთან მივიდა, დამნაშავესავით რომ დაეხარა თავი. ვედამ გაიღიმა. - იცეკვე ჩემთვის, ჩარა!

მან მორჩილად დაუქნია თავი, დაეთანხმა, მაგრამ აქ ფრიტ დონი ჩაერია:

- ცეკვები მოიცდის - ახლა გადაცემაა!

სახლის სახურავზე ტელესკოპური მილი გამოიყო. ეს იყო მაღალი აწეული ორი გადაჯვარედინებული ლითონის მილი, რომელიც ლითონის წრეზე დამაგრებული რვა ნახევარსფეროთი ბოლოვდებოდა. ოთახი მძლავრმა ხმებმა აავსო.

გადაცემა ჩრდილოეთის საცხოვრებელი სარტყლის ერთ-ერთი ახალი სპირალური ქალაქის ჩვენებით დაიწყო. ქალაქის მშენებელთა შორის ორი მიმართულება ბატონობდა: პირამიდული ქალაქი და სპირალურ-ხრახნული ქალაქი. ქალაქებს აგებდნენ საცხოვრებლად განსაკუთრებით ხელსაყრელ ადგილებში, სადაც თავმოყრილი იყო ავტომატური ქარხნების მომსახურება. ქარხნების სარტყელი, ალებისა და ველების სარტყლებთან მონაცვლებით გარს ეკვროდა ქალაქს, რომლის გარეუბანიც უეჭველად ზღვის ან დიდი ტბის ნაპირს გადიოდა.

ქალაქები მაღლობებზე შენდებოდა. ამიტომ შენობის ისეთი შვერილები ჰქონდა, რომ

არ იყო არც ერთი ფასადი, მზე, ქარი, ცა და ვარსკვლავები რომ არ ყოფილიყო მთლიანად მის წინ გადაშლილი. შენობის შიდა მხარეს მოთავსებული იყო მანქანების სადგომები, საწყობები, გამანაწილებლები, სახელოსნოები და სამზარეულოები. ზოგჯერ ეს სათავსოები მიწაში ღრმად იყო ჩასული. პირამიდული ქალაქების მომხრეები უპირატესობად თვლიდნენ მნიშვნელოვანი ტევადობის შენობების შედარებით სიდაბლეს, მაშინ როცა სპირალური ქალაქების მშენებლები კილომეტრზე მეტი სიმაღლის შენობებს აგებდნენ. საზღვაო ექსპედიციის მონაწილეთა წინაშე გადაიშალა ციცაბო სპირალი. მზეზე ბრწყინავდა პლასტმასის მილიონი ალანძული კედელი, ჩამოსხმული ქვისაგან დამზადებული ჩონჩხების ფაიფურის ნეკნები, გაპრიალებული ლითონის სამაგრები. თვითეული ხვეულა თანდათანობით ადიოდა პერიფერიიდან ცენტრისაკენ. მასიური შენობები ღრმა ვერტიკალური ზოლები საძირკვლებამდე კონტრფორსულად ეცემოდა. ათასობით თაღებს

შორის ფართო კიბეები გადიოდა. კიბეები საფეხურიან პარკთან მიდიოდა, ხოლო ხშირი ალის პირველ სარტყელთან სხივებივით იშლებოდა. ქალაქის პერიმეტრის მიხედვით დაკიდული ქუჩები და ბროლით გადახურული შიდა ქუჩებიც სპირალივით იხვეოდა.

ქუჩაში არავითარი ეკიპაჟი არ ჩანდა - ტრანსპორტის უწყვეტი ჯაჭვი გასწვრივ ნიშებში იფარებოდა.

> მხიარული, მოცინარი სერიოზული ადამიანები გაჩქარებით მიდიოდნენ ქუჩებში, ან სეირნობდნენ თაღებქვეშ; ბევრი განმარტოებულიყო ათასობით მოფარებულ ადგილას: კოლონადებში, კიბეთა გადაკვეთასთან, დაკიდულ ბაღებში, შვერილთა სახურავებზე... დიადი ქალაქის სანახაობა ცოტა ხანს გაგრძელდა, დაიწყო სიტყვიერი გადაცემა:

- გრძელდება მართული გამოსხივების მიერ შემოტანილი პროექტის განხილვა. - ალაპარაკდა ეკრანზე გამოჩენილი ადამიანი, - პროექტი საერთო მხარდაჭერით არ სარგებლობს. მთავარი წინააღმდეგობა გამოიწვია საკითხავი აპარატის სირთულემ, წიგნი უკვე აღარ იქნება ადამიანის მეგობარი, მისი თანამხლებელი ყველგან. მთელი გარეგნული სარგებლიანობის მიუხედავად, პროექტი უარყოფილი იქნება.

- დიდხანს განიხილავდნენ! - შენიშვნა რენ ბოსმა.

- დიდი წინააღმდეგობაა, - გამოეხმაურა დარ ვეტერი - ერთი მხვრივ - ჩაწერის მომხიბლავი უბრალოება, ხოლო მეორე მხვრივ - კითხვის სირთულე. ეკრანზე გამოსახული კაცი აგრძელებდა:

- დასტურდება წუხანდელი ცნობა - ვარსკვლავეთის ოცდამეჩვიდმეტე ექსპედიცია ალაპარაკდა. ისინი ბრუნდებიან...

დარ ვეტერი გაირინდა, გაოგნდა ურთიერთის საწინააღმდეგო გრძნობათა შემოტევისაგან. ალმაცერად გადახედა ვედა კონგს, რომელიც ფართოდ თვალებდაჭყეტილი ფეხზე წამოდგა. დარ ვეტერის გამახვილებულმა სმენამ დაიჭირა მისი წყვეტილი სუნთქვა.

...ოთახს ერთი კვადრატის მხრიდან. ხომალდი ეს-ეს არის გამოვიდა მინუსველიდან[48] ნეპტუნის ორბიტრიდან პარსეკის ერთი მეასედით. ექსპედიციის დაყოვნება შავ მზესთან შეხვედრის მიზეზით მოხდა. ადამიანების დანაკარგი არ არის! ხომალდის სიჩქარე, - დაამთავრა დიქტორმა, - დაახლოებით ხუთი მეექვსედი აბსოლუტური

ერთეულია. ექსპედიციას ელიან ტრიტონის სადგურზე თერთმეტი დღის შემდეგ. ელოდეთ ცნობებს შესანიშნავი აღმოჩენების შესახებ!

გადაცემა გრძელდებოდა. ამბობდნენ სხვა ახალ ამბებსაც, მაგრამ უკვე აღარავინ ისმენდა. ყველანი ვედას შემოეხვივნენ, ულოცავდნენ.

იგი იღიმებოდა, ლოყები უელვარებდა. თვალების სიღრმეში შიში ჰქონდა მიმალული. მიუახლოვდა დარ ვეტერიც. ვედამ ხელის მტკიცე ჩამორთმევა იგრძნო, რაც მისთვის ახლა ესოდენ საჭირო და მახლობელი იყო, შეხვდა მის პირდაპირ მზერას. დიდი ხანია ასე არ შეუხედავს ვეტერს მისთვის. ქალმა იცოდა წუხილი და შეშფოთება, რომელიც ახლა მათს ძველ დამოკიდებულებაში შეიპარა. იცოდა, რომ მამაკაცი მის სახეზე ახლა მარტო სიხარულს როდი კითხულობდა...

დარ ვეტერმა წყნარად გაუშვა მისი ხელი, გაიღიმა თავისებურად, გაუმეორებლად ნათელი ღიმილით და გაეცალა. ექსპედიციის წევრი ამხანაგები გაცხოველებით განიხილავდნენ ცნობას. ხალხის რკალში მოქცეული ვედა ალმაცერად აკვირდებოდა დარ ვეტერს. ხედავდა, როგორ მივიდა მასთან ევდა ნალი. წამის შემდეგ რენ ბოსიც შეუერთდათ.

- მვენ მასი უნდა ვნახოთ, მან ჯერ კიდევ არაფერი იცის! - თითქო უცებ გაახსენდაო, წამოიყვირა დარ ვეტერმა. - წამოდით ჩემთან, ევდა. თქვენც წამოხვალთ, რენ?

- მეც წამოვალ, - მივიდა ჩარა ნანდი. - შეიძლება? ისინი წყნარად მოშხაპუნე ტალღებთან მივიდნენ. დარ ვეტერი შეჩერდა, სახე ცივ ნიავს შეუშვირა, ღრმად ამოიოხრა. მობრუნებული ევდა ნალის გამოხედვას შეეფეთა. - წავალ, სახლში აღარ დავბრუნდები, - უპასუხა უსიტყვო კითხვაზე. ევდამ ხელკავი გამოსდო. ერთხანს ყველანი მდუმარედ მიდიოდნენ.

- ვფიქრობდი, საჭიროა თუ არა მაგრე მოქცევა? - წაიჩურჩულა ევდამ. - საჭიროა, თქვენ მართალი ხართ. თუ კი ვედა...

ევდა დადუმდა, მაგრამ დარ ვეტერმა გაუგო, ჩაბღუჯა მისი ხელი და ხელისგულით ლოყაზე მიიკრა, რენ ბოსი ფეხდაფეხ მიჰყვებოდა, ერიდებოდა ჩარას, ეს უკანასკნელი კი, დამცინავ ღიმილს ფარავდა, ალმაცერად უყურებდა ვეებერთელა თვალებით და გვერდით ფართო ნაბიჯით მისდევდა. ევდამ ძლივს გასაგონად გაიცინა და ფიზიკოსს თავისუფალი ხელი გაუწოდა. რენ ბოსმა იგი მტაცებლური მოძრაობით ჩაბღუჯა, რაც ამ მორცხვი ადამიანისათვის ძალზე კომიკური იყო.

- სად უნდა ვეძებოთ თქვენი მეგობარი? - ჩარა ზედ წყლის პირად შეჩერდა.

დარ ვეტერმა მიმოიხედა და მთვარის ნათელ შუქზე გამოკვეთილი ნაფეხურები დაინახა, რომელიც ქვიშის ვიწრო ზოლს აჩნდა. ნაკვალევებს შორის მანძილის ზუსტად ერთნაირი შუალედები იყო, ტერფების სიმეტრიულად ისეთი გეომეტრიული სიზუსტით იყო გაშლილი, რომ მანქანის კვალი გეგონებოდათ.

- აქეთ წასულა, - დარ ვეტერმა დიდი ქვებისაკენ მიუთითა.

- ჰო, მისი ნაკვალევია, - დაადასტურა ევდამ

- რატომ ხართ ეგრე დარწმუნებული? - დაეჭვდა ჩარა.

- დააკვირდით ნაბიჯების სიზუსტეს - ასე პირველყოფილი მონადირეები დადიოდნენ, ახლა კი ისინი დადიან, რომლებმაც მემკვიდრეობით მათი ხასიათი მიიღეს. მე მგონია, რომ მვენი, თავისი განსწავლულობის მიუხედავად, ყველა ჩვენთაგანზე ახლოა ბუნებასთან... არ ვიცი, თქვენ როგორღა ფიქრობთ, ჩარა? - ევდა ჩაფიქრებული ქალიშვილისაკენ შებრუნდა.

- მე? ო, არა! - ხელი წინ გაიშვირა და შესძახა: - აი, იგი!

უახლოეს ქვაზე გამოჩნდა აფრიკელის ვეებერთელა ფიგურა, რომელიც მთვარის სხივებზე გაპრიალებული შავი მარმარილოსავით ბრწყინავდა. მვენ მასმა ენერგიულად აიქნია ხელები, თითქო ვიღაცას ემუქრებაო. მძლავრი სხეულის მრისხანე კუნთები დაებერა და მბრწყინავი კანის ქვეშ ბორცვებით აუმოძრავდა.

- საბავშვო ზღაპრებიდან გამოსულ ღამის სულს ჰგავს! - აღელვებით წაიჩურჩულა ჩარამ.

მვენ მასმა შენიშნა მოახლოვებულნი, ჩამოხტა კლდიდან და ჩაცმული გამოჩნდა. დარ

ვეტერმა რამდენიმე სიტყვით უამბო მომხდარი ამბავი და მვენ მასმა სურვილი გამოთქვა დაუყონებლივ ენახა ვედა კონგი.

- წადით ჩარასთან ერთად, - თქვა ევდამ, - ჩვენ კი დავრჩებით აქ ცოტა ხანს...

დარ ვეტერმა გამოთხოვების ნიშნად ხელი დაუქნია და აფრიკელის სახეზე გამოისახა, რომ მიხვდა. რაღაც ნახევრად ბავშვურმა გრძნობამ აიძულა დიდი ხნის წინათ დავიწყებული გამოსათხოვარი სიტყვები წაეჩურჩულებინა. დარ ვეტერი აღელდა და მდუმარე ევდასთან ერთად დაფიქრებული გასცილდა იქაურობას. რენ ბოსმა დაბნეულად ააბაკუნა ადგილზე ფეხები, მერე მვენ მასსა და ჩარა ნანდს დაედევნა.

დარ ვეტერი და ევდა მივიდნენ კონცხამდე, რომელიც ყურეს ღია ზღვისაგან ჰყოფდა. გარკვევით გამოჩნდა სინათლეები, გარს რომ ევლო ექსპედიციის ვეებერთელა ტივებს.

დარ ვეტერმა ქვეშიდან ჩააცურა გამჭვირვალე ნავი და ევდას წინ, წყლის პირად ამართული მვენ მასზე უფრო მასიური და მძლავრი გამოჩნდა. ევდამ ფეხის წვერებზე აიწია და მიმავალი მეგობარი გადაჰკოცნა.

- ვეტერ, მე ვედასთან ვიქნები, - უპასუხა მან ვაჟის აზრებს.

- ერთად დავბრუნდებით ჩვენს ზონაში და იქ დაველოდებით. მაცნობეთ, როცა მოეწყობით. ყოველთვის ბედნიერი ვიქნები, თუ რამეში დაგეხმარებით...

ევდა თვალებით დიდხანს მიაცილებლად ვერცხლისფერ წყალზე გასრიალებულ ნავს...

დარ ვეტერმა მეორე ტივთან მიცურა. იქ ჯერ კიდევ მუშაობდნენ მექანიკოსები, აკუმულატორის დადგმას ჩქარობდნენ. დარ ვეტერის თხოვნით მათ სამი მწვანე შუქი სამკუთხედად აანთეს.

საათნახევრის შემდეგ ტივის თავზე პირველივე გადამფრენი სპირომფრენი ჩამოეკიდა. დარ ვეტერი ჩამოშვებულ ამწეში ჩაჯდა, წამით ხომალდის განათებულ ფსკერზე გამოჩნდა და საძვრენში გაუჩინარდა. დილით იგი შევიდა თავის მუდმივ საცხოვრებელში, საბჭოს ობსერვატორიის მახლობლად, რომლის გამოცვლაც ჯერ ვერ მოესწრო. დარ ვეტერმა ორივე ოთახში გამნიავებელი ონკანები გახსნა. რამდენიმე წუთის შემდეგ მთელი დაგროვილი მტვერი გაქრა. დარ ვეტერმა კლდიდან საწოლი

გადმოსწია, ხელსაწყო ჩართო და ოთახში ზღვის სურნელი დადგა, ტალღის შხაპუნი გაისმა. ამ სუნსა და ხმას იგი უკანასკნელ ხანებში მიეჩვია. ვეტერმა მაგრად დაიძინა.

გამოღვიძებულს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქო სამყარომ მთელი სილამაზე დაჰკარგაო. ვედა შორს არის და მანამ შორს იქნება, სანამ... თუმცა ვეტერი უნდა მიეშველოს მას და არა პირიქით, კი არ უნდა დახლართოს მდგომარეობა!

აბაზანაში დაელექტროებული გრილი წყლის მბრუნავი სვეტი გადაევლო. დარ ვეტერი წყლის ქვეშ ისე დიდხანს იდგა, რომ გაითოშა. გამოცოცხლებული ტვფს აპარატთან მივიდა, გამოაღო სარკიანი კარი და სამუშაოთა გამანაწილებელი უახლოესი სადგური გამოიძახა. ეკრანზე ახალგაზრდა სახე გამოჩნდა. ყმაწვილმა იცნო დარ ვეტერი და პატივისცემის ოდნავ შესამჩნევი გრძნობით მიესალმა, რაც თავაზიანობის ნიშნად ითვლებოდა.

- მინდა რაიმე მძიმე და ხანგრძლივი სამუშაო მივიღო, - დაიწყო დარ ვეტერმა, ფიზიკურ შრომასთან დაკავშირებული სამუშაო: მაგალითად, ანტარქტიდის მაღაროებში.

- იქ ყველაფერი დაკავებულია, - მოლაპარაკის ტონში გულისტკენაიგრძნობოდა. - თავისუფალი ადგილი არ არის ვენერას, მარსის, მერკურის საბადოებზეც კი. თქვენ იცით, რომ იქ, სადაც სიძნელეა, კმაყოფილებით მიისწრაფის ახალგაზრდობა.

- ვიცი, მაგრამ მე მაგ კარგ კატეგორიას აღარ მივეკუთვნები... ახლა რა შეგიძლიათ შემომთავაზოთ, დაუყონებლივ უნდა დავიწყო მუშაობა.

- გვაქვს ადგილი შუა ციმბირის ალმასების დამუშავებაზე, - დინჯად დაიწყო მან, თანაც დარ ვეტერისათვის უხილავ ცხრილს მისჩერებოდა, - თუ მთის სამუშაოებისაკენ მიისწაფით. გარდა ამისა - საოკეანო ტივებზე - საკვების ქარხნებში, ტიბეტის მზის სატუმბ ქარხნებში, - მაგრამ ეს უკვე იოლია. სხვაგანაც არაფერია განსაკუთრებით ძნელი.

დარ ვეტერმა ინფორმატორს მადლობა გადაუხადა და სთხოვა მიეცა მოფიქრების დრო, მანამდე კი ალმასის დამუშავებაზე არავინ გაეშვა.

მან გამორთო განაწილების სადგური და ციმბირის სახლს დაუკავშირდა - ამ მხარეში

გეოგრაფიული ინფორმაციების ფართო ცენტრს. ტვფ უახლესი ჩანაწერების მახსოვრობის მანქანაში ჩართე და დარ ვეტერის წინაშე ნელნელა აცურდა ვრცელი ტყეები. ოდესღაც აქ გავრცელებული, მუდამ გაყინულ ნიადაგიანი, დაჭაობებული და გამეჩხერებული ფოთლოვანი ტაიგა გაქრა. მან ადგილი დაუთმო ტყის დიდებულ გოლიათებს - ციმბირულ კედარსა და ოდესღაც თითქმის გადაშენებულ ამერიკულ სეკვოიას. გოლიათური წითელი ღეროები ბეტონის ქუდდახურულ ბორცვებს გარშემო დიდებული ჯებირივით შემოვლებოდა. ბორცვებიდან ამომძვრალი ათმეტრიანი დიამეტრის ფოლადის მილები წყალგამყოფებზე გადახრილიყვნენ, უახლოეს მდინარეებს მთლიანად ხახადაღებულ ორმოებში ისრუტავდნენ. ყრუდ გუგუნებდნენ უცნაური ტუმბოები: ასეულ ათასობით კუბმეტრი წყალი მიჩქრიალებდა მათგანვე გამორეცხილი ალმასისშემცვლელი ვულკანური მილების სიღრმეში, ღტიალით ბრუნავდა, რეცხავდა ქანებს, და ისევ გარეთ გამოდიოდა, გამრეცხი კამერის ღობურებზე კი ათეულ ტონობით ალმასს ტოვებდა. გრძელ, შუქით ავსებულ შენობაში ადამიანები სარჩევი მანქანების მოძრავ ციფერბლატებთან ისხდნენ. მბრწყინავი ქვები წვრილი მარცვლების ნაკადივით ცვიოდა მიმღები ყუთების

საყალიბო ნახვრეტებში: სატუმბო სადგურის ოპერატორები თვალყურს ადევნებდნენ საანგარიშო მანქანების

მაჩვენებლებს, რომლებიც ანგარიშობდნენ ქანების განუწყვეტლივ ცვლად წინააღმდეგობას, წყლის წნევასა და ხარჯვას, სანგრევის სიღრმესა და მკვრივი ნაწილაკების ამოყრას. დარ ვეტერმა გაიფიქრა, რომ მზეში ცურვილი ტყეების მხიარული სურათი ახლა ჩემს განწყობილებას არ შეეფერებაო, და გამორთო ციმბირის სახლი. მყისვე გამოძახების ნიშანი გაისმა და ეკრანზე გამანაწილებელი სადგურის ინფორმატორი აღიმართა.

მინდოდა დამეზუსტებინა თქვენი ფიქრები. ახლახან მივიღეთ მოთხოვნა სამხრეთ ამერიკის დასავლეთ სანაპიროზე ტიტანის მაღაროებში ადგილი გათავისუფლდა. ეს დღეს არსებულთა შორის ყველაზე ნელი სამუშაოა... მაგრამ იქ ჩასვლა სასწრაფოა. დარ ვეტერი შეშფოთდა.

- შფა - შრომის ფსიქოზიოლოგიის აკადემიის უახლოეს სადგურში ფსიქოფიზიკური გამოცდის გავლას ვერ მოვასწრებ.

- წინანდელი სამუშაოს მიზეზით თქვენ ამ გამოცდას ყოველწლიურად გადიოდით, ამიტომაც ახლა აღარ მოგეთხოვებათ.

- გაგზავნეთ ცნობა და მომეცით კოორდინატები! - დაუყოვნებლივ გამოეხმაურა დარ ვეტერი.

- სპირალური გზის დასავლეთი ტოტი, სამხრეთის მეჩვიდმეტე განტოტება, სადგური ნლ, წერტილი კმ 40. ვგზავნი გაფრთხილებას.

სერიოზული სახე ეკრანიდან გაქრა. დარ ვეტერმა შეაგროვა მისი კუთვნილი ყველა წვრილმანი ნივთი, კოლოფში ჩადო ფირები, რომლებზეც ჩაწერილი და გადაღებული იყო მახლობელთა ხმები და გამოსახულებანი, მნიშვნელოვანი საკუთარი აზრები. კლდიდან ჩამოხსნა ძველი რუსული სურათის ქრომორეფლექსური რეპროდუქცია[49], მაგიდიდან არტისტი ქალის ბელო გალის ბრინჯაოს ქანდაკება აიღო. იგი ვედა კონგს ჰგავდა. ყველაფერი ეს, ცოტაოდენ ტანსაცმელთან ერთად სახურავზე ციფრებამოტვიფრულ და ხაზობრივნიშნებიან ალუმინის ჩემოდანში მოთავსდა. დარ ვეტერმა აკრიფა კოორდინატები, რომლებიც აცნობეს, გამოაღო კედელში საძვრომი და ყუთი შეაგდო. იგი გაქრა, უსასრულო ლენტმა გაიტაცა. შემდეგ დარ ვეტერმა თავისი ოთახები შეამოწმა. უკვე მრავალი საუკუნეა პლანეტაზე აღარ

არსებობდნენ სპეციალური დამლაგებლები. მათ ფუნქციებს თვითეული მაცხოვრებელი ასრულებდა. ეს კი შესაძლებელი იყო თვითეული ადამიანის აბსოლუტური სიფაქიზითა და დისციპლიანობით, აგრეთვე საცხოვრებელი და

საზოგადოებრივი შენობების მოწყობილობათა გულდასმით მოფიქრებული სისტემის, გამწმენდის და გამნიავებელი ავტომატების მეშვეობით.

როცა დათვალიერებას მორჩა, კართან დამაგრებული სახელური შემოაბრუნა, რომ მის მიერ დაკავებული შენობა გათავისუფლდა და გავიდა. რძისფერი მინის ფირფიტებით შეკრული შიდა დერეფანი მზეს გაეხურებინა, მაგრამ ბრტყელ სახურავზე, როგორც ყოველთვის, ზღვის გრილი ნიავი უბერავდა. ცხავისებური შენობის სიმაღლეზე გადათაღული ფეხით სასიარულო მსუბუქი ხიდები თითქო ჰაერში აღრუბლულიყვნენ, ყველა გამვლელს მათზე გასეირნება მოუნდებოდა. მაგრამ დარ ვეტერი თავისუფალი ისევ არ იყო. ავტომატური დაშვების მილით მიწისქვეშა მაგნიტოელექტრულ ფოსტაში მოხვდა და პატარა ვაგონით სპირალური გზის სადგურისაკენ გაექანა. დარ ვეტერი ჩრდილოეთისაკენ, ბერინგის სრუტისაკენ არ წავიდა, თუმცა იქ დასავლეთის ტოტის შემაერთებელი რკალი გადიოდა. ამ გზის გავლას სამხრეთ ამერიკამდე, განსაკუთრებით ისე შორს სამხრეთით, როგორიცაა მეჩვიდმეტე განშტოება, დაახლოებით ოთხი დღე და ღამე დასჭირდებოდა. ჩრდილოეთისა და სამხრეთის საცხოვრებელი ზონების განედებზე მძიმე სატვირთო სპირალმფრენების ხაზები გადიოდა, რომელიც პლანეტას ოკეანეების გასწვრივ ერტყმოდა და სპირალური გზის ტოტებს უმოკლესი მანძილით აერთებდა. დარ ვეტერი სამხრეთ საცხოვრებელ ზონამდე ცენტრალური ტოტით გაემგზავრა და იმედი ჰქონდა ავიაგადატვირთვის გამგეს დაარწმუნებდა - ჩაეთვალა იგი სასწრაფო ტვირთად. გარდა იმისა, რომ გზა ოცდაათ საათამდე მცირდებოდა, დარ ვეტერს შეეძლო ენახა გრომ ორმის - ვარსკვლავმფრენის საბჭოს თავჯდომარის შვილი. გრომ ორმმა იგი შვილის მენტორ-დამრიგებლად აირჩია.

ბიჭი გაიზარდა. მომავალი წლიდან ჰერკულესის თორმეტი გმირობის შესრულებას უნდა შესდგომოდა. ჯერჯერობით კი დასავლეთ აფრიკის ჭაობებში სადაზვერვო სამსახურში მუშაობდა.

რომელი ახალგაზრდა არ მიიწევს სადაზვერვო სამსახურისაკენ, ვის არ უნდა თვალყური ადევნოს ოკეანეში ზვიგენების, ტროპიკულ ჭაობებში მავნე მწერების, ვამპირების, ქვეწარმავლების, საცხოვრებელ ზონებში ავადმყობათა გამავრცელებელი მიკრობების გამოჩენას, სტეპებისა და ტყვეების ზონებში ეპიზოტიისა და ტყის ხანძრების გაჩენას? ვის არ უნდა წარსული დედამიწის მავნე უწმინდურების გამოვლენა და განადგურება, რომლებიც რაღაც საიდუმლო ძალით ისევ და ისევ ჩნდება ხოლმე პლანეტის მიყრუებულ კუთხეებში? სიცოცხლის მავნე ფორმებთან ბრძოლა არასოდეს არ შეწყვეტილა. მოსპობის ახალ საშუალებებს მიკროორგანიზმები, მწერები და სოკოები იმით

პასუხობდნენ, რომ ახალი, ქიმიკალების ყველაზე მძლავრი ფორმებისა და შტამბებისადმი შემგუებლობის უნარის მქონე ორგანიზმებს წარმოშობენ. მხოლოდ მგე-ს მსოფლიო გაერთიანების ერის დროს შეისწავლეს ანტიბიოტიკებით სარგებლობა, ისე რომ ზიანი არ მოსვლოდათ.

„თუ დის კენი ჭაობების დაზვერვაზე დანიშნეს, - ფიქრობდა დარ ვეტერი, - ეს იმას ნიშნავს, რომ ახალგაზრდობიდანვე სერიოზული მუშაკი ხდება“.

გრომ ორმის შვილი, როგორც რკალის ერის ყველა ბავშვები, ჩრდილოეთის ზონის ზღვისპირა სკოლაში აღიზარდა. მან იქვე გაიარა პირველი გამოცდა შფას ფრიქოლოგიურ სადგურში.

ახალგაზრდებს ყოველთვის ისეთ სამუშაოს ანდობდნენ, სადაც ითვალისწინებდნენ ახალგაზრდობის ფსიქოლოგიურ თავისებურებებს - შორეულისაკენ მისწრაფებას, პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლებას და ეგოცენტრიზმს.

ვეებერთელა ვაგონი უხმაუროდ, ნარნარით მისრიალებდა. დარ ვეტერი გამჭვირვალე სახურავიან ზედა სართულში ავიდა. შორს, დაბლა და გზის აქეთიქით გამწკრივებული იყო მშენებლობანი, არხები, ტყეები და მთის მწვერვალები. მიწათმოქმედებისა და ტყის ზონების საზღვარზე ავტომატური ქარხნების ვიწრო ზოლი გამოჩნდა და მზეზე დამაბრმავებლად აელვარდა „მთვარის“ მინისაგან დამზადებული მათი გუმბათები. ბროლის შენობების კედლებში ბუნდოვნად ჩანდა კოლოსალური მანქანების მრისხანე ფორმები.

გაიელვა ჟინუ კადუს ძეგლმა. კადუმ დაამუშავა ხელოვნური შაქრის დამზადების იაფფასიანი წესი. გზის არკადამ ტროპიკული მიწათმოქმედების ზონის გადაკვეთა

დაიწყო. თვალგაუწვდენელ სიშორეზე გაჭიმულიყო სხვადასხვა ფერის ფოთლები და ქერქები. ცალკეული მასივების დამყოფ ვიწრო და სწორ გზებზე ნელ-ნელა დაბობღავდნენ მოსავლის ამღები, საფრქვევ-სასხურებელი და აღმრიცხველი მანქანები. ობობას ქსელივით ბრწყინავდა ურიცხვი მავთულები. ოდესღაც სიუხვის სიმბოლოდ სიმწიფისაგან გაოქროსფერებული პურის ყანა ითვლებოდა. მაგრამ უკვე მგე-ში მსოფლიო გაერთიანების ერაში - გაიგეს ცალკეული კულტურების ეკონიმიური არახელსაყრელობა, ხოლო მიწათმოქმედების უშუალოდ ტროპიკულ ზონაში გადატანამ გააუქმა ბალახისებური და ბუჩქისებური მცენარეების ყოველწლიური მოყვანის შრომატევადი სამუშაოების აუცილებლობა. მრავალწლიანი მცენარეები, რომლებიც უმნიშვნელოდ ფიტავენ მიწას, ეგუებიან ცუდ კლიმატურ პირობებს,

იქცნენ ძირითად სასოფლო-სამეურნეო მცენარეებად რკალის ერამდე ჯერ კიდევ ასეული წლებით ადრე.

გაჩნდა პურის, კენკრის, კაკლის, ათასნაირი ხარისხის ცილებით მდიდარი ხილის ხეები. თვითეული ძირი ცენტრამდე საკვებ მასას იძლეოდა. ასეული მილიონი ჰექტარი ნაყოფიერი ჭალების კოლოსალური მასივები ორ სარტყელად გარს შემოერტყა

პლანეტას, როგორც ცერერას - სიუხვის მითიური ქალღმერთის - სარტყელი. მათ შორის იმყოფებოდა ტყის ეკვატორიალური ზონა - ტროპიკული ნესტიანი ტყეების ოკეანე, რომელიც პლანეტას მერქნით ამარაგებდა. მერქანი თეთრი, შავი, იისფერი, ვარდისფერი, ოქროსფერი, რუხი, აბრეშუმივით ლივლივებდა, ძვალივით მაგარიც იყო, ვაშლივით რბილიც, წყალში ქვასავით იძირებოდა, ხანაც საცობივით მსუბუქად ტივტივებდა. აქ მოიპოვებოდა ათეულობით ხარისხის ფისი, სინთეტურზე ბევრად იაფი, ძვირფასი ტექნიკური თუ სამკურნალო თვისებებისა.

ტყის გიგანტების მწვერვალები გზის ლიანდაგის სიმაღლემდე აღწევდა - ახლა ორთავე მხარეზე მწვანე ზღვა შრიალებდა. მუქ სიღრმეში, მყუდრო მდელოების შუაში ლითონის მაღალ ხიმინჯებზე შემდგარი სახლები და უცნაური ობობისებრი მანქანები ჩანდა. ამ მანქანებს ძალუძდათ ოთხმოცმეტრიანი ხეები ბოძებისა და ფიცრების მორჩილ შტაბელად ექციათ.

მარცხნივ ეკვატორის განთქმული მთების გუმბათები გამოჩნდა. ერთ-ერთ მათგანზე - კენიაზე დიდი რკალის კავშირის დანადგარი იმყოფებოდა. ტყის ზღვა მარცხვნივ

მიიკარგ, ადგილი ქვიან ზეგანს დაუთმო. აქეთ-იქით კუბური ცისფერი შენობანი აღიმართა.

მატარებელი დადგა. დარ ვეტერი გადმოვიდა მწვანე მინით გაწყობილ ფართო მოედანზე - ეკვატორის სადგურზე. ატლასის კედრების ბრტყელი მტრედისფერი გვირგვინების თავზე გადაჭიმული ფეხით სასიარულო ხიდის მახლობლად ამართული იყო მდინარე ლუალიბიდან მოტანილი თეთრი ფაიფურისებური აპლიტისაგან[50] გამოკვეტილი პირამიდა. მის წაკვეთილ წვერზე იდგა სამუშაო ტანსაცმელში გამოწყობილი მუშის - მსოფლიოს გათიშვის ერის ადამიანის ქანდაკება. მარჯვენა ხელში ჩაქუჩი ეპყრა, მარცხენათი მაღლა, ფერმკრთალი ეკვატორიალური სივრცისაკენ შეემართა მოელვარე ბურთი. მასზე გადამცემი ანტენის ოთხი შვერილი ჩანდა. ეს იყო დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრების შექმნელთა ძეგლი,

რომლებმაც შრომის, გამომგონებლობისა და სიმამაცის მაგალითი გვიჩვენეს. ადამიანის მთელი სხეული, ოდნავ უკან გადახრილი, თითქო ბურთი ცაში უნდა შეისროლოსო, შთაგონებულ ძალას გამოხატავდა. ეს ძალა გადაეცემოდა უცნაურ კოსტუმებში გამოწყობილი ადამიანების ფიგურებიდან, რომლებიც ქანდაკების ფერხთით პიედესტალს ეხვიენ გარს.

დარ ვეტერი ყოველთვის მღელვარებით აკვირდებოდა ამ ქანდაკების სახეს. მან იცოდა, რომ ადამიანები, რომლებლმაც, პირველი ხელოვნური თანამგზავრები ააგეს და კოსმოსის ზღურბლზე გავიდნენ, რუსები იყვნენ. მათგან მოდიოდა დარ ვეტერის გვარეულობაც. იმ ხალხიდან, რომელმაც გადადგა პირველი ნაბიჯები ახალი საზოგადოების აგებისა და კოსმოსის დაპყრობის საქმეში...

ახლაც, როგორც ყოველთვის, დარ ვეტერი გაემართა ქანდაკებისაკენ, რათა კიდევ ერთხელ დაეთვალიერებინა ძველი გმირების გამოსახულება, მოეძებნა მათი მსგავსება და განსხვავება თანამედროვე ადამიანებიდან. მზეზე დამაბრმავებლად მოლაპლაპე ქანდაკების პირამიდას გარს ეხვია სამხრეთაფრიკული ლეიკოდენდრონების[51] მოვერცხლისფრო ფუმფულა ტოტები. ტოტებიდან ორი ახოვანი ფიგურა გამოჩნდა, შეჩერდნენ. ერთ-ერთი ახალგაზრდა სწრაფად მივარდა დარ ვეტერთან. დარ ვეტერმა ფართო მხრებზე ხელი შემოახვია და შეფარვით შეათვალიერა მკვეთრი სახის ნაცნობი ნაკვთები: მსხვილი ცხვირი, ფართო ნიკაპი, ტუჩების მოულოდნელობისაგან ღიმილით გაშლილი ნაოჭები. ეს ღიმილი როგორღაც არ შეეფერებოდა მსხვილი გადაბმული წარბების ქვევიდან გამომზირალე ფოლადისებრ მოღუშულ თვალებს.

დარ ვეტერმა გამამხნევებლად გადახედა ცნობილი ადამიანის შვილს. მისმა მამამ ააგო გზები ცენტავრის პლანეტურ სისტემებზე, აგრეთვე ზედიზედ მეხუთე სამწლედია, რაც ვარსკვლავმფრენის საბჭოს მეთაურობს. გრომ ორმი ას ოცდაათ წელზე ნაკლების არ იქნებოდა. იგი დარ ვეტერზე სამჯერ უფროსი იყო. დის კენმა შავთმიან ახალგაზრდა ამხანაგს მოუხმო.

- ჩემი საუკეთესო მეგობარი ტორ ანი, კომპოზიტორ ზიგ ზორის ვაჟი.

- ჩვენ ერთად ვმუშაობდით ჭაობებში, - გააგრძელა დისმა. - ერთადვე გვინდა შევასრულოთ ჩვენი გმირობანი და შემდეგაც ერთად ვიმუშაოთ.

- შენ ძველებურად მემკვიდრეობითი კიბერნეტიკით[52] ხარ გატაცებული? - ჰკითხა დარ ვეტერმა.

- ო, დიახ! ტორმა კიდევ უფრო გამიტაცა - მამამისივით მუსიკოსია. ისიც და მისი მეგობარი ქალიშვილიც... ისინი ოცნებობენ მუსიკის მეშვეობით ცოცხალი ორგანიზმის

განვითარების შეგრძნების შემსუბუქების, ესე იგი მისი აგებულობის სიმფონიის შესწავლის დარგში იმუშაონ.

- შენ რაღაცნაირად გაუგებრად ლაპარაკობ, - შეიჭმუხნა დარ ვეტერი.

- ჯერ კიდევ არ შემიძლია, - შეცბა დისი - იქნებ ტორმა თქვას უკეთ. მეორე

ახალგაზრდა გაწითლდა, მაგრამ გამომცდელ შეხედვას გაუძლო.

- დისს მემკვიდრეობითობის მექანიზმის რიტმის შესახებ უნდოდა ეთქვა: მდედრობითი უჯრედებისაგან განვითარების დროს ცოცხალი ორგანიზმი მოლეკულებისაგან აკორდებად შენდება. სპირალის პირველი წყვილი იმ გეგმით იშლება, რომელიც მუსიკალური სიმფონიის განვითარების ანალოგიურია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მუსიკალურია თვით პროგრამა, რომლის მიხედვითაც ცოცხალი უჯრედებისაგან ორგანიზმის შენება მიმდინარეობს!

- ეგრეა? - გადაჭარბებით გაიკვირვა დარ ვეტერმა. - მაგრამ მაშინ ცოცხალი და

არაცოცხალი მატერიის მთელი ევოლუცია რომელიღაც გიგანტურ სიმფონიამდე დაგყავთ?

- ამ სიმფონიის გეგმა და რიტმიკა, ძირითადი ფიზიკური კანონებით განისაზღვრება. მხოლოდ საჭიროა გავიგოთ, როგორაა შედგენილი პროგრამა და საიდან ხდება ამ მუსიკალურ-კიბერნეტიკული მექანიზმის ინფორმაციის მიღება, - ურყევი ახალგაზრდული რწმენით დაასაბუთა ტორ ანმა.

- ეგ ვისი სიმფონიაა?

- ჩემი მამის, ზიგ ზორის. მან ცოტა ხნის წინათ გამოაქვეყნა 4,750-მიუ ფერადი ტონალობის მეცამეტე კოსმიური სიმფონია ფა-მინორი.

- უეჭველად მოვისმენ! მიყვარს ლურჯი ფერი... მაგრამ თქვენი უახლოესი გეგმა ჰერკულესის გმირობაა. იცით რა გაქვთ დანიშნული?

- მხოლოდ პირველი ექვსი.

- ცხადია. მეორე ექვსი პირველი ნახევრის შესრულების შემდეგ ინიშნება, - გაიხსენა დარ ვეტერმა.

- უნდა გავწმინდოთ და მისასვლელად ვარგისი გავხადოთ შუა აზიის ნოიგეტის გამოქვაბულის ქვედა იარუსი, - დაიწყო ტორ ანმა.

- მენტალის ტბისაკენ ქედის წვეტიან გრეხილზე გზა უნდა გადავიყვანოთ, - სიტყვა ჩამოართვა დის კენმა, - აღვადგინოთ ძველი პურის ხეების ალა არგენტინაში, გამოვარკვიოთ ტრინიდადის ამაღლების რაიონში დიდი რვაფეხების გაჩენის მიზეზი...

- და უნდა მოვსპოთ ისინი!

- ეს ხუთია. მეექვსე რაღაა? ორივე ყმაწვილი ოდნავ დაიბნა.

- ჩვენ ორივეს მუსიკისაკენ განსაზღვრული მისწრაფება გვაქვს, - თქვა გაწითლებულმა

დის კენმა, - უნდა შევკრიბოთ მასალები ბალის კუნძულის ძველი ცეკვების შესახებ და მუსიკალურად და ქორეოგრაფიულად აღვადგინოთ ისინი.

- ესე იგი, უნდა შეარჩიოთ მოცეკვავე ქალები და შექმნათ ანსამბლი? - გაიცინა დარ ვეტერმა.

- დიახ, - თავი დახარა ტორ ანმა.

- საინტერესო დავალებაა! მაგრამ ესეც, როგორც ტბის გზა, ჯგუფური საქმეა.

- ო, ჩვენ კარგი ჯგუფი გვყავს! მაგრამ ისინიც გთხოვენ, რომ მათი მენტორიც იყოთ. ეს ისე კარგი იქნებოდა.

დარ ვეტერმა ეჭვი გამოთქვა - მეექვსე საქმის შესრულების ხელმძღვანელობა გამიჭირდებაო. მაგრამ ბიჭებს სახე გაუნათდათ, სიხარულისაგან ხტუნვა დაიწყეს, განუმარტეს, რომ „თვით“ ზიგ ზორი დაპირდათ მეექვსე საქმის ხელმძღვანელობას.

- წლისა და ოთხი თვის შემდეგ შუა აზიაში გამოძებნი საქმეს, - წაილაპარაკა დარ ვეტერმა, თანაც კმაყოფილი მისჩერებოდა ახალგაზრდის ბედნიერ სახეს.

- რა კარგია, რომ სადგურების გამგეობას თავი დაანებეთ! - წამოიყვირა დის კენმა. - არც კი ვფიქრობდი თუ ასეთ მენტორთან ვიმუშავებდი! - მოულოდნელად ახალგაზრდა ისე გაწითლდა, რომ შუბლზე ოფლი წვეთებად დაასხდა. ხოლო უკმაყოფილებით აღსავსე ტორი ცოტა განზეც გადგა.

დარ ვეტერი სწრაფად ალაპარაკდა, რათა გრომ ორმის შვილს დაშვებული შეცდომის გასწორებაში დახმარებოდა.

- დრო ბევრი გაქვთ?

- ო, არა! სამი საათით გამოგვიშვეს - ჩვენს ჭაობის სადგურზე ციებ-ცხელებით დაავადებული მოვიყვანეთ.

- მაშ ასე, ციებ-ცხელება ისევ გამოჩნდება ხოლმე! - მე კი მეგონა...

- ძალიან იშვიათად და მხოლოდ ჭაობებში, - აჩქარებით შენიშნა დისმა. - ჩვენც ამისათვის ვართ!

- ჩვენს განკარგულებაში კიდევ ორი საათია. წავიდეთ ქალაქში, თქვენ ალბათ სიახლის სახლის ნახვა გაინტერესებთ?

- ო, არა! გვინდოდა... რამდენიმე კითხვაზე გეპასუხათ. - ჩვენ მოვემზადეთ, ეს ძალიან საჭიროა გზის ასარჩევად...

დარ ვეტერი დათანხმდა და სამივენი ზღვის ხელოვნური ქარით ავსებული დარბაზის ერთ-ერთი გრილი ოთახისაკენ გაემართნენ.

ორი საათის შემდეგ სავარძელში დაღლილად მთვლემარე დარ ვეტერი სხვა ვაგონმა წაიყვანა. მან ქიმიკოსების ქალაქის გაჩერებაზე გამოიღვიძა. მინის ათქიმიანი ვარკსვლავის მსგავსი გიგანტური შენობა ქვანახშირის დიდ საბადოზე შემართულიყო. აქ მოპოვებული ქვანახშირისაგან წამალს, ვიტამინებს, ჰორმონებს, ხელოვნურ აბრეშუმსა და ბეწვეულს, ნარჩენებისაგან კი შაქარს ამზადებდნენ. შენობის ერთ-ერთ

ქიმში ქვანახშირისაგან ღებულობდნენ იშვიათ ლითონებ - ჰერმანიუმსა და ვანადიუმს. რა არ ერია ძვირფას შავ მინერალში!

სადგურზე გამოვიდა დარ ვეტერის ძველი ამხანაგი, რომელიც აქ ქიმიკოსად მუშაობდა. ოდესღაც იყო სამი მხიარული ახალგაზრდა მექანიკოსი, მუშაობდნენ ტროპიკულ სარტყელში მოსავლის ამღები მანქანების ინდონეზიის სადგურში... ახლა ერთი მათგანი ქიმიკოსია, მსხვილი ქარხნის დიდ ლაბორატორიას ხელმძღვანელობს, მეორე ისევ მებაღედ დარჩა, დამტვერის ახალი ხერხი გამოიგონა, მესამე კი - მესამე თვითონვეა, დარ ვეტერი, რომელიც ისევ უბრუნდება მიწის წიაღს, კიდევ უფრო ღრმად - მიწის გულს. მეგობრებმა ათიოდე წუთით მოასწრეს შეხვედრა, მაგრამ ასეთი პაემანი ბევრად უფრო სასიამოვნო იყო, ვიდრე ტვფ-ს ეკრანზე ნახვა ერთმანეთისა.

შემდგომი გზა მოკლე აღმოჩნდა. განედური საჰაერო გზების გამგემ შეისმინა დაჟინებული მტკიცება, გამოავლინა რკალის ეპოქის ადამიანებისათვის დამახასიათებელი კეთილშობილება. დარ ვეტერმა გადაიფრინა ოკეანე და გზის

დასავლეთ ტოტზე აღმოჩნდა, მეჩვიდმეტე განშტოების სამხრეთით. განშტოების ჩიხში ოკეანის ნაპირზე იგი გლისერში გადაჯდა.

მაღალი მთები ნაპირს ეკვროდა. დამრეცი კლდეების ძირას თეთრი ქვების ტერასები გადიოდა, რომლებიც სამხრეთის ფიჭვებისა და ვიდრინგტონიების[53] რიგებით ნიადაგის ცვენას აჩერებდა. ბრინჯაოსფერი და მოცისფრო-მომწვანო წიწვებიანი ხეების ხეივნები ერთმანეთს ენაცვლებოდა. მაღლა შიშველ კლდეებს ბნელი გამოქვაბულები პირებივით დაებჩინათ, რომელთა სიღრმეშიც ჩანჩქერები წყლის მტვერივით იმსხვრეოდა. ტერასებზე ლურჯი და ნაცრისფერი სახურავებიანი სახლები ჯაჭვით გაჭიმულიყო. სახლები ნარინჯისფრად ან ღია ყვითლად იყო შეღებილი.

შორს ზღვაში ხელოვნური მეჩეჩი ჩანდა, რომელიც ტალღებს ცემისაგან გარეცხილი კოშკით მთავრდებოდა. იგი მატერიკის კლდის განაპირას იდგა. კლდე ციცაბოდ ეშვებოდა ოკეანეში მთელი კილომეტრის სიღრმეზე. კოშკის ქვეშ ცემენტის ღრმა წყლის წნევის გამძლე სქელი მილის მსგავსი ვეებერთელა ჩაკიდული შახტი გადიოდა. ფსკერზე მილი წყალქვეშა გორის წვერში ეფლობოდა. გორაკი მთლიანად სუფთა რუტილისაგან - ტიტანის ჟანგისაგან შედგებოდა. მადნის გადამუშავების მთელი პროცესი დაბლა წარმოებდა, წყლისა და მთების ქვეშ. ზედაპირზე მხოლოდ სუფთა ტიტანის მსხვილი ფილები ამოჰქონდათ და მინერალური ნარჩენების ნალექი

ამოდიოდა, რომელიც გარშემო დიდ მანძილზე ვრცელდებოდა. ამ ყვითელმა ჭუჭყიანმა ტალღებმა აათამაშეს გლისერი კოშკის სამხრეთ ნაპირის მისადგომთან. დარ ვეტერმა დრო შეარჩია და შხეფებისაგან დასველებულ მოედანზე გადმოხტა. გადატიხრულ დერეფანში ავიდა, სადაც მორიგეობისაგან თავისუფალი რამდენიმე ადამიანი ახალი ამხანაგის შესახვედრად შეგროვილიყვნენ.

ასე გადაკარგული მაღაროს მუშაკები, რომლებიც მას შეხვდნენ, სულაც არ ჰგავდნენ მოღუშულ განდეგილებს, როგორებადაც ისინი დარ ვეტერს თავისი განწყობილების გავლენით წარმოედგინა. მას მუშაობისგან ოდნავ დაღლილი მხიარული სახეები შეეგება. ხუთი მამაკაცი, სამი ქალი - აქ ქალებიც მუშაობდნენ... გავიდა ათი დღე და დარ ვეტერმა ახალი საქმიანობა აითვისა.

აქ საკუთარი ძალისმიერი მეურნეობა იყო - ძველი ნამუშევრების სიღრმეში ე ტიპის, ანუ როგორც წინათ ეძახდნენ, მეორე ტიპის ატომგულის ენერგიის დანადგარები დაეფარათ. ეს ენერგია უხეშ გამოსხივებას არ იძლეოდა, ამიტომაც ადგილობრივი დანადგარებისათვის გამოდგებოდა.

მანქანების რთული კომპლექსი წყლისქვეშა მთების ქვიან ნიადაგზე მოძრაობდა, აზიზ მორუხო-წითელ მინერალში ეფლობოდა. მანქანას ნიშანი მაღლა მყოფი ცენტრალური პოსტიდან მოსდიოდა. ზევით ანზოგადებდნენ დამჭრელი და სამსხვრევი, ნიადაგის სიმკვრივისა და სიბლანტის შემცველი მანქანების მუშაობის შედეგებს და სველად გამაუხვებელი ლულების ცნობებს. ლითონის შემადგენლობის ცვლილებასთან ერთად იზრდებოდა ან მცირდებოდა ამომღებსამსხვრევი აგრეგატების სიჩქარე. მექანიკოსების მთელი შემმოწმებელდამკვირვებელი მოღვაწეობა შეუძლებელი იყო კიბერნეტიკულ მანქანარობოტებს შეესრულებინათ, რადგანაც ზღვისაგან დაცული სამოქმედო ადგილი ძალზე შეზღუდული იყო.

დარ ვეტერმა ქვედა აგრეგატის შემოწმებასა და აწყობაზე დაიწყო მექანიკოსად მუშაობა. გაჭიანურდა ყოველდღიური მორიგეობა ნახევრად ბნელ, ციფერბლატებით ავსებულ კამერებში, სადაც კონდენციონის ტუმბო ძლივს არეგულირებდა თავბრუდამხვევ სიცხეს. სიცხეს ადიდებდა წნევა, რომელიც შეკუმშული ჰაერის გაჟონვის გამო იზრდებოდა.

დარ ვეტერი და მისი ახალგაზრდა თანაშემწე ამოდიოდნენ ზევით, ხანგრძლივად იდგნენ ბალუსტრადაზე, სუნთქავდნენ სუფთა ჰაერს, შემდეგ საბანაოდ მიდიოდნენ, ჭამდნენ და ერთ-ერთ ზედა სახლში მათთვის გამოყოფილ ოთახებს მიაშურებდნენ ხოლმე. დარ ვეტერი ცდილობდა თავისი მეცადინეობა მათემატიკის ახალი, კოჰლეარული განყოფილებით შეევსო. ეჩვენებოდა, რომ კოსმოსთან ურთიერთობა უკვე გადაივიწყა. ტიტანის საბადოს ყველა მუშაკივით, კმაყოფილებით მიაცილებდა ტიტანის ძელებით საგანგებოდ დატვირთულ მორიგ ტივს. პილარული ფრონტების შემცირების შემდეგ პლანეტაზე ქარიშხლები ძალიან შესუსტდა და საზღვაო ტვირთზიდვა მნიშვნელოვან წილად საბუქსირო ან თვითმავალი ტივებით წარმოებდა. როცა საბადოზე მომუშავე ადამიანთა შემადგენლობა იცვლებოდა, დარ ვეტერმა სამთო სამუშაოების ორ სხვა ენთუზიასტთან ერთად გააგრძელებინა აქ ყოფნის ვადა.

ამ ცვალებად ქვეყანაზე მარადიული არაფერია. ამომღებ-სამსხვრევი აგრეგატების შეკეთება დაიწყეს და მაღარომ მუშაობა შეწყვიტა. დარ ვეტერი პირველად ჩაძვრა სანგრევში ფართან, სადაც მხოლოდ სპეციალური სკაფანდრით შეიძლებოდა თავის დაცვა სიცხისა და ამაღლებული წნევისაგან, აგრეთვე ნაპრალებიდან გამომსკდარი

მოწამლული გაზების მოულოდნელი ნაკადისაგან. რუხი რუტილის კედლები დამაბრმავებელ სინათლეში თავისი განსაკუთრებული ატომმასის

ბრჭყინვალებით ელვარებდა და წითელ ნაპერწკლებშეფრქვეულს ჰგავდა, თითქო მინერალში მიმალული გაცოფებული თვალები იცქირებაო. სანგრევში არაჩვეულებრივი სიჩუმე იდგა. ნაპერწკლური ელექტროჰიდრავლიკური სატეხი და ულტრამოკლე ტალღების გამომასხივებელი ვეებერთელა დისკოები პირველად მრავალი თვეების მანძილზე უძრავად გარინდულიყვნენ. მათ ქვეშ ახლახან მოსული გეოფიზიკოსები ფუსფუსებდნენ, ილაგებდნენ ხელსაწყოებს, სურდათ შემთხვევით ესარგებლათ და ბუდობის კონტურები შეემოწმებინათ.

სამხრეთული შემოდგომის წყნარი და ცხელი დღეები იდგა. დარ ვეტერი მთებში წავიდა და განსაკუთრებით მწვავედ იგრძნო ათასი წლების მანძილზე ზღვისა და ცის წინაშე უძრავად შეტოტებული ქვის მასების სიდიადე. შრიალებდა ხმელი ბალახი, ქვევიდან ძლივს აღწევდა ტალღების შხაპუნი. დაღლილი სხეული მოსვენებას ითხოვდა, მაგრამ გონება ხარბად ებღაუჭებოდა სამყაროს შთაბეჭდილებებს, მიწისქვეშეთში ხანგრძლივი და მძიმე შრომის შემდეგ განახლებულებს.

საგარეო სადგურების ყოფილი გამგე სუნთქავდა გამთბარი კლდეებისა და უდაბნოს ყვავილების სურნელებას და სჯეროდა, რომ წინ კიდევ ბევრი კარგი ელის, - მით უფრო მეტი, რაც უფრო უკეთესი და ძლიერი იქნება თვითონ.

„საქციელს დასთესავ - ჩვეულებას მოიმკი.

ჩვეულებას დასთესავ - ხასიათს მოიმკი. ხასიათს

დასთესავ - ბედ-იღბალს მოიმკი“, -

გაახსენდა ძველი ნათქვამი. დიახ, კაცობრიობას ეგოიზმთან მოუხდა ყველაზე დიდი ბრძოლის გადატანა! ბრძოლა არა სენტიმენტალური წესებითა და ლამაზი, მაგრამ უსარგებლო მორალით, არამედ დიალექტიკური შეგნებით; იმის შეგნებით, რომ ეგოიზმი რაღაც ბოროტების ძალთა ნაყოფი კი არ არის, არამედ პირველყოფილი ადამიანების ბუნებრივი ინსტინქტია. იგი მიმართული იყო თავის შენარჩუნებისაკენ და ადამიანის მხეცურ ცხოვრებაში დიდი როლი შეასრულა. ამიტომაც ნათელ, მძლავრ ინდივიდებში ხშირად მძლავრია ეგოიზმიც და ძნელია მისი დამარცხება, მაგრამ ასეთი გამარჯვება უმნიშვნელოვანესი რამ არის თანამედროვე საზოგადოებისათვის. ამიტომაც ასე ბევრი ძალა და დრო იხარჯება აღზრდისათვის, ასე გულდასმით სწავლობენ თვითეული ადამიანის შთამომავლობით სტრუქტურას. რასებისა და ხალხების დიდი შერევის დროს, პლანეტაზე შექმნილ ერთიან ოჯახში, უეცრად, შთამომავლობის სიღრმიდან, სრულიად მოულოდნელად შორეულ წინაპართა ხასიათის თვისებები იჩენდა თავს. ხდება ფსიქიკის გასაოცარი გადახრაც. ეს სამყაროს გათიშვის ერის დიდი უბედურების დროიდან შემორჩა, როცა

ადამიანები ცდების ჩატარებაში სიფრთხილეს არ იჩენდნენ, იყენებდნენ ატომგულის ენერგიას და მრავალი ადამიანის შთამომავლობის ზიანი მიაყენეს...

დარ ვეტერსაც წინათ გრძელი საგვარეულო ნუსხა ჰქონდა, ახლა ყველასათვის უსარგებლო. წინაპრების შესწავლა მემკვიდრეობითი მექანიზმის აგებულობის პირდაპირმა ანალიზმა შეცვალა. ეს ანალიზი უფრო მნიშვნელოვანია ახლა, სიცოცხლის გახანგრძლივების პირობებში. საერთო შრომის ერის შემდეგ სიცოცხლე ასსამოცდაათ წელს გრძელდება, ახლა კი ირკვევა, რომ ზღვარი სამასი წელიც არ არის...

ქვების ჩხრიალმა დარ ვეტერი აიძულა რთული და ბუნდოვანი ფიქრებისგან გამორკვეულიყო. ველზე მაღლიდან ორნი ეშვებოდნენ - ელექტროდნობის სექციის ოპერატორი - მორცხვი და ჩუმი ქალი - და შიდასამსახურის პატარა მკვირცხლი ინჟინერი. ორთავენი, ჩქარი სიარულისაგან აწითლებულები, მიესალმენ დარ ვეტერს და გვერდის ჩავლას აპირებდნენ, მაგრამ მან გააჩერა ისინი.

- დიდი ხანია ვაპირებ გთხოვოთ, - მიმართა ოპერატორს, - ჩემთვის დაუკრათ მეცამეტე კოსმოსური ლურჯი ფა-მინორი, თქვენ ბევრს უკრავთ, მაგრამ იგი ერთხელაც არ შეგისრულებიათ.

- თქვენ ზიგ ზორის კოსმოსურს გულისხმობთ? - ჰკითხა ქალმა და დარ ვეტერის თანხმობის ნიშანზე გაიცინა.

- პლანეტაზე ცოტანი არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც მის შესრულებას შეძლებენ. სამმაგ კლავიატურიანი მზის როიალი ღარიბია, საიმისო ნოტები ჯერ არ არის... ალბათ არც იქნება. მაგრამ რატომ არ გამოიძახებთ უმაღლესი მუსიკის ხალხს? - დაუკრან ჩანაწერი. ჩვენი მიმღები უნივერსალური და საკმაოდ მძლავრია.

- არ ვიცი ეგ როგორ კეთდება, - წაიბუტბუტა დარ ვეტერმა, - წინათ არ...

- მე გამოვიძახებ საღამოს! - დაჰპირდა მუსიკოსი, თანამგზავრს ხელი გაუწოდა და გზა განაგრძო.

დღის დარჩენილი დროის მთელ მანძილზე დარ ვეტერს ისეთი გრზნობა ჰქონდა, რომ რაღაც მნიშვნელოვანი უნდა მომხდარიყო. საოცარი მოუთმენლობით ელოდა თერთმეტ საათს - უმაღლესი მუსიკის სალხის მიერ სიმფონიის გადასაცემად დანიშნულ დროს.

ელექტროდნობის ოპერატორმა გამგებლის როლი იკისრა. დარ ვეტერი და სხვა მოყვარულები მუსიკალური დარბაზის ნახევრად-სფეროსებული ეკრანის ფოკუსში, გამახმოვანებლის ვერცხლის ღობურის პირდაპირ დასხა. შემდეგ ჩააქრო შუქი, განმარტა, რომ სხვაგვარად ძნელი იქნება სიმფონიის ფერადი ნაწილისათვის თვალის დევნება, რომელიც მხოლოდ სპეციალურად მოწყობილ დარბაზში შეიძლება შესრულდეს და აქ ეკრანის შინაგანი სივრცით უნებურად იზღუდებაო.

სიბნელეში მხოლოდ სუსტად ციმციმებდა ეკრანი და შიგნიდა ოდნავ ისმოდა ზღვის განუწყვეტელი ხმაური. სადღაც წარმოუდგენლად შორს დაიბადა დაბალი ხმა, ისეთი ხშირი, რომ საგრძნობ ძალად ეჩვენებოდათ. იგი ძლიერდებოდა, არხევდა ოთახსა და მსმენელთა გულებს. უცებ ჩაქრა, უმაღლეს ტონებში დაიმსხვრა და ბროლის მილიონ ნამტვრევად გაიფანტა. ბნელ ჰაერში პაწაწკინტელა ნარინჯისფერი ნაპერწკლები აციმციმდა. ეს თითქო პირველყოფილი ელვის ის დარტყმა იყო, რომელმაც მილიონი საუკუნეების წინათ დედამიწაზე ნახშირბადის უბრალო შენაერთები უფრო რთულ ისეთ მოლეკულებად, რომლებიც ორგანული მატერიისა და სიცოცხლის საფუძვლად იქცნენ.

მოვარდა საგანგაშო და აუწყობელი ბგერების ტალღა, ტკივილის, დარდისა და იმედგაცრუების ათასხმოვანი ქორო. მათზე დამატებით ციმციმებდა და ქრებოდა მეწამული და წითელი ელფერის ნაპერწკლები.

მოკლე და მკვეთრ მთრთოლავ ჰანგებში წრიული წესი იგრძნობოდა და ამიტომაც მაღლა რუხი ცეცხლის მქრქალი სპირალი დაბზრიალდა. მოულოდნელად მბრუნავი

ქორო გრძელმა - ამაყმა და წკრიალა ნოტებმა გაჰკვეთა. ისინი მძაფრი ძალებით იყო ავსებული.

სივრცის გამოუკვეთავ ბრიალა კონტურებს ლურჯი ცეცხლოვანი ისრების მკვეთრი ხაზები ჰკვეთდა. ისრები სპირალის განაპირას უძირო სიბნელეში მიფრინავდა და საშინელებასა და უკუნეთში იკარგებოდა. სიბნელე და დუმილი - ასე დასრულდა სიმფონიის პირველი ნაწილი.

ოდნავ გაოგნებულმა მსმენელებმა სიტყვის წარმოთქმაც ვერ მოასწრეს - მუსიკა განახლდა. მძლავრი ბგერების ფართო კასკადები მრავალფეროვანი დამაბრმავებელი შუქის თანხლებით ძირს ეცემოდა, დაბლდებოდა, სუსტდებოდა, მოციმციმე შუქის მელანქოლიურ რიტმში იკარგებოდა. შემდეგ რაღაც ვიწრო და ფიცხი აცახცახდა დაშვებულ კასკადებში და ლურჯმა ნაპერწკლებმა რიტმული ცეკვით ისევ ამაღლება იწყეს.

გაოცებულმა დარ ვეტერმა ლურჯ ბგერებში გართულებული რიტმისა და ფორმისაკენ

მისწრაფება დაინახა და გაიფიქრა, რომ სიცოცხლის პირველყოფილი ბრძოლა ენთოპიასთან შეუძლებელია უკეთ აისახოსო... საფეხურები, ნაფოტები, ენერგიის დაბალ დონემდე დაშვებული კასკადების დამჭერი ფილტრები. „დიახ, ასეა! აი ისინიც, მატერიის ურთულესი ორგანიზაციის პირველი შედეგი!“ ლურჯი ისრები გეომეტრიული ფიგურების, კრისტალური ფორმებისა და ღობურების ფერხულში ჩაებნენ. ისინი ართულებდნენ მინორული ხმოვანების შესაბამის შეთანხმებას, იფანტებოდნენ, ერთდებოდნენ და მოულოდნელად დნებოდნენ რუხ ბურუსში.

სიმფონიის მესამე ნაწილი ბანის ნოტების ზომიერი სვლით დაიწყო. მის ტაქტზე ენთებოდა და ქრებოდა დროისა და უსასრულობის ბნელში მიმავალი ნათურები. მრისხანედ მომდინარე ბანების ნაკადი გაძლიერდა, რიტმი გახშირდა, წყვეტილ და ავბედით მელოდიაში გადაიზარდა. ლურჯი ნაპერწკლები ელვების წვრილ ღეროებზე მთრთოლავ ყვავილებს ჰგავდა. დაბალი, მქუხარე და მობუბუნე ნოტების შემოტევაზე ნაღვლიანად იხრებოდნენ, შორეთში ქრებოდნენ. მაგრამ ნაპერწკლებისა თუ

ნათურების რიგი უფრო ხშირი ხდებოდა, ხოლო ღეროები - უფრო წვრილი. აი ორმა ცეცხლის ზოლმა უსაზღვრო სიშავეში მიმავალი გზა მოხაზა და სამყაროს უსასრულობაში სიცოცხლის ოქროსფერი წკრიალა ხმები გაცურდა. იგი მოძრავი მატერიის მჭმუნვარე გულგრილობას შესანიშნავი სითბოთი აბურებდა. ბნელი გზა მდინარედ, ლურჯი ცეცხლის გიგანტურ ნაკადად იქცა, რომელშიც მრავალფეროვან ალთა გამონაშუქი ციმციმებდა და ნახჭს სულ უფრო ართულებდა.

მომრგვალებული მდორე ხაზების, სფერული ზედაპირების უმაღლესი შეთანხმება ისევ მშვენიერი იყო, როგორც დაძაბული მრავალსაფეხურიანი აკორდები, რომელთა შესაცვლელადაც სწრაფად იზრდებოდა და სულ უფრო მძლავრად და მძლავრად იშლებოდა რთული წკრიალა მელოდიები...

დარ ვეტერს თავბრუ დაეხვა. უკვე აღარ შეეძლო თვალყური ედევნებინა მუსიკისა და სინათლის ყველა ელფერისათვის. მხოლოდ გოლიათური ჩანაფიქრის საერთო კონტურებს იჭერდა. მაღალი, კრისტალურად სუფთა ნოტების მხიარულ ლურჯფერად მანათობელი ოკეანე უფრო მაღლდებოდა - თვით მელოდია გაშმაგებით

დაბზრიალდა, სპირალურად გაემართა ზევით და ზევით, სანამ აფრენისას არ გაწყდა და დამაბრმავებელ ცეცხლში არ გაეხვია.

სიმფონია დასრულდა და დარ ვეტერმა იგრძნო, თუ რა აკლდა ამ ხანგრძლივი თვეების განმავლობაში. აუცილებელი იყო სამუშაო, რომელიც უფრო ახლო იდგა კოსმოსთან, მომავლისაკენ კაცობრიობის მისწრაფების უსასრულოდ დახვეულ სპირალთან. იგი მუსიკალური დარბაზიდან პირდაპი სალაპარაკო ოთახში გაემართა და ჩრდილოეთ საცხოვრებელი ზონის სამუშაოთა გამანაწილებელი ცენტრალური სადგური გამოიძახა. ახალგაზრდა ინფორმატორმა, რომელმაც დარ ვეტერი აქ, საბადოზე გამოგზავნა, იცნო იგი და გაეხარდა.

- დღეს დილით ვარსკვლავმფრენის საბჭომ გამოგიძახათ, მაგრამ დაკავშირება ვერ მოვახერხე. ახლა შეგაერთებთ.

ეკრანი ჩაქრა და ისევ აენთო. გამოჩნდა მირ ომი - უფროსი მდივანი საბჭოს ოთხ მდივანთაგან. იგი ძალიან სერიოზული და, როგორც დარ ვეტერს მოეჩვენა, ნაღვლიანი ჩანდა.

- დიდი უბედურება მოხდა! დაიღუპა ორმოცდამეჩვიდმეტე თანამგზავრი. საბჭო გეძახით უმძიმესი სამუშაოს შესასრულებლად. გიგზავნით იონურ პლანეტმფრენს. მზად იყავით! დარ ვეტერი ჩამქრალი ეკრანის წინ გაკვირვებისაგან გაირინდა.

თავი VIII. წითელი ტალღები

ობსერვატორიის ფართო აივანზე ქარი თავისუფლად დანავარდობდა. მას აფრიკიდან ზღვაზე გადმოჰქონდა ცხელი ქვეყნის აყვავილებული მცენარეების სურნელება, რაც სულში მშფოთვარე მისწრაფებებს აღვიძებდა. მვენ მასი ვერ ახერხებდა თავი დაეღწია ეჭვიანობისაგან, მტკიცე, საღი განწყობილება დაებრუნებინა, ეს კი საჭირო იყო საპასუხისმგებლო გამოცდის წინა დღით. რენ ბოსმა ტიბეტიდან აცნობა, რომ კორა იულის დანადგარის გადაკეთება დამთავრდა. 57-ე თანამგზავრის ოთხი დამკვირვებელი სიხარულით დათანხმდა სიცოცხლე ხიფათში ჩაეგდოთ, ოღონდაც დახმარებოდნენ ცდის ჩატარებაში, რომლის მსგავსიც პლანეტაზე დიდი ხანია არ ჩატარებულა.

მაგრამ ცდა საბჭოს ნებართვის გარეშე დააყენეს, არ ჩატარებულა ყველა შესაძლებლობათა წინასწარი განხილვა. ეს მთელ საქმეს მშიშრული საიდუმლოების ელფერს აძლევდა, რაც აგრერიგად შეუფერებელია თანამედროვე ადამიანებისათვის.

მათ მიერ დასახული დიადი მიზანი თითქო ყველა ამ ზომებს ამართლებდა, მაგრამ... საჭიროა სავსებით სუფთა იყოს! წარმოიშვა კაცობრიობის ძველი კონფლიქტი მიზანსა და მიღწევის საშუალებებს შორის. ათასობით თაობის გამოცდილება გვასწავლის, რომ უნდა შეგვეძლოს შესაძლებელი გადასასვლელი ზღვრის განსაზღვრა, როგორც ხდება რეგულარული გამოთვლის მათემატიკის აბსტრაქტულ საკითხებში. როგორ უნდა მივაღწიოთ ასეთ გამოთვლას ინტუიციასა და მორალში?..

აფრიკელს მოსვენებას არ აძლევდა ბეტ ლონის ისტორია. ოცდათორმეტი წლის წინათ დედამიწის ერთ-ერთმა ცნობილმა მათემატიკოსმა ბეტ ლონმა აღმოაჩინა, რომ ურთიერთქმედებისას მძლავრი ძალისმიერი ველების შერევის ზოგიერთი ნიშანი შეიძლება პარალელურ განზომილებათა არსებობით იქნას ახსნილი. მან დააყენა საინტერესო ცდების სერია საგნების გაქრობის შესახებ. ცოდნის ზღვრების აკადემიამ მის აგებებში შეცდომა იპოვა და მოვლენებზე წარმოებულ დაკვირვებებს პრინციპულად სხვაგვარი განმარტება მისცა. ბეტ ლონი ვეებერთელა აზრის ადამიანი იყო, მაგრამ სუსტმა მორალურმა განვითარებამ და სურვილების ნაძალადევმა დაოკებამ იგი ჰიპერტროფირებამდე მიიყვანა, ძლიერმა და ეგოისტმა კაცმა გადაწყვიტა

ცდები იმავე მიმართულებით გაეგრძელებინა. გადამწყვეტი საბუთის მისაღებად მან შემოიკრიბა მამაცი ახალგაზრდა მოხალისეები, რომლებიც ცოდნის მისაღებად მზად იყვნენ ყოველგვარი გმირობა ჩაედინათ. ბეტ ლონის ცდებში ადამიანები უკვალოდ ქრებოდნენ, ისე როგორც საგნები, და არც ერთი მათგანი არ იძლებოდა ცნობას „იმ მხრიდან“, მეორე განზომილებიდან, როგორც

მკაცრ მათემატიკოსს ჰქონდა გათვალისწინებული. როცა ბეტ ლონმა „არარაობაში“ გაგზავნა - უფრო ზუსტად, უბრალოდ მოსპო - თორმეტი ადამიანისაგან შემდგარი ჯგუფი, იგი სასამართლოს გადასცეს. მან შეძლო დაესაბუთებინა თავისი რწმენა, რომ ადამიანები ცოცხლები მოგზაურობენ სხვა განზომილებებში. ამასთან მხოლოდ თავის მსხვერპლთა თანხმობით მოქმედებდა. ამიტომ ბეტ ლონს განდევნა მიუსაჯეს. ათი წელი მერკურზე გაატარა, ხოლო შემდეგ დავიწყების კუნძულზე განმარტოვდა. მვენ მასის აზრით, ბეტ ლონის ისტორია მის თავგადასავალს ჰგავდა. ბეტ ლონსაც აუკრძალეს საიდუმლო ცდა, რომელიც მეცნიერების მიერ უარყოფილი მოტივების მიხედვით იყო დაყენებული. ეს მსგავსება მვენ მასს ძალიან არ მოსწონდა.

ზეგ რკალში მორიგი გადაცემაა და შემდეგ რვა დღით ცდისათვის თავისუფალია.

მვენ მასმა თავი ასწია. ვარსკვლავები განსაკუთრებით ნათელი და მახლობელი მოეჩვენა. ბევრ მათგანს ძველი მეგობარივით ძველი სახელით იცნობდა, და მართლაც განა ადამიანების ჭეშმარიტი მეგობრები არ იყვნენ? - წარმართავდა მზის გზას, ამაღლებდნენ აზრებს, ახალისებდნენ ოცნებებს!

ჩრდილოეთ ჰორიზონტისაკენ დახრილი ბუნდოვანი ვარსკვლავი - ეს პორალური ანუ გამა ცეფეს ვარსკვლავია. სამყაროს გათიშვის ერაში პორალური ვარსკვლავი პატარა დათვის თანავარსკვლავედში იყო, მაგრამ გალაქტიკის კიდურა ნაწილი მზის სისტემასთან ერთად ცეფეს მიმართულებით მიდის. ზევით, ირმის ნახტომისაკენ ყელგაწვდილ გედს, ჩრდილოეთის ცის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო თანავარსკვლავედს, თავისი გრძელი ყელი უკვე სამხრეთისაკენ გაუწელია. მასში ანთია ულამაზესი ორმაგი ვარსკვლავი, რომელსაც ძველმა არაბებმა ალიბირეო უწოდეს. სინამდვილეში იქ სამი ვარსკვლავია: ალიბირეო I ორმაგი და ალიბირეო II - ვეებერთელა ცისფერი შორეული ვარსკვლავი, რომელსაც დიდი საპლანეტო სისტემა აქვს. იგი თითქმის ისეთივე მანძილითაა დაცილებული ჩვენგა, როგორითაც გედის დენების კუდში მოთავსებული გიგანტური მნათობი - ოთხიათას რვაასი ჩვენი მზის

ნათების ძალის თეთრი ვარსკვლავი. წინა გადაცემის დროს გედის 61-ზე მცხოვრებმა ჩვენმა ერთგულმა მეგობარმა დაიჭირა ალიბირეო II-ის მომართვა - გამოგზავნიდან საინტერესო წლის გავლის შემდეგ მიღებული, მაგრამ მაინც ძალიან საინტერესო გაფრთხილება. ალიბირეო II-ზე მცხოვრები კოსმოსის ცნობილი მკვლევარი, რომლის სახელიც მიწის ბგერებით გადმოიცემოდა როგორც ვლიხ ოზ დიზ, დაიღუპა ქნარის თანავარსკვლავედში, სადაც კოსმოსის

ყველაზე მრისხანე საშიშროებას - ვარსკვლავ ოოკრს შეხვდა. დედამიწელი მეცნიერები ამ ვარსკვლავებს ე კლასს აკუთვნებდნენ. ასე უწოდებდნენ ძველი დროის უდიდესი ფიზიკოსის ეინშტეინის საპატივსაცემოდ. ეინშტეინმა ივარაუდა ასეთი ვარსკვლავების არსებობა, თუმცა შემდგომში ეს დიდხანს იყო დავის საგანი. დადგენილ იქნა ვარსკვლავის მასის ზღვარი, რომელიც ჩანდრასეკარის ზღვრის სახელწოდებით იყო ცნობილი. მაგრამ ეს ძველი ასტროფიზიკოსი თავის გაანგარიშებებში მიზიდულობის ელემენტარული მექანიკიდან და საერთო თერმოდინამიკიდან გამოდიოდა, სრულებითაც არ ღებულობდა მხედველობაში გიგანტური და ზეგიგანტური ვარსკვლავების რთულ ელექტრომაგნიტურ სტრუქტურას. მაგრამ სწორედ ელექტრომაგნიტურმა ძალებმა დაასაბუთეს ე ვარსკვლავების არსებობა. ეს ვარსკვლავები თავიანთი სიდიდით

მეტოქეობას უწევდნენ მ კლასის წითელ გიგანტებს, როგორებიც არის ანტარესი და ბეტელგეიზი, მაგრამ მათგან განირჩეოდნენ დიდი, თითქმის მზის სიმკვრივის თანაბარი სიმკვრივით. ასეთი ვარსკვლავის მიზიდულობის ბუმბერაზული ძალა აჩერებდა გამოსხივებას, საშუალებას არ აძლევდა შუქს მიეტოვებინა ვარსკვლავი და სივრცეში გაფრენილიყო. სივრცეში უსასრულოდ დიდხანს არსებობდნენ ეს წარმოუდგენლად ვეებერთელა საიდუმლო მასები, ფარულად ყლაპავდნენ თავიანთ ინერტულ ოკეანეში ყველაფერს, რასაც კი მათი მიზიდულობის აუცდენელი საცეცები მისწვდებოდა. ძველ ინდურ რელიგიურ მითოლოგიაში უმაღლესი ღვთაების უსაქმური მყუდროების პერიოდები „ბრამას ღამეებად“ იწოდებოდა. ძველთა რწმენით ამ ღამეებს „დღეები“, ანუ ქმნის პერიოდები ცვლიდა. ეს მართლაც მატერიის ხანგრძლივ დაგროვებას ჰგავდა, რომელიც შემდგომში ვარსკვლავის ზედაპირის ნულოვანიდან ასი ათასი გრადუსიანი კლასის ვარსკვლავამდე გახურებით დასრულდა, თუმცა ამ პროცესს ღვთაებასთან არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონია. ბოლოს და ბოლოს მოხდა კოლოსალური აფეთქება, რომელმაც სივრცეში ახალი ვარსკვლავები და ახალი პლანეტები მიმოფანტა. ასე აფეთქდა ოდესღაც კიბორჩხალის ნისლეული, რომელსაც ახლა ორმოცდაათი ბილიონი კილომეტრი დიამეტრი აქვს. ეს

აფეთქება თავისი ძალით მომაკვდინებელი წყალბადის კვადრილიონი ყუმბარის ერთდროულ აფეთქებას უდრიდა.

სავსებით ბნელი ე ვარსკვლავების მიკვლევა სივრცეში მხოლოდ მათი მიზიდულობის ძალით ხდებოდა და ამ ურჩხულის მახლობლად გამვლელი ვარსკვლავმფრენის დაღუპვა გარდაუვალი იყო. ტ - სპექტრალური კლასის უხილავი ინფრაწითელი ვარსკვლავები ისევე სახიფათო იყო ხომალდების

მგზავრებისათვის, როგორც მსხვილი ნაწილაკების ბნელი ღრუბლები ან ტტ კლასის სავსებით გაყინული სხეულები.

მვენ მასმა გაიფიქრა, რომ დიდი რკალის შექმნა, რითაც ერთმანეთს დაუკავშირდა გონიერი არსებებით დასახლებული სამყაროები, დედამიწისათვის და შესაბამისად თვითეული დასახლებული პლანეტისათვის უდიდეს რევოლუციას წარმოადგენდა. უპირველესად - ეს იყო გამარჯვება დროზე, ცხოვრების ვადის ხანმოკლეობაზე, რაც არც ჩვენ, არც სხვა მოაზროვნე ძმებს საშუალებას არ გვაძლევდა სივრცის ცალკეულ სიღრმეებში შევჭრილიყავით. რკალში გაგზავნილი ცნობა - ესაა ამანათი ყოველგვარ მომავალში, რადგანაც ასეთი ფორმით გაგზავნილი ადამიანის აზრი გააგრძელებს

სივრცეში ფრენას, სანამ მის ყველაზე შორეულ ოლქებს არ მიაღწევს. ძალიან შორეული ვარსკვლავების გამოკვლევის შესაძლებლობა რეალობად იქცა. ეს მხოლოდ დროის საკითხია. ცოტა ხნის წინათ დედამიწამდე მოაღწია ცნობამ ვეებერთელა, ძალზე შორეული ვარსკვლავიდან, რომელსაც გედის გამმას ეძახიან. იქამდე ორიათასრვაასი პარსეკია და ცნობა ცხრა ათას წელზე მეტ ხანს უნდება ფრენას. მაგრამ იგი ჩვენთვის გასაგებია. მისი გაშიფრვა შესაძლებელი გახდა რკალის მსგავსი ხასიათის აზროვნების მქონე წევრების მიერ. სულ სხვა საქმეა, როცა ცნობა მრგვალი ვარსკვლავური სისტემებისა და შეჯგუფებებისაგან მოდის, რომლებიც ჩვენს ბრტყელ სისტემებზე უფრო ძველია.

ასეთივე მდგომარეობაა გალაქტიკის ცენტრში - მის ღერძისებრ ვარსკვლავურ ღრუბელში არის სიცოცხლის კოლოსალური ზონა, შემდგარი მილიონობით საპლანეტო სისტემისაგან. ისინი განათებულია გალაქტიკის ცენტრის გამოსხივებით და მათთვის ღამეული სიბნელე უცნობია. მათგან მიღებულია გაუგებარი ცნობები - რთული, ჩვენი შეგნებისათვის მიუწვდომელი სტრუქტურის სურათები. უკვე ოთხასი წელია ცოდნის ზღვრების აკადემია ვერაფრის გაშიფვრას ვერ ახერხებს. შეიძლება...

აფრიკელს მოულოდნელი აზრისაგან სუნთქვა შეეკრა, - რკალის წევრი მახლობელი საპლანეტო სისტემებიდან მოდის ცნობები თვითეული დასახლებული პლანეტის შინაგანი ცხოვრების - მეცნიერების, ცხოვრების გარეგან, კოსმოსურ მოძრაობას? როგორ გარდაქმნიან ხოლმე საპლანეტო სისტემას თავიანთი შეხედულებისამებრ. „ხვეტენ“ სივრცეს ვარსკვლავფრენისათვის ხელშემშლელი მეტეორიტებისაგან, ხოლო მათთან ერთად ამხობენ ცენტრალური მნათობის ცივ გარე პლანეტებს, რომლებიც სიცოცხლისათვის უვარგისია, აგრძელებენ მნათობის გამოსხივებას ან განგებ ამაღლებენ თავიანთი მზეების თბობის ტემპერატურას. შეიძლება ესეც ცოტაა-

გარდაქმნიან მეზობელ საპლანეტო სისტემებს, ქმნიან იქ საუკეთესო პირობებს გიგანტური ცივილიზაციის განვითარებისათვის.

მვენ მასი დაუკავშირდა დიდი რკალის სამახსოვრო ჩანაწერების საცავს და ერთერთი შორეული ცნობის შიფრი აკრიფა. ეკრანზე ნელ-ნელა გაცურდა უცნაური სურათები, რომლებიც დედამიწაზე ომეგა ცენტავრის მრგვალი ვარსკვლავური შეჯგუფებიდან მოვიდა. იგი მზის სისტემასთან ყველაზე ახლო მდგომთაგან მეორე იყო და მხოლოდ ექვსიათას რვაასი პარსეკით იყო დაცილებული. მისი ნათელი ვარსკვლავის შუქი

ოცდაორი ათასი წელი მიაპობს სამყაროს სივრცეს, სანამ დედამიწაზე მცხოვრები ადამიანის თვალს მისწვდებოდეს.

სქელი ლურჯი ნისლი თანაბარ ფენებად იშლებოდა, რომლებიც საკმაოდ სწრაფად მბრუნავი შავი ვერტიკალური ცილინდრებით იკვეთებოდა. ცილინდრების ძლივსშესამჩნევი კონტურები დროდადრო იკუმშებოდა და ფუძეებით შეერთებულ დაბალ კონუსებს ემსგავსებოდა. მაშინ ლურჯი ნისლის ფენები მკვეთრ ცეცხლოვან ნამგლებად ითიშებოდა, კონუსები გააფთრებით ბრუნავდა თავიანთი ღერძის ირგვლივ, სიბნელე სადღაც მაღლა ქრებოდა, აიმართებოდა კოლოსალური, დამაბრმავებლად თეთრი სვეტები, მათ უკან კი ირიბი კულისებივით ჰყოფდნენ თავს მწვანე ფერით დაწახნაგული მახვილები.

მვენ მასი შუბლს დაძაბულად ისრესდა, ცდილობდა აზრისათვის ხელჩასაჭიდი რამ დაეჭირა.

ეკრანზე დაწახნაგული მახვილები თეთრ სვეტებს სპირალურად შემოეხვივნენ და უცებ ლითონის ბრჭყვიალა ბურთულების ნაკადად მიმოიფანტნენ, ფართო რკალისებრ სარტყლად გაერთიანდნენ. სარტყელმა სიგრძე-სიგანეში ზრდა დაიწყო... მვენ მასმა ჩაიცინა, გამორთო ჩანაწერი და ძველ ფიქრებს დაუბრუნდა.

„გალაქტიკის მაღალ განედებში დასახლებული სამყაროს არარსებობის, ან უფრო სწორად, მათთან კავშირის არარსებობის გამო, ჩვენ, მიწის ადამიანებს, ჯერ კიდევ არ შეგვიძლია გავაღწიოთ გალაქტიკის ჩაბნელებული ეკვატორიალური ზონებიდან. არ ძალგვიძს ავცილდეთ კოსმოსურ მტვერს, რომელშიც ჩვენი ვარსკვლავი მზე და მისი მეზობლები არიან ჩაძირული. ამიტომაც სამყაროს გაცნობა ჩვენთვის უფრო ძნელია, ვიდრე სხვებისათვის...“ მვენ მასმა ცქედა ჰორიზონტისაკენ გადაიტანა, სადაც დიდი დათვის დაბლა, მწევარი ძაღლების ქვეშ, ვერონიკას თმების თანავარსკვლავედი იყო გაშლილი. ეს იყო გალაქტიკის „ჩრდილო პოლუსი“. სწორედ ამ მიმართულებით იხსნებოდა არაგალაქტიკური სივრცის მთელი განედი, ისევე როგორც ცის საწინააღმდეგო წერტილში - მოქანდაკის თანავარსკვლავედში, ფომალგაუტის

ცნობილი ვარსკვლავის მახლობლად, გალაქტიკური სისტემის სამხრეთ პოლუსთან. განაპირა ოლქში, სადაც

მზე იმყოფება, გალაქტიკის სპირალური ბადროს შტოებს სისქე სულ დაახლოებით ექვსას პარსეკს აღწევს. გალაქტიკის ეკვატორის სიბრტყის პერპენდიკულარულად უნდა გაგევლოთ სამასი-ოთხასი პარსეკი, რათა მისი გიგანტური ვარსკვლავის წრის დონემდე ასულიყავით. ვარსკვლავმფრენისათვის დაუძლეველი ეს გზა რკალის გადაცემებისათვის შეუძლებლობას არ წარმოადგენდა. მაგრამ ჯერ ამ ოლქებში განლაგებული ვარსკვლავების არც ერთი პლანეტა რკალში არ ჩართულა...

მარადიული გამოცანები და უპასუხოდ დარჩენილი კითხვები არარაობად იქცეოდა, რომ მოხერხდეს კიდევ ერთი უდიდესი მეცნიერული რევოლუციის მოხდენა - დროის დაძლევა, რომ შეისწავლონ დროის ყოველგვარ მონაკვეთში ყოველგვარი სივრცის გადალახვა, რომ დაადგან მფლობელის ფეხი კოსმოსის უსაზღვრო სივრცეებს. მაშინ მარტო ჩვენი გალაქტიკა კი არა, არამედ ვარსკვლავეთის სხვა კუნძულებიც უფრო მეტად არ იქნება ჩვენგან დაცილებული, ვიდრე წვრილი კუნძულები ხმელთა შუა ზღვისა, რომელიც ახლა დაბლა ღამის სიბნელეში ტყლაშუნებს. ამაშია გამართლება თავგანწირული ცდისა, რომელიც რენ ბოსმა მოიფიქრა, ხოლო მან, მვენ მასმა, დედამიწის საგარეო სადგურების გამგემ - განახორციელა. მათ რომ შესძლებოდათ უკეთ დაესაბუთებინათ საკითხის დაყენება, რათა საბჭოს ნებართვა მიეღოთ...

სპირალური გზის სინათლის ნარინჯისფერი შუქი თეთრად შეიცვალა - ღამის ორი საათია - გაძლიერებული ტვირთზიდვის დრო. მვენ მასს გაახსენდა, რომ ხვალ ანთებული ფიალების დღესასწაულია, რომელზეც ჩარა ნანდი ეპატიჟებოდა. საგარეო სადგურების გამგე ვერ ივიწყებდა ზღვის ნაპირზე დაწყებულ ნაცნობობას და ამ გამოკვეთილი მოქნილი მოძრაობების მქონე ქალიშვილს. იგი გულწრფელობისა და მძლავრი აღტყინების ყვავილსა ჰგავდა, რაც იშვიათია კარგად დისციპლინირებული გრძნობების ეპოქაში.

მვენ მასი სამუშაო ოთახში დაბრუნდა, გამოიძახა ღამით მომუშავე მეტაგალაქტიკის ინსტიტუტი და მოითხოვა - ხვალ ღამისათვის რამდენიმე გალაქტიკის სტერეოტელეფილმები გამომიგზავნეთო. თანხმობის მიღებისთანავე შიდა ფასადის სახურავზე ავიდა. აქ იმყოფებოდა მისი შორეული ნახტომების აპარატი. მვენ მასს უყვარდა ეს არაპოპულარული სპორტი და საკმაო ოსტატობასაც მიაღწია. აფრიკელმა თასმით გარშემო ჰელიუმით ავსებული ბალონები შემოიკრა, მოქნილი ნახტომით ჰაერში შევარდა, წამით

მსუბუქი აკუმულატორით მომუშავე გამწე პროპელერი ჩართო. მვენ მასმა ჰაერში დაახლოებით ექვსასი მეტრი სიგრძის რკალი მოხაზა, კვების სახლის

შვერილზე დაეშვა და ნახტომი გაიმეორა. მეხუთე ნახტომით ჩამონგრეული კირქვის მთის ძირას მდებარე პატარა ბაღამდე მიაღწია, აპარატი ალუმინის კოშკზე მოიხსნა და მიწამდე ოკით ჩამოცოცდა, მივიდა ვეებერთელა ჭადრის ქვეშ მდგომ ხმელ ლოგინამდე და ბუმბერაზი ხის ფოთლების შრიალში ჩაიძირა.

ანთებული ფიალების დღესასწაულმა თავისი სახელწოდება პოეტისტორიკოსის ბან სენის ცნობილი ლექსიდან მიიღო. ლექსში აღწერილი იყო ულამაზესი ქალების ამორჩევის ძველი ინდური ჩვეულება. ამ ულამაზეს ქალებს საომრად მიმავალ გმირებთან მიჰქონდათ საბრძოლო ხმლები და სურნელოვანი ზეთით ავსებული ანთებული ფიალები. ხმლები და ფიალები ხმარებიდან დიდი ხანია გაქრა, მაგრამ დარჩა, როგორც გმირობის სიმბოლო. გმირობა ხომ უზომოდ გახშირდა პლანეტის მამაც, ენერგიით აღსავსე მოსახლეობაში. უზარმაზარი შრომისმოყვარეობა, რომელიც წინათ გენიათწოდებულ განსაკუთრებით გამძლე ადამიანებს გააჩნდათ, მთლიანად სხეულის ფიზიკურ სიმტკიცესა და ჰორმონსტიმულატორების სიუხვეზე იყო დამოკიდებული. ათასწლეულების მანძილზე ფიზიკური გამძლეობისათვის ზრუნვამ ის შედეგი გამოიღო, რომ პლანეტის რიგითი ადამიანი ძველ გმირებს გაუთანაბრდა, გმირებს, რომლებიც სიმამაცით სიყვარულითა და გონიერებით იყვნენ აღსავსენი.

ანთებული ფიალების დღესასწაული ქალების საგაზაფხულო დღესასწაულად იქცა. ყოველწლიურად, ზამთრის მზემობრუნებიდან მეოთხე თვეში, ანუ ძველებურად აპრილში, დედამიწის ყველაზე მშვენიერი ქალები ასრულებდნენ ცეკვებს, სიმღერებს, ტანვარჯიშს. სხვადასხვა რასების სილამაზის ფაქიზი ელფერი, რომელიც პლანეტის შორეულ მოსახლეობაში იჩენდა თავს, იქ ამოუწურავი მრავალფეროვნებით ბრწყინავდა. როგორც ძვირფასი ქვების წახნაგები, უსასრულო სიხარულს ანიჭებდა მაყურებელს, ხანგრძლივი შრომით გადაღლილი მეცნიერებიდან და ინჟინრებიდან დაწყებული, შთაგონებული მხატვრებით ან მესამე ციკლის ჯერ სულ ახალგაზრდა მოწაფეებით დამთავრებული.

არანაკლებ ლამაზი იყო მამაკაცთა საშემოდგომო დღესასწაული, ჰერკულესის დღესასწაული, რომელიც მეცხრე თვეში ეწყობოდა. სიმწიფეში შესული ახალგაზრდები მათ მიერ შესრულებული ჰერკულესის გმირობის ანგარიშს აბარებდნენ. შემდგომში ჩვეულებად შემოვიდა ამ დღეებში წლის განმავლობაში შესრულებული შესანიშნავი ნამოქმედარისა და მიღწევების საერთო-სახალხო დათვალიერების მოწყობა. იგი ქალებისა და კაცების საერთო დღესასწაული გახდა და

შესანიშნავი სარგებლიანობის, უმაღლესი ხელოვნების, მეცნიერული გაბედულებისა და ფანტაზიის დღეებად გაიყო. ოდესღაც მვენ მასიც იყო მიჩნეული პირველი და მესამე დღეების გმირად...

მვენ მასი ტირენის სტადიონის გიგანტურ დარბაზში სწორედ ვედას გამოსვლის დროს მივიდა. მან მოძებნა მეოთხე რადიუსის მეცხრე სექტორი, სადაც ევდა ნალი და ჩარა ნანდი ისხდნენ, დადგა თაღის ჩრდილქვეშ და ვედას დაბალ ხმას დააყურადა. ვედას თეთრი კაბა ეცვა, ქერათმიანი თავი მაღლა შეემართა, სახე დარბაზის ზედა ქანდარებისაკენ მიებრუნებინა. იგი რაღაც მხიარულს მღეროდა, რაც აფრიკელს გაზაფხულის ქებად მოესმა.

თვითეული მაყურებელი ხელს აჭერდა ერთ-ერთს იმ ოთხ ჭიკარტთაგანს, რომელიც მის წინ იყო მოთავსებული. დარბაზის ჭერზე ანთებული ოქროსფერი, ლურჯი, ზურმუხტისფერი ან წითელი ნათურები აჩვენებდნენ მსახიობის შეფასებას და ცვლიდნენ ძველი დროის ხმაურიან აპლოდისმენტებს.

ვედამ სიმღერა დაამთავრა. იგი ოქროსფერი და ლურჯი ნათურების ჭრელი ციალით დააჯილდოვეს, რომლებშიც მცირერიცხოვანი მწვანე შუქი იკარგებოდა. მომღიმარი მვენ მასი მის შესახვედრად გაემართა.

აფრიკელმა მიმოიხედა, თვალებით თავის მასწავლებელსა და წინამორბედს ეძებდა, მაგრამ დარ ვეტერი არსად ჩანდა.

- სად გადამალეთ დარ ვეტერი? - ხუმრობით მიმართა მვენ მასმა სამივე ქალს.

- თქვენ სადღა გადამალეთ რენ ბოსი? - უპასუხა ევდა ნალმა და აფრიკელმა იჩქარა თავი აერიდებინა მისი გამჭოლი თვალებისათვის.

- ვეტერი სამხრეთ ამერიკაშია, ტიტანის მოპოვებაზე მუშაობს, - უთხრა გულკეთილმა ვედა კონგმა და სახეზე რაღაც გაუკრთა.

ჩარა ნანდმა მფარველობით მიიხუტა მშვენიერი ისტორიკოსი და ლოყა ლოყაზე მიადო. ქალებს თუმცა განსხვავებული სახეები ჰქონდათ, მაგრამ სახეებზე გამოსახული მშვიდი სინაზე მათ ერთმანეთს ამსგავსებდა.

ჩარას ფართო შუბლზე გადაწოლილი წვრილი, გრძელი წარბები მერცხლის ფრთებს უგავდა და ძალიან უხდებოდა გრძლად გაჭრილ თვალებს. ვედას კი აპრეხილი წარბები ჰქონდა.

„ჩიტს ფრთები აუქნევია“... - გაიფიქრა აფრიკელმა.

ჩარას ხშირი და გაბრწყინებული შავი თმები კეფასა და მხრებზე ეფინებოდა, ჩრდილს ჰფენდა ვედას დაკეცილ და მაღლა ავარცხნილ მუქი ფერის თმებს. ჩარამ დარბაზის გუმბათზე გამოკიდულ საათს გახედა და წამოდგა.

ჩარას ჩაცმულობამ აფრიკელი გააოცა: ქალიშვილს მოღიავებულ ყელსა და გლუვ ბეჭებზე პლატინის ძეწკვი ეკიდა. წინ, ლავიწის ქვემოთ, ძეწკვი მნათობელი წითელი ტურმალინით იკვრებოდა.

ფართო, დაპირქვავებული ფიალების მსგავსი მკვრივი ძუძუები, თითქო საოცრად ფაქიზი მოქანდაკის მიერ გამოკვეთილი, თითქმის მთლიანად მოუჩანდა. მათ შუა,

საკინძიდან ქამრამდე მუქი იისფერი ქსოვილის ზოლი ეშვებოდა. თვითეული ძუძუს შუა ნაწილიდან ეშვებოდა ასეთივე ზოლი, რომელიც უკან იყო დაქაჩული ძეწკვებით. ძეწკვები გაშიშვლებულ ზურგზე იკვრებოდა. ქალიშვილის ძალიან წვრილ წელზე თეთრი, შავი ვარსკვლავებით დაწინწკლული, ნახევარმთვარის მსგავსი პლატინის ბალთიანი ქამარი ერტყა. უკან ქამარზე თითქოს მიმაგრებული ჰქონდა შავი ვარსკვლავებით მორთული მძიმე თეთრი ქსოვილისაგან შეკერილი ქვედაწელი. მოცეკვავეს არავითარი ძვირფასეული არ ებნია, პატარა შავ ტუფლებზე დამაგრებული ბრჭყვიალა ბალთების გარდა.

- მალე ჩემი რიგია, - მშვიდად თქვა ჩარამ, გასასვლელი თაღისაკენ გაემართა, მვენ მასს გადახედა და გაქრა. იგი დაინტერესებულთა ჩურჩულმა და ათასობით თვალმა გააცილა.

სცენაზე ტანმოვარჯიშე გამოჩნდა. - შესანიშნავი აგებულების ქალიშვილი, არა უმეტეს თვრამეტი წლისა. ოქროსფერი შუქით განათებული ტანმოვარჯიშე მუსიკის რეჩიტატივის თანხლებით ასრულებდა აფრენების, ხტომებისა და მობრუნებების

სწრაფ კასკადს, მისამღერი თუ გაჭიანურებული გარდამავალი მელოდიების დროს განსაცვიფრებლად ახერხებდა წონასწორობის შენარჩუნებას. მაყურებლებმა გამოსვლის მოწონების ნიშნად მრავალი მწვანე შუქი აანთეს. მვენ მასმა გაიფიქრა, რომ ასეთი წარმატების შემდეგ ჩარა ნანდს გამოსვლა გაუჭირდებოდა. ოდნავი შიშით შეათვალიერა თავის პირდაპირ ადამიანთა უნაპირო სიმრავლე და უცებ მესამე სექტორში მხატვარი კარტ სანი შეამჩნია. იგი მას ისე მხიარულად მიესალმა, რომ აფრიკელს ეს მხიარულება უადგილოდ მოეჩვენა. ვინღა უნდა შეწუხებულიყო ჩარას გამოსვლით, თუ არა მხატვარი, რომელმაც მისგან შექმნა სურათი „ხმელთაშუა ზღვის ქალიშვილი“.

აფრიკელმა ის-ის იყო გაიფიქრა, რომ ცდის შემდეგ სურათის სანახავად წავიდოდა და ზედა ნათურებიც ჩაქრა. ორგანული მინის გამჭვირვალე იატაკი

თუჯისფრად, ჟოლოსფრად განათდა. სცენის ქვედა წინაფერების ქვეშიდან გამოიჭრა შუქის წითელი ნაკადები. ისინი ბორიალობდნენ და ერთმანეთს აწყდებოდნენ, ვიოლინოს გამჭოლი სიმღერისა და თითბრის სიმების დაბალხმიან მელოდიას ერწყმოდნენ.

მუსიკის სიწრაფითა და ძალით ოდნავ ბრუდასხმულმა მვენ მასმა უცებ ვერ შეამჩნია, რომ აბრიალებული იატაკის ცენტრში ჩარა გამოჩნდა. მან ისეთი ტემპით დაიწყო ცეკვა, რომ მაყურებლებმა სული განაბეს.

მვენ მასი შესწრიალდა; რაღა იქნება, თუ მუსიკა კიდევ უფრო მეტ აჩქარებას მოითხოვს. მარტო ფეხები და ხელები კი არ ცეკვავდა - ქალიშვილის მთელი სხეული აბრიალებულ მუსიკას არანაკლებ ცხელი ცხოვრებისეული სუნთქვით პასუხობდა. აფრიკელმა გაიფიქრა, რომ თუ ინდოეთის ძველ ქალთა შორის ჩარას მსგავსებიც იყვნენ, მაშინ მართალია პოეტი, რომელმაც ისინი ანთებულ ფიალებს შეადარა და ქალთა დღესასწაულის სახელწოდება მისცა.

სცენისა და იატაკის ანარეკლებში ჩარას მზისგან აწითლებულმა კანმა ბრინჯაოს ელფერი გადაიკრა. მვენ მასს გული გაშმაგებით აუძგერდა. კანის ასეთი ზღაპრული პლანეტის ეპსილონ ტუკანას ადამიანებს ჰქონდათ. მაშინღა იგრძნო, რომ შეიძლება არსებობდეს სხეულის ისეთი განსულიერება, რომლის დროსაც მოძრაობებით, შესანიშნავი ფორმების უფაქიზესი ცვლილებებით შეიძლება გამოისახოს გრძნობების,

ფანტაზიების, ვნებების, ბედნიერებისაკენ მისწრაფების ყველაზე უღრმესი ანარეკლები...

მვენ მასმა, რომელიც ადრე ოთხმოცდაათი პარსაკის სიშორეში მიისწრაფოდა, გაიგო, რომ დედამიწის ადამიანთა სილამაზის აუწერელ სიმდიდრეში შეიძლება მოიძებნოს ისეთივე ლამაზი ყვავილები, როგორიცაა მის მიერ ფაქიზად ნასათუთევი მოჩვენება შორეული პლანეტისა. მაგრამ აუხდენელი ოცნებისაკენ ხანგრძლივი მისწრაფება ასე უცებ არ შეიძლებოდა გამქრალიყო. ჩარამ, ესპილონ ტუკანის წითელკანიანი ქალიშვილის გამოსახულების მიღებით კიდევ უფრო გააძლიერა საგარეო სადგურების გამგის ჯიუტი გადაწყვეტილება.

ყველაზე კარგი მოცეკვავეები - ევდა ნალი და ვედა კონგი, რომლებიც პირველად ხედავდნენ ჩარას ცეკვას, გაოგნებულები იყვნენ. ვედამ, რომელშიც მეცნიერი ანთროპოლოგი და ძველი რასების ისტორიკოსი ალაპარაკდა, გადაწყვიტა, რომ შორეულ წარსულში გონდვანში, სამხრეთ ქვეყნებში, ქალები ყოველთვის უფრო მეტნი იყვნენ, ვიდრე მამაკაცები, რომლებიც მრავალრიცხოვან საშიშ მხეცებთან ბრძოლაში

იღუპებოდნენ. უფრო გვიან სამხრეთის ხშირად დასახლებულ ქვეყნებში ჩამოყალიბდა ძველი აღმოსავლეთის დესპოტური სახელმწიფოები. სამხრეთის ქალიშვილები მძიმე ცხოვრებას ეწეოდნენ, რამაც ჩამონაკვთა მათი სრულყოფილება. ჩრდილოეთში, მეჩხერი მოსახლეობისა და ღარიბი ბუნების ქვეყნებში, ბნელი საუკუნეების სახელმწიფოებრივი დესპოტიზმი არ არსებობდა. იქ მამაკაცები მეტნი იყვნენ, ქალები მეტად ფასობდნენ და ღირსეულად ცხოვრობდნენ.

ვედა თვალყურს ადევნებდა ჩარას თვითეულ ჟესტს და ფიქრობდა, რომ მის მოძრაობაში იყო რაღაც გასაოცრად ორმაგი: ერთდროულად ნაზიცა და მტაცებლურიც. სინაზე ცურვისებური მოძრაობიდან და სხეულის არაჩვეულებრივი მოქნილობიდან მოდიოდა, ხოლო მტაცებლურის შთაბეჭდილება გრჩებოდათ მკვეთრი გადასვლებით, მობრუნებითა და შეჩერებით, რომელიც გარეული მხეცისათვის დამახასიათებელი თითქმის თვალშეუსწრებელი სისწრაფით ხდებოდა. ეს შეფარვითი მოქნილობა გონდვანის მუქკანიანმა ქალიშვილებმა არსებისათვის მძიმე, ათასწლიანი ბრძოლის ჯილდოდ მიიღეს. მაგრამ როგორ ჰარმონიულად შერწყმია იგი ჩარას სახის მტკიცე და წვრილ კრიტულ-ელინურ ნაკვთებს.

ხანმოკლე შენელებისას ადაჟიოს რომელიღაც დამტყმელი ინსტრუმენტის დისონანსური ხმოვანება შეერია: ადამიანური გრძნობების აფრენისა და დაცემის სწრაფი რიტმი ცეკვაში გამოისახა მოძრაობების აჩქარებით და თითქმის მთლიანი შენელებით, როცა მოცეკვავე ქანდაკებასავით უძრავად გაირინდება ხოლმე. ცეკვაში ჩანდა მთვლემარე გრძნობების გამოღვიძება, მათი ქარიშხლისებრი აფეთქება, ღონემიხდილი თავჩაქინდვრა, დაღუპვა და ხელახალი დაბადება, ისევ მქუხარე და განუცდელი შებორკილი ცხოვრება, მებრძოლი დროის ნაბიჯებთან, მოვალეობისა და ბედის ნათელ და თვალშეუსწრებ განსაზღვრულობასთან. ევდა ნალმა იგრძნო, რა ახლობელია მისთვის ცეკვის ფსიქოლოგიური საფუძველი, იგრძნო, როგორ უწითლდება ლოყები და უხშირდება სუნთქვა... მვენ მასმა არ იცოდა, რომ საბალეტო სუიტა კომპოზიტორმა სპეციალურად ჩარა ნანდისათვის დაწერა, მაგრამ ქარიშხლისებრი ტემპის შიშმა გაუარა, რაკი ხედავდა, რომ ქალიშვილს ტემპზე აყოლა არ უჭირდა. სინათლის წითელი ტალღები ეხებოდა ბრინჯაოსფერ სხეულს, ალისფერ შხეფებად ეხსმებოდა ბრინჯაოსფერ სხეულს, ალისფერ შხეფებად ესხმებოდა ღონიერ ფეხებს, იძირებოდა ქსოვილის მუქ ნაოჭებში, ვარდისფერი განთიადივით ენთებოდა თეთრ აბრეშუმზე. თავს ზევით ნელნელა გაიყინა ქალის უკანგადაწეული ხელები.

უცებ, ყოველგვარი ფინალის გარეშე შეწყდა ნოტების მშფოთვარე ხმოვანება. შეჩერდა და ჩაქრა წითელი ცეცხლები. დარბაზის მაღალ თაღზე ჩვეულებრივმა

შუქმა იფეთქა. დაღლილმა ქალშვილმა თავი დახარა, შავმა თმებმა სახე დაუფარა. ათასობით ოქროსფერი შუქის ციალთან ერთად ყრუ ხმაურიც გაისმა. მაყურებელი ჩარასადმი გამოსთქვამდნენ მსახიობისათვის ყველაზე დიდ პატივისცემას - მადლობას უხდიდნენ მას, ფეხზე დგებოდნენ და შეერთებულ ხელებს თავს ზევით სწევდნენ. ჩარაც რომელიც გამოსვლამდე უშიშრად იყო, შეკრთა სახიდან თმები გადაიწია და გაიქცა. ცქერა ზედა ქანდარისათვის მიეპყრო.

დღესასწაულის მოთავეებმა შესვენება გამოაცხადეს. მვენ მასი ჩარას საძებრად გაემართა, ხოლო ვედა ნალი გიგანტურ, კილომეტრის სიგანის კიბეზე გავიდნენ. კიბე ცისფერი გამჭვირვალე მინისაგან- სმალტისაგან იყო დამზადებული და სტადიონიდან პირდაპირ ზღვაში ეშვებოდა. საღამოს გამჭვირვალე და გრილმა ბინდმა ორივე ქალი დღესასწაულის ათასობით მაყურებლის მსგავსად საბანაოდ მიიზიდა.

- ჩარა ნანდი ერთბაშად ტყუილად როდი შევამჩნიე,- ალაპარაკდა ევდა ნალი, - იგი

შესანიშნავი მსახიობია. დღეს ჩვენ ცხოვრების სიძლიერის ცეკვა ვიხილეთ! ალბათ ეს იყო ძველთა ეროსი...

- ახლაღა გავუგე კარტ სანს, რომ სილამაზე მართლაც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ჩვენ გვგონია. სილამაზე - ბედნიერება და სიცოცხლის აზრია, კარგად თქვა მაშინ! თქვენი განსაზღვრაც სწორია, - დაეთანხმა ვედა, გაიძრო ფეხსაცმელები და ფეხი თბილ წყალში ჩაყო, რომელიც საფეხურებს ეტყლაშუნებოდა.

- სწორია, თუკი ფსიქიური ძალა ჯანსაღი, ენერგიით აღსავსე სხეულის პირმშოა, - შეასწორა ევდა ნალმა, კაბა გაიძრო და გამჭვირვალე ტალღებში გადაეშვა.

ვედა დაეწია, ორთავემ ვეებერთელა რეზინის კუნძულისაკენ გასწიეს, რომელიც სტადიონის სანაპიროდან კილომეტრნახევრის მანძილზე ვერცხლისფრად ჩანდა. წყლის დონესთან გათანაბრებული ბრტყელი კუნძულის ზედაპირი საკმაო სიდიდის ნიჟარის ფორმის სადაფის გადმოსაშვებებით იყო გარშემოვლებული, რათა სამი-ოთხი ადამიანი მზისა და ქარისაგან დაეფარა და მეზობლებისაგან მთლიანად გაემარტოვებინა.

ორივე ქალი გაწვა „ნიჟარის“ რბილ, მოქანავე იატაკზე, სუნთქავდნენ ზღვის მუდამ ახალ ჰაერს.

- მას შემდეგ. რაც ნაპირზე გნახეთ, ძლიერ გაშავებულხართ!-თქვა ვედამ და მეგობარს გადახედა,- ზღვაზე იყავით თუ ნამზეურის პიგმენტების აბების მიზეზია?

- ზპ აბებია. - აღიარა ევდამ, - მზეზე მხოლოდ გუშინ და დღეს ვიყავი. მართლა, არ იცით სად არის რენ ბოსი? - გააგრძელა ვედამ.

- დაახლოებით ვიცი და სანერვიულოდ ესეც მყოფნის, - ჩუმად უპასუხა ევდა ნალმა.

- განა თქვენ გინდათ, რომ... - ვედა დადუმდა, აზრი აღარ დაუმთავრებია, ევდამ ასწია ზარმაცად დაშვებული წამწამები და თვალებში პირდაპირ შეხედა.

- მე რენ ბოსი რაღაცნაირ უმწეო, ზრდადაუმთავრებელ ბიჭუნად მეჩვენება, - გაუბედავად აღიარა ვედამ, - თქვენ კი ისეთი სრულყოფილი, გონეირი ხართ, არც ერთ მამაკაცს არ ჩამორჩებით. თქვენში ყოველთვის იგრძნობა ნებისყოფის ფოლადის ღერძი.

- ეგ რენ ბოსმაც მითხრა. მაგრამ თქვენ მის შეფასებაში მართალი არა ხართ, ისეთივე ცალმხრივი ხართ, როგორც თვით რენია. იგი გაბედული და ძლიერი გონების, მეტისმეტად შრომისმოყვარე ადამიანია. ჩვენს დროშიც კი ჩვენს პლანეტაზე მისი მსგავსი ადამიანი ცოტა მოიძებნება. მის ნიჭიერებასთან შედარებით დანარჩენი თვისებები განუვითარებელი მოგეჩვენებათ, რადგანაც ეს თვისებები ჩვეულებრივი ადამიანებისა ან კიდევ უფრო ინფანტილური აქვს. თქვენ სწორად უწოდეთ რენს - იგი ბიჭუნაა, მაგრამ ამავე დროს გმირიც არის, ამ სიტყვის ზუსტი გაგებით. აი დარ ვეტერი - მასში არის ბავშვურობა, მაგრამ ეს ბავშვურობა ფიზიკური ძალის ზედმეტობისგან მოსდის და არა ნაკლებობისაგან, როგორც რენს.

- მვენს როგორღა აფასებთ? - დაინტერესდა ვედა, - ახლა თქვენ ხომ უკეთ გაეცანით ერთმანეთს?

- მვენ მისი ცივი გონებისა და სურვილთა არქაული გააფთრების ლამაზი კომბინაციაა.

ვედა კონგმა გაიცინა:

- კარგი იქნებოდა ეგრე რომ შემესწავლა ადამიანები!

- ფსიქოლოგია ჩემი სპეციალობაა, - მხრები აიჩეჩა ევდამ,- მაგრამ ნება მომეცით ახლა მე შეგეკითხოთ. თქვენ იცით, რომ დარ ვეტერის პიროვნება ძალიან მიზიდავს?...

- თქვენ გეშინიათ ორჭოფი გადაწყვეტილებებისა? - აიტკრიცა ვედა. - არა, აქ დამღუპველი ორჭოფობა და არაგულწრფელობა არ იქნება. ყველაფერი

ბოლომდე ნათელია... - მეცნიერი ფსიქიატრი დაკვირვებით მისჩერებოდა. ვედამ დინჯად განაგრძო:- ერგ ნოორი.. ჩვენი გზები დიდიხანია გაიყარა. მაგრამ არ შემეძლო ახალ გრძნობას დავმორჩილებოდი, სანამ იგი კოსმოსშია, არ შემეძლო ჩამოვცილებოდი და ამით მისი დაბრუნების იმედი, რწმენა შემესუსტებინა. ახლა ეს ისევ ზუსტი გაანგარიშება და რწმენაა. ერგ ნოორმა ყველაფერი იცის, მაგრამ თავისი გზით მიდის. ევდა ნალმა ვედას სწორ მხრებზე გამხდარი ხელი მოხვია.

- ეს არჩევანი დარ ვეტერს ნიშნავს?

- ჰო! - მტკიცედ უპასუხა ვედამ.

- მან იცის?

- არა. შემდეგ, როცა „ტანტრა „ აქ იქნება... დრო არ არის, რომ დავბრუნდეთ? - წამოიძახა ვედამ.

- მე უნდა დავტოვო დღესასწაული, - თქვა ევდა ნალმა, - შვებულება მიმთავრდება. მწუხარებისა და სიხარულის აკადემიაში ახალი დიდი მუშაობა მომიწევს, ჯერ კი ქალიშვილი უნდა მოვინახულო.

- დიდი ქალიშვილი გყავთ?

- ჩვიდმეტი წლისა. ვაჟი ბევრად უფროსი მყავს. მე შევასრულე ყოველი ნორმალურად განვითარებული ქალის მოვალეობა - გავაჩინე ორი ბავშვი. ნაკლები არ შეიძლება. ახლა მესამე მინდა, მხოლოდ გაზრდილი.

ევდა ნალმა გაიღიმა, მისი დაძაბული სახე სიყვარულმა და ალერსმა გაანათა; მშვილდივით მოხრილი ტუჩი ასწია.

- მე წარმომიდგენია კარგი, დიდთვალებიანი ბიჭუნა... ასეთივე ალერსიანი და

გაოცებული სახით... მაგრად ჭორფლიანი და ცხვირპაჭუა, - ეშმაკურად თქვა ვედამ. იგი პირდაპირ იცქირებოდა. მისი დობილი მიყუჩდა და იკითხა:

- თქვენ ჯერ კიდევ არ გაქვთ ახალი სამუშაო?

- არა , „ტანტრას“ ველოდები. შემდეგ ხანგრძლივი ესპიდიცია მოეწყობა.

- წამოდი ჩემს ქალიშვილთან, - შესთავაზა ევდამ და ვედა სიამოვნებით დათახმდა.

ობსერვატორიის მთელ კედელზე ტელესკოპებით გადაღებული სურათებისა და ფილმების საჩვენებელი შვიდმეტრიანი ჰემისფერული ეკრანი ეკიდა. მვენ მასმა ჩართო ცის ერთი ნაწილის მიმოხილვით სურათი, რომელზეც ასახული იყო

გალაქტიკის ჩრდილო პოლუსის მახლობელი რაიონი- მერიდიული ზოლი დიდი დათვის თანავარსკლავედიდან ყორანისა და ცენტავრის თანავარსკვლავედებამდე. აქ, მწევარ ძაღლებში, ვერონიკას თმებში და ქალწულის თანავარსკვლავედში ბევრი

გალაქტიკები - ბრტყელი ბორბლების ან ბადროების ფორმის ვარსკვლავების კუნძულები იყო. განსაკუთრებით ბევრი აღმოჩნდა ვერონიკას თმებში - ცალკეულნი, სწორები და უსწოროები, სხვადასხვა მოსახვევებსა და პროექციებში, ზოგჯერ წარმოუდგენლად შორეულნი, მილიარდი პარსეკით დაცილებულნი, ხანდახან კი ათეულ ათასობით გალაქტიკები მთელ „ღრუბელს“ ქმნიდნენ. ყველაზე მსხვილ გალაქტიკებს ოციდან ორმოცდაათ ათას პარსეკამდე დიამეტრი აქვთ, როგორც ჩვენს ვარსვლავეთის კუნძულს ანუ გალაქტიკა ნნ 89105 სბ 23-ს, რომელსაც ძველად მ-31-ს ანუ ანდრომედას ნისლეულს უწოდებდნენ. პატარა, ოდნავ მნათობელი ნისლოვანი ღრუბელი დედამიწიდან უბრალო თვალით ჩანდა. უკვე დიდი ხანია ადამიანებმა ამოხსნეს ამ ღრუბლის საიდუმლო. ნისლეული ბუმბერაზული ბორბლის მსგავსი ვარსკლავების სისტემა აღმოჩნდა, რომელიც ჩვენს გიგანტურ გალაქტიკასაც კი ერთნახევარჯერ აღემატებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ანდრომედას ნისლეული დედამიწელი დამკვირვებლებისაგან ოთხას ორმოცდა ათი ათასი პარსეკით იყო დაცილებული, მისი შესწავლა ბევრად დაგვეხმარა ჩვენი საკუთარი გალაქტიკის შეცნობაში.

მვენ მასს ბავშვობიდანვე ახსოვდა სხვადასხვა გალაქტიკების დიდებული ფოტოსურათები, მიღებული ოპტიკურ გამოსახულებათა ელექტრონული ინვენსირების მეშვეობით, ან რადიოტელესკოპებით, რომლებიც კიდევ უფრო ღრმად იჭრებოდნენ კოსმოსის სიღრმეში. ასეთები იყო, მაგალითად, ორი ბუმბერაზული ტელესკოპი - პამირისა და პატაგონისა . თვითეულ მათგანს ოთხასი კილომეტრის დიამეტრი ჰქონდა. გალაქტიკები - ეს იყო ასეულ მილიარდობით ვარსკლავების სასწაულებრივი დაგროვება , მანძილის დაყოფა მილიონ პარსეკებად. გალაქტიკები მასში ყოველთვის აღვიძებდნენ მათი აგებულების კანონების, შექმნის ისტორიისა და შემდგომი ბედის შესწავლის დაუცხრომელი სურვილს და მთავარი, რაც ახლა დედამიწის თვითეულ მცხოვრებს აღელვებდა, იყო საკითხი სამყაროს ურიცხვი საპლანეტო სისტემების ამ კუნძულებზე სიცოცხლის არსებობის შესახებ, იქ გაჩაღებული აზრისა და ცოდნის ცეცხლის შესახებ, კოსმოსის ასე უსასრულოდ დაცილებულ სივრცეებში არსებული საკაცობრიო ცივილიზაციის შესახებ.

ეკრანზე გამოჩნდა სამი ვარსკვლავი, რომელთაც ძველი არაბები სირახს, მირახს და ალმანს უწოდებდნენ. ეს იყო ანდრომედას ალფა, ბეტა და გამა, აღმავალ პირდაპირ

ხაზზე განლაგებული . ამ ხაზის ორივე მხარეზე მოთავსებული იყო ორი მახლობელი გალაქტიკა - ანდრომედას გიგანტური ნისლეული და ლამაზი ხვეული მ-33 სამკუთხედის თანავარსკვლავედში. მვენ მასმა არ ისურვა კიდევ ერთხელ დაენახა ნაცნობი მნათობების მოხაზულობა და ლითონის ფირფიტა შეცვალა.

აი მილიონ პარსეკზე გაფანტული ძველთაგან ცნობილი გალაქტიკა. მას წინათ ეწოდებოდა ნგკ 5194, ანაც მ-51 მწევარი ძაღლის თანავარსკვლავედში. ეს ერთი იმ მცირერიცხოვან გალაქტიკათაგანი იყო, რომელიც ჩვენგან ბრტყლად ჩანდა, „ბორბლის“ სიბრტყის პერპენდიკულარულად. კაშკაშით ანათებდა მილიონი ვარსკლავისაგან შემდგარი მჭიდრო ბირთვი, რომელსაც ორი სპირალური სახელი ჰქონდა, მათი გრძელი ბოლოები სულ უფრო სუსტად და ბუნდოვნად ჩანდა, სანამ არ ჩაიკარგებოდა სივრცის სიბნელეში, სხვადასხვა მხარისაგან გადაჭიმული ათეულ ათასობით პარსეკის მანძილზე. სახელოების, ანუ მთავარ ტოტებს შორის გაჭიმული იყო ვარსკლავთა დაჯგუფების მოკლე ნაკადები და ბნელი მატერიის შენადედებს ენაცვლებოდა. ისინი ტურბინის ფრთებივით ზუსტად იყო გაღუნული.

ძალიან ლამაზია კოლოსალური გალაქტიკა ნგკ 4565 ვერონიკას თმების თანავარსკვლავედში. შვიდი მილიონი პარსეკის სიშორიდან იგი გვერდულად ჩანს. გალაქტიკა მფრინავი ჩიტივით ცალმხრივაა დახრილი, ფართოდ გაუშლია ნაპირებისაკენ სპირალური ტოტებისაგან შემდგარი თავისი თხელი ბადრო. ცენტრში ძლიერ შეჭყლეტილი ბურთის მსგავსი ბირთვი იწვის, რომელიც მანათობელ მჭიდრო მასას ჰგავს. გარკვევით ჩანს რამდენად ბრტყელია ვარსკლავების კუნძულები. - გალაქტიკა შეიძლება საათის მექანიზმის სათუთ ბორბალს შეადაროთ. ბორბლის კიდურები გაურკვეველია, თითქო სივრცის უსასრულო სიბნელეში იდღაბნება. ჩვენი გალაქტიკის მსგავს კიდეში მოთავსებულია მზე და მტვრის პაწაწკინტელა ნაწილაკი- მიწა, რომელიც ცოდნის ძალით მრავალ დასახლებულ სამყაროს ებღაუჭება და კაცობრიობის აზროვნების ფრთები კოსმოსის მარადისობაზე გაუშლია.

მვენ მასმა გადამწოდი გადართო მისთვის ყველაზე უფრო საინტერესო გალაქტიკაზე - ნგკ 4594 ქალწულის თანავარსკლავედიდან, რომელიც აგრეთვე თავისი ეკვატორით ბრტყლად მოჩანდა. ეს გალაქტიკა ათი მილიონი პარსეკის მანძილით იყო დაცილებული. იგი ანთებული ვარსკლავის მასის მქონე სქელ ლინზას ჰგავდა,

მანათობელი გაზის ფენაში შეფუთულს. ამ ოსპს ეკვატორზე ჰკვეთდა სქელი შავი ხაზი- შედედებული ბნელი მატერია. გალაქტიკა უძირო სიღრმიდან მანათობელ საიდუმლო ფარანს ჰგავდა.

რა სამყაროები იამლება იქ, მის ჯამურ, სხვა გალაქტიკებზე უფრო ნათელ გამოსხივებაში, რომელიც საშუალოდ ფ სპექტრალურ კლასს აღწევს?. არიან თუ არა იქ მძლავრი პლანეტების მცხოვრებლები? როგორც ჩვენთან , იქაც ფეთქავს თუ არა აზროვნება ბუნების საიდუმლოებათა ამოსახსნელად?

იმის გამო, რომ ვეებერთელა ვარსკლავების კუნძულებმა პასუხი არ გასცეს, სიბრაზისაგან მვენ მასმა ხელები მუშტებად შეკრა. იგი გრძნობდა მანძილის მთელ განუზომელობას - ამ გალაქტიკამდე შუქი მისვლას ოცდათორმეტი მილიონი წელიწადი უნდებოდა!

მვენ მასმა კოჭები ამოქექა და ეკრანზე იშვიათდა ბუნდოვან ვარკლავებს შორის სინათლის ნათელი და მომრგვალებული ლაქა აინთო. მრუდმა შავმა ზოლმა ლაქა შუქზე გადაჭრა და ძლიერ მანათობელი ცეცხლოვანი მასა თავის ორივე მხარეზე

მოჩრდილა. შავი ზოლი ბოლოებში ფართოვდებოდა და აბნელებდა ანთებული გაზის ფართო ველს, რომელიც ნათელ ლაქას რკალივით ერტყა.

ასე გამოიყურებოდა გედის თანავარსკლავედის შეჯახებულ გალაქტიკათა სურათი, მიღებული ტექნიკის წარმოუდგენელი ხრიკებით. სიდიდით ჩვენი ან ანდრომედას ნისლეულის ტოლი გიგანტური გალაქტიკების ეს შეჯახება, თავიდანვე ცნობილი იყო როგორც რადიოგამოსხივების წყარო. სამყაროს ჩვენთვის ხელმისაწვდომ ნაწილში ეს ყველაზე მძლავრი წყარო იყო. მზის სწრაფად მბრუნავი კოლოსალური ნაკადები ისეთი წარმოუდგენელი სიმძლავრის ელექტრომაგნიტურ ველებს ქმნიდნენ, რომ ისინი სამყაროს ყველა კუთხეში გზავნიდნენ ცნობებს ტიტანური კატასტროფის შესახებ. თვითონ მატერია უბედური შემთხვევის ამ სიგნალებს კვინტილიარდი ანუ ათასი კვინტილიონი კილოვატის ძალის რადიოსადგურების სიმძლავრით გზავნიდა. მაგრამ გალაქტიკამდე მანძილი ისე დიდი იყო, რომ ეკრანზე გამოჩენილი სურათი ასეულ მილიონი წლის წინანდელ მდგომარეობას აჩვენებდა. იმას, თუ როგორც გამოიყურება ახლა ერთმანეთში გამავალი გალაქტიკები, ჩვენ ისეთი დიდი დროის გავლის შემდეგ დავინახეთ, რომ არც კი ვიცით, იარსებებს თუ არა კაცობრიობა ასე წარმოუდგენლად დიდხანს.

მვენ მასი წამოხტა და მასიურ მაგიდას ხელებით ისე დაეყრდნო, რომ ძვლებმა ჭახაჭუხი დაუწყო.

გადაგზავნის მილიონწლიანი ვადები, თითქმის ათეულ ათასობით თაობებისათვის მიუღწეველი, რომლებიც შორეული მემკვიდრეებისთვისაც კი აღინიშნება გონებისათვის მომაკვდინებელი სიტყვით -“არასოდეს“, შეიძლება ჯადოსნური ჯოხის ერთი აქნევით გაქრეს. ეს ჯოხი - რენ ბოსის აღმოჩენა და მათი ერთობლივი ცდა არის.

სამყაროს წარმოუდგენლად შორეული წერტილები ხელის გაწოდების ოდენა მანძილზე აღმოჩნდება!

უძველეს ასტრონომებს გალაქტიკა სხვადასხვა მხარეზე გაფანტულად მიაჩნდათ. შორეული ვარსკლავების კუნძულებიდან მომავალი შუქი, რომელიც დედამიწის ტელესკოპებში გადიოდა, შეცვლილი იყო - სხივის რხევები გრძელდებოდა, წითელ ტალღებად გარდაიქმნებოდა. სწორედ სინათლის ეს გაწითლება ადასტურებდა გალაქტიკების დამკვირვებლებისაგან დაშორებას. ძველი ადამიანები მიეჩვივნენ მოვლენები ცალმხრივად და სწორხაზობრივად მიეღოთ - მათ შექმნეს გაფანტული თუ

აფეთქებული სამყაროს თეორია, ჯერ კიდევ ვერ გაეგოთ, რომ ნგრევისა და შექმნის დიდი პროცესის მხოლოდ ერთ მხარეს ხედავდნენ... სწორად მხოლოდ ერთ მხარეს - გაფანტვასა და ნგრევას, ესე იგი თერმოდინამიკის მეორე კანონის მიხედვით ენერგიის უმდაბლეს დონეზე გადასვლას, -- ღებულობდნენ ჩვენი შეგრძნებები და ამ შეგრძნებების გასაძლიერებლად აგებული ხელსაწყოები. მეორე მხარეს - დაგროვება, შეკრება და შექმნა - ადამიანების მიერ არ აღიქმებოდა, რადგან თვით -ცხოვრება თავის ძალას ვარსკლავ- მზეების მიერ გაფანტული ენერგიისაგან იღებდა, და ამის შედეგად იქმნებოდა ჩვენი წარმოდგენა გარემომცველი სამყაროს შესახებ. მაგრამ ადამიანის მძლავრი გონება შეიჭრა სამყაროთა შექმნის ამ ჩვენგან დაფარულ პროცესებში. იმ ძველ ხანებში ეგონათ, რომ მიწიდან რაც უფრო დაშორებული იყო ესა თუ ის გალაქტიკა, იგი მით უფრო დიდ დაცილების სიჩქარეს აჩვენებდა. სივრცეში ჩაღმავებასთან ერთად , საქმე გალაქტიკების სინათლის სინათლის სიჩწარის სიახლოვემდე მივიდა. ხილული სამყაროს საზღვრად ის მანძილი იქცა, საიდანაც გეჩვენებოდათ, რომ გალაქტიკებმა სინათლის სიჩქარეს მიაღწიესო - მართლაც მათგან ჩვენამდე არავითარი შუქი არ აღწევდა და მათი დანახვა არასოდეს არ შეგვეძლო. ახლა ვიცით შორეული გალაქტიკების სინათლის გაწითლების მიზეზები. მიზეზი ერთი როდია. შორეული

ვარსკლავების კუნძულებიდან ჩვენამდე მხოლოდ მათი ნათელი ცენტრიდან გამომავალი შუქი აღწევს. მატერიის ეს კოლოსალური მასები გარშემორტყმულია რკალისებური ელექტრომაგნიტური ველებით, რომლებიც ძალიან ძლიერ ზემოქმედებას ახდენენ სინათლის სხივებზე არა მხოლოდ თავისი სიძლიერით, არამედ სხივური რხევების შენელების დამგროვებელი განფენილობითაც. ეს რხევები უფრო გრძელ წითელ ტალღებად იქცევა. ასტრონომებმა დიდი ხანია იცოდნენ, რომ ძალიან მკრივი ვარსკლავების შუქი წითლდება, სპექრტის ზოლი წითელ ბოლოში ირევა და ვარსკლავი განშორებული გეჩვენებათ . ასეთია მაგალითად, სირიუსის მეორე შემადგენელი

ნაწილი - თეთრი ჯუჯა ბ. სირიუსი, რაც უფრო შორსაა გალაქტიკა , მით უფრო ხდება ჩვენამდე მოღწეული გამოსხივების ცენტრალიზირება და მით უფრო ძლიერია სპექტრის წითელი ბოლოს შერევა.

მეორე მხრივ, სინათლის ტალღები სივრცის ძალზე შორეული გზებზე „ირყევა“, და სინათლის თავიანთი კვანტური ენერგიის ნაწილს კარგავენ. ამჟამად ეს მოვლენა შესწავლილია - წითელი ტალღები შეიძლება ჩვეულებრივი სინათლის დაღლილი , „ მოხუცი“ ტალღები იყოს. წარმოუდგენლად დიდი მანძილის გავლისას, ყველაფრის

გამკვეთი სხივთა ტალღებიც კი „ბერდებიან“. რა იმედია, რომ ადამიანი დასძლევს მანძილს, თუკი თვით მისი დაპირისპირებულების მიზიდულებაზე არ დავდგებით, როგორც რენ ბოსის მათემატიკიდან გამომდინარეობს. არა, განგაში შემცირდა . იგი მართალია, არნახულ ცდას რომ ატარებს.

როგორც ყოველთვის, მვენ მასი ობსერვატორიის აივანზე გამოვიდა და აჩქარებული ბოლთის ცემა დაიწყო. დაქანცულ თვალებში ჯერ კიდევ ანათებდა შორეული გალაქტიკები, მიწასთან შერწყმული წითელი ფერის ტალღები, როგორც ნიშანი დახმარების თხოვნისა მოწოდება ადამიანის ყოვლისმძლე გონებისა. მვენ მასმა წყნარად და დაჯერებულად გაიცინა. ეს წითელი ტალღები ისევე მახლობელი გახდება ადამიანისათვის, როგორც ისინი, რომლებიც ანთებული ფიალების დღესასწაულზე ჩარა ნანდის სხეულს სიცოცხლის წითელ სხივად ეხვეოდა. ჩარასა, რომელიც მოულოდნელად გამოცხადდა მასთან, როგორც ვარსკლავ ეპსილონ ტუკანას ბრინჯაოს ქალიშვილი, მისი ოცნების პატარა ქალი.

და ისინიც რენ ბოსის ვექტორის ორიენტირებას სწორედ ეპსილონ ტუკანზე ახენს, არა

მარტო იმ იმედით, რომ მშვენიერ სამყაროს იხილავს, არამედ ამ ქალის, მათი მიწიერი წარმომადგენლის საპატივცემლოდაც!

თავი **IX.** მესამე ციკლის სკოლა

მესამე ციკლის ოთხასმეათე სკოლა ირლანდიის სამხრეთით მდებარეობდა. ფართო ველები, ვაზნარები და მუხნარები მწვანე ბორცვებიდან ზღვისკენ ეშვებოდა. ვედა კონგი და ევდა ნალი მეცადინეობის საათებში ჩამოვიდნენ და ნელ-ნელა მიდიოდნენ რკალისებურ დერეფანში, რომელიც გარს უვლიდა მრგვალი შენობის პერიმეტრზე განლაგებულ სასწავლო ოთახებს. ღრუბლიანი დღე იყო, ჟინჟლავდა, ამიტომ მეცადინეობა მიმდინარეობდა ოთახებში და არა მდელოზე ხეების ძირას, როგორც ყოველთვის.

ვედა კონგმა თავი მოსწავლე გოგონად წარმოიდგინა, მიიპარებოდა და დააყურადებდა შესასვლელთან, რომლებიც, როგორც უმრავლეს სკოლებში, აქაც უკარებო იყო. მხოლოდ კედლების შვერილები კულისების მსგავსად უვლიდა ერთმანეთს. ევდა ნალიც ჩაება თამაშში. ქალები ფრთხილად იხედებოდნენ კლასებში, ცდილობდნენ ისე მოენახათ ევდას ქალიშვილი, რომ არვის შეემჩნია.

პირველ ოთახში მათ აღმოაჩინეს მთელ კედელზე ლურჯი ცარცით დახაზული ვექტორი, რომელიც მთელი მისი სიგრძის გასწვრივ დაჭიმული სპირალით იყო გარშემოვლებული. სპირალის ორი ნაკვეთი გარდიგარდმო ელიპსებით იყო გარშემოხვეული. მათში მართკუთხა კოორდინატების სისტემები იყო ჩაწერილი.

- ბიოპოლარული მათემატიკა! - ხუმრობით შეშინებული ხმით წამოიყვირა ვედამ.

- აქ რაღაც მეტია! დავიცადოთ წუთით. - შეედავა ევდა.

- ამჟამად, როცა გავეცანით ვექტორზე წარმოშობილ კოხლეარული მოძრაობის, ე. ი. სპირალური თანდათანობითი მოძრაობის ჩრდილოვან ფუნქციებს. - ხსნიდა მასწავლებელი, რომელსაც ღრმად ჩაცვენილი ანთებული თვალები ჰქონდა, - მივადექით „რეპაგულარული გამოთვლის“ გაგებას. გამოთვლის სახელწოდება ძველი ლათინური სიტყვიდან წარმოსდგება, რაც „ჯებირს“, „საკეტს“ ნიშნავს. უფრო ზუსტად ამ სიტყვით აღინიშნება ერთი თვისების მეორეში გადასვლა, აღებული ორმხრივ ასპექტში. - სხვა სიტყვებით, ეს არის ურთიერთგარდამავალი მოვლენების მათემატიკური გამოკვლევა. ვედა კონგი სვერილს მოეფარა და მეგობარი ხელით გამოათრია.

- ეს ახალია! იმ დარგიდანაა, რომელზეც თქვენი რენ ბოსი გვიამბობდა ზღვისპირას.

- სკოლა მოსწავლეებს ყოველთვის ყველაზე ახალს აწვდის, ხოლო ძველს თანდათანობით უკუაგდებს.

თუ ახალმა თაობამ მოძველებული ცნებები იმეორა, როგორღა უზრუნველვყოფთ სწრაფ წინსვლას? უამისოდაც უსასრულოდ ბევრი დრო იხარჯება, სანამ ცოდნის ესტაფეტას ბავშვებს გადავცემდეთ. ათეული წლები გაივლის, სანამ ბავშვი სრულფასოვნად განათლებულ, გიგანტური საქმეების შემსრულებლად ვარგის ადამიანად იქცეოდეს. ესაა თაობის მაჯისცემა, როდესაც ცვლის ზრდისა და განსწავლის პერიოდში ერთ ნაბიჯს წინ ვდგამთ, ხოლო ნაბიჯის ცხრა მეათედს - უკან. ეს ადამიანისთვის ყველაზე მძიმე სიკვდილისა და დაბადების კანონია. ბევრი რამ, რაც ჩვენ შევისწავლეთ მათემატიკაში, ფიზიკაში, ბიოლოგიაში, მოძველდა. სხვა საქმეა თქვენი ისტორია: იგი უფრო ნელა ძველდება, რადგან თავადაც ძალიან ძველია.

მათ მეორე ოთახში შეიხედეს. ზურგით მდგომ მასწავლებელ ქალს და ლექციით გატაცებულ მოსწავლეებს არაფერი შეუმჩნევიათ. აქ იყვნენ მოზრდილი ჭაბუკები და ქალიშვილები, ჩვიდმეტიოდე წლისანი. მათი აწითლებული ლოყები თავისთავად მეტყველებდა, თუ როგორი გატაცებით უსმენდნენ გაკვეთილს.

- კაცობრიობამ უდიადესი გამოცდა გაიარა, - მასწავლებლის ხმამ მღელვარებით გაიწკრიალა. - და დღემდე სასკოლო ისტორიაში მთავარია კაცობრიობის ისტორიული შეცდომებისა და მათი შედეგების შესწავლა. ჩვენ გავიარეთ არაჩვეულებრივად გართულებული ცხოვრება და ყოფიერების საგნები, რათა ყველაზე დიდ სისადავემდე მიგვეღწია. ყოფიერების გართულებას სულიერი კულტურის გაუბრალოებამდე მივყავდით. არ არის საჭირო არავითარი ზედმეტი ნივთი, რომელიც ბორკავს ადამიანს, რომლის განცდებიცა და შეგრძნებებიც სადა ცხოვრების დროს ბევრად უფრო ნაზი და რთულია. განსაკუთრებით გონიერნი, როგორც მეცნიერების უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე, ისე ფიქრობენ ყველაფერზე, რაც კი ყოველდღიური ცხოვრების მომსახურებას განეკუთვნება. ჩვენ გავყევით ცხოველთა სამყაროს ევოლუციის საერთო გზას, რომელიც მოძრაობის ავტომატიზაციისა და ორგანიზმის ნერვულ სისტემაში რეფლექსების განვითარების მეშვეობით ყურადღების განთავისუფლებისაკენ მიემართებოდა. საზოგადოების საწარმოო ძალთა ავტომატიზაციამ ეკონომიურ საწარმოებში მართვის ანალოგიური რეფლექტორული სისტემა შექმნა და ადამიანების უმრავლესობას საშუალება მისცა ემუშავათ მეცნიერულ გამოკვლევებზე, რაც ადამიანთა ძირითად საქმიანობას წარმოადგენს. ჩვენ ბუნებისაგან დიდი კვლევის უნარის მქონე ტვინი მივიღეთ, თუმცა თავდაპირველად მის დანიშნულებას მხოლოდ

- საჭმლის მოძებნა და მისი საკვებ-ვარგისიანობის გამოკვლევა წარმოადგენდა. - კარგია! - წაიჩურჩულა ევდა ნალმა და მაშინვე შეამჩნია თავისი ქალიშვილი.

ქალიშვილს ეჭვიც არ აუღია. იგი ჩაფიქრებული მისჩერებოდა სარკმლის მინის ტალღისებრ ზედაპირს, რომელიც საშუალებას არ იძლეოდა შეემჩნია რაიმე კლასგარეთ.

ვედა კონგმა ცნობისმოყვარეობით შეადარა ქალიშვილი დედას. გოგონას დედასავით სწორი, შავი თმები ჰქონდა, რაზეც ცისფერი ძაფი გადაეკრა და ორი დიდი ბაფთა

შემოეხვია. რაღაც ბავშვური, მაგრამ დედის მსგავსი სახე ჰქონდა, ზედმეტად ფართო შუბლითა და საფეთქლებთან ამოზიდული ყვრიმალის ძვლებით. ხელოვნური შალის თოვლივით თეთრი ზედაწელი განსაკუთრებით აჩენდა მისი სახის რუხ სიმკრთალეს და თვალების, წარბებისა და წამწამების მკვეთრ სიშავეს. წითელი მარჯნის ყელსაბამი ჰარმონიულად ეხამებოდა ქალიშვილის უთუოდ ორიგინალურ გარეგნობას.

ევდას ქალიშვილს კლასში მსხდომ ყველა სხვათა მსგავსად ფართო და მუხლებამდე მოკლე შარვალი ეცვა. სხვებისგან იმით განსხვავდებოდა, რომ შარვლის გვერდითი ნაკერის გასწვრივ წითელი სირმა დაჰყვებოდა.

- ინდიელთა მორთულობაა, - წაიჩურჩულა ევდა ნალმა მეგობრის კითხვის გამომხატველი ღიმილის პასუხად.

ევდამ და ვედამ დერეფანში შეფარება ვეღარ მოასწრეს, ისე უცებ დატოვა მასწავლებელმა კლასი. კვალდაკვალ რამდენიმე მოწაფე გამოჰყვა. მათ შორის ევდას შვილიც იყო. დედის დანახვისას ქალიშვილი მოულოდნელად გაირინდა - დედა მისი სიამაყე და მუდმივ მისაბაძი მაგალითი იყო. ევდამ არ იცოდა, რომ სკოლაში მის

მიმბაძველთა წრე არსებობდა. წრის წევრებმა გადაწყვიტეს ცხოვრებაში სახელგანთქმული ევდა ნალის გზით ევლოთ.

- დედა! - წაიჩურჩულა ქალიშვილმა, დედის თანამგზავრს მორცხვად გადახედა და ევდას მიეხუტა.

მასწავლებელი ქალი გაჩერდა და ახლო მოვიდა.

- სკოლის საბჭოს უნდა ვაცნობო, - თქვა მან, არ დაემორჩილა ევდა ნალის პროტესტს. - რაიმე სარგებლობას მოვიპოვებთ თქვენი აქ ჩამოსვლით.

- უკეთესია სარგებლობა ამაში ეძებოთ. - ევდამ ვედა კონგი წარუდგინა. ისტორიის მასწავლებელი აწითლდა და სულ ახალგაზრდა გამოჩნდა.
- ძალიან კარგია! - იგი ცდილობდა საქმიანი ტონი შეენარჩუნებინა. - სკოლაში უფროსი ჯგუფების გამოშვების წინადღეებია. ევდა ნალის მიერ გზის დალოცვას შევუთავსებთ ძველი კულტურისა და რასების მიმოხილვას, რომელსაც ვედა კონგი გააკეთებს, - ნამდვილი ბედის გაღიმებაა ჩვენი სკოლისათვის! ხომ მართალია. რეა?

ევდას ქალიშვილმა ტაში შემოჰკრა. მასწავლებელი ქალი ტანმოვარჯიშის მსუბუქი სირბილით გაემართა სასამსახურო ბინისაკენ, რომელიც გრძელ პირდაპირ მინაშენში იყო მოთავსებული.

- რეა, შრომის გაკვეთილი გამოტოვე, ბაღში გავისეირნოთ! - შესთავაზა ევდამ ქალიშვილს, - სანამ გმირობას ამოირჩევ, ვეღარ გნახავ. წინა შეხვედრისას საბოლოოდ ვერ გადავწყვიტეთ...

რეამ დედას უსიტყვოდ ჩაჰკიდა ხელი. სკოლის თვითეულ ციკლში მეცადინეობა შრომის გაკვეთილებს ენაცვლებოდა. ახლა რეას ერთი-ერთი საყვარელი გაკვეთილი იყო - ოპტიკური მინების გახეხვა. მაგრამ რა უნდა ყოფილიყო დედამისის ჩამოსვლაზე უფრო საინტერესო და მნიშვნელოვანი?

ვედა პატარა ასტრონომიული ობსერვატორიისაკენ გაემართა, რომელიც მოშორებით ჩანდა, დედა-შვილი მარტო დატოვა. რეა ბავშვივით მიხუტებოდა დედას მძლავრ ხელს, გვერდით მისდევდა და დაძაბული ფიქრობდა.

- სად არის შენი პატარა კაი? - შეეკითხა ევდა და ქალიშვილი შესამჩნევად დანაღვლიანდა.

კაი მისი მოწაფე იყო. უფროსი მოწაფეები მიდიოდნენ ხოლმე სკოლის მახლობლად მდებარე პირველ ან მეორე ციკლებში და თვალყურს ადევნებდნენ მათ მიერ ამორჩეულთა სწავლასა და აღზრდას. გულმოდგინე აღზრდის პირობებში მასწავლებლებისადმი ინტეგრალური დახმარება აუცილებელი იყო.

- კაი მეორე ციკლში გადავიდა და აქედან შორს გაემგზავრა. ისე მწყდება გული... რატომ გადავყავართ ხოლმე ყოველ ოთხ წელიწადში ერთი ადგილიდან მეორეზე, ციკლიდან ციკლში?
- შენ ხომ იცი, რომ ერთფეროვნება შთაბეჭდილებებისაგან ფსიქიკა იღლება და იჩლუნგება.
- მხოლოდ ის ვერ გამიგია, ოთხი სამწლიანი ციკლიდან პირველი მათგანი ნაკლოვან ციკლად რატომ იწოდება - იქაც ხომ ერთიდან ოთხ წლამდე ასაკის

პატარების სწავლებისა და აღზრდის ძალზე მნიშვნელოვანი პროცესი მიმდინარეობს?

- ძველი და უხეირო სახელწოდებაა. მაგრამ თუ უკიდურესი საჭიროება არ არის, ვერიდებით დაკანონებული ტერმინების შეცვლას. ამას ყოველთვის თან სდევს ადამიანის ენერგიის უსარგებლო ხარჯვა. უკლებლივ ყველა ჩვენგანი მოვალეა ამისაგან დაიცვას კაცობრიობა.

- მაგრამ ციკლების დაყოფას ხომ თან სდევს ცალ-ცალკე სწავლა და ცხოვრება, მუდმივად გადადიან ერთი ადგილიდან მეორეზე, - ესეც ხომ ძალების დიდ ხარჯვას იწვევს?

- რასაც ჭარბად ანაზღაურებს აღქმათა გამახვილება, სწავლების სასარგებლო ეფექტი, რაც სხვა შემთხვევაში წლითიწლობით იკლებს. თქვენ, პატარა ადამიანები, ზრდისა და აღზრდის მიხედვით თვისებრივად სხვადასხვაგვარ არსებებად იქცევით. სხვადასხვა ასაკის ჯგუფების ერთად ცხოვრება ხელს უშლის აღზრდას და მოსწავლეებსაც

აღიზიანებს. ჩვენ განსხვავება მინიმუმამდე დავიყვანეთ, ბავშვები ოთხ ასაკობრივ ციკლად დავყავით, და ესეც კი სრულყოფა არ არის. მაგრამ ჯერ შენს ოცნებებსა და საქმეებზე მოვითათბიროთ. ალბათ თქვენთვის ლექციის წაკითხვა მომიწევს და, შეიძლება, შენი შეკითხვები თავისთავად გაირკვეს.

რეამ თავისი დაფარული ფიქრები გაანდო დედას ისეთი ნდობით, რომ როგორც დამახასიათებელია რკალის ერას ბავშვებისთვის, რომელთაც არასოდეს განუცდიათ შეურაცხმყოფელი დაცინვა ან თანაგრძნობის გაუწევლობა. ქალიშვილი განსახიერება იყო ახალგაზრდისა, რომელსაც ჯერ კიდევ არაფერი ესმის ცხოვრებისა, მაგრამ უკვე ფიქრიანი მოლოდინით არის სავსე. ჩვიდმეტი წლის შესრულებისთანავე ქალიშვილი დაამთავრებდა სკოლას და ჰერკულესის გმირობათა სამწლიან პერიოდში შევიდოდა, სამუშაოს უკვე მოზრდილთა შორის შეასრულებდა. გმირობათა შემდეგ უკვე საბოლოოდ განისაზღვრებოდა მისწრაფებანი და სურვილები. ამას მოჰყვებოდა ორწლიანი უმაღლესი განათლება, რომელიც არჩეულ სპეციალობაში დამოუკიდებელი მუშაობის უფლებას იძლეოდა. მრავალწლიანი ცხოვრების მანძილზე ადამიანი ასწრებდა ხუთ-ექვს სპეციალობაში მიეღო უმაღლესი განათლება, იცვლიდა სამუშაოთა

სახეობებს, მაგრამ პირველი და მძიმე მოღვაწეობის - ჰერკულესის გმირობათა არჩევანზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული. ამიტომაც მათ ხანგრძლივი მოფიქრებისა და უეჭველად უფროს მრჩეველთან მოთათბირების შემდეგ ირჩევდნენ.

- გამოსაშვები ფსიქოლოგიური გამოცდა უკვე გაიარეთ? - წარბების აწევით იკითხა ევდამ.

- გავიარეთ. მე მეოცე და ოცდამეოთხე პირველ რვა ჯგუფში, მეთვრამეტე და მეცხრამეტე მეათე ჯგუფში, მეცამეტე და მეჩვიდმეტე კი მეჩვიდმეტე ჯგუფში! - ამაყად გამოეხმაურა რეა.

- ეს შესანიშნავია! - გაუხარდა ევდას. - შენთვის ყველა კარი ღიაა. პირველი გმირობის არჩევანი ხომ არ შეგიცვლია?

- არა. მედიცინის დად ვიმსახურებ დავიწყების კუნძულზე, შემდეგ კი მთელი ჩვენი წრე, შენი მიმდევრების წრე, იუტლანდის ფსიქოლოგიურ ჰოსპიტალში იმსახურებს.

ევდას ამ მუყაითი ფსიქოლოგების მისამართით გულკეთილი ხუმრობანი არ დაუშურებია, მაგრამ რეამ დაითანხმა დედა ყოფილიყო წრის წევრების მენტორად; ისინიც გმირობათა არჩევის წინ იდგნენ.

- აქ მომიწევს ცხოვრება შვებულების ბოლომდე, - გაიცინა ევდამ. - რას იზამს ვედა კონგი?

რეამ მოიგონა დედის თანამგზავრი.

- რა კარგია, - სერიოზულად თქვა რეამ, - თანაც თითქმის შენსავით ლამაზია!

- ბევრად უფრო ლამაზია!

- არა, მე ვიცი... იმიტომ კი არა, რომ ჩემი დედა ხარ, - დაიჟინა რეამ. - შეიძლება ერთი შეხედვით უკეთესიც იყოს. მაგრამ შენ ისეთი შინაგანი ძალა გაქვს, როგორიც ვედა კონგს ჯერ კიდევ არ გააჩნია. არ ვამბობ, რომ არ ექნება. როცა ექნება, მაშინ...

- ისე დაჩრდილავს დედაშენს, როგორც მთვარე ვარსკვლავს? რეამ თავი გააქნია.

- შენ ხომ ერთ ადგილზე არ იდგები? კიდევ უფრო გაასწრებ!

ევდამ სწორ თმებზე ხელი გადაუსვა, ქალიშვილს ახლო მიტანილ სახეში ჩახედა.

- აღარ კმარა ქება-დიდება, შვილო? დროს ვკარგავთ!..

ვედა კონგი ნელა მოდიოდა ფანჩატურში, ღრმად შევიდა ფართოფოთლებიანი ნეკერჩხლის ჭალაში.

ნეკერჩხლის ხეები მძიმე, სველ ფოთლებს აშრიალებდნენ. საღამოს ბინდის პირველი აჩრდილები წვებოდა მახლობელ მდელოზე, მაგრამ მათ სწრაფადვე ფანტავდა ქარი. ვედა კონგი ფიქრობდა ბუნების მოძრავ სიწყნარეზე და იმაზე, თუ რა მოხერხებულად არჩევენ ადგილებს სკოლების ასაშენებლად. აღზრდის

უმნიშვნელოვანესი მხარე - ეს არის ბუნების მკაფიო აღქმა და მასთან ფაქიზი დამოკიდებულება. ბუნებისადმი ყურადღების მოჩლუნგება სინამდვილეში ადამიანის განვითარების შეჩერებას ნიშნავს,

რადგანაც დაკვირვების უნარს გადაჩვეული ადამიანი განზოგადების უნარსაც კარგავს. ვედა ფიქრობდა სწავლების ცოდნაზე - ეპოქის უძვირფასეს თვისებაზე, როცა, ბოლოსდაბოლოს, გაიგეს, რომ განათლება იგივე აღზრდაა და მხოლოდ ამ გზით შეიძლება მოვამზადოთ ბავშვი ადამიანის ძნელ ბილიკებზე გამოსასვლელად. ცხადია, საფუძველს თანდაყოლილი თვისებები იძლევა, მაგრამ მათ შეიძლება ფუჭად ჩაიარონ, თუკი მასწავლებელი ფაქიზად არ დაამუშავებს ადამიანის სულს.

მეცნიერი-ისტორიკოსი იმ შორეულ დღეებს დაუბრუნდა, როცა თვითონვე წინააღმდეგობებისაგან შეკოწიწებულ ახალგაზრდა არსებას, მესამე ციკლის სკოლის მოწაფეს წარმოადგენდა. იგი თრთოდა სურვილისაგან, რომ საკუთარი თავი მსოფლიოსათვის მსხვერპლად მიეტანა, ამავე დროს მთელ მსოფლიოზე მსჯელობისას მხოლოდ საკუთარი თავიდან, ჯანსაღი ახალგაზრდობის ეგოცენტრიზმიდან გამოდიოდა. „რა ბევრი გააკეთეს მაშინ მასწავლებლებმა ჩვენს სამყაროში უფრო დიადი ჭეშმარიტად არ არსებობს!“.

მასწავლებელი - მის ხელშია მოწაფის მომავალი, რადგანაც მხოლოდ მისი ძალღონის

მეშვეობით ადის ადამიანი სულ უფრო მაღლა და ხდება სულ უფრო ძლიერი, წვეტს ყველაზე ძნელ ამოცანას - სძლევს საკუთარ თავს, ხარბ თავმომწონეობასა და დაუოკებელ სურვილებს.

ვედა კონგი ფიჭვებით შემოფარგლული პატარა ყურესაკენ შებრუნდა, საიდანაც ახალგაზრდული ხმები აღწევდა. მალე იგი ათეულ პლასტმასის წინსაფრიან ბიჭუნას წააწყდა. ისინი გულდასმით ამუშავებდნენ გრძელ მუხის ძელს, ხმარობდნენ ნაჯახებს - ინსტრუმენტებს, რომლებიც ჯერ კიდევ ქვის საუკუნის გამოქვაბულებში გამოიგონეს. ახალგაზრდა მშენებლები პატივისცემით მიესალმნენ ისტორიკოსს და აუხსნეს, რომ მათ, ისტორიულ გმირთა მიბაძვით, სურთ ააშენონ გემი ავტომატური ხერხებისა და ამწყობი დაზგების დაუხმარებლად. განზრახული აქვთ ხომალდით გასცურონ კართაგენის ნანგრევებისაკენ. ეს ნაოსნობა გათვალისწინებულია ვაკაციის დროს ისტორიის, გეოგრაფიისა და შრომის მასწავლებლებთან ერთად.

ვედამ გემთმშენებლებს წარმატება უსურვა და გზის განგრძობა დააპირა. ამხანაგებს ყვითელთმიანი მაღალი და გამხდარი ახალგაზრდა გამოეყო.

- თქვენ ევდა ნალთან ერთად ჩამობრძანდით? მაშინ ნება დამრთეთ რამდენიმე შეკითხვით მოგმართოთ. ვედა დაეთანხმა.

- ევდა ნალი მწუხარებისა და სიხარულის აკადემიაში მუშაობს. ჩვენ გავიარეთ ჩვენი პლანეტისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნების საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მაგრამ ჯერ არავინ აგვისხნა ამ აკადემიის მნიშვნელობა.

ვედამ უამბო დიდი აღრიცხვების შესახებ, რომელიც აკადემიამ საზოგადოების ცხოვრებაში გაატარა; უამბო ცალკეული ადამიანების შესახებ, ცხოვრებაში მწუხარებისა და ბედნიერების გამოანგარიშების შესახებ, ასაკობრივ ჯგუფებში მწუხარების გამოკვლევის შესახებ. ამას მოჰყვა კაცობრიობის ისტორიული განვითარების ეტაპების მიხედვით მწუხარებისა და სიხარულის ცვლილებათა ანალიზი. როგორც არ უნდა ყოფილიყო განცდათა ნაირხარისხიანობა დიდი

რიცხვების მეთოდებით - სტოხასტიკიით დამუშავებულ მასობრივ შედეგებში მნიშვნელოვანი კანონზომიერება მიიღებოდა. საზოგადოების შემდგომი განვითარების წარმმართავი საბჭოები უსათუოდ ცდილობდნენ უკეთესი მაჩვენებლებისათვის მიეღწიათ. მხოლოდ სიხარულის მატების შემთხვევაში ან სიხარულისა და მწუხარების თანაბრობისას თვლიდნენ, საზოგადოების განვითარება წარმატებით მიდისო.

- მაშასადამე, მწუხარებისა და სიხარულის აკადემია ყველაზე მთავარია? - იკითხა გაბედულ და ეშმაკურთვალებიანმა მეორე ბიჭმა. სხვებმა გაიცინეს. ვედა კონგის პირველმა მოსაუბრემ განმარტა:

- ოლი ყველაფერში მთავარს ეძებს. თვითონაც წარსულის დიდ უფროსებზე ოცნებობს.

- სახიფათო გზაა, - გაიღიმა ვედამ. - როგორც ისტორიკოსმა. შემიძლია გითხრათ, რომ ეს დიდი უფროსები ყველაზე მეტად შეზღუდული და დამოკიდებული ადამიანები იყვნენ.

- თავიანთი მოქმედების შეპირობებით შეზღუდულნი? - იკითხა ყვითელთმიანმა ახალგაზრდამ.

- სწორედ. მაგრამ ეს იყო მგე-სა და უფრო ადრინდელი ძველი საზოგადოების უთანაბრო და სტიქიური განვითარების პერიოდში. ახლა მთავარი არ არსებობს, რადგანაც თვითეული საბჭოს საქმიანობა უაზროა ყველა დანარჩენი საბჭოების გარეშე.

- ეკონომიკის საბჭო? უმისოდ ვერვინ ვერაფრის დიდის გაკეთებას ვერ მოახერხებს, - ფრთხილად შეეკამათა ოლი, რომელიც შეკრთა, მაგრამ არ დაიბნა.

- სწორია, იმიტომ, რომ ეკონომიკა ჩვენი არსებობის რეალური საფუძველია. მაგრამ მგონია, თქვენ სავსებით სწორი წარმოდგენა არა გაქვთ მთავარის შესახებ... ადამიანის ტვინის ციტოარხიტექტონიკა უკვე გაიარეთ?

ახალგაზრდებმა დადებითად უპასუხეს.

ვედამ მოითხოვა ჯოხი და ქვიშაზე ძირითადი მმართველი დაწესებულების წრეები დახაზა.

- აი. ცენტრში ეკონომიკის საბჭოა. მისგან გავატაროთ პირდაპირი კავშირები საკონსულტაციო ორგანოებთან. მსა - მწუხარებისა და სიხარულის აკადემიასთან, სძა - საწარმოო ძალთა აკადემიასთან, სწა - სტოხასტიკისა და წინასწარმეტყველების აკადემიასთან, შფა - შრომის ფსიქოფიზიოლოგიის აკადემიასთან. გვერდითი კავშირი - დამოუკიდებელ მოქმედ ორგანოსთან - ვარსკვლავმფრენის საბჭოსთან. მას პირდაპირი კავშირი აქვს მართული გამოსხივების აკადემიასა და დიდი რკალის საგარეო სადგურებთან. შემდეგ... ვედამ ქვიშა რთული სქემით მოხაზა და განაგრძო:

- ნუთუ ეს ადამიანის ტვინს არ გაგონებთ? კვლევითი და აღმრიცხველი ცენტრები - ეს გრძნობათა ცენტრებია, ხოლო საბჭოები - ასოციატური ცენტრები. თქვენ იცით, რომ მთელი ცხოვრება მიზიდულობებისა და განზიდულობებისაგან, აფეთქებებისა და დაგროვებისრიტმისაგან, აღგზნებისა და შეკავებისაგან შედგება. შეკავების მთავარი ცენტრია ეკონომიკის საბჭო, რომელსაც ყველაფერი საზოგადოებრივი ორგანიზმისა და მისი ობიექტური კანონების რეალურ შესაძლებლობათა ნიადაგზე

გადაჰყავს. დაპირისპირებულ ძალთა ეს ურთიერთმოქმედება, რომელიც ჰარმონიულ მუშაობაში იყრის თავს, წარმოადგენს ჩვენს ტვინსა და ჩვენს საზოგადოებას - ერთიცა და მეორეც განუხრელად ისწრაფვის წინ. ოდესღაც წინათ კიბერნეტიკამ, ანუ მეცნიერებამ მართვის შესახებ, ურთულესი ურთიერთქმედება და გარდაქმნა მანქანების შედარებით უბრალო მოქმედებამდე დაიყვანა. მაგრამ რაც უფრო მეტად ვითარდებოდა ჩვენი ცოდნა, მით უფრო რთული ჩანდა თერმოდინამიკის, ბიოლოგიის, ეკონომიკის კანონები. სამუდამოდ გაქრა გამარტივებული წარმოდგენები ბუნებისა თუ საზოგადოების განვითარების კანონების შესახებ. ახალგაზრდები ვედას გაუნძრევლად უსმენდნენ.

- რა არის მთავარი საზოგადოების ასეთ წყობაში? - მიუბრუნდა ვედა უფროსების მოყვარულს. ბიჭი შემცბარი დუმდა, მაგრამ პირველმა ახალგაზრდამ იჩქარა მიშველებოდა ამხანაგს.

- წინსვლა! - თამამად განაცხადა მან და ვედა აღტაცებაში მოვიდა.
- პრიზი შესანიშნავი პასუხისთვის! - წამოიძახა მან, დაიხედა სხეულზე, მარცხენა მხრიდან მოიხსნა ემალის შესაბნევი, რომელზეც ლურჯ ზღვაზე გაფრენილი თეთრი ალბატროსი იყო გამოსახული. ახალგაზრდა ქალმა ხელისგულზე დადებული ნივთი ყმაწვილს მიაწოდა.

იგი შეყოყმანდა. ვერ გადაეწყვიტა.

- დღევანდელი საუბრისა და წინსვლის სამახსოვროდ - დაიჟინა ვედამ და ყმაწვილმა მიიღო ალბატროსი.

ვედა ისევ პარკისაკენ გაემართა, თანაც ხალათის ჩამოხსნილ სამხრეს ხელით იჭერდა. შესაბნევი ერგ ნოორის ნაჩუქარი იყო და მოულოდნელი გადაწყვეტილება მისი გაცემის შესახებ ბევრს ნიშნავდა. მასში ჩანდა უცნაური სურვილი სასწრაფოდ მოეცილებინა ყველაფერი ძველი, უკვე წასული ან მიმავალი, რომელსაც ვედა თავის თავში ამჩნევდა.

შენობის ცენტრში მოთავსებულ მრგვალ დარბაზში სასკოლო ქალაქის მთელმა მოსახლეობამ მოიყარა თავი. შავ კაბაში გამოწყობილი ევდა ნალი შედგა ცენტრში

მოთავსებულ ამაღლებულ ადგილზე, რომელიც ზევიდან იყო განათებული და ამფითეატრის რიგებს თვალი დინჯად მოავლო. აუდიტორია გარინდული ისმენდა დაბალ, მკაფიო ხმას. ხმამაღალი გამაძლიერებლები მხოლოდ უშიშროების ტექნიკაშიღა იხმარება. სატელევიზიო სტერეოფონების - ტვფ-ების განვითარებასთან ერთად დიდი აუდიტორიების საჭიროებაც გაქრა.

- 17 წელი ცხოვრებაში გარდატეხის წელია. მალე თქვენ ირლანდიის ოლქის კრებაზე წარმოთქვამთ ტრადიციულ სიტყვებს: „თქვენ, უფროსებო, რომლებიც შრომისაკენ მომიწოდებთ, მიიღეთ ჩემი ცოდნა და სურვილი, მიიღეთ ჩემი შრომა და მასწავლეთ დღითა და ღამით. გამომიწოდეთ დახმარების ხელი, რადგანაც ძნელია სავალი გზა და მეც გამოგყვებით“. ამ ძველ ფორმულაში სტრიქონებს შორის ბევრი რამაა დაფარული და დღეს მომიწევს ამის შესახებ გელაპარაკოთ.

თქვენ ბავშვობიდანვე გასწავლიან დიალექტიკურ ფილოსოფიას, ოდესღაც ანტიური სიძველის საიდუმლო წიგნებში „ორმაგ საიდუმლოებად“ რომ იწოდებოდა. ასე ეგონათ, რომ მის ძალას მხოლოდ „ზეგანათლებულნი“ შეიძლებოდა დაუფლებოდნენ -

ძლიერი, გონებრივად და მორალურად მაღალი ადამიანები. ახლა დიალექტიკის კანონების მეშვეობით ახალგაზრდობიდანვე ეცნობით სამყაროს და მისი მძლავრი ძალა თვითეულს გემსახურებათ. თქვენ საცხოვრებლად მოხვედით

კარგად მოწყობილ საზოგადოებაში, რომელიც მილიარდობით უსახელო მშრომელთა და უკეთესი ცხოვრებისათვის მებრძოლმა თაობებმა შექმნეს. ხუთასი თაობა წავიდა შრომის განაწილების პირველი საზოგადოების ჩამოყალიბების შემდეგ. ამ ხნის განმავლობაში სხვადასხვა რასები და ხალხები შეირია. ყოველი ხალხის სისხლის წვეთი, როგორც ახლა ვამბობთ, - თვითეულ თქვენთაგანში ფეთქავს. გიგანტური მუშაობა ჩატარდა გამოსხივებათა გაუფრთხილებელი ხმარებისაგან გამოწვეული დაავადებებისა და ძველად გავრცელებული ავადმყოფობებისაგან მემკვიდრეობის გასაწმენდად, რაკი ეს დაავადებანი უკვე მემკვიდრეობის მექანიზმში იყო შეჭრილი.

ახალი ადამიანის აღზრდა - ესაა ზუსტი სამუშაო, რომელსაც ინდივიდუალური ანალიზი და ძალიან ფრთხილი მიდგომა უნდა ახასიათებდეს. მოუბრუნებლად წავიდა ის დრო, როცა საზოგადოება კმაყოფილდებოდა გაჭირვებით, შემთხვევით აღზრდილი ადამიანებით, რომელთა ნაკლსაც მემკვიდრეობითობით,

თანდაყოლილობით ამართლებდნენ. ახლა თვითეული ცუდად აღზრდილი ადამიანი მთელი საზოგადოების შეურაცხყოფაა, ადამიანთა დიდი კოლექტივის უმძიმესი შეცდომაა.

მაგრამ თქვენ ჯერ კიდევ არა ხართ თავისუფალი ასაკობრივი ეგოცენტრიზმისაგან და საკუთარი „მეს“ გადაჭარბებით შეფასებისაგან. ამიტომ ნათლად უნდა წარმოიდგინოთ, თუ რა ბევრია დამოკიდებული თვით თქვენზე, რადგანაც თქვენ ხართ საკუთარი თავისუფლებისა და საკუთარი ცხოვრების ინტერესების შემოქმედები. თქვენს წინ ფართო გზებია ასარჩევად გადაშლილი, - მაგრამ ეს თავისუფალი არჩევანი ამავე დროს არჩევისათვის დიდ პასუხისმგებლობას გაკისრებთ. დიდი ხანია გაქრა უკულტურო ადამიანის ოცნებები ველურ ბუნებასთან დაბრუნების შესახებ, პირველყოფილი საზოგადოებებისა და ურთიერთობების შესახებ. ადამიანთა კოლოსალური მასების გამაერთიანებელი კაცობრიობის წინაშე დადგა რეალური არჩევანი: ან დაემორჩილოს საზოგადოებრივ დისციპლინას, ხანგრძლივ აღზრდასა და სწავლებას, ან დაიღუპოს - სხვა გზა ჩვენს პლანეტაზე ცხოვრებისა არ არსებობს, თუმცა ჩვენი ბუნება საკმაოდ გულუხვია. ვაი ფილოსოფოსები, რომლებიც უკან, პირველყოფილი ბუნებისაკენ

დაბრუნებაზე ოცნებობდნენ, ვერ გებულობდნენ ბუნებას და არ უყვარდათ იგი ჭეშმარიტად. სხვა შემთხვევაში ეცოდინებოდათ მისი დაუნდობელი სიმკაცრე, ეცოდინებოდათ, რომ გარდუვალი დაღუპვა ელის ყველას, ვინც მის კანონებს არ ემორჩილება.

ახალი საზოგადოების ადამიანის წინაშე დადგა სურვილების, ნებისყოფისა და აზრების, დისციპლინის გარდუვალი აუცილებლობა. გონებისა და ნებისყოფის აღზრდის ეს გზა ახლა ისევე აუცილებელია თვითეული ჩვენთაგანისათვის, როგორც სხეულის აღზრდა. ბუნებისა და საზოგადოების კანონების, ეკონომიკის შესწავლამ შეცვალა ცოდნის პირადი სურვილებისათვის გამოყენება. როდესაც ვამბობთ: „მინდა“, ვგულისხმობთ - ვიცი, რომ ეს შეიძლება.

ჯერ კიდევ ათასწლეულებს უკან ძველი ელინელები ამბობდნენ: მეტრომ - არისტომ, ე. ი. ზომიერება ყველაზე მთავარიაო. ჩვენც ვამბობთ: კულტურის საფუძველი ის არის, რომ ყველაფერში ზომიერების გრძნობა ვიქონიოთ. კულტურის დონის ზრდასთან ერთად შესუსტდა მისწრაფება უხეში, კერძო მესაკუთრული ბედნიერებისაკენ, საკუთრების რაოდენობის ხარბად გაზრდისაკენ, სწრაფად დაჩლუნგდა და შეჩერდა დაუკმაყოფილებლობის ბნელი გრძნობა.

ჩვენ გასწავლით უარის თქმის ბევრად უფრო დიდ ბედნიერებას, მეგობრისადმი დახმარების ბედნიერებას; ჭეშმარიტი შრომის სიხარულს, რომელიც აღაფრთოვანებს ადამიანის სულს. ჩვენ დაგეხმარეთ გათავისუფლებულიყავით წვრილმანი მისწრაფებისა და წვრილმანი ნივთების მონობისაგან და თქვენი სიხარული და მწუხარება უმაღლეს დარგში - შემოქმედებაში გადავიტანეთ.

ზრუნვამ ფიზიკური აღზრდის შესახებ, ათეულობით თაობების ზომიერმა ცხოვრებამ გაგათავისუფლათ თქვენ კაცობრიობის ფსიქიკის მესამე საშინელი მტრისაგან - გულგრილობისაგან: ცარიელი და ზანტი სულისაგან. თქვენ ამ ქვეყნად მუშაობაში ჩაებით ენერგიით დამუხტულები, მოწესრიგებულნი, ჯანსაღი ფსიქიკით, რომელშიც ემოციის ბუნებრივი თანაფარდობის ძალით უფრო მეტი სიკეთეა, ვიდრე ბოროტება. რაც უკეთესნი იქნებით თქვენ, მით უკეთესი იქნება საზოგადოება, რადგან აქ ურთიერთდამოკიდებულება არსებობს. თქვენ შექმნით მაღალ სულიერ შუალედს,

როგორც საზოგადოების შემადგენელ ნაწილაკს, იგი კი თქვენვე აგამაღლებთ. საზოგადოებრივი წრე ადამიანის აღზრდისა და სწავლების ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია. ამჟამად ადამიანი მთელი ცხოვრების მანძილზე იზრდება და სწავლობს, ამიტომაც საზოგადოების აღმავლობა სწრაფად მიმდინარეობს.

ევდა ნალი შეჩერდა, თმებზე ხელები ზუსტად ისევე გადაისვა, როგორც დაბლა მჯდომმა რეამ, რომელიც თვალმოუცილებლივ მისჩერებოდა, შემდეგ ხელახლა ალაპარაკდა.

- ოდესღაც ადამიანები სამყაროს სინამდვილის შემეცნებისაკენ მისწრაფებას ოცნებად სთვლიდნენ.

თქვენ მთელი სიცოცხლის მანძილზე ასე იოცნებებთ და მხიარულნი იქნებით შემეცნებაში, მოძრაობაში, ბრძოლასა და შრომაში. ყურადღებას ნუ მიაქცევთ სულიერი აღფრთოვანების შემდეგ უეცარი დაცემულობის შეგრძნებას, რადგანაც ეს სპირალური მოძრაობის ისეთივე კანონზომიერი მოსახვევებია; როგორიც მთელ დანარჩენ მატერიას ახასიათებს. თავისუფლების სინამდვილე მკაცრია, მაგრამ თქვენ თქვენი აღზრდისა და

სწავლის დისციპლინით მომზადებული ხართ მისთვის. ამიტომაც თქვენ, რომელთაც შეგნებული გაქვთ პასუხისმგებლობა, ნება გაქვთ ყოველგვარი ცვალებადი მოღვაწეობისა, რაც სწორედ პირად ბედნიერებას შეადგენს. ოცნებები სამოთხის წყნარ უსაქმურობაზე ისტორიამ არ გაამართლა, რადგანაც იგი მებრძოლი ადამიანის ბუნებას ეწინააღმდეგება. თვითეულ ეპოქას ჰქონდა თავისი სიძნელეები, რომლებიც დარჩა კიდეც, მაგრამ მთელი კაცობრიობის ბედნიერებად იქცა განუხრელი და სწრაფი აღმავლობა ცოდნისა და გრძნობების, მეცნიერებისა და ხელოვნების სულ უფრო მაღალი მწვერვალებისაკენ.

ევდა ნალმა დაამთავრა ლექცია, ჩამოვიდა ძირს, გაემართა წინა რიგებისაკენ, სადაც ისევე მიესალმა ვედა კონგი, როგორც ჩარა ნანდს დღესასწაულზე. ყველა დამსწრე წამოდგა, გაიმეორეს ეს ჟესტი, თითქო აღტაცებას გამოთქვამდნენ უმაგალითო ხელოვნებისაგან.

თავი X. ტიბეტის ცდა

კორა იულის დანადგარი ბრტყელი მთის მწვერვალზე იყო, ვარსკვლავმფრენის საბჭოს ტიბეტის ობსერვატორიიდან სულ ერთი კილომეტრის დაშორებით. ოთხი ათასი მეტრის სიმაღლე არავითარ ტანმაღალ მცენარეულობას განვითარების საშუალებას არ აძლევდა, გარდა მარსიდან ჩამოტანილი მოშავომომწვანო უფოთლო ხეებისა, რომელთაც კენწეროში შიგნით ჩახვეული ტოტები ჰქონდათ. ღია ყვითელი ფერის ველის ბალახი ქარის დაქროლვაზე წელში იხრებოდა, ეს სხვა სამყაროდან გადმოსახლებული რკინისებური სიმტკიცის მქონენი კი სავსებით უძრავად იდგნენ. მთათა ციცაბო ფერდობებზე დამსხვრეულ კლდეთა ნაკუწებისაგან შექმნილი ქვის მდინარეები დიოდა, თოვლის მინდვრები, ლაქები და ზოლები ისეთი განსაკუთრებული სითეთრით ბრწყინავდა, როგორც სუფთა მთის თოვლი ბრწყინავს ხოლმე კამკამა ცის ქვეშ.

დაბზარული დიორიტის კედლების ნარჩენები-ღა ჩანდა - ეს ნანგრევი დარჩენილია ამ სიმაღლეზე გასაოცარი გაბედულებით აგებული მონასტრისაგან. მის თავზე

ამაღლებულიყო ფოლადის მილისებური კოშკი, რომელიც ორი აჟურული რკალით მთავრდებოდა. მათზე ღია მხრით ცისკენ მიმართულ დახრილ პარაბოლად ბერილიუმის ბრინჯაოს ვეებერთელა სპირალი ბრწყინავდა, რომელიც რენიუმის[54] კონტაქტების თეთრი წერტილებით იყო მოფენილი. პირველ სპირალთან მჭიდროდ იყო მიტანილი მეორე, ღია მხრით ნიადაგისაკენ მიმართული, მომწვანო ბრინჯაოს სხმულის რვა დიდ კონუსს რომ ფარავდა. აქ ენერგიის გამტარი ექვსმეტრიანი კვეთის მილების განტოტებები მოდიოდა. მინდორს ჰკვეთდა რკალებიანი ბოძები - ობსერვატორიის მაგისტრალიდან დროებითი გამყვანები, რომლებიც პლანეტის ყველა სადგურიდან ენერგიის გადაცემისას გამოიყენებოდა. რენ ბოსი თითებს ხუჭუჭა თმებში დააცურებდა და ძველ დანადგარში შეტანილ ცვლილებებს კმაყოფილი ათვალიერებდა.

ნაგებობა მოხალისეთა ძალებით წარმოუდგენელ მოკლე ხანში აიწყო. ყველაზე ძნელი აღმოჩნდა ღრმა ღია სანგრების გათხრა, რომლებიც მთის დაუმორჩილებელ ქვებში ამოკვეთეს დიდი სამთო მანქანების ამოუტანლად. მაგრამ ახლა ესეც უკან დარჩა. მოხალისეები, ბუნებრივია სანახაობას მოელოდნენ, ამიტომ საკმაო მანძილით

დაცილდნენ დანადგარს და თავიანთი კარვების დასადგმელად ობსერვატორიის შენობის ჩრდილოეთით მთის დამრეცი ფერდობი შეარჩიეს.

მვენ მასი, რომლის ხელთაც იყო კოსმოსის მთელი კავშირები, იჯდა ცივ ქვაზე ფიზიკოსის პირისპირ და, სიცივისგან აბაბანებული, რკალის ახალ ამბებს ჰყვებოდა. 57 თანამგზავრი უკანასკნელ ხანებში ვარსკვლავმფრენებსა და პლანეტამფრენებთან კავშირის დასამყარებლად გამოიყენებოდა და რკალისათვის არ მუშაობდა. მვენ მასმა აცნობა Э ვარსკვლავზე ვლიხოზ დიზის დაღუპვის ამბავი და დაღლილი ფიზიკოსი გამოცოცხლდა.

- Э ვარსკვლავზე მიზიდულობის უმაღლესი დაძაბულობა მნათობის შემდგომი ევოლუციისას უძლიერეს გავარვარებას გამოიწვევს. მიიღება ურჩხულისებრი ძალის იისფერი ზეგიგანტი, რომელიც კოლოსალურ მიზიდულობას სძლევს. მას უკვე აღარ აქვს სპექტრის წითელი ნაწილი: - გრავიტაციული ველის სიმძლავრის მიუხედავად სინათლის სხივთა ტალღები კი არ გრძელდება, არამედ მოკლდება.

- ხდება უკიდურესად იისფერი, - დაეთანხმა მვენ მასი, - და ულტრა იისფერი.

- მარტო ეგ როდია. პროცესი გრძელდება. კვანტები[55] სულ უფრო მძლავრი ხდება, დასასრულ, დაიძლევა გადასვლა ნულ-ველში და მიიღება ანტისივრცის ზონა - მატრიის მოძრაობის მეორე მხარე, რომელიც დედამიწაზე უცნობია ჩვენი მასშტაბების უმნიშვნელო სიმცირის გამო. ჩვენ ვერაფერ მსგავსს ვერ

მივაღწევდით, თუნდაც დედამიწის ოკეანეთა მთელი წყალსაცავი დაგვეწვა. მვენ მასმა გონებაში ელვისებურად გაიანგარიშა.

- თხუთმეტი ათას ტრილიონ ტონა წყალს გადავიყვანთ წყალბადის ციკლის ენერგიაზე მასა ენერგია ფარდობითობის პრინციპის მიხედვით, უხეშად რომ ვთქვათ, ტრილიონ ტონა ენერგიას მივიღებთ. მზე წუთში ორას ორმოც მილიონ ტონას იძლევა - ანუ მზის ათი წლის გამოსხივებას მივიღებთ. რენ ბოსმა კმაყოფილებით ჩაიცინა.

- ცისფერი ზეგიგანტი რამდენსღა მოგვცემს?

- გამიჭირდება გამოანგარიშება. თავად განსაჯეთ. დიდ მაგელანის ღრუბელში არის ნკგ 1910 დაგროვება, ღრიანკლის ნისლეულის მახლობლად... მაპატიეთ, მიჩვეული ვარ ვარსკვლავებს ძველი სახელები და აღნიშვნები ვუწოდო.

- არა აქვს მნიშვნელობა.

- საერთოდ ღრიანკლის ნისლეული იმდენად ნათელია, რომ ყველა ჩვენთაგანისთვის ცნობილი ორიონის ნისლეულის ადგილას რომ იმყოფებოდეს, სავსე მთვარესავით გაანათებდა. ვარსკვლავთა 1910 დაგროვებაში, რომლის დიამეტრიც სულ სამოცდაათ პარსეკს აღწევს, ზეგიგანტური ვარსკვლავები ასზე ნაკლები არ არის. იქ იმყოფება ორმაგი ცისფერი ზეგიგანტი ЭS ოქროს თევზის სახელწოდებით. სპექტრში წყალბადის ნათელი ხაზები ჩანს, ხოლო იისფერ კიდეებთან - ბნელი ხაზები. იგი დედამიწის ორბიტაზე დიდია, ნახევარი მილიონი ჩვენი მზის ნათება აქვს! თქვენ სწორედ ასეთი ვარსკვლავი გქონდათ მხედველობაში? ამავე დაგროვებაში კიდევ უფრო დიდი ზომის ვარსკვლავებიცაა. იუპიტერის ორბიტის ტოლი დიამეტრის მქონე, მაგრამ ისინი Э - მდგომარეობის შემდეგ ჯერ მხოლოდიწყებენ გავარვარებას.

- მივანებოთ თავი ზეგიგანტებს. ადამიანები ათასეული წლების მანძილზე მისჩერებოდნენ მერწყულის, დიდი დათვის და ქნარის რკალისებურ ნისლეულებს და არ ესმოდათ, რომ მათ წინაშე ნულგრავიტაციის ნეიტრალური ველები იყო, ე. ი. რეპაგულიუმის კანონის მიხედვით - მიზიდულებასა და ანტიმიზიდულებას შორის გარდამავალი ველები. სწორედ იქ იმალებოდა ნელსივრცის გამოცანა...

რენ ბოსი წამოხტა ჩამოსხმული სილიკატების დიდი ლოდებისაგან აგებული მართვის სანგარის ზღურბლიდან. - დავისვენე. შეიძლება დავიწყოთ!

მვენ მასს გული აუძგერდა, მღელვარება ყელში მოებჯინა. აფრიკელმა ღრმად და ნაწყვეტ-ნაწყვეტ ამოისუნთქა. რენ ბოსი მშვიდად დარჩა, მხოლოდ თვალები

უბრწყინავდა ციებიანივით, რაც ამჟღავნებდა იმ ფიქრებისა და ძალების კონცენტრაციას, რომელიც ფიზიკოსმა თავის თავში შეკრიბა, როცა სახიფათო საქმეს შეუდგა.

მვენ მასს რენ ბოსის ხელის პატარა მტევანი თავის დიდ ხელში ჩაებღუჯა. რენმა თავი დაუქნია და საგარეო სადგურების გამგის სილუეტი უკვე მთის ფერდობზე, ობსერვატორიისაკენ მიმავალ გზაზე გამოჩნდა. ცივმა ქარმა ბოროტად დაიღმუვლა, მინდვრის მოდარაჯე გაყინული გიგანტური მთებიდან ძირს ჩამოგორდა. მვენ მასი კანკალმა აიტანა. უნებურად ააჩქარა ისედაც სწრაფი ნაბიჯები, თუმცა საჩქარო არაფერი იყო: ცდა მზის ჩასვლის შემდეგ იწყებოდა.

მვენ მასი მთვარის დიაპაზონის რადიოთი მარჯვედ დაუკავშირდა: 57 თანამგზავრს. სადგურზე დადგმულმა ამრეკლავებმა და მიმმართველებმა მოახდინეს ეპსილონ ტუკანის ფიქსირება იმ რამდენიმე წუთში, სანამ თანამგზავრი ჩრდილოეთის განედის ოცდამეცამეტე გრადუსიდან სამხრეთ პოლუსამდე მოძრაობდა. იგი თანამგზავრის ორბიტიდან ამ მონაკვეთში ჩანდა.

მვენ მასმა მიწისქვეშა ოთახის პულტთან დაიკავა ადგილი. ეს ოთახი ძალიან ჰგავდა ხმელთაშუა ზღვის ობსერვატორიის ერთ-ერთ ოთახს.

ენერგიის ბუმბერაზი ბოძი 57 თანამგზავრს მისწვდა. ობსერვატორიის ჰემისფერულ

ეკრანზე დამკვირვებელთა ახალგაზრდული, აღფრთოვანებული სახეები გამოჩნდა.

მვენ მასი მიესალმა გაბედულ ადამიანებს, შეამოწმა ენერგიის სვეტის თანამგზავრისადმი თანმთხვევა და თანმიყოლა. შემდეგ ძალა რენ ბოსის დანადგარზე გადართო. ფიზიკოსის თავი ეკრანიდან გაქრა.

ძალის ღობურების ინდიკატორებმა ისრები მარჯვნივ გადახარეს, ენერგიის კონდესაციის უწყვეტ ზრდაზე მიუთითეს. სიგნალებისულ უფრო ნათლად და თეთრად ენთო. როგორც კი რენ ბოსმა ერთმანეთის მიყოლებით გადართო ველის გამომსხივებელი, ავსებადობის მაჩვენებლები ნახტომებით დაეცა ნულოვან ზოლამდე. მვენ მასი საცდელი დანადგარის გაგუდულმა ზრიალმა შეაკრთო. აფრიკელმა იცოდა რა უნდა ექნა. სახელურის მოძრაობასთან ერთად ხელსაწყოთა მიმქრალ თვალებში კ - სადგურის გრიგალისებური ძალა ჩაიღვარა, მათი დაწეული ისრები გამოაცოცხლა. მაგრამ როგორც კი რენ ბოსმა საერთო ინვერტორი ჩართო, ისრები ნულისაკენ გადახტა. მვენ მასმა თითქმის ინსტიქტურად მყისვე გადართო ორივე ფ - სადგური.

მოეჩვენა, რომ ხელსაწყოები ჩაქრა, შენობა საოცრად მკრთალმა შუქმა აავსო. ხმები

შეწყდა. კიდევ წამი და სიკვდილის აჩრდილმა გადაუარა სადგურების გამგის გრძნობას, დაუჩლუნგა შეგრძნება. მვენ მასი გულისამრევ თავბრუსხვევას ებრძოდა, ხელებით პულტის კიდეს ჩაბღაუჭებოდა, დაძაბულობისა და ხერხემლის საშინელი ტკივილისაგან სლუკუნებდა. მკრთალი შუქი მიწისქვეშა ოთახის ერთი კუთხიდან - ამის განსაზღვრა მვენ მასს აღარ შეეძლო, ან დაავიწყდა. შეიძლება ეკრანიდან, ან რენ ბოსის დანადგარის მხრიდანაც.

უცებ თითქო მოცახცახე ფარდა გაიხა და მვენ მასმა გარკვევით გაიგონა ტალღების შხაპუნი. მისმა ფართოდ დაბერილმა ნესტოებმა გამოუთქმელი სურნელი იგრძნო. ფარდა მარცხნივ გადაიწია, ხოლო კუთხეში ძველებურად ირხეოდა რუხი ზეწარი. არაჩვეულებრივ რეალურად წამოიმართნენ მაღალი სპილენძის მთები, ფირუზის ხეების გაქვავებული ჭალები, ხოლო იისფერი ზღვის ტალღები ზედ მვენ მასის ფეხებთან ტყლაშუნებდა. კიდევ უფრო მარცხნივ გადაიწია ფარდა და მან თავისი ოცნება დაინახა. წითელკანიანი ქალი კიბის ზედა მოედანზე თეთრი ქვის მაგიდასთან იჯდა, მის გაპრიალებულ ზედაპირს იდაყვებით დაყრდნობოდა, ოკეანეს გასცქეროდა. მოულოდნელად ქალმა შეამჩნია. ერთმანეთს დაშორიშორებული მისი თვალები გაკვირვებითა და აღტაცებით აინთო. ქალი წამოდგა, შესანიშნავი მოხდენილობით გამართა წელი და აფრიკელს გაშლილი ხელი გაუწოდა. მისი მკერდი ღრმად და ხშირად სუნთქავდა. ამ ბოდვის წამებში მვენ მასს ჩარა ნანდი გაახსენდა. - ოფა ალლი კორ!

მელოდიური, ნაზი და ძლიერი ხმა მვენ მასს გულში ჩაეჭრა. პირი დააღო პასუხის გასაცემად, მაგრამ მოჩვენების ადგილას მწვანე ალი ამოვარდა, ოთახში შემაძრწუნებელმა სტვენამ გაიქროლა. გრძნობის დაკარგვამდე აფრიკელმა იგრძნო, მსუბუქმა, დაუძლეველმა ძალამ როგორ მოკეცა იგი სამად, ტურბინის როტორივით დაატრიალა, რაღაც მაგარზე მიაჭყლიტა... მვენ მასის უკანასკნელი აზრი რენ ბოსის სადგურის ბედს გადასწვდა.

მოშორებით ფერდობზე მდგომმა ობსერვატორიის თანამშრომლებმა და მშენებლებმა ძალიან ცოტა რამ დაინახეს. ტიბეტის ღრმა ცაზე რაღაც ვარსკვლავთა მიმქრალი ნათების მსგავსმა გაიელვა. საცდელ დანადგარებიან მთაზე ზევიდან რაღაცნაირი უხილავი ძალა ჩამოიქცა, მიიღო გრიგალის გამოსახულება, ჰაერში ქვების გროვა

ააატრიალა. კილომეტრი განივკვეთის მქონე შავმა ძაბრმა გიგანტური ჰიდრავლიკური ქვემეხიდან გამოტყორცნილივით გადაუქროლა ობსერვატორიის შენობას, ნავარდით აფარფატდა მაღლა, უკან შებრუნდა და ხელახლა დაეძგერა დანადგარებიან მთას, მთელი ნაგებობა ნაწილ-ნაწილად დაამსხვრია და ნამტვრევები გახვეტა. წამის შემდეგ ყველაფერი გაყუჩდა.

მტვრით ავსებულ ჰაერში გახურებული ქვისა და წიდის სუნი დარჩა, რომლებიც ერთმანეთში შერეული უცნაურ არომატს ქმნიდა, ტროპიკული ზღვების აყვავებული ნაპირების სურნელებას მოგაგონებდათ.

კატასტროფის ადგილზე ადამიანებმა დაინახეს, რომ მინდორზე მთასა და ობსერვატორიას შორის გაჭიმული იყო გამდნარ ნაპირებიანი ფართო ნაღარი, ხოლო მინდვრისაკენ მიქცეულ მთათა ფერდობები მთლიანად ამოგლეჯილი იყო. ობსერვატორიის შენობა გადარჩა. ნაღარი სამხრეთ-აღმოსავლეთ კედელს მისწვდა, მახსოვრობის მანქანების გამანაწილებელი დერეფანი დაანგრია და გადამდნარი ბაზალტის ოთხმეტრიანი ფენით დაფარულ მიწისქვეშა კამერის გუმბათს მიებჯინა. ბაზალტი მოქლიბული იყო, თითქო უზარმაზარ ჩარხზე გაუპრიალებიათო. მაგრამ ფენის ნაწილმა გაუძლო, რამაც მვენ მასი და მიწისქვეშა ოთახი სრული განადგურებისაგან გადაარჩინა.

ჩაღრმავებულ ნიადაგში ვერცხლის ნაკადულები გაიყინა - ეს მიმღები ენერგოსადგურების დამცველები გადნა.

მალე მოახერხეს საავარიო გამნათებელი კაბელის აღდგენა. მისასვლელი გზის შუქურის პროჟექტორის სინათლეზე ადამიანებს თვალწინ შემაძრწუნებელი სანახაობა გადაეშალათ - საცდელი დანადგარის ლითონკონსტრუქციები ნაღარაზე თხელ ფენად იყო მოსხმული, რის გამოც ნაღარი ქრომირებულივით ბრწყინავდა. მთის ფერდობი თითქო დანით ჩამოეჭრათ და ციცაბო კლდეზე ბრინჯაოს სპირალის ნატეხი მიჭყლეტილიყო, ქვა მინის ფენასავით გამდნარიყო, როგორც ლუქი დნება ხოლმე გახურებული ბეჭდის ქვეშ. მასში მოწითალო ლითონის ხვეულები ჩაფლულიყო და ელექტრონის შუქზე რენიუმის კონტაქტების თეთრი კბილაკებით ემალში ჩადგმული ყვავილებივით ბრწყინავდა. ორასი მეტრის დიამეტრის მქონე ამ იუველური ნაკეთობის წინაშე აქ მოქმედი უხილავი ძალების შიში იგრძნობოდა.

როდესაც მიწისქვეშა კამერაში ჩამავალი ნამსხვრევებით ჩახერგილი გზა გაწმინდეს, ნახეს მუხლებზე დაცემული მვენ მასი, რომელსაც თავი ქვის ქვედა საფეხურზე დაედო.

ჩანდა, საგარეო სადგურების გამგე გონზე მოსვლისას გარეთ გამოღწევას ცდილობდა. მოხალისეთა შორის ექიმებიც აღმოჩნდნენ. აფრიკელის მძლავრი ორგანიზმი, არანაკლები მძლავრი წამლების დახმარებით კონტუზიას გაუმკლავდა. მვენ მასი წამოდგა, კანკალებდა და ბანცალებდა, ორივე მხრივ მხრებში ამოუდგნენ.

- რენ ბოსი?..

მეცნიერის გარშემო მდგომნი დანაღვლიანდნენ. ობსერვატორიის გამგემ ხრინწიანი ხმით უპასუხა:

- რენ ბოსი საშინლად დამახინჯდა, საეჭვოა დიდხანს იცოცხლოს...

- სად არის?

- მთის იქით ნახეს, აღმოსავლეთ ფერდობზე. ალბათ შენობიდან გამოისროლა. მთის მწვერვალზე აღარაფერია... ნანგრევებიც კი პირწმინდათ გადახვეტილია.

- რენ ბოსი იქვე წევს?

- მისი ხელის ხლება არ შეიძლება, ძვლები დამსხვრეული აქვს, გვერდები ჩალეწილი...

- რაო?

- მუცელი გახეული და შიგნეული გარეთ გამოყრილი...

მვენ მასს მუხლები მოეკვეთა და აცახცახებული მის გვერდით მყოფთ კისერზე ჩამოეკიდა. მაგრამ ნებისყოფამ და გონებამ თავისი გაიტანა.

- რენ ბოსი გადავარჩინოთ, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს! ის უდიდესი მეცნიერია!...

- ვიცით. იქ ხუთი ექიმია. მასთან სტერილებული საოპერაციო კარავი დადგეს. სისხლის მიცემის ორი მსურველიც იქვე წევს. ტირატრონი, ხელოვნური გული და თირკმელები უკვე მუშაობს.

- მაშინ სალაპარაკოში შემიყვანეთ, მსოფლიო ქსელს დამაკავშირეთ და ჩრდილოეთ სარტყლის საინფორმაციო ცენტრი გამოიძახეთ. თანამგზავრი ორმოცდაჩვიდმეტი როგორ არის?

- გამოიძახეს. სდუმს.

- მოძებნეთ თანამგზავრი ტელესკოპში, ძალიან გაადიდეთ ელექტრონული ინვერტორით და დაათვალიერეთ... შეამოწმეთ მახსოვრობის მანქანები და ცდის ჩანაწერების ხარისხი...

- მანქანები სერიოზულად დაზიანებულია და ახლა ჩანაწერები ინდიკატორში არ არის!

- ყველაფერიდაიღუპა, - წაიჩურჩულა მვემ მასმა და თავი დახარა.

ინფორმაციის ჩრდილოეთის ცენტრის ღამის მორიგემ ეკრანზე სისხლით მოთხუპნული სახე დაინახა. იგი გულდასმით დააკვირდა, სანამ პლანეტაზე ფართოდ ცნობილ პიროვნებას - საგარეო სადგურების გამგეს იცნობდა.

- მე მინდა ვარსკვლავმფრენის საბჭოს თავმჯდომარე გრომ ორმი და ფსიქიატრი ევდა ნალი.

მორიგემ თავი დაუქნია და მახსოვრობის მანქანების, ჭიკარტებისა და ვერნიერების ოპერირებას შეუდგა. წუთის შემდეგ პასუხი მზად იყო.

- გრომ ორმი მასალებს ამზადებს და ღამეს საბჭოს საცხოვრებელ სახლში ათევს. გამოვიძახო საბჭო?

- გამოიძახე. ევდა ნალი სადღაა?

- ირლანდიაშია, ოთხას მეათე სკოლაში. თუ საჭიროა, ვცდი მის გამოძახებას, - მორიგემ სქემას შეხედა, - 5654 სპ სალაპარაკო პუნქტის მეშვეობით.

- ძალზე საჭიროა! სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი დგას! მორიგე სქემებს მოსცილდა.

- უბედურება მოხდა?

- დიდი უბედურება!

- მორიგეობას თანაშემწეს გადავცემ, მე კი უშუალოდ თქვენს საქმეს მოვკიდებ ხელს. ელოდეთ!

მვენ მასი გამოწეულ სავარძელში ჩაჯდა. ფიქრებს მიეცა, ღონე მოიკრიბა. ოთახში ობსერვატორიის გამგე შემოვარდა.

- ახლახან მოხდა ორმოცდაჩვიდმეტი თანამგზავრის მდგომარეობის ფიქსირება. იგი აღარ არის! მვენ მასი ისე წამოდგა, თითქო არავითარი დაზიანება არ მიუღიაო.

- გადარჩა წინა ნაწილის ნამტვრევი - ხომალდთა მისაღები პორტი, - გრძელდებოდა მომაკვდინებელი მოხსენება. - იმავე ორბიტაზე ფრინავს. როგორც ჩანს, არის აგრეთვე წვრილმანი ნამტვრევები, მაგრამ ისინი ჯერ არ აღმოჩენილა.

- მაშასადამე, დამკვირვებლები?...

- უეჭველია, დაიღუპნენ!

მვენ მასმა მუშტებით საფეთქლები მოისრისა. მდუმარების რამდენიმე მომქანცველმა წუთმა გაიარა. ეკრანი ხელახლა აინთო.

- გრომ ორმისაბჭოების სახლის აპარატთან დგას, - თქვა მორიგემ და სახელური შეაბრუნა. ეკრანზე გამოჩნდა დიდი, ოდნავ განათებული დარბაზი და ვარსკვლავმფრენის საბჭოს თავჯდომარის დამახასიათებელი, ყველასათვის ნაცნობი თავი. გაკვეთილივით ვიწრო სახე, მსხვილი კეხიანი ცხვირი, სკეპტიკური დაკუთხული წარბების ქვეშიდან გამომცქირალი ღრმა თვალები, მტკიცედ დამუწულ ტუჩებზე შეკითხვის გამომსახველი ხაზები. მვენ მასმა გრომ ორმის შემოხედვაზე თავი ონავარი ბავშვივით დახარა.

- ახლახან დაიღუპა თანამგზავრი ორმოცდაჩვიდმეტი! - აფრიკელი ისე უცებ გამოტყდა, თითქო ბნელ წყალში ჩაყურყუმელდაო. გრომ ორმი შეკრთა, სახე კიდევ უფრო მკვეთრი გაუხდა.

- როგორ შეიძლებოდა ეგ მომხდარიყო?

მვენ მასი მოკლედ და ზუსტად მოჰყვა ყველაფერს, არ დაუფარავს, რომ ცდა აკრძალული იყო, არც საკუთარი თავი დაუზოგავს. საბჭოს თავჯდომარის წარბები ერთმანეთს გადაესკვნა, პირის გარშემო გრძელმა ნაოჭებმა მოიყარა თავი, მაგრამ გამოხედვა მშვიდი დარჩა.

- მოითმინეთ, რაიმეს გავაკეთებ რენ ბოსის დასახმარებლად. თქვენ ფიქრობთ, რომ აფ ნუტი...

- ო, აფ ნუტი რომ...

ეკრანი ჩაქრა. ლოდინი გაჭიანურდა. მვენ მასი აიძულებდა თავს უკანასკნელი ძალები მოეკრიბა. არაფერია, მალე... აი, გრომ ორმიც!

- აფ ნუტი ვნახე და პლანეტმფრენი მივეცი. დასჭირდება არანაკლებ ერთი საათისა აპარატურისა და ასისტენტების მოსამზადებლად. ორი საათის შემდეგ აფ ნუტი ობსერვატორიაში იქნება. ახლა თქვენს შესახებ - ცდამ წარმატებით ჩაიარა?

შეკითხვამ აფრიკელი გააოცა. უეჭველია მან ეპსილონი ტუკანა დაინახა. მაგრამ იყო თუ არა ეს მიუწვდომლად შორეულ სამყაროსთან რეალური შეხება? თუ ორგანიზმზე ცდის მომაკვდინებელი ზემოქმედება და დანახვის მხურვალე სურვილი ნათელ ჰალუცინაციას შეუერთდა? შეუძლია თუ არა მთელი ქვეყნიერებას განუცხადოს, რომ ცდამ წარმატებით ჩაიარა, რომ საჭიროა ახალი ძალები, მსხვერპლი, ხარჯები მის გასამეორებლად, რომ რენ ბოსის მიერ არჩეული გზა მის წინაპართა ნაკვალევზე უფრო სწორია? მათ მახსოვრობის მანქანების იმედი ჰქონდათ და ცდას მხოლოდ ორნი ატარებდნენ, გიჟები! რა

დაინახა რენმა, რისი მოყოლა შეუძლია მას?.. თუ შეუძლია... თუ დაინახა!.. მვენ მასი უფრო გულახდილი გახდა.

- ცდის წარმატებით ჩატარების საბუთი არა მაქვს. რენ ბოსმა რა შეამჩნია, არ ვიცი...

გრომ ორმისსახეზე აშკარა მწუხარება აისახა. აქამდე მხოლოდ ყურადღებიანი, ახლა უკვე მოიღუშა.

- რის გაკეთებას აპირებთ?

- გთხოვთ, ნება დამრთოთ, სადგური დაუყოვნებლივ იუნი ანტს ჩავაბარე. ამიერიდან გამგეობის ღირსი აღარ ვარ. შემდეგ რენ ბოსთან ვიქნები ბოლომდე... - აფრიკელი შებორძიკდა და გამოასწორა: - ოპერაციის ბოლომდე. შემდეგ... შემდეგ სასამართლომდე დავიწყების კუნძულზე წავალ. მე თვითონ უკვე გავასამართლე საკუთარი თავი!

- შეიძლება მართალი ხართ. მაგრამ ჩემთვის ბევრი რამ გაუგებარია და განსჯისაგან თავს ვიკავებ. თქვენს მოქმედებას საბჭოს უახლოეს სხდომაზე განვიხილავთ, ვის თვლით თქვენს ყველაზე უკეთეს შემცვლელად - უპირველესად თანამგზავრის აღდგენის საქმეში?

- დარ ვეტერზე უკეთესი კანდიდატურა არ ვიცი!

საბჭოს თავმჯდომარემ თანხმობის ნიშნად თავი დააქნია. ერთხანს აფრიკელს მისჩერებოდა, რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ მდუმარედ გამოემშვიდობა. ეკრანი სწორედ დროზე ჩაქრა, რადგან მვენ მასს თავში ყველაფერი აერია.

- ევდა ნალს თქვენ გააგებინეთ, - გადაუჩურჩულა გვერდზე მდგომ ობსერვატორიის გამგეს, წაიქცა, რამდენჯერმე დაძაბულად შეეცადა წამოდგომას და გაირინდა.

ტიბეტის ობსერვატორიაში ყურადღების ცენტრში მოექცა ტანმორჩილი ყვითელსახიანი ადამიანი. მას მხიარული ღიმილი, არაჩვეულებრივად უფლებამოსილი ჟესტები და სიტყვები ჰქონდა. მასთან ერთად ჩამოსული ასისტენტები ისე სიტყვაშეუბრუნებლად ემორჩილებოდნენ, როგორც მიჰყვებოდნენ ალბათ ძველ დროს დიდ მხედართმთავრებს თავიანთი ერთგული ჯარისკაცები. მაგრამ მასწავლებლის ავტორიტეტი მოსწავლეთა საკუთარ აზრებს და წამოწყებებს არ თრგუნავდა. ეს იყო გაბედულ ადამიანთა არაჩვეულებრივად მჭიდრო ჯგუფი, რომელსაც ძალუძდა ებრძოლა კაცობრიობის სასტიკ და დაუძლეველ მტერთან - სიკვდილთან.

აფ ნუტმა გაიგო, რომ რენ ბოსის მემკვიდრეობითი რუკა ჯერ კიდევ არ იყო მიღებული, იქაურობა აიკლო ბრაზიანი წამოძახილებით, მაგრამ ასევე სწრაფად დამშვიდდა, როცა შეატყობინეს, რუკას ევდა ნალი ადგენს და მალე მოიტანსო.

ობსერვატორიის გამგემ ფრთხილად ჰკითხა, რა საჭირო იყო რუკა, რითი დაეხმარებოდნენ რენ ბოსს მისი შორეული წინაპრები. აფ ნუტი ეშმაკურად შეიჭმუხნა. ინტიმური გულახდილობის გამომხატველი სახე მიიღო.

თვითეული ადამიანის მემკვიდრეობის სტრუქტურის ზუსტი ცოდნა საჭიროა მისი ფსიქიური აგებულებისა და ამ დარგში გამოთქმული პროგნოზებისათვის. არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ნევროფიზიოლოგიური თავისებურებების, ორგანიზმის წინააღმდეგობის უნარის, იმუნოლოგიის, ტრავმებისადმი არჩევითი გრძნობიერების და წამლებისადმი ალერგიის მონაცემები. მკურნალობის არჩევა არ შეიძლება ზუსტი იქნეს, თუ არ გავითვალისწინებთ მემკვიდრეობით სტრუქტურას და წინაპრების ცხოვრების პირობებს. გამგეს კიდევ რაღაცის კითხვა უნდოდა, მაგრამ აფ ნუტმა შეაჩერა:

- ჩემი პასუხი დამოუკიდებელი აზროვნების შედეგია. მეტი დრო არ არის!

ასტრონომმა თავის გასამართლებლად რაღაც წაიბუტბუტა. ქირურგი აღარ უსმენდა.

მთის ძირას მომზადებულ მოედანზე აიმართა მოძრავი საოპერაციო შენობა, მოიყვანეს წყალი, დენი და შეკუმშული ჰაერი. ადამიანთა უამრავი რაოდენობა ერთმანეთს ასწრებდა საქმიანობაში და შენობა სამ საათში ააწყეს. დანადგარის ყოფილ მშენებელ ექიმთა შორის აფ ნუტის თანაშემწეებმა თხუთმეტი კაცი შეარჩიეს ასე სწრაფად აგებული ქირურგიული კლინიკა მომსახურებისათვის. რენ ბოსი პლასტმასის გამჭირვალე გუმბათქვეშ მოათავსეს, რომელიც მთლიანად იყო სტერილიზებული და გაქარული სპეციალური ფილტრებით მოწოდებული ჰაერის მეშვეობით. აფ ნუტი და მისი ოთხი ასისტენტი საოპერაციოს პირველ განყოფილებაში შევიდნენ, რამდენიმე საათს დარჩნენ. იქ მოხდა მათი დამუშავება ბაქტერიციდული ტალღებით და გამაუვნებელი ემანციით, გაჯერებული ჰაერით, სანამ მათი სუნთქვაც სტერილებული არ გახდა. ამ ხნის განმავლობაში რენ ბოსი ძლიერ გაცივდა. მაშინ კი შეუდგნენ სწრაფსა და ბეჯით მუშაობას.

ფიზიკოსის დამსხვრეული ძვლები და დაწყვეტილი ძარღვები ტანტალის კავებითა და ნაკერებით შეერთდა. ტანტალი ცოცხალ ქსოვილს არ აღიზიანებდა. აფ ნუტი შიგნეულის დაზიანებებში გაერკვა. დახეთქილი ნაწლავები და კუჭი მკვდარი

ნაწილაკებისაგან გაათავისუფლა, მოკერა და მოათავსა ჭურჭელში, რომელშიც ორგანიზმის სომატურ თავისებურებებთან შეხამებული გამაცოცხლებელი სითხე ბზ 14 ესხა. ამის შემდეგ აფ ნუტი ყველაზე ძნელ საქმეს შეუდგა. მან ნეკნებიდან ამოიღო ნეკნების ნამტვრევებით რამდენიმე ადგილას გაჭრილი ღვიძლი. სანამ იგი ასისტენტებს ეჭირათ, გასაოცარი თვით დაჯერებულობით ამოძებნა და გაჭიმა სიმპათური და პარასიმპათური სისტემების ავტონომიური ნერვების წვრილი ძაფები. ყველაზე უწვრილესი ტოტის უმცირეს დაზიანებასაც კი შეეძლო ორგანიზმი სრულ დაშლამდე მიეყვანა. ქირურგმა ელვისებური მოძრაობით გადაკვეთა კარის ვენა და მის ორივე ბოლოს ხელოვნური ძარღვების მილები შეუერთა. აფ ნუტი ასევე მოექცა არტერიებს, ხოლო შემდეგ ღვიძლი, რომელიც სხეულთან მხოლოდ ნერვებით იყო შეერთებული, ბზ სითხით სავსე ჭურჭელში მოათავსა. ხუთ საათიანი ოპერაციის შემდეგ ხელოვნური სისხლი მიჩქრიალებდა რენ ბოსის სხეულის ძარღვებში. მიმოქცევას აწესრიგებდა დაჭრილის გული და დამხმარე დუბლ-გული-ავტომატური ტუმბო. ახლა შესაძლებელი გახდა ამოკვეთილ ორგანოთა გამოცოცხლებისათვის დაეცადათ. აფ ნუტს არ შეეძლო დაზიანებული ღვიძლი უბრალოდ შეეცვალა პლანეტის ქირურგიული ფონდიდან აღებული მეორე გულით, რადგანაც ნერვების შეხორცებისათვის დამატებითი კვლევა-ძიება იყო საჭირო, ხოლო ავადმყოფის მდგომარეობა ზედმეტი წუთების დაკარგვის საშუალებას არ იძლეოდა. უძრავი, გაკვეთილი გვამივით ფენებად დაჭრილი სხეულის მახლობლად ერთ-ერთი ქირურგი დარჩა სამორიგეოდ, იცდიდა, სანამ შემცვლელი ჯგუფი სტერილიზაციას დაამთავრებდა.

საოპერაციოს გარშემო აგებული დამცველი ღობურის კარები ხმაურით გაიღო და აფ ნუტი თვალების ფშვნეტითა და ზმორებით გამოჩნდა, როგორც ახლახან გამოღვიძებული გარეული მხეცი, გარშემო სისხლით გათხუპნული თანაშემწეები ერტყა. მას დაქანცული და ფერმკრთალი ევდა ნალი შეეგება და მემკვიდრეობითი რუკა მიაწოდა. აფ ნუტმა ხარბად სტაცა ხელი, გადახედა და ამოიხვნეშა.

- ჩანს, ყველაფერი რიგზე იქნება. წადით, დაისვენეთ!

- მაგრამ... გონს რომ მოვიდეს?

- წადით! გონს მოსვლა არ შეუძლია. განა იმდენად გონებაჩლუნგები ვართ, რომ ამას არ გავითვალისწინებთ?

- რამდენ ხანს უნდა ვიცადოთ?

- ოთხი, ხუთი დღე. თუ ბიოლოგიური განსაზღვრება ზუსტია და გამოთვლები სწორია, მაშინ ხელახლა გავუკეთებთ ოპერაციას, ორგანოებს უკანვე მოვუთავსებთ. შემდეგ გონს მოვა...

- რამდენხანს შეგიძლიათ აქ დარჩენა?

- ათი დღე. კატასტროფა სწორედ მეცადინეობის შეწყვეტის მომენტში მოხდა. შემთხვევით ვისარგებლებ და ტიბეტს დავათვალიერებ, - აქამდე არ ვყოფილვარ. ჩემი ბედი ასეთია - იქ ვცხოვრობ სადაც ყველაზე მეტი ხალხია, ესე იგი საცხოვრებელ სარტყელში!

ევდა ნალმა ქირურგს აღტაცებით შეხედა. აფ ნუტმა ქუშად გაიღიმა.

- ისე მომჩერებიხართ, როგორც წინათ ალბათ ღვთის გამოსახულებას მისჩერებოდნენ. ჩემს ყველაზე უფრო ჭკვიან მოსწავლეს ეგ არ შეეფერება!

- მე მართლაც ახლებურად გიყურებთ. ჩემთვის ძვირფასი ადამიანის სიცოცხლე პირველად არის ქირურგის ხელში და კარგად გავიგე იმ ადამიანთა განცდები, რომელთაც ცხოვრებაში თქვენს ხელოვნებასთან შეხვედრა მოუხდათ... ცოდნა განუმეორებელ ოსტატობას ერწყმის!

- კარგი! აღფრთოვანდით, თუ ეგ თქვენთვის საჭიროა. მე კი მოვასწრებ თქვენს ფიზიკოსს მეორე კი არა, მესამე ოპერაციაც გავუკეთო.

- რომელი მესამე? - შეცბა ევდა ნალი, მაგრამ აფ ნუტი ეშმაკურად შეიჭმუხნა და ობსერვატორიისაკენ მომავალ ბილიკზე მიუთითა. ბილიკს თავდახრილი მვენ მასი მოჰყვებოდა.

- აი ჩემი ხელოვნების კიდევ ერთი თაყვანისმცემელი... უნებური თაყვანისმცემელი. ისაუბრეთ მასთან, თუ დასვენება არ შეგიძლიათ, ჩემთვის კი აუცილებელია.

ქირურგი ბორცვის შვერილს მოეფარა, სადაც ჩამოფრენილი მედიკების დროებითი

სახლი იყო მოთავსებული. ევდა ნალმა შორიდან შეამჩნია, როგორ გამხდარიყო და მოხუცებულიყო საგარეო სადგურების გამგე. არა, მვენ მასი უკვე აღარაფრის გამგე აღარ არის. მან აფრიკელს ყველაფერი უამბო, რაც აფ ნუტმა აცნობა. მვენმა შვებით ამოისუნთქა.

- მაშინ ათი დღის შემდეგ მეც გავემგზავრები!

- მვენ, სწორედ იქცევით? მე ჯერ კიდევ რეტდასხმული ვარ, მომხდარი ამბის გააზრებას ვერ ვახერხებ, მაგრამ მგონია, რომ თქვენი დანაშაული ასეთ გადაჭრით გაკიცხვას არ საჭიროებს. მვენ მასი ავადმყოფურად შეიჭმუხნა.

- მე რენ ბოსის ბრწყინვალე თეორიამ გამიტაცა. უფლება არ მქონდა დედამიწის მთელი ძალა პირველსავე ცდაზე დამეხარჯა.

- რენ ბოსი ამტკიცებდა, რომ ნაკლები ძალებით ცდა უშედეგო იქნებოდა, - შეეკამათა ევდა.

- ეგ სწორია, მაგრამ დამხმარე ექსპერიმენტები უნდა ჩაგვეტარებინა. მე ჭკუადაუმჯდარი და მოუთმენელი აღმოვჩნდი, არ შემეძლო წლები მეცადა. სიტყვებს ნუ ხარჯავთ - საბჭო დაამტკიცებს ჩემ გადაწყვეტილებას, ხოლო სინდისისა და უფლებათა კონტროლი მას არ გააუქმებს.

- მე თვითონ სინდისისა და უფლებათა კონტროლის წევრი ვარ!

- თქვენს გარდა იქ ათი კაცია. რადგანაც ჩემი საქმე საერთო საპლანეტოა, თქვენ სამხრეთის და ჩრდილოეთის კონტროლებთან შეერთება მოგიწევთ - ამრიგად თქვენ გარეშე ოცდაერთი კაცი იქნება..

ევდა ნალმა აფრიკელს ხელი მხარზე დაადო.

- დავსხდეთ, მვენ, მუხლები ჯერ კიდევ სუსტად გაქვს. იცით, როცა პირველმა ექიმებმა რენი გასინჯეს, სიკვდილის კონსილიუმის მოწვევა გადაწყვიტეს.

- ვიცი. ორი კაცი არ ეყოთ. ექიმები კონსერვატული ხალხია, ხოლო ძველი დადგენილებების მიხედვით, რომლის შეცვლაც ჯერ არ მოუფიქრებიათ, ავადმყოფობისათვის მსუბუქი სიკვდილის მისჯა მხოლოდ ოცდაორ კაცს შეუძლია.

- ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ სიკვდილის კონსილიუმი სამოცი ექიმისაგან შედგებოდა!

- ეს ბოროტმოქმედების შიშის გადმონაშთი იყო, რომლის მიზეზითაც ძველად ექიმები ავადმყოფებს ხანგრძლივი და ამაო წამებისათვის გაწირავდნენ ხოლმე, მათ ნათესავებს კი - მძიმე, მორალური წამებისათვის, თუმცა გამოსავალი უკვე არ იყო და სიკვდილი შეიძლებოდა იოლი და სწრაფი ყოფილიყო. მაგრამ ხედავთ რა სასარგებლო აღმოჩნდა ტრადიცია - ორი ექიმი არ ეყო, მე კი მოვახერხე აფ ნუტის გამოძახება... გრომ ორმის წყალობით.

- სწორედ ამის შესახებ მინდა მოგაგონოთ. საზოგადოებრივი სიკვდილის თქვენი კონსილიუმი ჯერჯერობით მხოლოდ ერთი ადამიანისაგან შედგება! მვენ მასმა ევდას ხელი აიღო და ტუჩებთან მიიტანა. მანაც დიდი და ინტიმური მეგობრობის ასეთი გამომჟღავნების ნება დართო. ახლა ისინი მარტონი იყვნენ. მვენ მასი ძლიერი იყო, მაგრამ მორალურად გათელილი. მარტონი! - მის ადგილას რომ ჩარა აღმოჩნდეს? არა, ახლა ჩარა რომ მიიღოს, აფრიკელს სულიერი აღმავლობა დასჭირდება, რომლისთვისაც ძალები ჯერ არ ეყოფა. დაე რენ ბოსის გამოჯანმრთელებამდე და ვარსკვლავმფრენის საბჭოს მოწვევამდე, ყველაფერი როგორც მიდის ისე წავიდეს.

- არ იცით, მესამე ოპერაცია როგორი მოელის რენს? - შეცვალა საუბრის თემა ევდამ.

მვენ მასი ერთხანს დაფიქრდა. აფ ნუტთან საუბარი გაიხსენა.

- მას სურს ისარგებლოს რენ ბოსის სხეულის გახსნილი მდგომარეობით და ორგანიზმი დაგროვილი ენტროპიისაგან გაწმინდოს. ის, რაც ნელა და მძიმედ ხდება ფიზიოჰემოთერაპიის მეშვეობით, ასეთ კაპიტალურ ქირურგიასთან შეერთებით შეუდარებლად სწრაფად და საფუძვლიანად მიიღება.

ევდა ნალმა მთელი მახსოვრობა დაძაბა, რათა გაეხსენებინა რაც იცოდა სიცოცხლის

გახანგრძლივების საფუძვლის - ორგანიზმის ენტროპიისაგან გაწმენდის შესახებ. ადამიანთა თევზისა და ხვლიკის მაგვარმა წინაპრებმა კაცის ორგანიზმში ერთურთის საწინააღმდეგო ფიზიოლოგიურ მოწყობილობათა დანაშრევები დატოვეს. თვითეულ მათგანს ჰქონდა სიცოცხლის უნარიანი ენტროპიული ნარჩენების შექმნის უნარი. ეს ძველი სტრუქტურები, ოდესღაც მოხუცებულობისა და ავადმყოფობის მიზეზები, ათასწლიანი შესწავლის შემდეგ დაემორჩილნენ ენერგეტიკულ გაწმენდას - ქიმიურ და სხივურ გაბანვას და სიბერეში შესული ორგანიზმის ტალღობრივ შერხევას.

ბუნებაში ცოცხალი არსებების მზარდი ენტროპიისაგან განთავისუფლება იწვევს იმის აუცილებლობას, რომ დაბადება მოხდეს სხვადასხვა ჯურის პიროვნებებისაგან, რომლებიც სხვადასხვა ადგილზე ცხოვრობენ და სხვადასხვა მემკვიდრეობითი ხაზიდან წარმოშობილან. მემკვიდრეობის ეს შერევა ანტროპიასთან ბრძოლის დროს და გარემომცველი ქვეყნიდან ახალი ძალების ამოძებნა მეცნიერების ყველაზე რთული გამოცანა იყო. მის ამოსახსნელად უკვე ათასი წელია თავს იმტვრევდნენ ბიოლოგები, ფიზიკოსები, პალეონტოლოგები და მათემატიკოსები. მაგრამ თავის მტვრევა ღირდა - სიცოცხლის ხანგრძლივობის შესაძლებლობამ უკვე თითქმის ორას წელს მიაღწია, ხოლო ყველაზე მთავარი ის არის, რომ გაქრა დამაძაბუნებელი, მბჟუტავი სიბერე. მვენ მასმა ფსიქიატრის ფიქრები ამოიცნო.

- მე ჩვენი ცხოვრების ახალ დიდ წინააღმდეგობაზე ვფიქრობ, - დინჯად თქვა აფრიკელმა, - ერთი მხრივ ძლიერი ბიოლოგიური მედიცინა, რომელმაც ორგანიზმი ახალი ძალებით აავსო და მეორე მხრივ ტვინი სულ უფრო მზარდი შემოქმედებითი მუშაობა, რომელიც სწრაფად სწვავს ადამიანს. როგორ რთულია ყველაფერი ჩვენი ქვეყნის კანონებში!

- ეს სწორია და ამიტომაც ჯერჯერობით ადამიანის მესამე სასიგნალო სისტემის განვითარებიდან თავს ვიკავებთ, - დაეთანხმა ევდა ნალი, - აზრების წაკითხვა ძალზე ამსუბუქებს ერთმანეთში ინდივიდუმების ურთიერთობას, მაგრამ ძალთა დიდ ხარჯვას მოითხოვს და შეკავების ცენტრებს ასუსტებს. - უკანასკნელი - ყველაზე საშიშია... - და, სულ ერთია, ადამიანთა უმრავლესობა - ნამდვილი მუშაკები - უძლიერესი ნერვული დაძაბულობის გამო შესაძლებელი წლების მხოლოდ ნახევარს ცოცხლობენ. როგორც ვიცი, მედიცინას ამასთან ბრძოლა არ შეუძლია. მხოლოდ მუშაობის აკრძალვა შველის, მაგრამ რამდენიმე წლის სიცოცხლისათვის სამუშაოს ვინ დატოვებს?

- არავინ, რადგანაც სიკვდილი მხოლოდ მაშინაა საშიში, და მხოლოდ მაშინ გვაიძულებს ცხოვრებას ჩავებღაუჭოთ, როცა სიცოცხლე განუცდელი სიხარულის ნაღვლიან მოლოდინში უნაყოფოდ წავიდა, - ჩაფიქრებით წარმოთქვა ევდა ნალმა და უნებურად გაიფიქრა, რომ დავიწყების კუნძულზე ამიტომაც ადამიანები უფრო დიდხანს ცოცხლობენ.

მვენ მასმა ისევ გაიგო მისი გამოუთქმელი აზრი და მკვახეთ შესთავაზა ობსერვატორიაში დაბრუნებულიყვნენ. ევდა დაემორჩილა.

...ორი თვის შემდეგ ევდა ნალი ინფორმაციის სასახლის ზედა დარბაზში ჩარა ნანდს ეძებდა. ინფორმაციის სასახლე თავისი მაღალი სვეტებით გოთურ ტაძარს ჰგავდა, ზემოდან დაშვებული მზის ალმაცერის სხივები დარბაზის სიმაღლის შუა ნაწილზე ჯვარედინდებოდა, რითაც მაღლა ნათებას ჰქმნიდა, ხოლო დაბლა ბინდ-ბუნდს.

ქალიშვილი სვეტზე მიყრდნობილი იდგა. ხელები ზურგს უკან ერთმანეთზე გადაეჭდო, ხოლო ფეხი ფეხზე გადაედო. როგორც ყოველთვის, ევდა ნალს არ შეეძლო არ დაეფასებინა მისი უბრალო ჩაცმულობა - მოკლე, რუხი ცისფერი, ძალზე ღია კაბა.

ჩარამ მხარაღმა გადახედა მოახლოებულ ევდას და ნაღვლიანი თვალები გამოუცოცხლდა.

- რა გინდათ აქ, ჩარა? მე ვფიქრობდი თქვენ ემზადებოდით. ქვეყანა ახალი ცეკვებით განგეცვიფრებინათ, თქვენ კი გეოგრაფიამ გაგიტაცათ.

- ცეკვების დრო წავიდა, - სერიოზულად თქვა ჩარამ, - სამუშაოს ვირჩევ ჩემთვის ნაცნობ სამოღვაწეო წრეში. არის ადგილი ცელებესის შიდა ზღვებზე კანის ხელოვნური დანერგვის ქარხანაში და ყოფილ ატაკამის უდაბნოში ხანგძლივ მოყვავილე მცენარეთა გამომყვან სადგურში. ჩემთვის კარგი იყო ატლანტიკის ოკეანეში მემუშავა. რა სინათლესა და სიკაშკაშეს, რა სიხარულს განიცდი ზღვის ძალისაგან, ზღვასთან უაზროდ შეერთებით მძლავრ ტალღებთან მარჯვე

თამაშთა და შეჯიბრებით. ტალღები სულ იქ არიან, გვერდით და საკმარისია მხოლოდ სამუშაოს დამთავრება...

- მეც მაქვს მელანქოლიაში გადავარდნის მიზეზი, შეიძლება ახალ ზელანდიაში, ფსიქოლოგიურ ინსტიტუტში მუშაობა სადაც სულ ახალგაზრდა მედიცინის დად დავიწყე საქმიანობა და რენ ბოსიც ახლა, საშინელი ჭრილობების შემდეგ ამბობს, რომ

ყველაზე ბედნიერი მაშინ იყო, როცა ხრახნმფრენის მარეგულირებლად მუშაობდა. მაგრამ ხომ იცით, ჩარა რომ ეს სისუსტეა! ესაა დაღლილობა უდიდესი დაძაბულობისაგან, იგი მოითხოვს დარჩეთ იმ შემოქმედებით სიმაღლეზე რომლის მიღწევაც თქვენ, ჭეშმარიტმა მსახიობმა შესძელით. იგი კიდევ უფრო ძლიერი იქნება შემდგომ, როცა თქვენი სხეული სიცოცხლის ენერგიით დამუხტულ დიდებულ ჭურვს აღარ ემსგავსება. მაგრამ სანამ ასე არ არის, მოგვანიჭეთ თქვენი შემოქმედებისა და სილამაზის სიხარული.

- თქვენ არ იცით, ევდა, რა მომდის მე. თვითეული ცეკვის მომზადება - სასიხარულო ძიებაა. ვგრძნობ, რომ ადმიანებს კიდევ მივცემ რაღაც კარგს, რომელიც მოუტანს სიხარულს. შეურხევს გრძნობათა სიღრმეს... ამით ვცოცხლობ, მოდის ჩანაფიქრის განხორციელების მომენტი და გრძნობათა მხურვალე და განუსჯელ აღმაფრენას ვეძლევი... ნამდვილად ეს გადაეცემა მაყურებლებს, და ალბათ ცეკვასაც, ამიტომაც აღიქვამენ ასე მხურვალედ. ყველაფერი რაც ჩემშია - თქვენ...

- მერე რა? შემდეგ მკვეთრი დაცემულობის ხანა დგება?

- დიახ! მე თითქო ჰაერში გაფრენილი და გამდნარი სიმღერა ვარ. აზრით აღბეჭდილს არაფერს არ ვქმნი.

- არის ბევრად მეტი რამ - ეს არის თქვენი წვლილი ადამიანის სულის ჩამოყალიბებაში.

- ეს ძალიან არა არსებითი და ხანმოკლეა - მე ჩემი თავი მყავს მხედველობაში.

- თქვენ ჯერ არავინ გყვარებიათ, ჩარა?

ქალიშვილმა წამწამები დახარა.

- ეს სიყვარულს ჰგავს? - კითხვითვე მიუგო მან. ევდა ნალმა თავი გააქნია.

- მე ძალიან დიდი გრძნობის შესახებ ვლაპარაკობ, როგორიც თქვენ ძალგიძთ, მაგრამ არა ყველას...

- მესმის - ინტელექტუალური ცხოვრების დიდი სიღარიბის დროს ემოციონალური ცხოვრების სიმდიდრეღა გრჩება.

- აზრი ძირითადად სწორია, მაგრამ მინდა განვმარტო - თქვენ ისე დასაჩუქრებული ხართ ემოციონალურობით, რომ სხვა მხარე ღარიბი არ გამოჩნდება, თუმცა წინააღმდეგობის ბუნებრივი კანონის მიხედვით უფრო სუსტი იქნება. მაგრამ ჩვენ განყენებულად ვსაუბრობთ, მე კი მინდა მოგელაპარაკოთ სასწრაფო საქმეზე, რაც ჩვენ საუბარს უშუალოდ ეხება. მვენ მასი...

ქალიშვილი შეკრთა.

ევდა ნალმა ჩარას ხელი გაუყარა და დარბაზის ერთ-ერთ გვერდით აფსიდისაკენ წაიყვანა, სადაც შავი ხის ნაკეთობანი მკაცრი ჰარმონიულობით ეხამებოდა ფართო თაღიანი ფანჯრების ლურჯ-ოქროსფერ ფერად მინებს.

- ჩარა, საყვარელო, თქვენ შუქის მოყვარული მიწის ყვავილი ხართ, ორმაგი ვარსკვლავის პლანეტაზე გადარგული. ცაზე ორი მზე არის - ცისფერი და წითელი, და

ვარსკვლავმაც არ იცის, რომლისკენ შებრუნდეს. მაგრამ თქვენ წითელი მზის ქალიშვილი ხართ და ცისფრისაკენ რატომ უნდა გაიწიოთ?

ევდა ნალმა მძლავრად და ნაზად მიიხუტა ქალიშვილი მხარზე და ისიც მთლიანად მიეკრა. ცნობილი ფსიქიატრი დედისებური ალერსით უსვამდა ხელს ხშირ, ოდნავ უხეშ თმებზე. ფიქრობდა, რომ აღზრდის ათასწლეულმა მეთოდებმა ადამიანის პირადი წვრილმანი სიხარული დიდი და საერთო სიხარულით შეცვალა. მაგრამ ჯერ კიდევ შორსაა სულის მარტოობაზე გამარჯვება, განსაკუთრებით ასეთი რთული, შთაბეჭდილებებითა და გრძნობებით განმსჭვალული, ცხოვრებით ავსებულ სხეულში ჩანერგილი სულის მარტოობაზე!.. ხმამაღლა კი თქვა:

- მვენ მასი... იცით რა შეემთხვა მას?

- ცხადია, მთელი პლანეტა განიხილავს მარცხით დამთავრებულ მის ცდას!

- თქვენ რას ფიქრობთ?

- რომ ის მართალია!

- მეც, აგრეთვე, ამიტომ საჭიროა მისი დავიწყების კუნძულიდან გამოთრევა. ერთი თვის შემდეგ ვარსკვლავმფრენის საბჭოს წლიური კრება მოეწყობა. მის დანაშაულს განსჯიან და გადაწყვეტილებას დასამტკიცებლად გადასცემენ სინდისისა და უფლების კონტროლს, რომელიც მიწის თვითეული ადამიანის ბედ-იღბალს აკვირდება. საფუძვლიანი იმედი მაქვს, რომ სასჯელი მსუბუქი

იქნება, მაგრამ საჭიროა მვენ მასი აქ იყოს. არ ვარგა, როცა ისეთი გრძნობების მქონე ადამიანი, როგორიც, მაგალითად, თქვენი გრძნობებია, ხანგრძლივად იმყოფება კუნძულზე, მით უმეტეს მარტოობაში.

- განა ისე ჩამორჩენილი ქალი ვარ, რომ ცხოვრების გეგმა იმის მიხედვით დავისახო, თუ როგორ აეწყობა თუნდაც ჩემი არჩეული მამაკაცის საქმეები?

- ჩარა, ჩემო შვილო, არ არის საჭირო. მე ერთად გნახეთ და ვიცი, რას წარმოადგენთ თქვენ მისთვის... როგორც იგი თქვენთვის. ნუ ადანაშაულებთ იმისათვის, რომ არ გინახულათ, რომ დაგემალათ. გაიგეთ: რა ძნელია ხასიათით თქვენი მსგავსი ადამიანისათვის მოსულიყო თქვენთან, საყვარელთან, - ეს ასეა, ჩარა! - საცოდავი, დამარცხებული, სასამართლოს გადაცემული და განდევნა მისჯილი? თქვენთან - დიდი ქვეყნის ერთ-ერთ მშვენებასთან!

- მაგას არ ვამბობ, ევდა. მე ვჭირდები თუ არა ახლა მას, დაღლილს, გატეხილს? მეშინია, - შეიძლება მას აღარ ეყოს ძალა დიდი სულიერი აღმაფრენისათვის, ამჯერად გონებას კი არა, გრძნობების აღმაფრენისათვის... ისეთი შემოქმედებითი სიყვარულისათვის როგორისთვისაც მგონია, ჩვენ ორთავენი ვართ მოწოდებული... მაშინ იგი ხელახლა დაჰკარგავს რწმენას თავის თავში, ხოლო ცხოვრებისაგან გათიშვას ვერ გადაიტანს. მე ვფიქრობდი, რომ ახლა უკეთესი იქნებოდა ატაკამის უდაბნოში წავსულიყავი.

- ჩარა, თქვენ მხოლოდ ერთი მხრივ ხართ მართალი. არის კიდევ მარტოობა და დიდი გრძნობიერი ადამიანის მიერ საკუთარი თავის გადაჭარბებული დასჯა. მას არავითარი დასაყრდენი აღარ შერჩა, რაკი ჩვენი ქვეყნიდან წავიდა. თვითონ გავემგზავრებოდი იქ... მაგრამ რენ ბოსი ცოცხალ მკვდარია და მას, როგორც მძიმედ დაჭრილს უპირატესობა ეკუთვნის. დარ ვეტერი ახლი თანამგზავრის აგებას ხელმძღვანელობს და ამაში მვენ მასის დახმარება სჭირდება. არ შევცდები თუ მტკიცედ გეტყვით: გაემგზავრეთ მასთან. არ მოითხოვოთ მისგან არაფერი, ალერსიანი შემოხედვაც კი, მომავლის არავითარი გეგმები, არავითარი სიყვარული. მხოლოდ გაამხნევეთ, ეჭვი

შეატანინეთ თავის სიმართლეში და შემდეგ ჩვენს ქვეყანაში დააბრუნეთ. თქვენ ამის გაკეთების ღონე გაქვთ, ჩარა. წახვალთ?

ქალიშვილი აჩქარებით სუნთქავდა. ნდობით აღსავსე ბავშვური თვალები, რომელიც ევდა ნალს მიაპყრო, ცრემლებით ჰქონდა სავსე.

- დღესვე! ევდა ნალმა მაგრად აკოცა ჩარას.

- მართალი ხართ, უნდა იჩქაროთ. სპირალური გზით მცირე აზიამდე ერთად მივალთ. რენ ბოსი კუნძულ როდოსზე ქირურგიულ სანატორიუმში წევს. თქვენ დეირ ეზ ზორში ტექნიკურ სამედიცინო დახმარების სპირალმფრენების ბაზაში გაგგზავნით, საიდანაც ხდება ფრენა ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში. წარმომიდგენია იმ მფრინავის კმაყოფილება, რომელიც მოცეკვავე და არა ბიოლოგ ჩარას - სადაც გნებავთ, იქ მიიყვანს...

მატარებლის უფროსმა ევდა ნალი და მისი თანამგზავრი მართვის მთავარ პოსტზე მიიპატიჟა. ვეებერთელა ვაგონების სახურავებზე სილიკოლური ხუფებით დახურული დერეფანი გადიოდა. დერეფნის ერთი ბოლოდან მეორემდე მორიგეები დადიოდნენ, ხელსაწყოებს თვალყურს ადევნებდნენ. ორივე ქალი ხვეულ კიბეზე ავიდა, ზედა დერეფანი გაიარეს და პირველი ვაგონის დიდ კაბინაში შევიდნენ. ბრტყელი გზიდან შვიდი მეტრის სიმაღლეზე მოთავსებულ ბროლის ალიფსოიდში ორი მემანქანე იჯდა, ერთმანეთისაგან ელექტრონული წამყვანი რობოტის მაღალი პირამიდისებური ხუფით გათიშულნი. ტელევიზორების პარაბოლოიდური ეკრანები საშუალებას იძლეოდა ყველაფერი დაენახათ, რაც კი მატარებლის აქეთ-იქით და უკან ხდებოდა, სახურავზე გამაფრთხილებელი მოწყობილობის ანტენის ბოლოები ცახცახებდა. ეს მოწყობილობები აცნობებდა, თუ კი გზაზე ორმოცდაათი კილომეტრის მანძილზე რაიმე გარეშე საგანი გამოჩნდებოდა, თუმცა ასეთი შემთხვევა მოვლენათა სავსებით გამონაკლისი მდინარების დროს შეიძლებოდა მომხდარიყო.

ევდა და ჩარა კაბინის უკანა კედელთან დივანზე ჩამოსხდნენ, მემანქანეთა საჯდომებზე ნახევარი მეტრით მაღლა. ორთავენი მათ შესახვედრად გამოფრენილი

ფართო გზის ჰიპნოზმა გაიტაცა. გიგანტური გზა ჰკვეთდა ქედებს, მიჰქროდა დაბლობებზე გაშლილ კოლოსალურ ნაყარზე, დაბალ, წყალში ღრმად მჯდომ ესტაკატებზე გადადიოდა და ზღვის სრუტეებსა და ყურეებს ჰკვეთდა. სიჩქარე საათში ორას კილომეტრს უდრიდა. უზარმაზარი თხრილებისა და ნაყარების ფერდობებზე დარგული ტყე ერთიან ხალიჩად შეირწყა, ხან მოწითალოდ ჩანდა ხან მალაქიტისფრად, ხანაც მუქ მწვანედ. იმის მიხედვით, თუ რა ჯიშის ხეები იყო დარგული - ნაძვები, ევკალიპტები თუ ზეთის ხილი. ათ მეტრიანი სიგანის მქონე მატარებლის ვაგონების მიერ გაკვეთილი ჰაერის ქროლვა არქიპელაგის წყნარ ზღვას ესტაკადის ორივე მხრივ ატყლაშუნებდა. მსხვილი ჭავლის ზოლები მარაოსავით იშლებოდა, გამჭვირვალე ცისფერ წყალს ამუქებდა. ორივე ქალი მდუმარედ იჯდა. გზას გასცქეროდნენ, თავიანთ ფიქრებს მიცემულნი, თავიანთი სადარდელით სავსენი. ასე გავიდა ოთხი საათი. კიდევ ოთხი საათი მეორე სართულის სალონის რბილ სავარძელში გაატარეს, სხვა მგზავრებთან

ერთად და დასცილდნენ ერთმანეთს, მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროს მახლობელ სადგურზე. ევდა ელექტრობუსში გადაჯდა, რომელმაც უახლოეს ნავსადგურში მიიყვანა. ჩარამ გააგრძელა გზა აღმოსავლეთ ტავრის სადგურამდე - პირველ მერიდიანულ ტოტამდე. კიდევ ორი საათის გზა

და ჩარა მცხუნვარე ზეგანზე აღმოჩნდა, მშრალი ჰაერის მხურვალე ბუღში გაეხვია. აქ, ყოფილი სირიის უდაბნოს განაპირას, მოთავსებული იყო დე ირ ეზ ზორი - დასახლებული ადგილებისათვის სახიფათო სპირალმფრენების აეროპორტი.

სამუდამოდ დაამახსოვრდა ჩარა ნანდს დეირ ეზ ზორში მორიგი სპირალმფრენის მოლოდინში გატარებული მომქანცველი საათები. ქალიშვილი დაუსრულებლივ იგონებდა სიტყვებსა და მოქმედებას, ცდილობდა წარმოედგინა მვენ მასთან შეხვედრა, აწყობდა დავიწყების კუნძულზე მისი ძებნის გეგმებს, კუნძულზე სადაც ყველაფერი ქრებოდა ყოველდღე შეუმჩნეველ დღეთა ცვლაში.

დასასრულ ძირს ნეფუდისა და რუბ-ელ-ხალის უდაბნოებში გაიშალა თერმოელემენტების უსასრულო ველები - გიგანტური ძალოსნური სადგურები, რომლებიც მზის სითბოს ელექტროენერგიად გარდაქმნიდნენ. ისინი ღამისა და მტვრის ფარდებით დაფარულნი, სწორ რიგებად ჩამწკრივებულიყვნენ დამაგრებულ და ერთმანეთთან გატოლებულ ქვიშის ბარხანებზე, სამხრეთისაკენ ილინცრად ჩაჭრილ ზეგნებზე, ჩამოქცეული თხრილების ლაბირინთებში. ეს ენერგიისათვის კაცობრიობის

ბრძოლის გიგანტური ძეგლი იყო. ახალი სახეობის ჰ, კუ და ფ ბირთული ენერგიის ათვისებასთან ერთად მკაცრი ეკონომიის დროც მიიწურა. არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაპირის გასწვრივ უძრავად იდგა ქარის ძრავების ტყე. ეს ნახევარკუნძულიც, აგრეთვე ჩრდილოეთი საცხოვრებელი სიბრტყის სათადარიგო სიმძლავრეს წარმოადგენდა. სპირალმფრენმა თითქმის წამში გადაკვეთა სანაპიროს ძლიერ მოციმციმე საზღვარი და ინდოეთის ოკეანეზე გაიქროლა. ხუთი ათასი კილომეტრი ასეთი სწრაფმავალი მანქანისათვის უმნიშვნელო მანძილი იყო. მალე ჩარა ნანდი სპირალმფრენიდან გამოვიდა, საიდანაც მალე დაბრუნების სურვილით გამოაცილეს. მან გაუბედავად დაადგა მიწაზე დასუსტებული ფეხები.

დასაჯდომი სადგურის გამგემ თავისი ქალიშვილი პატარა ლატით - ასე ეძახოდნენ ბრტყელ გლისერებს - დავიწყების კუნძულზე გაგზავნა ჩარას წასაყვანად. ორივე ქალიშვილი აშკარად ტკბებოდა ღია ზღვის დიდ ტალღებზე პატარა ნავის სწრაფი სრბოლით. ლატი პირდაპირ დავიწყების კუნძულის

აღმოსავლეთ სანაპიროსაკენ მიემართებოდა, დიდი ყურისაკენ, სადაც დიდი ქვეყნის - ერთ-ერთი სამედიცინო სადგური იყო მოთავსებული.

ქოქოსის პალმები ბუმბულიან ფოთლებს მეჩეჩებზე თანაბრად მოტყლაშუნე ტალღებზე ხრიდნენ და ჩარას ჩამოსვლას ესალმებოდნენ. სადგური უკაცური აღმოჩნდა, - მუშაკები კუნძულის სიღრმეში წასულიყვნენ ტკიპების გასანადგურებლად, ტყის რომელიღაც მღრღნელს რომ აღმოაჩნდა.

სადგურთან თავლა იყო. ცხენებს დავიწყების კუნძულის მსგავს ადგილებში იყენებდნენ სამუშაოდ, ან კიდევ სანატორიუმებში, სადაც ხმაურის გამო ხრახნილმფრენების გამოყენება აკრძალული იყო, ხოლო ელექტროკარებს უგზოობის გამო ვერ იყენებდნენ. ჩარამ დაისვენა, ტანსაცმელი გამოიცვალა და ლამაზი და იშვიათი ცხოველების დასათვალიერებლად წავიდა. იქ შეხვდა ქალს, რომელიც მარჯვედ მართავდა საკვების განმანაწილებელ და დამლაგებელ მანქანებს. ჩარა მიეხმარა და ქალებმა ლაპარაკი დაიწყეს. ქალიშვილმა გამოკითხა, როგორ უფრო იოლად და სწრაფად შეიძლება კუნძულზე ადამიანის მონახვა. ქალმა ურჩია რომელიმე გამანადგურებელ რაზმს შეერთებოდა: ისინი მთელ კუნძულზე მოგზაურობენ და კუნძულს თითქმის ადგილობრივ მცხოვრებლებზე უკეთ იცნობენ. ჩარას რჩევა მოეწონა.

თავი XI. დავიწყების კუნძული

ძლიერი საღამოს ქარი უბერავდა, გლისერმა გადაჰკვეთა პალკის სრუტე. იგი თავზე ახტებოდა ბრტყელ ტალღებს. ჯერ კიდე ათასი წლის წინათ აქ მეჩეჩებისა და მარჯნის რიფების გრეხილი გადადიოდა, რომელსაც ადამის ხიდს ეძახდნენ. უახლესმა გეოლოგიურმა პროცესებმა გრეხილის ადგილას ღრმა ღრმული შექმნეს და ბნელი ტალღები ტყლაშუნობდა უფსკრულის თავზე, რომელიც მშვიდი ცხოვრების მოყვარულებს მიჯნავდა წინ მიმქროლავი კაცობრიობისაგან.

მვენ მასი მოაჯირთან იდგა, ფეხები განზე გადაედგა და ჰორიზონტზე ნელ-ნელა ამოცურებულ დავიწყების კუნძულს ათვალიერებდა. თბილი ოკეანით შემოსაზღვრული ეს ვეებერთელა კუნძული ბუნებრივი სამოთხე იყო, სამოთხე ადამიანის პრიმიტიული, რელიგიური წარმოდგენით - ბედნიერი სიკვდილშემდგომი თავშესაფარი, უზრუნველი და უშრომელი. დავიწყების კუნძულიც თავშესაფარი იყო მათთვის, რომელთაც უკვე აღარ იტაცებდა დიდი სამყაროს დაძაბული მოღვაწეობა, რომელთაც აღარ უნდოდათ მუშაობა სხვათა მხარდამხარ.

მშობლიური მიწის წიაღს მიხუტებულნი ძველი მიწათმოქმედის, მეთევზის ან მეჯოგის ერთფეროვან მოღვაწეობაში ატარებდნენ აქ წყნარ წელიწადებს.

თუმცა კაცობრიობამ სუსტ თანამოძმეებს ნაყოფიერი, ჯადოსნური მიწის დიდი ნაჭერი გამოუყო, მაგრამ კუნძულის პრიმიტიული მეურნეობა ვერ უზრუნველყოფდა მთელ თავის მოსახლეობას ისეთი ცხოვრებით, შიმშილის შიში რომ არ ჰქონოდათ, განსაკუთრებით მოუსავლიანობის ან რაიმე სხვა უსიამოვნებისას, რაც აგრერიგად დამახასიათებელია სუსტი საწარმოო ძალების დროს. ამიტომაც დიდი სამყარო დავიწყების კუნძულს განუწყვეტლივ აწვდიდა თავისი მარაგის ნაწილს.

სამ ნავსადგურში - კუნძულის ჩრდილო-დასავლეთის, სამხრეთის და აღმოსავლეთის სანაპიროზე - შემოჰქონდათ საკვები, დაკონსერვებული ხანგრძლივი წლებისათვის მედიკამენტები, ბიოლოგიური თავდაცვის საშუალებები და სხვა პირველ მოთხოვნილებათა საგნები. კუნძულის სამი მთავარი მმართველიც აგრეთვე ჩრდილოეთით, აღმოსავლეთით და სამხრეთით ცხოვრობდნენ და მეჯოგეთა, მიწათმოქმედთა და მეთევზეთა უფროსებად იწოდებოდნენ.

მვენ მასი შორს ამართულ ლურჯ მთებს მისჩერებოდა და უცებ გაიფიქრა, ხომ არ ვეკუთვნიო „ხართა“ კატეგორიის ადამიანებს, რომლებიც კაცობრიობას ყოველთვის რაიმე სიძნელეში აგდებენ. „ხარი“ - ძლიერი და ენერგიულია, მაგრამ სავსებით უგრძნობია სხვა ადამიანების დარდებისა და განცდებისადმი, მხოლოდ თავის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე ფიქრობს. კაცობრიობის შორეულ წარსულში დარდები, განხეთქილებანი და უბედურებანი სწორედ ისეთ ადამიანებში ღრმავდებოდა, რომლებიც თავიანთ თავს სხვადასხვა დარგებში ჭეშმარიტების ერთადერთ მცოდნეებად აღიარებდნენ, უფლებამოსილად თვლიდნენ ჩაეხშოთ ყოველგვარი სხვაგვარი შეხედულება, ამოეძირკვათ სხვაგვარი ცხოვრებისა და აზროვნების სახეობები. მის შემდეგ კაცობრიობა გაურბოდა შეხედულებებში, სურვილებსა და გემოვნებებში აბსოლუტურობის უმცირეს ნიშანსაც კი და ყველაზე მეტად „ხარებს“ უფრთხოდა. „ხარები“ არ ითვალისწინებდნენ ეკონომიკის ურღვევ კანონებს, მხოლოდ დღევანდელი მომენტით ცხოვრობდნენ. სამყაროს გათიშვის ერის ომებმა და არაორგანიზებულმა მეურნეობამ პლანეტის გაძარცვამდე მიგვიყვანა. მაშინ გაჩეხეს ტყეები, დაწვეს ასეულ მილიონობით წლების განმავლობაში დაგროვილი ნახშირისა და ნავთის მარაგი, დაანაგვიანეს ჰაერი ნახშირ მჟავითა და

ქარხნების მყრალი ნარჩენებით, გაჟლიტეს ლამაზი და უვნებელი მხეცები - ჟირაფები, ზებრები, სპილოები. სანამ სამყარო საზოგადოების კომუნისტურ

წყობამდე მივიდოდა მიწა დანაგვიანდა, მდინარეები და ზღვის ნაპირები გაჭუჭყიანდა ნავთისა და ქიმიური ნარჩენებისაგან. მხოლოდ წყლის, ჰაერისა და მიწის სერიოზული გაწმენდის შემდეგ მივიდა კაცობრიობა თავისი პლანეტის თანამედროვე მდგომარეობამდე, რომელზეც შეიძლება ყველგან ფეხშიშველმა იაროთ - ფეხს არ დაიზიანებთ.

მაგრამ მანაც, ვმენ მასმაც ორი წელიც ვერ გაძლო ძალზე საპასუხისმგებლო სამუშაოზე, გაანადგურა ხელოვნური თანამგზავრი, ათასობით ადამიანების ძალების დაძაბვითა და საინჟინრო ხელოვნების არაჩვეულებრივი ოსტატობით შექმნილი. დაღუპა ოთხი ნიჭიერი მეცნიერი, რომელთაგანაც თვითეულს შეეძლო რენ ბოსი გამხდარიყო... თვით რენ ბოსი ძლივძლივობით გადარჩა. და ისევ სადღაც დავიწყების კუნძულის მთებსა და ველებში მიმალული ბეტ ლონის სახე ცოცხალი, მწვავე თანაგრძნობის გამომწვევი წამოიმართა მის წინაშე. მვენ მასი გამომგზავრებამდე გაეცნო მათემატიკოსის პორტრეტს და სამუდამოთ დაამახსოვრდა ენერგიული სახე - მასიური ყბით, ღრმა და ახლო-ახლო ჩამსხდარი თვალებით, - მთელი მისი მძლავრი, ათლეტური ფიგურა.

გლისერის მემანქანე აფრიკელს მიუახლოვდა.

- ძლიერი ტალღად ცემაა. ნაპირთან მიდგომას ვერ მოვახერხებთ - ტალღა პირდაპირ მიწაყრილს სცემს. სამხრეთ ნავსადგურში მოგვიწევს წასვლა.

- არ გინდა, მაშველი ტივები გაქვთ? მასზე ტანსაცმელს დავმალავ, თვითონ კი ნაპირამდე მივცურავ.

მემანქანემ და მესაჭემ პატივისცემით გადახედეს მვენ მასს. მღვრიე გამოხუნებული ტალღები მეჩეჩზე იქოჩრებოდნენ, მერე მძიმედ მოგრუხუნე ჩანჩქერივით გადაიღვრებოდნენ. სანაპიროს მახლობლად უთავბოლო ტალღები ქვიშებსა და ქაფს ატრიალებდა, დამრეც ნაპირზე შორს გადარბოდა. დაბალი ღრუბლები წვრილ თბილ წვიმას ცრიდნენ, ცერად მიფრინავდნენ ქარში და ქაფის შხეფებს უერთდებოდნენ, მის ბუნდოვან ბადურაში ნაპირზე რაღაცნაირი რუხი ფიგურები ბორიალობდნენ.

მემანქანე და მესაჭე ერთმანეთს უცქეროდნენ, სანამ მვენ მასი ტანთ იხდიდა და ტანსაცმელს ფუთავდა. დავიწყების კუნძულზე გამგზავრებული გამოდიოდა საზოგადოების ზედამხედველობიდან, საზოგადოებისა, რომელშიც ყველა ერთმანეთს ეხმარება და იცავს. მვენ მასის პიროვნება უნებურ პატივისცემას იწვევდა და მემანქანე შეეცადა გაეფრთხილებინა იგი - დიდი საფრთხე მოგელითო. აფრიკელმა დაუდევრად ჩაუქნია ხელი. მემანქანემ პატარა, ჰერმეტულად დახურული პაკეტი მოუტანა.

- აქ ერთი თვის სამყოფი კონცენტრირებული საკვების მარაგია. აიღეთ.

მვენ მასი ჩაფიქრდა, პაკეტი ტანსაცმელთან ერთად წყალ გაუვალ კამერაში ჩაჩარა, გულმოდგინედ შეაბნია სარქველი, ტივი ამოიღლიავა და მოაჯირს გადაალაჯა.

- შებრუნდით! - ბრძანა მან.

მკვეთრი ვირაჟის დროს გლისერი გადაიხარა. ნავიდან გატყორცნილი მვენ მასი ტალღებთან გააფთრებულ ბრძოლაში ჩაება. გლისერიდან უცქეროდნენ, როგორ აფრინდებოდა იგი გაცოფებული ტალღების ხერხემალზე, შემდეგ უფსკრულში ჩაიკარგებოდა და ისევ გამოჩნდებოდა.

- გააღწევს, - თქვა მემანქანემ და თავისუფლად ამოისუნთქა, - ჩვენ წაგვლეკავს თუ არ გავედით.

ხრახნმა დაიღმუილა, ნავი წინ გადახტა და ატოტებულმა ტალღამ აიტაცა. ნაპირზე მთელი ტანით გამოჩნდა მვენ მასის მუქი ფიგურა და ნისლიან ბურუსში გაუჩინარდა.

ტალღებით დატკეპნილ ქვიშაზე ადამიანების ჯგუფი მოძრაობდა. მათ ჩაცმულობას მხოლოდ თეძოებზე შემოხვეული ნაჭერი შეადგენდა. ისინი ზეიმით ეწეოდნენ დიდ თევზს, რომელიც გაცოფებული იკლაკნებოდა. ხალხმა დაინახა მვენ მასი, შეჩერდნენ, მეგობრულად მიესალმნენ.

იმ სამყაროდან ახლახან ჩამოსულია, - ღიმილით თქვა ერთ-ერთმა მეთევზემ, - და რა კარგად ცურავს! მოდი, ჩვენთან იცხოვრე.

მვენ მასმა აშკარად და გულღიად შეათვალიერა მეთევზეები და მერე თავი გააქნია.

- ჩემთვის ძნელი იქნება აქ ცხოვრება, ზღვის პირას. ძნელი იქნება გავცქეროდე მის უსასრულობას და ვფიქრობდე დაკარგულ მშვენიერ სამყაროზე. ერთ-ერთმა მეთევზემ რომელსაც ხშირ წვერში ძალზე ჰქონდა ჭაღარა მოხშირებული, რაც აქ, ეტყობოდა, მამაკაცის სამკაულად ითვლებოდა, ახალმოსულს სველ მხარზე ხელი დაადო. - განა აქ თქვენი ძალით გამოგზავნა შეეძლოთ?

მვენ მასმა ნაღვლიანად ჩაიცინა და ცდილობდა აეხსნა, თუ რა მოიყვანა აქ.

მეთევზეებმა მოსულს მწუხარედ და თანაგრძნობით გადახედეს.

- ჩვენ ერთმანეთს ვერ გავუგებთ. იქ წადი - მეთევზემ სამხრეთაღმოსავლეთისაკენ მიუთითა, სადაც ღრუბელთა შორის შორეულ მთათა ცისფერი საფეხურები ჩანდა, - გზა შორია, აქ კი მოძრაობის სხვა

საშუალებები არ არსებობს, გარდა... - კუნძულის მცხოვრებმა ხელი შემოირტყა ფეხის ღონიერ კუნთებზე.

მვენ მასი მოხარული იყო ადრევე გაშორებულიყო აქაურობას და თავისი ფართო თავისუფალი ნაბიჯებით გასწია დაკლაკნილ ბილიკზე რომელიც დამრეც ბორცვებზე ადიოდა.

გზა კუნძულის ცენტრალური ზონისაკენ ორას კილომეტრზე მეტი იყო, მაგრამ მვენ მასი არ ჩქარობდა. ან რისთვის უნდა ეჩქარა? ნელა ენაცვლებოდა ერთმანეთს მძიმე, სასარგებლო მოღვაწეობით შეუვსებელი დღეები. დასაწყისში, სანამ კატასტროფის შემდეგ ჯერ კიდევ არ იყო მომჯობინებული, მისი დაღლილი სხეული ალერსიან ბუნებაში დამშვიდებულ ყოფნას მოითხოვდა. არაჩვეულებრივი დანაკარგის შეგრძნება რომ არა, იგი უბრალოდ დატკბებოდა ტიალი, ქარდაკრული ზეგნების მდუმარებით, ცხელი, ტროპიკული ღამეების სიბნელითა და პირველყოფილი მყუდროებით.

მაგრამ დღეები დღეებს მისდევდა და აფრიკელმა, რომელიც ხეტიალობდა კუნძულზე და გულდასადებ სამუშაოს ეძებდა, მწარე ნაღვლით მოინატრა დიდი სამყარო. მას უკვე აღარ ახარებდა მშვიდობიან ველებზე გაშენებული ხეხილის ჭალები, აღარ უნანავებდა მთის სუფთა მდინარეების თითქმის ჰიპნოზური ლიკლიკი, უკვე აღარ შეეძლო უსაზღვროდ ხანგრძლივად მჯდარიყო მდინარეთა ნაპირებზე მცხუნვარე შუადღისას ან მთვარიან ღამეებში. უსაზღვრო... მართლაც, რატომ უნდა განსაზღვროს დრო, რომელიც აქ არაფრად

სჭირდება? რამდენიც გნებავთ, - ირგვლივ დროის ოკეანეა, მაგრამ მისი საკუთარი ინდივიდუალური დრო უმნიშვნელოდ მცირეა!... ერთი მოკლე და მყისვე დავიწყებული წუთია.

მხოლოდ ახლა იგრძნო მვენ მასმა კუნძულის სახელწოდების მთელი სიზუსტე! დავიწყების კუნძული - ძველი, მიყრუებული ცხოვრების ადამიანთა ეგოისტური საქმეებისა და გრძნობების კუნძული! თაობათა მიერ დავიწყებული საქმეებისა, რადგან ეს საქმეები იქნებოდა მხოლოდ პირად მოთხოვნილებათათვის, ისინი არ ამსუბუქებდნენ და არ აუკეთესებდნენ ადამიანთა ცხოვრებას, არ ამკობდნენ შემოქმედებითი ხელოვნების აღმაფრენით.

გასაოცარი გმირობანი უსახელო არარაობაში იკარგებოდა.

...იგი კუნძულის ცენტრში მიიღეს, აფრიკელ მეჯოგეთა თემში. უკვე ორი თვეა ვეებერთელა გაურო კამეჩების ჯოგს მწყემსავს უზარმაზარი მთის ძირას. მთას წინად კუნძულზე მცხოვრები ხალხის ენაზე სულელურად გრძელი სახელი ერქვა. იგი ახლა დიდხანს ხარშავდა შავ ფაფას ნაკვერჩხლებზე გამომწვარ

ქოთანში, ხოლო ერთი თვის წინათ საკვები ხილი და კაკალი ტყეში ხარბ მაიმუნებთან ბრძოლით მოიპოვა. მაიმუნები ნარჩენებს ესროდნენ. ეს მაშინ მოხდა, როცა გლისერიდან წამოღებული საკვები რაციონი ყრუ ველზე ნახულ მოხუცებს მისცა, მოიქცა რა რკალის ქვეყნის უმაღლესი ბედნიერებისა და კანონის მიხედვით - უპირველესად სხვა ადამიანებს მიანიჭა ბედნიერება. მაშინღა გაიგო, რას ნიშნავს საკვების ძიება ტიალ, დაუსახლებელ ადგილებში. დროის რა უაზრო დაკარგვაა!

მვენ მასი ქვიდან წამოდგა და მიმოიხედა. მზე მარცხნივ, ზეგნის განაპირას ჩადიოდა. უკან მთის გუმბათისმაგვარი ტყიანი მწვერვალი აღმართულიყო.

დაბლა ბინდბუნდში ვეებერთელა მსუბუქი ბამბუკებით შემორაგვული სწრაფი მდინარე ბრწყინავდა. იქ, საცალფეხო გზის სამხრეთით მდებარეობს მცენარეულით დაფარული ათასწლოვანი სიძველის ნანგრევები - კუნძულის ძველი დედაქალაქი. არის სხვებიც, უფრო დიდები და უკეთ დაცულები, ასევე მიტოვებული ქალაქები. აქამდე მვენ მასს მათთან არაფერი საქმე არ ჰქონია. ჯოგი შავი ბელტებივით გაიშალა ჩამუქებულ ბალახზე. ღამე სწრაფად დადგა.

ათასობით ვარსკვლავები აციმციმდა მიმქრალ ზეცაზე. ასტრონომთათვის ჩვეულებრივი სიბნელე, თანავარსკვლავედთა ნაცნობი ხაზები, მსხვილ ვარსკვლავთა ნათელი შუქები. აქედან საბედისწერო ტუკანაც ჩანს... მაგრამ რა სუსტია ადამიანის უბრალო თვალები! იგი ვერასოდეს ვეღარ დაინახავს კოსმოსის დიდებულ სანახაობას, გიგანტური გალაქტიკების სპირალებს, საიდუმლო პლანეტებსა და ლურჯ მზეებს. ყველაფერი ეს მისთვის მხოლოდ უსასრულოდ შორეული ნაპერწკლებია. განა სულ ერთი არ არის - ვარსკვლავებია თუ ბროლის სფეროზე მიჭედილი ნათურები, როგორც ძველებს მიაჩნდათ! - მისი მხედველობისათვის - სულ ერთია!

აფრიკელი წამოხტა და დამზადებული ჩინჩხვარის მოფოცხვას შეუდგა. აი კიდევ საგანი, რომელიც აუცილებლად იქცა - პატარა სანთია. შეიძლება ზოგიერთი აქაური მცხოვრების მაგალითისამებრ მანაც მალე დაიწყოს ნარკოტიკის კვამლის ყლაპვა, რათა მძიმე, სლიპინა დრო შეამოკლოს.

ცეცხლის ენები აცეკვდნენ, გაფანტეს სიბნელე და ჩააქრეს ვარსკვლავები. მახლობლად მშვიდობიანად ფშვინავდნენ კამეჩები. მვენ მასი ჩაფიქრებით მისჩერებოდა ცეცხლს. ბნელ სახლად ხომ არ გადაიქცა მისთვის ნათელი პლანეტა?

არა, ყოველგვარ სიკეთეზე რომ ამაყად თქვა უარი - ეს უბრალოდ არცოდნით გამოწვეული თვითდაჯერება იყო, საკუთარი თავის არცოდნით გამოწვეული. შემოქმედებით ავსებული ცხოვრების სიმაღლის შეუფასებლობაა, ცხოვრებისა,

რომლითაც იგი ცხოვრობდა, ჩარასადმი სიყვარულის ძალის გაუგებრობა. უკეთესია დიდი სამყაროს დიადი საქმის ერთი საათისათვის დათმონ მთელი ცხოვრება, ვიდრე აქ მთელი საუკუნე იცხოვრონ!

დავიწყების კუნძულზე დაახლოებით ორასამდე სამკურნალო სადგური იყო, სადაც დიდი ქვეყნიდან მოსული მოხალისე ექიმები თანამედროვე სამედიცინო მეცნიერების მთელ მიღწევებს აქაურ მცხოვრებლებს ახმარდნენ. დიდი ქვეყნის ახალგაზრდობა აგრეთვე გამანადგურებელ რაზმებში მუშაობდა, რათა კუნძული ძველი ავადმყოფობების ან მავნე ცხოველების ბუდედ არ ქცეულიყო. მვენ მასი განგებ გაურბოდა ამ ადამიანებთან შეხვედრას, რათა თავი სილამაზისა და ცოდნის სამყაროდან განკითხულად არ ეგრძნო.

განთიადზე მვენ მასი მეორე მწყემსმა შეცვალა. აფრიკელი ორი დღით განთავისუფლდა და გადაწყვიტა პატარა ქალაქში წასულიყო, რათა ლაბადა მიეღო, - ღამღამობით მთებში ციოდა.

დღე წყნარი და ცხელი იყო, როცა მვენ მასი ზეგნიდან დაეშვა და ფართო დაბლობზე გავიდა. ეს დაბლობი მკრთალი ლილისფერი და ყვითელი ოქრონარევი ფერების ნამდვილი ზღვა იყო, რომელზეც ჭრელი მწერები ფრინავდნენ. ნიავის ქროლვა მცენარეების კენწეროებს არხევდა, ყვავილები შიშველ მუხლისთავებზე ეალერსებოდნენ. როცა ვეებერთელა მინდვრის შუაგულში მივიდა, მვენ მასი შეჩერდა, ტკბებოდა ამ ველური ბაღის მსუბუქი, მხიარული სილამაზითა და არომატით. ჩაფიქრებული დაიხარა, ხელისგულით მოეფერა ქარზე მოშრიალე ფურცლებს, თავი ყმაწვილურ სიზმარში ეგონა.

მვენ მასს ძლივს გასაგონი რიტმული წკრიალი მოესმა, თავი ასწია და წელამდე ყვავილებში სწრაფად მომავალი ქალიშვილი დაინახა. ქალი შებრუნდა და მვენ მასმა კმაყოფილებით შეათვალიერა ყვავილების ზღვაში მდგომი მოხდენილი ფიგურა.

მწვავე სინანულმა გაჰკრა მვენ მასს - ეს შეიძლება ჩარა ყოფილიყო, რომ... რომ ყველაფერი სხვაგვარად წარმართულიყო!..

მეცნიერი დააკვირდა და იგრძნო, რომ ქალიშვილი შფოთავდა. იგი ხშირხშირად იხედებოდა უკან, უმიზეზოდ აჩქარებდა ნაბიჯს თითქო ვიღაც უკან მომავლის ეშინიაო. მვენ მასმა მიმართულება შეიცვალა, სწრაფად მივიდა ქალიშვილთან, მთელი თავისი ვეებერთელა ტანით შეიმართა.

უცნობი შეჩერდა. ჭრელი სახოცი ჯვარედინად ჰქონდა შემოკრული ტანზე, წითელი ქვედა წელი ცვრისაგან გამუქებოდა. შიშველ ხელებზე გაკეთებული ფაქიზი სამაჯურები უფრო ხმამაღლა აწკრიალდა, როცა მან ქარისაგან აწეწილი თმები სახიდან გადაიწია. შუბლზე და ლოყებზე დაუდევრად ჩამოშლილი

თმების მოკლე კულულებში დაძაბულად დაჭყეტილი ნაღვლიანი თვალები მოუჩანდა. ქალიშვილი მძიმედ სუნთქავდა, აწითლებულ ლამაზ სახეზე აქა-იქ ოფლის წვეთები უციმციმებდა. ქალიშვილმა მისკენ რამდენიმე გაუბედავი ნაბიჯი გადადგა.

- ვინ ხართ და საით მიიჩქარით? - ჰკითხა მვენ მასმა, - შეიძლება დახმარება გჭირდებათ?

ქალიშვილმა იგი დაჟინებით შეათვალიერა და ნაწყვეტ-ნაწყვეტად, აჩქარებით ალაპარაკდა.

- მე ონარი ვარ. მეხუთე დასახლებიდან დახმარება არ მჭირდება.

- მე კი ვამჩნევ, პირიქით. დაღლილი ხართ, რაღაც გაწვალებთ. რა გემუქრებათ? რატომ ამბობთ უარს დახმარებაზე?

იდუმალმა ქალიშვილმა დიდი ქვეყნის ადამიანთა თვალებივით ღრმა და სუფთა თვალები ციალით შეანათა.

- მე ვიცი ვინცა ხართ. დიდი ადამიანი, იქიდან, - მან აფრიკისაკენ მიუთითა,- კეთილი და მიმნდობი ხართ.

- თქვენც ასეთივე იყავით. ვინმე მოგდევთ?

- დიახ! - თავგანწირულად აღმოხდა ქალიშვილს, - მომდევს...

- ვინ არის, ვინ ბედავს შეგაშინოთ, გამოგეკიდოთ? ქალიშვილი აენთო და შეცბა.

- ერთი კაცია. სურს მისი გავხდე...

- მაგრამ თქვენი საქმეა როგორ უპასუხებთ, როგორ შეიძლება იძულებით სიყვარული? მოვა აქ და ვეტყვი...

- არ არის საჭირო! ისიც დიდი ქვეყნიდან მოვიდა, მხოლოდ დიდი ხნის წინათ, ისიც ღონიერი... თქვენისთანა კი არ არის... საშიშია!

მვენ მასმა უდარდელად გაიცინა.

- სად მიდიხართ?

- მეხუთე დასახლებაში, - ქალაქში ვიყავი და შევხვდი...

მვენ მასმა თავი დაუქნია და ქალიშვილს ხელი ჩაჰკიდა. მან მორჩილად დაუტოვა თითები ხელში და ორთავენი დასახლებისაკენ მიმავალ ბილიკს დაადგნენ.

გზაზე ქალიშვილი დროდადრო შეშფოთებული იხედებოდა უკან და ამბობდა ეს ადამიანი ყველგან დამდევსო.

ხმამაღლა ლაპარაკის შიშმა უსაზღვროდ აღაშფოთა მვენ მასი. ვერ შერიგებოდა აზრს ჩაგვრის შესახებ. რაც უნდა შემთხვევითი არ ყოფილიყო იგი ახლა, კეთილ მოწყობილ დედამიწაზე.

- რატომ თქვენი ხალხი არავითარ ზომებს არ მიმართავს, - თქვა მვენ მასმა - და რატომ არაფერი არ იცის ამის შესახებ სინდისისა და სამართლის კონტროლმა? განა თქვენ სკოლებში ისტორიას არ ასწავლიან და არ იცით სადამდე მივყავართ ძალდატანების უმცირეს კერებსაც კი?

- გვასწავლიან... ვიცით... უპასუხა ონავარმა, თან წინ იხედებოდა. აყვავებული დაბლობი დამთავრდა, ბილიკმა მკვეთრი რკალი მოხაზა და ბუჩქნარს მიეფარა. მოსახვევიდან მაღალი, მოღუშული კაცი გამოჩნდა, გზა გადაღობა. წელამდე შიშველი იყო. ჭაღარა თმების ქვეშ ათლეტური კუნთები უთამაშებდა, რომელიც მთელ ტანს უფარავდა. აცახცახებულმა ქალიშვილმა ხელი გამოგლიჯა და წაიჩურჩულა:

- მე თქვენს მაგივრად მეშინია, წადით, დიდი ქვეყნიდან მოსულო ადამიანო!...

- შეჩერდით! - დაიგუგუნა ბრძანებლურმა ხმამ.

ასე უხეშად რკალის ეპოქაში არავინ აღარ ლაპარაკობდა. მვენ მასი ინსტინქტურად აეფარა ქალიშვილს.

მაღალი კაცი მივიდა და ხელი ჰკრა მას მაგრამ მვენ მასი კლდესავით იდგა.

მაშინ უცნობმა ელვისებური სისწრაფით სახეში მუშტი ჩაარტყა. მვენ მასი დაბარბაცდა. არასოდეს თავის სიცოცხლეში არ განუცდია წინასწარ გაზომილი დაუნდობელი დარტყმა, რომელიც ტკენის, დაყრუების, შეურაცხყოფის მიზნით მიეყენებინოთ.

დაყრუებულ მვენ მას ბუნდოვნად მოესმა ონარის ნაღვლიანი შეკივლება. მვენი მივარდა მოწინააღმდეგეს, მაგრამ ორი გამაყრუებელი დარტყმისაგან ისევ მიწას განერთხო. ონარი მუხლებზე დაეშვა, თავისი სხეულით დაჰფარა იგი. მტერმა ქალიშვილი საზეიმო ღმუილით ჩაბღუჯა, ხელები უკან გადაუგრიხა. ქალი დაიგრიხა და აქვითინდა მრისხანებისაგან ერთიანად გაწითლებული.

მაგრამ მვენ მასმა თავი დაიმორჩილა. ახალგაზრდობაში მის ჰერკულესის გმირობებში შედიოდა ბევრად უფრო სერიოზული შეჯახებანი ისეთ მტრებთან, რომლებიც კაცობრიობის კანონებს არ ემორჩილებოდნენ. გაიხსენა ყველაფერი, რაც შეასწავლეს საშიშ ცხოველებთან ხელჩართული ბრძოლისათვის.

მვენ მასი აუჩქარებლად წამოდგა, მტერს მრისხანებისაგან დამახინჯებულ სახეში ჩახედა, მოძებნა წერტილი გამანადგურებელი დარტყმისათვის, და უცებ გაიმართა, წაბარბაცდა. იცნო მისი დამახასიათებელი სახე, რომელიც ასე დიდხანს არ სცილდებოდა, როცა აწვალებდა მტანჯველი ფიქრები ტიბეტის ცდის ჩატარების უფლების შესახებ.

- ბეტ ლონ!

მან ხელი უშვა ქალიშვილს და გაირინდა, დაჟინებით ჩააცქერდა უცნობ მუქკანიან კაცს, რომელსაც დაჰკარგოდა მისთვის დამახასიათებელი მთელი დიდსულოვნება.

- ბეტ ლონ, მე ბევრს ვფიქრობდი თქვენთან შეხვედრაზე, უბედურებაში თანამოძმედ მიმაჩნდით, - წამოიყვირა მვენ მასმა, - მაგრამ ვერასოდეს წარმოვიდგენდი რომ ასე შევხვდებოდით!

- როგორ ასე? - თავხედურად შეეკითხა ბეტ ლონი და თვალებში ანთებული სიავე დამალა.

აფრიკელმა უარმყოფელი ჟესტი გააკეთა. - რა საჭიროა ცარიელი სიტყვები? იმ ქვეყნიდან არ წარმოთქვამდით მათ და თუმცა დანაშაულს ჩადიოდით, დიდი იდეის სახელით მაინც მოქმედებდით. აქ კი რისთვის იქცევით ასე?

- ჩემთვის და მხოლოდ ჩემთვის! - ზიზღით გამოსცრა დაკრეჭილ კბილებში ბეტ ლონმა, - კარგა ხანს ვითვალისწინებდი სხვათა აზრს, საერთო სიკეთეს, როგორც გავიგე, ეს ყველაფერი ადამიანს არ უნდა. ეს ძველი დროის ზოგიერთმა ბრძენებმაც იცოდნენ.

- თქვენ სხვებზე არასოდეს არ ფიქრობდით, ბეტ ლონ! - გააწყვეტინა აფრიკელმა. - ყველაფერს უთმობდით საკუთარ თავს და ხომ ხედავთ რად იქეცით, მოძალადედ, თითქმის ცხოველად!

მათემატიკოსმა ისეთი მოძრაობა გააკეთა, რომ ჩანდა მვენ მასთან მივარდნას აპირებდა, მაგრამ თავი შეიკავა.

- კმარა, ძალიან ბევრს ლაპარაკობთ!

- მე ვხედავ, რომ ძალიან ბევრი რამ დაგიკარგავთ და მინდა...

- მე კი არ მინდა! გზიდან ჩამომეცალე!...

მვენ მასი არ განძრეულა თავდახრილი დაჯერებული და მრისხანე იდგა ბეტ ლონის წინაშე, გრძნობდა ქალიშვილის აცახცახებული მხრის შეხებას. ეს ცახცახი უფრო მეტი სიმკაცრით ავსებდა მას ვიდრე მიღებული დარტყმები.

მათემატიკოსი გაუნძრევლად ჩასცქეროდა აფრიკელის თვალებში ანთებულ მრისხანების ცეცხლს.

- წადით, - ხმამაღლა ამოიხვნეშა მან, ბილიკიდან გადადგა.

მვენ მასმა ისევ ჩასჭიდა ხელი ონარს და გაატარა ბუჩქებს შორის, გრძნობდა ბეტ ლონის ზიზღით აღსავსე გამოხედვას. ბილიკის მოსახვევში მვენ მასი ისე უნებურად შეჩერდა, რომ ონარი ზურგზე მიეხალა.

- ბეტ ლონ, დავბრუნდეთ ერთად დიდ ქვეყანაში!

მათემატიკოსმა ძველებურად დაუდევრობით გაიცინა, მაგრამ მვენ მასის მახვილმა ყურმა ამ თავხედურ რიხიანობაში ნაღვლიანი ნოტები დაიჭირა.

- ვინ ხართ, რომ ასეთ რაიმეს მთავაზობთ? იცით თუ არა, რომ...

- ვიცი, მეც აკრძალული ცდა ჩავატარე, დავღუპე ადამიანები, რომლებიც მენდვნენ. მე კვლევა-ძიებაში თქვენი გზის მახლობელი ბილიკით მივდიოდი და ჩვენ... თქვენ, მე და სხვები გამარჯვების ზღურბლზე ვართ! თქვენ ადამიანებს სჭირდებით, მაგრამ არა ასეთი...

მათემატიკოსმა მვენ მასისაკენ გადააბიჯა და თვალები დახარა, მაგრამ უცებ შემობრუნდა და ზურგს უკან ზიზღით მიუგდო უარყოფის უხეში სიტყვები. მვენ მასი მდუმარედ გაჰყვა ბილიკს.

მეხუთე დასახლებამდე დაახლოებით ათი კილომეტრი დარჩა.

როცა გაიგო, რომ ქალიშვილი მარტოხელაა, მვენ მასმა ურჩია აღმოსავლეთ სანაპიროზე წასულიყო, ზღვის პირა დასახლებებში, რათა მკაცრსა და უხეშ ადამიანს მეტად აღარ შეხვედროდა. ყოფილი ცნობილი მეცნიერი მთიანი ოლქის პატარა სოფლის წყნარი და განმარტოებული ცხოვრების ტირანად ქცეულიყო. რათა

მოსალოდნელი შედეგები თავიდან აეცილებინა, მვენ მასმა გადაწყვიტა მყისვე წასულიყო ქალაქში და ეთხოვა ამ ადამიანზე ზედამხედველობა დაეწესებინათ. მვენ მასი დასახლების შესასვლელთან გამოეთხოვა ონარს. ქალიშვილმა უამბო, რომ ცოტა ხნის წინათ გუმბათის მაგვარი მთის ტყეებში თითქო ვეფხვები გაჩნდაო, ალბათ სამწყვდეებიდან გამოქცეულნი ან ჯერ კიდევ გადარჩენილნი კუნძულის ვეებერთელა მთების გარემომცველ ტყეთა წიაღში. ქალმა მაგრად ჩაბღუჯა მისი ხელი და სთხოვა ფრთხილად ყოფილიყო, არავითარ შემთხვევაში მთაზე ღამით არ გადასულიყო. მვენ მასი სწრაფად გაბრუნდა უკან. იგი ფიქრობდა მომხდარ ამბავზე, თვალწინ უდგა ქალიშვილის უკანასკნელი გამოხედვა, შიშითა და ერთგულებით აღსავსე. მვენ მასმა პირველად დაიწყო ფიქრი წარსულის ჭეშმარიტი გმირების შესახებ - ადამიანების შესახებ,

რომლებიც კარგებად რჩებოდნენ დამცირებისა, ბოროტებისა და ფიზიკურ ტანჯვათა ტყვედ ყოფნის დროს. ისინი ყველაზე ძნელ გმირობას სჩადიოდნენ - ნამდვილ ადამინებად რჩებოდნენ, როცა მათი გარემოცვა ხელს უწყობდა მხეცური თავმოყვარეობის განვითარებას.

ცხოვრების ორმხრივობა ადამიანთა წინაშე ყოველთვის აყენებდა გარკვეულ წინააღმდეგობას. ძველ სამყაროში, ხიფათისა და დამცირების გვერდით, სწორედ დაღუპვის პირას, მტრულ და უხეშ გარემოცვაში არაჩვეულებრივად იზრდებოდა სიყვარულის, ერთგულებისა და სინაზის გრძნობა. უხეში ძალის ახირებისადმი დამორჩილება ყველაფერს შემთხვევითსა და მყიფეს ხდიდა. ცალკეულ ადამიანთა ბედი ყოველგვარ შემთხვევაში შეიძლებოდა მკვეთრად შეცვლილიყო, რაც იწვევდა მათი გეგმების, იმედებისა და ჩანაფიქრების დასაღუპავად განწირვას, რადგანაც ცუდად მოწყობილ ძველ საზოგადოებაში ძალიან ბევრი რამ იყო დამოკიდებული შემთხვევითი ადამიანებისაგან. მაგრამ იმედის, სიყვარულისა და ბედნიერების ეს ხანმოკლეობა შესუსტების ნაცვლად კიდევ უფრო აძლიერებდა გრძნობას.

აი, რატომ არ შეიძლებოდა დაღუპულიყო ადამიანში არსებული საუკეთესო რამ ბნელი საუკუნეების მონობის ან გათიშული სამყაროს ერის მძიმე გამოცდის მიუხედავად.

პირველად იყო აფრიკელმა რომ გაიფიქრა - ძველ ცხოვრებაში, რომელიც ყველა თანამედროვე ადამიანს ასე მძიმე ეჩვენება, იყო ბედნიერებაც, იმედებიც, შემოქმედებაც, ზოგჯერ შეიძლება უფრო ძლიერიც, ვიდრე არის ახლა, რკალის ამაყ ერაში.

მვენ მასმა თითქმის ბრაზით გაიხსენა იმდროის მეცნიერების თეორეტიკოსები, რომლებიც ეყრდნობოდნენ ბუნებაში სახეობების ნელ ცვლილებათა მცდარ გაგებას და წინასწარ მეტყველებდნენ, რომ კაცობრიობა არსებულზე უკეთესი მილიონი წლის განმავლობაში არ გახდებაო.

მათ რომ უფრო მეტად ყვარებოდათ ადამიანები და სცოდნოდათ განვითარების დიალექტიკა, ამგვარი სისულელე თავში არასოდეს არ მოუვიდოდათ!

გიგანტური მთის მრგვალი მხრების უკან დაისმა შეაწითლა ღრუბლის ზეწარი. მვენ მასი მდინარეში გადაეშვა.

გამოცოცხლებული და საბოლოოდ დამშვიდებული გასაშრობად და დასასვენებლად ბრტყელ ქვაზე ჩამოჯდა. შეღამებამდე ქალაქში ჩასვლა ვერ მოახერხა და იმედოვნებდა მთვარის ამოსვლის შემდეგ მთაზე გადავიდოდა. აფრიკელი დაფიქრებული ჩასჩერებოდა ქვებზე ჩამსხვრეულ წყალს,

მოულოდნელად ვიღაცის შემოხედვა იგრძნო, მაგრამ ვერვინ შეამჩნია. იმის შეგრძნება, რომ ვიღაც უთვალთვალებდა, აწუხებდა მვენ მასს მაშინაც, როცა მდინარეზე გადავიდა და აღმართს დაადგა. მვენ

მასი ჩქარა მიდიოდა ათას რვაასი მეტრის სიმაღლის ზეგანზე, ოთხ თვალებით გატკეპნილ გზას მიჰყვებოდა, შვერილიდან შვერილზე ადიოდა, რათა მთის ტყიანი ნაწილი გადაელახა და უმოკლესი გზით მოხვედრილიყო ქალაქში. ახალი მთვარის ვიწრო ნამგალი გზას საათნახევარზე მეტი ხნის განმავლობაში არ გაანათებდა. უმთვარო ღამეში ციცაბო მთიანი ბილიკის გავლა ძალიან ძნელი იქნებოდა, მვენ მასი ჩქარობდა. მეჩხერი, დაბალი ხეები გრძელ ჩრდილებს აფენდნენ, რომლებიც მთვარით განათებულ გამომხმარ მიწაზე შავი ზოლებივით ენაცვლებოდა ერთურთს. მვენ მასი მიაბიჯებდა, ყურადღებით იცქირებოდა ფეხქვეშ, რათა ურიცხვ წვრილ ფესვებში არ გაბარდულიყო და ფიქრობდა.

მიწაზე მრისხანე ღმუილი განეფინა, ნიადაგი შეაზანზარა. იგი მარჯვნივ გაისმა განცალკევებით, სადაც დამრეცი ტოტი ზე ადიოდა და ღრმა ჩრდილებში იძირებოდა. მას მთვარის შუქის ლაქებსა და ზოლებს შორის ტყიდან დაბალი ღმუილი გამოეხმაურა. ამ ხმებში იგრძნობოდა ძალა, რომელიც სულის სიღრმეში იჭრებოდა, უძლეველი მხეცის მიერ ამორჩეული მსხვერპლის შიშისა და განწირულების დიდი ხნის წინათ დავიწყებულ გრძნობებს აღვიძებდა.

შიშის ძველისძველი გრძნობის საწინააღმდეგოდ მის სულში აინთო არანაკლებ ძველი ცოფი ბრძოლისა, - უსახელო გმირთა იმ უამრავი თაობების მემკვიდრეობა, რომლებიც კაცობრიობის მოდგმის არსებობის უფლებებისათვის იბრძოდნენ, ებრძოდნენ მამონტებს, ლომებს, ბუმბერაზ დათვებს, ცოფიან ხარებს და მგლების ულმობელ ჯოგებს, დღეებს დამქანცველ ნადირობაში ატარებდნენ, ხოლო ღამეებს გაბედულ თავდაცვაში.

მვენ მასი შეჩერდა, მიმოიხედა და სუნთქვა შეიკრა. არაფერი განძრეულა ღამის სიბნელეში, მაგრამ რა წამს ბილიკზე რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, მყისვე მიხვდა, რომ კვალდაკვალ მისდევდნენ. ვეფხვებია? ნუთუ ონარის ცნობა სწორია?

მვენ მასი გაიქცა, ცდილობდა მოეფიქრებინა, რა უნდა გაეკეთებინა, როცა მხეცები - ისინი უეჭველია ორნი იყვნენ - თავს დაესხმოდნენ.

დაბალ ხეებზე თავშეფარება უაზრობაა. ზედ ვეფხვი ადამიანებზე უკეთ დაძვრება. იბრძოლოს? ირგვლივ მხოლოდ ქვებია. ამ რკინასავით მაგარი ტოტებიდან ხეირიან კომბალსაც კი ვერ ჩამოტეხდა და როცა ღრენა უკან სულ ახლო გაისმა, მვენ მასი

მიხვდა, რომ დაიღუპა. მტვრიან ბილიკზე გადაფენილ ხეთა ტოტები ახრჩობდნენ აფრიკელს. მას უნდოდა უკანასკნელი წუთების სიმამაცე ვარსკვლავიანი ცის მარადიული სიღრმიდან ამოეხაპა, რომლის შესწავლასაც მთელი თავისი განვლილი ცხოვრება შეალია. მვენ მასი ვეებერთელა ნახტომებით გაექანა. ბედი სწყალობდა. დიდი მინდვრის განაპირას გამოვარდა, მინდვრის ცენტრში ქვის გაბნეული ნატეხები შეამჩნია. მივარდა, ხელი სტაცა ოცდაათ კილოგრამიან ლოდს და ტყისკენ შეტრიალდა. ახლა მოძრავი ბუნდოვანი აჩრდილები დაინახა. ზოლიანები მეჩხერი ხეების გადაჯვარედინებულ ჩრდილებში იმალებოდნენ. მთვარის კიდე უკვე ხეთა კენწეროებს ეხებოდა, დაგრძელებული ჩრდილები მინდვრის გარდი-გარდმო გაწვა. მათზე, როგორც შავ გზებზე, ორი ვეებერთელა კატა მოფოფხავდა მვენ მასისაკენ. მვენ მასმა იგრძნო მოახლოვებული სიკვდილი, როგორც მაშინ, ტიბეტის ობსერვატორიის მიწისქვეშა ოთახში. ოღონდ ეს სიკვდილი ახლა მასში კიარა, მის გარეშე, დამოუკიდებლად წარმოიშვა; იგი მწვანე ალივით ენთო ტყიურთა ფოსფორულ თვალებში. მვენ მასმა პაპანაქებაში მობერილი ქარი ჩაისუნთქა, მაღლა მანათობელი კოსმოსისაკენ აიხედა, გასწორდა, ქვა თავსზევით შემართა. - ამხანაგო, შენთან ვარ!

ტყის ჩრდილიდან მინდორზე მაღალი ფიგურა გამოვარდა, რომელსაც მრისხანედ აემართა კოჟრებიანი ტოტი. გაკვირვებულმა მვენ მასმა მათემატიკოსი იცნო და წამით ვეფხვები დაავიწყდა. გაშმაგებული, სირბილისაგან სუნთქვაშეკრული ბეტ ლონი მვენ მასს გვერდით დაუდგა. პირდაღებული ყლაპავდა ჰაერს. ვეებერთელა კატებმა ჯერ უკან დაიხიეს, შემდეგ ულმობლად ისევ წინ გამოექანენ. მარცხნივ მდგომი ვეფხვი უკვე ოცდაათიოდე ნაბიჯზე იყო. აი მან აიკაუჭა უკანა თათები. ნახტომისათვის მოემზადა.

- ჩქარა! - მთელ მინდორს გადასწვდა ხმამაღალი ყვირილი.

მვენ მასის ზურგს უკან სამი მხრიდან გაიციმციმა ყუმბარტყორცნების მკრთალმა ნათებამ, რამაც მვენს მოულოდნელად გააგდებინა ხელიდან თავისი იარაღი. მახლობელი ვეფხვი მთელი სიმაღლით შეტოტდა. დამადამბლავებელი ყუმბარები დოლისებური გუგუნით გასკდა, მხეცი ზურგზე წაიქცა, მეორე ტყისაკენ გადახტა. იქიდანაც სამი მხედრის სილუეტი გამოჩნდა. მძლავრი ელექტრომუხტის მქონე მინის ყუმბარა ვეფხვს შუბლზე შეატყდა. იგი გაიჭიმა, მძიმე თავი ხმელ ბალახში ჩარგო.

ერთ-ერთი მხედარი წინ გამოიჭრა, ჯერ არასოდეს მვენ მასს ასეთი ლამაზი არ სჩვენებია დიდი ქვეყნის სამუშაო ტანსაცმელი, ფართო, მუხლებამდე მოკლე შარვალი, ლურჯი ხელოვნური ქსოვილის მოღეღილსაყელოიანი და

გულისჯიბეებიანი ხალვათი ხალათი. - მვენ მას, მე ვგრძნობდი, რომ ხიფათში იყავით!

განა შეუძლია არ იცნოს ეს მაღალი ხმა, რომელიც ახლა ასეთი შიშით რეკს! ჩარა ნანდი!...

პასუხის გაცემა დაავიწყდა და უძრავად იდგა, სანამ ქალიშვილი არ ჩამოხტა და მასთან არ მიირბინა, ხუთივე - თანამგზავრი კვალდაკვალ მიჰყვა. მვენ მასმა მათი შეთვალიერება ვერ მოასწრო, რადგან ნამგალა მთვარე ტყეს ამოეფარა და ტყე-ველი ღამის სულშემხუთველმა სიბნელემ დაჰფარა. ჩარას ხელმა მვენ მასის იდაყვი მოძებნა. მვენმა ხელი ჩასჭიდა ქალიშვილის გამხდარ მაჯას და მისი ხელისგული მკერდზე მიიხუტა, საიდანაც აჩქარებული გულისძგერა ისმოდა. ჩარას ხელის თითები ძლივს შესამჩნევად მოეფერნენ ამობურთულ კუნთებს და ამ ნაზმა, ჰაეროვანმა ალერსმა მვენ

მასს განუცდელი სიამე აგრძნობინა. -

ჩარა, ეს ბეტ ლონია, ახალი მეგობარი...

მვენ მასი მობრუნდა და შეამჩნია, რომ მათემატიკოსი გაქრა. მან მაშინვე მთელი ძალით გასძახა სიბნელეში:

- ბეტ ლონ, არ წახვიდეთ!

- მოვალ, - შორიდან გაისმა მძლავრი ხმა, რომელშიც უკვე აღარ ჩანდა მწარე კადნიერება.

ჩარას ერთ-ერთმა თანამგზავრმა, როგორც ჩანდა, ჯგუფის ხელმძღვანელმა, უნაგირზე მიმაგრებული სასიგნალო ნათურა მოხსნა. სუსტი სინათლე უხილავი რადიოსხივივით ერთად ცას მიებჯინა. მვენ მასმა მოისაზრა, რომ მოსულები საფრენ აპარატს მოელიან. ხუთივენი ბიჭები აღმოჩნდნენ - გამანადგურებელი რაზმის მუშაკები, რომელთაც თავიანთ ჰერკულესის ერთ-ერთ გმირობად დავიწყების კუნძულზე მავნე

ცხოველებთან ბრძოლის სამეთვალყურეო სამსახური აერჩიათ. ჩარა ნანდი შეუერთდა მვენ მასის საძებრად წამოსულ რაზმს.

- თქვენ ცდებით, თუ ამდენად შორსმჭვრეტელად მიგაჩნივართ, - თქვა ხელმძღვანელმა, როცა ყველანი ნათურის ირგვლივ ჩამოსხდნენ და მვენ მასი გამოკითხვას შეუდგა, - ჩვენ დაგვეხმარა ქალიშვილი, რომელსაც ძველბერძნული სახელი ჰქვია.

- ონარი! - წამოიყვირა მვენ მასმა.

- დიახ, ონარი, ჩვენი რაზმი სამხრეთიდან შედიოდა მეხუთე დასახლებაში, როცა დაღლილობისაგან ფეხზე ძლივსძლივობით მდგომმა ქალიშვილმა მოირბინა. მან დაადასტურა ვეფხვების შესახებ გავრცელებული ხმები, რამაც ჩვენ აქ ჩამოგვიყვანა, დაგვაჯერა დაუყოვნებლივ წამოვსულიყავით თქვენს საძებრად, შიშობდა, რომ ქალაქში მიმავალს მთაზე გადავლის დროს ვეფხვები დაგესხმებოდათ. ხომ ხედავთ, ძლივს მოვასწარით. ახლავე სატვირთო ხრახნმფრენი მოვა და ამ დროებით დამბლადაცემულ თქვენს მტრებს ნაკრძალში გავგზავნით. თუ მართლაც კაციჭამიები

აღმოჩნდებიან, მოსპობენ. მაგრამ შემოწმების გარეშე ასეთი დიდი იშვიათობის

დაღუპვა არ შეიძლება. - როგორი შემოწმების? ბიჭმა წარბები აწკიპა.

- ეს ჩვენ არ გვეხება. უეჭველია, უპირველესად მათ დაამშვიდებენ - შეუშხაპუნებენ სასიცოცხლო აქტივობის დამაქვეითებელს. დროებით დასუსტებული ვეფხვები ბევრ რაიმეს ისწავლიან...

ყმაწვილს სიტყვა ძლიერმა მოცახცახე ხმამ გააწყვეტინა. ზევიდან ნელ-ნელა ბნელი მასა დაეშვა. მინდორს დამაბრმავებელი შუქი გადაეფრქვია. ზოლიანი კატები ფაქიზი ტვირთისავით განკუთვნილ მსუბუქ კონტეინერებში ჩაამწყვდიეს. ხომალდი, რომელიც სიბნელეში ცუდად ჩანდა, გაქრა. ველზე ვარსკვლავების მშვიდი შუქი გაიშალა. ხუთთაგან ერთი ბიჭი ვეფხვებთან ერთად გაემგზავრა, მისი ცხენი კი მვენ მასს მისცეს.

აფრიკელისა და ჩარას ცხენები გვერდიგვერდ მიდიოდა. გზა მდინარე ჰალეს ხეობაში ჩადიოდა, რომლის შესართავშიც, სანაპიროზე, მოთავსებული იყო სამედიცინო სადგური და გამანადგურებელი რაზმის ბაზა.

- კუნძულზე ყოფნისას პირველად მივდივარ ზღვისკენ, - დაარღვია სიჩუმე მვენ მასმა - აქამდე მეგონა, რომ ზღვა აკრძალული კედელია, რომელმაც სამუდამოდ გადატიხრა ჩემი ქვეყანა.

- კუნძული თქვენთვის ახალი სკოლა იყო? - ნახევრად შეკითხვით მხიარულად თქვა ჩარამ.

- დიახ, მოკლე ხანში ბევრი რამ განვიცადე და გადავიფიქრე. ყველა ეს აზრი დიდი ხანი მაფორიაქებდა...

მვენ მასმა გაანდო თავისი დიდი ხნის შიში, რომ კაცობრიობა ძალიან რაციონალურად, ძალიან ტექნიკურად ვითარდება და, ცხადია, შეუდარებლად მცირე მახინჯი ფორმით იმეორებს ძველ შეცდომებს. მას მოეჩვენა, რომ პლანეტა ეპსილონ ტუკანას ჩვენმა

მსგავსმა და ასევე მშვენიერმა კაცობრიობამ მეტი იზრუნა ფსიქიკის ემოციონალური მხარის სრულყოფისათვის.

- მე ბევრს ვწუხდი ცხოვრების არასრული ჰარმონიის შეგრძნებისაგან, - დუმილის შემდეგ უპასუხა ქალიშვილმა. - მე მეტი მჭირდებოდა ძველებისაგან და გაცილებით ცოტა გარშემო მყოფთაგან. ვოცნებობდი ძალთა დაგროვების ეპოქაზე, ჯერ კიდევ ეროსის საუკუნეში, ყოფილ ანტიურ ხმელთაშუაზღვეთში პირველყოფილი შერჩევით დაგროვებულ ძალებსა და გრძნობებზე. ყოველთვის ვცდილობდი ჩემს მაყურებლებში გრძნობათა ნამდვილი ძალა გამეღვიძებინა. მაგრამ, გეთაყვა, ბოლომდე მხოლოდ ევდა ნალმა გამიგო.

- და მვენ მასმა, - სერიოზულად დაუმატა აფრიკელმა და მოუყვა, როგორ წარმოუდგა მას ქალიშვილი ტუკანას სპილენძისფერკანიან ქალიშვილად.

ქალიშვილმა სახე ასწია და ალიონის მკრთალ შუქზე მვენ მასმა ისეთი დიდი და ღრმა თვალები დაინახა, რომ ოდნავი თავბრუსხვევა იგრძნო, განერიდა და გაიცინა.

- ოდესღაც ჩვენი წინაპრები მომავლის შესახებ შეთხზულ თავიანთ რომანებში ნახევრადცოცხალ რახიტიანებად გვხატავდნენ, ზედმეტად განვითარებული თავის ქალით. მიუხედავად იმისა, რომ გაკვეთეს და გააწამეს მილიონობით ცხოველები, ისინი მაინც დიდხანს ვერ მიხვდნენ ადამიანის ტვინის მანქანის აგებულებას, რადგანაც იქ მიძვრებოდნენ დანით, სადაც მოლეკულური და ატომური მასშტაბის უფაქიზესი გამზომი ხელსაწყოები იყო საჭირო. ახლა ვიცით, რომ გონების მძლავრი მოღვაწეობა სასიცოცხლო ენერგიით აღსავსე ღონიერ სხეულს მოითხოვს, მაგრამ იგივე სხეული მძლავრ ემოციებსაც წარმოშობს.

- და ჩვენ ძველებურად გონების ჯაჭვზე ვცხოვრობთ, - დაეთანხმა ჩარა ნანდი.

- ბევრი რამ უკვე გაკეთდა, მაგრამ ინტელექტუალური მხარე მაინც წავიდა, ემოციონალური კი ჩამორჩა... მასზე უნდა ვიზრუნოთ, რადგან გონების ჯაჭვი მას კი არ უნდა სჭირდებოდეს, არამედ ხანდახან გონება უნდა იყენებდეს მის ჯაჭვს. ეს იმდენად მნიშვნელოვნად მეჩვენება, რომ წიგნის დაწერასაც კი ვაპირებ.

- ო, ცხადია! - მხურვალედ წამოსძახა ჩარამ, შეცბა და გააგრძელა: - დიდ მეცნიერთა

მხოლოდ მცირე ნაწილმა მიუძღვნა თავი მშვენიერების კანონებისა და გრძნობათა სისავსის გამოკვლევას... მე ფსიქოლოგიაზე არ ვლაპარაკობ.

- გაგიგეთ! - უპასუხა აფრიკელმა. იგი უნებურად ესიყვარულებოდა ქალიშვილს, რომელსაც დარცხვენისაგან მაღლა, აისის სხივების შესახვედრად შეემართა ამაყი თავი, რაც მის კანს ისევ წითელი ბრინჯაოს ფერს აძლევდა.

ჩარა მსუბუქად და თავისუფლად იჯდა მაღალ ყორანა ცხენზე, რომელიც ფეხაწყობილი მისდევდა მვენ მასის წითელ ცხენს.

- ჩამოვრჩით! - წამოიძახა ქალიშვილმა, სადავე მიუშვა. მყისვე მისი ცხენი წინ გაიჭრა.

აფრიკელი დაეწია და ორთავენი გვერდიგვერდ გაექანენ ძველ გზაზე. ისინი წამოეწიენ თავიანთ ახალგაზრდა ამხანაგებს, ცხენებს თავები დაუჭირეს და ჩარა მვენ მასისაკენ მოტრიალდა.

- ვინ არის ის ქალიშვილი, ონარი?...

- იგი დიდ ქვეყანაში უნდა წავიდეს. კუნძულზე სულ შემთხვევით დარჩა, აქ ჩამოსული და ცოტა ხნის წინათ გარდაცვლილი დედა ვერ მიატოვა. ონარი კარგად იმუშავებდა ვედასთან - გათხრებზე ქალის მგრძნობიარე და ფაქიზი ხელებია საჭირო. ათასობით სხვა საქმეცაა, სადაც ისინი გამოადგებიან. და ბეტ ლონიც, განახლებული, რომელიც ჩვენთან დაბრუნდება, ახლებურად შეხედავს მას!..

ჩარამ წარბები შეარხია, დაჟინებით შეხედა მვენ მასს.

- თქვენ კი თქვენსვარსკვლავებს არ ჩამოსცილდებით?

- როგორიც არ უნდა იყოს საბჭოს გადაწყვეტილება, მე გავაგრძელებ კოსმოსის საქმეს, მაგრამ ჯერ უნდა დავწერო..

- ადამიანთა სული ვარსკვლავებზე?

- სწორია, ჩარა! სუნთქვა მეკვრება მათი უდიადესი მრავალფეროვნებისაგან... - მვენ მასი დადუმდა. შეამჩნია, რომ ქალიშვილი ნაზი ღიმილით უცქეროდა.

- თქვენ ამაში არ მეთანხმებით?

- ცხადია, გეთანხმებით! მე თქვენს ცდაზე ვფიქრობდი. თქვენ ცდა მოაწყეთ, რადგან საშინლად გსურდათ ადამიანებისათვის ყოველმხრივ სრულყოფილი სამყარო მიგეცათ. ამ მხრივ თქვენ მეცნიერი კი არა, მხატვარი ხართ.

- რენ ბოსი?

- მისთვის ცდა მხოლოდ ერთი ნაბიჯი იყო თავისი გამოკვლევების გზაზე.

- თქვენ მამართლებთ, ჩარა?

- მთლიანად! და დარწმუნებული ვარ ბევრი ადამიანი გაგამართლებთ, უმრავლესობა!

მვენ მასმა სადავე მარცხენა ხელში გადაიტანა, ხოლო მარჯვენა ჩარას გაუწოდა. ისინი სადგურის პატარა დასახლებაში შევიდნენ.

ინდოეთის ოკეანის ტალღები მშვიდად გრუხუნებდნენ ჩამონგრეულ ლოდებზე. მათ ხმაურში მასს ეყურებოდა ბანების რიტმული შესავალი კოსმოსისაკენ მიმქროლავი სიცოცხლის შესახებ დაწერილი ზიგ ზორის სიმფონიიდან, ძლიერი ნოტი, დედამიწის ბუნების ძირითადი ნოტი - ლურჯი ფა - მღეროდა ზღვაზე, აიძულებდა ადამიანს მთელი სულით გამოხმაურებოდა, შეერთებოდა თავის შემქმნელ ბუნებას.

ოკეანე გამჭვირვალე, მანათობელი, ნარჩენებისაგან დაუნაგვიანებელია, გაწმენდილია მტაცებელი ზვიგენებისაგან, შხამიანი თევზებისაგან, მოლუსკებისა და სახიფათო მედუზებისაგან, როგორც თანამედროვე ადამიანის ცხოვრებაა გაწმენდილი წარსული საუკუნეთა მტრობისა და შიშისაგან. მაგრამ სადღაც, ოკეანის თვალუწვდენელ სივრცეებში არის საიდუმლო კუთხეები, სადაც იზრდება მავნე სიცოცხლის გადარჩენილი თესლი და მხოლოდ გამანადგურებელი რაზმების სიფხიზლეს უნდა ვუმადლოდეთ ოკეანის წყლების უსაფრთხოებასა და სისუფთავეს.

განა სწორედ ასევე არ იზრდება გამჭვირვალე ახალგაზრდა სულში უცაბედად ბოროტი სიჯიუტე, კრეტინული თვითდაჯერება, ცხოველური ეგოიზმი? როდესაც ადამიანი არ

ემორჩილება საზოგადოების სიბრძნესა და სიკეთისაკენ მიმართულ ავტორიტეტს, არამედ მხოლოდ თავისი შემთხვევითი პატივმოყვარეობითა და პირადი ვნებებით ხელმძღვანელობს, - მაშინ სიმამაცე მხეცობად იქცევა, შემოქმედება - მკაცრ ეშმაკობად, ხოლო ერთგულება და საკუთარი თავის მსხვერპლად მიტანა ტირანიის, სასტიკი ექსპლოატაციისა და შეურაცხყოფის დასაყრდენად... დისციპლინისა და საზოგადოებრივი კულტურის საფარი იოლად ინგრევა - ამისათვის ცუდი ცხოვრების ერთ-ორი თაობაა საკმარისი. მვენ მასმა დავიწყების კუნძულზე მხეცის სწორედ ასეთ სახეს ჩახედა. თუ მას თავს არ დაუჭერ, თუ თავისუფლებას მისცემ - აყვავდება ჯოჯოხეთური დესპოტიზმი, რომელიც ყველაფერს თელავს, რომელიც საუკუნეების განმავლობაში კაცობრიობას თავს ახვევდა უსინდისო თვითნებობას.

დედამიწის ისტორიაში ყველაზე გასაოცარი - ეს არის ცოდნისა და სილამაზისადმი დაუცხრომელი სიძულვილი, რომელიც აუცილებლად

ახასიათებდათ გულღვარძლიან უმეცრებს. ეს უნდობლობა, შიში და სიძულვილი თავიდან ბოლომდე გასდევს კაცობრიობის მთელ საზოგადოებას, პირველყოფილი ჯადოსნებისა და კუდიანების წინაშე შიშისაგან დაწყებული და სამყაროს გათიშვის ერას დროინდელი

ისეთი მოაზროვნეების დასჯით დამთავრებული, რომლებმაც წინ გაუსწრეს თავიანთ ეპოქას. ეს ამბები მაღალგანვითარებული ცივილიზაციის მქონე სხვა პლანეტებზეც ხდებოდა, რომელთაც ჯერ კიდევ არ შეეძლოთ დაეცვათ თავიანთი საზოგადოებრივი წყობა ადამიანთა პატარა ჯგუფების - მოულოდნელად და მზაკვრულად სულ სხვადასხვა ფორმებით წარმოშობილი ოლიგარქიების მხრივ ხელყოფისაგან... მვენ მასმა გაიხსენა რკალში გადმოცემული ცნობა დასახლებული სამყაროების შესახებ, სადაც მეცნიერების უმაღლეს მიღწევებს იყენებდნენ ადამიანთა დასაშინებლად, საწამებლად და დასასჯელად, მათი აზრების ამოსაკითხავად, მასების გადასაქცევად ყოველგვარი საშინელი ბრძანების შემსრულებელ ნახევრადიდიოტებად. ასეთი პლანეტებიდან რკალში იჭრებოდა გოდება დახმარების შესახებ და მიფრინავდა სივრცეში მრავალი ასეული წლის განმავლობაში მას შემდეგაც, რაც უკვე დაიღუპა მასზე დასახლებული ადამიანებიც და მათი მკაცრი მმართველებიც.

ჩვენი პლანეტა უკვე განვითარების ისეთ სტადიაში იმყოფება, რომ მსგავსი საშინელებანი სამუდამოდ უაზრობად იქცა. მაგრამ ჯერ კიდევ არასაკმაოა ადამიანის სულიერი განვითარება, რისთვისაც გულმოდგინედ იღწვიან ევდა ნალის მსგავსი ადამიანები...

-მხატვარი კარტ სანი ამბობდა, რომ სიბრძნე - ეს არის ცოდნისა და გრძნობების შერწყმა. ვიყოთ ბრძენები! - გაისმა უკნიდან ჩარას ხმა.

ჩარამ გაიქროლააფრიკელის მახლობლად და მწვერვალიდან მორევში გადაეშვა.

მვენ მასი ხედავდა, რა მოხდენილად შეტრიალდა ჰაერში, ფრთებივით გაშალა მკლავები და ტალღებში გაქრა. დაბლა მცურავნი, გამანადგურებელი რაზმის ბიჭები გაირიდნენ. მვენ მასს ზურგზე შიშთან შერწყმულმა აღტაცების სიცივემ დაუარა. არასოდეს აფრიკელი ასეთი დიდი სიმაღლიდან არ გადამხტარა, მაგრამ ახლა უშიშრად დადგა ხრამის ნაპირზე, ტანსაცმელი გაიძრო. შემდეგ გაიხსენა, რომ მეყსეულ ბუნდოვან ფიქრებში ჩარა ძველ ადამიანთა ქალღმერთად მოეჩვენა, რომელსაც ყველაფერი შეუძლია. თუ მას შეუძლია, თავადაც შეძლებს!

ტალღებიდან ქალიშვილის სუსტი, გამაფრთხილებელი ძახილი გაისმა, მაგრამ უფსკრულისაკენ გაფრენილ მვენ მასს არაფერი გაუგონია. ნახტომი სანეტაროდ ხანგრძლივი იყო. ხტომის კარგი ოსტატი მვენ მასი ზუსტად დაეცა წყალზე და

ძალიან ღრმად ჩაიძირა. ზღვა ისე საოცრად გამჭვირვალე იყო, რომ ფსკერი საშიშრად ახლო

მოეჩვენა. აფრიკელი წყალში მოიხარა და შეუკავებელი ინერციის ისეთი გამაოგნებელი დარტყმა მიიღო, რომ წამით მისთვის ყველაფერმა შეწყვიტა არსებობა. მვენ მასი რაკეტის სისწრაფით ამოფრინდა ზედაპირზე, ზურგზე გადატრიალდა და ტალღებზე დაირწა. გონსმოსულმა დაინახა მასთან მოცურებული ჩარა ნანდი. პირველად შიშის სიფითრემ გააფერმკრთალა ქალიშვილის სახეზე მზისაგან მიღებული ბრინჯაოსფერი. მის თვალებში ყვედრებაც ჩანდა და აღტაცებაც.

- რატომ ჩაიდინეთ ეს? - ძლივსძლივობით წაიჩურჩულა მან.

- რადგან თქვენც ასე მოიქეცით. მე ყველგან გამოგყვებით... ჩვენსავე მიწაზე ავიშენოთ ჩვენი ეპსილონ ტუკანა!

- და ჩემთან ერთად დაბრუნდებით დიდ ქვეყანაში?

- დიახ!

მვენ მასი შებრუნდა, რათა შორს გაეცურა, მაგრამ მოულოდნელობისაგან წამოიყვირა.

ზღვის თავბრუდამსხმელი გამჭვირვალება, რომელიც საკმაოდ უხეშად გაეხუმრა, აქ, ნაპირიდან დაცილებით, კიდევ მეტი გახდა. ისა და ჩარა თითქო ფრინავდნენ მიწიდან თავბრუდამხვევ სიმაღლეზე, რომელიც უწვრილმანეს დეტალებამდე ჩანდა წარმოუდგენლად სუფთა წყალში, სწორედ ისე, როგორც ჰაერში. მვენ მასი შიშისა და ზეიმის ისეთივე გრძნობამ მოიცვა, როგორსაც დედამიწის მიზიდულობის საზღვრებს გაცილებული ადამიანები განიცდიდნენ. გაფრენები ქარიშხლიან ოკეანეზე, ნახტომები ხელოვნური თანამგზავრებიდან კოსმოსის უძირო სიბნელეში უსაზღვრო სიმამაცისა და წარმატების ასეთივე შეგრძნებას იწვევდა. მვენ მასი ბიძგით მიცურდა ჩარასთან, ჩურჩულებდა მის სახელს და მის ნათელსა და გაბედულ თვალებში მხურვალე პასუხს კითხულობდა. მათი ხელები და ბაგეები ბროლის უსასრულობის თავზე გადაეჭდო ერთურთს.

თავი XII. ვარსკვლავფრენის საბჭო

ვარსკვლავფრენის საბჭოს, ისე როგორც პლანეტის მთავარ ტვინს - ეკონომიკის საბჭოს, ადრიდანვე ჰქონდა საკუთარი შენობა სამეცნიერო სესიების ჩასატარებლად. თვლიდნენ, რომ შენობის სპეციალური ხელსაწყოები და მოწყობილობა შეკრებილებს კოსმოსის პრობლემებზე სამუშაოდ განაწყობდა და ამით ხელს შეუწყობდა მათ სწრაფ გადართვას ამქვეყნიური საქმეებიდან ვარსკვლავეთის საქმეებზე.

ჩარა ნანდი საბჭოს მთავარ დარბაზში აქამდე არასოდეს არ ყოფილა. ევდა ნალთან ერთად იგი მღელვარებით შევიდა ამ ამოზნექილ პარაბოლურჭერიან და საჯდომი რიგების ელიპტიურ ზედაპირიდან საოცარ კვერცხისმაგვარ დარბაზში. დარბაზში ნათელი ვარდისფერ იისფერი შუქი იფრქვეოდა, თითქო მართლაც შორეული ვარსკვლავიდან მოტანილი შუქი. კედლების, ჭერის, საჯდომების ყველა ხაზები ვეებერთელა დარბაზის ბოლოში იყრიდა თავს, იქმნებოდა მათი ბუნებრივი კრებადობა. ამაღლებულ ადგილზე მოთავსებული იყო სადემონსტრაციო ეკრანი, ტრიბუნა და საბჭოს წევრების - სხდომის ხელმძღვანელების დასაჯდომი ადგილები.

კედლების დარაბულ-ოქროსფერი ფინები რელიეფური რუკების რიგს ჰკვეთდა. მარჯვნივ მზის სისტემის რუკები იყო მოთავსებული, მარცხნივ საბჭოს ექსპედიციების მიერ შესწავლილი უახლოესი ვარსკვლავებისა. ჭერის ცისფერ ნაკვეთში მეორე რიგად მანათობელი საღებავებით დახაზული იყო ვარსკვლავეთის დასახლებული სისტემების სქემები, მეზობლებისაგან დიდი რკალის მეშვეობით მიღებული.

ჩარას ყურადღება მიიპყრო ტრიბუნის თავზე მოხატულმა ძველებურმა, გაფერკმრთალებულმა და, როგორც ჩანდა, არაერთხელ რესტავრირებულმა სურათმა.

ვეებერთელა ტილოს მთელი ზედა ნაწილი შავ იისფერ ზეცას ეჭირა. უცხო მთვარის პატარა ნამგალი მოთეთრო, მკვდრისფერ შუქს აფენდა მაღლა უძლურად ცხვირაწეულ ძველებურ ვარსკვლავმფრენს, რომელიც უხეშად ისახებოდა მოწითალო დაისში. მახინჯი, ლურჯი, ხმელი და მაგარი მცენარეები ლითონისა გეგონებოდათ. ღრმა ქვიშაში ძლივს მიბანცალებდა მსუბუქ დამცავ სკაფანდრიანი ადამიანი. ოდნავ მიეხედა დამსხვრეული ხომალდისა და იქიდან გადმოსვენებული დაღუპული ამხანაგების გვამებისაკენ. მისი ნიღბის სხივები მხოლოდ დაისის მოწითალო ფერებს ირეკლავდა,

მაგრამ წარმოუდგენელი ხრიკებით მხატვარს მოეხერხებინა მათში უცხო ქვეყნად მარტოობის უსაზღვრო სევდა გამოეხატა. მარჯვნივ ქვიშიან ბორცვზე მიფორთხავდა რაღაც ცოცხალი, უფორმო და საზიზღარი. სურათს მსხვილი ასოებით მიწერილი ჰქონდა: „მარტო დარჩა“. ეს ძალიან მოკლე და გამომსახველი წარწერა იყო.

სურათის ცქერით გატაცებულმა ქალიშვილმა უცბად ვერ შეამჩნია ოსტატური გამონაგონი - სკამების მარაოსებურ შვერილებად განაწილება, ისე რომ დერეფნიდან და რიგთა შორის თვითეულ საჯდომ ადგილამდე განცალკევებული მისასვლელი იყო. თვითეული რიგი იზოლირებული იყო მეზობელი ზედა და ქვედა რიგებისაგან. მხოლოდ ევდას გვერდით დაჯდომის შემდეგ მიაქცია ჩარამ ყურადღება ძველებურად ნაკვეთ სავარძლებს, პიუპიტრებს და მოაჯირებს, რომლებიც რუხი მარგალიტისფერი აფრიკული ხიდან იყო დამზადებული. ახლა არავინ აღარ დახარჯავდა ასე ბევრ შრომას იმაზე, რაც შეიძლება რამდენიმე წუთში ჩამოისხას და გაიხეხოს. შეიძლება იმიტომაც, რომ ადამიანებს სიძველისადმი პატივისცემის გრძნობა ახასიათებთ, ჩარას ხე პლასტმასაზე უფრო თბილი და ცოცხალი მოეჩვენა. იგი ნაზად მოეფარა ამოზნექილ ხელსაბჯენებს, თან დარბაზის თვალიერება არ შეუწყვეტია.

ხალხი, როგორც ყოველთვის, ბევრი შეიკრიბა, თუმცა მძლავრი ტელეგადაცემები დარბაზში მიმდინარე ამბებს მთელ პლანეტაზე გადასცემდა. ჩვეულებისამებრ საბჭოს მდივანმა მირ ომმა გამოაქვეყნა, მოკლე ცნობა წარსული სხდომის შემდეგ მომხდარი ამბის შესახებ. დარბაზში მყოფ რამდენიმე ასეულ ადამიანში ვერც ერთ უყურადღებო, თავისი ფიქრებით გატაცებულ სახეს ვერ ნახავდით. ყველაფრისადმი მგრძნობიარე ყურადღებიანობა რკალის ეპოქის ადამიანების დამახასიათებელი ნიშანი იყო. მაგრამ ჩარამ გამოტოვა პირველი ცნობა, განაგრძო დარბაზის დათვალიერება და კითხულობდა პლანეტების რუკებზე წარწერილ ცნობილ მეცნიერთა გამონათქვამებს. განსაკუთრებით მოეწონა იუპიტერზე წარწერილი მოწოდება - ყოფილიყვნენ ყურადღებიანნი ბუნების მოვლენებისადმი: „შეხედეთ, გაუგებარი ფაქტები როგორ გვეხვევა გარშემო, თვალებში გვიძვრება, ყურებში გვიწივის, მაგრამ ჩვენ არ ვხედავთ და არ ვისმენთ რა დიდი აღმოჩენები იმალება მათს ბუნდოვან მონახაზებში“. მეორე ადგილას კიდევ ერთი წარწერა იყო: „არ შეიძლება უბრალოდ ავწიოთ ფარდა უცნობისა - მხოლოდ დაჟინებული შრომის, უკანდახევის, გვერდიდან შემოვლის შემდეგ ვიწყებთ ჭეშმარიტი აზრის დაჭერას და ჩვენს წინ ახალი უსაზღვრო პერსპექტივები იშლება. არასოდეს მოერიდოთ მას, რაც თავიდან უსარგებლო და გაუგებარი გეჩვენებათ“.

ტრიბუნაზე ამოძრავდნენ. დარბაზში შუქი ჩაქრა. საბჭოს მდივნის მშვიდი, დინჯი ხმა მღელვარებისაგან შეცახცახდა.

- თქვენ ახლა დაინახავთ მას, რაც აქამდე აბსოლუტურად შეუძლებლად გვეჩვენებოდა, - ჩვენი გალაქტიკის გვერდიდან გადაღებულ სურათს. ასორმოცდაათი ათასზე მეტი წლის წინათ, ანუ გალაქტიკის ერთნახევარი წუთის წინ, ცენტავრის თანავარსკვლავედის საპლანეტო სისტემის... - ჩარამ გამოტოვა მისთვის არაფრის მთქმელი ციფრების რიგი, - მცხოვრებლებმა მიმართეს დიდი მაგელანის ღრუბლის მოსახლეობას - ჩვენთან ერთადერთ მახლობელ არაგალაქტიკური ვარსკვლავის სისტემას. ცნობილია, რომ იქ არსებობს მოაზროვნე სამყარო, რომელსაც შეუძლია რკალის მეშვეობით დაგვიკავშირდეს. ჩვენ ჯერ კიდევ არ შეგვიძლია ზუსტად განვსაზღვროთ ამ მაგელანის საპლანეტო სისტემის ადგილმდებარეობა, მაგრამ მათი გადმოცემა მივიღეთ - ეს არის ჩვენი გალაქტიკის სურათი. აი ისიც!

ვეებერთელა ეკრანზე შორეული ვერცხლისფერი შუქით აციალდა ვარსკვლავების ბოლოშეკრული დაგროვება. ეკრანის კიდეები სივრცის უღრმესმა წყვდიადმა დაჰფარა,

- ასეთივე სიშავით ციალებდა ტოტების ბოლოებში დახვეულ სპირალთა შორის მოტიტვლებული ადგილები. მკრთალი ნათება რკალივით ერტყა გარშემო ჩვენი სამყაროს ამ უძველეს სისტემის ბურთისებრ თავმოყრას. ვარსკვლავთა ბრტყელი ველები ღრუბლებსა და გაცივებული შავი მატერიის ზოლებს ენაცვლებოდა. სურათი უხერხული მოსახვევი წერტილიდან იყო გადაღებული - გალაქტიკა ძალზე ილინცრად და ზევითკენ წაგრძელებული გამოვიდა. ისე, რომ ცენტრალური ბირთვი ვიწრო ლინზის შუაში ძლივს ჩანდა ანთებული ამოზნექილი მასის სახით. ეტყობა ჩვენი ვარსკვლავეთის სისტემის შესახებ სრული წარმოდგენის შესაქმნელად საჭირო იყო უფრო შორეული გალაქტიკების გამოთხოვა, რომლებიც განლაგებული არიან გალაქტიკურ განედზე მაღლა. მაგრამ დიდი რკალის არსებობის მთელ მანძილზე ჯერ არც ერთ გალაქტიკაში არ ყოფილა შემჩნეული გონივრული ცხოვრების ნიშნები.

მიწის ადმიანები ეკრანს თვალმოუწყვეტლივ მისჩერებოდნენ. კაცობრიობამ პირველად შეძლო სივრცის არაჩვეულებრივ შორ მანძილიდან გვერდიდან შეეხედა თავისი ვარსკვლავეთის სამყაროსათვის.

ჩარას მოეჩვენა, რომ მთელმა პლანეტამ სუნთქვა შეიკრა, მილიონი ეკრანით მაჩერდა თავის გალაქტიკას ყველა ექვსივე მატერიკისა და ოკეანეებზე, სადაც კი გაფანტული იყო ადამიანთა ცხოვრებისა და შრომის კუნძულები.

- ჩვენი ობსერვატორიის მიერ დიდ რკალში მიღებული ახალი ამბები, რომლებიც მსოფლიო ინფორმაციისთვის ჯერ არ გადაგვიცია, დასრულებულია,

- ისევ ალაპარაკდა მდივანი, - გადავდივართ ფართო განხილვისათვის განკუთვნილ პროექტებზე.

იუტი გაის წინადადებით მარსზე უნდა შეექმნათ სუნთქვისათვის ვარგისი ხელოვნური ატმოსფერო, მთის ჯიშების სიღრმიდან ავტომატური დანადგარებით მსუბუქი გაზების გამოყოფის გზით. ეს წინადადება ყურადღებას იმსახურებდა, რადგანაც სერიოზული გაანგარიშებებით იყო განმტკიცებული. მიიღება ჰაერი საკმარისი სუნთქვისა და ჩვენი დასახლებების თბოიზოლაციისთვის, როდესაც ისინი თბილი შენობებიდან გამოვლენ. მრავალი წლის წინ, როდესაც ვენერაზე აღმოჩენილი იქნა ნავთის ოკეანეები და ნახშირწყალბადის მკვრივი მთები, გაშვებული იქნა

ავტომატური დანადგარები, რათა გამჭვირვალე პლასტმასის გიგანტურ ხაფებში ხელოვნური ატმოსფერო შეექმნათ. ამან საშუალება მოგვცა დაგვერგა მცენარეები; აგვეშენებინა ქარხნები, უზრუნველგვეყო კაცობრიობა ორგანული ქიმიის ყოველგვარი პროდუქტების კოლოსალური რაოდენობით.

მდივანმა ლითონის ფირფიტა გვერდზე გადადო და ალერსიანად გაიღიმა. ტრიბუნის მახლობელ რიგის ბოლოში გამოჩნდა მუქწითელ ტანსაცმელში გამოწყობილი, მოღუშული, მოზეიმე და მშვიდი მვენ მასი. კრებისადმი პატივისცემის ნიშნად შეკრული ხელი თავს ზევით ამართა და დაჯდა.

მდივანმა ტრიბუნიდან ჩამოვიდა, ადგილი დაუთმო ახალგაზრდა ქალს, რომელსაც მოკლე ოქროსფერი თმები და გაოცებული მწვანე თვალები ჰქონდა. მის გვერდით საბჭოს თავმჯდომარე გრომ ორმი დადგა.

- ჩვეულებრივ ჩვენ თვითონ ვაქვეყნებთ ახალ წინადადებებს, მაგრამ ახლა მოისმენთ თითქმის დამთავრებულ გამოკვლევებს. თვით ავტორი ივა ჯანი გაგაცნობთ მასალებს და პასუხსაგები დაფიქრება გმართებთ.

მწვანეთვალებიანმა ქალმა მორცხვობისაგან ჩავარდნილი ხმით დაიწყო ლაპარაკი. ივამ პირველად ახსენა ის საერთოდ ცნობილი ფაქტი, რომ სამხრეთ მატერიკების მცენარეები გამოირჩევა ფოთლების მოცისფერო ელფერით, რაც მიწის მცენარეულობის ძველი ფორმებისათვის არის დამახასიათებელი. როგორც სხვა პლანეტების მცენარეულის შესწავლამ გვაჩვენა, ცისფერი ფოთლები დამახასიათებელია დედამიწის ატმოსფეროზე უფრო მკაცრი გამჭვირვალე ატმოსფეროსათვის, ან კიდევ მზეზე უფრო მკაცრი ულტრაიისფერი რადიაციის მქონე მნათობისათვის.

- ჩვენი მზე თანმიმდევარია თავის წითელ რადიაციაში, მაგრამ არასტაბილურია ცისფერისა და ულტრაიისფერში. დაახლოებით ორი მილიონი

წლის წინათ მან განიცადა იისფერი რადიაციის ცვლილება, რაც დიდხანს გაგრძელდა.

მაშინ გაჩნდა ცისფერი მცენარეები, შავი ფერი მიიღეს ღია სივრცეებში მცხოვრებმა ფრინველებმა და მხეცებმა, უჩრდილო ადგილებში ჩაბუდებულმა ფრინველებმა შავი კვერცხების დება დაიწყეს. ამ პერიოდში გამოიცვალა მზის სისტემის ელექტრომაგნიტური რეჟიმი, რის გამოც ჩვენი პლანეტა თავისი ბრუნვის ღერძის

მიმართ არამყარი გახდა. დიდი ხანია წარმოიშვა პროექტები მატერიკის ღრუბლებში ზღვების გადაქაჩვისა, რათა დაარღვიონ დამყარებული წონასწორობა და დედამიწის ბურთს თავისი ღერძის მიმართ დაკავებული მდგომარეობა შეუცვალონ. ეს იმ დროს იყო, როცა ასტრონომებმა აითვისეს მიზიდულობის მხოლოდ ელემენტალური მექანიკა, სრულებით არ ითვალისწინებდნენ ელექტრომაგნიტური წონასწორობის სისტემას რაც გრავიტაციაზე ბევრად უფრო ცვალებადია. ჩვენ საკითხის გადაწყვეტას სწორედ ამ მხრიდან უნდა მივუდგეთ, რაც უფრო იოლი, იაფი და სწრაფია. გავიხსენოთ, ვარსკვლავფრენის დასაწყისში ხელოვნური მიზიდულობის შექმნა ენერგიის ისეთ ხარჯვას მოითხოვდა, რომ პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. ახლა, მეზონური ძალების დაშლის აღმოჩენის შემდეგ, ჩვენი ხომალდები ხელოვნური გრავიტაციის უბრალო და საიმედო აპარატებით არიან აღჭურვილნი. ასევე რენ ბოსის ცდა სახავს შემოვლით გზას დედამიწის ბრუნვის რეჟიმის ქმედითი და სწრაფი ცვლილებისათვის...

ივა ჯანი დუმდა. ექვსი ადამიანისაგან შემდგარი ჯგუფი - პლუტონის ექსპედიციის გმირები, დარბაზის ცენტრში ერთად მსხდომნი, - მიესალმნენ მას, შეერთებული

ხელის გულები გაუწოდეს. ახალგაზრდა ქალის ლოყები ერთი წამით ადრე აინთო, ვიდრე სტერომეტრული ნახაზების გამჭვირვალე კონტურებიანი ეკრანი აინთებოდა.

- ვიცი, რომ საკითხი შეიძლება გაფართოვდეს. ახლა დროა ვიფიქროთ ორბიტის შეცვლაზეც კი, კერძოდ პლუტონის მზესთან მიახლოვებაზე, რათა აღვადგინოთ სხვა ვარსკვლავის ეს ოდესღაც დასახლებული პლანეტა. მაგრამ ამჟამად მე მხედველობაში მაქვს მხოლოდ ჩვენი დედამიწის გადაწევა თავისი ღერძიდან, რათა გავაუმჯობესოთ მატერიკის ნახევარსფეროების კლიმატური პირობები.

რენ ბოსის ცდამ გვიჩვენა, რომ გრავიტაციული ველის ინვერსია შესაძლებელია მის მეორე ასპექტში - ელექტრომაგნიტურ ველში, შემდგომი ვექტორიალური

პოლარიზაციით, აი ამ მიმართულებით... ეკრანზე ფიგურები გაგრძელდა და შემობრუნდა. ივა ჯანმა განაგრძო:

- მაშინ პლანეტის ბრუნვა თანმიმდევრობას დაჰკარგავს და შესაძლებელი იქნება დედამიწა სასურველი მიმართულებით შემოვაბრუნოთ მზის სხივებით ყველაზე უფრო ხელსაყრელი და ხანგრძლივი განათებისათვის.

ეკრანის ქვეშ გრძელ მინაზე მანქანების მიერ ადრევე გამოანგარიშებული პარამეტრების რიგი გაიჭიმა. თვითეული, ვისაც ამ სიმბოლოების გაგება შეეძლო, დარწმუნდა, რომ ივა ჯანის პროექტი, ყოველ შემთხვევაში, უნიადაგო არ იყო.

ივა ჯანმა შეაჩერა ნახაზებისა და სიმბოლოების ბრუნვა და თავდახრილი ჩამოვიდა ტრიბუნიდან. მსმენელები გამოცოცხლებულნი უცქერდნენ ერთმანეთს და ჩურჩულებდნენ. პლუტონის ექსპედიციის ახალგაზრდა მეთაურმა შეუმჩნევლად გადახედა გრომ ორმს და ტრიბუნაზე ავიდა.

- უეჭველია რენ ბოსის ცდა მიგვიყვანს ტრიგერულ რეაქციამდე - უმნიშვნელოვანეს აღმოჩენათა აფეთქებამდე. მე ის მეცნიერების ადრე მიუწვდომელ სივრცეებამდე მიმყვან მეგზურად მესახება. ასე მოუვიდა კვანტურ თეორიასაც, რომელიც პირველი მიუახლოვდა რეპაგულიუმის, ანუ ურთიერთგადასვლის გაგებას. ამან შემდეგ ანტინაწილაკებისა და ანტიველების აღმოჩენამდე მიგვიყვანა. შემდეგ მოჰყვა რეპაგულარული აღრიცხვა, რამაც გაიმარჯვა ძველი მათემატიკოსის ჰაიზენბერგის განსაზღვრულობის პრინციპზე. და, დასასრულ რენ ბოსმა გადადგა შემდგომი ნაბიჯი

სივრცის სისტემის - ველის ანალიზში, მივიდა ანტიგრავიტაციისა და ანტისივრცის გაგებამდე, ანუ, რეპაგულიუმის კანონის მიხედვით, ნულ სივრცემდე. ბოლოსდაბოლოს ყელა უღიარებელი თეორია მეცნიერების საძირკვლად იქცა.

პლუტონის მკვლევართა ჯგუფის სახელით წინადადება შემომაქვს საკითხი განხილვისათვის მსოფლიო ინფორმაციას გადავცეთ. ღერძის მიმართ პლანეტის შემობრუნება შეამცირებს პოლარული ოლქების გასათბობად ენერგიის ხარჯვას, კიდევ უფრო მოასწორებს პოლარულ ფრონტებს, აამაღლებს მატერიკების წყლის ბალანსს.

- ნათელია თუ არა საკითხი კენჭისყრისათვის? - იკითხა გრომ ორმმა.

პასუხად მრავალი მწვანე ნათურა აინთო.

- მაშინ დავიწყოთ! - თქვა თავმჯდომარემ და ხელი თავისი სავარძლის პიუპიტრის ქვეშ შეყო.

იქ აღმრიცხველი მანქანის სიგნალების სამი ჭიკარტი იყო მოთავსებული: მარჯვენა

ნიშნავდა - „კი“, შუა „არა“, მარცხენა „აზრის გამოთქმა შესაძლებლად არ მიმაჩნია“. საბჭოს თვითეულმა წევრმა, აგრეთვე სხვების შეუმჩნევლად გაგზავნა სიგნალი. ევდა ნალმა და ჩარამაც დააჭირეს ხელი ჭიკარტებს. ცალკე მანქანა ითვლიდა მსმენელთა აზრს საბჭოს გადაწყვეტილების სიმართლის შესამოწმებლად.

რამდენიმე წამის შემდეგ სადემონსტრაციო ეკრანებზე დიდი ნიშნები აენთო - საკითხი მთელს პლანეტაზე განსახილველად მიიღეს.

ტრიბუნაზე თვით გრომ ორმი გამოვიდა.

- ახლა უნდა განვიხილოთ საბჭოს საგარეო სადგურების ყოფილი გამგის მვენ მასის დანაშაული.

გთხოვთ ნება დაგვრთოთ განხილვის მიზეზი საქმის დამთავრებამდე გავარკვიოთ. შემდეგ გადავწყვეტთ ვარსკვლავეთის ოცდამეცხრამეტე ექსპედიციის საკითხს. ენდობა თუ არა საბჭო ჩემი მოტივების საფუძვლიანობას?

ერთმანეთის მიყოლებით აინთო მწვანე ნათურები. -

შემთხვევის წვრილმანები ყველასათვის ცნობილია?

ისევ მწვანე ალის შუქი ავარდა.

- ეს საქმეს დააჩქარებს. ვთხოვ საბჭოს საგარეო სადგურების ყოფილ გამგეს მვენ მასს გაგვაცნოს თავისი დანაშაულის მოტივები, რამაც ასე საბედისწერო შედეგამდე მიგვიყვანა. ფიზიკოსი რენ ბოსი მიყენებული ჭრილობებისაგან ჯერ კიდევ არ გამოჯანსაღებულა და მოწმედ არ გამოგვიძახებია. პასუხისგება მას არ ეკუთვნის. გრომ ორმა ევდა ნალის სავარძელთან წითელი ნათურა შეამჩნია.

- საბჭოს ყურადღებას ვთხოვ! ევდა ნალს სურს რენ ბოსის შესახებ გამოთქმულ ცნობას რაღაც დაუმატოს.

- გთხოვთ მის ნაცვლად გამოსვლის ნება დამრთოთ.

- რა მოტივებით?

- მე იგი მიყვარს!

- თქვენ გამოხვალთ მვენ მასის შემდეგ.

ევდა ნალმა ჩააქრო წითელი სიგნალი და დაჯდა.

ტრიბუნაზე მვენ მასი გამოჩნდა. დინჯად, თავის დაუზოგავად მოჰყვა აფრიკელი ცდის მოსალოდნელ შედეგებზე, თავის თავბრუდამხვევ ჩვენებებზე, რომლის რეალურობის დამტკიცებაც შეუძლებელია. მოქმედების საიდუმლოებამ და უკანონობამ ცდის წარმოებაში აჩქარება გამოიწვია, რის შედეგადაც ვერ მოამზადეს ძირითადი ჩამწერი ხელსაწყოები, ენდვნენ ჩვეულებრივი მახსოვრობის მანქანებს, რომელთა მიმღებიც პირველსავე წამებში დაიმსხვრა. შეცდომა იყო ცდის თანამგზავრზე დაყენებაც. საჭირო იყო 57 თანამგზავრზე ძველი პლანეტმფრენის მიბმა და მასზე ვექტორის ორიენტირებისათვის საჭირო აპარატების დაყენება. ყველაფერ ამაში დამნაშავეა იგი, მვენ მასი. რენ ბოსი დანადგარებზე მუშაობდა, ხოლო ცდის კოსმოსში გატანა საგარეო სადგურების გამგის კომპეტენციაში შედიოდა.

ჩარამ მუშტები მოკუმშა - მვენ მასის საბრალდებულო არგუმენტები საფუძვლიანი ეჩვენა.

- დაღუპული თანამგზავრის დამკვირვებლებმა იცოდნენ თუ არა მოსალოდნელი კატასტროფის ამბავი? - კითხა გრომ ორმმა.

- დიახ, გაფრთხილებული იყვნენ და სიხარულით დასთანხმდნენ.

- არ მაკვირვებს, რომ დაგთანხმდნენ, - ათასობით ახალგაზრდა ადამიანი მონაწილეობს სახიფათო ცდებში, რომლებიც ჩვენს პლანეტაზე ყოველწლიურად ეწყობა. ისიც ხდება, რომ იღუპებიან... და ახლები მოდიან არანაკლები სიმამაცით, - შუბლშეკვრით წარმოთქვა გრომ ორმმა, - გამოუცნობთან საბრძოლველად. მაგრამ თქვენ აფრთხილებდით რა ახალგაზრდა ადამიანებს, ამით ეჭვი შეგქონდათ ასეთი შედეგის შესაძლებლობაში და მაინც ჩაატარეთ სახიფათო ცდა... - მვენ მასმა მდუმარედ დახარა თავი.

ჩარა თვალმოუცილებლივ მისჩერებოდა მას, მხარზე ევდა ნალის ხელის შეხება იგრძნო და მძიმედ ამოისუნთქა.

- გამოთქვით მიზეზები, რამაც გაიძულათ ამ რისკზე წასულიყავით, - პაუზის შემდეგ თქვა საბჭოს თავმჯდომარემ.

აფრიკელი ისევ ალაპარაკდა, ამჯერად გატაცებითა და მღელვარებით. იგი მოყვა, ახალგაზრდობიდანვე ყვედრებით როგორ ევედრებოდნენ მილიონობით უსახელო საფლავებში მწოლი ადამიანები, დამარცხებულნი დაუმორჩილებელი დროისაგან. მოჰყვა რა აუტანელი იყო, კაცობრიობისა და ბევრი მეზობელი სამყაროების ისტორიაში პირველად, არ ცდილიყო გადაედგა ნაბიჯი სივრცისა და დროზე გამარჯვებისაკენ. სურდა გაეჭრა პირველი საფეხური ამ დიად გზაზე,

რომელზეც მყისვე გაემართებოდნენ ასეულ ათასობით მძლავრი გონების ადამიანები. მას უფლებამოსილად არ მიაჩნდა თავი, რომ გადაედო ცდა შეიძლება ასი წლითაც კი, მხოლოდ იმიტომ, რომ რამდენიმე ადამიანისათვის საფრთხე აეცილებინა, საკუთარი თავისთვის კი - პასუხისმგებლობა.

მვენ მასი ლაპარაკობდა, ჩარას გული კი სიამაყით სცემდა, გაამაყებულიყო თავისი რჩეულით. აფრიკელის დანაშაული უკვე ისე მძიმე აღარ მოჩანდა. მვენ მასი ადგილზე დაბრუნდა და გადაწყვეტილებას იქ დაუწყო ლოდინი.

ევდა ნალმა გადასცა რენ ბოსის მაგნიტაფონზე ჩაწერილი სიტყვა. მისმა სუსტმა, ჩაწყვეტილმა ხმამ გამაძლიერებლით მთელ დარბაზში დაიქუხა. ფიზიკოსი მვენ მასს ამართლებდა. საგარეო სადგურების გამგემ საკითხის მთელი სირთულე არ იცოდა და იძულებული იყო მინდობოდა მას, რენ ბოსს, რომელმაც უეჭველ წარმატებაში დაარწმუნა. მაგრამ ფიზიკოსს დამნაშავედ არც თავისი თავი მიაჩნდა. „ყოველწლიურად, - ამბობდა იგი, - აყენებენ ნაკლებმნიშვნელოვან ცდებს, რომლებიც ზოგჯერ ტრაგიკულად მთავრდება. მეცნიერება კაცობრიობის ბედნიერებისათვის ბრძოლაა და ყოველგვარი სხვა ბრძოლის მსგავსად მსხვერპლს მოითხოვს. მშიშრებს, რომლებიც ძალიან უფრთხილდებიან საკუთარ თავს, არ ხვდებათ ცხოვრების მთელი სილამაზე და სიხარული, ხოლო მეცნიერებს წინ გადადგმული ნაბიჯი...“

რენ ბოსმა ცდისა და თავისი შეცდომების მოკლე მიმოხილვა მომავალი წარმატების რწმენით დაასრულა. სიტყვის ჩანაწერი დამთავრდა.

- რენ ბოსმა არაფერი თქვა ცდის დროს თავის დაკვირვებებზე, თავი ასწია გრომ ორმმა და ევდა ნალს მიუბრუნდა:
- თქვენ მის ნაცვლად გსურდათ ლაპარაკი.
- ვიცოდი ამ შეკითხვას მომცემდით და სიტყვა მიტომ მოვითხოვე, - უპასუხა ევდამ, - რენ ბოსმა სადგურის ჩართვიდან რამდენიმე წამის შემდეგ დაკარგა გრძნობა და მეტი არაფერი დაუნახავს. უგრძნობლობის ზღვარზე მყოფმა შეამჩნია და დაიმახსოვრა ხელსაწყოთა მხოლოდ რამდენიმე ჩვენება, რომლებიც ამოწმებენ ნულოვანი სივრცის წარმოქმნას. აი მისი მახსოვრობითი ჩანაწერი.

ეკრანზე გამოჩნდა რამდენიმე ციფრი, რომლებიც მყისვე გადაიწერა მრავალმა ადამიანმა.

- ნება მომეცით მწუხარებისა და სიხარულის აკადემიის მხრივ დავურთო - ისევ ალაპარაკდა ევდა. - კატასტროფის შემდეგ ხალხის გამონათქვამი ასეთ შედეგს იძლევა...

ეკრანზე გაიჭიმა რვანიშნიან ციფრთა რიგები, რომლებიც განაწილებული იყო გაკიცხვის, გამართლების, მეცნიერულ მიდგომაში დაეჭვების და აჩქარებაში ბრალდების გრაფებში. მაგრამ საერთო ჯამი, უეჭველია, მვენ მასის და რენ ბოსის სასარგებლო იყო. დამსწრეებს სახეები გაუბრწყინდა.

დარბაზის საწინააღმდეგო მხარეზე აენთო წითელი სიგნალი და გრომ ორმმა სიტყვა მისცა ოცდამეჩვიდმეტე ვარსკვლავედის ასტრონომს პურ ხისს. იგი ხმამაღლა და ტემპერამენტით ალაპარაკდა. გრძელი ხელებით მოუქნელ ჟესტებს აკეთებდა და ხვინჩს ბერავდა.

- ჩვენ, ამხანაგ ასტრონომების ჯგუფი, ბრალს ვდებთ მვენ მასს. მისი მოქმედება - საბჭოს გარეშე ცდის ჩატარება, გვაეჭვებს, რომ მვენ მასი ისე უანგაროდ არ მოქმედებდა, როგორც აქ მოსულები ცდილობდნენ დავერწმუნებინეთ!.

ჩარა აღშფოთებისაგან აენთო და ადგილზე მხოლოდ იმიტომ დარჩა, რომ ევდა ნალის ცივ გამოხედვას დაემორჩილა.

პურ ხისი დუმდა.

- თქვენი ბრალდება მძიმეა, მაგრამ დაუსაბუთებელი, - თავმჯდომარის ნებართვით შეეკამათა მვენ მასი, - დააზუსტეთ რას გულისხმობთ ანგარებაში.

- უკვდავი დიდება ცდის სრული წარმატების შემთხვევაში, - აი თქვენი მოქმედების ანგარებიანი სარჩული. ხოლო ლაჩრობა ის არის, რომ გეშინოდათ ცდაზე უარის მიღება, ამიტომაც აჩქარებითა და საიდუმლოდ იმოქმედეთ.

მვენ მასმა მთელი სახით გაიღიმა. ხელები ბავშვურად გაშალა და ჩუმად დაჯდა. პურ ხისის გამომეტყველებაში ბოროტების ზეიმი ჩანდა.

ევდა ნალმა ხელახლა მოითხოვა სიტყვა.

- პურ ხისის აზრი ნაჩქარევი და სერიოზული საკითხის გადასაჭრელად ზედმეტად ღვარძლიანია. მის შეხედულებებს დანაშაულის საიდუმლო მოტივების შესახებ ბნელი საუკუნეების დროში გადავყავართ. რომელიღაც უკვდავი დიდების შესახებ ასე ლაპარაკი მხოლოდ წარსულის ადამიანებს შეეძლოთ. ისინი თავიანთ ნამდვილ ცხოვრებაში სიხარულს ვერ პოულობდნენ, თავი მთელი შემოქმედი კაცობრიობის

ნაწილაკად არ მიაჩნდათ, ეშინოდათ გარდუვალი სიკვდილისა და უკვდავების უმცირეს იმედსაც ებღაუჭებოდნენ. მეცნიერ-ასტრონომ პურ ხისს არ ესმის, რომ კაცობრიობის მახსოვრობაში მხოლოდ ისინი ცოცხლობენ, რომელთა აზრები,

ნებისყოფა და მიღწევები აგრძელებენ მოქმედებას, ხოლო მოქმედების შეწყვეტისთანავე მათ ივიწყებენ. ხშირად აღდგებიან ხოლმე არარაობიდან, როგორც ბევრი მეცნიერი და მხატვარი აღდგა, თუკი მათი შემოქმედება ისევ აუცილებელი გახდება და საზოგადოებაში მოქმედებას განაახლებს... განსაკუთრებით მრავალმილიარდიან თანამედროვე საზოგადოებაში. დიდი ხანია უკვდავებისა და დიდების ასეთ პრიმიტიულ გაგებას აღარ შევხვედრილვარ და მიკვირს, რომ კოსმოსელ მოგზაურთან შევხვდი.

ევდა ნალი მთელი სიმაღლით აიმართა და პურ ხისისაკენ შებრუნდა. მრავალი წითელი შუქით განათებული პურ ხისი მოკუნტული იჯდა სავარძელში.

- თავი დავანებოთ სისულელეებს, - განაგრძო ევდამ, - და ისე შევხედოთ მვენ მასისა და რენ ბოსის დანაშაულს, რომ მთავარ კრიტერიუმად კაცობრიობის ბედნიერება ავიღოთ.

წინათ ადამიანებმა ხშირად არ იცოდნენ თავიანთი საქმიანობის რეალური ფასი და მისი შეპირისპირება მავნე უკანა მხარესთან, რომელიც ყოველ მოქმედებას, ყოველ ღონისძიებას უეჭველად თან სდევს. დიდი ხანია ამას თავი დავაღწიეთ და შეგვიძლია ჩადენილი მოქმედების მხოლოდ ნამდვილ მნიშვნელობაზე ვილაპარაკოთ.

ახლაც, როგორც წინათ, ახალ გზებს ცალკეული ადამიანები პოულობენ, რადგანაც მხოლოდ განსაკუთრებული აგებულების ტვინს ხანგრძლივი მომზადების შემდეგ შეუძლია დაპირისპირებულ ფაქტებში დამალული ახალი მიმართულების აღმოჩენა. მაგრამ ამჟამად ეს-ეს არის ისახება ახალი გზა, ათეულ ათასობით ადამიანები შეუდგნენ მის დამუშავებას და ახალ აღმოჩენათა ნიაღვარი უსასრულობაში მიგორავს, თოვლის გუნდასავით თანდათან იზრდება. რენ ბოსი და მვენ მასი ყველაზე გაუთელავი ბილიკით წავიდნენ. საკმარისი ცოდნით აღჭურვილი არ ვარ, მაგრამ მათი ცდის ნაადრეობა ჩემთვისაც კი ნათელია. ამაშია ორთავეს დანაშაული და პასუხისმგებლობა ვეებერთელა მატერიალური ზარალისა და ოთხი ადამიანის სიცოცხლისათვის. მიწის კანონების მიხედვით, დანაშულის არსებობა ფაქტია, მაგრამ იგი სრულებითაც არ გამომდინარეობს პირადი მიზნებიდან და, ამდენად, ყველაზე მძიმე სასჯელს არ იმსახურებს.

ევდა ნალი ნელა დაბრუნდა თავის ადგილზე. გრომ ორმმა აზრის გამოთქმის მეტი მსურველი ვერ ნახა. საბჭოს წევრებმათავმჯდომარეს დასკვნითი სიტყვის თქმა მოსთხოვეს. გრომ ორმის გამხდარი ფიგურა ტრიბუნაზე წინ გადაიხარა და მახვილი ცქერა დარბაზის შუაგულში მიმართა.

- პირობები საბოლოო განხილვისათვის რთული არ არის. რენ ბოსისათვის პასუხისმგებლობას საერთოდ გამოვრიცხავ. რომელი მეცნიერი არ ისარგებლებს შეთავაზებული შესაძლებლობით, მით უმეტეს, თუ წარმატებაში დარწმუნებულია? მარცხი, რომელმაც დაარეტიანა, გაკვეთილად გამოადგება. მაგრამ უეჭველია ცდის დადებითი მხარეც. იგი ნაწილობრივ ანაზღაურებს მატერიალურ ზარალს, რადგანაც ექსპერიმენტი დაგვეხმარება ბევრი ისეთი საკითხის გადაჭრაში, რომლებზეც ცოდნის ზღვრების აკადემიამ ეს-ეს არის დაიწყო ფიქრი.

ჩვენ საწარმოო ძალათა გამოყენების პრობლემები ფართო მასშტაბით გადავწყვიტეთ, უკუვაგდეთ ძველი ეკონომიკის წვრილმანუტილიტალური გამომყენებლობითი ტენდენციები, მაგრამ ადამიანები ზოგჯერ აქამდეც ვერ იგებენ ხელსაყრელ მომენტებს,

რადგანაც ივიწყებენ განვითარების კანონების გარდუვალობას. მათ ჰგონიათ, რომ ნაგებობა უსასრულოდ მაღლა უნდა მიემართებოდეს. ხელმძღვანელის სიბრძნე იმაში მდგომარეობს, რომ დროულად შეიცნოს თანამედროვე მომენტის უმაღლესი საფეხური, შეჩერდეს და დაელოდოს, ან მიმართულება შეცვალოს. მვენ მასმა თავის მეტად საპასუხისმგებლო პოსტზე ასეთ ხელმძღვანელად არ ივარგა. საბჭოს არჩევანი მცდარი გამოდგა. ამაში საბჭო თავის რჩეულთან ერთად აგებს პასუხს. უპირველესად მე ვარ დამნაშავე, რადგანაც საბჭოს ორი წევრი ინიციატივას მვენ მასის მოწვევის შესახებ მხარი დავუჭირე.

საბჭოს წინადადებას ვაძლევ დანაშაულის პირად მოტივებში მვენ მასი გავამართლოთ, მაგრამ ავუკრძალოთ პლანეტის საპასუხისმგებლო ორგანიზაციებში თანამდებობის დაკავება. მეც უნდა გადამაყენოთ საბჭოს თავჯდომარის პოსტიდან, გამაგზავნოთ ჩემი გაუფრთხილებელი არჩევანის მიზეზით გამოწვეული შედეგების სალიკვიდაციოდ - თანამგზავრის მშენებლობაზე.

გრომ ორმმა დარბაზს თვალი მოავლო, ბევრის სახეზე გულწრფელი გაწბილება ამოიკითხა. მაგრამ რკალის ეპოქის ადამიანები გაურბოდნენ დათათბირებას, პატივს სცემდნენ ერთურთის გადაწყვეტილებას, ენდობოდნენ მათს სიმართლეს.

მირ ომი მოეთათბირა საბჭოს წევრებს და აღმრიცხველმა მანქანამ გამოაქვეყნა ხმის მიცემის შედეგები. გრომ ორმის დასკვნა მიღებულ იქნა ერთ ხმად, მხოლოდ ერთი პირობით, რომ კრების მუშაობა ბოლომდე მიეყვანა და თავისი პოსტი კრების დამთავრების შემდეგ დაეტოვებინა.

მან თავი დახარა, მაგრამ ნებისყოფით ერთიანად დაძაბულ სახეზე არაფერი დასტყობია.

- მინდა აგიხსნათ ჩემი თხოვნა, ვარსკვლავეთის ექსპედიციის გადატანის შესახებ, - მშვიდად განაგრძო თავმჯდომარემ, - საქმის კეთილი დასასრული თვალსაჩინოა და ვფიქრობ, სინდისისა და უფლების კონტროლი დაგვეთანხმება. მაგრამ ახლა შემიძლია ვთხოვო მვენ მასს დაიკავოს საბჭოში თავისი ადგილი. მვენ მასის ცოდნა აუცილებელია უმნიშვნელოვანესი საკითხის სწორი გადაჭრისათვის, მითუმეტეს, რომ საბჭოს წევრს ერგ ნოორს დღევანდელ განხილვაში მონაწილეობის მიღება არ შეუძლია.

მვენ მასი საბჭოს სავარძლებისაკენ წავიდა. მწვანე სინათლე მომხიბვლელად გადაეფრქვია დარბაზს, მიმავალს გზა გაუნათა.

უხმაუროდ გაიწია პლანეტების რუკები, ადგილი დაუთმო უხეშ შავ ცხრილებს, რომლებზეც ვარსკვლავთა სხვადასხვა ფერის შუქები ასწლეულისათვის წინასწარ ნავარაუდევი მარშუტის ლურჯი ხაზით იყო შეერთებული. საბჭოს თავჯდომარე გარდაიქმნა. გაქრა, გულგრილობა, რუხი ლოყები აუწითლდა, ფოლადისფერი თვალები ჩაუმუქდა. გრომ ორმი ტრიბუნაზე აღმოჩნდა.

- ვარსკვლავეთის თვითეული ექსპედიცია - დიდი ხნის ნასათუთები ოცნებაა, მრავალ წელს ფრთხილად შენახული ახალი იმედია, დიადი აღმავლობის კიბის ახალი საფეხურია. მეორე მხრივ ეს არის მილიონთა შრომა, რომელიც შეუძლებელია ჩატარდეს ბიძგის გარეშე, დიდი მეცნიერული თუ ეკონომიური ეფექტის გარეშე. სხვა შემთხვევაში შეჩერდება წინ მოძრაობა და ბუნების შემდგომი დამორჩილება. ამიტომაც ასე გულმოდგინედ განვიხილავთ, ავწონდავწონით, გამოვიანგარიშებთ, სანამ ვარსკვლავეთის სიშორეთში ახალ ხომალდს გავუშვებდეთ.

მოვალეობამ გვაიძულა დიდი რკალისათვის ოცდამეჩვიდმეტე ექსპედიცია მიგვეცა. მით უფრო დაწვრილებით განვიხილეთ ოცდამეთერთმეტე ექსპედიციის გეგმა. მაგრამ უკანასკნელ წლებში მოხდა რამდენიმე მოვლენა, რამაც შეცვალა მდგომარეობა და გვავალდებულებს გადავხედოთ განვლილი საბჭოებისა და საპლანეტო განხილვით განმტკიცებულ ექსპედიციის გეზსა და ამოცანებს. მაღალი წნევისა და აბსოლუტური წყლის ტემპერატურის დროს სხეულის დამუშავების ხერხების აღმოჩენა გააუმჯობესა ვარსკვლავმფრენის კორპუსის სიმკვრივე. ანამეზონური ძრავების სრულყოფა, მათი უფრო გაეკონომიურება, ცალკეული ხომალდის დიდ სიშორეზე გაფრენის საშუალებას გვაძლევს. ოცდამეთერთმეტე ექსპედიციისათვის გათვალისწინებული ვარსკვლავმფრენი „აელა“ და „ტინტაჟელი“ მოძველდნენ, თუ შევადარებთ ახლახან დამთავრებულ „გედს“ - ვერტიკალური ტიპის წონასწორობის ოთხქიმიან მრგვალ კორპუსიან ხომალდს. ჩვენ უფრო შორს გაფრენაც შეგვიძლია.

„ტანტრით“ ოცდამეჩვიდმეტე ექსპედიციიდან დაბრუნებულმა ერგ ნორმა გვაცნობა T კლასის შავი ვარსკვლავის აღმოჩენა, რომლის პლანეტაზეც უცნობი კონსტრუქციის ვარსკვლავმფრენი აღმოჩნდა. ხომალდის შიგნით შეჭრის ცდამ კინაღამ ყველანი

დაღუპა, მაგრამ კორპუსის ნატეხი ლითონის მოპოვება მაინც მოხერხდა. ეს ჩვენთვის უცნობი ნივთიერება არის. უახლოვდება 08 კლასის მეტისმეტად მხურვალე ვარსკვლავის პლანეტებზე აღმოჩენილი ვერცხლის მეთოთხმეტე იზოტოპს. ეს ვარსკვლავი ძველთაგანვე ხომალდის კიჩოს სახელით არის ცნობილი.

ხომალდის ფორმა - უხეში სპირალისებური ზედაპირის მქონე ორმხრივ ამოზნექილი ბადრო - ცოდნის ზღვრების აკადემიამ განიხილა.

იუნი ანტმა გადახედა რკალის ინფორმაციის სამახსოვრო ჩანაწერებს ოთხასი წლის მანძილზე, რკალში ჩვენი ჩართვის მომენტიდან. ჩვენი მეცნიერების მიმართულებისა და ცოდნის დონის პირობებში ვარსკვლავმფრენის ასეთი ტიპის კონსტრუქცია განუხორციელებელია. იგი უცნობია გალაქტიკის იმ ქვეყნებისათვისაც რომლებთანაც ცნობების გაცვლას ვახდენთ.

ასეთი კოლოსალური ზომის ბადროსებული ვარსკვლავმფრენი, უეჭველია, წარმოუდგენლად შორეული პლანეტებიდან მოსული სტუმარია, შეიძლება არაგალაქტიკური ქვეყნებიდანაც კი.

ახსნას არ მოითხოვს ამ ხომალდის შესწავლის აუცილებლობა T ვარსკვლავზე ექსპედიციის გაგზავნის გზით.

გრომ ორმმა ჩართო ჰემისფერული ეკრანი და დარბაზი გაქრა. მაყურებლების წინაშე ნელ-ნელა აცურდა მახსოვრობის მანქანების ჩანაწერები.

- ეს პლანეტა ცრ 519-დან ახლახან მიღებული ცნობაა - შემოკლების მიზნით ვტოვებ დეტალურ კოორდინატებს - მათი ექსპედიცია ვარსკვლავ ახერნარის სისტემაში...

უცნაური ჩანდა ვარსკვლავთა განლაგება. ყველაზე გამოცდილ მოთვალთვალესაც არ შეეძლო მათში დიდი ხნის ნაცნობი მნათობის მონახვა. ბუნდოვნად მანათობელი გაზის ლაქები, ბნელი ღრუბლები და დასასრულ, დიდი გაყინული პლანეტები, რომლებიც ჯადოქრულად ნათელი ვარსკვლავების სხივებს ირეკლავდნენ.

ახერნარი დიამეტრით მზეზე სამნახევარჯელ მეტი იყო, მაგრამ ანათებდა როგორც ორას ოთხმოცი მზე. იგი იყო B5 სპექტრალური კლასის აუწერლად ნათელი ცისფერი ვარსკვლავი. ჩამწერი კოსმოსური ხომალდი გვერდზე გადაიწია. უეჭველია ათეული

წლის გზა განვლო. ეკრანზე მეორე მნათობი გამოჩნდა - S კლასის ნათელი მწვანე ვარსკვლავი. იგი იზრდებოდა, სულ უფრო მეტად ანათებდა, სანამ უცხო ქვეყნის ვარსკვლავმფრენი უახლოვდებოდა. მვენ მასმა გაიფიქრა - მისი შუქის მწვანე ფერი ატმოსფეროში ბევრად უფრო ლამაზი იქნებაო. თითქო მისი აზრის საპასუხოდ ახალი პლანეტის ზედაპირი გამოჩნდა. დაიწყო სურათების წყვეტილი ჩვენება - ეკრანზე პლანეტასთან მიახლოება არ გამოჩენილა. მაყურებელთა თვალწინ უეცრად ამოიზარდა მაღალ მთიანი ქვეყანა. მთები მთლიანად მწვანე ფერის წარმოსახვით ბურუსში იყო გახვეული. ჩანდა ღრმა უფსკრულებისა და ციცაბო ფერდობების შავ მწვანე ჩრდილები, მოცისფერომომწვანოდ და მოლურჯო-მომწვანოდ განათებული კლდეები და ველები, მწვერვალებსა და ზეგნებზე ბივრილისფერი თოვლი, ყვითელ-მწვანე მხურვალე მზისაგან ამომწვარი ნაკვეთები. მალაქიტის მდინარეები ჩარბოდნენ ქედებს მოფარებულ ტბებსა და ზღვებში.

შემდეგ ზღვამდე იყო გაშლილი მრგვალი ბორცვებით დაფარული დაბლობი, რომელიც შორიდან მწვანე რკინის ბრჭყვიალა ფურცელი გეგონებოდათ. ხშირ ფოთლებიანი ლურჯი ხეები შრიალებდნენ. ველებს თვალით უნახავი ბუჩქებისა და

ბალახების აყვავებული მეწამული ზოლები და ლაქები აჩნდა. ამეთვისტოსფერი ციდან მძლავრ ნაკადად იღვრებოდა ოქროსფერი-მწვანე სხივები. დედამიწის ადამიანები გაირინდნენ. მვენ მასი თავის უსაზღვრო მახსოვრობაში იქექებოდა, რათა ზუსტად განესაზღვრა მწვანე მნათობის მდებარეობა.

„ახერნარი - ერიდანის ალფა, სამხრეთის ცაზე მაღლა, ტუკანის გვერდით. მანძილი - ოცდაერთი პარსეკი... ვარსკვლავმფრენის იმავე ეკიპაჟით დაბრუნება შეუძლებელია“, უცებ გაუელვა მწვავე ფიქრებმა.

ეკრანი ჩაქრა, უცნაური ეჩვენათ დახშული დარბაზი, რომელსაც მიწის ადამიანები მოფიქრებისა და თათბირებისათვის იყენებდნენ.

- ეს არის მწვანე ვარსკვლავი, - ისევ გაისმა თავმჯდომარის ხმა, - სპექტრალურ ხაზებში უხვად არის ცირკონიუმი, ზომით ჩვენს მზეზე ცოტა მეტია, - გრომ ორმმა სწრაფად ჩამოთვალა ცირკონიუმის მნათობის კოორდინატები.

- მის სისტემაში, - განაგრძო მან, - არის ორი ტყუპი პლანეტა, რომლებიც ბრუნავენ

ერთმანეთის საწინააღმდეგოდ ვარსკვლავისაგან ისეთ მანძილზე, რომელიც დედამიწის მიერ მზისაგან მიღებულ ენერგიას შეეფარდება.

ატმოსფეროს სისქემ, მისი შემადგენლობა, წყლის რაოდენობა თანხვდება დედამიწის პირობებს. ასეთია პლანეტა ცრ 519-ის ექსპედიციის წინასწარი მონაცემები. ეს ცნობები ლაპარაკობენ აგრეთვე ტყუპ პლანეტებზე უმაღლესი სიცოცხლის არსებობის შესახებ. უმაღლესი მოაზროვნე სიცოცხლე ისე გარდაქმნის ბუნებას, რომ სიმაღლეზე მფრინავი ვარსკვლავმფრენიდან ზედაპირული დათვალიერების დროსაც კი შესამჩნევი ხდება. უნდა ჩავთვალოთ, რომ მას ან არ შეეძლო იქ განვითარება, ან ჯერ არ განვითარებულა. ეს ბედის არაჩვეულებრივი იშვიათი წყალობაა. იქ რომ უმაღლესი სიცოცხლე აღმოჩენილიყო, მწვანე ვარსკვლავის სამყარო ჩვენთვის დაკეტილი იქნებოდა. ჯერ კიდევ რკალის ეპოქის სამოცდამეთორმეტე წელში, სამ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ ჩვენმა პლანეტამ განიხილა საკითხი უმაღლესი მოაზროვნე სიცოცხლის მქონე პლანეტის დასახლების შესახებ, თუმცა ის სიცოცხლე ჩვენი ცივილიზაციის დონემდე არ იყო ამოსული. მაშინ გადაწყვიტეს, რომ მსგავს პლანეტებზე ყოველგვარ შეჭრას ერთმანეთის ღრმა გაუგებრობის მიზეზით აუცილებელ ძალდატანებამდე მივყევართ.

ახლა ვიცით, რა მრავალფეროვანია ჩვენი გალაქტიკის სამყაროები. არის ვარსკვლავები ცისფერი, მწვანე, ყვითელი, თეთრი, წითელი, ნარინჯისფერი; ყველანი წყალბად-ჰელიუმიანია, მაგრამ თავიანთი ქერქისა და ბირთვის სხვადასხვა გვარი შემადგენლობის მიხედვით იწოდებიან - ნახშირბადიანებად, ციანიანებად, ტიტანიანებად, ცირკონიუმიანებად, აქვთ გამოსხივების სხვადასხვა ხასიათი, მაღალი და დაბალი ტემპერატურა, ატმოსფეროსა და ბირთვის სხვადასხვა შემადგენლობა. მათ პლანეტებს აქვს სხვადასხვა მოცულობა და სიმკვრივე, სხვადასხვა გვარი შემადგენლობისა და სისქის ატმოსფერო, ჰიდროსფერო, ბრუნვის პირობები, მნათობიდან განსხვავებული მანძილით არიან დაცილებულნი. მაგრამ სხვა რამეც ვიცით: ჩვენი პლანეტის ზედაპირის სამოცდაათი პროცენტი წყლით არის დაფარული, ახლოა მზესთან და მისგან ენერგიის მძლავრ ნაკადს იღებს. ამიტომაც წარმოადგენს სიცოცხლის მძლავრ საფუძველს, ბიომასით მდიდარს, უსასრულო გარდაქმნებით გამრავალფეროვნებულს რაც არც ისე ხშირად გვხვდება სამყაროში.

ამიტომაც სიცოცხლე ჩვენთან უფრო ჩქარა განვითარდა, ვიდრე სხვა სამყაროებში, სადაც იგი იჩაგრებოდა წყლისა და მზის ენერგიის ნაკლებობით ან ხმელეთის მცირე

ფართობით. უფრო ჩქარა განვითარდა, ვიდრე წყლით უსაშველოდ მდიდარ პლანეტებზე. რკალის გადმოცემებში გვინახავს სიცოცხლის ევოლუცია წყლით დაფარულ პლანეტებზე, სიცოცხლისა, რომელიც თავგანწირვით მოძვრებოდა მაღლა, წყლიდან ამოჩრილი მცენარეების ღეროებზე.

ჩვენს წყლით მდიდარ პლანეტაზეც მატერიკების მოედანი შედარებით ცოტაა, რათა შეგროვილ იქნას მზის ენერგია საკვები მცენარეულის, ხეების ან უბრალოდ თერმოელექტრული დანადგარების მეშვეობით.

მიწის ისტორიის უძველეს პერიოდში სიცოცხლე პალეოზოური ერის დაბალი მატერიკების ჭაობებში უფრო ნელა ვითარდებოდა, ვიდრე კაინოზოური ერის მაღალ მატერიკებზე, სადაც ბრძოლა მარტო საკვებისათვის კი არა, წყლისათვისაც მიმდინარეობდა.

ვიცით, რომ სიცოცხლის სიუხვისა და სიმძლავრისათვის აუცილებელია განსაზღვრული, ყველაზე ხელსაყრელი შეფარდება წყლისა და ხმელეთისა. ჩვენი პლანეტა ახლოა ამ განსაკუთრებით ხელსაყრელ კოეფიციენტთან. ასეთი პლანეტა

კოსმოსში არც ისე ბევრია და თვითეული კაცობრიობისათვის ფასდაუდებელ საგანძურს წარმოადგენს, როგორც დასახლებისა და შემდგომი სრულყოფის საფუძველი.

დიდი ხანია კაცობრიობას აღარ ეშინია სტიქიური გადასახლებისა, ოდესღაც რომ აშინებდათ შორეულ წინაპრებს. მაგრამ ჩვენ განუხრელად მივისწრაფვით კოსმოსისაკენ, - სულ უფრო ვაფართოებთ ხალხთა დასახლების ოლქებს. ამაშიც გამოიხატება განვითარების გარდაუვალი კანონი - მოძრაობა წინ. ფიზიკური მონაცემებით დედამიწისაგან ძლიერ განსხვავებული პლანეტების ათვისების სიძნელე იმდენად დიდი იყო, რომ უკვე ადრიდანვე შეიქმნა პროექტი, რომლის მიხედვითაც ადამიანების კოსმოსში დასახლება მრავალჯერ გადიდებული ხელოვნური თანამგზავრების მსგავს სპეციალურ ნაგებობაზე უნდა მომხდარიყო. იცით, რომ ერთი ასეთი კუნძული რკალის ეპოქის წინადღით იქნა აგებული, - მე ვლაპარაკობ დედამიწიდან თვრამეტი მილიონი კილომეტრის მანძილზე მოთავსებული „ნადირის“ შესახებ. იქ ახლაც ცხოვრობს ადამიანების პატარა კოლონია... ამ ვიწრო, ძალზე შემოსაზღვრული ფართობების ადამიანთა საცხოვრებლად უვარგისობა იმდენად

ნათელი იყო რომ გვაკვირვებს ჩვენი წინაპრების მოქმედება, მიუხედავად მთელი მათი სამშენებლო ჩანაფიქრის გაბედულობისა.

მწვანე ცირკონიული ვარსკვლავის ტყუპი პლანეტები ძალიან ჰგავს დედამიწას. ისინი უვარგისნი ან ძნელად ასათვისებელი არიან მათი აღმომჩენი ცრ 519 პლანეტის ნაზი მცხოვრებლებისათვის. ამიტომაც იჩქარეს ჩვენთვის გადმოეცათ ეს ცნობა, როგორც ჩვენ ვაცნობებთ ხოლმე ჩვენს აღმოჩენებს.

მწვანე ვარსკვლავი ჩვენგან ისეთ მანძილზეა, როგორიც არც ერთ ჩვენს ვარსკვლავმფრენს არ გაუფრენია. მის პლანეტებზე მიღწევით კოსმოსში შორს შევიჭრებით. თანაც შევიჭრებით არა ხელოვნური ნაგებობის პაწაწკინტელა სამყაროში არამედ დიდი პლანეტების მკვიდრ ბაზაზე, რომელიც ვარგისია კეთილმოწყობილი ცხოვრების, მძლავრი ტექნიკის ორგანიზაციისათვის. აი, თქვენი ყურადღება დაწვრილებით რატომ შევაჩერე მწვანე ვარსკვლავების პლანეტებზე - მე ისინი გამოკვლევისათვის არაჩვეულებრივად მნიშვნელოვნად მეჩვენება. სამოცდაათი სინათლის წელიწადის მანძილი ახლა „გედის“ ტიპის ვარსკვლავმფრენისათვის

ხელმისაწვდომია. იქნებ საჭირო იყოს ვარსკვლავეთის ოცდამეთერთმეტე ექსპედიცია ახერნარისაკენ მივმართოთ! გრომ ორმი დაჩუმდა და თავის ადგილას გადავიდა, ტრიბუნის პულტზე პატარა სახელური შემოაბრუნა.

საბჭოს თავმჯდომარის ადგილას მაყურებელთა წინაშე პატარა ეკრანი ამოიმართა, რომელზეც მკერდამდე გამოჩნდა ბევრისათვის ნაცნობი დარ ვეტერის მასიური ფიგურა. საგარეო სადგურების ყოფილმა გამგემ გაიღიმა. მწვანე ნათურებით უხმაუროდ მიესალმნენ.

- დარ ვეტერი ახლა არიზონის რადიოაქტიურ უდაბნოშია, საიდანაც თანამგზავრის მშენებლობისათვის ორმოცდაათი ათასი კილომეტრის მანძილზე რაკეტების პარტია იგზავნება, - განმარტა გრომ ორმმა, - მან, როგორც საბჭოს წევრმა თქვენს წინაშე აზრის გამოთქმა ისურვა.

- წინადადება შემომაქვს განვახორციელოთ ყველაზე უბრალო გადაწყვეტილება, - გაისმა გადამტან გადამცემში ლითონივით წკრიალა მხიარული ხმა. - გავგზავნოთ ერთი კი არა, სამი ექსპედიცია!

საბჭოს წევრები და მაყურებლები მოულოდნელობისაგან გაირინდნენ. დარ ვეტერი ორატორი არ იყო და ეფექტური პაუზა არ გამოუყენებია.

- ოცდამეთვრამეტე ექსპედიციის ორივე ვარსკვლავმფრენის სამმაგ 1 Э 7723 ვარსკვლავზე გაგზავნის პირველ დაწყებით გეგმას...

მვენ მასმა მყისვე წარმოიდგინა ეს სამმაგი ვარსკვლავი. იგი ძველებურად აღინიშნებოდა, როგორც ომიკრონ 2 ერიდან. ეს სისტემა მზისაგან 5 პარსეკზე ნაკლები მანძილით იყო დაცილებული, ყვითელი, ცისფერი და წითელი ვარსკვლავებისაგან შედგებოდა, ორი უსიცოცხლო პლანეტა გააჩნდა. მაგრამ ისინი როდი იყო გამოსაკვლევად საინტერესო. ამ სისტემის ცისფერი ვარსკვლავი თეთრ ჯუჯას წარმოადგენდა. მოცულობით მოზრდილ პლანეტას უტოლდებოდა, ხოლო მასით ნახევარ მზეს უდრიდა. ამ ვარსკვლავის ნივთიერების საშუალო ხვედრითი წონა სიმჭიდროვით ორიათას ხუთასჯერ

აღემატებოდა მიწის ყველაზე მძიმე ლითონს - ირიდიუმს. ამ ვარსკვლავის მიზიდულობა, ელექტრო-მაგნიტური ველები, მძიმე ქიმიური ელემენტების შექმნის პროცესები კოლოსალურ ინტერესს

შეიცავდა. მნიშვნელოვანი იყო მათი უშუალო შესწავლა რაც შეიძლება ახლო მანძილიდან. მით უმეტეს, რომ ძველად სირიუსზე გაგზავნილი ექსპედიცია დაიღუპა და მოასწრო გადმოეცა ცნობა საფრთხის არსებობის შესახებ. მზის უახლოეს მეზობელს - ორმაგ ცისფერ ვარსკვლავ სირიუსს, აგრეთვე ჰქონდა თეთრი ჯუჯა. იგი ომიკრონ 2 ერიდანა B-ზე დაბალი ტემპერატურისა და დიდი ზომისა იყო, ხოლო სიმჭიდროვით წყალს ოცდახუთი ათასჯერ აღემატებოდა. ამ მახლობელ ვარსკვლავთან მიღწევა შეუძლებელი აღმოჩნდა მეტეორიტების უზარმაზარი ნაკადების გადაჯვარედინების მიზეზით. იგი გარს ერტყა ვარსკვლავს და ისე ძლიერ იყო გაფანტული, რომ შეუძლებელი აღმოჩნდა ამ დამღუპველი ღრუბლის გავრცელების ზუსტი განსაზღვრა. სწორედ მაშინ, სამას თხუთმეტი წლის წინათ მოიფიქრეს ომიკრონ 2 ერიდანაზე ექსპედიციის გაგზავნა.

- ...ახლა, მვენ მასისა და რენ ბოსის ცდის შემდეგ, - ამბობდა ამ დროს დარ ვეტერი, - იმდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რომ მისი უარყოფა არ შეიძლება. მაგრამ ოცდამეჩვიდმეტე ექსპედიციის მიერ ნახული უცხო, შორეული ვარსკვლავმფრენის შესწავლაც შეიძლება ისეთი ცოდნა მოგვცეს, რომელიც შორს გასცდება პირველ გამოკვლევათა აღმოჩენებს.

შეიძლება გვერდი ავუაროთ უსაფრთხოების ძველ წესებს და გავბედოთ ვარსკვლავმფრენების დაცალცალება. „აელდა“ ომიკრონ ერიდანაზე გავგზავნოთ, ხოლო „ტინტაჟელი“ T ვარსკვლავზე. ორივე პირველი კლასის ვარსკვალფმრენია, როგორც „ტანტრა“ , რომელიც მარტოკა გაუმკლავდა ჯოჯოხეთურ დაბრკოლებებს.

- რომანტიკაა! - ხმამაღლა და ზიზღით თქვა პურ ხისმა და იქვე მოიკრუნჩხა, დარბაზს უკმაყოფილება შენიშნა.

- დიახ, ნამდვილი რომანტიკაა! - მხიარულად წამოიძახა დარ ვეტერმა. - რომანტიკა - ბუნების ფუფუნებაა, მაგრამ კარგად მოწყობილი საზოგადოებისათვის აუცილებელია. სულიერი და ხორციელი მალების სიჭარბისაგან ადამიანში ხშირად იბადება ახლის, ხშირი ცვალებადობის წყურვილი. ჩნდება ცხოვრების მოვლენებისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება - ცდილობენ დაინახონ მეტი, ვიდრე მდორე

ყოველდღიურობა იძლევა, ცხოვრებისაგან გამოცდისა და შთაბეჭდილებების უმაღლეს ნორმას ელოდებიან.

- დარბაზში ევდა ნალს ვხედავ, განაგრძო დარ ვეტერმა. - იგი დაგიმტკიცებთ, რომ რომანტიკა მარტო ფსიქოლოგია კი არ არის, არამედ ფიზიოლოგიაც! განვაგრძობ, ახალი ვარსკვლავმფრენი „გედი“ გაიგზავნოს ახერ ნარზე, მწვანე ვარსკვლავისაკენ, რადგანაც ჩვენი პლანეტა შედეგს მხოლოდ ას სამოცდაათი წლის შემდეგ გაიგებს. გრომ ორმი სრულიად მართალია, როცა ამბობს, რომ მსგავსი პლანეტების გამოკვლევა და კოსმოსში მოძრაობისათვის ბაზების შექმნა ჩვენი მოვალეობაა შთამომავლობის წინაშე.

- ანამეზონის მარაგი მხოლოდ ორი ხომალდისთვისაა საკმარისი, - შეეკამათა მდივანი მირ ომი. - საჭირო იქნება ათი წელი, რათა ეკონომიკის ხელშეუშლელად მოვამზადოთ ხომალდი კიდევ ერთი გაფრენისათვის. მოგაგონებთ, რომ ამჟამად ბევრი საწარმოო ძალა მიაქვს თანამგზავრის აღდგენას.

- მე ამას ვითვალისწინებდი, - უპასუხა დარ ვეტერმა. - წინადადებას ვიძლევი, თუ ეკონომიკის საბჭო შესაძლებლად მიიჩნევს, მიმართოს პლანეტის მოსახლეობას. დაე თვითეულმა ერთი წლით გადადოს გამამხიარულებელი გასეირნება და მოგზაურობა,

დაე, გამოირთოს ოკეანეთა სიღრმეში აკვარიუმის ტელევიზორები, შევწყვიტოთ ვენერადან და მარსიდან ძვირფასი ქვებისა და მცენარეულის ჩამოტანა, შევაჩეროთ ტანსაცმლისა და სამკაულის ქარხნები. ეკონომიკის საბჭო ჩემზე უკეთ განსჯის რისი შეჩერება იქნება საჭირო, რათა დაზოგილი ენერგია ანამეზონის საწარმოებლად გადავისროლოთ. რომელი ჩვენთაგანი იტყვის უარს მხოლოდ ერთი წლით შეამციროს თავისი მოთხოვნილება, რათა ჩვენს ბავშვებს მიართვას ძვირფასი საჩუქარი - ჩვენი მიწიერი თვალებისათვის სასიამოვნო მზის სხივებში გამოხვეული ორი ახალი პლანეტა!

დარ ვეტერმა ხელები გაშალა, თითქო მთელ დედამიწას მოუბრუნდაო, რადგანაც იცოდა ტელევიზორის ეკრანებზე მილიარდობით თვალი მისჩერებოდა, ხალხს თავი დაუკრა და გაქრა, მხოლოდ სიცარიელის მოლურჯო ციმციმი დატოვა. იქ, არიზონის უდაბნოში ყრუ გრუხუნი პერიოდულად არღვევდა ნიადაგს, მიუთითებდა რომ დატვირთული მორიგე რაკეტა გრიალით გასცდა ლურჯი ცის გუმბათს. აქ საბჭოს დარბაზში ყველანი წამოდგნენ, მარცხენა ხელები აღმართეს, რაც ნათქვამისადმი აშკარა და სრულ თანხმობას გამოხატავდა. საბჭოს თავმჯდომარე ევდა ნალს მოუბრუნდა.

- მწუხარებისა და სიხარულის აკადემიიდან მოსულო სტუმარო, ხომ არ გამოთქვამდით თქვენს აზრს ადამიანური ბედნიერების ასპექტში? ევდა კიდევ ერთხელ ავიდა ტრიბუნაზე.

- ადამიანური ფსიქიკა ისეა მოწყობილი, რომ ხანგრძლივ აღგზნებასა და აღგზნების მრავალგზის განმეორებას ვერ ეგუება. - ეს ნერვულ სისტემას ჩქარი გაცვეთისაგან იცავს. ჩვენმა შორეულმა წინაპრებმა კინაღამ დაღუპეს კაცობრიობა, რადგანაც არ ითვალისწინებდნენ, რომ ადამიანი თავისი ფიზიოლოგიური საფუძველით ხშირ დასვენებას მოითხოვს. მაგრამ ჩვენ, ამით შეშინებულნი, წინათ ძალზე ვუფრთხილდებოდით ფსიქიკას, არ გვესმოდა, რომ შთაბეჭდილებებისაგან გამორთვისა და დასვენების ძირითადი ფორმა შრომა არის. აუცილებელია არა მარტო საქმიანობის ხასიათის შეცვლა არამედ შრომისა და დასვენების რეგულარული ცვალებადობას. რაც უფრო მძიმეა შრომა, მით უფრო ხანგრძლივია დასვენება. მაშინაც, რაც უფრო ძნელია, მით უფრო სასიხარულოა, მით უფრო მთლიანად მთელი არსებითაა გატაცებული ადამიანი.

შეიძლება ვილაპარაკოთ ბედნიერებაზე, როგორც შრომისა და დასვენების, სიძნელეთა და სიამოვნებათა გამუდმებულ ცვალებადობაზე. ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივებამ გააფართოვა მისი სამყაროს საზღვრები და იგი კოსმოსში მიისწრაფის. ბრძოლა ახალისათვის - აი ნამდვილი ბედნიერება! აქედან გამომდინარე - ახერ ნარზე ვარსკვლავმფრენის გაგზავნა კაცობრიობას მიანიჭებს მეტ უშუალო სიხარულს ვიდრე ორი დანარჩენი ექსპედიცია, რადგანაც მწვანე მზის პლანეტები ჩვენს გრძნობებს ახალ სამყაროს აჩუქებენ, ხოლო კოსმოსი ფიზიკური მოვლენების გამოკვლევას, მთელი მათი მნიშვნელობის მიუხედავად, ჯერჯერობით მხოლოდ შემეცნების ღირებულება აქვს. მწუხარებისა და სიხარულის აკადემია, იბრძვის რა ადამიანთა ბედნიერების ჯამის გაზრდისათვის, უეჭველია, ახერნარზე ექსპედიციას განსაკუთრებით ხელსაყრელად ჩათვლის. მაგრამ თუ შეიძლება სამთავეს განხორციელება, უკეთესი რაღა იქნება!

ევდა ნალმა აღელვებული დარბაზისაგან საჩუქრად მწვანე შუქების მთელი წარღვნა დაიმსახურა. გრომ ორმი წამოდგა.

- საკითხი და საბჭოს გადაწყვეტილება უკვე ნათელია. ჩემი გამოსვლა, როგორც ჩანს უკანასკნელია. ვთხოვოთ კაცობრიობას შეამციროს თავისი მოთხოვნილებანი რკალის ერას ოთხას მეცხრე წელს, - დარ ვეტერმა არაფერი თქვა ისტორიკოსების მიერ მსოფლიოს გათიშვის ერას დროინდელი ოქროს ცხენის პოვნის შესახებ. ეს ასეული ტონობით სუფთა ოქრო შეიძლება

ანამეზონის საწარმოებლად დავხარჯოთ და საფრენი მარაგის სწრაფ დაგროვებას მივაღწიოთ. დედამიწის მთელი ისტორიის მანძილზე პირველად გავგზავნით ექსპედიციებს ერთდროულად ვარსკვლავთა სამ სისტემაში და პირველად შევეცდებით ჩვენგან სამოცდაათი სინათლის წელიწადის მანძილზე დაცილებულ სამყაროებს მივაღწიოთ.

თავმჯდომარემ სხდომა დახურა, საბჭოს წევრებს სთხოვა დარჩენილიყვნენ. საჭირო იყო ეკონომიკის საბჭოსათვის, აგრეთვე სტოხასტიკისა და მომავლის წინასწარმეტყველების აკადემიებისათვის სასწრაფოდ შეედგინათ გამოკითხვები იმის გამოსარკვევად, თუ რა შემთხვევები იყო მოსალოდნელი ახერნარისაკენ მიმავალ შორეულ გზაზე.

დაღლილი ჩარა ევდას კვალდაკვალ მიჩანჩალებდა, უკვირდა, რომ ცნობილ ფსიქიატრს ფერმკრთალი ლოყები ისევე უღვიოდა, როგორც ყოველთვის. ქალიშვილს უნდოდა მალე დარჩენილიყო მარტო, რათა მვენ მასის გამართლება ნელ-ნელა შეეგრძნო. დღეს შესანიშნავი დღეა! მართალია მვენ მასი გმირივით არ დაუდაფნავთ, როგორც ჩარა გულში ფიქრობდა. იგი ხანგრძლივად, თუ სამუდამოდ არა, გადააყენეს დიდი საპასუხისმგებლო სამუშაოდან... მაგრამ საზოგადოებაში ხომ დატოვეს! განა მათ წინაშე არარის გაშლილი გამოკვლევების, შრომის, სიყვარულის ფართო და ძნელი გზა!

ევდა ნალმა აიძულა ქალიშვილი უახლოეს კვების სახლში წასულიყვნენ. ჩარა ისე დიდხანს მისჩერებოდა საჭმელების სიას, რომ ევდამ გადაწყვიტა დამოუკიდებლად ემოქმედა. ავტომატის მიმღებ რუპორში დაასახელა არჩეულ ულუფათა სახელწოდებანი და მაგიდის ინდექსი. როგორც კი ოვალურ ორადგილიან მაგიდაზე დასხდნენ, მაგიდის ცენტრში გაიხსნა საძვრომი და იქიდან გამოჩნდა პატარა კონტეინერი დაკვეთილი ულუფებით. ევდა ნალმა ჩარას გამამხნევებელ სასმელ „ლიო“ -თი სავსე სირჩა მიაწოდა, თვითონ კი სიამოვნებით შესვა ერთი ჭიქა გამაგრილებელი წყალი და ნაღებ გადასხმული დაბრაწული წაბლითა და ბანანით

დაკმაყოფილდა. ჩარამ შეჭამა რაპტების გახეხილი ხორცისაგან დამზადებული რაღაც ულუფა და წავიდა. რაპტები - ეს არის ფრინველები რომლებმაც თანამედროვე პირობებში შეცვალეს შინაური ქათმები და გარეული ფრინველები. ევდა ნალი ჩარას მისჩერებოდა. ქალიშვილმა ისე მსუბუქად აირბინა კიბე შავი ლითონის ქანდაკებებსა და წარმტაცად გამოკვეთილ ნათურების დასადგმელებს შორის, რომ რკალის ეპოქისთვისაც კი გასაოცარი იყო.

თავი XIII. ცის ანგელოსები

სუნთქვაშეკრული მისჩერებოდა ერგ ნორი დახელოვნებული ლაბორანტების მანიპულაციებს. ხელსაწყოთა სიმრავლე ვარსკვლავმფრენის მართვის პოსტს აგონებდა, მაგრამ ფართო, ლურჯ ფანჯრებიან დიდ დარბაზს რომ უყურებდა, კოსმოსური ხომალდის შესახებ ყოველგვარი აზრი უწყდებოდა.

ოთახის ცენტრში ლითონის მაგიდაზე რუფოლიუციტის სქელი ფინებისაგან დამზადებული კამერა იდგა. რუფოლიუციტი ისეთი მასალაა, რომელიც გამჭირვალეა ინფრაწითელი სხივებისთვისაც და ხილვადი სხივებისთვისაც. მილაკებისა და გამტარების ქსელები ჰქონდა შემობანდული ვარსკვლავმფრენის ემალის წყლის კასრს, რომელშიც რკინის ვარსკვლავის პლანეტიდან წამოყვანილი ორი შავი მედუზა იყო დამწყვდეული.

ეონ ტალი ისე გასწორდა, თითქო ტანვარჯიშზე იყო. უმოქმედო ხელი ძველებურად სახვევზე ეკიდა. იგი შორიდან შესცქეროდა თვითმწერის ნელნელა მბრუნავ დისკოს. ბიოლოგს შუბლი ფართო შავი წარბების ზემოთ ოფლის წვეთებით დაეცვარა. ერგ ნოორმა გამშრალი ბაგეები მოილოკა.

- აღარაფერია. ხუთი წლის მგზავრობის შემდეგ იქ მხოლოდ მტვერიღა დარჩენილა, - ხრინწიანად შენიშნა ასტრო მფრინავმა.

- თუ აგრეა, დიდი უბედურებაა... ნიზასთვისაც და ჩემთვისაც, - გამოეხმაურა ბიოლოგი, - საჭირო გახდება ბრმა ძიება, შეიძლება მრავალწლიანიც, რომ დაზიანების ხასიათი გაირკვეს.

- თქვენ ისევ ფიქრობთ, რომ მსხვერპლის მომკვლელი ორგანოები მედუზებსაც და ჯვარსაც ერთნაირი აქვთ?

- მარტო მე არა. გრიმ შარიცა და ყველა დანარჩენებიც ამ რწმენამდე მივიდნენ მაგრამ თავდაპირველად ყველაზე მოულოდნელი აზრებიც კი გაგვიჩნდა. მეგონა, შავ ჯვარს საერთოდ არავითარი ურთიერთობა არ ჰქონდა პლანეტასთან.

- მეც, თუ გახსოვთ, ასევე გეუბნებოდით. მომეჩვენა, რომ ეს არსება ბადროსებური

ვარსკვლავმფრენიდან იყო და მას დარაჯობდა. მაგრამ თუ სერიოზულად ვიფიქრებთ, რა აზრი აქვს აუღებელი ციხე-სიმაგრის გარედან დარაჯობას? სპირალისებური ბადროს გახსნის ცდამ ცხადყო ასეთი ფიქრების უაზრობა.

- მე ჯვარი საერთოდ არ მეგონა ცოცხალი არსება.

- ვარსკვლავმფრენის დასაცავად დაყენებული ავტომატი - რობოტი გეგონათ?..

- დიახაც! მაგრამ ახლა, ცხადია, ეს აზრი უარვყავი. შავი ჯვარი - ცოცხალი არსებაა, სიბნელის სამყაროს მიერ შობილი. უეჭველია ეს ქმნილებები დაბლა სახლობენ, დაბლობზე. იგი „კარების“ მხრიდან გამოჩნდა - კლდეებში გასასვლელის მხრიდან. მედუზები უფრო მეტად მსუბუქნი და მოძრავნი არიან, - ისინი ზეგანის მოსახლენი არიან, სადაც ჩვენ დავფრინდით. შავი ჯვრისა და სპირალისებური ბადროს კავშირი შემთხვევითია. უბრალოდ ჩვენი დამცველი მოწყობილობანი ვერ მისწვდნენ დაბლობის შორეულ კუთხეს, რომელსაც ბადრო ეფარებოდა და მუდმივ წყვდიადში იყო ჩაძირული.

- თქვენ ჯვრისა და მედუზების მომაკვდინებელ ორგანოებს ერთნაირადა თვლით?

- დიახ! ამ ცხოველებს, რომლებიც ერთნაირ პირობებში ცხოვრობენ ერთნაირი ორგანოები უნდა გასჩენოდათ. რკინის ვარსკვლავი - თბილი ელექტრული მნათობია. პლანეტის მთელი სქელი ატმოსფერო ძლიერაა ელექტროობით გაჟღენთილი. გრიმ შარი ფიქრობს, რომ ცხოველები ენერგიას იღებენ ატმოსფეროდან, სადაც ხდება დაგროვება ჩვენი ბურთისებრი ელვების მსგავსად. მოიგონეთ ყავისფერი ნაპერწკლების მოძრაობა მედუზების საცეცებზე. საცეცები ჯვარსაც ჰქონდა, მაგრამ არ ჰქონია.

- უბრალოდ ვერვინ მოასწრო შემჩნევა, მაგრამ დაზიანების ხასიათი - ნერვული მილების დაზიანება შესაბამისი უმაღლესი ცენტრის დავლის თანხლებით - მეცა და ნიზასაც ერთნაირი გვაქვს, ამ საკითხზე არავინ დაობს! ეს მთავარი საბუთია და მთავარი იმედი!

- იმედი? - გამოცოცხლდა ერგ ნორი.

- რა თქმა უნდა. შეხედეთ, - ბიოლოგმა ხელსაწყოს ჩანაწერის სწორ ხაზზე მიუთითა, -

მედუზებიან კასრში ჩაშვებული მგრძნობიარე ელექტროდები არაფერს არ უჩვენებენ. ურჩხულები იქ თავიანთი ენერგიით სრულად დამუხტულნი შეძვრნენ. კასრის დაგმანვის შემდეგ ის ენერგია არსად არ შეიძლებოდა გამქრალიყო, კოსმოსური საკვები ჭურჭლის იზოლაციური დამცველი გამტარი არ იქნებოდა - ეს ჩვენი მსუბუქი ბიოლოგიური სკაფანდრები როდია. მოიგონეთ, რომ ჯვარმა, რომელმაც ნიზა დაღუპა, თქვენ არც კი დაგაზიანათ. მისი ულტრაბგერა შეიჭრა უმაღლესი დაცვის სკაფანდრში, გატეხა ნებისყოფა. მაგრამ დამზიანებელი მუხტები უძლური აღმოჩნდა. მათ შეძლეს მხოლოდ ნიზას სკაფანდრის გაკვეთა, როგორც მედუზებმა ჩემი სკაფანდრისა.

- აქედან გამომდინარე, ბურთისებრი ელვები ან რაიმე მისი მსგავსი მუხტები, რომლებიც კასრში შევიდა, იქვე უნდა დარჩენილიყო. მაგრამ ხელსაწყოები არაფერს გვიჩვენებენ...

- მესმის დაგორგლდნენ, აბრეშუმის ჭიის პარკს დაემგვანენ.

- დიახ. ასეთი ხერხი გავრცელებულია იმ ცოცხალ ორგანიზმებში, რომლებიც იძულებულნი არიან გადაიტანონ არსებობისათვის არახელსაყრელი პერიოდები. შავი

პლანეტის ხანგრძლივი ყინულოვანი ღამეები, მისი საშინელი ქარიშხლები „აისისა“ და „დაისის“ დროს, - აი ასეთი პერიოდები. მაგრამ რადგან ისინი შედარებით სწრაფად ენაცვლებიან ერთმანეთს, მჯერა, რომ მედუზებს სწრაფად შეუძლიათ ინცისტირება და სწრაფადვე გამოვლენ ამ მდგომარეობიდან. თუ მსჯელობა სწორია, მაშინ შევძლებთ შავი მედუზები საკმაოდ უბრალოდ დავაბრუნოთ თავიანთ მომაკვდინებელ სიცოცხლისუნარიანობისაკენ.

- შავი პლანეტის ტემპერატურის, ატმოსფეროს, განათებისა და სხვა პირობების დაბრუნებით?

- დიახ, ყველაფერი გამოანგარიშებული და მომზადებულია. მალე გრიმ შარიც მოვა. ჩვენ სამი ატმოსფეროს წნევის ქვეშ ნეონჟანგბად-აზოტის ნარევით მოვახდენთ კასრის გამოქარგვას. მაგრამ ჯერ უნდა დავრწმუნდეთ...

ეონ ტალი ორ ასისტენტს მოეთათბირა, რაღაც დანადგარმა ყავისფერ კასრთან ნელ-ნელა დაიწყო მიცოცვა. გადაიხსნა წინა რუფოლიციტური ფინი, გაათავისუფლა სახიფათო ხაფანგთან მისასვლელი გზა.

კასრის შიდა ელექტროდები ცილინდრულ გამნათებელნი მიკროსარკეებით შეცვალეს. ერთ-ერთი ასისტენტი ტელემართვის პულტთან დადგა. ეკრანზე მარცვლოვანი ნადებით დაფარული ამობურცული ზედაპირი გამოჩნდა, რომელიც ბინდ-ბუნდად ირეკლავდა გამნათებლის სხივებს. მდორედ შემობრუნდა სარკე. ეონ ტალი ალაპარაკდა:

- რენტგენით განათება ძნელია, იზოლაცია ძალიან ძლიერია. საჭიროა უფრო რთული საშუალება გამოვიყენოთ. მბრუნავმა სარკემ არეკლა ჭურჭლის ფსკერი. ფსკერზე ფოროვანი, ბოჭკოვანი ზედაპირის მქონე უთანაბრო ბურთების ფორმის ორი თეთრი გუნდა ჩანდა. გუნდები ახლახან გამოყვანილი პურის ხის ნაყოფს ჰგავდა, რომლის განივკვეთიც სამოცდაათ სანტიმეტრს აღწევდა.

- შეუერთეთ ტვფ გრიმ შარის ვექტორს, - მიუბრუნდა ბიოლოგი თანაშემწეს.

როგორც კი მეცნიერი დარწმუნდა საერთო ვარაუდის სისწორეში, ლაბორატორიაში მიირბინა. ახლომხედველობის მიზეზით კი არა, ისე, ჩვეულებისამებრ, სახე ახლო მიიტანა და ისე შეათვალიერა გამზადებული აპარატები. გრიმ შარი არა ჰგავდა

ცნობილ მეცნიერებს, რომლებიც, როგორც წესი, შთამაგონებელი გარეგნობით და მბრძანებლური ხასიათით გამოირჩევიან. ერგ ნოორს რენ ბოსი გაახსენდა, რომელსაც მორცხვი ყმაწვილის გარეგნობა ჰქონდა, რაც მის დიად გონებას სულაც არ შეეფერებოდა.

- გახსენით ნაკერი! - ბრძანა გრიმ შარმა.

მექანიკურმა ხელმა გაჰკვეთა მტკიცე ემალირებული მასის ფენა ისე, რომ სახურავი არ დაუძრავს. გაზის ნარევიანი შლანგები ვენტილებში გადაირთო. რკინის ვარსკვლავი ინფრაწითელი სხივების მძლავრმა პროჟექტორმა შეცვალა.

- ტემპერატურა... სიმძიმის ძალა... წნევა... ელექტრული გაჯერებულობა... - იმეორებდა ხელსაწყოთა ჩვენებებს მათთან მდგომი ასისტენტი. ნახევარი საათის შემდეგ გრიმ შარი ასტრომფრინავებს მიუბრუნდა.
- წავიდეთ დასვენების დარბაზში. შეუძლებელია ვიწინასწარმეტყველოთ როდის გამოცოცხლდება ეს კაპსულები. თუ ეონი მართალია, ყველაფერი მალე მოხდება. მორიგეები გაგვაფრთხილებენ.

ნერვული დენების ინსტიტუტი აგებული იყო საცხოვრებელი ზონიდან დაშორებით, ნაკრძალი სტეპის განაპირას. ზაფხულის მიწურულს მიწა გახმა, ქარი განსაკუთრებით შრიალით მიისწრაფოდა შორეთში, მოღიაღებულ ფანჯრებში მზისგან გადამხმარი ბალახების სურნელებასთან ერთად იჭრებოდა.

სამი მკვლევარი მდუმარედ ჩაეფლო მოხერხებულ სავარძელში. ღია ფანჯრებიდან გასცქეროდნენ შორეულ ჰორიზონტზე შემართულ ტოტებგაშლილ ხეების აჩრდილებს. დროდადრო რომელიმე დაღლილი თვალებს დახუჭავდა, მაგრამ მოლოდინი იმდენად დაძაბული იყო, რომ ჩათვლემას ვერ ახერხებდნენ. ამჯერად ბედმა არ დაიწყო მეცნიერთა მოთმინების შემოწმება. სამი საათიც არ გასულა - პირდაპირ შეერთების ეკრანი აინთო. მორიგე ასისტენტი თავს ძლივს იკავებდა.

- სახურავი ირხევა!

თვალის დახამხამებაში სამივენი ლაბორატორიაში აღმოჩნდნენ.

- ყრუდ დაკეტეთ რუფოლიუციტის კამერა, შეამოწმეთ ჰერმეტულობა! - განკარგულებებს იძლეოდა გრიმ შარი, - გადაიტანეთ კამერაში პლანეტის პირობები.

გაისმა მძლავრი ტუმბოების სისინი, დაისტვინა წნევის მომწესრიგებელმა და გამჭვირვალე ბადურის შიგნით უკუნეთის ქვეყნის ატმოსფერო შეიქმნა. - გაადიდეთ ტენიანობა და ელექტროგაჯერებულობა, - გააგრძელა გრიმ შარმა. ლაბორატორიაში ოზონის მწვანე სუნი დადგა.

არაფერი მომხდარა. მეცნიერი შეიჭმუხნა, ხელსაწყოებს თვალი შეავლო და ცდილობდა მოეფიქრებინა, რა გამორჩა.

- სიბნელეა საჭირო! - უცებ გაისმა ერგ ნოორის მკაფიო ხმა.

ეონ ტალი შეხტა კიდევაც.

- როგორ დამავიწყდა! გრიმ შალი, თქვენ არ ყოფილხართ რკინის ვარსკვლავზე, მაგრამ მე!

- პოლარიზებული დარაბები! - პასუხის ნაცვლად თქვა მეცნიერმა.

შუქი ჩაქრა. ლაბორატორიას მხოლოდ ხელსაწყოთა ნათურები ანათებდა. ასისტენტებმა პულტი ფარდებით დაფარეს და ყველაფერი წყვდიადში ჩაიძირა. - აქა-იქ ძლივს ძლივობით ციმციმებდა თვითმანათობელი ინდიკატორების წერტილები.

შავი პლანეტის სუნთქვა შეეფრქვიათ სახეში ასტრომფრინავებს, მოგონებებში მძიმე ბრძოლის წარმტაცი და საშინელი დღეები გაცოცხლდა.

გავიდა მდუმარების რამდენიმე წუთი. ისმოდა მხოლოდ ტალის ფრთხილი მოძრაობა. იგი ფარდით გადაზღუდული ინფრაწითელი სხივების ეკრანს მართავდა. ფარდა ხელს უშლიდა სხივების უკუფენას.

გაისმა სუსტი ბგერა და შემდეგ დაცემის მძიმე ხმა - ეს რუფოლიუციტური კამერის

შიგნით წყლის კასრის სახურავი ჩამოვარდა. გამოჩნდა ყავისფერი ნაპერწკლების ნაცნობი ციმციმი. ეს შავი ურჩხულის საცეცები გადმოეკიდა კასრის კიდეზე. იგი მალე მოულოდნელი ნახტომით მაღლა ავარდა, რუფოლიუციტური კამერის მთელ მოედანზე ბნელი ზეწარივით გაიშალა და გამჭირვალე ჭერს მიეხალა. მედუზას სხეულზე ათასობით ყავისფერი ნაპერწკალი შენაკადდა, ზეწარი გუმბათივით აიბურთა, თითქო ქვევიდან შეუბერესო და მედუზა კამერის ძირზე საცეცების თავმოყრილ კონას დაეყრდნო. ასეთივე შავი აჩრდილივით ამოვიდა კასრიდან მეორე ურჩხულიც. იგი სწრაფი და ჩუმი მოძრაობებით უნებურად შიშს იწვევდა ადამიანში, მაგრამ აქ საცდელი

კამერის მტკიცე კედლების შიგნით, მანძილებზე სამართავი ხელსაწყოებით გარშემორტყმული წყვდიადის პლანეტის ქმნილებები უღონონი იყვნენ.

ხელსაწყოები ზომავდა, სურათებს იღებდა, განსაზღვრავდა. ხაზავდა რთულ მრუდებს, იძლეოდა ურჩხულთა აგებულების სხვადასხვაგვარ ფიზიკურ, ქიმიურ და ბიოლოგიურ მონაცემებს. ადამიანის გონება ისევ კრებდა ამ სხვადასხვა ხარისხის მონაცემებს, ეცნობოდა არნახული ქმნილებების აგებულობას და იმორჩილებდა მას.

ყოველი შეუმჩნევლად გაფრენილი საათის შემდეგ ერგ ნოორი სულ უფრო რწმუნდებოდა გამარჯვებაში. სულ უფრო გამხიარულდა ეონ ტალი, სულ უფრო გამოცოცხლდნენ გრიმ შარი და მისი ახალგაზრდა ასისტენტები. ბოლოს მეცნიერი ერგ ნოორთან მივიდა.

- შეგიძლიათ გულდამშვიდებული წახვიდეთ. ჩვენ გამოკვლევის დამთავრებამდე დავრჩებით. თვალსახილველი შუქის ჩართვა მეშინია - აქ შავ მედუზებს არ აქვთ თავშესაფარი, როგორც თავიანთ პლანეტაზე. მათ კი ყველაფერზე უნდა გვიპასუხონ რისი ცოდნაც გვჭირდება.

- და თქვენც გაიგებთ?

- სამი-ოთხი დღის შემდეგ ჩვენი გამოკვლევა ჩვენი ცოდნის დონისათვის უკვე ამოწურული იქნება. მაგრამ ახლავე შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორია დამბლადამცემი მოწყობილობის მოქმედება.

- და განკურნავთ ნიზასა და ეონს?

- დიახ!

ერგ ნოორმა მხოლოდ ახლა იგრძნო, რა სიმძიმეს ატარებდა იმ შავი დღის შემდეგ, შავი დღისა თუ შავი ღამისა!... თუმცა განა სულ ერთი არ არის! ველურმა სიხარულმა აავსო ეს ყოველთვის თავშეკავებული ადამიანი. გაჭირვებით დასძლია სურვილი, რომ ჰაერში შეესროლა გრიმ შარი, შეეჯანჯღარებინა და ჩახვეოდა ამ ტანმორჩილ მეცნიერს. ერგ ნოორი საკუთარმა თავმა გააოცა, დამშვიდდა და წამის შემდეგ მთელი გულისყური შემოიკრიბა.

- როგორ დაეხმარება თქვენი გამოკვლევები მომავალ ექსპედიციას მედუზებთან და ჯვრებთან ბრძოლაში!

- ცხადია! ახლა მტერი გვეცნობება. მაგრამ განა მოეწყობა ექსპედიცია იმ სიმძიმისა და წყვდიადის ქვეყანაში?

- მე ეს არ მეეჭვება!.

ჩრდილოეთის შემოდგომის თბილი დღე ის-ის იყო დაიწყო.

ერგ ნოორი ჩვეულებრივ აუჩქარებლად მიაბიჯებდა, შიშველ ფეხებს რბილ ბალახებზე ადგამდა. წინ, ტყის პირას, კედრების მწვანე კედელი ერწყმოდა ფოთოლგაცვენილ ნეკერჩხლებს, რომლებიც რუხი კვამლის სვეტებს ჰგავდნენ. აქ, ნაკრძალში, ადამიანი არ ერეოდა ბუნებაში. თავისი მშვენიერება გააჩნდა უწესრიგოდ გაზრდილ მაღალ ბალახებს, მათს შერეულ და სხვადასხვაგვარ სასიამოვნო და მკვეთრ სურნელებას.

ცივმა მდინარემ გზა გადაუღობა. ერგ ნოორი ბილიკს ჩაჰყვა მზისაგან გაკვეთილ გამჭირვალე წყალში ქარის ჭავლი ჭრელ ფსკერზე დაფენილი ცახცახა ბადის ოქროს ტალღისებური ზოლებივით ჩანდა. ხავსისა და წყალმცენარეების შეუმჩნეველი ნაჭრები ცურავდნენ წყალზე, ხოლო მათ პირდაპირ ფსკერზე ლურჯი ჩრდილების ლაქები ირეოდა. მდინარეზე ქარს მოზრდილი სოსანი მაჩიტელები დაეხარა. ნედლი მდელოსა და შემოდგომის შეწითლებული ფოთლების სურნელება ადამიანს შრომის ბედნიერებით ავსებდა, რადგან სულის თვითეულ კუნჭულში ჯერ კიდევ პირველყოფილი ხვნელმთესველების ყოფა იყო ჩაბუდებული. ღია ყვითელი ფერის მოლაღური ტოტზე ჩამოჯდა, დამცინავი სტვენა დაიწყო.

ბუმბლიანი ღრუბლის ფართო ფრთის ერთმა დაქნევამ გაავერცხლისფრა სუფთა ზეცა. ერგ ნოორი ტყის სიბნელეში შეიჭრა, სადაც კედარის წიწვებისა და ფისის მომწარო სუნი იდგა. გადაკვეთა ტყე და ბორცვზე ავიდა, თანაც თავშიშველა სველ ქოჩორს იწურავდა. ნერვული კლინიკის გარშემო გაშენებული ნაკრძალი ჭალა დიდი არ იყო და ერგ ნოორი მალე გზაზე გავიდა. მდინარე ავსებდა რძისფერი მიწის აუზების კასკადს, საბანაო კოსტუმებში გამოწყობილი რამდენიმე მამაკაცი და ქალი გამოცვივდნენ მოსახვევიდან და ჭრელი ყვავილების რიგებს შორის გაიქცნენ. შემოდგომის წყალი თბილი არ იქნებოდა, მაგრამ მარბენალები სიცილითა და ხუმრობით ამხნევებდნენ ურთიერთს, ჩაცვივდნენ აუზში, მხიარულ ჯგუფებად გაცურეს ერთად ქვევით. ერგ ნოორმა უნებურად გაიღიმა, სადღაც ადგილობრივ ქარხანასა თუ ფერმაში დასვენების დრო დადგა.

ჯერ არასოდეს მშობლიური პლანეტა ასე ლამაზი არ სჩვენებია. მას ხომ თავისი სიცოცხლის დიდი ნაწილი ვიწრო ვარსკვლავმფრენში ჰქონდა გატარებული. ერგ ნოორმა მადლიერების დიდი გრძნობა იგრძნო დედამიწის ყველა არსების მიმართ, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს მისი ჟღალკულულებიანი ასტრონავიგატორის -

ნიზას გადარჩენაში. დღეს იგი თვითონ მოვიდა კლინიკის ბაღში! ექიმთან მოთათბირების შემდეგ გადაწყვიტეს ერთად გამგზავრებულიყვნენ პოლარულ ნევროსანატორიუმში. როგორც კი მოხერხდა დამადამბლავებელი ჯაჭვის

გახსნა, ტვინის ქერქში შავი ჯვრის საცეცებით გამოწვეული დამუხრუჭების გაქრობა, ნიზა სავსებით ჯანმრთელი აღმოჩნდა. საჭირო იყო მხოლოდ ყოფილი ენერგიის დაბრუნება ასე ხანგრძლივი კატალეფტური ძილის შემდეგ. ნიზა ცოცხალია, ჯანმრთელია, ნიზა! ერგ ნოორს ეჩვენებოდა, რომ არასოდეს შეუძლია ამაზე იფიქროს ბედნიერების შინაგანი განცდის გარეშე.

მან მარტოხელა ქალი დაინახა, რომელიც გზის განშტოებიდან შესახვედრად მიემართებოდა. მას ათას ქალში გამოარჩევდა ეს ვედა კონგი იყო. ვედასათვის, რომელსაც ასე დიდი ადგილი ეჭირა მის გონებაში, ჯერ არ განემარტა თავიანთი გზების სხვადასხვაობა. გამომთვლელი მანქანების დიაგრამებს შეჩვეულ ერგ ნოორს თავისი მისწრაფება ზეცისაკენ შემართებულ ციცაბო რკალად ეჩვენებოდა, ხოლო ვედას ცხოვრების გზა და შემოქმედება პლანეტაზე მბრუნავად, მის სიღრმეში ჩასულად მიაჩნდა. ორივე გზა ძალზე შორდებოდა ერთურთს, სხვადასხვა მხრით მიემართებოდა.

ვედა კონგის უწვრილმანეს ნაკვთებამდე ნაცნობი სახე ისე ჰგავდა ნიზას, რომ ერგ ნოორი გაოცდა. ისეთივე ვიწრო, განგანზე გასული თვალები, მაღალი შუბლი, შეტყორცნილი გრძელი წარბები, მსხვილ ტუჩებზე გამოსახული ნაზი დამცინავი ღიმილი. ცხვირებიც კი დებივით ერთნაირი ჰქონდათ - მომრგვალებული და გრძელი. მხოლოდ ვედა პირდაპირ და დაფიქრებით იყურებოდა, ხოლო ნიზა კრიტს თავი ახალგაზრდული სიამაყით მაღლა ჰქონდა შემართული.

- თქვენ მე მათვალიერებთ? - გაიკვირვა ვედამ.

მან ორივე ხელი გაუწოდა ერგ ნოორს. ერგმა ხელები ლოყებზე მიიხუტა. ვედა შეკრთა და თავი გაინთავისუფლა. ასტრომფრინავმა ოდნავ ჩაიცინა.

- მე მინდოდა მადლობა მეთქვა ამ ხელებისათვის, რომლებიც ნიზას უვლიდნენ... იგი... ყველაფერი ვიცი! მუდმივი მორიგეობა იყო საჭირო და თქვენ ამიტომ საინტერესო ექსპედიციაზე თქვით უარი. ორი თვის მანძილზე!...

- უარი კი არ ვთქვი, დავაგვიანე, „ტანტრას“ ველოდი. სულ ერთია, გვიანი იყო. გარდა

ამისა, თქვენი ნიზა მშვენიერებაა! ჩვენ გარეგნულად ერთმანეთს ვგავართ, მაგრამ ის ზეცისაკენ თავისი მისწრაფებითა და ერთგულებით ნამდვილი მეგობარია კოსმოსისა და რკინის ვარსკვლავების დაპყრობისათვის...

- ვედა!...

- არ ვხუმრობ, ერგ! ხომ გრძნობთ, რომ ახლა ჯერ კიდევ არ არის ხუმრობის დრო? საჭიროა ყველაფერი ნათელი გახდეს.

- ჩემთვის ისედაც ნათელია. მადლობა გიხდით ჩემს მაგიერ კი არა, ნიზას მაგიერ...

- ნუ იხდით მადლობას. ჩემთვის მძიმე იქნებოდა, ნიზა რომ დაგეკარგათ...

- მესმის, მაგრამ არ მჯერა, რადგანაც ვიცნობ ვედა კონგს, რომლისთვისაც სრულიად უცხოა ასეთი ანგარიში. ჩემი მადლობაც ძალაში რჩება.

ერგ ნოორი მხრებზე მოეფერა ახალგაზრდა ქალს და თითები ვედას მოხრილ მკლავზე

დაადო. ისინი მხარი-მხარ მიდიოდნენ უდაბურ გზაზე და დუმდნენ, სანამ ერგ ნოორი ისევ არ ალაპარაკდა:

- ვინ არის ის, ნამდვილი?

- დარ ვეტერი.

- საგარეო სადგურების ყოფილი გამგე? მაშ ასე!...

- ერგ, თქვენ რაღაცნაირ უმნიშვნელო სიტყვებს ლაპარაკობთ. ვეღარ მიცვნიხართ...

- შეიძლება შევიცვალე... მაგრამ დარ ვეტერი მხოლოდ სამუშაოზე წარმომიდგენია და მეგონა, რომ ისიც კოსმოსის მეოცნებე იყო.

- ეგ სწორია. ვარსკვლავეთის მეოცნებეა, მაგრამ შეუძლია ვარსკვლავები დედამიწისადმი ძველი მიწათმოქმედების სიყვარულის მსგავს სიყვარულთან შეათავსოს. იგი არის მეცნიერი უბრალო ოსტატის დიდი ხელებით.

ერგ ნოორმა უნებურად დახედა თავის ვიწრო ხელისგულს, მათემატიკოსისა და მუსიკოსისათვის დამახასიათებელ მტკიცე გრძელ თითებს.

- თქვენ რომ იცოდეთ, ვედა, როგორია ახლა ჩემი სიყვარული დედამიწისადმი!...

- წყვდიადის ქვეყნისა და დამბლადაცემულ ნიზასთან ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ? ცხადია! მაგრამ...

- განა ეს სიყვარული არ ქმნის ჩემი ცხოვრების საფუძველს?

- არ შეუძლია შექმნას! თქვენ ნამდვილი გმირი ხართ და ცოტაოდენი გმირობანი არ გყოფნით. თქვენ ამ სიყვარულს სავსე თასივით ატარებთ, გეშინიათ, რომ იქიდან ერთი წვეთიც არ დაეცეს მიწას, გინდათ მთლიანად კოსმოსს მისცეთ. მაგრამ იმავე მიწისათვის!

- ვედა, ბნელ საუკუნეებში კოცონზე დაგწვავდნენ!

- უკვე მითხრეს მსგავსი რამ... აი, გზის გასაყარიც, სად გაქვთ ფეხსაცმელები, ერგ?

- ბაღში დავტოვე, როცა თქვენს შესახვედრად წამოვედი. დაბრუნება მომიწევს.

- ნახვამდის, ერგ. აქ ჩემი საქმე დასრულდა - თქვენი იწყება, სად შევხვდებით? თუ მხოლოდ ახალი ხომალდის გაფრენის წინ?

- არა, არა, ვედა! მე და ნიზა სამი თვით პოლარულ სანატორიუმში წავალთ. ჩამოდით ჩვენთან და ისიც, დარ ვეტერიც ჩამოიყვანეთ.

- რომელ სანატორიუმში? „ქვა-გულში“ ციმბირის ჩრდილოეთ სანაპიროზე; თუ ისლანდიაში - „შემოდგომის ფოთლებში“.

- ჩრდილოეთის პოლარულ წრეში წასვლა უკვე გვიანაა. სამხრეთ ნახევარსფეროში გაგვგზავნიან, სადაც მალე ზაფხული დაიწყება, „თეთრ განთიადში“, გრაჰამის მიწაზე.

- კარგი, ერგ. თუ კი დარ ვეტერი ახლავე არ გაემგზავრება ორმოცდამეჩვიდმეტე თანამგზავრის აღსადგენად. უეჭველია, ჯერ მასალების მომზადება იქნება საჭირო...

- კარგი მიწიერი ადამიანი გყავთ - თითქმის წელიწადია ზეცაშია!

- ნუ ცბიერობთ. ეს მახლობელი ცაა იმ წარმოუდგენელ სივრცეებთან შედარებით, რომლებიც ჩვენ გვყოფდა.

- თქვენ ამას ნანობთ, ვედა?

რატომ მეკითხებით, ერგ? ყველა ჩვენთაგანში ორი მხარეა: ერთი ახლისკენ მიისწრაფის, მეორე წარსულს უფრთხილდება და მასთან დაბრუნების მოხარულია. თქვენ ეს იცით და იცით, რომ დაბრუნებული ვერასოდეს ვერ აღწევს მიზანს.

- მაგრამ სინანული რჩება... როგორც გვირგვინი ძვირფას საფლავზე. ვედა, ძვირფასო, მაკოცეთ!...

ახალგაზრდა ქალმა მორჩილად შეასრულა თხოვნა, მსუბუქად ჰკრა ხელი ასტრომფრინავს და მთავარი გზისკენ - ელექტრობუსების ხაზისაკენ გასწია. ერგ ნოორი უკან მიჰყვა, სანამ მესაჭე - რობოტმა არ დაამუხრუჭა მოსული მანქანა და ვედას წითელი კაბა დაბინდულ კარებში არ მიიმალა.

ვედაც მინაში იხედებოდა და უძრავად მდგომ ერგ ნოორს მისჩერებოდა. გონებაში დაჟინებით ჟღერდა სამყაროს გათიშვის ერას დროინდელი პოეტის ლექსის რეფრენი, რომელიც ცოტა ხნის წინათ თარგმნა და მუსიკაზე გადაიტანა არკ გირმა. დარ ვეტერმა მას ერთხელ ნაზი შეხედვის პასუხად უთხრა:

ანგელოსები ცის მონაწილე,

თუ ჯოჯოხეთის ძალნი ყველანი,

ვერასდროს ჩემს სულს ვერ მოაცილებს მომჯადოებელ ანაბელ ლის!

ეს იყო ძველი დროის მამაკაცის მიერ გამოწვევა ბუნების ძალებისა, რომლებმაც შეყვარებული მოსტაცეს. მამაკაცები ვერ ურიგდებოდნენ დაკარგვას და ბედისათვის არაფრის დათმობას არ აპირებდნენ!

ელექტრობუსის სპირალური გზის ტოტს მიუახლოვდა, ვედა კონგი კი ისევ სარკმელთან იდგა. იგი მაგრად ჩასჭიდებოდა გაპრიალებულ ხელსაკიდებს და ნაღვლით აღსავსე შესანიშნავ რომანსს მღეროდა.

„ანგელოსები - ასე უწოდებდნენ უწინ რელიგიური ევროპელები მოჩვენებით ციურ სულებს, ღმერთთა ნებასურვილის მაუწყებლებს. სიტყვა „ანგელოსი“ ძველ ბერძნულ ენაზე სწორედ „მაცნეს“ ნიშნავს. იგი მრავალი საუკუნეების წინათ დავიწყებული სიტყვაა“.

ვედა ფიქრებისგან სადგურზე გამოერკვა, მაგრამ ვაგონში კვლავ საგონებელში ჩავარდა.

- ცის მაცნენი, კოსმოსის მაცნენი - ასეთი სახელი უნდა დაერქვათ ერგ ნოორსაც, მვენ მასსაც, დარ ვეტერსაც. განსაკუთრებით დარ ვეტერს, როცა იგი მახლობელ ცაზე, დედამიწის ცაზე იქნება, თანამგზავრის შესაკეთებლად... - ვედამ ეშმაკურად გაიღიმა, - მაგრამ მაშინ ჩვენ, ისტორიკოსები ქვესკნელის სულები ვართ, - ხმამაღლა თქვა მან, თავისი ხმის ბგერას ყური მიუგდო და მხიარულად გაიცინა, - ჰო, ასეა, ციური ანგელოსები და ქვესკნელის სულები! მაგრამ საეჭვოა, რომ ეს დარ ვეტერს მოეწონოს!..

ქარი შეუჩერებლად ჰქროდა, თანაბრად და საზეიმოდ შრიალებდნენ სპეციალურად სუბანტარქტიკისთვის გამოყვანილი დაბალი შავწიწვებიანი კედრების გრილი ხეები. ცივი და სქელი ჰაერი ჩქარ მდინარესავით მოდიოდა, თან მოჰქონდა არაჩვეულებრივი

სისუფთავე და სიკისკასე, რაც მხოლოდ ღია ოკეანეების ან მაღალი მთების ჰაერისათვის არის დამახასიათებელი. მაგრამ მთებში მუდმივ თოვლზე გადაქროლილი ჰაერი ოდნავ სუსხიანია, შუშხუნა ღვინის მსგავსად. აქ ოკეანის სუნთქვა სხეულის შეხებასავით საგრძნობი იყო, ტანზე ნესტივით გეხვეოდათ.

სანატორიუმ „თეთრი განთიადის“ შენობის მინის კედლები ზღვაზე ეშვებოდა და თავისი მომრგვალებული ფორმით წარსულის ვეებერთელა საზღვაო

ხომალდს ჰგავდა. ლავგრდანების, კიბეებისა და ვერტიკალური სვეტების ბაცი მარწყვისფერი - დღისით მკვეთრად გამოირჩეოდა მოლურჯო შოკოლადისფერი ანდეზიტის კედლების თაღოვანი ბნელი მასებისგან, რომელსაც გადამდნარი სიენიტისაგან დამზადებული მოცისფრო-რუხი ფაიფურის გზები ჰკვეთდა. მაგრამ ახლა გვიან გაზაფხულის პოლარულმა ღამემ თავისი თითქო ცისა და ზღვის სიღრმიდან გამომავალი სოსანი ფერით ყველა საღებავები გაანათა და გაათანაბრა. მზე ერთი საათით სამხრეთის ზეგანს ამოეფარა. იქიდანვე ფართო თაღივით ამოცურდა დიდებული ნათება, რომელიც ცის სამხრეთ ნაწილზე გადაიჭიმა. ეს ანტარქტიდის მატერიკის ვეებერთელა ყინულების ანარეკლი იყო. ყინულები მატერიკის აღმოსავლეთ ნახევრის მაღალ გორაკზე შემორჩა, თუმცა ადამიანებმა ისიც შეავიწროვეს, ძველი კოლოსალური ყინულოვანი ფარის მხოლოდ მეოთხედი დატოვეს. თეთრმა ყინულოვანმა განთიადმა, რომლის სახელითაც იყო მონათლული სანატორიუმი, ყველაფერი გარემომცველი უჩრდილო და ურეფლექსო მსუბუქი შუქის წყნარ ქვეყნად გარდაქმნა.

ოთხი ადამიანი ფაიფურის გზის ვერცხლისფერ ანარეკლებს ნელა მიჰყვებოდა ოკეანისაკენ. უკან მიმავალი მამაკაცის სახე რუხი გრანიტისაგან გამოკვეთილს ჰგავდა. ორივე ქალის დიდმა თვალებმა უძიროდ ღრმა და საიდუმლო გამომეტყველება მიიღო.

ნიზა კრიტი სახით მიხუტებოდა ვედა კონგის ბეწვის საყელოს და მეცნიერისტორიკოსს აღელვებით ეკამათებოდა. ვედა ოდნავ გაკვირვებას არ მალავდა, ისე მისჩერებოდა გარეგნულად ამ მის მსგავს ქალიშვილს.

- მე მეგონა, ყველაზე კარგი საჩუქარი, რომელიც ქალმა შეიძლება მის საყვარელს მიართვას, ის არის, რომ შექმნას იგი ხელახლა. ამით გააგრძელოს თავისი გმირის არსებობა. ეს ხომ თითქოს უკვდავებაა!

- ჩვენდამი დამოკიდებულებაში მამაკაცები სხვაგვარად სჯიან, - უპასუხა ვედამ, - დარ ვეტერი მეუბნებოდა, რომ არ უნდა ჰყავდეს ქალიშვილი, რომელიც ძალიან ემგვანებოდა მის საყვარელს - მისთვის ძნელი საფიქრებელია, რომ მარტოკა დატოვოს იგი, უსიყვარულოდ, თავისი სინაზის გარეშე, უცნობი ბედის ანაბარა... ეს ძველი ეჭვიანობისა და დაცვის გადმონაშთია.

- მაგრამ ჩემთვის აუტანელია ფიქრი პატარა, მშობლიურ არსებასთან დაცილების შესახებ, - განაგრძობდა თავის ფიქრებში ჩაძირული ნიზა, - როგორ უნდა მივცე აღსაზრდელად!

- მესმის, მაგრამ არ გეთანხმები, - ვედა შეიჭმუხნა, თითქო ქალიშვილი მისი სულის მტკივნეულ სიმს შეეხოო, - ბრმა დედობრივ გრძნობაზე გამარჯვება კაცობრიობის ერთ-ერთი უდიდესი ამოცანაა, უნდა გავიგოთ, რომ სპეციალურად განსწავლილი და შერჩეული ადამიანების მიერ ბავშვთა

კოლექტიურ აღზრდას შეუძლია ჩვენი საზოგადოების ადამიანის შექმნა. ამჟამად ძველებისათვის დამახასიათებელი უაზრო დედობრივი სიყვარული თითქმის აღარ არსებობს. თვითეულმა დედამ იცის, რომ მის

ბავშვს მთელი ქვეყანა ეალერსება. ამიტომ გაქრა ძუ მგლის ინსტინქტური სიყვარული, იმის ცხოველური შიშით წარმოშობილი, ჩემს ბავშვს არაფერი დაუშავდესო.

- მესმის, - თქვა ნიზამ, - მაგრამ როგორღაც მხოლოდ გონებით.

- მე კი მთლიანად, ბოლომდე ვგრძნობ, რომ უდიდესი ბედნიერება - მივანიჭოთ ბედნიერება სხვა არსებას - ახლა ხელმისაწვდომია ყოველი ადამიანისთვის, ყოველი ასაკისთვის. ის, რაც წინათ შესაძლებელი იყო მხოლოდ მშობლებისთვის, ბებიებისა და ბაბუებისათვის, ხოლო ყველაზე მეტად დედებისათვის... რატომ უნდა იყო ყოველთვის პატარასთან - ესეც ხომ იმ დროთა გადმონაშთია, როცა ქალები იძულებით ეწეოდნენ პაწაწკინტელა ცხოვრების და თავიანთ შეყვარებულთან ყოფნა არ შეეძლოთ. თქვენ კი ყოველთვის ერთად იქნებით, სანამ ერთ-ურთი გეყვარებათ...

- არ ვიცი, მაგრამ ზოგჯერ ისეთი დაუცხრომელი სურვილი მაქვს გვერდით მომყვებოდეს პაწაწკინტელა, მისი მსგავსი არსება, რომ ხელები მეკუმშება... და... არა, არაფერი არ ვიცი!...

- არსებობს მშობელთა კუნძული - იავა. იქ ცხოვრობს ყველა ვისაც უნდა თვითონ აღზარდოს ბავშვი.

-

ო, არა! აღმზრდელად გახდომა არ ძალმიძს, როგორც განსაკუთრებით მოყვარული დედები აკეთებენ. ჩემში იმოდენ ძალასა ვგრძნობ, თანაც უკვე ვიყავი კოსმოსში... ვედა მოლბა.

- ნიზა, თქვენ ახალგაზრდობის განსახიერება ხართ და მარტო ფიზიკურად კი არა. თქვენ, როგორც ყველა ახალგაზრდას, როდესაც ცხოვრების წინააღმდეგობებს ხედავთ, არ გესმით, რომ ეს თვითონ ცხოვრებაა, რომ სიყვარულის სიხარულს უეჭველად მოაქვს შიში, საზრუნავი და მწუხარება, რომელიც მით უფრო მეტია, რაც უფრო ძლიერია სიყვარული. თქვენ კი გეჩვენებათ, რომ ცხოვრების პირველი დაკვრისთანავე ყველაფერი დაიკარგება...

უკანასკნელ სიტყვებზე ვედა უცებ გამოერკვა. არა, მარტოდმარტო ახალგაზრდობა როდი იყო ნიზას შიშისა და ხარბი მისწრაფებების მიზეზი!

ვედამ ბევრისათვის დამახასიათებელი შეცდომა ჩაიდინა - მიიჩნია, რომ სულიერი ჭრილობები სხეულის დაზიანების განკურნებასთან ერთად განიკურნებაო, სულაც არ არის ასე! კიდევ დიდხან რჩება ფსიქიკის ჭრილობა, რომელიც ღრმადაა მიმალული ჯანსაღ ფიზიკურ სხეულში. ეს ჭრილობა შეიძლება მოულოდნელად გაიხსნას, ზოგჯერ სულ უმნიშვნელო მიზეზებითაც. ასე დაემართა ნიზასაც, - ხუთი წლის დამბლა, რომელმაც სრულიათ შეუმჩნევლად, მაგრამ მაინც დატოვა კვალი სხეულის ყოველი უჯრედში, საზიზღარ ჯვართან შეხვედრის საშინელება, რომელმაც კინაღამ დაღუპა ერგ ნოორი. ნიზამ იგრძნო ვედას აზრების მიმართულება და ყრუდ თქვა:

- რკინის ვარსკვლავის შემდეგ საშინელი გრძნობა აღარ მცილდება სადღაც სულში სახიფათო სიცარიელეს ვგრძნობ. იგი არსებობს სიხარულისა და ძალის რწმენასთან ერთად, არ გამორიცხავს მათ, მაგრამ თვითონაც არ ქრება. მასთან ბრძოლა მხოლოდ იმით შემიძლია, რომ რაიმეთი მთლიანად უნდა ვიყო გატაცებული, მარტოკა მასთან არ უნდა დავრჩე,... ახლა ვიცი, რა არის კოსმოსი მარტოხელა ადამიანისათვის და მით უფრო ვიხრი ქედს ვარსკვლავფრენის პირველი გმირების ხსოვნის წინაშე!

- მგონია, მესმის, - უპასუხა ვედამ, - მე ვიყავი ოკეანეში დაკარგულ პოლინეზიის პატარა კუნძულებზე. იქ ზღვის წინ მარტოობისას ისე მთლიანად მოგიცავს უსაზღვრო მწუხარება, როგორც შორეთს მოეფინება ხოლმე ერთფეროვანი ნაღვლიანი სიმღერა. ძველი ხსოვნა შემეცნების პირველყოფილი მარტოობის შესახებ განუმარტავს ადამიანს, რა სუსტი და განწირული იყო იგი. თავის პაწაწკინტელა სულში ჩაკეტილია. მხოლოდ საერთო შრომისა და საერთო აზრს

-

შეუძლია მისი დახსნა, - მოვა ხომალდი, თითქო კუნძულზე უფრო პატარა, მაგრამ იგრძნობ, რომ უსასრულო ოკეანე აღარ არსებობს. ამხანაგების ჯგუფი და ხომალდი - ეს უკვე განსაკუთრებული სამყაროა, რომელიც მისთვის ხელმისაწვდომ და დამორჩილებულ შორეთისაკენ მიისწრაფვის. ასევეა კოსმოსის ხომალდიც - ვასკვლავთმფრენი. მასში მამაც და ძლიერი ამხანაგებთან ერთად ვართ! - მაგრამ კოსმოსის წინაშე მარტოკა დარჩენა... - ვედას შეაცახცახა. - საეჭვოა ადამიანმა ამის გადატანა შესძლოს. ნიზა კიდევ უფრო ძლიერ მიეხუტა ვედას.

- რა სწორადა თქვით, ვედა! ამიტომაც ყველაფერი ერთად მინდა...

- ნიზა, მე თქვენ შემიყვარდით. ახლა უფრო მეტად ვარ თქვენი გადაწყვეტილების თანახმა... სისულელედ კი მეჩვენებოდა.

ნიზამ მდუმარედ ჩაბღუჯა ვედას ხელი და ქარისაგან გაცივებულ ლოყაზე ცხვირი მადლიერებით მიადო.

- გადაიტანთ კი, ნიზა? ეს ისე დაუჯერებლად ძნელია!

- რა სიძნელეებზე ლაპარაკობთ, ვედა? - შემობრუნდა ერგ ნოორი, რომელმაც უკანასკნელი შეძახილი გაიგონა. თქვენ და დარ ვეტერმა მოილაპარაკეთ? იგი უკვე ნახევარი საათია მარწმუნებს ახალგაზრდობას გადავცე ასტრომფრინავის გამოცდილება და არ გავფრინდე იქ, საიდანაც უკან აღარ ბრუნდებიან.

- რა ქნა? დაგარწმუნათ?

- არა, ვარსკვლავმფრენის ჩემი გამოცდილება კიდევ მეტად საჭიროა იმისთვის, რომ „გედი“ მიზნამდე მივიყვანო, იქამდე, - ერგ ნოორმა ნათელ უვარსკვლავო ცაზე

მიუთითა, - სადაც პატარა მაგელანის ღრუბლის ქვევით, ტუკანისა და წყლის გველის დაბლა ნათელი ახერნარი უნდა ყოფილიყო ანთებული, - უნდა გავიყვანო გზაზე, რომელიც ჯერ მიწისა და რკალის არც ერთ ხომალდს არ გაუვლია!

ერგ ნოორის უკანასკნელ სიტყვებზე მის ზურგს უკან აენთო ამომავალი მზის კიდე, მისმა სხივებმა თეთრი განთიადის მთელი იდუმალება წაშალეს.

ოთხი მეგობარი ზღვასთან მივიდა. ოკეანეზე სიცივე სუნთქავდა, ციცაბო ნაპირს უქაფო ტალღები ეხეთქებოდა - ქარიშხლიანი ანტარქტიკის მძიმე ტალღები ლივლივებდა. ვედა კონგი ცნობისმოყვარეობით მისჩერებოდა ფოლადისფერ წყალს, რომელიც სიღრმეში სწრაფად მუქდებოდა, ხოლო დაბლა დაწეულ მზის სხივებზე ყინულის სოსან ფერს იღებდა.

ნიზა კრიტი გვერდით იდგა. ცისფერი ბეწვის შუბა ეცვა და ასეთივე მრგვალი ქუდი ეხურა, რომლიდანაც მუქი-ჟღალი თმები ჩამოშლოდა. ჩვეულებისამებრ ქალიშვილს თავი ოდნავ მაღლა შეემართა. დარ ვეტერი უნებური სიამოვნებით მიაჩერდა მას და შეუჭმუხნა.

- ვეტერ, არ მოგწონთ ნიზა? -ბრაზით წამოიყვირა ვედა კონგმა.

  თქვენ იცით, რომ მე აღტაცებულივარ ნიზათი, - შუბლშეკვრით უპასუხა დარ ვეტერმა, - მაგრამ ახლა ისე პატარა და სუსტი მომეჩვენა, თუ შევადარებთ...

- იმას, რაც მელოდება? - გამოწვევად ჰკითხა ნიზამ. -ახლა ერგიდან ჩემზე გადმოიტანეთ შეტევა?

- სულაც არ ვფიქრობ აგრე მოვიქცე, - სერიოზულად და ნაღვლიანად უპასუხა დარ ვეტერმა, - მაგრამ ჩემი წყენა ბუნებრივია. ჩემი სიყვარული მიწის მშვენიერი ქმნილება კოსმოსის ბნელ და საშინელ სიცივეში უნდა გაქრეს. ეს შებრალება როდია, ნიზა, არამედ დანაკარგის მწუხარებაა.

- თქვენ ჩემსავით გრძნობთ, - დაეთანხმა ვედა, - ნიზა ხომ სიცოცხლის ნათელი ცეცხლია: ვერ გამიმეტებია გაყინული მკვდარი სივრცისათვის.

- სუსტ ყვავილად გეჩვენებით? - შეეკითხა ნიზა, მისი ხმის საოცარმა ინტონაციამ ვედა შეაჩერა, თანხმობა არ ათქმევინა.

- ვის უყვარს ჩემზე უფრო სიცივესთან ბრძოლის სიხარული? ქალიშვილმა ქუდი

  მოიგლიჯა, ჟღალი კულულები შეარხია, შუბა გაიძრო.

- რას აკეთებ, ნიზა? -პირველი მიხვდა ვედა კონგი და ასტრონავიგატორს მივარდა.

მაგრამ ნიზა შეფრინდა ტალღებზე გადაყუდებულ კლდეზე და ტანსაცმელი ვედას მიაწოდა.

ცივმა ტალღებმა ჩაიხუტეს ნიზა. ვედას შეაჟრჟოლა, როცა წარმოიდგინა რა შეგრძნება ექნებოდა ასეთ ბანაობას. ნიზა მშვიდად მიცურავდა შორს, მძლავრი ბიძგით ჰკვეთდა ტალღებს. ტალღების ქოჩორზე მოქცეული ხელს უქნევდა ნაპირზე დარჩენილებს, გამომწვევად იპატიჟებდა მიებაძათ მისთვის. ვედა კონგი აღტაცებით მისჩერებია.

- ვეტერ, ნიზა ერგს კი არა, პოლარულ დათვს გამოადგება მეგობრად. ნუთუ თქვენ, ჩრდილოელი, უკან დაიხევთ?

-

- წარმოშობით ჩრდილოელი ვარ, მაგრამ უპირატესობას თბილ ზღვებს ვაძლევ, - შესაბრალად თქვა დარ ვეტერმა, უხალისოდ მიუახლოვდა ზღვის მოშხაპუნე ტალღებს. ტანგახდილმა ფეხი ჩაყო წყალში, წამოიყვირა „უჰ“ და ფოლადის ნიაღვრის შესახვედრად გადაეშვა, მხრების სამიოდე მოქნევით შეფრინდა ტალღის კენწეროზე და ბნელ ჩქერალში გაცურდა. მხოლოდ მრავალწლიანმა წვრთნად და მთელი წლის განმავლობაში ბანაობამ იხსნა დარ ვეტერის პრესტიჟი. სუნთქვა შეკრა, თვალებში წითელი წრეები დაუტრიალდა. რამდენიმე მკვეთრი ყვინთვითა და ნახტომით ისევ ნორმალური სუნთქვა დაიბრუნა. დარ ვეტერმა გალურჯებულმა, აკანკალებულმა გასცურა და გორაკზე ნიზასთან ავიდა. რამდენიმე წუთის შემდეგ თბილ ბეწვეულში გახვეულნი ტკბებოდნენ, თითქო გამყინავ ქარსაც თბილი ზღვების სურნელება მოჰქონდა.

- რაც უფრო უკეთ გეცნობით,- წასჩურჩულა ვედამ,-უფრო ვრწმუნდები, რომ ერგ ნოორი არჩევანში არ შემცდარა. თქვენ ყველაზე უკეთ გაამხნევებთ მას მძიმე წუთებში, გაახალისებთ, გაუფრთხილდებით...

ნიზას მზედაუკრავი ლოყები ძალზე აუვარდისფერდა.

მაღალ, ქარისაგან მოცახცახე ბროლის ტერასზე საუზმის დროს, ვედა ხშირად ამჩნევდა ქალიშვილის ჩაფიქრებულ და ნაზ შემოხედვას. ოთხივენი დადუმდნენ, როგორც ჩვეულებრივ დუმან ადამიანები ხანგრძლივი დაცილების წინ.

- სამწუხაროა გაიცნო და მყისვე დასცილდე ასეთ ადამიანებს! -უცებ წამოიძახა დარ ვეტერმა.

- იქნებ თქვენ?... - დაიწყო ერგ ნოორმა.

- ჩემი თავისუფალი დრო დამთავრდა. სიმაღლეზე უნდა ავიდე! გრომ ორმი მელოდება.

- ჩემი დროც მოვიდა, - დაუმატა ვედამ, - გადავეშვები ჩემს უფსკრულში - ახლახან გახსნილ გამოქვაბულში - სამყაროს გათიშვის ერას განძთსაცავში.

- „გედი“ მომავალი წლის შუა რიცხვებში იქნება მზად. ექვსი კვირის შემდეგ შევუდგები საქმიანობას, - წყნარად თქვა ერგ ნოორმა. - ვინ არის ახლა საგარეო სადგურების გამგე?

- ჯერჯერობით იუნი ანტი, მაგრამ მას არ სურს მახსოვრობის მანქანებს მოცილდეს, საბჭოს ჯერ არ დაუმტკიცებია ლაბრადორის ფ-დანადგარის ინჟინერ-ფიზიკოსის ემბ ონგის კანდიდატურა.

- არ ვიცნობ.

- ცოტანი იცნობენ, რადგანაც ცოდნის ტალღების აკადემიაში მეგატალღების მექანიკის საკითხებს სწავლობს.

- ეგ რა არის?

- კოსმოსის დიდი რიტმი - გიგანტური ტალღები, რომლებიც ნელ-ნელა ვრცელდება სივრცეში. მათში მაგალითად, გამოიხატება წინააღმდეგობა შემხვედრ სინათლეთა სიჩუმეებისა, რომლებიც დიდი აბსოლუტური ერთეულის დამოკიდებულებით მნიშვნელობას იძლევიან. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის დამუშავებული... მვენ მასი სადღაა?

ემოციების შესახებ წიგნსა წერს. მასაც პირად განკარგულებაში მცირე დრო აქვს - სტოხასტიკისა და წინასწარმეტყველების აკადემიამ თქვენი „გედის“ გაფრენის კონსულტანტად დანიშნა. როგორც კი მასალებს შეაგროვებენ - წიგნს უნდა გამოეთხოვოს.

- ცოდვაა! მნიშვნელოვანი თემაა. ემოციის სამყაროს რეალობა და ძალა დროა სწორად გავიგოთ, - გამოეხმაურა ერგ ნოორი.

- ვშიშობ, რომ მვენ მასს გაუჭირდება ანალიზის დინჯად გაკეთება. - თქვა ვედამ.

- ასეც უნდა იყოს, სხვანაირად ვერაფერ ხეირიანს ვერ დასწერს, - შეეკამათა დარ ვეტერი და გამოსამშვიდობებლად წამოდგა.

- შეხვედრამდე! ჩქარა მორჩით საქმეებს, თორემ ვერ შევხვდებით, - ხელი გაუწოდეს ნიზამ და ერგმა.

- შევხვდებით, - დაჯერებით დაჰპირდა დარ ვეტერი, - უკიდურეს შემთხვევაში ელ ხომრის უდაბნოში გნახავთ, გაფრენის წინ.

- გაფრენის წინ, -დაეთანხმნენ ასტრომფრინავები.

- წავიდეთ, ციურო ანგელოსო, - ვედა კონგმა ხელი ხელში გაუყარა დარ ვეტერს, განგებ არ მიაქცია ყურადღება წარბებს შორის გაჭიმულ მის ნაოჭებს. - თქვენ, ალბათ, მოგწყინდათ დედამიწა?

* * *

დარ ვეტერი იდგა, ფეხები გაელაჯა ძლივს დამაგრებული კარკასის ნაოჭიან ზედაპირზე და დაბლა იცქირებოდა, გათიშულ ღრუბელთა ფენებს შორის გამოჩენილ საშინელ უსასრულობაში. იქ ჩანდა დედამიწის ზედაპირი -

-

მატერიკების მიხვეულ-მოხვეული რუხი კონტურები და მუქლურჯი ზღვები. პლანეტის სიდიდე განსაცვიფრებელი იყო მის დიამეტრზე ხუთჯერ მეტი მანძილიდანაც კი.

დარ ვეტერი აგნებდა ნაცნობ ადგილებს, რომელიც თანამგზავრებიდან გადაღებული სურათებით მისთვის ბავშვობიდანვე ნაცნობი იყო. აი მოხრილი ხაზი, რომლის გასწვრივაც მთათა მუქი ზოლები ჩანს. მარჯვნივ ზღვა ბრწყინავს, ხოლო პირდაპირ,

ფერხთა ქვეშ - ვიწრო მთისძირა მინდორი. დღეს ბედი შეეწია: ღრუბელი სწორედ იმ ნაწილის თავზე გაიფანტა, სადაც ახლა ვედა ცხოვრობს და მუშაობს. იქ, რუხი თუჯისფერი მთების პირდაპირი შვერილების ძირას, სადაც არის ძველი გამოქვაბული, რომელიც ფართო სართულებით მიწის სიღრმეში მიემართება.

იქ ვედა კაცობრიობის წარსული ცხოვრების მუნჯი და მტვრიანი ნამტვრევებისაგან არჩევს ისტორიული სიმართლის იმ მსხვილ ნაწილაკებს ურომლისოდაც ვერც აწმყოს გავიგებთ, ვერც მომავალს ვიწინასწარმეტყველებთ.

დარ ვეტერი გადმოიხარა ცირკონული ბრინჯაოს ღარული ფურცლების ბაქნიდან და ოცნებით სალამი გაგზავნა საეჭვოდ ამოცნობილი წერტილისაკენ, რომელიც დასავლეთიდან გადმოცოცებული აუტანლად მბრწყინავი ღრუბლის ბუმბულიან ფრთის ქვეშ მიიმალა. იქ ვარსკვლავების ციმციმით გაშუქებული კედელივით იდგა ღამის სიბნელე. ღრუბელთა ფენები ვეებერთელა ტივებივით მოძრაობდა, ერთიმეორეზე იგრიხებოდა. მათ ქვეშ დედამიწის ზედაპირის სივრცე სიბნელეში ჩაიძირა, თითქო სამუდამოდ არარაობაში წავიდაო. ზოდიაქოს ნათების ნაზი

საბურველი პლანეტის დაჩრდილულ მხარეზე ეფინებოდა და კოსმოსური სივრცის სიბნელეს აშუქებდა.

პლანეტის განათებულ მხარეზე დნებოდა ღრუბლის მოლურჯო საბურველი და ვეებერთელა რუხი ფოლადისფერი მზის შუქს ირეკლავდა. ყველამ, ვინც კი გამამუქებელი ფილტრების გარეშე შეხედავდა ღრუბელს დაკარგავდა მხედველობას, იმათ მსგავსად, რომლებიც მიბრუნებულან მრისხანე მნათობისაკენ, მაშინ, როდესაც დედამიწის დამცველი ატმოსფეროსაგან ათასეული კილომეტრებით იყვნენ დაცილებული. მზის მოკლეტალღოვანი მკაცრი სხივები - ულტრაიისფერი და რენტგენული - ყოველგვარი სიცოცხლისათვის მომაკვდინებელ მძლავრ ნაკადს ასხივებდნენ. მათ ემატებოდა კოსმოსური ნაწილაკების მუდმივი დელგმა. ხელახლა

აბრიალებული ან გალაქტიკის წარმოუდგენელ სიშორეში ერთმანეთს შეჯახებული ვარსკვლავები სივრცეში მომაკვდინებელ გამოსხივებებს აგზავნიდნენ. მხოლოდ საიმედოდ დამცველი სკაფანდრები იცავდნენ მომუშავეებს სიკვდილისაგან.

დარ ვეტერმა მცველი გვარლი მეორე მხარეზე გადაისროლა და საყრდენ კოჭზე დიდი

დათვის თანავარსკვლავედის ციცხვისაკენ გაემართა. გიგანტური მილი მომავალი თანამგზავრის მთელ სიგრძეზე იყო მიხრახნილი. მის ორთავა ბოლოზე შემართული იყო მახვილი სამკუთხედები, რომლებზეც დაემაგრებინათ მაგნიტური ველის გამომსხივებლის გიგანტური ბადროები. როცა მზის ცისფერი რადიაციის ელექტრო დენად გადამქცევ ბატარეებს დადგამენ, შესაძლებელი იქნება მისაბმელებისაგან გათავისუფლება, მკერდსა და ზურგზე მიმაგრებული მართული ფინებით მაგნიტური ძალის ველების გასწვრივ გადაადგილება.

- გვინდა ღამ-ღამობით ვიმუშაოთ - მოულოდნელად გაისმა მის მუზარადში ახალგაზრდა ინჟინრის კად ლაიტის ხმა. - სინათლის მოცემას „ალტაის“ მეთაური დაგვპირდა!

დარ ვეტერმა ქვევით, მარცხნისაკენ გადაიხედა, სადაც დაძინებული თევზებივით ეკიდა რამდენიმე ერთად შეკრული სატვირთო რაკეტა. ზევით, მეტეორიტებისა და მზისაგან დამცველი ბრტყელი ქოლგის ქვეშ ბუღი ასდიოდა შიდა შესამოსი ფურცლებისგან შედგენილ დროებით ბაქანს, სადაც ხდებოდა რაკეტების ნაწილების

შეკრება და განლაგება. იქ შავი ფუტკრებივით შეგროვილიყვნენ მუშები, ხოლო როდესაც მათი ამრეკლავ ზედაპირიანი სკაფანდრები დამცველი ქოლგის ჩრდილს გამოსცილდებოდა, მუშები ციცინათელებს ემსგავსებოდნენ. რაკეტების გვერდებში მუქად მბრწყინავ ნახვრეტებში შედიოდა გვარლების ქსელი. ამ ნახვრეტებიდან შემონაფიცრი მოხსნილი იყო და ხდებოდა დიდი დეტალების გადმოტვირთვა. უფრო მაღლა შეკრებილი კარკასების თავზე, ადამიანების ჯგუფი უცნაურ, ზოგჯერ სასაცილო პოზებში მყოფნი, რომელიღაც ძორძოხა მანქანას დასტრიალებდნენ თავს. ბერილიუმის ბრინჯაოს ბორაზონით დაფარული ერთი რკალი დედამიწაზე ასეულობით ტონას მაინც აიწონიდა. აქ ეს ურჩხული თანამგზავრის ლითონის ჩონჩხის მახლობლად მორჩილად ეკიდა წვრილ გვარლზე, რომლის დანიშნულებასაც შეადგენდა, რომ ყველა ამ ჯერ კიდევ შეუკრები ნაწილების დედამიწის გარშემო ბრუნვის ინტეგრალური სიჩქარე გაეწონასწორებინა.

როდესაც მომუშავენი შეეჩვიენ სიმძიმის ძალის არარსებობას, ან უფრო ზუსტად უმნიშვნელობას, თავის თავისადმი თვითრწმენა მიეცათ და მარჯვედ იქცეოდნენ. მაგრამ ეს მცოდნე მუშაკები მალე ახლებით უნდა შეიცვალონ. სიმძიმის გარეშე

ხანგრძლივი ფიზიკური შრომა არღვევდა სისხლის მიმოქცევას, რაც შეიძლებოდა მუდმივი გამხდარიყო და მიწაზე დაბრუნებული ადამიანი ინვალიდად ექცია. ამიტომაც თვითეულ თანამგზავრზე მუშაობდა არა უმეტეს ასორმოცდაათ სამუშაო საათისა, მიწაზე დაბრუნებისას სადგურ „გამჭოლზე“ გადიოდნენ რეაკლიმატიზაციას. ეს სადგური პლანეტის ზევით ცხრაასი კილომეტრის სიმაღლეზე ბრუნავდა.

ღამის მუშაობაზე თანხმობის მიცემა იმას ნიშნავდა, რომ დაეჩქარებინა თავისი ახალგაზრდა მეგობრების პლანეტაზე გაგზავნის ვადა და დროზე ადრე გამოეძახებინა ცვლა. მეორე პლანეტმფრენი - „ბარიონი“, რომელიც მშენებლებს გადასცეს, არიზონის დაბლობზე იმყოფებოდა, სადაც ტელევიზორების ეკრანებთან და სარეგისტრაციო მანქანების პულტებთან გრომ ორმი იჯდა.

ყინულოვანი კოსმოსური ღამეები საათებში შეუსვენებლივ მუშაობა ძალიან აჩქარებდა აწყობას. დარ ვეტერს ამაზე უარის თქმა არ შეეძლო. თანხმობის მიღებისთანავე ამწყობ ბაქანზე მყოფი ადამიანები ყოველმხრივ გაიფანტნენ და გვარლების კიდევ უფრო რთული ქსელის გაჭიმვას შეუდგნენ. პლანეტმფრენი „ალტაი“, რომელსაც

მშენებლობის მუშაკები საერთოდ საცხოვრებლად იყენებდნენ და რომელიც გაუნძრევლად ეკიდა საყრდენი კოჭის ბოლოში, უცებ მოიხსნა
გორგოლაჭებიანი ბაგირიდან. ეს ბაგირი აკავშირებდა მის შესასვლელ საძრომსა და თანამგზავრის ჩონჩხედს. „ალტაის“ ძრავებიდან დამაბრმავებელი ცეცხლის გრძელი ნაკადები გამოვარდა. ხომალდის ვეებერთელა კორპუსი უხმაუროდ და სწრაფად შემობრუნდა. ცარიელ საპლანეტთაშორისო სივრცეში უმცირეს ხმაურსაც არ გაუჩუჩუნია. „ალტაის“ ხელოვან მეთაურს სულ ძრავას რამდენიმე დარტყმა დასჭირდა, რათა მშენებლობის თავზე ორმოცი მეტრის სიმაღლეზე აფრენილიყო და თავისი დასაჯდომი პროჟექტორები ამწყობი ბაქნისაკენ შემოებრუნებინა. ხომალდსა და ჩონჩხედს შორის ისევ გაიყვანეს გზის გამკვლევი გვარლები და სივრცეში ჩამოკიდებული სხვადასხვაგვარი საგნების მთელი მასა ფარდობით უძრაობაში აღმოჩნდა, თუმცა ამავე დროს დედამიწის გარშემო საათში დაახლოებით ათი ათასი კილომეტრის სიჩქარით მოძრაობას განაგრძობდა.

ღრუბლოვანი მასების განაწილებამ დარ ვეტერს უჩვენა, რომ მშენებლობა პლანეტის ანტარქტიკულ ოლქზე გადადიოდა და, შესაბამისად მალე შევიდოდა დედამიწის

ჩრდილში. სკაფანდრების სრულყოფილი გამთბობები მთლიანად ვერ აკავებდნენ კოსმოსური სივრცის ყინულოვან სუნთქვას, და ვაი იმ მოგზაურს, რომელიც თავისი ბატარეების ენერგიას უაზროდ დახარჯავდა! ასე დაიღუპა ერთი თვის უკან ამწყობი არქიტექტორი, რომელიც მეტეორიტების მოულოდნელ წვიმას ღია რაკეტის ცივ კორპუსში დაემალა და მზიან მხარეში გადასვლას ვეღარ მოესწრო... კიდევ ერთი ინჟინერი მოკლა მეტეორიტმა. ასეთი შემთხვევების მთლიანად არც გათვალისწინება შეიძლებოდა, არც აცილება. თანამგზავრების აგება ყოველთვის მოითხოვს მსხვერპლს, -ვინ იქნება შემდგომი?... სტოხასტიკის კანონები, თუმცა ისინი ძნელად უდგებიან ქვიშის ცალკეულ მარცვლებს - ერთეულ ადამიანებს, მიუთითებენ, რომ დარ ვეტერს აქვს ყველაზე მეტი შანსი იყოს შემდგომი... ის ხომ ყველაზე მეტად იმყოფება აქ, ამ სიმაღლეზე, რომელიც ღია კოსმოსის ყოველგვარი შემთხვევითობისათვის. მაგრამ შინაგანი ცელქი ხმა კარნახობდა დარ ვეტერს, რომ მის

მაღალკეთილშობილურ პერსონას არაფერი არ შემთხვეოდა, თუმცა მათემატიკურად მოაზროვნე ადამიანისთვის ასეთი რწმენა სისულელე იყო, იგი არ ტოვებდა დარ ვეტერს და ეხმარებოდა მშვიდად ესეირნა უძირო შავი ცის ქვეშ, დაუცველი ჩონჩხედის კოჭებსა და ღობურებზე.

კონსტრუქციების აწყობა დედამიწაზე განსაკუთრებული მანქანებით წარმოებდა. მათ ემბრიოტექტებს ეძახდნენ, რადგან ცოცხალი ორგანიზმის ზრდის პრინციპით მუშაობდნენ. ცხადია, მემკვიდრეობითი კიბერნეტიკით განხორციელებული ცოცხალი მექანიზმის მოლეკულარული აგებულება ბევრად უფრო რთული იყო. იგი ემორჩილებოდა არა მარტო ფიზიკო-ქიმიურ არჩევითობას, არამედ აგრეთვე ჯერ კიდევ ამოუცნობ ტალღისებრ რიტმიკასაც. მაგრამ ცოცხალი ორგანიზმები იზრდებოდნენ მხოლოდ იონიზირებული მოლეკულების თბილ ხსნარში, ხოლო ემბრიოტექტები მუშაობდნენ ჩვეულებრივ პოლარიზებულ დენებზე. შუქზე ან მაგნიტურ ველებზე. ჭდეულები და გასაღებები, რომლებიც ნაწილების რადიაქტიური მდნარობით აწყობისას გამოიყენებოდა, კარგად თავსდებოდა მანქანებისაგან შეერთებულ დეტალებში და აწყობა წარმოუდგენელი სიზუსტითა და სიჩქარით მიმდინარეობდა. აქ, სიმაღლეზე ეს მანქანები არ იყო და არ შეიძლებოდა ყოფილიყო. თანამგზავრის აწყობა ძველებურ მშენებლობას ჰგავდა, იგი ცოცხალი ადამიანების ხელების დახმარებით კეთდებოდა. ყოველგვარი საფრთხის მიუხედავად სამუშაო იმდენად საინტერესო იყო, რომ ათასობით მოხალისე მიიზიდა. გამოსაცდელი ფსიქოლოგიური სადგურები ძლივს ასწრებდნენ გაესინჯათ ყველა

მსურველი, რომლებმაც განუცხადეს საბჭოს საპლანეტთაშორისო სივრცეში გამგზავრებისათვის თავიანთი მზადყოფნა.

დარ ვეტერმა მზის მანქანების საძირკვლამდე მიაღწია. ეს მანქანები მარაოსებურად განლაგებული იყო ხელოვნური მიზიდულობის აპარატის მქონე ვეებერთელა მილისის გარშემო. ვეტერმა თავისი ზურგის ბატარეია შემმოწმებელი ჯაჭვის შესასვლელ კლემაში ჩართო. მისი მუზარადის ტელეფონში მარტივი მელოდია გაისმა. მაშინ მინის ფირფიტა პარალელურად მასზე გამოსახულ წვრილ ოქროს ხაზებიან სქემასთან შეაერთა. გაისმა იგივე მელოდია. ორი ვერნიერის ბრუნვით დარ ვეტერმა დაამთხვია დროებითი წერტილები და დარწმუნდა არა მარტო მელოდიათა, არამედ ტონალობათა შორის განსხვავების არარსებობაშიც კი. მომავალი მანქანის უმნიშვნელოვანესი ნაწილი უნაკლოდ ააწყვეს. შეიძლებოდა რადიაციული ელექტროძრავების დადგმას შედგომოდენ. დარ ვეტერმა სკაფანდრის ხანგრძლივი ტარებისაგან

დაღლილი მხრები გამართა და თავი გააქან-გამოაქანა, ამ მოძრაობისას მუზარადში ხანგრძლივი უძრაობით გაქვავებულმა კისრის მალებმა გაიტკაცუნა. კიდევ კარგი, რომ დარ ვეტერმა გაუძლო მიწის გარეთ ატმოსფეროში მომუშავეთა შორის გავრცელებულ ფსიქოზს, ულტრაიისფერი ძილის ავადმყოფობას და ინფრაწითელ ცოფიანობას. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ მოახერხებდა თავისი საპატიო მისიის ბოლომდე მიყვანას.

მალე პირველი შემონაჯერი დაიცავს მომუშავეებს ღია კოსმოსში, უზეცო და უნიადაგო უსასრულობაში გამომათაყვანებელი მარტოობისაგან!

„ალტაისაგან“ პატარა მშველელი ჭურვი გამოვარდა და მშენებლობას ისარივით ჩაუქროლა. ამით ავტომატურ რაკეტებს ბუქსირი გაუგზავნეს. რაკეტებს მხოლოდ ტვირთი მოჰქონდა და მიცემულ სიმაღლეზე გაჩერდნენ. დროულია! სივრცეში მოფარფატე რაკეტების, ადამიანების, მანქანების და მასალების ჯგუფი დედამიწის ღამეულ მხარეში გადადის. ბუქსირი მობრუნდა, თან მოათრევდა სამ გრძელ ლურჯად მოლაპლაპე თევზისმაგვარ ყუმბარას, რომლებიც დედამიწაზე საწვავის ჩაუთვლელად თვითეულ ასორმოცდაათ ტონას იწონიდა.

რაკეტების დასაშლელი ბაქნის გარშემო მდგომ თავიანთ მსგავს რაკეტებს შეუერთდნენ. დარ ვეტერი ნახტომით გადავიდა ჩონჩხედის მეორე მხარეზე და აღმოჩნდა ტექნიკოსების ჯგუფში, რომლებიც განტვირთვას ხელმძღვანელობდნენ.

ადამიანები ღამის მუშაობის გეგმას განიხილავდნენ. დარ ვეტერი დათანხმდა, მაგრამ მოითხოვდა ყველა ინდივიდუალური ბატარეა ახლით შეეცვალათ, რომლებიც უზრუნველყოფდნენ სკაფანდრების უწყვეტ გათბობას ოცდაათი საათის განმავლობაში, მოამარაგებდნენ დენით ნათურებს, საჰაერო ფილტრებსა და რადიოტელეფონებს.

მთელი მშენებლობა ღამის წყვდიადში ჩაიძირა, როგორც უფსკრულში. მაგრამ კიდევ დიდხანს ატმოსფეროს ზედა ზონებში გაზების მიერ გაფანტული მზის სხივებისაგან წარმოქმნილი ზოდიაქოს შუქი ანათებდა მომავალი თანამგზავრის მინუს ასოთხმოც გრადუსზე გაყინულ ჩონჩხს. ზეგამტარობა უფრო ძლიერ უშლიდა ხელს, ვიდრე დღისით. იზოლაციის მცირეოდენი გაცვეთაც კი ინსტრუმენტებში, ბატარეებსა ან აკუმულატორებში ახლო მდებარე საგნებს პირდაპირ ზედაპირზე გამომდინარე დენის ლურჯ ნათებაში ფუთნიდა. სასურველი მიმართულებით დენის გადაცემა შეუძლებელი ხდებოდა. კოსმოსის უმაღლესი წყვდიადი გაძლიერებულ სიცივესთან ერთად დადგა.

ვარსკვლავები წარმოუდგენლად ნათელი ლურჯი ნემსებივით კიაფობდა. მეტეორიტთა ფრენა, რომელიც მიუწვდომელი იყო სმენისა და მხედველობისათვის, ღამით უფრო საშიში ჩვენებოდათ. ბნელი სფეროს ზედაპირზე ატმოსფერულ დინებაზე ელექტრონული ნათების, გიგანტური სიგრძის ნაპერწკლებისებური მუხტების ან ათასობით კილომეტრების სიგრძის გაფანტული ნათების ზოლების მრავალფეროვანი ღრუბლები ინთებოდა. იქ, დაბლა, საჰაერო გარსაფარის ზედა ფენებში დედამიწის ყოველგვარ ქარიშხალებზე უფრო ძლიერი გრიგალისებური ქარები ჰქროდა. მზისა და კოსმოსის გამოსხივებით გაჯერებული ატმოსფერო აგრძელებდა ენერგიის გაცხოველებულ მიმოსვლას, ჯოჯოხეთურ სიცივესა და წყვდიადში ჩაკარგულ პაწაწკინტელა სამყაროში მოულოდნელად რაღაც შეიცვალა. დარ ვეტერმა უცებ ვერ მოიფიქრა, რომ პლანეტმფრენის გამნათებლები ჩართეს. წყვდიადმა მოიცვა იქაურობა, ფერი იცვალა მრისხანე ვარსკვლავებმა, მაგრამ ბაქანი და ჩარჩო თეთრ ნათელ შუქში გარკვევით გამოჩნდა. რამდენიმე წუთის შემდეგ „ალტაიმ“ ძაბვა შეამცირა. შუქი ყვითელი და ნაკლებ ინტენსიური გახდა. პლანეტმფრენი თავისი აკუმულატორების ენერგიას ზოგავდა. ისევე, როგორც დღისით, ამოძრავდა გარშემოსაფიცრი ფურცლების კვადრატები და ელიფსები, სამაგრი წამწეების ღობურები, რეზერვუარების ცილინდრები და მილები. ისინი თანამგზავრის ჩონჩხზე თანდათანობით პოულობდნენ თავიანთ ადგილს. დარ ვეტერმა ხელით მოსინჯა განივი კოჭი, ჩაებღაუჭა გვარლების მოაჯირზე მიამგრებულ გორგოლაჭებიან სახელურს, ფეხით უბიძგა და ჰაერში გამოეკიდა. უკვე პლანეტმფრენის საძვრომთან ხელი დააჭირა მუხრუჭის სახელურებს და სწორედ დროულად გაჩერდა, რათა დაკეტილ კარებს არ დასჯახებოდა.

გარდამავალ კამერებში დედამიწის ნორმალური წნევა არ იყო, რათა მომუშავეთა დიდი რაოდენობით შევლა-გასვლისას შეემცირებინათ ჰაერის დანაკარგები. ამიტომ დარ ვეტერმა სკაფანდრის გაუხდელად შეაბიჯა მეორე, დროებით აგებულ დამხმარე კამერაში და იქ გამორთო მუზარადი და ბატარეა.

დარ ვეტერმა გაავარჯიშა სკაფანდრიდან მოღლილი სხეული, მტკიცედ შედგა შიდა ბაქანზე, უხაროდა, რომ ნორმალური სიმძიმე დაუბრუნდა. პლანეტმფრენის ხელოვნური გრავიტაცია უწყვეტლივ მუშაობდა. წარმოუდგენლად სასიამოვნოა, როცა საკუთარი თავი ნიადაგზე მტკიცედ მდგომ ადამიანად მიგაჩნია და არა მერყევ და

უთანაბრო სიცარიელეში მოფარფატე მსუბუქ ქინქლად! ფარფატა შუქი, თბილი ჰაერი, მოხდენილი სავარძელი იწვევდნენ, რათა გაშოტილიყო და დაესვენა, არაფერზე არ ეფიქრა. დარ ვეტერმა განიცადა თავისი წინაპრებისათვის

დამახასიათებელი სიამოვნება, ასე რომ აკვირვებდა, ოდესღაც ძველ რომანებში ამოკითხული. ცივ უდაბნოში, სველ ტყეში ან გაყინულ მთებზე ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ ადამიანები შედიოდნენ თბილ საცხოვრებელ ადგილებში, - სახლებში, მიწურებში, ჩულის კარვებში და მაშინ, როდესაც აქ, თხელი კედლები აცილებდა მათ ადამიანისათვის მტრულ, ვეებერთელა და სახიფათო ქვეყნიდან, აძლევდა სითბოსა და შუქს, ხელს უწყობდა დასვენებაში, ძალის მოკრეფაში, შემდგომი საქმიანობის მოფიქრებაში.

დარ ვეტერმა უარი თქვა სავარძლისა და წიგნების თაროებზე. საჭირო გახდა მიწასთან დაკავშირება - ჰაერში მთელი ღამით აბრდღვიალებული სინათლე მშენებლობაზე მეთვალყურე ობსერვატორიის დამკვირვებლებში დაბნეულობას შეიტანდა. გარდა ამისა, უნდა გაეფრთხილებინა, რომ შევსება ვადაზე ადრე დასჭირდებოდა.

დღეს კავშირი კარგი გამოვიდა - დარ ვეტერი გრომ ორმს ელაპარაკა არა კოდირებული სიგნალებით, არამედ ძალიან მძლავრი ტვფ-თი, რომელიც ყველა საპლანეტთაშორისო ხომალდს აქვს. ძველი თავმჯდომარე კმაყოფილი დარჩა და მყისვე დაიწყო ზრუნვა ახალი ეკიპაჟის შედგენისა და დეტალების გაძლიერებული მოწოდებისათვის.

დარ ვეტერი გამოვიდა „ალტაის“ მართვის პოსტიდან, გაიარა ბიბლიოთეკაში, რომელიც საწოლ ოთახად იყო გადაკეთებული და მის კედლებზე ორრიგად იყო მიკრული საწოლები. კაიუტები, სასადილო ოთახები, სამზარეულოები, გვერდითი დერეფნები და ძრავების წინა დარბაზი აგრეთვე დამატებითი საწოლებით იყო გადატვირთული. სტაციონალურ ბაზად გადაკეთებული პლანეტმფრენი მთლიანად სავსე იყო. დარ ვეტერი მიდიოდა, ძლივს მიათრევდა ფეხებს, პლასტმასის თბილი ყავისფერი ფინებით მოპირკეთებულ იატაკზე და ზანტად აღებდა და კეტავდა მძიმე გერმეტულ კარებს.

იგი ფიქრობდა ასტრომფრინავებზე, რომლებიც ათეულ წლებს ატარებენ ასეთ ხომალდებში, მომაკვდინებლად ხანგრძლივი ვადის გასვლამდე მისი მიტოვებისა და

გარეთ გამოსვლის არავითარი იმედი არა აქვთ. იგი აქ ცხოვრობს უკვე მეექვსე თვეა, ყოველდღიურად სტოვებს ვიწრო შენობას და საპლანეტთაშორისო სიცარიელის მომქანცველ სივრცეში შრომობს. მაინც უკვე მოსწყინდა საყვარელი დედამიწის - მისი სტეპების, ზღვების, სიცოცხლით მღელვარე საცხოვრებელი სარტყელის ცენტრების გარეშე. ხოლო ერგ ნოორი, ნიზა და კიდევ ოცი ადამიანი, „გედის“ ეკიპაჟი ვარსკვლავმფრენში ოთხმოცდათორმეტ დამოკიდებულ წელს

გაატარებენ, ანუ ასორმოც დედამიწის წელიწადს, რათა მიზნამდე მიფრინდნენ და მშობლიურ პლანეტაზე დაბრუნდნენ. ვერც ერთი მათგანი ამდენს ვერ იცოცხლებს! მათ სხეულს დაწვავენ და დამარხავენ იქ, უსასრულო სიშორეში, ცირკონიუმის მწვანე ვარსკვლავების პლანეტებზე...

ან კიდევ მათი სიცოცხლე ფრენის დროს დამთავრდება და მაშინ, დასაკრძალავ რაკეტებში ჩამწყვდეულები გაფრინდებიან კოსმოსში... ასე მიცურავდა ზღვებში წინაპრების სამარხი ნავები, თან მკვდარი მეომრები მიჰქონდა. მაგრამ ისეთ გმირებს, რომლებიც ნებით ხომალდებში სამარადისოდ დამწყვდეულიყვნენ და ისე გაფრენილიყვნენ, რომ დაბრუნების იმედი გადაწყვეტილი ჰქონდათ, ჯერ კიდევ არ

იცნობს კაცობრიობა. არა, იგი სწორი არ არის, ვედა გაამტყუნებდა მას! განა დაივიწყა სამართლიანობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლი ძველი დროის ადამიანები, რომლებთაც უფრო მეტი საშინელება მოელოდათ - ნესტიან სარდაფებში სამარადისო ტყვეობა, საშინელი წამება?! დიახ, ის გმირები უფრო ძლიერნი და ღირსეულნი იყვნენ, ვიდრე თანამედროვენი, რომლებიც ემზადებიან კოსმოსში უდიადესი გაფრენისათვის, შორეულ სამყაროთა გამოკვლევისათვის!

და იგი, დარ ვეტერი, რომელსაც ჯერ არც ერთხელ არ დაუტოვებია ხანგრძლივად მშობლიური პლანეტა, მათთან შედარებით პატარა ადამიანია და სულაც არ არის ციური ანგელოსი, როგორც დამცინავად ეძახის უსაზღვროდ საყვარელი ვედა კონგი!

თავი XIV. ფოლადის კარი

ოც დღეს ბრუნავდა ნესტიან ბურუსში სამთო ავტომატური გამკვეთი რობოტი, სანამ ათეულ ათასობით ტონა ზვავი არ აწმინდა და ჩამონგრეული თაღები არ გაამაგრა. გამოქვაბულის სიღრმეში შემავალი გზა მისადგომი გახდა. მისი უსაფრთხოებაღა უნდა შეემოწმებინათ. მუხლუხოებითა და არქიმედის ხრახნებით მოძრავი რობოტ-საზიდრები უხმაუროდ მიძვრებოდნენ ქვევით. ყოველი ასი მეტრის გავლის შემდეგ ხელსაწყოები ჰაერის შემადგენლობას, ტემპერატურას და ტენიანობას გადმოსცემდნენ. საზიდრებმა მარჯვედ აუარეს გვერდი დაბრკოლებებს და ოთხასი მეტრის სიღრმეზე ჩაეშვნენ. მაშინ ვედა კონგი თანამშრომლების ჯგუფთან ერთად საოცნებო გამოქვაბულში შეიჭრა. ოთხმოცდაათი წლის წინათ, მიწისქვეშა წყლების დაზვერვისას, არამადნისეული წარმოშობის კირქვებსა და ქვიშნარებში, ინდიკატორებმა

უცაბედად დიდი რაოდენობით ლითონი შეამჩნიეს. მალე გამოირკვა, რომ ადგილმდებარეობა ემთხვევა მრავალსაუკუნოვანი სიძველის ლეგენდარული გამოქვაბულის დენ-ოფკულის მდებარეობას, რაც აწ გამქრალ ენაზე „კულტურის თავშესაფარს“ ნიშნავს. საშინელი ომის მომლოდინე ხალხებმა, რომელთაც თავი განსაკუთრებით მოწინავე კულტურის წარმომადგენლებად მიაჩნდათ, თავიანთი ცივილიზაციის საუნჯე გამოქვაბულში გადამალეს. იმ შორეულ საუკუნეებში საიდუმლოება და იდუმალება ძალიან გავრცელებული იყო...

ევდა თავის ყველაზე ახალგაზრდა თანამშრომელზე ნაკლებ როდი ღელავდა, როცა დაქანებული შესასვლელის იატაკზე დაფენილ სველ წითელ თიხაზე დამხობილი ქვევითკენ მიფორთხავდა.

წარმოდგენაში ეხატებოდა დიდებული დარბაზები, გერმეტული სეიფები, მათში ჩაკეტილი ფილმტეკებით, ნახაზებით, რუკებით; მაგნიტოფონის ჩანაწერთა ხვეულებით ან მახსოვრობის მანქანების ლენტებით სავსე კარადები; ქიმიური შენაერთების, შენადნობებისა და წამლების ნიმუშებით ავსებული თაროები: ჰაერგაუვალ და ნესტგაუმტარ გამჭვირვალე ვიტრინებში მოთავსებული ამჟამად გამქრალი ცხოველების ფიტულები, მცენარეთა პრეპარატები, ჩონჩხები, გაქვავებული ძვლებისაგან შეკოწიწებული პლანეტის გადაშენებული მოსახნელი. შემდეგ ეჩვენებოდა სილიკოლის ფირფიტები მთაზე გამოსახული ყველაზე სახელგანთქმული

მხატვრების ნაწარმოებებით მთელი გალერეა ქანდაკებებისა, რომლებშიც გამოკვეთილი იქნებოდნენ კაცობრიობის შესანიშნავი წარმომადგენლები, გამოჩენილი მოღვაწეები, ოსტატურად გამოხატული ცხოველები... ცნობილი შენობების მოდელები, ჩანაწერები შესანიშნავ მოვლენათა შესახებ, უკვდავყოფილი ქვასა და ლითონში...

ამ ოცნებაში გართულმა ვედა კონგმა დაახლოებით სამი ოთხი ათასი კვადრატული ფართობის მქონე გამოქვაბულში შეაღწია, წყვდიადში შეკარგული ჭერი ციცაბო თაღივით ამოზნექილიყო, მასზე გრძელი სტალაქტიტები[56] ეკიდა, რომლებიც ელექტრონის შუქზე ბრწყინავდა. დარბაზი ცხადშიც დიდებული აღმოჩნდა. ვედას ფიქრებმა თითქო რეალური ხორცი შეისხა. კირქვის ჩამონადენების ნეკნებითა და შვერილებით წარმოქმნილ კედლის ნიშებში მანქანები და კარადები ჩანდა. არქეოლოგები აღტაცების წამოძახილებით გაიფანტნენ მიწისქვეშა დარბაზის პერიმეტრზე. ნიშებში მდგომი ბევრი მანქანა, რომელთაც ადგილ-ადგილ ჯერ კიდევ შეენარჩუნებინათ მინისა და ლაქის ბრწყინვალება, ეკიპაჟი აღმოჩნდა. ეკიპაჟები შორეული წარსულის ადამიანებს ძალიან მოსწონდათ და სამყაროს გათიშვის ერაში მას

კაცობრიობის ტექნიკური გენიის მწვერვალად თვლიდნენ. მაშინ რატომღაც ძალიან

ბევრ მანქანას აგებდნენ, რომელთაც რბილი სავარძლებით მხოლოდ რამდენიმე ადამიანის გადაყვანა შეეძლოთ. მანქანების კონსტრუქცია მომხიბვლელი იყო, მართვისა და მოძრაობის მექანიზმები - მახვილგონიერი, მაგრამ სხვა მხრივ ასეთი მანქანები აღმაშფოთებელ უაზრობას წარმოადგენდა. ისინი ასეულ ათასობით ბრუნავდა ქალაქის ქუჩებსა და გზებზე, გადაჰყავ გადმოჰყავდათ ადამიანები, რომლებიც რატომღაც თავიანთი საცხოვრებლიდან მოშორებით მუშაობდნენ და ყოველ დღე ჩქარობდნენ სამუშაოზე მოხვედრასა და უკან დაბრუნებას. ამ მანქანების მართვა სახიფათო იყო. მათ ათასობით ადამიანი მოკლეს, ძვირფას ორგანულ ნივთიერებათა მილიარდობით მარაგი დაწვეს, რომელიც პლანეტის გეოლოგიურ წარსულში დაგროვდა, ატმოსფერო ნახშიროჟანგით მოწამლეს. რკალის ეპოქის არქეოლოგები იმედგაცრუებულნი დარჩნენ, როცა დაინახეს, რომ ამ უცნაურ ეკიპაჟებს გამოქვაბულში ასე დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი. დაბალ ბაქნებზე ეკიდა ბევრად უფრო მძლავრი დგუშის ძრავიანი მანქანები; ელექტრული, რეაქტიული, ტურბო და ატომგრულსური მოტორები. მინის ვიტრინებში, კირქვის ნაწვეთების სქელი ფენის ქვეშ, ვერტიკალურ რიგებად განლაგებული იყო ხელსაწყოები - შეიძლება, ტელემიმღებები ფოტოკამერები, საანგარიშო მანქანები თუ მსგავსი დანიშნულების

სხვა აპარატები. მანქანების ამ მუზეუმს ნაწილობრივ ჟანგის სუნი ასდიოდა, მაგრამ ნაწილობრივ კარგად იყო შენახული. იგი დიდ ფასეულობას წარმოადგენდა, რადგანაც შუქს ჰფენდა ცალკეული ეპოქების ტექნიკის დონეს, რომელთა ისტორიული დოკუმენტების დიდი ნაწილი სამხედრო და პოლიტიკური არეულობის დროს დაიკარგა.

ერთგულმა თანაშემწემ მიიკო ეიგორომ, რომელმაც საყვარელი ზღვა ისევ მიწისქვეშეთის ნესტსა და სიბნელეზე გაცვალა, დარბაზის ბოლოში, კირქვის სქელი ბოძის უკან გასავლელი ნახვრეტი შეამჩნია. ბოძი მანქანის ღერძი აღმოჩნდა, ხოლო მის ძირში პლასტმასის მტვერი - ოდესღაც შესასვლელის ჩამკეტი ფარის ნარჩენები ეყარა. არქეოლოგები მზვერავი მფოფხავსაბარგულების წითელი კაბელების გასწვრივ ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწეოდნენ წინ, შეიჭრნენ მეორე გამოქვაბულში, რომელიც თითქმის თანაბარ დონეზე იმყოფებოდა და მინის და ლითონის გერმეტული კარადებით იყო ავსებული. დაკიდულ, ოდესღაც ჩამოშლილ კედლებს გარშემო ინგლისურ ენაზე მსხვილი

ასოებით შესრულებული წარწერა ერტყა. ვედამ თავი ვერ შეიკავა, სანამ სწრაფად არ გაშიფრა იგი.

ძველი ინდივიდუალიზმისათვის დამახასიათებელი კვეხნით თავშესაფრის მშენებლები უცხადებდნენ მემკვიდრეებს, რომ მათ ცოდნის მწვერვალებს მიაღწიეს და აქ თავიანთ გიგანტურ მიღწევებს მომავლისათვის ინახავდნენ. მიიკომ ზიზღით აიჩეჩა მხრები:

- მარტო წარწერითაც შეიძლება დადგინდეს, რომ გამოქვაბული „კულტურის თავშესაფარი“ მზე-ს დასასრულს, საზოგადოების ძველი ფორმის არსებობის უკანასკნელ წლებს განეკუთვნება. ამდენად დამახასიათებელია მათთვის თავიანთი დასავლური ცივილიზაციის, ენის, მორალის და ეგრეთწოდებული თეთრი ადამიანის სიდიადის მარადიულობა და უცვლელობა. მეზიზღება ეს ცივილიზაცია!.

- თქვენ წარსული ნათლად, მაგრამ ცალმხრივად წარმოგიდგენიათ, მიიკო. მე მომაკვდავი კაპიტალიზმის ჩონჩხის ბუნდოვან გამოსახულებაში მათაც ვხედავ, რომლებიც მომავლისათვის იბრძოდნენ. მათი მომავალი - ჩვენი აწმყოა. მე ვხედავ მრავალ კაცსა და ქალს, რომლებიც წვრილმან, ღარიბ ცხოვრებაში შუქს დაეძებდნენ; იმდენად კეთილთ, რომ სხვებს ეხმარებოდნენ, და იმდენად ძლიერთ,

რომ გარემომცველი სამყაროს მორალური შრომა არ აფრთხობდათ. და მამაცთ, უსაზღვროთ მამაცთ!..

- ისინი, რომლებმაც აქ თავიანთი კულტურა დამალეს, ასეთები არ იყვნენ, - შეეკამათა მიიკო, - შეხედეთ, აქ მხოლოდ ტექნიკის საგნებია შეკრებილი. ისინი ყოყოჩობდნენ ტექნიკით, ყურადღებას არ აქცევდნენ მზარდ მორალურ და ემოციონალურ მხარეს, ზიზღით უყურებდნენ წარსულს და ვერ ამჩნევდნენ მომავალს!

ვედამ გაიფიქრა, რომ მიიკო მართალია. თავშესაფრის შემქმნელთა ცხოვრება უფრო იოლი იქნებოდა, რომ შესძლებოდათ თავიანთი მიღწევის შეთანაბრება იმასთან, რაც გასაკეთებელი დარჩა ქვეყნისა და საზოგადოების ჭეშმარიტი გარდაქმნისათვის. მაშინ მათი დანაგვიანებული, შებოლილი, ქაღალდითა და დამსხვრეული მინებით, აგურითა და დაჟანგებული რკინეულით ავსებული გაჩეხილტყეებიანი პლანეტა თვალწინ ექნებოდათ, ხელისგულზე დადებულივით. ისინი, წინაპრები, უკეთ გაიგებდნენ, კიდევ რა უნდა გაეკეთებინათ და ტრაბახით საკუთარი თვალების დათხრას შეწყვეტდნენ. მესამე დარბაზი ოცდათორმეტი მეტრის სიღრმეზე ჩაკიდულ ვიწრო ჭაში

გადიოდა. ვედამ მიიკო ორი თანაშემწის თანხლებით გამა აპარატების მოსატანად გაგზავნა, რათა კარადები გაეშუქებინათ, თვითონ კი კირქვების ნაწვეთარებისა და თიხის ნალექისაგან თავისუფალი მესამე გამოქვაბულის დათვალიერებას შეუდგა. ნადნობი მინისაგან დამზადებული დაბალი სწორკუთხეებიანი ვიტრინები შიგნით შემოჭრილი ნესტისაგან მხოლოდ დაორთქლილიყო. არქეოლოგები მინებზე მიკრულნი ათვალიერებდნენ ძვირფასი ქვებით მორთულ ოქროსა და პლატინის გონებამახვილურ ნაკეთობებს.

ნაკეთობათა მიხედვით თუ განვსჯიდით, ეს ძველი რელიკვიები იმ ეპოქაში იყო შეგროვილი, როცა ადამიანები ჯერ კიდევ ვერ გადაჩვეოდნენ წინაპართა თაობებში აღმოცენებულ პირველყოფილ თვისებებს - ყველაფერი ძველი ახალზე უფრო ძვირფასად ჩაეთვალათ. ვედამ, ისევე როგორც წარწერის კითხვისას, სინანული იგრძნო ადამიანთა ბრიყვული თავდაჯერების გამო, რომლებიც თვლიდნენ, რომ ფასეულობათა შეფასება და მათი გემოვნება უცვლელად გაივლიდა ათეულ საუკუნეებს და ცალკეული მემკვიდრეების მიერ კანონივით იქნებოდა მიღებული.

გამოქვაბულის შორეული ბოლო მაღალ და სწორ დერეფანში გადადიოდა, დერეფანი დახრილი ეშვებოდა თვალუწვდენ სიღრმეში.

მზვერავი მცოცავ რობოტების აღმრიცხველები დერეფნის დასაწყისში ზედაპირიდან სამას ოთხი მეტრის სიღრმეს უჩვენებდა. ფართო ბზარები ჰკვეთდა დაკიდულ თაღებს, რომლებიც კირქვისცალკეული გიგანტური, ალბათ ათას ტონობით სიმძიმის მქონე ფინებისაგან იყო შედგენილი. ვედამ შიში იგრძნო. მრავალი მიწისქვეშეთის შესწავლის გამოცდილებამ უკარნახა ახალგაზრდა ქალს, რომ მთიანი ქედის საფუძველი არამდგრად მდგომარეობაში იყო. შეიძლება მიწისძვრათა ან ქედების საერთო ამაღლების ბიძგები განიცადა. ქედი ხომ სამალავის შექმნის შემდეგ გასულ ხანაში ორმოცდაათი მეტრით ამაღლდა. ჩვეულებრივი არქეოლოგიური ექსპედიციისათვის ამ სასწაულებრივი მასის გამაგრება წარმოუდგენელი იყო. ძალთა ასე დიდი დაძაბვა მხოლოდ პლანეტის მნიშვნელოვანი ეკონომიური მიზნებისათვის თუ იქნებოდა გამართლებული.

ამასთან ისტორიულ საიდუმლოებებს, გამოქვაბულის ასეთ სიღრმეში დაფარულთ,

შეიძლებოდა რაიმე ტექნიკური ფასიც ჰქონოდა. უკვე დავიწყებული, მაგრამ თანამედროვე გამოგონებებისათვის მაინც სასარგებლო ფასი.

შემდგომ გამოკვლევაზე უარის თქმა გონივრული სიფრთხილე იქნებოდა. მაგრამ მეცნიერი თავის პიროვნებას ასეთი დიდი სიფრთხილით რატომ უნდა მოეკიდოს? მაშინ, როდესაც მილიონობით ადამიანები სახიფათო სამუშაოებზე შრომობენ და ცდებს ატარებენ, როდესაც დარ ვეტერი ამხანაგებთან ერთად დედამიწიდან ორმოცდაჩვიდმეტი ათასი კილომეტრის სიმაღლეზე მუშაობს, ხოლო ერგ ნოორი დაუბრუნებელ გზაზე გასამგზავრებლად ემზადება! ორივე ეს ადამიანი ვედასათვის ასე საპატივცემულონი, უკან არ დაიხევდნენ... რა მოხდა, არც ის დაიხევს...

სათადარიგო ბატარეა, ელექტროგადამღები აპარატი, ჟანგბადის ორი ხელსაწყო... იგი უშიშარ მიიკოსთან ერთად წავა წინ, ამხანაგებს კი მესამე დარბაზის შესასწავლად დატოვებს.

ვედა კონგმა თანამშრომლებს ურჩია დანაყრებულიყვნენ. ამოიღეს სამგზავრო საკვები ფინები, რომლებიც შედგებოდა დაწნეხილი სწრაფად ასათვისებელი ცილებისაგან,

შაქრებისაგან, დაღლილობის ტოქსინების გამანადგურებელი პრეპარატებისა და, ვიტამინების, ჰორმონების, ნერვული სტიმულატორების ნარევისაგან. ვედა მოუთმენლად შიშს განიცდიდა და ჭამა არ უნდოდა. მიიკო მხოლოდ ორმოცი წუთის შემდეგ გამოჩნდა. გამოირკვა, რომ მან თავი ვერ შეიკავა, სანამ რამდენიმე კარადა არ გააშუქა და მათი შემადგენლობა ფაცი-ფუცით არ გამოარკვია.

წყალში მყვინთავ იაპონელ ქალთა მემკვიდრემ მადლიერებით გადახედა ხელმძღვანელს და თვალის დახამხამებაში მოემზადა.

გასასვლელის ცენტრში გაჭიმული იყო ვიწრო წითელი კაბელები. ქალების თავზე დახურულ გაზის თვითმანათობელი გვირგვინების მკრთალ სოსან შუქს არ შეეძლო გაეკვეთა ათასწლოვანი წყვდიადი იქ, სადაც ბილიკი სულ უფრო და უფრო ციცაბო ხდებოდა. ყრუდ და თანაბრად ეცემოდა მაღლიდან მსხვილი ცივი წვეთები. გარშემო და ქვევიდან ნაბზარებში მიმდინარე წყლის ბუყბუყი ისმოდა. ბნელ, დახშულ მიწისქვეშეთში ნესტით გაჟღენთილი ჰაერი უძრავად იდგა. მხოლოდ გამოქვაბულებშია ასეთი სიჩუმე. სიჩუმის დარაჯად თვით მიწის ქერქის ყოვლად

უგრძნობი, მკვდარი და უმოქმედო მატერია დგას. ზევით რა ღრმაც არ უნდა იყოს დუმილი, ბუნებაში ყოველთვის გამოიცნობა დაფარული გაყუჩებული სიცოცხლე, წყლის, ჰაერის ან შუქის მოძრაობა.

მიიკო და ვედა უნებურად დაემორჩილნენ ღრმა გამოქვაბულის ჰიპნოზს. გამოქვაბულმა ორთავენი შავ წიაღში ჩამალა ისე, როგორც დროით გადარეცხილი და მხოლოდ წარმოდგენით ლანდებში გაცოცხლებული მკვდარი წარსულის სიღრმეებში.

დაღმართი სწრაფად ილეოდა, თუმცა გასასვლელის იატაკზე სრიალი თიხის სქელი ფენა იდო. კედლიდან ამოცვენილი ლოდები აიძულებდნენ ქალებს მათზე გადაფორთხებულიყვნენ, ჭერსა და ნაზვავებს შორის დარჩენილ ვიწრო ხვრელებში გამძვრალიყვნენ. ნახევარ საათში მიიკო და ვედა ასოთხმოცდაათი მეტრის სიღრმეზე ჩაეშვნენ და სწორ კედლამდე მიაღწიეს. ორი მზვერავი მცოცავი რობოტი მშვიდად იწვა კედელზე მიყრდნობილი. საკმარისი იყო შუქის ერთი ათინათი, რათა კედელში მასიური და გერმეტულად დახურული უჟანგავი ფოლადის კარი შეემჩნიათ. კარის ცენტრში ჩანდა ორი ამოზნექილი წრე რაღაცნაირი ნიშნებით, მოოქროვილი ისრებითა

და სახელურებით. საკეტი დათქმული სიგნალების შერჩევის გზით გაიღებოდა ორთავე არქეოლოგმა იცოდა მსგავს ნაგებობათა ტიპები, მაგრამ ასოები, რომლებიც შედარებით ადრეულ ეპოქებს განეკუთვნებოდა ვედამ და მიიკომ მოითათბირეს და საკეტის გამოკვლევას შეუდგნენ. იგი ძალიან ჰგავდა ეშმაკური ღვარძლიანობით დამზადებულ იარაღს, რომლითაც წარსულის ადამიანები ფიქრობდნენ თავიანთი საუნჯე „სხვებისაგან“ დაეცვათ, - მსოფლიოს გათიშვის ერაში არსებობდა ხალხთა ამგვარი დაყოფა „თავისიანებად“ და „სხვებად“. არაერთხელ მსგავსი კარის გაღების ცდის დროს იქ აღმოჩენილია ფეთქებადი ჭურვები, მომწამვლელი გაზები, დამაბრმავებელი გამოსხივებანი და მკვლევარები, რომლებიც არაფერს ეჭვობდნენ, იღუპებოდნენ.

გამძლე ლითონებისა და განსაკუთრებული პლასტმასების მექანიზმები ათასწლების მანძილზე არ იშლებოდა და მათ ბევრი სიცოცხლე შეიწირეს, სანამ არქეოლოგებმა არ ისწავლეს ასეთი ფოლადის კარის უვნებელყოფა.

ცხადი გახდა, რომ კარი განსაკუთრებული ხელსაწყოებით უნდა გაეღოთ. გამოქვაბულის მთავარი საიდუმლოს ზღურბლიდან უნდა დაბრუნებულიყვნენ. ვინ

იეჭვებდა, რომ ყრუდ დახშულ კარს იქით შორეული დროის ადამიანებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი და ძვირფასი რამ უნდა ყოფილიყო დამალული? ვედამ და მიიკომ ჩააქრეს ფანრები და გვირგვინების შუქზე დასასვენებლად და საჭმლის საჭმელად ჩამოსხდნენ.

- რა შეიძლება აქ იყოს? - ამოიოხრა მიიკომ, თანაც ოქროს ნიშნებით მბრწყინავ კარს თვალს არ აცილებდა, - იგი ჩვენ თითქო დაგვცინის : არ შეგიშვებ, არ გეტყვი!..

- მეორე დარბაზის კარადებში რისი გაშუქება მოახერხეთ? -ჰკითხა ვედამ. თანაც ცდილობდა მოულოდნელი დაბრკოლებით გამოწვეული პრიმიტიული და უაზრო ნაღველი თავიდან მოეცილებინა.

- მანქანების ნახაზები, წიგნები, ხის ძველ ქაღალდზე კი არა. არამედ ლითონის ფურცლებზე დაბეჭდილი. კიდევ, როგორც ჩანს კინოფილმების ხვიები, რაღაც ჩანაწერები, ვარსკვლავეთისა და დედამიწის რუკები.

- პირველ დარბაზში - მანქანების ნიმუშებია, მეორეში - მათი ტექნიკური

დოკუმენტაცია, მესამეში - როგორ ვთქვათ... იმ ეპოქის ფასეულობანი, როცა ჯერ კიდევ არსებობდა ფული. სათქმელი არაფერია, სქემებს შეეფარდება.

- ჩვენთვის საჭირო ძვირფასეულობა სადღაა? კაცობრიობის სულიერი განვითარების უმაღლესი მიღწევა: მეცნიერება, ხელოვნება, ლიტერატურა? - წამოიძახა მიიკომ.

- იმედი მაქვს, რომ კარს იქით ყველაფერი ეგ დაგვხვდება, - მშვიდად უპასუხა ვედამ, - მაგრამ არ გამიკვირდება, იქ რომ იარაღი აღმოჩნდეს.

- რაო, რაო?

- იარაღი, მასობრივი და სწრაფი მოსპობის საშუალება. პატარა მიიკო ჩაფიქრდა,

  დანაღვლიანდა და წყნარად თქვა:

- დიახ, ეს კანონზომიერიცაა, თუ სამალავის მიზანს გავითვალისწინებთ. აქ მოსალოდნელი განადგურებისაგან დაფარულია მაშინდელი დასავლეთის ცივილიზაციის ძირითადი ტექნიკური და მატერიალური ფასეულობანი. მაგრამ რა ითვლება ძირითადად, თუ ჯერ კიდევ არ არსებობდა მთელი პლანეტის ან ამ ქვეყნების ხალხების საზოგადოებრივი აზრი მაინც? რაიმე საჭიროებასა და მნიშვნელობას მოცემულ მომენტში მმართველად მყოფი ჯგუფები, ხშირად სრულიად არაკომპეტენტური ადამიანები ადგენენ. ამიტომაც აქ თავმოყრილია ის კი არა, რაც ნამდვილად ძვირფასი იყო კაცობრიობისათვის, არამედ ის, რაც ადამიანების ამა თუ იმ ჯგუფმა ძვირფასად მიიჩნია. მათ გადაწყვიტეს, რომ გადაერჩინათ უპირველესად მანქანები და, შეიძლება იარაღი, არ ესმოდათ, რომ ცივილიზაცია ცოცხალი ორგანიზმის მსგავსად ისტორიულად შენდება.

- დიახ, შრომის გამოცდილების, ცოდნის, ტექნიკის, მასალების მარაგის, უწმინდესი ქიმიური ნივთიერებებისა და ნაგებობების ზრდისა და ათვისებით გზით. დანგრეული მაღალი ცივილიზაციის აღდგენა უაზრობაა ზემტკიცე შენადნობების, იშვიათი ლითონების, მაღალი ნაყოფიერებისა და უზუსტესი მოსარგისებიანი მანქანების უქონლობის გამო. ყველაფერი ეს რომ განადგურებულიყო, საიდანღა უნდა აგვეღო მასალები და გამოცდილება, ურთულესი კიბერნეტიკული მანქანების შექმნის ცოდნა,

მანქანებისა, რომელთაც შეუძლიათ ათ მილიარდობით ადამიანის მოთხოვნილებები დააკმაყოფილონ?

- მაშინ ასევე უაზრობაა ანტიკური ცივილიზაციის მსგავს უმანქანო ცივილიზაციასთან დაბრუნება, რაზეც ისინი ზოგჯერ ოცნებობდნენ.

- ცხადია, რომ ანტიკურ კულტურასთან ერთად საშინელი შიმშილი გავრცელდებოდა. ინდივიდუალისტ-მეოცნებეებს არ უნდოდათ დაეჯერებინათ, რომ ისტორია უკან არ ბრუნდება!

- კატეგორიულად არ ვამტკიცებ, რომ კარს იქით იარაღია, - ისევ მთავარს მიუბრუნდე ვედა, -მაგრამ ბევრი რამ ამაზე მიუთითებს. თუ სამალავის შემქმნელები ცდებოდნენ, რაც იმ ხანისთვის დამახასიათებელია, კულტურასა და ცივილიზაციას ერთმანეთში ურევდნენ. არ ესმოდათ ადამიანის ემოციის აღზრდისა და განვითარების გადაუდებელი მოვალეობა, მაშინ მათთვის ხელოვნებისა და ლიტერატურის ნაწარმოებები ან მიმდინარე მომენტის მოთხოვნილებებიდან შორს მდგომი მეცნიერება სასიცოცხლო აუცილებლობას არ წარმოადგენდა. იმ დროს მეცნიერებასაც კი სასარგებლოდ და უსარგებლოდ ჰყოფდნენ, მის ერთიანობაზე არ ფიქრობდნენ. ამგვარი მეცნიერება და ხელოვნება სასიამოვნოდ ითვლებოდა, მაგრამ ადამიანის ცხოვრების გზაზე საჭიროდ და სასარგებლოდ არ მიაჩნდათ. აქ ყველაზე მნიშვნელოვანი რამ არის დამალული. ამიტომაც ვფიქრობ იარაღზე, რადგანაც გულუბრყვილო და უაზრო არ უნდა იყოს ეს ჩვენთვის, თანამედროვე ადამიანისთვის. ვედა გაჩუმდა და კარს მიაჩერდა.

- შეიძლება ეს უბრალოდ ამწყობი მექანიზმია და იქნებ გავაღოთ კიდეც, თუ კი მიკროფონით მოვუსმენთ, - უცებ თქვა მან და კარს მიუახლოვდა. - გავბედოთ? მიიკო კარსა და მეგობარს შორის ჩადგა.

- არა, ვედა! რა საჭიროა ეს უაზრო რისკი?

- ასე, მგონია, გამოქვაბული ძლივძლივობით დგას. გავალთ, უკან დაბრუნებას კი ვეღარ მოვახერხებთ... გესმით?

ზოგჯერ კარის წინა კამერაში გაურკვეველი შორეული გუგუნი შემოიჭრებოდა. იგი ხან ზევიდან მოდიოდა, ხან ქვევიდან.

მაგრამ მიიკო ურყევი დარჩა. იგი ხელებგაშლილი ზურგით მიყრდნობოდა კარს.

- იქ თუ იარაღია, ვედა! როგორ შეიძლება დაუცველი იყოს...

ორი დღის შემდეგ გამოქვაბულში პორტატიული აპარატები მოიტანეს. მექანიზმების დასათვალიერებელი რენტგენის ამრეკლავი ეკრანი, ფოკუსირებული ულტრასიხშირის გამომსხივებელი დეტალების შინაგანი კავშირის დასარღვევად. მაგრამ ამ ხელსაწყოთა გამოყენება ვერ მოასწრეს.

მოულოდნელად გამოქვაბულის ნიადაგიდან წყვეტილი გუგუნი გაისმა. ფეხქვეშ ნიადაგის მძლავრმა რყევამ ადამიანები აიძულა ინსტინქტურად გასასვლელისაკენ გაქცეულიყვნენ - მკვლევარები მესამე, ქვედა გამოქვაბულში იმყოფებოდნენ.

გუგუნი ძლიერდებოდა, ყრუ ღრჭიალში გადადიოდა. ჩანდა, ნაბზარი ჯიშების მთელი მასა ქედის საძირკვლის გასწვრივ ზოლზე ჩამოწვა.

- ყველაფერი დაიღუპა, ვერ მოვასწარით! თავს უშველეთ, მაღლა! -ნაღვლიანად დაიყვირა ვედამ და ადამიანები რობოტ საზიდარებს მისცვივდნენ. რობოტებისკაბელებზე ჩაბღაუჭებული ჭაში აღმა მოფორთხავდნენ. გუგუნი და ქვების კედლების ცახცახი კვალდაკვალ მისდევდათ და ბოლოს დაეწიათ. საშინელი გრუხუნი გაისმა... მეორე გამოქვაბულს შიდა კედელი მესამე დარბაზში შესასვლელი ჭის ადგილას გაჩენილ უფსკრულში ჩაინგრა. ჰაერის ტალღამ ადამიანები მტვერსა და წვრილმან ღორღთან ერთად პირველი დარბაზის თაღქვეშ შეისროლა. არქეოლოგები სიკვდილის მოლოდინში იატაკზე განერთხნენ.

გამოქვაბულში შემოჭრილი მტვრის ბუღი ნელ-ნელა დაიწმინდა. მის ბურუსში გამოჩნდა სტალაგმიტების სვეტები და შვერილები, რომელთაც თავიანთი მოხაზულობა არ შეეცვალათ. მიწისქვეშეთში ძველებური სამარისებული მყუდროება გამეფდა...

გონს მოსული ვედა წამოდგა. ორმა თანამშრომელმა ხელი სტაცა, მაგრამ მან აუჩქარებლად გაითავისუფლა თავი.

- მიიკო სად არის?

დაბალ სტალაგმიტზე მიჭყლეტილი მისი თანაშემწე კისრიდან, ყურებიდან და თმებიდან გამწარებით იფერთხავდა ქვის მტვერს.

- თითქმის ყველაფერი დაიღუპა. - უპასუხა ქალიშვილს მუნჯურ შეკითხვას, - მიუდგომელი კარი დაკეტილი დარჩება ქვების ოთხასი მეტრის სისქის ფენის ქვეშ. მესამე გამოქვაბული მთლიანად დაინგრა, ხოლო მეორე... მეორე შეიძლება გაითხაროს. იქ ჩვენთვის ყველაზე ძვირფასი საგნებია, როგორც აქ.

- ეს ასეა... - ვედამ გამხდარი ტუჩები დაისველა. -მაგრამ ჩვენ დამნაშავენი ვართ. - ვიზანტეთ და დავშინდით. ზვავი უნდა გაგვეთვალისწინებინა.

- უსაფუძვლო წინასწარგრძნობაა. მაგრამ სადარდელი არაფერია. განა ჩვენს კარს იქით დამალული რაღაც საეჭვო ფასეულობისათვის მთის მასების გამაგრებას შევუდგებოდით? განსაკუთრებით თუ იქ უსარგებლო იარაღია.

- და თუ ხელოვნების ნაწარმოებებია, კაცობრიობის უძვირფასესი შემოქმედება? არა, ჩვენ შეგვეძლო უფრო სწრაფად გვემოქმედა!

მიიკომ მხრები აიჩეჩა და გაცბუნებული ვედა ამხანაგებთან ერთად წაიყვანა დიდებული მზიანი დღის შესახვედრად, რომ სუფთა წყლით სიხარული განეცადა, ტკივილების დამაყუჩებელი ელექტრული შხაპი მიეღო.

* * *

მვენ მასი ჩვეულებისამებრ ბოლთას სცემდა ოთახში, რომელიც ჩრდილოეთის საცხოვრებელ სარტყელში, ინდოეთის სექტორში ისტორიის სახლში გამოუყვეს. იგი აქ სულ ორი დღის წინათ გადმოვიდა, ამერიკის სექტორის ისტორიის სახლში მუშაობის დამთავრების შემდეგ.

ოთახი, უფრო სწორად, მთლიანად გაპრიალებული მინის შიდაკედლებიანი ვერანდა, ბორცვიანი ზეგანის ლურჯ შორეთს გადასცქეროდა. მვენ მასი დროდადრო ჯვარედინი პოლარიზაციის დარაბებს რთავდა. ოთახში რუხი ბურუსი გამეფდა. ჰემისფერულ

ეკრანზე ერთმანეთს ნელ-ნელა ენაცვლებოდა მვენ მასის მიერ წინასწარ შერჩეული სურათები, ძველი კინოფილმების ნაწყვეტები, ქანდაკებები და შენობები. აფრიკელი ათვალიერებდა მათ, რობოტ-მდივანს მომავალი წიგნისათვის ჩანაწერებს კარნახობდა. მანქანა ბეჭდავდა, ფურცლებს ნომრავდა და ფრთხილად კეცავდა, არჩევდა თემებისა ან განზოგადებების მიხედვით.

როცა დაიღლებოდა, მვენ მასი გამორთავდა დარაბებს და სარკმელთან მიდიოდა, შორს გასცქეროდა და წარსულზე დიდხანს ფიქრობდა.

მას არ უკვირდა, რომ კაცობრიობის ჯერ კიდევ მახლობელი კულტურიდან ბევრი რამ უკვე არარაობაში გადავიდა. მთლიანად გაქრა მსოფლიოს გათიშვის ერისათვის აგრერიგად დამახასიათებელი სიტყვიერი სიზუსტენი - ზეპირი და დამწერლობითი გონებამახვილობანი, რაც ოდესღაც დიდი განათლების ნიშნად ითვლებოდა. შეწყდა სიტყვის მუსიკის დამწერლობა, აგრერიგად გავრცელებული სშე-საერთო შრომის ერაში, გაქრა სიტყვებით მოხდენილი ჯამბაზობა, ე. წ. მახვილსიტყვაობა. კიდევ უფრო ადრე გაქრა საკუთარი აზრების დაფარვის აუცილებლობა, უაღრესად მნიშვნელოვანი

გმე-სათვის. ყოველგვარი საუბარი ბევრად უბრალო და მოკლე გახდა. როგორც ჩანს, დიდი რკალის ერა ადამიანის მესამე სასიგნალო სისტემის განვითარების, ანუ უსიტყვო გაგების ერად გადაიქცა.

დროდადრო მვენ მასი განუწყვეტლივ ფხიზლად მყოფ მექანიკურ მდივანს მიუბრუნდებოდა და თავისი აზრების ახალ ფორმულირებებს აწვდიდა.

- რკალის ერის პირველ საუკუნეში სათავეს იღებს ლიუდა ფირის მიერ დაარსებული ხელოვნების ფლიუკტუატიური ფსიქოლოგია[57]. ლიუდა ფირმა მოახერხა მეცნიერულად დაესაბუთებინა განსხვავება ქალებისა და მამაკაცების ემოციონალურ შეგრძნებებს შორის, გაარკვია ის დარგი, რომელიც მრავალი საუკუნის მანძილზე არსებობდა როგორც ნახევრადმისტიკური ქვეცნობიერება. მაგრამ დამტკიცება თანამედროვე გაგებით - ეს საქმის მცირე ნაწილია. ლიუდა ფირმა მეტი მოახერხა - დასახა გრძნობითი აღქმების მთავარი ჯაჭვი, რომლის წყალობითაც შესაძლებელი გახდა შესაბამისობის მიღწევა სხვადასხვა სქესთა შორის.

მრეკავმა სიგნალმა და მწვანე ნათურამ უცებ აფრიკელს ტვფ-სთან დაუძახეს. მეცადინეობის საათებში გამოძახება რაღაც სერიოზულს ნიშნავდა. ავტომატური მდივანი გამოირთი. მვენ მასმა ჩაირბინა დაბლა, შორეულ სალაპარაკო კამერაში.

ეკრანიდან ვედა კონგი მიესალმა. დაფხაჭნილ ლოყებზე ღრმულები აჩნდა, ხოლო თვალები ამოშავებული ჰქონდა. გახარებულმა მვენ მასმა თავისი დიდი ხელები გაუწოდა, რაზეც ვედას შეწუხებულ სახეს ოდნავ ღიმილმა გაჰკრა.

- დამეხმარეთ, მვენ, ვიცი, რომ მუშაობთ, მაგრამ დარ ვეტერი დედამიწაზე არ არის, ერგ ნოორი შორსაა, მათ გარდა მხოლოდ თქვენ მყევხართ, რომელსაც შემიძლია უბრალოდ მივმართო ყოველგვარი თხოვნით. უბედურება მეწია...

- რაო? დარ ვეტერი?

- ო, არა! გამოქვაბულის გაწმენდის ადგილას ზვავი ჩამოწვა. - და ვედა მოკლედ მოუყვა დენ-ოფ-კულის გამოქვაბულში მომხდარ ამბავს.

- ჩემი მეგობრებიდან თქვენ ახლა ერთადერთი ხართ, რომელსაც ბრძნულ ტვინთან თავისუფალი მისვლის უფლება გაქვთ.

- ოთხთაგან რომელი გაინტერესებთ?

- დაბალი განსაზღვრულობისა.

- გავიგე. საჭიროა გამოთვალოთ ფოლადის კართან მისვლის შესაძლებლობა შრომისა და მასალების ყველაზე ნაკლებ დახარჯვის შემთხვევაში? მონაცემები შეკრებილია?

- აქა მაქვს.

მვენ მასმა ციფრების რამდენიმე რიგი ჩაიწერა.

- ახლა ისღა დარჩა, თუ როდის მიიღებს მანქანა ჩემს მონაცემებს. მოითმინეთ, ახლავე ბტ-ს მორიგე ინჟინერს დავუკავშირდები დაბალი განსაზღვრულობის ტვინი სამხრეთ ზონის ავსტრალიის სექტორში მდებარეობს.

- მაღალი განსაზღვრულობის ტვინი სადაა?

- ჩრდილოეთ საცხოვრებელი ზონის ინდოეთის სექტორში, სადაც მე ვიმყოფები... გადავრთავ, ელოდეთ.

ჩამქრალი ეკრანის წინ ვედა ცდილობდა წარმოედგინა ბრძნული ტვინი. გონებაში წამოიმართა ადამიანის გიგანტური ტვინი ნაღარევებითა და სხეულებით. ცოცხალი და მფეთქავი, თუმცა ახალგაზრდა ქალმა იცოდა, რომ ასე ეძახდნენ ყველაზე უმაღლესი კლასის გიგანტურ ელექტრონულ გამომკვლევ მანქანებს. მათ შეეძლოთ გადაეწყვიტათ თითქმის ყოველგვარი ამოცანა, რაც კი ხელმისაწვდომი იყო მათემატიკის დამუშავებული დარგებისათვის. პლანეტაზე სულ იყო სხვადასხვაგვარად დასპეციალებული ოთხი ასეთი მანქანა.

ვედა ცოტა ხანს ელოდა. ეკრანი აინთო და მვენ მასმა თხოვა ხელახლა გამოეძახა იგი ექვსი დღის შემდეგ, გვიან საღამოს.

- მვენ, თქვენი დახმარება ფასდაუდებელია!

- მხოლოდ იმიტომ, რომ მათემატიკაში ცოტაოდენი ცოდნა მაქვს? თქვენი შრომა კი ფასდაუდებელია იმიტომ, რომ იცით ძველი ენები და კულტურები. ვედა, თქვენ ძალიან ჩაეფალით მგე-ში!...

აფრიკელმა ისე გულღიად და გადამდებად გადაიხარხარა, რომ ვედამაც გაიცინა, გამოსამშვიდობებლად ხელი დაუქნია და გაქრა. დანიშნულ დროს მვენ მასმა ისევ დაინახა ახალგაზრდა ქალი ტელევიზოფონში. - შეგიძლიათ არაფერი თქვათ - ვხედავ, რომ პასუხი არასასიამოვნოა.

- დიახ. მდგომარეობა უსაფრთხოების ზღვარზე დაბალია... საერთო გზით თუ წავალთ, დანგრეული ნაწილის ჭრილი კუბიკურ კილომეტრს კირქვას შეადგენს.

- ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში რჩება მხოლოდ გვირაბის გაჭრა მეორე გამოქვაბულის სეიფებისაკენ, - ნაღვლიანად თქვა ვედამ.

- ღირს ეს საქმე ასე ძლიერ შესაწუხებლად?

- მაპატიეთ, მვენ, მაგრამ თქვენც ხომ იდექით კარის წინ, რომელიც საიდუმლოს ფარავდა. თქვენი საიდუმლო დიდია და საერთო-საზოგადო, ჩემი კი პატარაა, მაგრამ ემოციონალურად ჩემი მარცხი თქვენი მარცხის ტოლია.

- ჩვენ ორთავენი ერთნაირად დავმარცხდით. შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ კიდევ არაერთხელ დავეჯახებით ფოლადის კარს. რაც უფრო გაბედული და ძლიერი იქნება მისწრაფება, მით უფრო ხშირად შეგვხვდება კარები.

- რომელიმე ხომ გაიღება!

- კი!

- მაგრამ თქვენ ხომ მიზანზე საბოლოოდ არ ჩაგიქნევიათ ხელი?

- ცხადია. შევაგროვებთ ახალ ფაქტებს. უფრო სწორ მოსაბრუნთა მაჩვენებლებს. კოსმოსის ძალა ისე წარმოუდგენლად დიდია, რომ ჩვენ მხრივ გულუბრყვილობა იქნებოდა მასზე უბრალო საჩხრეკელით მივარდნილიყავით... ზუსტად ისევე, თქვენ რომ ხელით გაგეღოთ სახიფათო კარი.

- მთელი სიცოცხლე რომ დაგჭირდეს ცდა?

- ცოდნის ასეთი ნაბიჯისათვის ჩემი ინდივიდუალური სიცოცხლე რას წარმოადგენს!

- მვენ, სადღაა თქვენი დაუცხრომელი მოუთმენლობა?

- იგი არ გამქრალა, მაგრამ ალაგმულია დარდისაგან...

- რენ ბოსი?

- ნაკლებ წუხს. თავისი აბსტრაქციის დაზუსტების ძიებას აგრძელებს.

- მესმის. ერთი წუთით, მვენ, რაღაც მნიშვნელოვანია.

ვედა ეკრანიდან გაქრა და როცა ხელახლა აინთო, მვენ მასის წინაშე თითქო სხვა, ახალგაზრდა და უდარდელი ქალი იდგა.

- დარ ვეტერი მიწაზე ჩამოდის. თანამგზავრი ოცდაჩვიდმეტი ვადამდე დაამთავრა.

- ასე ჩქარა? ყველაფერი გაკეთებულია?

- არა, მხოლოდ გარეგან აწყობას მორჩნენ და ძალისმიერი მანქანები დააყენეს. შიდა სამუშაოები უფრო უბრალოა. იგი დასასვენებლად გამოიძახეს, აგრეთვე ანალიზი უნდა გაუკეთოს უინი ანტის მოხსენებას - რკალში ცნობების გადაცემის ახალი მეთოდების შესახებ.

- გმადლობთ, ვედა! სასიხარული იქნება დარ ვეტერის ნახვა.

- უეჭველად ნახავთ... ბოლომდე არ მითქვამს, მთელი პლანეტის ძალღონის დაძაბვით ახალ ვარსკვლავმფრენ „გედისათვის“ მომზადებულია ანამეზონის მარაგი. თქვენ?..

- ვიქნები. პლანეტა გამოთხოვებისას „გედის“ ეკიპაჟს ყველაფერს აჩვენებს, რაც კი მშვენიერი და საყვარელი გააჩნია. მათ სურდათ ანთებული ფიალების დღესასწაულზე ჩარას ცეკვაც ენახათ. ჩარა თვითონ წავა ელ ხომრის ცენტრალურ კოსმოპორტში. იქ შევხვდებით!

- კარგი, მვენ მას, საყვარელო!

თავი **XV.** ანდრომედას ნისლეული

ჩრდილოეთ აფრიკაში, დიდი სირტის სრუტის სამხრეთით, ელ ხომრის ვეებერთელა დაბლობია გადაჭიმული. პასატური რკალების შესუსტებამდე და ჰავის შეცვლამდე აქ იყო ჰამადა - უბალახო უდაბნო, რომელიც მთლიანად გაპრიალებული ღორღისა და მოწითალო სამკუთხედი ქვების ჯავშანში იყო ჩაჭედილი. ამ მოწითალო ქვებიდან მიიღო ჰამადამ თავისი სახელწოდება „წითელი“. ეს უდაბნო მზიან დღეში დამაბრმავებელი მხურვალე ცეცხლის ზღვას ჰგავდა, ხოლო შემოდგომისა და ზამთრის ღამეებში ცივი ქარების ზღვას.

- ახლა ჰამადისაგან მხოლოდ ქარი-ღა დარჩა, იგი დაბლობის მაგარ ნიადაგზე სამხრეთ აფრიკის სტეპებიდან გადმოსახლებული მოცისფერო-ვერცხლისფერი მაღალი ბალახის ტალღებს არწევდა. ქარის წივილი და მოცახცახე ბალახი მახსოვრობაში მწუხარების საოცარ გრძნობას აღვიძებდა, სტეპის ბუნებას სულიერ მოკეთედ მოგაჩვენებდა, თითქო უკვე შეგხვედრია ცხოვრებაშიო. შეგხვედრია მრავალჯერ, თანაც სხვადასხვა მდგომარეობაში - მწუხარებასა და სიხარულში, რაიმეს დაკარგვისა თუ პოვნის დროს.

ვარსკვლავმფრენის ყოველი მოფრენა ან გაფრენა დაახლოებით კილომეტრის მანძილზე გადამწვარ, მოწამლულ წრეს სტოვებდა. ამ წრეებს წითელი ლითონის ბადურით გადაღობავდნენ და ათი წლის განმავლობაში ხელს არ ახლებდნენ. ეს ორჯერ აღემატებოდა ვადას, რომელიც ძრავების გამონაბოლქვის დაშლას სჭირდებოდა. ხომალდის დაჯდომის ან გამგზავრების შემდეგ კოსმოპორტი სხვა ადგილას გადაჰქონდათ. ეს პორტის შენობასა და მოწყობილობებს, დროებითობის არახანგრძლივობის დაღს ასვამდა, ხოლო მომსახურე პერსონალს ანათესავებდა საჰარის ძველ მკვიდრებთან, რომლებიც რამდენიმე ათას წელს მომთაბარეობდნენ ამ ადგილებში ყელმრუდი და ფეხკორძიანი კუზიანი ცხოველებით. ამ ცხოველებს აქლემები ეწოდებოდა.

პლანეტმფრენმა „ბარიონმა'' დედამიწასა და მშენებლობის პროცესში მყოფ თანამგზავრს შორის მეცამეტე რეისი გააკეთა და დარ ვეტერი არიზონის სტეპში ჩამოიყვანა. არიზონის სტეპი ჰავის შეცვლის შემდეგაც უდაბნოდ დარჩა ნიადაგში რადიოაქტივობის დაგროვების გამო. ატომგულის ენერგიის აღმოჩენის წინ მგე-ში აქ მრავალ ცდას და ახალ სახეობათა ტექნიკის გასინჯვას აწარმოებდნენ. აქამდე დარჩა

რადიოაქტიური შლის პროდუქტების მომწამვლელი კვალი - ძალიან სუსტი იმისათვის, რომ ადამიანს ავნოს, მაგრამ საკმარისი, რათა ხეებისა და ბუჩქების გაზრდას ხელი შეუშალოს.

დარ ვეტერი ტკბებოდა დედამიწის არა მარტო მშვენიერი მომხიბვლელობით - თეთრი ღრუბლების მსუბუქ კაბაში გამოწყობილი ლურჯი ცით, არამედ მტვრიანი ნიადაგითაც, მეჩხერი და უხეში ხალახითაც.

დიდებულია მტკიცედ მიაბიჯებდე დედამიწაზე ოქროსფერი მზისქვეშ, სახეს უშვერდე მშრალ და გრილ ქარს მხოლოდ კოსმოსურ უფსკრულის საზღვარზე ყოფნის შემდეგ შეიძლება გაიგოთ ჩვენი პლანეტის მთელი სილამაზე, პლანეტისა, რომელსაც ოდესღაც ჩვენმა არც თუ ისე გონიერმა წინაპრებმა „მწუხარებისა და ცრემლის წილხვედრი“ უწოდეს!.

გრომ ორმი და დარ ვეტერი ელ ხომრში ექსპედიციის გამგზავრების დღეს ჩამოვიდნენ.

დარ ვეტერმა შებურულ რუხ ფოლადისფერ დაბლობზე ციდან ორი გიგანტური სარკე

შეამჩნია. მარჯვენა თითქმის წრე იყო, მარცხენა - გრძელი, ბოლოსაკენ წამახვილებული ელიპსი. სარკეები ცოტა ხნის წინათ გაფრენილი ოცდამეთვრამეტე ვარსკვლავეთის ექსპედიციის ხომალდთა ნაკვალევები იყო.

წრე - „ტინტაჟელის“ ანაფრენი ადგილი იყო. „ტინტაჟელი საშინელი ვარსკვლავისაკენ გაემართა. იგი უზარმაზარი აპარატებით დატვირთეს, რათა კარგად შეეღწიათ კოსმოსის სიღრმიდან გამოფრენილ სპირალო დისკში. ელიფსი - უფრო ღრუ „აელლას“ აფრენის ნაკვალევი იყო. ხომალდმა თან წაიყვანა მეცნიერთა დიდი ჯგუფი სამმაგი ვარსკვლავის ომიკრონ 2 ერიდანას თეთრ ჯუჯაზე მატერიის ცვლილებათა გამოსარკვევად. ძრავების ენერგიის დარტყმის ადგილას მიწა მეტრნახევარზე იყო ჩაღრმავებული, ხოლო ქვიანი ნიადაგიდან ფერფლიღა დარჩენილიყო. ამ ფერფლზე წებოვანი სითხე მოესხათ, რათა ქარს არ გაეფანტა. დარჩა ერთადერთი - ძველი საფრენოსნო მოედნიდან ღობურების გადატანა ამას „გედის“ გაფრენის შემდეგ გააკეთებენ.

აი რუხ-თუჯისფერ სითბურ ჯავშანში ჩამჯდარი „გედი“. ჯავშანოატმოსფეროს გაკვეთის დროს დაიწვება. შემდეგ ხომალდი გზას გააგრძელებს თავისი მბრწყინავი გარსაცმით, რომელიც რადიაციის ყოველგვარ სახეობას აირეკლავს. მაგრამ ამ სიდიადეში მას ვერავინ ვერ დაინახავს გაფრენის მეთვალყურე რობოტ-ავტომატების გარდა. ეს ავტომატები ადამიანებს მხოლოდ მანათობელი წერტილების ფოტოგრაფიებს გადასცემენ. უკან, დედამიწაზე წვრილი მატეორიტული ნაწილაკების აფეთქებით დაღარული და დაჭყლეტილი, ხენით დაფარული ხომალდი დაბრუნდება. მაგრამ ახლა აქ გარსშემოხვეული ადამიანებიდან „გედს“ ვეღარავინ ვეღარ ნახავს: ისინი ვერ გასძლებენ ასსამოცდათორმეტ წელიწადს, რაც საჭიროა ექსპედიციის დაბრუნებისათვის. ასსამოცდარვა დამოუკიდებელი წელიწადი გზაში დასჭირდებათ, ოთხი წელიწადი პლანეტებზე გამოკვლევებს მოუნდებიან, მოგზაურთათვის კი ეს მხოლოდ ოთხმოცი წელიწადი იქნება.

დარ ვეტერი კი ისეთ საქმიანობას მისდევს, რომ მწვანე ვარსკვლავის პლანეტებზე „გედის“ მისვლასაც ვერ მოესწრება. როგორც წინათ, იჭვიანობის დროს დარ ვეტერს ადაფრთოვანებდა რენ ბოსისა და მვენ მასის გაბედული

აზრი. დაე მათი ცდა ჩაიშალოს, დაე ეს საკითხი, რომელმაც კოსმოსის ფუნდამენტი შეარხია, ჯერ კიდევ

შორს იყოს გადაწყვეტისაგან, დაე, იგი მცდარი ფანტაზია აღმოჩნდეს. ეს გიჟები - კაცობრიობის შემოქმედებითი აზრის გიგანტები არიან, რადგან მათი თეორიისა და ცდის უარყოფითაც კი ცოდნის უზარმაზარ განვითარებამდე მივლენ.

დაფიქრებული დარ ვეტერი უსაფრთხოების ზონის სიგნალს კინაღამ დაეჯახა, შემობრუნდა და ტელეგადაცემის თვითმოძრავი კოშკის ძირას ნაცნოგი ფიგურა შეამჩნია. მისკენ ურჩი ჟღალი თმების რხევით და მახვილი თვალების ხამხამით რენ ბოსი გამოექანა. წვრილი, ძლივს შესამჩნევი ნაჭდევების ბადემ შეცვალა ფიზიკოსის სახე, წამებისა და დაძაბულობის ნაოჭები დააჩინა.

- სასიხარულოა შენი ჯანმრთელად ნახვა, რენ!

- ძალიან მჭირდებით! - რენ ბოსმა დარ ვეტერს პატარა, ჭორფლიანი ხელები გაუწოდა.

- რას აკეთებთ აქ, გაფრენამდე ასე ადრე?

- „აელლა“ გავაცილე, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია მონაცემები ასე მძიმე ვარსკვლავის გრავიტაციის შესახებ. გავიგე, რომ თქვენ მოხვიდოდით და დავრჩი... დარ ვეტერი დუმდა, განმარტებას ელოდა.

- თქვენ იუნი ანტის თხოვნით საგარეო სადგურების ობსერვატორიას უბრუნდებით?

დარ ვეტერმა თავი დაუქნია.

- ანტმა უკანასკნელ ხანს რკალის მიღებაზე რამდენიმე გაუშიფრავი ცნობა ჩაიწერა...

- ყოველ თვეში ხდება ცნობათა მიღება ისეთ დროს, რომელიც ინფორმაციისათვის არაა განკუთვნილი და ჩართვის მომენტში სადგურები მიწის ორი საათით გადაიწევა ხოლმე. წლის მანძილზე შემოწმებაში დედამიწის ერთი დღე-ღამე გადის, ხოლო რვა წლის განმავლობაში გალაქტიკური წამის მეასიათასედი ნაწილი... ასე ივსებ კოსმოსიდან მიღების გამოტოვებული ადგილები. რვაწლიან ციკლის უკანასკნელი ნახევარი წლის მანძილზე დავიწყეთ ძალიან შორეული, ჩვენთვის გაუგებარი ცნობების მიღება.

- მე ისინი უსაზდვროდ მაინტერესებს.

- რასაც გავიგებ, ყველაფერს დაუყოვნებლივ გაცნობებთ. ან კიდევ უკეთესია - მიიღეთ მონაწილეობა მუშაობაში.

რენ ბოსმა სიხარულით ამოიხვნეშადა იკითხა: აქ

ვედა კონგიც მოვა.

- დიახ. ველოდებით. თქვენ ხომ იცით, კინაღამ დაიღუპა, როცა იკვლევდა გამოქვაბულს - ძველი ტექნიკის საწყობს სადაც ფოლადის დახშული კარი აღმოჩნდა.

- არაფერი გამიგონია.

- მე კი დამავიწყდა, რომ თქვენ, ისევე როგორც მვენ მასს, ისტორია ღრმად არ გაინტერესებთ. მთელი პლანეტა განიხილავს, რა შეიძლება იმალებოდეს კარს უკან. მილიონობით მოხალისე მზად არის გათხრებში მიიღოს მონაწილეობა. ვედამ გადაწყვიტა საკითხი სტოხასტიკისა და მომავლის წინასწარმეტყველების აკადემიას გადასცეს.

- ვედა ნალი არ მოვა?

- არა, არ შეუძლია.

- ბევრი ნაწყენი დარჩება. ვედას ძალიან უყვარს ევდა, ხოლო ჩარა პირდაპირ მოხიბლულია მისით. ჩარა გახსოვთ?

- ეს... ჯიქს რომ ჰგავს?

დარ ვეტერმა ხუმრობით შეშინებულივით გაშალა ხელები.

- აი ქალის სილამაზის თაყვანისმცემელი. თუმცა მე ყოველთვის ვიმეორებ შეცდომას, რომელსაც წარსულის ადამიანები ჩადიოდნენ, ფსიქოფიზიოლოგიისა და მემკვიდრეობითობის არაფერი რომ არ ესმოდათ. ყოველთვის მინდა სხვებში ჩემი გაგება და გრძნობები დავინახო.

რენ ბოსი მონანიებაში არ აჰყვა ვეტერს და თქვა:

- ევდა, როგორც პლანეტის ყველა მცხოვრები, გაფრენას თვალყურს ადევნებს.

ფიზიკოსმა ვარსკვლავმფრენის გარშემო ნახევარწრედ განლაგებული მაღალი სამფეხების რიგებზე მიუთითა. სამფეხებს ჰქონდათ კამერები თეთრი, ინფრაწითელი და ულტრაიისფერი მიღებისათვის სხვადასხვა ჯგუფის სხივები ფერად გამოსახულებაში ეკრანს ნამდვილ სითბოსა და სიცოცხლეს შთაბერავდა,

ხოლო ობერტონული დიაფრაგმები[58] ხმის გადაცემისას ლითონის ხმაურს სპობდნენ.

დარ ვეტერმა ჩრდილოეთისაკენ გაიხედა, საიდანაც მძიმე. ბაჯბაჯით მოფორთხავდნენ ხალხით გადატვირთული ავტომატური ელექტრობუსები, პირველივე მოსული მანქანიდან ვედა კონგი გადმოხტა, გამორბოდა და ფეხებში ბალახები ედებოდა - გამოქცეული ისე მიეხუტა დარ ვეტერს ფართო მკერდზე, რომ თავის ორივე მხარზე დაწნული ჩამოყრილი გრძელი ნაწნავები მამაკაცს მხრებზე დაეფინა.

დარ ვეტერმა ვედა ოდნავ უკან დასწია, შეათვალიერა მისი უსაზღვროდ ძვირფასი სახე, რომლისთვისაც თმის უცნაურ ვარცხნილობას ახალი ელფერი მიეცა.

- საბავშვო ფილმისათვის ბნელი საუკუნეების ჩრდილოეთის დედოფლის როლი ვითამაშე და ტანსაცმლის გამოცვლა ძლივს მოვასწარი - ოდნავ ქოშინით აუხსნა ახალგაზრდა ქალმა. - თმის დავარცხნის დრო აღარ დამრჩა.

დარ ვეტერმა წარმოიდგინა იგი გრძელ, ტანზე კარგად მომდგარ ფარჩის კაბაში, ლურჯი ქვებით მოოჭვილი ოქროს გვირგვინით, მუხლებამდე დაშვებული ფერფლისფერი ნაწნავებით ნაცრისფერი მამაცური თვალებით და მხიარულად გაიღიმა.

- გვირგვინი გქონდა?

- ო, მერე როგორი, - ვედამ ჰაერში თითით სამყურის მსგავსი მსხვილქონგურებიანი ფართო რკალის კონტური შემოხაზა.

- დღესვე ვთხოვ მათ გაჩვენონ ფილმი.

დარ ვეტერი მოემზადა ეკითხა, თუ ვის ეხებოდა საიდუმლო „მათ“, მაგრამ ვედა

სერიოზულ ფიზიკოსს მიესალმა. ფიზიკოსმა გულუბრყვილოდ და გულწრფელად გაიღიმა.

- სად არის ახერნარის გმირი- რენ ბოსმა ვარსკვლავმფრენის გარშემო ძველებურად უკაცური ველი მოათვალიერა.

- იქ! - ვედამ ღია მწვანე დაბურული მინის ფინებისაგან კარვის მსგავსად აგებულ შენობაზე მიუთითა, რომელსაც გარე კოჭები მოვერცხლილი აჟურული წიბოებით ჰქონდა მორთული. ეს კოსმოპორტის მთავარი დარბაზი იყო.

- აბა, წავიდეთ.

- ჩვენ ზედმეტნი ვართ, - მტკიცედ თქვა ვედამ.- ისინი დედამიწის გამოსამშვიდობებელ სალამს უცქერენ... „გედთან“ წავიდეთ.

მამაკაცები დამორჩილდნენ.

დარ ვეტერის გვერდით მიმავალმა ვედამ ჩუმად იკითხა:

- თმის ასეთი ძველებური ვარცხნილობით ძალიან ბრიყვული შესახედაობა ხომ არა მაქვს? მე შემიძლია...

- არ არის საჭირო, მომხიბლავი კონტრასტია თანამედროვე ჩაცმულობასთან - ნაწნავები ქვედა კაბაზე უფრო გრძელია. დაე იყოს მაგრე.

- გემორჩილებით ჩემო ვეტერ. - წასჩურჩულა ვედამ მაგიური სიტყვები, რომელმაც მამაკაცს გული აუჩქროლა.

ასობით ადამიანი აუჩქარებლად გაემართა ხომალდისკენ. ვედას ძალიან ბევრნი უღიმოდნენ, ხელის აწევით ესალმებოდმენ ბევრად უფრო ხშირად, ვიდრე დარ ვეტერს ან რენ ბოსს.

- თქვენ პოპულარული ხართ, ვედა, - შენიშნა რენ ბოსმა.- რა არის ეს - ისტორიკოსის საქმიანობა.. თუ თქვენი სახელგანთქმული სილამაზე? - არც ერთი და არც მეორე. ეს არის ხალხთან მუდმივი და მჭიდრო ურთიერთობა, რასაც ჩემი მუშაობის ხასიათია საზოგადოებრივი საქმიანობა იწვევს. თქვენ და ვეტერი ხან ლაბორატორიების წიაღში ჩაიკეტებით, ხანაც დაძაბული ღამეული მუშაობისათვის განმარტოვდებით. თქვენ კაცობრიობისათვის ჩემზე ბევრად უფრო მეტს და ბევრად უფრო მნიშვნელოვანს აკეთებთ. მაგრამ აკეთებთ მხოლოდ ერთი მხრისათვის და ისიც ისეთი მხრისათვის, რომელიც გულთან ყველაზე ახლო არაა. ჩარა ნანდი და ევდა ნალი ჩემზე ბევრად უფრო ცნობილნი არიან...

- ისევ ჩვენი ტექნიკური ცივილიზაციის საყვედურს ამბობთ? - მხიარულად გაჰკილა დარ ვეტერმა.

- ჩვენი კი არა, ძველი საბედისწერო შეცდომების გადმონაშთებისას. ჯერ კიდევ ათასი წლების წინათ ჩვენმა წინაპრებმა იცოდნენ, რომ საზოგადოებისათვის ხელოვნება და მასთან ერთად ადამიანის გრძნობების განვითარება არა ნაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე მეცნიერება.

- ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულების აზრით - იკითხა დაინტერესებულმა ფიზიკოსმა - დიახ, სწორია.

- რომელიღაც ძველმა ბრძენმა თქვა, რომ დედამიწაზე ყველაზე ძნელი სიხარულის შენარჩუნებაა, - ჩაურთო დარ ვეტერმა. - შეხედეთ, აი ვედას კიდევ ერთი ერთგული მოკავშირე.

პირდაპირ მათკენ მსუბუქი, ფართო ნაბიჯებით მოალაჯებდა მვენ მასი და თავისი ვეებერთელა ფიგურით საერთო ყურადღებას იქცევდა.

- ჩარას ცეკვა დამთავრდა, მიხვდა ვედა. - მალე „გედის“ ეკიპაჟიც გამოჩნდება.

- მე მათ ადგილას აქეთკენ ფეხით წამოვიდოდი და ისიც, რაც შეიძლება ნელა, - უცებ თქვა დარ ვეტერმა.

- შენ უკვე ღელავ? - ვედამ ხელი ხელში გაუყარა.

- ცხადია. იმის გაფიქრებაც კი მტანჯავს, რომ ისინი სამუდამოდ მიდიან, ამ ხომალდს მეტად ვეღარ შევხედავ. ჩემში რაღაც შინაგანი გრძნობა ეწინააღმდეგება ამ აუცილებელ განწირულობას. შეიძლება იმიტომაც, რომ იქ ჩემი ახლობელი ადამიანები იქნებიან.

- ცხადია, არა მაგიტომ. - ჩაერია მოახლოვებული მვენ მასი, რომლის მახვილმა ყურმა დარ ვეტერის სიტყვები შორიდანვე დაიჭირა, - ესაა ადამიანის დაუცხრომელი პროტესტი დაუმორჩილებელი დროის წინააღმდეგ.

- შემოდგომის ნაღველია? -დამცინავი კილოთი ჰკითხა რენ ბოსმა და გაუღიმა ამხანაგს.

- თქვენ შეამჩნიეთ, რომ ზომიერი განედების ნაღვლიანი შემოდგომა განსაკუთრებით ენერგიულ, სიცოცხლის მოყვარულ და ღრმად მგრძნობიარე ადამიანებს უყვართ? -შეეკამათა მვენ მასი და ფიზიკოსს ხელი მხრებზე მეგობრულად მოუთათუნა.

- სწორად შეგიმჩნევიათ! -აღტაცებაში მოვიდა ვედა.

- ძალიან ძველია...

- დარ ვეტერ, ველზე ხართ? დარ ვეტერ, ველზე ხართ? - საიდანღაც მარცხნივ და მაღლა დაიგუგუნა ხმამ. - თქვენ ტვფ-ს ცენტრალურ შენობაში იუნი ანტი გიხმობთ! რენ ბოსი შეკრთა და გაიმართა.

- შეიძლება თქვენთან წამოვიდე, დარ ვეტერ?

- წადით ჩემს მაგიერ. თქვენ შეგიძლიათ გამოტოვოთ გაფრენა. იუნი ანტს უყვარს ჩანაწერის ჩვენება კი არა, არამედ ძველებურად პირდაპირი დაკვირვება, - ამაში იგი მვენ მასს ჰგავს.

რენ ბოსი მყუდრო, მრგვალ ოთახში შევიდა. მორიგე ოპერატორმა ჩამრთველი გაატკაცუნა და მარჯვენა გვერდით ეკრანზე მიუთითა, სადაც აღელვებული იუნი ანტი გამოჩნდა. მან ყურადღებით შეათვალიერა ფიზიკოსი, მიხვდა დარ ვეტერის გამოუცხადებლობის მიზეზს და რენ ბოსს თავი დაუქნია.

- მიმდინარეობს პროგრამის გარეშე მიღება - ძიება ძიება ძველი მიმართულებით და 62/77 დიაპაზონით. ასწიეთ მიმართულებითი გამოსხივების ძაბრი, მოახდინეთ ობსერვატორიაზე ორიენტირება. მე სხივ-ვექტორს პირდაპირ ხმელთაშუა ზღვაზე ელ ხომრზე გადავტყორცნი - იუნი ანტმა გვერდზე გაიხედა და დაუმატა - ჩქარა!

მიღებებში გამოცდილმა მეცნიერმა მოთხოვნა ორ წუთში შეასრულა. ჰემისფერული

ეკრანის სიღრმეში გიგანტური გალაქტიკის გამოსახულება გამოჩნდა. ორთავე მეცნიერმა შეუცდომლად იცნეს ადამიანისათვის ძველთაგანვე ნაცნობი ანდრომედას ნისლეული, ანუ M-31.

სპირალზე დამკვირვებლისათვის მახლობელ შიდა რკალზე, თითქმის ვეებერთელა გალაქტიკის დისკოს ლინზისმაგვარი რაკურსის შუაში, ნაპერწკალი აინთო. იქ იტოტებოდა ვარსკვლავთა სისტემა რომელიც ბეწვისოდენა გეჩვენებოდათ, თუმცა უეჭველია ასეული პარსეკის სიგრძის უზარმაზარი ტოტი იყო. ნაპერწკალი თანდათან. იზრდებოდა. მასთან ერთად იზრდებოდა „ბეწვიც“, მაშინ, როდესაც გალაქტიკა გაქრა, მხედველობის არის იქით გადნა. ეკრანის გასწვრივ წითელი და ყვითელი ვარსლვავების ნაკადი გაიჭიმა. ნაპერწკალი პატარა წრედ იქცა და ვარსკვლავეთის ნაკადის სულ ბოლოზე ანათებდა. ნაკადს ნაპირიდან K სპექტრალური კლასის ნარინჯისფერი ვარსკვლავი გამოეყო. მის გარშემო პლანეტების ძლივს შესამჩნევი წერტილები დატრიალდა. ერთერთმა მათგანმა მთლიანად დაკარგა ვარსკვლავი. მასზე შუქის წრე აინთო. უცებ ყველაფერი წითელ ხვეულებად და მოციმციმე მფრინავ ნაპერწკლებად ატრიალდა. რენ ბოსმა თვალები დახუჭა...

- ეს გაწყვეტაა - თქვა გვერდითი ეკრანიდან იუნი ანტმა. მე თქვენ გაჩვენეთ მახსოვრობის მანქანების მიერ გასული თვის დაკვირვების ჩანაწერი. გადავრთავ პირდაპირი მიღების არეკლვაზე.

ეკრანზე ძველებურად ნაპერწკლები და მუქ-წითელი ფერის ხაზები ტრიალებდა.

- საოცარი მოვლენაა! -წამოიძახა ფიზიკოსმა - თქვენ როგორ ხსნით ამ გაწყვეტას?

- შემდეგ ვილაპარაკოთ. ახლა გადმოცემა განახლდება, მაგრამ თქვენ საოცრებად რას თვლით?

- წყვეტილ წითელ სპექტრს. ანდრომედას ნისლეულის სპექტრში იისფერი ნარევია. ესე იგი ჩვენსას უახლოვდება.

- გაწყვეტას ანდრომედასთან არავითარი კავშირი არა აქვს. ეს ადგილობრივი მოვლენაა.

- თქვენ ფიქრობთ, რომ მათი გადამცემი სადგური შემხვევითაა გალაქტიკის ყველაზე

უფრო განაპირას გადატანილი, ზონაში რომელიც უფრო მეტადაა დაცილებული ცენტრიდან, ვიდრე მზისზონა ჩვენი გალაქტიკიდან. იუნი ანტმა რენ ბოსი სკეპტიკურად აათვალიერა.

- თქვენ ყოველთვის მზად ხართ სადისკუსიოდ გავიწყდებათ, რომ ანდრომედას ნისლეული ოთხას ორმოცდაათი ათასი პარსეკის მანძილიდან გველაპარაკება.

- ო, დიახ.- შეცბა რენ ბოსი. - უკეთესია ვთქვათ მილიონ ნახევარი სინათლის წლის მანძილიდან. ცნობა გამოგზავნილია თხუთმეტი ათასი საუკუნის წინათ. და ახლა ჩვენ ვხედავთ მას, რაც გამოგზავნილი იყო დიდი ხნით ადრე გამყინვარების ეპოქის დადგომამდე და დედამიწაზე ადამიანის წარმოშობამდე - იუნი ანტი შესამჩნევად მოლბა.

წითელმა ხაზებმა შეანელეს ბრუნვა, ეკრანი ჩაქრა და უცებ ისევ აენთო. ბუნდოვან შუქში ძლივს გაირჩეოდა ბინდიანი ბრტყელი დაბლობი: მასზე საოცარი სოკოსმაგვარი

ხელსაწყოები იყო მიმოფანტული. ხილული ნაკვეთის წინა ნაწილის მახლობლად ცივად ბრწყინავდა დაბლობის მასშტაბისათვის გიგანტური, აშკარად ლითონის ზედაპირის მქონე ცისფერი წრე. წრის ზუსტად ცენტრში ერთიმეორის თავზე დიდი ორმხრივ ამოზნექილი ბადროები ეკიდა. არა, კი არ ეკიდა, არამედ ნელნელა ადიოდა მაღლა-მაღლა. დაბლობი გაქრა, ეკრანზე დარჩა მხოლოდ ერთი იმ ბადროთაგანი, ქვემოდან უფრო ამოზნექილი, ვიდრე ზემოდან, უხეში ორმხრივი სპირალური ნეკნებით.

- ეს ისინია.... ისინი!.. - სხაპასხუპით დაიყვირეს მეცნიერებმა. ისინი იმ მსგავსებაზე ფიქრობდნენ, რომელიც გამოსახულებას ოცდამეჩვიდმეტე ექსპედიციის მიერ რკინის ვარსკვლავის პლანეტაზე ნაპოვნი სპირალოდისკის სურათებსა და ნახაზებთან ჰქონდა.

წითელი ხაზების ახალი ქარბორბალა ატრიალდა და ეკრანი ჩაქრა. რენ ბოსი იცდიდა, თვალის ერთი წუთით მოცილებაც კი ეშინოდა. ეს იყო ადამიანის პირველი თვალი, რომელიც სხვა გალაქტიკის ცხოვრებასა და აზროვნებას მისჩერებოდა! მაგრამ ეკრანი არ აინთო. ტელევიზოფონის გვერდით დაფაზე იუნი ანტი ალაპარაკდა.

ცნობების გადმოცემა გაწყდა. შემდგომი ცდა, დედამიწის ენერგიის მოცდენა, არ შეიძლება. მთელი პლანეტა შეშფოთდება. ეკონომიკის საბჭოს უნდა ვთხოვოთ, რომ პროგრამის გარეშე მიღებები ორჯერ უფრო ხშირად აწარმოოს. მაგრამ ეს „გედის“ გაგზავნიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ გახდება შესაძლებელი. ახლა ვიცით, რომ რკინის ვარსკვლავზე მჯდომი ვარსკვლავმფრენი იქიდანაა. ერგ ნოორის აღმოჩენა რომ არა, მაშინ აქ დანახულს საერთოდ ვერ მივხვდებოდით.

- და იგი, ის ბადრო, იქიდან მოვიდა? რამდენ ხანს ფრინავდა? - თითქო თავის თავს ჰკითხა რენ ბოსმა.

- იგი მკვდარი მოფრინავდა ორივე გალაქტიკის გამყოფ სივრცეში დაახლოებით ორი მილიონი წლის განმავლობაში, - მკაცრად უპასუხა იუნი ანტმა, - სანამ ტვარსკვლავის პლანეტაზე არ ნახა თავშესაფარი. ჩანს, ეს ვარსკვლავმფრენები ისეა მოწყობილი, რომ ავტომატურად სხდებიან, თუმცა ათასჯერ ათასი წელიწადი მისი მართვის სახელურებს არავინ მიჰკარებია.

- შეიძლება ისინი დიდხანს ცოცხლობენ?

- მაგრამ არა მილიონ წელიწადს. ესთერმოდინამიკის კანონებს ეწინააღმდეგება, - ცივად უპასუხა იუნი ანტმა - და კოლოსალური ზომების მიუხედავად, სპირალოდისკს არ შეეძლო თან წამოეყვანა მთელი პლანეტის ადამიანები... მოაზროვნე არსებები. არა, ჯერჯერობით ჩვენს გალაქტიკებს არ შეუძლიათ არც ერთმანეთამდე მიღწევა, არც ცნობების მიწოდება ურთიერთისათვის.

- შეუძლიათ, - დარწმუნებით წარმოთქვა რენ ბოსმა, გამოეთხოვა იუნი ანტს და უკანვე კოსმოპორტის ველისაკენ გაემართა.

დარ ვეტერი და ვედა, ჩარა და მვენ მასი გამცილებელთა ორი გრძელი რიგიდან ოდნავ მოცილებით იდგნენ. ყველანი ცენტრალური შენობისაკენ შებრუნდნენ. მახლობლად უხმაუროდ ჩაიარა ფართო ბაქანმა. გამცილებლები ხელებს

უქნევდნენ და, რასაც ადამიანები საზოგადოებაში მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში აკეთებენ - შეძახილებით ესალმებოდნენ. ბაქანზე „გედის“' ეკიპაჟის ყველა ოცდაორი კაცი იმყოფებოდა.

ბაქანი ვარსკვლავმფრენთან მივიდა. მაღალ მოძრავ ამწესთან იცდიდნენ ადამიანები, რომელთაც თეთრი კომბინეზონები ეცვათ, სახეები დაღლილობისაგან გაფითრებოდათ. ესენი იყვნენ გაფრენის კომისიის ოცი წევრი. კომისია ძირითადად კოსმოპორტის ინჟინერმუშებისაგან შეედგინათ. უკანასკნელი დღე-ღამის განმავლობაში მათ საგნების აღმრიცხველი მანქანების დახმარებით შეამოწმეს ექსპედიციის მთელი აღჭურვილობა და ტენზორული აპარატებით ერთხელ კიდევ გასინჯეს ხომალდის მზადყოფნა.

ვარსკვლავფრენის დასაწყისიდანვე დაკანონებული წესის მიხედვით კოსმოსის თავმჯდომარემ მოხსენება წარუდგინა ერგ ნოორს, რომელიც ხელახლა აირჩიეს ვარსკვლავფრენისა და ახერნარის ექსპედიციის უფროსად. კომისიის სხვა წევრებმა თავიანთი შიფრები, სურათები და სახელები დაწერეს ბრინჯაოს დაფაზე, გადასცეს ერგ ნოორს, გამოეთხოვენ და განზე გადგნენ. მაშინ ხომალდს გამცილებლები მიაწყდნენ. ადამიანები მოგზაურთა წინ ჩამწკრივდნენ, მახლობლები ამწის პატარა თავისუფლად დარჩენილ ბაქანზე აუშვეს. კინოგადამცემები წამსვლელთა თვითეული ჟესტის ფიქსირებას ახდენდნენ - მშობლიურ პლანეტაზე უკანასკნელ სახსოვარს იტოვებდნენ.

ერგ ნოორმა შორიდან დაინახა ვედა, ბრინჯაოს სერტიფიკატი ასტრომფრინავის ფართო ქამარში ჩაიჩარა და სწრაფად მივიდა ახალგაზრდა ქალთან.

- რა კარგია, რომ მოხვედით, ვედა!..

- განა სხვაგვარად შემეძლო მოვქცეულიყავით.

- თქვენ ჩემთვის დედამიწისა და ჩემი განვლილი ახალგაზრდობის სიმბოლო ხართ.

- ნიზას ახალგაზრდობა სამარადისოდ თქვენთან არის.

- არ ვიტყვი, რომ არაფერს ვნანობ - ეს სიმართლე არ იქნებოდა. ყველაზემეტად მებრალება ნიზა, ჩემი ამხანაგები და ჩემი თავი... დანაკარგი ძალიან დიდია. ამჯერად დაბრუნების შემდეგ ახლებურად შევიყვარე დედამიწა - უფრო ძლიერად, ერთი სიტყვით მთელი არსებით.

- მიუხედავად ამისა, თქვენ მაინც მიდიხართ, ერგ?

- სხვაგვარად არ შემიძლია. უარი რომ ვთქვა, კოსმოსს კი არა, დედამიწასაც დავკარგავ.

- გმირობა მით უფრო დიდია, რაც უფრო ძლიერია სიყვარული?

- თქვენ ყოველთვის კარგად გესმოდათ ჩემი, ვედა, აი ნიზაც.

- გამხდარი, ბიჭის მსგავსი ჟღალკულულებიანი ქალიშვილი მოახლოვდა და წამწამებდახრილი გაჩერდა.

- ეს ისე ძნელი აღმოჩნდა. თქვენ ყველანი... კარგები, გაკაშკაშებულნი, ლამაზები ხართ... განშორება, ცოცხალი სხეულის მშობლიური მიწიდან მოწყვეტა... - ასტრონავიგატორს ხმა აუკანკალდა.

ვედამ ინსტინქტურად მიიხუტა იგი. ქალურად ჩასჩურჩულებდა საიდუმლო დასაწყნარებელ სიტყვებს.

- საძვრომების დაკეტვამდე ცხრა წუთი დარჩა, - უხმოდ თქვა ერგმა და ვედას თვალს არ აცილებდა.

- რა ბევრი დარჩა! - ცრემლიანი ხმით გულუბრყვილოდ წამოიძახა ნიზამ.

ვედამ, ერგმა, დარ ვეტერმა, მვენ მასმა და სხვა გამცილებლებმა მწუხარებით იგრძნეს, რომ სალაპარაკო არ ჰქონდათ და გაუკვირდათ. ვერაფრით გამოითქმება გრძნობა გმირთა წინაშე, რომლებიც გმირობას იმისათვის სჩადიან, ვინც ჯერ არ არსებობს, ვინც მრავალი წლის შემდეგ მოვა. წამსვლელებმაც და დამრჩენებმაც ყველაფერი იცოდნენ - სიტყვები რაღა საჭიროა?

რა სურვილები, ხუმრობა ან დაპირებები აუთრთოლებს გულს ადამიანებს, რომლებიც სამუდამოდ ტოვებენ დედამიწას და კოსმოსის უსასრულობაში მიექანებიან?

ადამიანის მეორე სასიგნალო სისტემა არასრულყოფილი აღმოჩნდა და ადგილი მესამეს დაუთმო. მძაფრი, სიტყვებით გამოუთქმელი გრძნობებით გამსჭვალული ღრმა თვალები ერთმანეთს უსიტყვოდ და დაძაბულად მისჩერებოდნენ ან ხარბად ცდილობდნენ სამუდამოდ აღებეჭდათ ელ ხომრის ღარიბი ბუნება. დროა! - ერგ ნოორის ხმამ თითქო შეაფუცხუნა დაძაბული ნერვები.

ვედა აშკარად ასლუკუნდა და ნიზას მიეკრა. ორივე ქალი რამდენიმე წამს ასე იდგა, ლოყა ლოყაზე მიედოთ, თვალები მაგრად დაეხუჭათ, სანამ კაცებმა ერთმანეთს გამოთხოვების ნიშნად გადახედეს და ხელი ჩამოართვეს. ამწემ

ვარსკვლავმფრენის ოვალურ, შავი ფერის საძვრომში უკვე რვა ასტრომფრინავი ჩამალა. ერგ ნოორმა ნიზას ხელი გამოდო და რაღაც ჩაუჩურჩულა. ქალიშვილი აენთო, უცებ გამოეთიშა გამცილებლებს და ვარსკვლავმფრენს მივარდა. ერგ ნოორი და ნიზა ერთდროულად ავიდნენ.

ადამიანები გაირინდნენ, როცა შავი საძვრომის წინ, „გედის“ ქიმით ძალზე განათებულ შვერილზე წამით დაყოვნდა ორი ფიგურა - მაღალი მამაკაცი და მოხდენილი ქალიშვილი. მათ დედამიწის უკანასკნელი სალამი მიიღეს. ვედა კონგმა ხელები დამჯიღა და დარ ვეტერმა გაიგონა, როგორ გაიტკაცუნა თითების სახსრებმა.

ერგ ნოორი და ნიზა გაქრნენ. შავი ნათებიდან მთელი კორპუსივით რუხი ფერის ოვალური ფინი ამოიზარდა. წამიც და კოლოსალური კორპუსის დამრეც ზედაპირზე ახლახან გამქრალი საძვრომის კვალს მახვილი თვალიც ვეღარ შეამჩნევდა.

გაჩაჩხულ საბრჯენებზე ვერტიკალურად მდგომი ვარსკვლავმფრენი რაღაცნაირად ადამიანს ჰგავდა. შეიძლება ამ შთაბეჭდილებას ცხვირის ნაწილის მრგვალი ბურთი ჰქმნიდა, რომელიც მახვილი სარქვლითა და თვალებივით მანათობელი სასიგნალო ნაპერწკლებით ბოლოვდებოდა. ან კიდევ ხომალდის ცენტრალური საკონტეინერო ნაწილის ნეკნებისმსგავსი ბადურა, რომელიც რაინდთა აბჯრის საბეჭურებს ჰგავდა. ვარსკვლავმფრენი ისე ეკიდა თავის საბრჯენებზე, თითქოს ბუმბერაზი დგასო გაჩაჩხულ ფეხებზე და დაცინვითა და თვითდაჯერებით ზევიდან გადმოსცქერისო ადამიანთა ბრბოს.

მრისხანედ აღმუვლდნენ პირველი მზადყოფნის სიგნალები. თითქო რაღაც ჯადოქრობით ხომალდთან ფართო თვითმავალი ბაქნები გაჩნდა და მრავალი გამცილებელი წამოიყვანა.

განზე გაფორთხდნენ, გაცალცალკევდნენ, მაგრამ თავიანთ ლულებსა და სხივებს არ აცილებდნენ ხომალდს, ტვფ-ს სამფეხებსა და პროჟექტორებს. „გედის'' რუხი კორპუსი თითქო გაბუნდოვნდა და ზომები დაჰკარგა. ხომალდის
„თავზე“' აენთო ავბედითი

წითელი ნათურები - სტარტის მომზადების სიგნალები. მძლავრი მოტორების რხევა მაგარ ნიადაგს გადაეცა - ვარსკვლავმფრენმა თავის სადგომზე შემობრუნება და აფრენისათვის ორიენტირება იწყო. სულ უფრო შორს და შორს მიდიოდნენ გამცილებლები, სანამ სიბნელეში განათებული უსაფრთხოების ზოლი არ გადაკვეთეს. აქ ადამიანები სწრაფად ჩამოხტნენ ძირს, ხოლო ბაქნები სხვათა წამოსაყვანად გაბრუნდნენ.

- ისინი ვეღარ დაგვინახავენ ჩვენ, ან თუნდაც ჩვენს ზეცას? - ჰკითხა ჩარამმისკენ დაბლა დახრილ მვენ მასს.

- ვერა. მხოლოდ სტერეოტელესკოპებში თუ დაინახავენ...

ვარსკვლავმფრენის ქიმქვეშ მწვანე ნათურა აინთო. ცენტრალური შენობის კოშკზე ცახცახით დაბრუნდა რადიოშუქურა, ყოველმხრივ გაგზავნა გაფრთხილება ვეებერთელა ხომალდის აფრენის შესახებ.

- ვარსკვლავმფრენი გამგზავრების სიგნალს ღებულობს - უცებ ისეთი

ძალით დაიღმუილა ლითონის ხმამ რომ ჩარა შეკრთა და მვენ მასს მიეხუტა, - წრეში დარჩენილებო, ასწიეთ ხელები! ასწიეთ ხელები მაღლა, თორემ დაიღუპებით! ასწიეთ ხელები მაღლა, თორემ... - ყვიროდა ავტომატი, სანამ მისი პროჟექტორები ველს ჩხრეკდნენ უსაფრთხოების წრეში შემთხვევით დარჩენილთა აღმოსაჩენად.

ვერავინ აღმოაჩინეს და პროჟექტორები ჩაქრა. ჩარას მოეჩვენა, რომ რობოტმა კიდევ უფრო გააფთრებით დაიყვირა:

- ზარის სიგნალის შემდეგ ხომალდისაკენ ზურგით შებრუნდით და თვალები დახუჭეთ. მეორე ზარის დარეკვამდე არ გააღოთ. შებრუნდით და თვალები დახუჭეთ- - შიშითა და მრისხანებით ღმუოდა რობოტი. - ეს საშინელებაა! - წასჩურჩულა ვედამ თავის თანამგზავრს.

დარ ვეტერმა დინჯად მოიხსნა ქამრიდან მილივით დახვეული ნახევარნიღბები, ერთი ვედას გაუკეთა, ხოლო მეორე თვითონ მოირგო. ძლივს მოასწრო შებნევა, სასიგნალო აპარატების სახურავქვეშ მხეცურად დაიგრიალა დიდმა, მაღალი ტონის ზარმა.

მოულოდნელად ვარსკვლავმფრენმა გააფთრებული ღმუილი ამოუშვა და ნათურები ჩააქრო. ერთ, ორ, სამ, ოთხგზის ბნელი დაბლობი ამ სულისგამფლეთმა ღმუილმა გადასერა. განსაკუთრებით მგრძნობიარე ადამიანებს მოეჩვენათ, რომ ეს გამოთხოვების ნაღვლით გამსჭვალული ხომალდი ყვიროდა.

ღმუილი ასევე მოულოდნელად შეწყდა. ხომალდის გარშემო წარმოუდგენლად კაშკაშა ცეცხლის კედელი აღიმართა. წამით სამყაროში ამ კოსმიური ცეცხლის გარდა ყველაფერმა შეწყვიტა არსებობა. ცეცხლის კოშკი აისვეტა, გრძელი ბოძივით გაიჭიმა და შემდეგ დამაბრმავებლად კაშკაშა ზოლად გადაიქცა. ზარმა მეორეჯერ ჩამოჰკრა და შემობრუნებულმა ხალხმა დაინახა ცარიელი დაბლობი,

რომელზეც გავარვარებული ნიადაგის გიგანტური ლაქა იდღაბნებოდა მაღლა დიდი ვარსკვლავი ჩანდა - ეს „გედი“ მიდიოდა შორეთში.

ხალხი ნელ-ნელა გაემართა ელექტრობუსებისაკენ, ხან ცას ახედავდნენ, ხანაც აფრენის ადგილს გასცქეროდნენ, რომელიც უცაბედად გამაოგნებლად უსიცოცხლო გახდა, თითქო ელ ხომრის ჰამადა - წარსულ დროთა მგზავრების საშინელება და უბედურება გაცოცხლდაო.

ჰორიზონტის სამხრეთ კიდურზე ნაცნობი ვარსკვლავები აკიაფდა. ყველამ იქითკენ მიიხედა, სადაც ცისფერი და ნათელი ახერნარი ენთო. იქ, იმ ვარსკვლავზე, საათში ცხრაასი მილიონი კილომეტრის სიჩქარით ოთხმოცდაოთხი წლის გზის გავლის შემდეგ აღმოჩნდება „გედი“. ჩვენთვის ეს ოთხმოცდა ოთხი წელიწადი იქნება, „გედისათვის'' კი - ორმოცდა შვიდი წელიწადი. შეიძლება მათ იქ ახალი, ასევე ლამაზი და მხიარული, ცირკონული ვარსკვლავის მწვანე სხივებით გაშუქებული სამყარო შექმნან.

დარ ვეტერი და ვედა კონგი ჩარასა და მვენ მასს წამოეწიენ. აფრიკელი ქალიშვილს პასუხობდა:

- არა, მწუხარება კი არა, არამედ დიადი და ნაღვლიანი სიამაყე

- აი ჩემი შეგრძნება დღეს. სიამაყე იმისა რომ ჩვენი პლანეტიდან სულ უფრო და უფრო მაღლა ავდივართ და კოსმოსში ვითქვიფებით, ნაღველი იმისა, რომ საყვარელი დედამიწა პატარავდება... უსაზღვროდ ძველად მაიებმა - ცენტრალური ამერიკის წითელკანიანმა ინდიელებმა - ამაყი და ნაღვლიანი წარწერა დაგვიტოვეს. მე იგი ერგ ნოორს გადავეცი, მან კი იმით „გედის“ ბიბლიოთეკა-ლაბორატორია შეამკო.

აფრიკელმა მიმოიხედა, შეატყო, რომ მოახლოებული მეგობრები უსმენდნენ, და ხმამაღლა განაგრძო:

- „შენ, რომელიც აქ ჩვენზე გვიან მოხვალ! თუ შენი გონება მოიაზრებს, იკითხავ: ვინა ვართ ჩვენ? ვინა ვართ ჩვენ ჰკითხე განთიადს, ჰკითხე ტყეს, ჰკითხე ტალღას, ჰკითხე ქარიშხალს, ჰკითხე სიყვარულს. ჰკითხე დედამიწას, დედამიწას მტანჯველსა და დედამიწას საყვარელს. ვინა ვართ ჩვენ? ჩვენ მიწა ვართ!

- და მეც მთლიანად მიწა ვარ! - დაუმატა მვენ მასმა.

მათ შესახვედრად რენ ბოსი გამორბოდა, ნაწყვეტ-ნაწყვეტად სუნთქავდა. მეგობრები გარს შემოეხვივნენ ფიზიკოსს, რომელმაც რამდენიმე სიტყვით

გადმოსცა არნახული ამბავი - ორი უზარმაზარი ვარსკვლავეთის კუნძულების აზროვნებათა პირველი ურთიერთ შეხება.

- მე ისე მინდოდა გაფრენამდე მომესწრო, - მწუხარედ თქვა რენ ბოსმა, - რათა ამის შესახებ ერგ ნოორისათვის მეცნობებინა. იგი ჯერ კიდევ შავ პლანეტაზე მიხვდა, რომ სპირალოდისკი - ძალიან შორეული, უცხო ქვეყნის ვარსკვლავმფრენი იყო, რომ ეს ხომალდი კოსმოსში ძალიან დიდხანს ფრინავდა.
- ნუთუ ერგ ნოორი ვერასოდეს ვერ გაიგებს, რომ მისი ვარსკვლავმფრენი სამყაროს ასეთი საოცარი სიღრმიდან - მეორე გალაქტიკიდან, ანდრომედას ნისლეულიდან ჩამოვიდა? - თქვა ვედამ - რა სამწუხაროა, რომ დღევანდელ ცნობას არ დაუცადა.
- გაიგებს - მტკიცედ თქვა დარ ვეტერმა. - ჩვენ ვთხოვთ საბჭოს გამოგვიყოს ენერგია განსაკუთრებული გადაცემისათვის, ოცდა თექვსმეტი თანამგზავრის მეშვეობით. ჩვენი ძახილი „გედს“ კიდევ ცხრამეტი საათის განმავლობაში მისწვდება!..